
სასკოლო ბიბლიოთეკა

ქართული ისტორიული მოთხრობა



წიგნი პირველი

ბაკური
2008

სასკოლო ბიბლიოთეკა– წიგნი მეთოთხმეტე

„ქართული ისტორიული მოთხრობა“ — ორ წიგნად

წიგნი პირველი

იდეა და პროექტი

ბონდო მაცაბერიძის, რუსუდან მოსიძის

სერიალის რედაქტორი

რუსუდან მოსიძე

შემდგენელი

თემურ შაპლაძე

© გამომცემლობა-ბაკმი

ISBN 978-99940-27-31-6 (სერიალის ყველა წიგნი)

ISBN 978-99940-27-59-0 (წიგნი მეთოთხმეტე)

საქართველო, თბილისი – 2008 წელი

წინათქმა

ძნელია, ძალზედ ძნელია ამგვარი წიგნი-კრებულების შედგენა. იგი ყოველთვის წარმოშობს (წარმოაჩენს) აზრთა სხვადასხვაობას. სირთულე გამოწვეულია არა მარტო ისტორიული მოთხრობის, როგორც ჟანრის თავისებურებით, როგორც თავად ისტორიული ფაქტის, ამბის (თავგადასავალის!), გნებავთ ფაბულის ცნობიერობადობით, არამედ თვით მკითხველის, საზოგადოების ფსიქოლოგიური განწყობით თავად ისტორიისა და ისტორიზმის პრინციპებისადმი, გნებავთ დაჯერება-არდაჯერების თვალსაზრისით; არადა, არამარტო გარდასული საუკუნეები თუ წლები, თვით ყოველი განვლილი დღე, წუთი თუ წამი, უკვე ისტორია და ჩავლილი ყოფიერების კუთვნილებაა. იქნებ, სწორედ ამიტომაც, ისტორია არა წარსულში, მომავალშია საკვლევ-საძიებელი. გოეთესეული — შეჩერდი წამო — სწორედ ისტორიზმის, როგორც არსის გაცნობიერების (მარადიული!) მცდელობაა. ამ იდეით ვხელმძღვანელობდით ჩვენმიერი კრებულის შედგენისას, ანუ, ისტორია არა როგორც მხოლოდ ფაქტი, არამედ, როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მეტიც, ცნობიერება თავად ეპოქისა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით და, კიდევ, რადგან ყველაფერი პირობითია და შედარებითი, ჩვენ ჩვენი არჩევანი შევთავაზეთ მკითხველს. ნათქვამია: გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ, იქნებ სწორედ გემოვნებაზე დავაა სასიკეთო თავად გემოვნებისათვის. ისტორიული მოთხრობა, თავად ისტორიული ამბის, ფაქტის თხრობას არ ნიშნავს (გულისხმობს) მარტო ოდენ; ისტორია სულია ერის, კაცისა; ამიტომ, ისტორიული ამბავი, ფაქტი, თავისთავად, ქვეცნობიერად და, რაღა თქმა უნდა, ცნობიერადაც, სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამომხატველია, ამსახველია, როგორც ცალკე პიროვნება-ინდივიდისა, ისე, ზოგადად, ერისა, ხალხის! ამიტომ, ჩვენი არჩევანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორმხრივი მნიშვნელობა-მიმართულებისაა — ისტორიული და ფსიქოლოგიური. ხოლო (თუ!) რომელი· — რომელია, ეს თავად მკითხველის აღსაქმელი და განსასჯელი უნდა იყოს. ავტორებიც, ამისდა მიხედვით, ქრონოლოგიური პრინციპით განვათავსეთ, გამიზნუ-

ლად; ისტორიაც ხომ თავისთავადი, ნებსი-უნებლიე ქრონოლოგიაა, გინდა-არ გინდა ყოველთვის თავს რომ გახსენებს, ადრე თუ გვიან. მწერალი კი, ისტორიკოსისაგან განსხვავებით — მემატიანე-ფსიქოლოგია — ფაქტითა და ამბით მხატვრულად მეტყველი. მწერალი იქნებ წინასწარმეტყველიცაა, რომელიც ღვთის შთაგონებითა (და ჩაგონებით!) გაუცნობიერებლად(აც) მოქმედებს და წერს იმას, რომელსაც მხოლოდ მომავალში რომ დაედება ფასი და მადლი. და საერთოდაც, მწერლობა, მარადიული მომავლის ჭვრეტა და კუთვნილებაა. და რომ ეს ასეა, მკითხველი თავადაც აღმოაჩენს ამგვარ მოთხრობას (რა თქმა უნდა, არაერთს!) ამ კრებულებშიც. და როგორც (უკვე!) აღვნიშნეთ, მწერლობა აწმყოში იქმნება მომავლისათვის, ანუ, მარადიულობის ჭვრეტა-განსჯისათვის განაწყობს და აფხიზლებს მკითხველს, საზოგადოებას, ერს, ხალხს. ამიტომ სამშობლო აწმყოში მარტო ფიზიკური (გეოგრაფიული!) ტერიტორია არ არის თავისი საზღვრებით; ის, პირველ რიგში, სააზროვნო (ზე-განზომილებითი!) სივრცეა და თუ ვკარგავთ სააზროვნებო სივრცეს, ვკარგავთ სამშობლოს(აც!). მწერლობა სწორედ ამგვარი სივრცის შესამეცნებელი ბჭე და ბალავარია, ცხოვრებისეული ზე-განძიც და საუნჯეც. ქართული ისტორიული მოთხრობის ამგვარი სახით ჩვენმიერი წარდგენა, სწორედ ამ სივრცის კიდევ ერთხელ შეხსენებისა და გააზრების მცდელობას ემსახურება, უფრო სწორად ისტორიულ-სამშობლოსეული ცნობიერების არდავიწყება-არდაბინდების მიზანს. დიახ, ისტორიული მოთხრობა, მარტო ისტორია არ არის, იგი უფრო ისტორიზმის — როგორც დროის ფენომენის — ფსიქოლოგიაა. კითხულობ ნიკო ლორთქიფანიძის „რაინდებს“ და ფიქრობ: შეიცვალა კი რაიმე იმ დღიდან (მოთხრობაში აღწერილი ამბიდან!) — დღემდე ჩვენს ფსიქიკურ(!) ცნობიერება-განწყობილება-ხასიათში? არადა, ყოფიერება ყოველთვის განაპირობებდა ცნობიერებას. ასეა დღესაც. ჩვენთან კი, საქართველოში, არც-თუ იშვიათად, პირიქით. მაინც როგორნი ვართ ჩვენ, ქართველები? როგორია ჩვენი ქართული ხასიათი? — კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს ეს მოთხრობები. აქვე, მკითხველი მოისაკლისებს ზოგიერთი დიდებული ავტორის ცნობილ თხზულებას, მაგრამ, როგორც შემდგენელი, თავს ვიმართლებ და ვინუგეშებ,— პირადად, არა ჩვენი და გამომცემლობის გამოისობით, არამედ, სწორედ — „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ ანუ ჩვენდა

დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო, ვერ შევიტანეთ ესა თუ ის ნაწარმოები ამ კრებულებში, რაც ძალზედ სამწუხაროა ჩვენთვისაც და მკითხველისთვისაც. სხვა მხრივ „ქართული ისტორიული მოთხრობის“ ორ-წიგნეული სახეზეა, ხოლო რაც შეეხება მომავალში მკითხველის (მოსალოდნელ!) სამართლიან შენიშვნაზე (წინდაწინ!) პასუხს, თუ რატომ აღმოჩნდა „ქართული ისტორიული მოთხრობის“ თვალსაწიერის მიღმა ქართული ეროვნული ჰაგიოგრაფიული თხზულებანი ან თუნდაც ორიოდე მათგანი მაინც, კერძოდ „შუშანიკის წამება“, ანდა „ცხრა ძმა კოლაელთა წამება“, მითუმეტეს „აბო ტფილელის მარტვილობა“, გნებავთ „ათონელთა ცხოვრებანი“, ვიტყვით: ჩვენ გვესმის, რომ ქართული ისტორიული მოთხრობის სრულ არსს, შინა-არსსა თუ დედა-არსს, ყველაზე მეტად და ჭეშმარიტად სწორედ ჰაგიოგრაფიული ჟანრი (სასულიერო პროზა) განმარტავს და განსაზღვრავს, კერძოდ, ჭეშმარიტად აღწერის ლიტერატურული (მორალური, ზნეობრივი!) პრინციპი — ანუ — რეალური ისტორიული გარემო: რეალური ისტორიული გმირი: არავითარი მხატვრული გამონაგონი და ფანტაზია! — ამ ნიშნით, ჰაგიოგრაფიული მწერლობა (წმინდანთა ცხოვრების აღწერა!) ჩვენთვის იგივე დედა-ისტორიაა ზე-უმაღლესი სულიერი განზომილებით და, ამავე დროს, დიდი პატივი, თუნდაც ერთი მოთხრობის წარმოდგენა ჩვენს მიერ შედგენილ კრებულში, და მაინც: შეგნებულად მოვერიდეთ სწორედ ამ ნიშნით (ენის არქაულობა არაფერ შუაშია!), თუნდაც ერთი ან ორი ნაწარმოების შეტანას „ქართული ისტორიული მოთხრობის“ კრებულში (მაშინ სრული კრებულის წარმოდგენა მოგვიხდებოდა, რომელიც არა ერთი არსებობს ჩვენს სინამდვილეში). ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა მაინც სხვა სივრცე და განზომილებაა, თუნდაც ჩვეულებრივ (რიგით!) მკითხველთან მიმართებაში. ამიტომაც ლიტერატურაში(ც) უმთავრესია (თუ არა — უპირველესი!) — ღმერთს ღმრთისა, კეისარს კეისრისა!

თემურ მაჭლაძე

10 სექტემბერი 2008 წ.

გამომცემლობისაგან

ვინაიდან „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიალის (მრავალტომეულის!) ძირითად მიზანსა და დანიშნულებას წარმოადგენს ქრესტომატიულად წარმოაჩინოს ქართული ეროვნული ლიტერატურის კლასიკური მემკვიდრეობა, რაც სერიალის წინა ტომებში სრული სახით განხორციელდა, ამის გამო, ამავე სერიალით ჩვენს მიერ შემოთავაზებული „ქართული ისტორიული მთხრობის“ პირველ ტომში არ შეევიდა *ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“*, *აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“*, *მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“* და *ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“*. გამომცემლობის მიზანია მკითხველ საზოგადოებას წარმოუჩინოს, გნებავთ, შეახსენოს ნაკლებად ცნობილი, დროებით მივიწყებული ანდა სრულიად დავიწყებული ავტორები, რაც უკვე მეორე ტომში იქნება წარმოდგენილი.

ალექსანდრე ორბელიანი

უმანკო სისხლი

ვინ იცის რამდენი ამბავი მომხდარა ჩვენს ქვეყნებში, დიდი ანუ მცირე; მგონია ერთი მცირედი ადგილი არ იყოს ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენს წინაპართ სისხლი არ დაეღვაროთ იმ ადგილზედ თავის მამულისათვის და სარწმუნოებისათვის. ამაზედ ბევრი სათქმელია, მაგრამ ლაპარაკის გაუგრძელებლობისათვის ეს ვიკმაროთ და ამის შემდგომი წავიკითხოთ ამ უმანკო სისხლის ამბავი.

ერთს ქართველის დიდის კაცის სახლში აღიზარდნენ სამნი ყმაწვილნი ქალები: საღმრთო-საერო წერილები დაასრულეს, კერვა-ხელსაქმეში განვითარდნენ, წყნარი მშვიდობიანი ქცევა მიიღეს, უფროსების პატივის ცემა დაიხსოვეს, დედ-მამისა მორჩილება დაიმარხეს, კრძალული ყოფა-ცხოვრება შეიძინეს, თანასწორის პირებისათვის შესაფერი ზრდილობა ისწავლეს და დარბაზობის საუბარსაც უცხოდ მიმოხვრიდნენ, სადაც კი ადგილი ექნებოდათ უბნობისა. ერთის სიტყვით: მართებული ხასიათი დაიმკვიდრეს და ყოვლის კეთილის ზნეობით შეიმკნენ. აი ძველი სწავლა ჩვენი ქართველებისა.

იმ ქალებს ერქვათ: ანა, ბარბარე და მართა. სამნივე იყვნენ მშვენიერები, სამნივე პირგვალნი, სამნივე შავ-თვალ-წარბანი, სამნივე ტანადობით სრულნი, მაგრამ ერთმანეთს კი არა გვან–დნენ სახით. ანნა იყო იმ სახლის თავადის ქალი და ის ორნი იყვნენ იმისი აზნაურებისა, რომელნიცა იმ თავადის ცოლმა გააზრდევინა თავის ქალთან სიყმაწვილითვე ერთად დებისავით სიყვარულით.

აძ ქალების გაძდელი იყო ძოხუცებული ფერია (სახელი), მშვიდობიანის სახის მქონე და სრულებით თეთრთმიანი. ამ მოხუცებულს გამდელს თავის დროზედ მოეთხოვა ხარკი სოფლისა, იმანაც მისცა დამყუდროებულს გულით.

იმ თოთხმეტ-თოთხმეტ წლის ქალებმა, თუმცა წესისამებრ თავიანთი მბზინვარე შავი ღულამბრები და გრძელი დალალები არ დაიშალეს თავიანთის ნაზის თითებითა, რადგანაც ყმაწვილები იყვნენ, მაგრამ გულმოსაწყლელის სიტყვებით დასტიროდნენ წყნარის მოთქმით და გულსაკლავათა ცრემლთა დააფრქვევდნენ თავიანთ მოჭირნახულეს ცხედარზედ, იმათ მაყურებლებს გული უდუღდებოდათ და შორიდამ ჰქვითინებდნენ.

იმის დასაფლავების შემდეგ, იმ ღამეს ის ქალები ისხდნენ თავიანთს ოთახში შეწუხებულები, სადაც ამ დროს არავინ არ იყო და ამას ამბობდნენ:

ანნა. ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს ჩვენს გამდელს ფერიას.

ბარბარე. ოჰ, ჭეშმარიტად.

მართა. ახ, რა კარგი რამ იყო, აბრაამის წიაღში განუსვენოს ღმერთმა.

ანნა. ჩემო უსაყვარლესო დებო, იმისი სწავლა კარგათ გვახსოვს, ეს სოფელი კეთილისათვის არის დაარსებული ღვთისაგან; მაგრამ როგორღაც ბოროტად არის შეცვლილი; ამისთვის იმისი სწავლისამებრ, გვმართებს ეხლანდელს მდგომარეობას მოვშორდეთ სოფლისასა და ღმერთსა შეუდგეთ.

მართა. დიაღ, კარგი იქნებოდა, ჩემო სიცოცხლე დებო.

ბარბარე. მართლა, დიაღ კარგი იქნება, ჩემო მანუგეშებლებო დებო, მარამ სად და რომელს ადგილს შევიდეთ?

ანნა. ქ. თბილისის მახლობლად, რომ ეკლესია არის მთაწმინდის შუა გულს მთაში, წ. დავითისა, იქ შევიდეთ; იმ ეკლესიის მღვდელი და იმისი ცოლი მეტად კეთილები არიან ორნივე. — მე დარწმუნებული ვარ, კარგათ მიგვიღებენ ის საწყალი უშვილოები.

მართა. ბევრჯელ ვყოფილვართ ქლაქში. შარშანაც ხომ

იქ ბრძანდებოდნენ შენი დედ-მამა, და ჩვენც იქ ვიყავით? — ერთხელ რომ წავედით სამნივე ჩვენ, იმ წ. დავითის ეკლესიაში სალოცავათ, მაშინ ეგ აზრი წარმომიდგა გონებაში, რაც ეხლა ჩვენ განზრახვა გვაქვს.

ბარბარე. როგორც იქნება იქამდინ მივალთ, მაგრამ იმ მღვდელმა რომ გაგვამჟღავნოს?

ანნა. რას გვიცნობს, ვინა ვართ? თუნდა გვიცნოს, მღვდლისათვის შეგვიწირავს თავი და მისთვის დიდათაც უნდა იამოს.

კარგად, მოლაპარაკების და ვახშმის შემდეგ, როდესაც ფეხის ხმა მისწყდა კარზე, და ამჟამად იმათ ოთახში არვინ არ იყო, ამ დროს ღვთის სახელი ახსენეს, სამნივე მამაცურად წარმოდგნენ ფეხზედ, პური და ყველი ხელსახოცში შეახვიეს, კარებში გაიხედეს, ნახეს ყველას ეძინათ, გარდა იმისა, რომ თექვსმეტი დღის მთვარე იყორდებოდა მოწმენდილის ზეცითგან და ვითომცა ტალარს სწევდა უმანკოთა იმათთვისა, გზა ეჩვენებინა.

ტრედები ბუდითგან გამოფრინდნენ და სასუფევლის კარებისაკენ წასვლა ისწრაფეს. იმათ არც აბზარავის ფრინველებისა ეშინოდა, არც მტაცებელის მხეცებისა.

გამოიარეს სახლის ეზო, — გაიარეს სოფლის ორღობე და დიდ შარას გზაზედ გავიდნენ მხნედ ის პატარა ფეხებიანები გაწყობილს წითელის წუღებით; ასე ჩქარა მიდიოდნენ უქოშონი, რომ კარგნი შიკრიკნიც ვერ მიჰყვებოდა იმათ. კარგი ის იყო, რომ გზა კარგათ იცოდნენ ქალაქისა და არც მგზავრი შეხვდათ ვინმე.

გარიჟრაჟზე მცხეთის ხიდზე გავიდნენ; შარას გზაზე ველარ გაბედეს წასვლა მგზავრების შიშით და ამისთვის მაღალსა მთასა შეუდგნენ იქვე ხიდის მოახლოვოდ მტკვართან; მინამ კარგათ ინათლებდა, მთის წვერზედ ავიდნენ, და იქიდამ ქალაქის მთები დაინახეს დიდის სიამოვნით. ახლა მთა-მთა იარეს ტყის პირს, ქალაქი არ დაჰკარგოდათ თვალითგან და ბინდზე დიღმის ხეობაში შევიდნენ წყალის პირზე; ამ დროს მთვარეც ამოვიდა.

მცირეს ხანს წყალის პირზე დასხდნენ, ცოტა დაისვენეს,

პური იგემეს და მას უკან გზასვე შეუდგნენ. ახლა სწორეს გზაზე იარეს; შუაღამეზე ადრე მთაწმინდაში ავიდნენ, წ. დავითის ეკლესიას თაყვანი სცეს, იქიდგან გამობრუნდნენ და მღვდლის სახლის კარი დაარაკუნეს.

იოსებ მღვდელსა და იმის ცოლს ანასტასიას ჯერ არ ეძინათ, ლოცვის წიგნი ხელში ეჭირათ და გულმხურვალედ ილოცვიდნენ. უდროო კარის დარაკუნება არც ერთს არ იამა, მაგრამ მაშინვე მივიდა მღვდელი, კარები გააღო და ანთებული წმინდა სანთელი გაანათა კარებში, შეხედა, იცნა სამნივე და გაკვირვებით ჰკითხა:

„ანნა, რა ამბავია ასე უდროოთ თქვენი მობრძანება?“ ცნობისათვის, თუმცა დიდად შეკრთნენ ქალები, მაგრამ ანნამ თავიანთი განძრახვის ყოველივე უთხრა გადაწყვეტით. — მღვდელსა და სახით საუცხოვოს, იმის ტანწვრილს და ტანად ცოლს, თუმცა დიდად იამათ, მაგრამ კიდევაც შეშინდნენ.

რასაკვირველია, იმ ღამეს დიდი პატივი მიაპყრეს სამსავ. მეორე დღეს მღვდელი კათალიკოზთან წავიდა მოადრეოდ და ყოველივე მოახსენა, რომლებთანაც ორი ეკლესიის დიაკონები დარჩნენ, ერთი ორმოცი წლისა და მეორე ორმოცდა ათისა. ეს დიაკონები დიაღ უცხო მოსამსახურენი იყვნენ ეკლესიისა და მღვდლისა დიდი მორჩილნი. ორმოცის წლისას ერქო პეტრე და ორმოცდა ათისას თევდორე.

უკეთილესმა კათალიკოზმა რომ მოისმინა მრვდლისაგან, დიდად მოიწონა, მაგრამ იქით ზევით მხარეს ბევრი აძებნინეს ის ქალები ანნას მშობლებმა; ბოლოს შეიტყვეს როგორც იყო და ქართლის მეფეს წიგნი მოართვეს. ამაში ორი-სამი დღე აღარ გამოვიდა, ანნასთან აბრძანდა მეფე; ამ დროს ეს ქალები ეკლესიაში იყვნენ დაჩოქილნი ამბიონის წინ და გალობით ქებას შეასხავდნენ ღმერთსა.

მეფე დიაღ ახლო ნათესავი იყო ანნასი: — ერთმანეთს რომ არ მოშორებოდნენ ის ქალები, მოინდომა სამნივე გამოეყვანა და ანნა დედ-მამასთანვე დაებრუნებინა. ყოველს მეფის ბრძანებაზე დიღ კრძალვით მოახსენებდნენ სამნივე გადაწყვეტილის სიტყვით, რომ უთუოდ იქ უნდა დამკვიდრებულიყვნენ, ერთი მეო-

რეს განუშორებლად. ვერას ჩაგონებით ვერ შეიძლო მეფემ იმათი გამოყვანა, ამისათვის მთაწმინდაში დაემკვიდრნენ ღვთის შვილებად.

ერთი თვე აღარ გასულა, ქალაქში განითქვა: — „ხვალ სამი ქალი უნდა იკურთხნენო მოლოზნებად“. ამაზედ მთელი ქალაქის მცხოვრებნი შეიძრნენ რაღაც საამოს ფიქრითა: ზოგი რას ამბობდა და ზოგი რასა. — მეორეს დღეს, მრავალნი ქალნი და კაცნი შეიყარნენ სიონთა მღვთისშობლის ეკლესიაში მოლოზნების კურთხევის საყურებლად. მცირე ხანს უკან ის ქალები მოიყვანეს და კათალიკოზის ხელით იკურთხნენ მოლოზნებად, როდესაც მოლოზნების კურთხევის დრო მოვიდა, კათალიკოზი ამბიონზე გამობრძანდა თავისის სამღვდელოთი, აქედგან მოლოზნები მივიდნენ და იმის წინ დაიჩოქეს; კათალიკოზმაც იმათ შავი მაზარები გადააფინა. მასუკან მოლოზნები მოჰყვნენ და ღმერთს მადლობას შესწირვიდნენ გალობითა. ამბიონიდგანაც კათალიკოზი და მისი სამღვდელონი მოსძახოდნენ, ზოგი თქმას, ზოგი მოძახილსა, ზოგი ბანსა და უცხოდ შეწყობილს გალობას ღიად მშვენიერად გალობდნენ.

აქამდისინ ეკლესიაში მდგომნი სურვილის თვალით უყურებდნენ იმათ; ახლა ამ სახეზედ და ამ გალობაზედ, საერთო შესაბრალისი ქვითინი შეიქნა. იმ მოლოზნების დედ-მამებმა ხომ ველარ მოითმინეს, თითქმის გულ-შეწუხებულები გავიდნენ კარზე. ეგონათ მომკვდარანო და ჩვენსა მკვდრებსა ვმარხამთო. რაღათ გავაგრძელო ლაპარაკი, მხიარულის ტანისამოსებით შევიდნენ ის სამი ქალი ეკლესიაში და მძიმის შავებით გამოვიდნენ ღვთის მადლობელნი გულ-მხიარულად.

ორი წელიწადი დიაღ მშვიდობიანს ცხოვრებაში იყვნენ ის ზეციური ქალები; ყოველთვის ღმერთს ევედრებოდნენ თავიანთი ქვეყნის ბედნიერებას და ხშირადცა შეჰგალობდნენ ზეციერებას. მღვდელი თავის ცოლით დასტრფიალებდა იმ მოლოზნებს, როგორც საკუთარს დებს. მეტის სიხარულით აღარ იცოდნენ სად იყვნენ, ასე ბედნიერათ მიაჩნდათ თავი. ის მოლოზნებიც დიდ პატივსა სცემდნენ იმათ.

ბევრჯელ შუაღამეზედ, წინ თუ უკან, ის მოლოზნები გადმოსხდებოდნენ ეკლესიის წინა მთაზედ; აქეთ მღვდელი

მოუჯდებოდა იმათ გვერდით და იქით იმისი ცოლი, რომლებზედაც უწმინდესი ჰაერი გადმოჰფენოდა და ვარსკვლავნი მკრთოლვარებდნენ ზეცაში.

ამ დროს საქართველოზედ თვალს გადაავლებდნენ, საიდგანაცა დიდი სივრცე დაინახება საქართველოსი. საქართველოს მყუდროს მშვიდობიანობას რომ წარმოადგენდნენ იმ დროსას, მეტის სიამოვნებით სასიხარულოს გალობას მოჰყვებოდნენ ეს ხუთნი წმინდანი და მაშინვე ის გალობა მოიცავდა თავისის საუკეთესოს ხმოვანებით იმათ გარემოს არეთ.

ვინც ამ გალობას გაიგონებდა, ქალი თუ კაცი, ყველანი ყურს მიუპყრობდნენ იმ ტკბილ ხმოვანებას; ყველანი ძლიერ იგრძნობდნენ იმ საუცხოვოს მელოდიას და ყოველთა სანატრელად მიაჩნდათ იმათი განშორებული ტკბილი ცხოვრება სოფლისაგან.

ერთს ჟამის შემდგომ გასწყდა ის მიმოქცეული გალობა მთაწმინდის შუა მთაში, თავისი გაძახილი ეჰო და ისინიც გულმობილი მადლობელი დაშთებოდნენ, ვინცა კარგს ხმას ყურს უგდებდნენ გალობისას.

ზეციურისა ამის ცხოვრებითა ასე გაატარეს ორი წელიწადი იმ სუფთა წმინდათა. რაც მისართმევი მიუვიდათ საქართველოს ერისაგან, თავიანთ სარჩოს გარდა, სხვა სულ საწყალსა, დავრდომილსა და გლახაკთ აძლევდნენ.

ორის წლის დასრულებასთანავე სპარსეთის ხელმწიფე აღიძრა საქართველოზედ ძლიერის ჯარებით და განძვინებული წამოვიდა უსამართლო შაჰთაბაზი.

გმადლობ ღმერთო! რა შეედრება ახლანდელს სწავლას... განვითარებას... და განათლებას... განათლებამ დასცა სიბრიყვე და ვეღარ აღსდგება იმისი მხეცური ყოფა-ქცევა.

მშვიდობიანს, მოსვენებულს, ტკბილს და კეთილ ცხოვრებაში მყოფნი, ახლა ერთს დილაზედ მთაწმინდიდგან დაინახეს იმ ხუთთა წმინდათა შაჰთაბაზის ძლიერი მხედრობა, მრავალ ტოტებად დაყოფილი; სხვასა და სხვას ადგილებში მოვიდნენ, დროშებ გაშლილები და საქართველოს ნაყოფიერნი მინდვრები წაელეკათ იმათ ნიაღრულს მომდინარეობას.

ეს ხუთნი წმინდანი ამითი სიხარულობდნენ, რომ საქარ-

თველო მშვიდობიანს ცხოვრებაში იყო და მცხოვრებნი თავიანთს ნაყოფიერს მამულებს აკეთებდნენ გულმოდგინედ, ღვთისაგან მომადლებულის კეთილის ჯილდოს მისაღებად. ნაცვლად ამისა, ახლა საქართველოზე ამხედრებული სპარსელები დაინახეს უეცრად, — და, გულლმობიერო, იგრძენ იმათი სული რა საშინელს ბორგვაში ჩავარდებოდა! სპარსეთის ცხენოსანი ჯარები მოვიდნენ გაამაყებულნი, ისინიც მთაწმინდიდგან დაჰყურებდნენ მეტად დაღონებულები. რა იცოდნენ რა ომი მოხდებოდა.

მოწინავე ჯარი ქ. თბილისს რომ დაახლოვდნენ, აქ თბილისელების საქონელი დახვდათ სპარსელებს, რომელიცა რამდენსამე ყმაწვილ ბიჭს დაუდიოდა საძოვარზე. ბრძანებისამებრ შაჰთაბაზისა: — „ცოცხალს ნურავის ნუ გაუშვებთ“ სპარსელებმა ხმლებს ხელი გაისვეს, ის მწყემსები იქვე აკუწეს და საქონელი გამოირეკეს. ამათ მახლობლად რამდენიმე დედაკაცი მივიდოდნენ ზევით სოფლისაკენ, წინდა-პაჭიჭის ქსოვითა და მხიარულნი მიმგზავრობდნენ, რომელიცა ისინიც სპარსელების ხმლებით დაიხოცნენ და იმათი სისხლით შეიღება იმ ადგილის მწვანოვანი მოლი.

ამ დროს ქ. თბილისში უეცარი ამბავი მოხდა, რომ ვაების ხმა გამრავლებოდა, დედა-კაცების და კაცებისაგან. რა იცოდნენ რა ამბავი იყო; ამ ჟამს ქ. თბილისში შემოცვივდნენ სპარსელების ცხენიანი ჯარი და დაერივნენ მცხოვრებში, დაუწყეს კაფვა დედა-კაცსა და კაცსა; ჰკაფავდნენ გამხეცებულნი სპარსელები უაიარაღოს თბილისელებს, როგორათაც შესეულნი კაცები ტყესა და თბილისელების სისხლი იღვრებოდა უსამართლოდ.

ქ. თბილისში ასეთი წივილისა და ძახილის ხმა შევარდებოდა ჰაერში ქალისა და კაცისაგან, რომ სრულიად მოიცო ჰაერი იმათმა შესაბრალისმა ხმოვანებამ, მაგრამ ვინ გაიკითხავდა იმათ?

რამდენიმე მშვენიერი ქალები მამაცად და უშიშრად წინ წამოუდგნენ მოღერებულს სპარსთა ხმლებს, ხელები განუპყრეს და სთხოვეს სალმობიერით ხმითა, არ დასთხიონ იმათი უმანკო სისხლი. რა ბრძანებაა, ვერც იმათმა მშვენიერებამ ლმობილი

ჰყო სპარსელების გული და ვერც იმათმა ვედრებამ, მხეციც მოლბებოდა იმათის ვედრებით, მაგრამ სპარსელებს სულ არ მიეკერათ იმათი ვედრება და არც იმათი მშვენიერის თვალებიდგან მომდინარე ცრემლი. დაუყოვნად ის მშვენიერი ქალები დახოცეს და იმათი სისხლით შეისვარეს ხელები მტარვალებმა. შემდეგ დაერივნენ შიგნით თბილისელებში; დაუწყეს სვრა გაუკითხავებმა ქალსა, კაცსა და წვრილთა ყმაწვილებს. იმათი საცოდაობის სისხლი შჩქეფდა, იმათის ხორცისაგან, რომლისგანაც სხვასა და სხვასა ადგილებზე მიდიოდა დარუებულისავით იმათი უმანკო სისხლი. წივილ-ძახილის ვედრება და გულმტკივნეული ხვეწნა ვის ესმოდა? ვინ იყო ამ საშინელების სახის მოწაფე? თუ არ დამშვიდებულიცა, მყუდროდ მაყურებელი იმათზედ.

ამ ვაების დროს ნახეს ერთი ჰაეროვანი, უცხო სახის ყმაწვილი კაცი მორბოდა სიონთა ღვთის მშობლის ეკლესიის წინ ქუჩაში და ძლიერის მუშტით იგერიებდა თანამომდევართა სპარსელებს, მაგრამ ოთხსავე კუთხივ მოასწრეს ხმლიანმა მკვლელებმა; ის იყო უნდოდათ აეკუწნათ ის ყმაწვილი კაცი, ამ დროს ასეთი კივილი მოისმა, რომ მოღერებული ხმლები ისე დარჩათ სპარსელებს. შეხედეს, ერთი მშვენიერი ყმაწვილი ქალი მოვარდა, ამ ყმაწვილს ყელზედ გადაეხვია და სურვილით უთხრა.

— „შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, მეც შენთან მოვკვდები, ჩემო გიორგი“.

ამ სიტყვაზედ იმ ყმაწვილმა კაცმა შეხედა, ნახა იმისი ცოლი იყო, რომელიც გიჟისავით გადაეხვია და ეგრეთისავე სურვილით უთხრა.

— მოდი, ჩემო ნინუცი, ორნივე ერთად დავიხოცნოთ მტარვალების ხელისაგან.

ერთის კვირის ჯვარ-დაწერილები და გაგიჟებით მოყვარულნი ერთმანეთისა, უწყალოებმა ზედ ეკლესიის მახლობლად ჩაკაფეს ის უმანკოები და იმათი წმინდა სისხლით მოისხურა ის ადგილი.

ის იყო მოღერებულთ ხმლიანებსა უნდოდათ შესვლა სიონთა ღვთის მშობლის ეკლესიაში, ამ დროს ერთი მაღალი ხმა

მოესმათ უკანიდგან. „ხელი შეინახეთ, ეკლესიაში უჩემოდ არავინ არ შევიდესო“. შეხედეს, შაჰთაბაზ მობრძანდებოდა ოქროს დასტულის თეთრის ცხენითა, რომელიცა ყოველი სპარსი განკრძალული დადგა.

შაჰთაბაზ ცხენითგან გადახტა და ეკლესიაში შებრძანდა. იქ შესულთ ქალებმა შემობღავლეს და კაცები კი გაჩუმებულნი იყვნენ. აქედგან ბრძანებულმა ანიშნა დაჩუმებულიყვნენ. თუმცა დაჩუმდნენ, მაგრამ თრთოლვით მოელოდნენ — „სადაც არის უბრძანებს ჩვენს გაწყვეტასაო“.

შაჰთაბაზ მივიდა და შუა ეკლესიაში დასდგა. ამ საუცხოვოდ შემკობილს ეკლესიას თვალი რომ შემოავლო, დაიძახა: „ღვთის სახლს რომ იტყვიან, სწორედ ეს ის სახლი არისო“. მერე მკაცრი ბრძანება გასცა; არავინ არა ავნოსრა ამ ღვთის სახლსაო. იქ შესული ქალი და კაცები აღარ გააწყვეტინა იმ ეკლესიის პატივის ცემისათვის.

ამ თბილისელების საცოდაობის კივილ-ძახილის ხმა ესმოდათ იმ ხუთთა წმინდასა მთაწმინდაში, რომლებსაცა შეეძლოთ გაქცეულიყვნენ. მთაზედ გადაევლოთ და ერთს მიფარებულს ადგილს თავი მოერჩინათ, მაგრამ თქვეს: „რაც თბილისელებს მოუვიდათ, ჩვენც ის დაგვემართოსო და მტარვალების ხელით დავიხოცნეთ, ჩვენი მამა-პაპური სახელოვანის სიკვდილით, ვინაიდგან სასუფეველი მიგველის ზეცაში სარწმუნოების გამოვო“.

ამ სიტყვაზედ დადგნენ და დედა-მიწაზედ დამხობილნი, საცოდავათ ბღაოდნენ თბილისელებისათვის ის ოთხი ქალი და მწარესა ცრემლსა აფრქვევდნენ გულამოსკვნილები. გულგანხურვებულს მღვდელსაც მოეხადა ქუდი, ზეცად ხელები განეპყრა და გულმტკივნეულად შესძახოდა ღმერთსა. ამ ვაებაში და ამ მწუხარებაში იყვნენ, ქ. თბილისს ავარდა ასეთი საშინელი ალი, რომ მთელი ქალაქი ცეცხლად გადაიქცა და იმისი ალი უმაღლესსა ჰაერს შესწვდა! ამის მნახველი უდიდესი მწუხარება და ვაება გაამრავლეს, ვინ იცის რამდენი ქალი და კაცი დაიწო იმ ალით?.. ვინ იცის, რამდენი წვრილი ყმაწვილები დაწვეს იმ საშინელს ცეცხლში?..

რამდენ გუნდგუნდს მიიყვანდნენ დედა-კაცთ და კაცებს:

ეტყოდნენ, გათათრდით; ნაცვლად პასუხისა, ესენი თავს მიუშვერდნენ სარწმუნოებისათვის და სპარსელებიც აყრევინებდნენ შეუბრალებლად, გალესილის ხმლებით, ამდენი თავები დააყრევინეს, რომ ბეზარს მოვიდნენ და შაჰთაბაზმა უბრძანა, მხოლოდ ტყვედ ჰყონ დანარჩენნი. არა მხოლოდ თბილისში იყო ეს ამბავი, არამედ სადაც კი სპარსელები შევიდნენ, ყველგან ეს საშინელება ასტეხეს.

ამ ვაებაში რომ იყვნენ ის ხუთნი წმინდანი, ამ დროს ერთი მმცირედი გუნდი დაინახეს იმათზე მიმავალი სპარსელებისა.

აქამდისინ დავრდომილებმა, სპარსნი რომ დაინახეს იმათზე მიმავალი, მაშინვე გული დაიმშვიდეს და როცა იმათთან მივიდნენ, ისინიც შეურყეველი გულით დახვდნენ და ანნამ უშიშრად უთხრა:

— „მოდით, მტარვალებო, მაინც არ გეწყალვისთ, როგორც თბილისელები“.

ერთი ხნიანი თეთრ-წვერა კაცი ერია: ის იყო იმათი ათასის თავი, რომელსაცა დიაღ კეთილი სახე ჰქონდა. ის ცხენიდგან გადახტა, სხვანიც იმასთანა. იმ ათასის თავსა ბრძანება ჰქონდა, თბილისის მიდამო ადგილები დაეარა და თუ ენახა ვინმე, უნდა გაეწყვიტა, ამის გამო იმასთან მიჩენილი იყო ერთი საქართველოში გაზრდილი სპარსი, კარგათ მცოდნე ქართულისა. — ანნას სიტყვაზედ, იმ ათასის თავმა იმ მიჩენილ სპარსსა ჰკითხა. — „ის შაოსანი ქალი რას ამბობსო“. იმან გადაუთარგმნა და ათასის თავმა გაღიმებით უთხრა.

— „იქნება უარესის სასჯელით დაიხოცნეთ თქვენ. მანამ თბილისელები“.

— „ჩვენ არ გვეშინიან, რომლის სასჯელითაც გინდოდესთ, დაგვხოცეთ“.

ანნამ უშიშრად უთხრა ეს სიტყვა და ამ თქმაზე ამისი ამხანაგებიც შეუპოვრად მოუდგნენ ანნას გვერდით. ათასის თავმა იმათი შეუპოვრობა რომ ნახა, ლმობიერის გულით უთხრა.

— „ვითომ რა უნდა ჰქნათ? — აჰა, მიიხედეთ ამ ქვეყანას, როგორ აივსნენ ჩვენის ჯარებით, — აბა რასა იქთ? — ბრძანება არის შაჰთაბაზისაგან, ზოგი უნდა გაწყვიტონ და დანარჩენნი ტყვედ წაიყვანონ“.

— „მითხარ, რა ბრალი აქვსთ ქართველებს სპარსელებთან?“

— „უკუ-უდექით შაჰთაბაზს“.

ანნას პასუხი უნდა ეთქვა, მაგრამ ათასის თავმა აღარ დააცალა და უთხრა.

— „მშვენიერო ქალო, ნება არა გვაქვს, რომ ბევრი გელაპარაკოთ. ამისთვის მოკლედ გეტყვი: ჩემი რჩევით მრავალნი გაბედნიერებულან და თქვენც ისე გაბედნიერდებით, თუ ჩემს რჩევას დაიჯერებთ“.

მოდიდურის და მრისხანის სახით მიუგო ანნამ.

— „აბა თქვი, რა გაქვს სარჩევი?“

— „ჩვენი სარწმუნოება მიიღეთ“ — დაუყოვნად უთხრა ათასის თავმა, ეგონა ამით ასიამოვნებდა.

— „მგონია, უფრო მაგისთვის ჟლეტთ ჩვენს ქართველებს. რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ და თქვენ განძლიერებული მაჰმადიანი, თორემ მაგისთანა ტყუილს რათ მოგვიგონებდით? — „უკუგვიდექითო?“ აბა ვინ გიდგათ წინა? — მაგრამ არა, რადგანაც ქრისტიანები ვართ ჩვენ, ამისთვის ტყული მიზეზი გიპოვნიათ და უსამართლოდ ჟლეტთ ქართველებს, ნამეტნავად უიარაღოთ. მე დედაკაცი ვარ და თქვენ მაგიერათ მე მცხვენიან“.

მართლა, ყველას ასე შერცხვათ სპარსელებსა ვინც იქ იყვნენ, რომ თვალი ველარ გაუმართეს ანნასა.

ერთი გულ-ფიცხი სპარსი წამოდგა წინა, — ის იყო ათასის თავის თანაშემწე და გაფიცხებულმა უთხრა.

— „თუ გათათრდები დიაღ კარგი, თუ არადა ეხლავ უნდა დაგხოცოთო. ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა“.

ანნამ დიახ დამშვიდებით და თაკილობით უთხრა.

— „ნუ გვაშინებ სიკვდილით ჩვენ, — ოღონდ იმთენი დრო მოგვეცით, ჩვენის სარწმუნოების წესი შევასრულოთ და მას უკან თქვენი სურვილი აღასრულეთო“.

თუმცა სპარსნი თანახმანი შეიქმნენ, მაგრამ გაკვირვებულნი იყვნენ იმათ უშიშარობაზედ, ისინი რომ თანახმანი შეიქნენ, ესენი დავით გარეჯის ეკლესიაში შევიდნენ და კარგახანი დაჰყვეს, იქ მღვდელმან ლოცვები წაიკითხა. შემდეგ გულ

მხურვალეს ცრემლით წმინდა საიდუმლო მიიღეს და მერე გამოვიდნენ, შეხედეს ამ ოთხს მშვენიერს ქალს, თავები მოხდილი ჰქონდათ; თავიანთი გრძელი შავი ბზინვარე თმები შუბლზევითგან თავზე შემოებორბლათ და განსპეტაკებული თეთრი ყელი სრულად უჩნდათ მხრებამდისინ. ეს ის ნიშანი იყო: „უფრო ადვილად გაგვაგდებინებენ თავსაო“. ასე და ამ სახით უფრო მომატებული შვენება მოჰფენოდა იმათ სახეს და ერთი სახეს და ერთი მეორეს მეტად ამშვენებდნენ, ეტყობოდათ ზეციური ნათელი სწეოდათ იმათ.

ამათ მოუძღოდა ჯვარით მღვდელი ანთებული წმინდა სანთელით, დიაღ მაღალი ტანისა. სახე იმისი იყო მედიდური, თმაცა დიაღ შავი ჰქონდა და ხუთნივე დაწყნარებულის სახით მოვიდოდნენ მტკიცის ნაბიჯებით.

მოვიდნენ, ჯვარი მწოვანსა ადგილსა დაასვენა მღვდელმა, წინდა სანთელი წინ დაუნთო; მერე ხუთთავ დაუჩოქეს ჯვარსა და შეწყობილი გალობა აუშვეს უუმშვენიერესის ხმით.

ის ხნიანი ათასის თავი ამ დროს ერთ საფლავის ქვაზე იჯდა იმათ მახლობლად; ასე ეცოდებოდა ისინი, და ასე ელმო იმათი გალობა, რომ შესაბრალისად ატირდა, წამოხტა მოუთმენლად და ხელ-გაპყრობით ზეცას შესძახა.

„ოჰ, ღმერთო! რა ბრალი აქვს ამ საცოდავებს?“

ამ თქმაზედ გულადმა ცეცხლმა თანაშემწემ დაიძახა — „არ იქნა, ესეც გაქრიასტიანდა“.

იშიშვლეს ხმლები; გაცეცხლებულებმა ექვსნივე ერთად დაკაფეს ის წმინდანი და იმათი სისხლით გაწითლდა ყვავილ შერეული ის მწვანოვანი ადგილი.

ასე დაიხოცნენ ის ხუთნი სული სარწმუნოებისათვის და მეექვსე სიწყალულისათვის.

მიმავალ სპარსელებს ტყვეები, რომ მიუდიოდათ ჩვენის ქვეყნიდგან, გუნდ-გუნდად, ხელებ გაკრულები, ქვევითები, ფეხშიშველანი და დაძენძილი ტანისამოსით, ზოგი დედ-მამას ტიროდა, ზოგი ძმებსა, ზოგი დებსა, ზოგი შვილებს და ამ სავაგლახოს მწუხარებით თავიანთს ქვეყანას ესალმებოდნენ საუკუნოდ, მაგრამ უფროსი ერთი მოთმინების მდუმარებით იყვნენ და ხმას არ იღებდნენ.

იმ დიაკვნების აღარა ითქვარა აქ, ამისათვის რომ მინამ ის უწყალოება შეემთხვეოდათ, იმის წინა დღეებში მახლობელს სოფლებში გაგზავნეს სარჩოს მოსაკრეფად. საშაბუროში რომ მივიდნენ, იქ ბარბარე მოლოზნის დას შეხვდნენ, იქვე გათხოვილსა; ეს ქალი უფრო მინაზებული ლამაზი იყო, სუსტის სიამისა, ახლად დაქვრივებული და არც შვილი ჰყავდა, რომელმანცა დიაკვნები კარგათ მიიღო.

მეორე დილას ესეც დიაკვნებს გამოჰყვა, შვიდი ცხენოსანის მოსამსახურით, საუცხოოს საგზლით და სთქვა: — „რახანია დაი არ მინახავს, წავალ და მცირეს ხანს იმასთანა დავყოფო“.

ქ. თბილისზედ ცოტა მოშორებით რომ მოვიდნენ ვერის ხეობაში, იქ რამდენიმე კაცები და დედაკაცები მორბოდნენ თავიანთის შვილებით და ამას მოიძახოდნენ: — „არ იქნა, თქვენს თავს უშველეთო; ქალაქელებს ყიზილბაშის ჯარი შემოგვეხვია, ქალაქელებს წყვეტა დაგვიწყეს და აქაც ჩქარა მოვლენო. მანამ ზევით პირში ჩვენს მხარეს ამოვიდოდნენ, გიჟისავითს გამოვცვივდით და ამ ჭალისაკენ გამოვიქეცითო“.

ამათ გაკვირვებით მიუგეს: — „რას ამბობთ, როგორ თუ ყიზილბაშები?“.

ამ სიტყვაზე იმათ ამოიოხრეს და უპასუხეს. — „უეცრად შემოგვესივნენ, თორემ თუ შეგვეტყო, თავიანთ ყოფას ნახავდნენ“.

ეს რომ სთქვეს, მაშინვე ვერის ხეობაში შეცვივდნენ ხშირ ჭალაში და წვრილმალიანში დაიმალნენ, გაკვირვებულები ესენიც ჭალაში შევიდნენ და წყნარ-წყნარა შეუდგნენ ხეობას ამ ლაპარაკით.

თქო თევდორე დიაკვანმა: „ღმერთო, შენ დაიფარე ლუარსაბ მეფე; დღეს დილას მე ვნახე, თავის შვილს რომ მარხავდა მცხეთის ეკლესიაში, სადაც თავიანთი მამა-პაპის სასაფლაოა; თუ ეს შეჩვენებული ყიზილბაშებიც იქ წავიდნენ, სახლეულობით დატყვევდება ლუარსაბ მეფე. შვილის სიკვდილზე მეტად შეწუხებულია მეფე, ასე, რომ გონება დაკარგული აქვს, ამისთვის ამ ყიზილბაშების შემოსვლის ამბავი სრულებით არა იცის რა და მეშინიან არ დატყვევდეს“.

პეტრემ უპასუხა. — „იმისთანა კარგს მეფეს ღმერთი დაიფარავს და იმედი მაქვს, რომ ყიზილბაშები იქ აღარ წავიდნენ“.

— „ღმერთმა ინებოს“, — თევდორემ მიუგო. თუმცა იმათი ლაპარაკი ქვრივს ქალს ესმოდა, მაგრამ მეტად დაღონებული იყო, ისე უცრად ყიზილბაშების შემოსვლაზე.

მწყნეთის მთიდგან ქ. თბილისს რომ გადმოხედეს, ნახეს ქალაქი ცეცხლად იყო გადაქცეული, რომელინიცა მწუხარებამ აიტაცა და ქვრივმა ქალმაც თავი გაიწეწა საცოდავმა.

სადაც სპარსელები ველარ შევიდნენ, ეს საშინელი ხმა მაინც ჩქარა მივიდა იმათთანა, საიდგანაც მცხოვრებნი გამოცვივდნენ და ტყიანს მთებს მიმართეს საჩქაროდ, რომელთაცა ქონება სულ სახლებში დარჩათ, ასე სწრაფად გამოცვივდნენ.

სპარსელების დაბრუნების შემდეგ, ორი დღის დახოცილები იყვნენ მოლოზნები, რომ ესენი მოვიდნენ. დახოცილს მოლოზნებს და სხვებს რომ დახედეს, გულმტკივნეულად ატირდნენ ატირდნენ, ნამეტნავად ბარბარეს დაი, ტირილით რომ გული მოიოხეს, მიწა გასჭრეს ეკლესიის მახლობლად და ხუთნივე ერთად დაასაფლავეს. იმ მოხუცებულის სპარსის სიკვდილიც შეიტყვეს, როგორც იყო, და იმასაც იმათ გვერდით დაუმკვიდრეს საუკუნო განსასვენებელი. ამ ამბავში კიდეც დაღამდა.

იმ ღამეს ის დიაკვნები და ის ქალი ისხდნენ საფლავებთანა გულხელ დაკრეფილები; ხანდისხან შესაბრალისს კვნესას ამოუშვებდნენ და თან მწარეს ცრემლს აბნევდა დაქვრივებული ქალი. ამ მწუხარებაში იმ დიაკვნებმა განიძრახეს ბერად შედგომა, რომლებიცა მეორე დღეს შიო მღვიმის უდაბნოსკენ წავიდნენ, სადაც მტერი აღარ შევიდა შიშის გამო: არც იქ და არც მცხეთაში.

ეს დიაკვნები შიო მღვიმის წმინდა კრებასთან, ძმათა მოვიდნენ და მონაზონად შედგნენ იქა, სადაცა ბოროტებისა აღარ ისმოდა რა, თვინიერ ძმობისა, სიწმინდისა და სიკეთილისა.

ბოლოს იმ ქვრივის ქალისა თქვეს: სამს თვეს უკან მწუხარებითა მოკვდაო.

სურამის ციხე

ვუძღვნი ჩემს ამხანაგებს

ამ ზაფხულის, იმ საშინელ სიცხეში, როდესაც ქალაქში მცხოვრებნი ეძებდნენ სიგრილეს ქალაქის გარეთ, აქ რამ-ტენთამე ყმაწვილთა, რომელთაცა რიცხვში ერია თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე, დადეს პირობა მთელ ზაფხულს, ყოველ საღამოს, შეყრა რიყეზედ, ანჩისხატის ჩასწვრივ და იქ დროების გატარება კარგა შუაღამემდინ. იმ პირობაში, სხვათაშორის, იყო ერთი მუხლი, რომლითაც მორიგე პირს უნდა ეთქო ერთი მოთხრობა, ანუ ანდაზა ანუ რაც უნდა რა ჩვენი საქართველოს ცხოვრებითგან.

იყო ერთი იმ მშვენიერთა საღამოთაგანი, რომლითაც სიცხის გარდა, ისე მდიდარია ჩვენი საქართველო. ყმაწვილებმა ის იყო იბანეს და ზოგი ჩაის მიირთმევდა, ზოგი იცომდა, ზოგნიც შემომხვევიყვნენ და ყურს უგდებდენ დ.ბ., რომელსაც მუხლზე ედო თარი, უკრავდა და დაბალი ხმით დაღიღინებდა. შემდგომ რამტენიმე ხანისა, როდესაც ყველამ მიირთვეს ჩაი და ბიჭები შეუდგნენ ვახშმის მზადებას, ყმაწვილებს მოაგონდათ, რო მორიგეს ჯერ არ აესრულებინა თავისი რიგი. მოიკითხეს მორიგე, გამოჩნდა, რო რიგი გათავებულიყო. სთხოვეს ერთს, სთხოვეს მეორეს, მაგრამ არავინ არ მიიღო თავისზე ეს ვალდებულება. მივარდა საქმე წილის ყრაზე და ერთი ჩვენგანი წამოდგა, ჰსთქო: იწილო, ბიწილო, შროშანო და სხვანი და დააბოლოვა ნიკო დ-ზე.

— ოჰ! ნიკოს გაუმარჯოს, მოგვილოცამს! — დაუძახეს სულ ყველამ.

— უკაცრაოთ, ყმაწვილებო, დღეს მაპატივეთ! თქვენმა მზემ, არ ვიცი, რა ვსთქო, არ მოვმზადებულვარ.

— ეჰ, ნიკოჯან, ახსენე ღმერთი და დაიწყე: იყო და არა იყო რა-თქო და სხვას ღმერთი გიშველის, გარწმუნებ! — უთხრა დარიგებით სიკომ.

— მაშ, კარგი, სმენა იყოს და გაგონება, — და დაიწყო:

I

> იკითხე გლეხთაც კარგი ქალობა!
> სოფელსაც ხედამ? აქვს ჩვილი გული,
> სოფელმაც იცის, სცან, სიყვარული
> შენ კი
>
> *ი. კერესელიძე*

— აი, ის სახლები მუხრანბატონიანთი არის, ხედავთ? — და გაიშვირა ხელი მუხრანბატონიანთ სახლებისკენ.

— დიახ, დიახ, გახლავსთ, — უპასუხეს ყმაწვილებმა.

— ეხლა ის სახლები დაქცეულები არიან, არ ვიცი რათა. პატრონები ყურს აღარ უგდებენ, გული აუცრუვდათ იმათზედ, მაგრამ მაგათაც ჰქონდათ თავისი დრო; ერთხელ ეგენიც იყვნენ პირველი სახლები ჩვენ ქალაქში და ყოველი ქალაქში ჩამომსვლელი უთუოდ ნახამდა ამ სახლებსაც სხვათა შორის. მაგრამ მხოლოდ ეს სახლები არ იყვნენ ჩინებულნი, ანბობენ, რო იმისთანა ტანოვანი, ლამაზი, ზრდილი და ჩაცმული მოსამსახურეები არსაიდგან არ გამოვიდოდნენ, როგორც იმ სახლებითგან. თვითონ ხელმწიფეს, თურმე შურდა იმათი მსახური. ამ მსახურთაგანი იყო ვინმე დურმიშხან — ძალიან ყოჩაღი და ლამაზი ყმაწვილი კაცი, მუხრანბატონის ნაზირი, და ქალი — გულისვარდი, საყვარელი გოგო მუხრანბატონის მეუღლისა. მე ისე ვერ აღვწერ იმ გოგოს სილამაზეს, როგორც ცხონებული ჩემი გამზრდელი, რომლისაგანაც გამიგონია ეს

ანდაზა, და იმიტომ დავანებებ თავს: ალვის ხესავით ტანი, შავი გიშრისავით თვალები, ბროლის შუშა თითები, ერთი სიტყვით, სიკო, შენ კატოზე უფრო ლამაზი!

— კარგი, იმათ შეუყვარდათ ერთმანეთი, სხვა? — უპასუხა სიკომ.

— დიახ, შეუყვარდათ ერთმანეთი ისე, როგორც აღმოსავლეთში მცხოვრებთ შეუძლიათ სიყვარული. მაგრამ უკაცრავად, შეუყვარდა მხოლოდ გულისვარდს, დურმიშხანს რომელ არ ყვარებიყო, შევიტყობთ შემდგომ. საწყალი გულისვარდი სულით და გულით მიეცა თავის სიყვარულსა. იმისთვის, გარეშე თვისის სიყვარულისა, აღარ იყო ცხოვრება. რამდენჯერ ეს მტკვარი ამ ადგილს, სადაც ეხლა ჩვენ ვლხინობთ, იყო მოწამე იმათი სიყვარულისა. საწყალი ქალი რას მოიგონებდა, რომ იმის დურმიშხანს იმ დროს, როდესაც ის ელაპარაკებოდა თავის სიყვარულს, გულში სულ არა ჰქონდა სიყვარული და ეძებდა შემთხვევას, მოხერხებით ეთქო იმისთვის თავისი გულის პასუხი.

ერთხელ, როდესაც ჩვეულებისამებრ დურმიშხან და გულისვარდი შეიყარნენ აქ და ლაპარაკობდნენ თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე, ამ დროს უეცრად უთხრა დურმიშხანმა:

— იცი, გულოჯან, მე სადაური ვარ?

— რა კითხვა არის? ვიცი.

— მე ვარ იმერელი, წერეთლიანთ ყმა, ეგრეთ როგორც შენ, იმისთანა გოგოს საყვარელი დედისერთა შვილი.

— ახლა რა უყო, იმიტომა ხარ კარგი, ჩემო საყვარელო.

— დიახ, მაგრამ იცი, მე აქ როგორ გადმოვედი?

— არა, არა, მითხარ გეთაყვა!

— ერთხელ ჩემი ეხლანდელი ბატონი ბრძანდებოდა იმერეთში მაშინდელ ჩემ ბატონთან. იმ დროს, როდესაც ისენი ეწეოდნენ ქეიფს, აკი მომიხდა მე შესვლა იმ ოთახში, სადაცა ისენი ისხდნენ და რაღაც ჩემი უბედურების წერა იყო, მომიწონა მუხრანბატონმა და მაქო. ის იყო, ჩემი საქმე გათავდა. მეორე დღეს, რო მოდიოდა შინ მუხრანბატონი, იმის ბიჭის ცხენს უკან შემომისვეს და გამომაყოლეს უკან. საწყალი დედაჩემი

რანაირად იკლამდა თავს, უნდა გენახა, გულოჯან, მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს. მე, ტუტუცს, მიკვირდა ის მწუხარება. რა ვიცოდი, რო ის იყო უკანასკნელი ჩემი ნახვა დედისა. რა გამოვსცადე შემდგომ იმისა, შენ ვერ წარმოიდგენ, ვარდო. და რა არ გამოვსცადე? შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინება და სხვა ბევრი ამისთანა გამოვსცადე თქვენს საქართველოში. ვინც რასმეს დააშავებდა, ყველა ჩემი ბრალი იყო: ვინ რა მოიპარა? — იმერელმა. ვინ რა გატეხა? — იმერელმა. ვის დასცინიან? — იმერლის ბიჭს. ვის სცემენ გაჯავრებულ გულზე? — იმერლის ბიჭს. ვის გასაჯავრებლად სთქვეს იმერლების დასაცინი ანდაზები? — იმერლის ბიჭისა. მე, ვარდო, ბევრჯელ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯელ მიტირნია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშის მცემელი? არავინ. თვით ღმერთი — ეს ყოვლად უმოწყალე ნუგეშის მცემელი არ იყო ჩემთვის, იმისთვის, რო არ ვიცნობდი იმას. ასე, ჩემო ვარდო, სანამ შენ გაგიცნობდი, ერთი კაცი არ მყოლია, რო შემეჩივლა ჩემი გულის დარდები.

— რა საჭიროა ეგ ლაპარაკი, დაანებე თავი, შენი ვარდო გიბრძანებს, — უთხრა ვარდომ და აკოცა ერთი იმგვარად, როგორც კოცნას ბევრი ჩვენგანი თავის სიცოცხლეში არ ელირსებიან... ბედნიერი დურმიშხან!..

— იცი, დურმიშხან, მე რა მოვიგონე? როცა ჯვარი დავიწეროთ, დავეთხოვოთ ჩვენს ბატონებს და ერთი სამი თვე წავიდეთ თქვენსა; რანაირად გაეხარდება საწყალ დედაშენს!

— იმიტომ უფრო იმაზე, რო მივუყვან ჩემს გულისვარდოს, არა?

— ჰო, იმაზედაც.

— მემრე მოვალთ დედაჩემისაგან, თუ ისევ ცოცხალი მაინც არის, მემრე, ჩემო ვარდო? — დაფიქრებით უთხრა დურმიშხანმა.

— მემრე რა? შენ დაიწყებ ნაზირობას, მე ჩემს საყვარელ ქალბატონს დაუწყებ მსახურებას.

— მემრე წავა დრო, გაგვიჩნდება შენსავით ლამაზი ბიჭი;

შენ გაზრდი დიდი ამბით. განა გეყვარება ჩვენი შვილი. გულო?

— ძრიელ, ძრიელ! — საჩქაროთი სთქო ვარდომ.

— წარმოვიდგინოთ, რო ერთხელ მოვიდა ვინმე ჩვენ ბატონთან და სთხოვა ჩვენი შვილი, რა იქნება მაშინ?

ამ კითხვამ შეაკრთომა გულისვარდი: საწყალს არასდროს არ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო, წაერთოთ იმისთვის შვილი.

— ეგ არ შეიძლება! ქალბატონი სადა მყავს, განა ჩემი ქალბატონი ისე დამივიწყებს? არა, ეგ არ იქნება! — რამტენსამე ხანს შემდეგ სთქო ვარდომ ჩაფიქრებით.

— წარმოვიდგინოთ, რო შენი ქალბატონი იმ დრომდინ მოკვდა, იმის ფეხს სულ არ უყვარხარ მაშინ?

— ო! ეგ არ შეიძლება, დურმიშხან, არა! უწინ დღე დაელიოს.

— ქვეყანაზე შეუძლებელი არა არის-რა, არა, გულოჯან; სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება. უთხარი შენს ქალბატონს, რო, თუ შენი ბედნიერება უნდა და გწყალობს, მე გამანთავისუფლოს, უთხარი, რო უმისოთ ჯვარს არ იწერს-თქო.

შემდგომ ამ ლაპარაკისა გამოვიდა ერთი კვირა და შეყვარებულნი აქვე შეიყარნენ. დურმიშხანს ედვა უბეში განთავისუფლების წიგნი.

— აბა ახლა, ჩემო დურმიშხან! აკი გითხარი, რო შვილებს არავინ გაგვიყიდის-მეთქი. ახლა ჯვარი როდის უნდა დავიწეროთ?

— ჯერ ასე ჩქარა არა, ჩემო ვარდო, მოითმინე, აჩქარებით საქმე არ გაკეთდება.

— ახლა რაღა მიზეზი იპოვე, ჩემო ბრძენო? მოითმინე და მოითმინე, ხან რას მოიგონებს და ხან რასა!

— რა ვქნა, ჩემო სიცოცხლევ, კიდეც დამცინი, რომ შენი ბედნიერებისათვის ვზრუნავ. ასე გგონია, მე კი არა მსურს, რომ ჩქარა დაგიძახო ცოლი, ჩემო ფურჩქვნილო ვარდო, მაგრამ დროება ითხოვს მოთმინებას, მერე ჩვენი ბედნიერება უფრო საფუძვლიანი იქნება.

— რა, რა, ახლა რაღა მოიგონე, მითხარი ჩქარა.

— ვარდოჯან, ნუ ჯავრობ, მშვიდობიანად დამიგდე ყური, შენ თითონ გამამართლებ.

— სთქვი, სთქვი, ჩქარა!

— ვარდოჯან, ახლა თავისუფლები ვართ. მართალია, მაგრამ იცი, რო რაც ზედ გვაცვია, იმის მეტი არა გვაქვს-რა?

— რა უყოთ! შენ ინაზირე, მე ჩემს ქალბატონს ვემსახურები. განა ვერ ვიცხოვრებთ, აქამდინ როგორ ვცხოვრობდით?

— არა, სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რო სხვის თავდაუკვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება, განთავისუფლება არ არის.

— მაშ, რა უნდა ვქნათ, ჩემო დურმიშხან? ო, ღმერთო!

— შენ არაფერი, შენ შენ ქალბატონთან უნდა იყო, მე კი, მე უნდა წავიდე, ვიმუშაკო, რაც იქნება, რითაც იქნება, ღმერთი მომიმართავს ხელს, ჩემო ვარდო, წიგნი ვიცი, ენები და რამტენიმე ხელობა. წავალ, ვიშოვნი ფულს, გავმდიდრდები და ისე მოვალ შენთან. ოჰ! რა ტკბილათ გაკოცებ მაშინ, ჩემო სიცოცხლე! — დაუჭირა თავი და აკოცა ტკბილათ თვალებში.

— მაშ, კარგი, თუ შენ გინდა ეგრე, მე რა მეთქმის! როდის გინდა წახვიდე? — ნაღვლიანად ჰკითხა გულისვარდომ.

— ბევრი ცდა აღარ უნდა, ყოველი საათი დაგვიანებული აგვიანებს ჩვენს შაერთებას. სჯობია ავსჩქარდე. ხვალვე წავალ.

— ხვალ, მაშ ხვალ წახვალ... საწყალო, ჩემო დურმიშხან! ვინ მოგივლის უჩემოთ, ვინ გაგირეცხს, ვინ დაგიკერებს, და ან ავად რო გახდე, ვინ მოგივლის, ჰა! — და აკოცა შუბლზე. აკოცე, ტკბილად აკოცე, საწყალო გულისვარდო, განაგრძე ეგ ლაპარაკი, ეგ არის უკანასკნელი შენი ბედნიერების საათი, ამის შემდეგ შენი პირიდგან აღარ ამოვა სიტყვა სიყვარულისა. ახ, რა ბედნიერი იქნებოდი, რო ეხლა მომკვდარიყავ, ვარდო, მიტევების სიტყვა ბაგეზე, უმანკო სიყვარული გულში, ვით უმანკო ყმაწვილის ძილი. მშვიდი იქნებოდა შენი სიკვდილი და ბევრნი ჩამოაგდებდნენ დანანის ცრემლს შენს საფლავზე, მაგრამ მემრე?.. მაგრამ რად უნდა წავირბინოთ წინ?

მეორე დღეს დურმიშხანი, ლამაზათ მორთული, ვერცხლის ყანწებით, შევერცხლილი იარაღით შეკაზმული, კარგი შავი ცხენით გავიდა ქალაქითგან. შემდგომ წასვლისა, სწორედ ერთი თვის უკან, დურმიშხანმა გამოგზავნა წიგნი გულისვარდოსთან და შემდეგ თითქმის მთელ სამ წელიწადს ყოველ თვეს უგზავნიდა ვარდოს წიგნებს, რომელშიაც სწერდა ყოველთვის თავის ჩქარა მოსვლას.

ბევრმა წყალმა ჩაიარა ამ სამს წელიწადში, ბევრი ცვლილება მოხდა ქვეყანაზე, არ შეიცვალა მხოლოდ გული ვარდოსი. იქ ისევ ისე ენთო წმინდა სიყვარული დურმიშხანისა, როგორც პირველს დღეს მათის გაცნობებისას. ვარდომ შეინახა წმინდად თავისი სიყვარული, თუმცა, რო ეაშიკებოდნენ და თხოულობდნენ ბევრნი კარგნი კაცნი. დურმიშხანი რალას აკეთებდა ამ დროს? იმან მეორე წელიწადის შემდგომ ტფილისს წასვლისა დიდის ამბით დაიწერა ჯვარი სურამში და შევიდა ზედსიძედ და აი, ერთხელ სამი წლის შემდგომ ქალბატონმა დაუძახა ვარდოს და ვარდო რო მოვიდა, უბრძანა მოტანა სარკისა. ვარდომ მოართო სარკე. ქალბატონმა გაიხედა სარკეში, გაისწორა კავები, ლეჩაქი და უთხრა ვარდოს.

— კიდევ ლამაზი ვარ განა, ვარდო?

— ლამაზი, ძლიერ ლამაზი ბრძანდები, ჩემო სიცოცხლე, შენამც გენაცვლებიან, რაც ქვეყანაზე ლამაზი ქალები არიან, — უპასუხა ვარდომ და აკოცა ხელზე.

— რათა, გოგო, შენც ხო შიგ ჩაყვები, შენც ხომ ლამაზი ხარ.

— განა მე კი არ მეკადრება, მე უფრო არ უნდა გენაცვალო, ჩემოდენათი ვის უყვარხარ.

— კარგი, კარგი, ჩემო ვარდო, შენ კარგი გოგო ხარ და ლამაზიც და იმიტომაც ბევრნი გთხოულობენ.

— ეჰ, რას მიბრძანებ, შენი ჭირიმე, ქალბატონო, დაიცადეთ, თუ დურმიშხანთან არ დაგაბეზღოთ, — ღიმილით უთხრა ვარდომ.

— რო აღარ მოვიდა შენი დურმიშხანი, მოდი და თავს ნუ დაანებებ, რო დაგივიწყა! მე გავიგონე, ვითომც სხვა შეერთოს და...

— რა არის, ქალბატონო, სულ მაგითი მაშინებთ, შეირთო და შეირთოს, კაცი იმაზე ხო არ ჩამოკიდებულა, მე ჩემი ბედი არ დამემალება.

— ჰო, ეგ მიყვარს, ჩემო ვარდო, ალბათ ღვთის ნება არ იყო თქვენი ცოლქმრობა, ალბათ ერთმანეთთან იქნებოდით უბედურნი, რომ ღმერთმა განგაშორათ ერთმანეთს. მოითმინე, შვილო, და ღმერთი შენი მოთმინებისთვის ისე გაგაბედნიერებს, რო დურმიშხანი არა, იმაზე კარგებიც დაგნატრიდნენ.

ეს სიტყვები ვარდომ, მართალია, ვერ გაიგონა კი რისთვის იყვნენ ნათქომნი, მაგრამ შეიტყო, რომ კარგს არას მოასწავებდნენ. მართალია, ვარდო არ წარმოიდგენდა, რო იმის დურმიშხანი უორგულებდა იმას, მაგრამ ეგონა, რო ის ან ტყვეთ ჩავარდნილიყო და ან მომკვდარიყო. ამისთვის, შეეშინდა რა უბედურებისა, უნდოდა ჯერ არ შეეტყო სრულებით და გადაესხვაფერებინა სიტყვა, მაგრამ გულმა ველარ გაუძლო და ისე აჩვენა თავი ქალბატონს, მითომც რასაც ის ეუბნებოდა ისე ფრთხილათ, იმან იცოდა დიდი ხანია.

— რა ვქნა, ქალბატონოჯან, რაც ღვთის ნება არის, ის იყოს, თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ, ალბათ ჩემი წერა ესრე იყო: რა უყო, უნდა მოვითმინო.

— მაშ, იცი, რა უნდა გითხრა?

— ვიცი, ქალბატონო, იმ დღესვე შევიტყვე, მაგრამ არ ვიცი, როგორ ყოფილა საქმე.

— რალა როგორ ყოფილა, შვილო, აი, იმის წიგნი. მე მეცოდები. ამიტომ ვერ გითხარი აქამდინაც. ნუ იწუხებ, შვილო; ეხლაც შენი თავი ჩვენმა აზნაურმა მთხოვა.

სანამ ქალბატონი ამას ეუბნებოდა, ვარდომ დაუწყო კითხვა დურმიშხანის წიგნს, მოწერილს სურამითგან.

აი სწორი პირი იმ წიგნისა.

„ჩემი დიდი ქალბატონი თავადი წერეთლის ქალი მარიამის, დიდი მუხრანბატონის მეუღლის ჭირი მოსცეს ღმერთმა მის უკანასკნელ ფეხის მტვერს დურმიშხან წამალაძეს. მემრე ამას მოგახსენებთ, ჩემო ქალბატონო, შენი ჭირიმე, მე თქვენითგან რო წამოვედი, ვაჭრობა დავიწყე, იქით-აქეთ დავდიოდი, ჩემს

გულში ვანბობდი, რო ცოტა რა ფულს მოვაგროვებ-მეთქი და მემრე წავალ და ჩემთვის ვიცხოვრებ-მეთქი, არც ბატონს შევაწუხებ და ვარდოსაც ცოტა რამ ექნება-მეთქი. მაგრამ ცოტა ფულებს რო მოვუყარე თავი და წამოსვლა დავაპირე, ერთს ღამეს დავრჩი სურამს, ავთანდილაანთ ეძახიან, ერთი გლეხკაცი გახლამს, იმასთანა. აქ ჩემი აღა, რომელზედაც ვარდოს ვწერდი ხოლმე წიგნებში, ის ჩამომეკიდა, რომ არ იქნება, რო იმ კაცის ქალი არ შეირთოო, იმის ნათლული იყო და იმიტომ უნდოდა მისი გათხოვება, და მეც ხათრი ველარ გავუტეხე და იმ კაცის ქალზე ჯვარი დავიწერე და ზედსიძედ შევედი. ასე, ჩემო ქალბატონო! ბარემ მინდოდა, რო ვარდოზე დამეწერა ჯვარი. მაგრამ ალბათ, ღვთის ნება არ იყო. ახლა ჩემ მაგიერ ვარდოს უთხარით, რო კარგი კაცი ითხოვოს და რაც უნდა ჩემგან მოითხოვოს. სხვა, თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, მშვიდობით გახლავართ. ეხლა ერთი ბიჭი მეყოლა“.

იმ საათს მეხი რო დასცემიყო, ისე არ შეკრთებოდა ვარდო, როგორც შეკრთა ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ. კითხვის დროს იქამდინ რო მივიდა, სადაც დურმიშხანი სწერდა თავის ჯვარის წერასა, თვალები დაუბნელდა, ველარა დაინახა-რა და მიეშო ტახტზე. მარჯვენა ხელზე დანდობილი, თავი ჩამოკიდებული, საშინელი ყვითელი ვარდო გვანდა წუხილის სტატუას და იყო ჭეშმარიტად მშვენიერი, ისე მშვენიერი, თვით ქალბატონმა რო დაინახა, გულმა არ გაუძლო და აკოცა შუბლზე.

— ვარდო, შვილო, გოგო, ვარდო, პირჯვარი დაიწერე, შვილო, — შეკრთომით ეუბნებოდა ქალბატონი და უსრესდა ცხვირის ნესტოს და ყურებს, — გოგოებო! ბიჭებო! ვინა ხართ მანდ, მიშველეთ.

ამ ხმაზე რამტენიმე გოგო შემოვიდა და იმათი მეცადინეობით რამტენიმე ხანს უკან მობრუნდა ვარდო, გაახილა თვალები და ამოიოხრა.

— პირჯვარი დაიწერე, შვილო, ღმერთს შეეხვეწე, რო მან განაქარვოს შენი მწუხარება, — არიგებდა ქალბატონი,

მაგრამ ვარდოს არ ესმოდა იმისი დარიგება, ის ტიროდა მწუხარეთ...

— საწყალი ვარდო, შესანდობარი დავლიოთ, ყმაწვილებო, დღეისთვის ეყოფა.

— ვინც არ დალიოს, — დაიძახა ერთმა ჩვენგანმა.

— აგრე იყოს!

— კიდევ განაგრძელოს, — დაიძახეს სხვათა.

— კიდევ რაღა? იმავე დღესვე ენახათ, რო გულისვარდი რაღასაც ჩუმად ელაპარაკებოდა ერთ განთქმულ მკითხავს.

რამტენიმე წუთის შემდეგ კახურმა ღვინომ და ცხონებულ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებმა დაავიწყეს ყმაწვილებს ვარდოც და ისიც, რო უნდა დაელიათ იმის შესანდობარი. ახალგაზრდას არ ახსომს სიკვდილი და ეჯავრება ისიც, რაც მოაგონებს იმას.

II

მეორე დღეს ყმაწვილები შეიყარნენ ჩვეულების წინ და როგორც რო მოვიდა ნიკო, მოსთხოვეს გაგრძელება; მაგრამ, რადგანა ნიკოს რიგი აღარ იყო, ის აღარ ანბობდა, მოიკითხეს მორიგე, გამოჩნდა, რო სიკო ე-ს უნდა ეთქო. სიკომ ბევრი აღარ ათხოვნინა, ჩაკეცა ქუდი, მოიკეცა, მოითხოვა ყურადღება და დაიწყო.

— ახლა, ყმაწვილებო, გთხოვთ ცოტა უკან მივბრუნდეთ.

— დაიხიეთ, ყმაწვილებო, — დაუძახა ალექსიმ პ-მა, რომელსაც ჰქონდა ხასიათი, სულ ყველა აზრზე ეთქო რამ წინააღმდეგი, რომლისთვინაც ჩვენ დავარქვით იმას საშინელი ფილოსოფოსი.

— თუ არ ვსტყუი, — დაიწყო ისევ სიკომ, — მგონია, დურმიშხანი, ჩვენ ვარდოს საყვარელი, უფალმა ნიკომ გაუშვა შარაგზაზე ქალაქის გარეთ. ქალაქითგან რო გავიდა დურმიშხანი... მაგრამ მოითმინეთ, მოგახსენოთ იმისი ჩამომავლობა.

— ახლა შენ თვითონ დაიხიე,— უთხრა ალექსიმ.

— კარგი, ალექსი, თორემ აღარ ვიტყვი.

— ალექსი! ხო გახსოვს ჯარიმა. ის ყანწი ისევ ცოცხალია, — დაუძახეს ყმაწვილებმა.

— ჰო, კარგი, მემრე?

— დურმიშხანი იყო ძე ჯერ ადამ და ევასი, მერმე ნოე და არ ვიცი ვისი, და მემრე, როგორც თვითონ უთხრა ვარდოს, წერეთლიანთ გოგოსი, და იმავე წერეთლის შვილისშვილი. დურმიშხანის დედა იყო ისე უბედური, რო მოეწონა თვრამეტი წლის წერეთლის ვაჟს და იმის შემდეგ გაჩნდა დურმიშხანი თვით სახიერი, მსგავსი ცოტათ წერეთლისა. კეთილი ზნითა, ჩაცმული ყოველთვის სუფთათ. დურმიშხანი იყო საყვარელი თვით დიდი ბატონითგან უკანასკნელ ბიჭამდინ და ვინ მოიგონებდა, რო ბატონი გამოიმეტებდა იმას გასაცემათ. და იმისათვის მეორე დღეს, როდესაც შეიტყეს, რო მუხრანბატონისათვის მიურთმევიაო, ისე შეწუხდნენ ყველანი, როგორადაც თავის შვილზე, ანუ ძმაზე. ისტორია არ აჩვენებს, რა იყო მიზეზი დურმიშხანის ისე ადვილათ გამეტებისა ბატონისაგან, იმიტომ, რო, როგორც ატყობდნენ შინაურები, ბერიკაცს უყვარდა ისი და ბევრჯელ ეთამაშებოდა ხოლმე და უყვავებდა. ეს სიყვარული გამოჩნდა, სხვათა შორის, მაშინ, როდესაც დურმიშხანს აშორებდნენ დედას. ანბობენ ვითომც დიდ ბატონს მარჯვენა ულვაშმა დაუწყო კანკალიო და თვალებზე ცრემლივით რაღაც დაუნახესო. მოსამსახურენი, რომელნიცა ყოველ შემთხვევაში ეძებენ დასაწყის მიზეზს, პოულობენ ორ მიზეზს იმის გაცემისასა: პირველს, რო მითომ ბატონს უნდოდა ჩაეგონებინა შვილისთვის ყოველივე ურიგობა, რომელიც გამოვა გოგოსთან კავშირითგან, და მეორე, მითომც უნდოდა დაესაჯა დურმიშხანის დედა იმისთვის, რო იმან გაბედა აშიკობა ბატონის შვილთან. მაგრამ ისევ მოსამსახურენი ანბობენ, რო ახალგაზრდა ბატონმა სულ არ იწუხა შვილის დაკარგვა და იმავე დღეს, როდესაც მამამ იმისმა სხვას აჩუქა იმისი შვილი, ის წავიდა სანადიროთ მიმინოთი და ძლიერ მხიარულად ნადირობდაო. საწყალი დედა

დურმიშხანისა! ის მოკვდა სწორეთ დურმიშხანის წაყვანის შემდეგ, ერთი წელიწადი რო გამოვიდა, სიჭლექით. შემდგომი ცხოვრება დურმიშხანისა იცით წინა მოთხრობით. ისიც ისე გამოიზარდა, როგორც ეხლა იზრდებიან იმისი მსგავსი უპატრონო ბიჭები, რომელთაც ცხოვრებას სრულებით არავინ არას დაჰდევს.

მეორეთ რო იყივლეს მამლებმა, დურმიშხანი ადგა, ახსენა ღმერთი...

— ოჰ, შენმა მზემ, თუშური სკუპი არის, — დაიძახა ალექსიმ.

— რა ვქნა, ლოღიკის კურსი არ გამიგონია შენგან, ჩემო საშინელო ფილოსოფოსო და რა უყო, — უპასუხა სიკომ გაჯავრებით.

— თქვი, კაცო, მაგას ყურს ნუ უგდებ, — უთხრეს ყმაწვილებმა.

— მეორეთ რო იყივლეს მამლებმა, ადგა დურმიშხანი, ახსენა ღმერთი, გამოიყვანა თავლიდგან ცხენი, დააურვა, აჭამა ქერი და შეკაზმა. რასაკვირველია, რო ამ დროს გულისვარდიც არ იყო უსაქმოდ და შველოდა დურმიშხანს, რითაც შეეძლო. მამალმა რო მესამეთ იყივლა, დურმიშხანმა მოუჭირა ცხენს მოსართავები, გადაუგდო ხურჯინი, გამოვიდა და გამოუდგა გზას. საით? იმ დროს რო გეკითხნათ თვით დურმიშხანისათვის, გარწმუნებთ, ვერ გეტყოდათ, საით მიდიოდა. სადა ჰქონდა იმას დრო, რო ეფიქრა ამაზე. იმას სურდა მხოლოდ ჩქარა გასულიყო ტფილისიდგან, იმიტომ რო ტფილისი და თავის ყმობა იყვნენ იმისთვის ერთი, იმიტომ რო ტფილისი აგონებდა იმას იმ მწარე დროებას, რომელიც გაატარა აქამდისინ, იმიტომ უკანასკნელ, რო უნდოდა ჩქარა გამოეცადა ის ცხოვრება, რომელზედაც კაცი არ აძლევს ანგარიშს სხვა თავისთანას, და იხმარებს თავის დროებას, როგორც უნდა და როგორც კეთილს იგონებს. და აი, მიდის ჩემი დურმიშხანი... შეხედეთ როგორ კოხტათ ზის ცხენზე, ტახტის აზნაურს არა გავს? და ვისი ეშინიან, რო კოხტად არ იჯდეს, ვის შეუძლიან, რო ხმა გასცეს. რაა, რომ აზნაური არ არის?

ეს და ბევრი ამისთანა აზრი რიგ-რიგათ მოსდიოდა დურმიშხანს და ისე ავიდა ძეგვს, რო ვერცკი გაიგო, მაგრამ გზას აქვს როგორიღაც ხასიათი, რო როგორც გინდა მხიარული იყო, მაინც შემდგომ გავლისა რამტენიმე ვერსისა, როდესაც ცოტათ დაიღლები, როგორღაც შეკრთება გული და დაგეცემა ფიქრები. მაშინ ან უნდა იმღერო და ან ძრიელ ჩაფიქრდე. შემხვედრი პირველზე იტყვის, რო ვითომ ძრიელ მხიარული იყო, მეორეზე კი — მითომ ძლიერ დაღონებული, მაგრამ როგორც პირველ შემთხვევაზე, ისე მეორეზე, სცდებიან გარეშემხედველნი, იმიტომ, რო ორსავე შემთხვევას ძრიელ მუშაობს მგზავრის ფანტაზია და იმისაგან არის ის მდგომარეობა. რამტენ ზეციურ ციხეს ააშენებს მაშინ მგზავრი, რამტენ რასმე მოიგონებს იმისთანას, რომელიც არასდროს არ აუსრულდება იმას; მაგრამ ის არის მაშინ კმაყოფილი, და არა თუ კმაყოფილი, არამედ ის ჰპოებს იმაში ბედნიერებას.

ძეგვს რომ მიუახლოვდა, დურმიშხანი იყო სწორედ ამ მდგომარეობაში. აი, იმან დაინახა მშვენიერი ყანა, რომელიც ქარს ეთამაშებოდა, როგორც მორცხვი პატარძალი თავის დანიშნულს. ქარი ეხვევა, უჟუჟუნებს სიყვარულის სიტყვათა, მაგრამ ყანა, — ეს კეკლუცი პატარძალი, — მითომ მორცხვობს და აშორებს თავს. აი ცხვარი, მოგროვებული შუადღეს ერთი ხის ქვეშ. შეხედეთ მეცხვარეს, როგორ სრული კმაყოფილებით უკრავს სტვირს და ეუბნება ქებას თავის მურიას. უყურეთ მურიას, როგორი გულისხმის გადევნით უგდებს ყურს თავის პატრონს, მითომ უნდა, რო არც ერთი სიტყვა არ დაივიწყოს და ყოველი სიტყვა აკრიფოს მარცვლებივით. აი გუთანი ათუღელა, თავის მოუშორებელი ოროველათი. შეხედეთ გუთნის-დედას. კრეზი თავისი სიმდიდრით არ იყო ისე კმაყოფილი, როგორც არის ხოლმე ის მაშინ, როცა უბრძანებს მეხრეებს ხარების გარეკას. ხარები! შეხედეთ, როგორი აუყოლებიათ ოროველასთვის ფეხები, როგორც კარგს მოთამაშეს ცეკვაში მუზიკისთვის. ჩვენი კამეჩი! შეხედეთ, რანაირი ბრძენივით ჩაფიქრებული მიდის, თითქოს ერთი წყვეტდეს პითაგორის თეორემას.

გესმით შორითგან ბულბულის სტვენა? კაცი უნდა იყოს ყრუ, რო იმ სტვენაში არ გაიგონოს ხმა სიყვარულისა, უნდა ედვას ქვა გულის მაგიერ, რო ამას არ მოაგონდეს თავისი ახალგაზრდობა, თუ მოხუცებულია, და ჭაბუკს თავის საყვარელი, იმიტომ, რო არ იქნება, რო ახალგაზრდა ყმაწვილს არავინ უყვარდეს.

ყოველთავე ამათ დურმიშხანსაც მოაგონეს ის მცირედი დროება, რომელიც გაატარა იმან თავის გულისვარდთან და ჰგონებდა, რო იმ დროს უყვარდა ისი, და არა თუ გულისვარდი უყვარდა ეხლა დურმიშხანს, არამედ გამზადებული იყო ისი, რო მოჰსალმიყო მთელ ქვეყანას.

„მართლა და რა კარგი იქნებოდა, — ფიქრობდა დურმიშხანი, — რო მყვანდეს ერთი ყევარი ხარ-კამეჩი, ერთი ოციოდ ღღის მიწა, და ჩემი... ჩემი გულისვარდი“. მაგრამ ეს ფიქრი შეცვალა სხვა მძიმე ფიქრმა, იმან, რომ ყოველ იმას, რასაც მოპოებას ფიქრობდა დურმიშხანი, უნდოდა ფული, რომელიც არა ჰქონდა იმას. რასაკვირველია, რო რამდენიმე მარჩილი, ნაშოვნი დურმიშხანისაგან ნაზირობის დროს დიდი შრომითა, და იქნება რო უსამართლობითაც, არ ეყოფოდა იმას თავისი განზრახვისათვის და დურმიშხანი ჩაფიქრდა ძრიელ. მხოლოდ ეხლა წარმოიდგინა იმან ყოველივე უშემწეობა თავისი მდგომარეობისა.

— ეჰ, რა უშავს, ღმერთი მოწყალეა! — თქვა თავის გულში დურმიშხანმა, — ეს იყო ძნელი, ეს წყეული ყმობითგან გამოხსნა თავისა, თორემ ახლა მე ვიცი...— და დაიწყო ფიქრი, რა ცხოვრება უნდა აერჩია. შემდეგ რამტენიმე ხნის ფიქრისა დურმიშხანმა გადასწყვიტა, რო უნდა დასდგომოდა ვისმე ვაჭარს მოჯამაგირეთ. მაგრამ ვის? ჯერ ეხლა, როცა ესე გამრავლებულია ვაჭრობა, ჯერ ეხლაც ძნელია შოვნა ალაგისა ვაჭრებში. უმეტესად უცნობი კაცისათვის, თუ გინდ რო ბრძენი იყოს, და მაშინ, რასაკვირველია, რო უფრო ძნელი იქნებოდა, უმეტესად დურმიშხანისათვის, რომელიც იყო უპატრონო და უთვისტომო. მაგრამ დურმიშხანი არ იყო იმგვარი, რო ამისთანა შემთხვევას შეეშინებინა.

— და რა ბევრს ვფიქრობ, თუ დამიყენა ვინმემ მოჯამაგირეთ, ხო კარგი, თუ არა, გავყიდი ცხენს, იარაღს და იმ ფულითა, რაც მე მაქვს, იმითი გავხსნი სადმე დუქანს, ხა, ხა, ხა! მე თითონ გავხდები ვაჭარი, მე თითონ მეყოლება ბიჭები! „ბიჭო! ჩამოუსხი ტეტიას ღვინო!“ „არა, დედავ, მე თვითონ უფრო ძვირათ მიყიდნია, ხელს არ მომცემს“, — წარმოიდგენდა ის, მითომც ყიდიდა.

ამ ფიქრებით მივიდა ერთ წყაროსთან, რომელიც, სჩანდა იყო მგზავრების დასასვენი ადგილი, და, რადგანაც ჯერ პური არ ეჭამა, ჩამოხდა ცხენითგან, მოხადა ხურჯინი, შეუყარა ცხენს დუშაყი და გაუშვა საძოვრად. თითონ მოხსნა პირი ხურჯინს, ამოიღო იქიდგან ყველი და პური, გაიშალა სუფრის მაგიერ ხელსახოცი და დაუწყო პურს ჭამა.

ეს იყო პირველი პურის ჭამა დურმიშხანისა ისეთი, რომელიც არ იყო ბატონის ნასუფრალი, და, უნდა გენახათ, რა გემრიელი იყო ის პური!

საკვირველია, ღმერთმანი, კაცის ცხოვრება. ბევრჯელ, როდესაც ის აირჩევს ცხოვრების გზას და დაადგება იმაზე გავლას, უეცრად გამოუვარდება რამე, ჰკრამს ხელს, გადააგდებს იმ გზიდგან და დააყენებს სხვა გზაზე, რომელსაც სულ არ მოელოდა. ესრეთივე შემთხვევა მოხდა დურმიშხანის ცხოვრებაში.

დურმიშხანმა რო გაათავა პურის ჭამა, დაინახა, რო ცხენს ჯერ არ დაესვენებინა და ამისთვის გაშალა ნაბადი და წამოწვა. ამ დროს იმ წყაროსაკენ მიბრუნდნენ სამი ოსმალონი. დურმიშხანს ეგონა, რო ისინი მტრები იყვნენ და გასაცარცვავათ მიდიოდნენ და ამიტომ გაშინჯა იარაღი და მოემზადა პასუხის საგებად. ოსმალონი მივიდნენ წყაროსთან, მიესალმნენ დურმიშხანს და ჩამოსხდნენ.

— უკაცრავად ნუ ვიქნები, ყმაწვილო, შენი ჭირიმე, კითხვისათვის, საიდგან მობრძანდებით? — ჰკითხა ერთმა იმ ოსმალთაგანმა, რომელიც სჩანდა იყო ამათი უფროსი.

— ქალაქითგან გეახლები, ჩემო ბატონო, — უპასუხა დურმიშხანმა.

— იქაური ბრძანდები?

— არ ვიცი, როგორ მოგახსენო, იქაურიც გახლავარ და არც გახლავარ იქაური.

— როგორ ეგ?

დურმიშხანმა უთხრა ყოველი თავისი თავის გარემოება თავიდგან ბოლომდისინ.

— ბედნიერი ხარ, ყმაწვილო, — უთხრა ოსმალომ, რო გაათავა დურმიშხანმა, — რა გინდა, უსისხლოდ განთავისუფლებულხარ მონობიდგან. ბევრს არ ერგება ხოლმე ეგ ბედნიერება, ღმერთო, ის ბავშვი არ მაძლევს მე მოსვენებას, დღე და ღამე მიდგას თვალწინ და არ ვიცი, საით გავექცე... ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერი, ერთხელ მეც შემეძლო შემეხედნა წმინდა სინიდისით ცისთვის, მაგრამ ეხლა... კაცის მკვლელი, ქრისტეს ორგული, რა ცა შემირიგებს მე! — დაიწყო იმან ლაპარაკი თავისთვის.

დურმიშხანი უყურებდა იმას გაკვირვებული.

— რას ბრძანებთ, ბატონო? მე სრულებით არა გავიგონერა, მხოლოდ იმის მეტი, რო თქვენ ოსმალო არ უნდა ბრძანდებოდეთ.

— ქართველი გახლავარ, — დაღონებით უთხრა ოსმალომ.

— მაშ რა არის ეგ თქვენი ოსმალური ტანისამოსი, ან იმათი ქცევა რად მიგიღიათ?

— სხვათადასხვათა მიზეზთა გამო.

— თუ უზრდელობაში არ ჩამომართმევთ კითხვას, შეიძლება მიბრძანოთ ის მიზეზები?

— ის მიზეზები? — ჩაფიქრებით სთქო ოსმალომ, აიწია რიდე ზეით და მოიწმინდა შუბლითგან ოფლი, — ის მიზეზები? რატომ, შენ შენი ცხოვრება მითხარი, მეც ჩემი უნდა გითხრა. ამბობენ, რომ შენი ჯავრი რო სხვას შესჩივლო, ნახევარი სიმწარე დაეკარგებაო. გამოვცდი, ვგონებ, ყმაწვილო, თავს არ მოგაწყენ.

— არა, შენი ჭირიმე, რას მიბრძანებ?

— მე ეხლა მქვია ოსმან-აღა, — დაიწყო ოსმალომ...

— ხვალ, ხვალ! — დაიძახეს ყმაწვილებმა, — ხვალ ალექსი იტყვის, — და ჩააჩუმეს სიკო.

III

ოსმან-აღა

— იყავ ლეში,

იეზუიტთა კანონი

— ყმაწვილო, თქვენი სახელი?

— დურმიშხან.

— დიახ, დურმიშხან, საარაგვოზე გივლიათ როდისმე?

— არა, არსად.

— მაშ შენ არ გინახავს ერთი მშვენიერი ქვეყნის კუთხე-თაგანი, ჩემთვის მაინც! ამ საარაგვოზე, ზედ არაგვის პირზე, ბოდორნას და ნაოზას შუა, არაგვის გაღმა არის სოფელი გ. ეს სოფელი, თითონ პატარა, დიდი სჩანს თავის ვენახებით. ამ სოფელში, რომელიც არის საბატონო, იდგა მამაჩემიცა, ჩემ საუბედუროთ, ბატონის ყმა. თითონ მხნე, მყოლელი ყევარი ხარ-კამეჩისა და რამტენიმე მწველელი ძროხისა; ეგრეთვე მქონებელი სამი დღის ვენახისა. მამაჩემი ირიცხებოდა თავ-კაცად ჩვენ სოფელში და არა დავა ანუ სხვა რამე შესახები სოფლისა არ გადაწყდებოდა ჩვენ მეზობლებში, რომ არ დაჰ-კითხოდნენ ზალიკას, — ეს იყო მამა-ჩემის სახელი. ახ, რა დრო იყო ის! რა კმაყოფილებით დაუჯდებოდი ხოლმე მე უღელზე და უზრუნველად დავძახოდი ოროველას. წავიდა ის დრო, — დრო უმანკოებისა, ჟამი წმინდისა სინდისისა, და ის ყმაწვილი, რომელსაც გუთნის-დედა უბრძანებდა ხოლმე ორო-ველას მღერას და ამხანაგები შურით ისმენდნენ იმის სიმღერას, არის ოსმალოს იანიჩარის ასის თავი, მქონებელი დიდის სიმდიდრისა, მაგრამ გასვრილი ქრისტიანის სისხლში. ახ, სიხარულით დავანებებდი თავს ჩემს ყოველსავე ეხლანდელს სიკეთეს ჩემსა, რო შეიძლებოდეს მობრუნება უწინდელი ჩემი დროსი, იმ დროსი, როდესაც ვიყავი ხოლმე დღის მეხრე და ვიღებდი ერთ ალოს.

მაგრამ ბევრს ხანს არ გასწია ამგვარმან ბედნიერებამა ჩვენმა.

ერთხელ მამაჩემი წავიდა ძნის მოსატანად, უნდა ჩამოეტანა ძნა თავდალმართზე. ჩვეულებისამებრ მოუძღოდა ის ურემს წინ, რო არ დაქანებულიყო. მაგრამ ურემი დაქანდა, ხარ-კამეჩს თავი ვეღარ დაუჭირა, კამეჩებმა წააქციეს და ურემმა გაჭყლიტა. იმის სიკვდილის შემდეგ ჩვენ სახლშიც ყოველივე გადაბრუნდა გულაღმა: ბატონმა ჯერ წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც, რო აღარ შეგვეძლო მოვლა, მერმე თითო-თითოდ ხარ-კამეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედაჩემს, რო გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედაჩემი! უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რაგვარად არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა.

— იტირებს, იტირებს და დაჩუმდებაო! — აი აზრი, რომელთამე ბატონთა; იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულვილი, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არა გვონდეს გული, არა გვქონდეს სჯა.

— დედაშვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთის გულისათვის, დამანებე თავი, — ეხვეწებოდა დედაჩემი, — რა მოსამსახურე უნდა ვიყო, მე თქვენი ბატონური ცხოვრებისა არა ვიცი-რა. ჩემი შვილები აქედგან უფრო გემსახურებიან. რასაც მოვიყვანთ, სულ შენ მოგართმევთ, ჩვენ ნაცარს ავფშრუკამთ და იმას ვჭამთ, ოღონდ ნუ მოგვიშლი ოჯახს! საწყალო ჩემო შვილებო! — და იმან მიგვიკრა გულზე იმგვარათ, ვითომც ის იყო, გვდებდნენ სამარეში.

— ე დედაკაცო, მე არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი! ხვალვე მზათ იყავი, — უბრძანა ბატონმა და გაიცინა, იმიტომ, რო ერთმა მწევარმა რაღაც სასაცილო ჰქნა. ო, რა საზარელი იყო ის სიცილი დედაჩემის მწუხარებასთან! მე დარწმუნებული ვარ, რო მასში არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი; იმისთანა დროს მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცინება.

რაღა მოგაბეზრო თავი ბევრი ლაპარაკით; მეორე დღეს

ჩაგვყარეს ურემში და მიგვიყვანეს ბატონთან. ქალბატონთან რო წაგვადგინეს, იმან გაგვშინჯა და გვიბრძანა, რო მე და ჩემი და, — ერთი დაცა მყავდა მე, — უნდა ვყოფილიყავით პირის მოსამსახურედ, დედაჩემს კი უბრძანა ყოფნა პურის მცხობლად. ასე გავატარეთ დროება თითქმის ხუთი წელიწადი... თითონ ნამოსამსახურე, შენ იგრძნობ, რანაირ დავიტანჯებოდით იმ სამსახურში! მაგრამ ამბობენ, კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო. ჩვენც შევეჩვიენით ჩვენს ცხოვრებას და თითქმის ვიყავით იმითი კმაყოფილი, არ ვიცი იმიტომ თუ, რო უარეს ცხოვრებას მოველოდით.

ერთხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთითგან. ვახშამზე რომ ვემსახურებოდი იმათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვალით აჩვენა ჩემზე. მღვდელმა ამხედა-ჩამხედა და ბატონს დაუწყო რაღაც ლაპარაკი ჩუმათ, არ ვიცი რათა, მაგრამ სტუმარმა რო დამიწყო ყურება, ჟრუანტელმა დამიარა ტანში და ამეშალა თმა. გულმა შემიტყო, რო ჩემ თავზე გროვდებოდა რაღაც უბედურება.

მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედაჩემი და უბრძანა, რო მოვემზადებინეთ მე და ჩემი და იმ მღვდლის გასაყოლად.

— რათა, შენი ჭირიმე?

— რათა? გავყიდე და იმიტომ!

რასაკვირველია, ეს გამჟღავნება მე მივიღე ისე, ვითომც მცოდნიყოს და შევჩვეოდე იმ აზრს, და რა უფრო გამიკვირდა, დედაჩემმაც არ დაიწყო ტირილი. მხოლოდ შებარბაცდა ცოტათ და მე დამიჭირა თავი და გულზე მიმიკრა, ხელებზე შევატყე, რო ჰქონდა ცივი ყინულივით და უკანკალებდნენ.

შემდგომ რამოდენიმე წუთისა, დედაჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რო გაეგდოთ ის კარში. დედაჩემი ადგა და გამოვიდა, მხოლოდ ჰკითხა ბატონს, საროდიოთ მოვემზადებინეთ. ბატონმა უბრძანა, რო სახვალიოთაო.

იმ ღამეს, შუაღამისას, როდესაც სულ ყველამ დაიძინა, დედაჩემი ადგა, ჩუმათ გამაღვიძა და შემდგომ დარიგებისა,

სად მომეცადნა, გამგზავნა კარში. ცოტა ხანს უკან გამოვიდა ჩემთან დედაჩემი ჩემი დით.

— აბა, ახლა, შვილებო, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ გზას! — გვითხრა დედაჩემმა, გადაგვწერა პირჯვარი, გაგვიძღვა წინ და გვითხრა, რო მივყოლვიყავით.

ღამე იყო შემოდგომისა, ბურუსიანი და ბნელი. დედაჩემმა იფიქრა, თუ საძებნელად გამოგვიდგებოდნენ, მოგვძებნიდნენ უფრო უალაგო-ალაგს და ტყეში, და იმიტომ დაადგა ქალაქის გზას და იმაზე წამოგვიყვანა... რომ ირიჟრაჟა, ჩამოვედით ღართისკარის ჭალაში. აქ დედაჩვენმა აგვსვა ჩვენ ერთ დიდ მუხის ხეზე, რომელიც სხვებზე უფრო იყო შემოსილი ფოთლით და გვითხრა, რო ვყოფილიყავით იქ ჩუმად. მთელი დღე გავატარეთ იქ და, რო დაღამდა, წამოვედით და ჩამოვედით ქალაქში.

შემდგომ მე მიკვირდა, რატომ ბატონი არ გამოგვიდგა-მეთქი და ან დედაჩემმა ქალაქისკენ რათ წამოგვიყვანა და არა ფშავისკენ, სადაც დედაჩემს ჰყავდნენ დედის ძმები, მაგრამ გამოჩნდა, რომ ბატონი მართლა გამოგვდგომიყო საძებნელად მეძებრებით და ვეძებნეთ ფშავის გზაზედ. და დედაჩემმა შეიტყო რა, რომ ესე იქნებოდა, წამოგვიყვანა ქალაქს.

ქალაქს რო ჩამოვედით, ერთი კვირა გაგვიძნელდა ცხოვრება, რო კინაღამ შიმშილით დავიხოცენით... სოფლიდგან რაც ხორაგი წამოვიღეთ, ის მესამე დღესვე გამოგველია და მემრე თუმცა მათხოვრობა დავიწყეთ, მაგრამ არავინ არა მოგვცა-რა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მთხოვრობა დავიწყეთ, მაგრამ არავინ არა მოგვცა-რა; ჯერ ერთი იმიტომ, რომ მთხოვრობასაც თავის ოსტატობა უნდა, რო შეაბრალოს თავი, რომელიც ჩვენ არა გვქონდა, და მეორე — არა გვქონდა იმისთანა ნაკლულევანება სხეულისა, რო შევებრალებინეთ ხალხს. მაგრამ განგება ღვთისა არსად დააგდებს კაცს უნუგეშოდ. ერთი კვირას უკან დედაჩემმა დაგვიყენა ერთ ბერძენს მოჯამაგირედ, თითონ კი დაიჭირა კლდის უბანში ერთი პაწაწა ოთახი და დაიწყო პურისმცხობლობა. დამავიწყდა მეთქვა, რო დედაჩემმა დაირქვა სომხობა და სუყველას სახელები გამოგვიცვალა:

თვითონ დაირქო მათუა, მე დამარქო კარაპეტა და ჩემს დას — შუშანა. ესე გავატარეთ დრო თითქმის ხუთი წელიწადი. ჩემი და გაიზარდა და მივათხოვეთ სომეხს, ჩვენც დავდიოდით სომხურს საყდარში, მაგრამ არც მე და არც დედაჩემი არა ვზიარებულვართ იმ ხუთ წელიწადში იმიტომ, რო სომხის საყდარში ზიარებას არ გვაძლევდა ნებას სვინიდისი და არც გვაზიარებდნენ, მგონი, რომ შეიტყობდნენ, რო ქართველები ვიყავით; ქართულ ეკლესიაში კი ვერა ვბედავდით ზიარებას, იმიტომ, რო გამოჩენისა გვეშინოდა. ერთხელ მარიამობის მარხვაში, დედაჩემი ატყდა, რო თუ არ ვეზიარე, არ იქნებაო. მე ვთხოვე, რომ მღვდლისათვის არ ეთქვა სრულებით თავის ჩამომავლობა. დედამ მომცა პირობა, მაგრამ ეტყობა, რო სვინიდისს ძლიერ შეეწუხებინა, რო ვერ გაეძლო და ეთქო სულ ყველა; იმავე დღეს, როცა სთქო აღსარება, ვიღაც კაცები დაგვესხნენ, შეგვიკრეს ხელები და გაგვიგდეს წინ.

რო მივყავდით, საწყალს დედაჩემს სცხვენოდა ჩემი და თვალებით მეხვეწებოდა, რო მიმეტევებინა იმისათვის ეს შეცდენა. საწყალი დედა!

ბატონთან რო მიგვიყვანეს, იმან, შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკთა ტანჯვათა, უბრძანა ბიჭებს, რო შევებით გუთანში. დიახ, გუთანში! ისე, როგორც აბამენ ხარებს, ხარის უღელი დაგვადგეს კისერზედ. მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა ჰპოვა მსუბუქად იმიტომ, რო გუთანში ხარები დადიოდნენ ძლიერ ნელა და ვერ დავიღლებოდით და ამისთვის მეორე დღეს შეგვაბა კევრში. კევრზე დაჯდა თითონ და გვერეკებოდა. ცოტაც რომ დამდგარვიყავით ამოსუნთქვისათვის, მაშინვე გველოდა სახრე. კარგა მოგეხსენება, რამტენი სირბილი შეუძლია კაცს, უმეტესად ისე დასუსტებულს, როგორიც იყო დედაჩემი. დედაჩემმა თითქმის ათჯერ შემოურბინა კალოს ისე, რო ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდგან. მეთერთმეტეთ რო უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედაჩემი უეცრად წაიქცა და მოკვდა. საწყალს დედაჩემს არც დააცალეს მშვიდათ მომკვდარიყო. ბატონს ეგონა, რო ატყუებდა იმას და ამიტომ სახრით დაუწყო ცემა, რო აეყენებინა, და ასე სახრის ქვეშ ამოუვიდა სული.

— გამოუშვით, ბიჭებო, ეგეცა, ხომ ხედავთ, ამხანაგი აღარა ჰყავს! — უთხრა ბიჭებს ბატონმა ჩემზე.

ბიჭებმა გამომიშვეს. საღამოზე მომცა საშინელი სიცხე, შუაღამემდე ვეწვალე საშინელად. მე მეგონა, რო ცოცხალი ჩამაგდეს ჯოჯოხეთში-მეთქი; შემდგომ შუაღამისა კი აღარა მახსოვს-რა, გავხდომილვიყავი ავათ შავი საოფლით. ჯერ ისე ავათ რო ვყოფილიყავ, ვინ იყო ჩემი პატრონი, ვის ასტკიოდა ჩემთვის გული, რო საოფლეში, ამ საშინელ შესაყარ ავადმყოფობაში, ვინ უნდა მომკარებიყო. მაგრამ, არ ვიცი როგორ, მხოლოდ სამ კვირას უკან მოვედი გრძნობას. ერთმა რეგვენმა დედაკაცმა, რომელსაც არ ესმოდა არც სიცოცხლე, არც სიკვდილი და არც ავადმყოფობა და რომელიც თურმე მივლიდა მე ავადმყოფობაში, შემატყობინა, რო ჩემ გარდა კიდევ სხვანიც ბევრნი იყვნენ ჩვენსა ავათ. ამ ავადმყოფობით ჩემი ბატონის სახლში მოკვდა სამი კაცი; იმათში ერია ერთი პირმშო შვილი ჩემი ბატონისა.

გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ. ბატონიც შემირიგდა, ვგონებ იმიტომ, რო პოვა ჩემში სასარგებლო ნივთი და რა უნდა მოგახსენო: ეძებდა ჩემში ერთგულობას და დარწმუნებულიც იყო, რო მე ვიყავ იმისი ერთგული; ხა! ხა! ხა! ერთგულობას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში... საკვირველი არიან, შენმა გაზრდამ, ეგ ხალხნი!

მე შემისრულდა ოცდასამი წელიწადი. ამ დროს ქალბატონს ჰყვანდა ერთი გოგო, სახელად ნატო. წაბლისფერი გრძელი თმა, ბამბასავით თეთრი პირისახე, ცოტათ მსხვილი ტუჩები, მშვენიერი თეთრი კბილებით, ტანი შუათანაზე უფრო დაბალი და წვრილი. ნატო იყო მართლა და ლამაზი, მაგრამ რა იყო იმაში უფრო მშვენიერი, ეს იმის თვალები. არ ვიცი, როგორ გამოვსახო ეს თვალები.

შენ სხვაგან სადმე რო ყოფილხარ დიდხანს და რო მოსულხარ, შეგინიშნავს, როგორ უყურებია შენთვის დედაშენს?

— მე დედა არ მახსოვს, — უპასუხა დურმიშხანმა.

— ო, უკაცრავად, დამავიწყდა.

ნატოს თვალები იყურებოდნენ ისე. ის თვალები იყვნენ ცისფერნი და ისე სავსე საიდუმლოთი, როგორათაც ცა. ის თვალები რო შემოგხედავდნენ, თითქო გიყვავებდნენ, თითქო, გთხოვდნენ შეწყალებას, თითქო გეუბნებოდნენ: „ახ, რა კარგი კაცი ხარ“. მე ვიყავ, ნატო რო მიყურებდა ხოლმე, სწორედ კატის მდგომარეობაში, როდესაც იმას უსვამენ ზურგზე ხელს. როცა ის მიყურებდა ხოლმე, ღმერთს ვეხვეწებოდი, რო იმას ეყურებინა დიდხანს. მაგრამ საწყალი ნატო არ იყო იმისთანა, რო სულ ყველასთვის ეყურებინა სხვა გომბიობივით. მე დარწმუნებული ვარ, რო ბუნება შეცდენილიყო, რო ის დაიბადა მოსამსახურეთ, ჩვენი ქალბატონი კი — ქალბატონათ.

ერთხელ მე და ნატო ერთად ვიყავით ქალბატონის ოთახში. ქალბატონმა, რაღაზედაც გაჯავრებულმა, ნატოს უბრძანა მოტანა რიღისაცა. ნატო გაიქცა მოსატანათ, მაგრამ ის ნივთი ვერ იპოვა დროზე.

— ო, შე მამაძაღლო, ო, შე უნამუსო, — შეუტია ქალბატონმა ნატოს, რო მოვიდა ისი, — ნეტავი საჭმელი იყოს, რო ჩქარა იპოვნო. რაზე ვეჭმევი ამ აზარქლებს, რაზე ვეჭლექინები? გაგყიდი, შე უნამუსო, აღარ შემიძლიან შენი გაძლება!

— ქალბატონო, მაპატივე, შენი ჭირიმე. დროზე ვერ ვიპოვე, ბატონის მზემ!

— შეხე, შეხე ამ უნამუსოს, როცა ტყუილათ უნდა დაიფიცოს, მაშინვე ბატონს მივარდება ხოლმე.

— არა, ღმერთმანი... და ტირილით ველარ დაასრულა სიტყვა.

მე ველარ გავძელ ყურება და გამოველ კარში. ცოტა ხანს შემდეგ გამოვიდა კარში ნატოც.

— ნატო, ძალიან გაწუხებს ქალბატონი?— ვკითხე მე დაღონებით.

— ისე, რო ლამის თავი მოვიკლა, — მიპასუხა იმან და დაიწყო ისევ ტირილი.

— ნუ სტირი, ნატო, ღმერთი მოწყალეა, რაც გინდოდეს ხოლმე, მე მომკითხე, როგორც შევძლებ და რითაც შეგეწევი, ამის შემდეგ შენ — და, მე — ძმა, მეც შენისთანა ობოლი და უპატრონო ვარ.

უნდა გენახა, რა მადლობითი თვალებით შემომხედა მაშინ ნატომ.

— ჩემო ძმაო! — მითხრა ნატომ, გამომართვა ხელი, მაკოცა და შევარდა შინ გაწითლებული.

მე გული ისე არ შემიხტა, როგორც შეუხტებათ ხოლმე დის კოცნაზე. იმ წლოვანებაში, რომელშიაც მე და ნატო ვიყავით, ყოველივე დაძმობილება გარეშე პირთა დასრულდება ხოლმე ცოლ-ქმრობით, თუ არამ დაუშალა. შენთვის საჭირო არ არის მოგახსენო ყოველივე ბოდვა სიყვარულისა და, სწორე მოგახსენო, ეხლა ვერც კი შევიძლებ მოგონებას. კარგა ხანი რო გამოვიდა ჩვენი შეყვარებისა, ერთხელ მოვახელე დრო და ვსთხოვე ბატონს ჯვარისწერის ნება.

— რას მიჰქარამ, ბიჭო, ჯვარის დაწერა კი არა, მამა გიცხონდა!

— შენი ჭირიმე, ბატონო!

— ვისზე უნდა დაიწერო ჯვარი?

— იმას არა გთხოვ, შენი ჭირიმე! ქალბატონის გოგოზე.

— ქალბატონის გოგოზე?

— დიახ.

— დიახ! — გამაჯავრა ბატონმა. — დიახ, თითქოს არ იყვნენ სხვა გოგოები, რო შინაური არ მოძებნო.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ეს მომეწონა და.

— რაო? მოგეწონა? „მომეწონა“, თითქო ბატონის შვილი იყო! სხვა კი არა მოგეწონა-რა, მამა გიცხონდა?

— ბატონო!

— წადი, დაიკარგე, არ შეიძლება! მოსამსახურეს შინიდგან არ გავუშვებ და არც შენ მოგცემ ნებას. შინ მინდიხარ!

რას ვიტყოდი. შენი მტერი იყოს ისე, როგორიც მე გამოვედი ბატონის ოთახიდგან. ნატო კარში თურმე იდგა და მიცდიდა, რა ამბავს გამოვიტანდი. გამოსული რო დამინახა, აღარც კი მათქმევინა, ისე დაიწყო ტირილი.

შემდეგ ეს ჩემი ლაპარაკი, რომლიდამაც მოველოდი ბედნიერებას, გახდა წყარო ჩემი უბედურებისა. აი როგორ: ჩემ ბატონს აქამდისინ ხეირიანად არც კი შეეხედნა ნატოსთვის და

თითონ ნატოც თურმე ერიდებოდა იმას, მაგრამ მე რომ ვსთხოვე იმაზე ჯვარისწერა, მაშინ გაეშინჯა და მოსწონებიყო.

ერთხელ ჩემთვის ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ მომეხდინა ნატოზე ჯვარის დაწერა. უეცრად მომვარდა ნატო და ჩამომეკიდა ყელზე.

— ნოდარ, შენი ღვთის გულისათვის, მიშველე. რა ვქნა: ჩვენი ბატონი როგორლაც მიყურებს. თითქო მეარშიკება. ისეთი თვალებით მიყურებს ხოლმე, რო საშინელია. რა ვქნა. მითხარი!

ამ სიტყვებმა მე თმა ამიშალეს და სისხლი მომიყვანეს ყელში.

— თავი მოარიდე, ნუ შეჰხვდები ხოლმე! — უთხარი მე.

— ეგ მეც ვიცი, უწინ დღე დამელიოს, სანამ მე იმისი აშიკობა მივიღო, მაგრამ მემრე რა ვქნა?

— ღმერთი გვასწავლის მემრე.

იმავე დღეს ბატონს გაემეორებინა ნატოსთვის აშიკობა, ნატოს, რასაკვირველია, რო იმისთვის არ მიეცა პასუხი. გამოვიდა სამი კვირა და ბატონს აღარა უთქვამს-რა ნატოსთვის. სამი კვირის შემდეგ დამიბარა ბატონმა, მომცა ერთი წიგნი და მიბრძანა წაღება იმისი ქალაქს ერთ იმის მოკეთესთან და იქიდგან მოტანა იმ წიგნის პასუხისა. მე გამოვართვი ის წიგნი და წავედი ქალაქს. იმ წიგნში თურმე სწერდა ჩემი ბატონი, რო მე დავეჭირეთ ქალაქში სამიოდ კვირა. სამი კვირა რომ გავიდა, წამიკითხეს წიგნი და მითხრეს, რო წავსულიყავ სოფელში. მე მაშინვე შევიტყე, რისთვისაც იყო ეს საქმე მოხდენილი, და როგორათაც მოვედი სოფლის ბოლოს, შემხვდა ერთი ბებერი დედაკაცი.

— დედაშვილობას, მითხარი, ჩვენი გოგო რასა იქს?— ვკითხე იმას.

— ე, შვილო, ნუ მკითხამ. შენი მტერი იყოს, რო ის არის!

— რა ანბავია? მითხარი ჩქარა, დედაშვილობას! — შეკრთომით უთხარი მე.

— რა ანბავია, შვილო, ჩვენი ბატონი გააშიკებოდა იმას

და იმ წაწყმედილს დავყვებით რო ვერა ექნა-რა, მერმე ძალა ეხმარა და შიშით, თურმე, უნდოდა შეეყვარებინა თავი. საწყალ ქალს ჯერ კი ეთმინა, მაგრამ შემდეგ მოთმინებითგან გამოსულიყო და წყალში ჩავარდნილიყო. აი, ნაოზას თავში თურმე იპოვნეს საცოდავი.

მე ველარ გავიგონე უკანასკნელი სიტყვები, გაცხარებული მივვარდი ბატონთან.

— ბიჭო, რა ანბავია?— დაიძახა იმან, — ეშმაკს გიგავს ეგ სახე!

— არაფერი! სად არის ნატუა?

— ეშმაკმა იცის შენი თავი! სულ შენი საქმეა, შე ძაღლისშვილო, უთუოდ... — მე ალარ დავასრულებინე სიტყვა და მივვარდი ხანჯლით.

— რას შვრები, შე მამაძაღლო! მიშველეთ, მომკლა! — დაიკივლა ბატონმა.

ეს იყო იმის უკანასკნელი სიტყვა. შემდეგ დაიწყო სასიკვდილოთ ხრიალი. ბატონის შეკივლებაზე გამოვარდა ქალბატონი და, ეს ანბავი რო დაინახა, შეჰკივლა და შევარდა თავის ოთახში. იმის ხმამ მომაგონა, რო კიდევ მყავდნენ ჯავრის ამოსაყრელნი პირნი და გამოვუდეგ იმას. ოთახში რო შევვარდი, დავინახე, რო ქალბატონი გადახვევიყო შვილს და იფარავდა.

— ნოდარჯან, მე მომკალ, ჩემს გიგოს ნუ მომიკლამ, არა დაუშავებია რა შენთვის! მითხრა ქალბატონმა ხვეწნით. — მე ნუ მომკლამ, შენთვის არა დამიშავებია რა, — გაიმეორა ყმაწვილმა.

მაგრამ მე არ მესმოდა იმათი ხვეწნა. სისხლისაგან გაგიჟებულმა, მე დავაკალ დედა შვილსა. გაბრაზებული სისხლისაგან გამოვვარდი კარში, შევჯექი ცხენზე და გამოვიქეცი. საღამოზე დამეწივა მდევარი და, რასაკვირველია, არა თუ იმათგანმა დამიჭირა ვინმემ ან მოინდომა მოკვლა, არამედ თითონვე მასწავლეს, რო გადავვარდნილიყავ ახალციხისაკენ. მე მართლა დავიჯერე იმათი დარიგება და მესამე დღეს მივედი ახალციხეს. აქ მაშინვე გამოვცხადდი მუფტისთან და მოვახსენე სურვილი მათი სჯულის მიღებისა. მეორე დღეს

დიდის ამბით მივიღე თათრობა, ვგმე ქრისტე. აქ ყველა ოსმალოს დიდკაცებმა დამაჯილდოვეს, მირჩიეს სტამბოლში წასვლა და იანიჩარის ჯარში გამწესება. მე წავედი და გავმწესდი.

უნდა მოგახსენო, რო აქ ჩემი გარეგანი ცხოვრება იყო ძრიელ კარგად, მაგრამ რა სრულდებოდა ჩემს გულში, ის უწყოდა მხოლოდ ღმერთმა.

მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უმეტესად გადადგომა ქრისტიანობისა არ მაძლევდნენ მე მოსვენებას და არც ეხლა მასვენებენ. მხიარულებაში, ძილში, ომში, ან თუ საცა გინდა, ყოველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნება სალმობით:

— მე რა დაგიშავე, რათ მომკალ?

რამტენჯერ მე ვეძიე ომში სიკვდილი, რამტენჯერ გიჟივით გადავვარდი გახშირებულ ომში, რო ჩქარა გავსწორებულიყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია არა მპოულობდა მე, და სიკვდილის მაგიერ გამივარდა მამაცობის და გულადობის ხმა და იმან მაშოვნინა ასისთავობა. მაგრამ ამის შემდეგაც არ დამიმშვიდდა ჩემი სვინიდისი. შემდეგ, იმ ფიქრით, რო გავიქარვო ეს აზრები, დავიწყე ვაჭრობა, ვაჭრობაში მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სვინიდისი მაინც არ დამშვიდდა.

— ღმერთო, მომეტევება როდისმე ჩემი შეცოდებანი? — სთქვა ჩუმათ ჩაფიქრებულმა და თითონვე დაატანა, — საიდუმლო ხმა მეუბნება, რო არაო.

— ღმერთი მრავალ-მოწყალეა, — უთხრა დურმიშხანმა, — მე გამიგონია, რო არ არის ცოდვა, რომელიც არ მიეტევოსო, თუ წმინდა გულით მოინანიებს.

— არა, ჩემთვის არ არის მოტევება, — ჩაფიქრებით სთქო ოსმან-აღამ, — არა სჩანს მოტევება.

— სასოწარკვეთილებას ნუ მისცემ თავსა, ღმერთი მრავალ-მოწყალეა, — გაუმეორა დურმიშხანმა.

— ე, გვეყოფა, უკაცრავად, მოგაწყინე თავი, — დაღონებულის ღიმილით უთხრა ოსმან-აღამ და უბრძანა ბიჭებს ცხენების მომზადება.

— შენც ჩვენთან წამოხვალ, ვგონებ?— ჰკითხა დურმიშხანს, — გზაზედ მოვილაპარაკებთ შენ მომავალ ცხოვრებაზე.

— გეახლები.

რამტენიმე წუთის შემდეგ შეჯდნენ ცხენებზე და გასწიეს. ჭირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.

— ო, ეგ შენ არ უნდა გეთქო! — უთხრეს ალექსის, რო გაათავა.

— მა ვის უნდა ეთქო?

— კნიაზ-ლიბერალს.

კნიაზ ლიბერალს ვეძახოდით კნიაზ ლ. დ-სა, იმიტომ, რო დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება და ყოველსავე ბატონ-ყმობაზე ამბავსა შეიტყობდა ხოლმე სულ ყველაზე წინ.

— ხვალ სთქოს იმან.

— ხვალ კნიაზ-ლიბერალმა... კნიაზ-ლიბერალო, მოემზადე, მაგრამ მაღალ ფრაზებს კი თავი დაანებე.

— თქვენი გამოჯავრებული ბატონ-ყმობაზე სულ არას ვიტყვი, — სთქო კნიაზ-ლიბერალმა.

IV

— ნათლიმამ, გაბედე-მეთქი, გაბედე!

— ხმ, ხმ! დედა-კაცო, გადუბრუნე ე მწვადი, სულ დასწვი!

— კარგი, სიტყვა ბანზე ნუ ააგდე, შენ გეუბნები!

— რასა, შენი ჭირიმე?

— გაბედე-მეთქი ჩემი ნათლულის გათხოვება.

— აკი ვბედავ, თუ მთხოვა ვინმემ.

— აი მეც მოციქული.

— არა, შენი ჭირიმე, არა. მე იმას ვერ მივცემ!

— რატომ?

— რა ვიცი, ჯერ ერთი იმიტომ, რო... ეჰ, ბევრი მიზეზებია, რატომაც არა.

— მაინც რა არის, მითომც ბიჭი არ ვარგა?

— ბიჭი კარგია, მაგრამ...

— დაანებე თავი მაგ მაგრამებს.

— მაგრამ უთვისტომოა.

ამ სიტყვებზე პირველი მოლაპარაკე დაიღრიჯა ისე, თითქო უჩხვლიტა რამემაო.

— რა უშავს, რო უთვისტომოა, იმიტომ კაი ბიჭი არ არის? ჯერ ორი წელიწადია, რაც ჩემთან არის და ას თუმნამდის ფული იშოვნა, კარგი არ არის?

— კარგია, მაგრამ მე, ხომ იცი იმ ქალის მეტი არა მყავს-რა, მინდა რო ერთ ხეირიანს მივსცე ვისმე.

— ვინ არის შენში ხეირიანი?

— ვისაც ღმერთი მოგვცემს. მე მინდა ერთ საწყალ აზნაურს მივსცე ვისმე.

აქ ისევ პირველი მოლაპარაკე დაიღრიჯა ისე, თითქო გულითგან მოსწყვიტეს რამეო.

— ახლა რა არის, რო აზნაური არ იყოს?

— აზნაური სხვა რამ არის, ჩემო ნათლია. ერთი გოგო-ბიჭი მაინც ეყოლება მოსამსახურეთ. წყალს მაინც თითონ არ მოიტანს, პურს მაინც თითონ არ გამოაცხობს.

— განა იმისი ცოლი კი გამოაცხობს პურს? განა იმას კი არ შეუძლიან, რო იყოლიოს გოგო, ბიჭი?

— რატომ, მაგრამ იმან ფული უნდა აძლიოს, აზნაურს თავისი ეყოლება.

— თუ აგრეა, ხვალვე უყიდი ყმებს!

— უყიდე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— მემრე ხო მისცემ?

— არ ვიცი! უმოკეთოა, ნათლი, უმოკეთო! მეც ოჯახის შვილი ვარ, მტერი მყავს და მოკეთე, მინდა იმათში თავი გამოვიჩინო სიძითაც და მოკეთითაც.

— სულ ტყუილია, ჩემო ნათლიმამ. ასეთ ქორწილს უზამ, რო პირველ თავადის შვილს არა ჰყონიყოს.

— რა გამოვა იმითი?

— ის გამოვა, რო იმ დროებით შენ მტერს იმითი თვალებს დაუყენებ, მემრე დურმიშხანი ისევ დაიწყებს ვაჭრობას, მოი-

გებს ფულს და, ხომ იცი, ფულს რა შეუძლიან?

— ფული გვარიშვილობას ვერ გამოუცვლის.

— მართალია, მაგრამ, რო ის გვარიშვილები დაჰნატრიდნენ იმას, ის გვარიშვილები რო თავზე ადგნენ იმას, რო იმათ ასესხოს ფული?

— ო, შენ შენი მოჰყე! ახლა ვინღა გელაპარაკება.

— ვსტყუი თუ?

— არ სტყუი, მაგრამ რო ისეთი იყოს, როგორც შენ ამბობ, შენ დურმიშხანს უნდა ჰქონდეს ბევრი ასი თუმანი.

— ექნება.

— საიდგან?

— თავის ვაჟ-კაცობით. და მე ვიცი რითაც, მე მივსცემ ჩემი ქონების ნახევარს!

— რათა?

— ის მე ვიცი! აკი გეუბნები, რო უნდა შეუდგე ღმერთსა: იქნება კიდევ მელირსოს მოტევება.

— ო, მოჰყევ კიდევ. როდის დაანებებ შენ მა შენ ბოდვას თავს?

— როცა მოვკვდები.

— კარგი, მამა ნუ წაგიწყდება, მაგისთანა ლაპარაკს თავი დაანებე.

— მაინც რას მეტყვი?

— მემრე, მემრე. ჯერ ვახშამი ვსჭამოთ: სუფრა გაშალეთ, ვინა ხართ მანდა, — დაუძახა მეორე ოთახში.

— ეგ „მემრე“ ეს ერთი წელიწადია მესმის შენგან.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ჩემო ნათლია, ვერ გამიბედნია და რა წყალში ჩავვარდე?!

ასე ლაპარაკობდნენ ორი ხნოვანი კაცი სურამში, ქრისტეშობის ღამეს, მჯდომნი ქართული დარბაზის კერის პირს. პირველი ამათგანი იყო, თუ იცანით, ჩვენი ნაცნობი ოსმანაღა, რომელმაც შემდგომ შეხვედრისა დურმიშხანთან, ის დაიჭირა მოჯამაგირეთ და იხმარებდა ვაჭრობაში. მეორე იყო სურამის მცხოვრები გლეხი, სახელად... მაგრამ რად გინდათ სახელი.

დასხდნენ ვახშამზე. პირველად დაჯდა ჩვენი უსახელო, მემრე იმის მეუღლე, შემდეგ იმისი ქალი და უკანასკნელად ოსმან-აღა.

— აბა, ნათლულო, არ გათხოვდები?

— კარგი, ნათლიას მზემ, დამეხსენ, — და, მორცხვობით დაიხედა ძირს.

— მტყუანს რა ვუთხრა, რო კიდეც გიამება ხოლმე, რო გეტყვი!

— კარგი, თორემ წავალ, აი! — უთხრა ქალმა და დაჰკრა ხელი მუხლზე.

— რა საქმრო გიშოვე, რო იცოდე?

— თვალი იმასაც დაუდგება, მე ქმარი არ მინდა!

— რატომ, ქალო?

— არა და იმიტომ.

— მაინც, მოლოზნათ ხომ არ უნდა წახვიდე?

— არა.

— მაშ ქმარი რატომ არ გინდა?

— არ მინდა, მე დედასთან უნდა ვიყო.

— მაშ, შინ უნდა დაჰბერდე?

— ჰო.

— ნუ, მამაშვილობას, აგრე ნუ გაწყრები! — ღიმილით უთხრა ოსმან-აღამ.

— მაშ ნუ მეუბნები ხოლმე შენც და არც მე გეტყვი.

— ჰო, ვიცი: მამა-შენმა გაგათხოვოს, კი არ გათხოვდები, მაგრამ მე რო გიშოვნო საქმრო, იმას კი შეირთამ განა?

— არა.

— ახლა რა არის შენი არა და არა?

— დურმიშხან, აქ მოდი! — დაუძახა მეორე ოთახში. დურმიშხანი შემოვიდა.

— გადახტი, აკოცე ჩემს ნათლულს, და ხელზე რო ბეჭედი გაქვს, მიეცი ნიშნათ! — უთხრა ოსმან-აღამ დურმიშხანს ყურში; დურმიშხანი გადახტა. აკოცა ქალს და მისცა ბეჭედი. ქალმა შეჰკივლა, წამოხტა სუფრიდგან და გავარდა კარში.

— უი, დამიდგა თვალები! ეგ რა ჰქენით? — სთქვა დედამ,

შეხედა ოდნავ ღიმილით და ტუჩებზე მიიდო თითები.

მამამ შეხედა ოსმან-აღას გაჯავრებით და დაინახა იმის თვალებზე ორი ცრემლი. საწყალს იმას მოაგონდა, რო იმისთვინაც შეიძლებოდა ამ გვარი ბედნიერება თავის ნატოსთან.

— რას ჰშვრები, კაცო? სტირი? ეს რა მიყავი, რაზე შემარცხვინე? გამხილებს შენვე შენი სინდისი, თუ არა?

— არა, ნათლიმამ, ეს სხვა ცრემლი იყო. დაუძახეთ ჩემს ნათლულს, გამოვიდეს. მომილოცავს სიძე. მოდი, დურმიშხან, დაჯექი. ეხლავ გამოვა შენი დანიშნულიც.

— მაშ აღარ ხუმრობთ, — ჰსთქვა მამამ ღიმილით.

— რაღა ხუმრობა! აბა თუ კაცი ხარ, ეხლაც ნუ მოგვცემ შენ ქალს! ღმერთმანი გავალ და მთელ სოფელში თავს მოგჭრი.

— მართლა, დედაკაცო, ტყუილი-ღა არის, წადი, შემოიყვანე შენ შენი პატარძალი.

— აგრე უეცრად როგორ იქნება? აკი გითხარი, ცოტა დამაცალე-მეთქი.

— კეთილ საქმეს ცდა არ უნდა, — უპასუხა ოსმან-აღამ.

რამტენიმე დროს შემდეგ შემოიყვანეს ქალი და მოუსვეს დურმიშხანს გვერდით.

— ე, ასე ჩქარა არ მინდოდა, მაგრამ რაკი მოხდა, რაღა გაეწყობა. ღმერთმა დაგლოცოთ, შვილებო, და მე მაღირსოს გახარება თქვენის ბედნიერებით! — უთხრა იმათ ქალის მამამ.

— ადექით, ხელზე აკოცეთ! — ასწავლა ოსმან-აღამ.

ახალ დანიშნულები ადგნენ და ხელზედ აკოცეს, როგორც ქალის მშობელს, აგრეთვე ოსმან-აღას.

— ღმერთმან გაკურთხოთ, შვილ... — ველარ დაასრულა და გადმოსცვივდა ცრემლები ოსმან-აღას.

მეორე დილას აღარ იყო სურამის გარშემო სოფელი, რომელშიაც დიდი და პატარა არ ლაპარაკობდა ამ ანბავს. კიდევ გამოვიდა ცოტა ხანი და ისევ სოფლები შეიყარნენ დურმიშხანის ქორწილში. და, აი, დურმიშხანი დგას ეკლესიაში ღვთის ტაძრის წინ და აძლევს პირობას თავის მეუღლეს სიკვდილამდე სიყვარულისას, მაგრამ უყვარდა იმას თავის

დანიშნული? არა, იმას არ უყვარდა არც ეხლანდელი თავისი დანიშნული, არც გულის ვარდი და არც ოსმან-აღა, ღირსი სიყვარულისა იმა კეთილთათვის, რომელიც უყო მან დურმიშხანს, და არც ღმერთი, შემომქმედი მისი. იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა; რათ უნდა იმას სიყვარული, როდესაც იმას აუსრულდება თავისი ოცნება, ის იქნება მდიდარი, პატივცემული და დამოუკიდებელი. რა ფასითა ყიდულობდა ამ სიკეთეთა, იმას არ ჰქონდა საჭიროება გამოკითხვისა. და აი, სიმდიდრისათვის მამაკაცი ჰყიდის თავს, როგორც ერთი კურტიზანკთაგანი. საწყალი ოსმან-აღა! იმან მისცა დურმიშხანს ნახევარი თავისი ქონება იმ აზრით, რო ის ერთხელ მოიგონებდა იმას და აუნთებდა ღმერთს ერთს სანთელს იმისი ცოდვების შესამსუბუქებლად და იმის საფლავზე ჩამოაგდებდა ერთს ერთგულს ცრემლს. საწყალო ოსმან-აღა! რა მწარედ მოსტყუვდი შენს ფიქრებში!

ოსმან-აღამ ორი თვე დააცალა დურმიშხანს და შემდეგ წაიყვანა სტამბოლში ჩასაბარებლად თავის ქონების ნახევარისა. რო მოვიდნენ სტამბოლში, ოსმან-აღამ ნახევარი ქონება თავისი მართლა მისცა დურმიშხანს, მეორე ნახევარი კი შესწირა ეკლესიას, თითონ კი შემდგომ დალოცვისა პატრიარხიდგან, ცხადად აღიარა ქრისტე. მოგეხსენებათ, რა წვალებას მიიღებდა ის მაჰმადიანთაგან? იმ აზრით, რო როგორმე მიექციათ ისევ მაჰმადიანთა სჯულზე, ოსმალოთ მოლებმა და სხვათა იხმარეს ყოველი შესაძლო მათგან ცბიერება, მაგრამ, რო სიკეთით ვერ შეძლეს იმის მოქცევა, მემრე იხმარეს ძალა და ამისთვის მოღალეს იმაზე სხვადასხვა ტანჯვანი, მაგრამ იმითაც რო ვერა გახდნენ-რა, შემდგომ კრეს შაყა, ესე იგი, გასჭრეს შუაზე. დურმიშხანი კი იმ დროს, როდესაც იმას აწვალებდნენ და შემდეგ ისე საშინლად მოჰკლეს, არა ფიქრობდა არც ერთსა ღონისძიებას იმის შველისათვის და შემდეგ სიკვდილისა იმტენი ვერ შეიძლო, რო გამოეთხოვნა სტამბოლის მართებლობისათვის იმისი დამარხვის ნება.

საწყალი ოსმან-აღას გვამი ეგდო რამტენიმე ხანი სტამბოლის ქუჩებში, სანამ შეწუხებულთა იმის სუნითა არ მოიგონეს გადაგდება იმისი ზღვაში.

და სად ჰქონდა დურმიშხანს დრო ქალაჩუნასავით ტირილისა, ან რბენისა ეკლესიებში ოსმან-აღას სულის განსასვენებლათ! ის იმ დროს, როდესაც ოსმან-აღას აგდებდნენ ზღვაში, ის იდგა ბოსფორის პირზე და ელოდა გემს ყირიმიდგან საქუდე კალმუხის ტყავებით, დაკვეთილს ოსმან-აღადგან და იმისგან გადაცემულს დურმიშხანზე. იდგა იქ და ფიქრობდა, გაყიდვით სად უფრო მოიგებდა, იქვე, თუ უკეთუ წამოიღებდა საქართველოში.

— ჯერ აქ ვივაჭრებ, — სთქო რამტენიმე წუთის შემდეგ, — და მემრე წავალ საქართველოში.

ამ გარდაწყვეტის შემდეგ დურმიშხანი დარჩა მართლა სტამბოლში რვა თვე და ისე გაერთო ვაჭრობაში, რო არც ერთხელ არ მოაგონდა ცოლი და არ შეატყობინა, რო კიდევ იყო ცოცხალი. რვა თვის შემდეგ დურმიშხანმა მთელი ქარავანი სხვადასხვა ფარჩები წამოიღო სტამბოლითგან და წამოვიდა შინ. შინ ცოლმა დაახვედრა მშვენიერი ვაჟი... საწყალ ქალს ეგონა, რომ იმითი გაახარებდა დურმიშხანს, ის მოეხვეოდა და აკოცებდა ტკბილად ვაჟის დედას, მაგრამ დურმიშხანმა დაჰხედა ყმაწვილს, გაიღიმა და ჰკითხა დედას:

— ჯერ ხო არ მოგინათლამთ?

— არა, მაგრამ ჩვენიანთ გოგია მთხოვს, მე მოვნათლამო, — უპასუხა ცოლმა.

— გოგია კი არა, მოგია არ გინდა! უთხარი, რო თავადიშვილს უნდა მოვანათვლინო-თქო.

— თავადიშვილი რაღა არის, ის გოგია უფრო მოკეთობას არ გიზამს?

— შენ რა იცი, რაც არის?! შენ შენი საქმე იცოდე, შენ ჩემ კითხვაში ნუ შემოდიხარ!

— მაინც კი ვიტყვი, რო ჩვენ თავადიშვილი მოკეთობას ვერ გვიზამს.

— რა იცი შენ? ერთხელ რო დიდმა თავადმა დაგიძახოს

შენ ნათლიდედა, ერთხელ რო იმისმა ცოლმა გამოგარჩიოს შენ სხვა დედაკაცებში და მოგიკითხოს, აბა მითხარი რად ღირს, ჰა? შემდეგ გაიზრდება შენი შვილი, ვინ იცის, როგორ უპატრონოს. შენ რა იცი, დედაკაცო! — და დურმიშხანი დაფიქრდა და წარმოიდგინა, როგორ გაზდიდა შვილს. აი, ხედავს, ის ზის ცხენზე, და ახლამს თავის ნათლიას. დიდ მეიდანზე გდია დიდი ქვა და იმაზე დგას ვერცხლის თასი. აი, გამოაჭენა ერთმა თავადისშვილმა ცხენი, წამოიგდო თოფი, ესროლა თასს, მაგრამ ააცდინა; აი გამოდის მეორე, ო, იმანაც ვერ მოარტყა. აი იმის ნათლიამ გამოაქროლა ცხენი, სტყორცნა თოფი და ვერ მოარტყა.

აქ მოაჭენებს ცხენს იმისი შვილი, კოხტად გადმოიგდო თოფი, ესროლა და გადააგდო თასი. კითხულობენ: ვინ არის ეს ყმაწვილი? თითონ მეფე იკითხამს იმის დედ-მამას და გამოჩნდება, რო ის არის დურმიშხან წამალაძის შვილი. რა ბედნიერი იქნება მაშინ დურმიშხანი! ან, აი, იმის შვილი, ჯერ ჭაბუკი, შევიდა ბერათ. შეხეთ, რა მშვენიერი ანგელოზივით სახე აქვს, ყური დაუგდეთ, რა მშვენიერი ტკბილი ხმით კითხულობს მარხვანს, შეხედეთ, ამ კითხულობაზე როგორ გასწირეს თავსული მლოცველთა, ხოლო აქა-იქ ისმის ბერების ქვითქვითი. აი, ერთხელ იმისი ნათლია შეხვდება კათალიკოზს და თავის ნათლულის კითხვას აქებს იმასთანა. აი, შენიშნა კათალიკოზმა, წაიყვანა თავისთან, აკურთხა იღუმენიად, არხიმანდრიტათ და ეპისკოპოზად. აი, დურმიშხანის შვილი, — ეპისკოპოზი, ზის ცხენზე და წინ მოუძღვის დროშას და მოჰყავს საეკლესიო ჯარი ბატონის მოსაშველებლად. კითხულობენ: ვინ არის ეს ახალგაზრდა ეპისკოპოზი? დურმიშხან სოვდაგრის შვილი. ო! რა ბედნიერი იქნება მაშინ დურმიშხანი. ან, ვინ იცის, იქნება კათალიკოზიც გახდეს. ო! მაშინ კი დურმიშხანი აღარ დაუკრამდა თავს არც ერთს თავადს.

მეორე დღეს სურამში აღარ იყო თონე, რომელშიაც არ იცხობოდა პური და ნაზუქი დურმიშხანის შვილის ნათლობისათვის. მართლა-და საგანგებო ნათლობა რამ, თურმე, გააკეთა. თავის დღეში რაც რამ კი ენახა ჩვენ საქა-

რთველოში თუ თათრებში, ყველა მოამზადებინა და თითქმის დღის სავალზე აღარ იყო სოფელი, რომლიდამაც დიდი და პატარა არ მოიპატიჟა. ყმაწვილი მონათლა თავადმა ქაიხოსრო აბაშიძემ, რომელიც იმ დროს იყო იმ მხარეს, და დაანათლა ერთი კომლი კაცი. ნაცვლად ამისა, მკლავის ძღვნად გაუგზავნა დურმიშხანმა ერთი უმშვენიერესი არაბული ცხენი, აკიდებული სხვადასხვა ძვირფასი ფარჩებით.

სწორედ ამ დროს იყო დაწერილი ის წიგნი, რომელიც წაიკითხა საწყალმა გულის ვარდმა.

მართლა, გულის ვარდი! ის კი დაგვავიწყდა! ეხლავ მოგახსენებთ იმის ისტორიასაც. დეეხსენ, გაიზარდოს მანამ ზურაბი, ეს სახელი დაარქვეს დურმიშხანის შვილს. დეეხსენ, გაიზარდოს, ჩვენ კიდევ შევხვდებით იმას, როდესაც ის იქნება მშვენიერი ყმაწვილი კაცი, სიამპარტავნე მამისა, ნუგეში დედისა და ოცნება ბევრი ლამაზთა ქალთა.

V

ავლაბარში, სუფ-კარაპეტის ეკლესიის აღმოსავლეთის მხრით, ზედ გორაზე, იმ დროს, როდესაც ხდებოდა ის საქმეები, რომელთაცა ეხლა მე მოგახსენებთ, — ჰსთქო მორიგემ, — იდგა მხოლოდ ერთოთახიანი იაქათიღის სახლი, რომელსაც ჰქონდა ორი ფანჯარა დასავლეთისაკენ, მაგრამ იქიდგან არა სჩანდა-რა, იმიტომ რო ის ფანჯრები იყვნენ გაკრულნი ზეთწასმული ქაღალდით. ეს სახლი ცოტა რო მიელაგ-მოელაგებინა კაცს გარეთგან: ქაღალდის მაგიერ ჩაესოთ მინები ფანჯრებში და გაელესნათ, იქნებოდა სასიამოვნო შესახედი, მაგრამ ეხლანდელის მდგომარეობით იცქეროდა როგორღაც დაღონებით.

იყო იანვრის დილა, ქროდა ქარი და წუწუნით აყრიდა ნამქერს ფანჯრებსა. იმ სახლში მცხოვრებნი, ორი ქვრივი დედაკაცნი, ის იყო ამდგარიყვნენ და ერთი ჰგვიდა სახლს,

მეორეს კი, ახლათ ამდგარსა. ლოგინითგან, წამოესხა სინჯაფის ქათიბი, ქურსში შეეყო ფეხები და თბებოდა. პირველი იყო კარგა მოხუცებული, თითქმის სამოცდაათი წლისა და წლოვანებით ცოტათ მოხრილი ტანში, მაგრამ პირისახეზე სჩანდა, რო ის თავის დროზე ყოფილიყო არა უვარგისი. მეორე იყო ასე ოცდახუთმეტ წლამდე: ცოტა დიდი ცხვირი, ხმელი პირისახე, წვრილი, თითქოს დასცინიან ვისმე, იმისთანა ტუჩები, თვალები შავი, მაგრამ იმისთანათ შემოგხედავდა, იტყოდი, რო ეს დედაკაცი ჩემს სულსაც კი ხედავსო, ჰსჩანს, რო ის არ ეკუთვნოდა იმგვარ ქალთა, რომელნიცა თავის ცხოვრებაში არ მიიღებენ შრომას განსაჯონ არც ერთი საგანი.

— არა, დედივკან, მე აღარ შემიძლიან ეს, რაც გინდა მიყავ, ისევ სხვა ხელობას დავიწყებ, — უთხრა უმცროსმა ქალმა მოხუცებულსა.

— რატომ, შვილო, რა არის?

— რა არის, ბევრჯელ ისე შევწუხდები ხოლმე, რო არ ვიცი, რა ვქნა.

— რისგან, შვილო?

— იმისგან, რო ადამიანი მოდის, მართალი საჭიროება აქვს, ტირის, გეხვეწება, გაფიცებს, რო მართალი უთხრა და შენ უნდა დაუწყო, ეშმაკმა იცის რა?

— რა ვქნათ, შვილო, ჩვენი მამა-პაპაც ეგრე ყოფილა და ჩვენც ეგრე უნდა ვიყვნეთ.

— აი ეხლა იმ საწყალ გოგოს მივეცი პირობა, ხვალ მოდი და ხვალ გეტყვი-მეთქი, რაც უნდა ჰქნა, ამაღამ სიზმარში ვნახავ-მეთქი, მაგრამ მე წუხელ სიზმარი სულაც არ მინახავს, ის კი ეხლავ მოვა, აბა რა უნდა უთხრა?

— ვინ გოგო, მე არ მახსოვს?

— აი, ერთი ლამაზ-ლამაზი გოგო არ მოვიდა, რო ტიროდა კიდეცა.

— ჰო, მე კარში გავედი მაშინა, მემრე რა იყო?

— რა იყო! საშინელი ტირილით მეუბნება, რო დანიშნულმა მომატყუაო, ჯერ მე შემიყვარა და მერე სხვაზე დაიწერა ჯვარიო.

— ახლა რა ვუყოთ? ცოტა მოხდება ხოლმე მაგისთანა მაგალითები?

— იმას ჰგონია, რო ის იყოს პირველი მაგის მაგალითი, — დაღონებით სთქო უმცროსმა.

— მემრე რა მინდაო?

— გინდა თუ არა, ერთი იმნაირი რამ მასწავლეო, რო მეც ისე მოუკლა იმას გული, როგორც იმან მომიკლაო.

— შენმა მზემ, ვერას ეტყოდი, გიჟივით ტირილს დაიწყებდი იმასთან.

— არა, თუმცა მომდიოდა ტირილი, მაგრამ მაინც კიდევ გაუშალე ქერი და უთხარი, რო გორიჯვარი და არბოს წმინდა გიორგი ელოცნა და ესენი დასჯიდნენ იმის ორგულს.

— ცოტა შორს უნდა გაგეგზავნა, უნდა გეთქო სპარს-ანგელოზი, ან ლომისა, ან ლაშარის ჯვარი, ისე რო ასრულება გაძნელებულიყო.

— რას ბრძანებ, იქაც არ მიდის! ჩემ და ღმერთ შუა ერთი აღარა არის რაო, მე იმისთანა რამე მასწავლე, რო ეშმაკის ძალით ასრულდესო...

— მემრე, რა უთხარი შენ?

— რას ვეტყოდი: უთხარი, დღეს მოსულიყო და, აი, საცაა მოვა და არ ვიცი, რა უთხრა.

— მაშ, როცა მოვიდეს, უთხარი, რო დედა გიკითხამს-თქო.

იმ დროს, როდესაც ესენი ასე ლაპარაკობდნენ, გულის ვარდი დაეთხოვა თავის ქალბატონს და წამოვიდა ამათთან. ეს იყო იმის მეორე დღეს, როდესაც შეიტყო დურმიშხანის დაქორწინება.

გულის ვარდმა გაყინული ხელებით დააკაკუნა კარები.

— ვინა ხარ? შემოდი!

— უკაცრავად, შეგაწუხეთ, უდროოთ გეახელით, — ჰსთქო ვარდომ, რო შევიდა შინ.

— არაფერი, შვილო, არა უშავს-რა, მოდი, გათბი, მოდი ქურასთან, — უთხრა უფროსმა დედაკაცმა.

გულის ვარდი მივიდა, გაიხადა ქოშები, ავიდა ტახტზე, ასწია საბანს და მიუჯდა ქურას.

— აი, დედავ, ის ქალი, წუხელ რო გითხარი, — უთხრა უმცროსმა ქალმა დედას, გულის ვარდი რო გათბა მაშინ.

მოხუცებულმა დაათვალიერა გულის ვარდი.

— იმ უღმერთოს, შენზე ლამაზი ვინღა უნდოდა, მზის უნახავს ხო არ იშოვნიდა?

გულის ვარდმა მორცხვობით დაღუნა თავი და თვალები აევსო ცრემლით.

— ნუ სწუხარ, შვილო, — უთხრა იმავე დედაკაცმა, — ნუ სწუხარ, შენ არა ხარ მაგისი პირველი მაგალითი.

— ჰო, შენ არა ხარ პირველი მაგალითი, — დაუმატა უმცროსმაც ნაღვლიანათ.

— ახლა რა გინდა, შვილო? — უთხრა უფროსმა.

— შენ ქალს ჰკითხე, რაც მანდა.

— ასწავლე იმისთანა რამ, რო შური იძიოს.

— შურის ძიება ცოდვა არის, შვილო, ღმერთზედ მიანდე, ღმერთი ილოცე, რო იმან გადაუხადოს მაგიერი.

— არა, დედი, მე თითონ უნდა გადაუხადო მაგიერი, გადაუხადო ისე, რო იცოდეს, ის მე ვიყავ და არა სხვა ვინმე.

— მაშ, რა ვქნათ, შვილო? აი, რას გეტყვი: ჯერხნობით არ შეიძლება გადახდა, უნდა მოიცადო კარგა ხანი.

— რამტენი გნებავთ, თუნდა სიკვდილამდე, ოღონც კი ბოლოს მოუკლა მე იმას გული.

— მაშ იცი, რას გეტყვი?

— მიბრძანეთ.

— ისწავლე მკითხაობა და როდესაც ყოველსავე მკითხაობის საიდუმლოებას ისწავლი, მაშინ შენ თითონ მოიგონებ, რაგვარათაც დასაჯო შენი მტერი. გინდა?

— მინდა! — ცოტა ხანს უკან ჰსთქო გულის ვარდმა.

— არა, შვილო, ჯერ ეგრე ჩქარა პირობას ნუ მამცემ, ჯერ მოიფიქრე კარგა.

— ფიქრი აღარ უნდა! მე ერთხელ შევიძლებ დავსაჯო ჩემი გულის მომკვლელი, სხვა რაღა მინდა?!

— იცი, შვილო, რას იწყობ? არა; აი, მე რა გითხრა: ეხლანდელი დღით შენ ეყრები ქვეყანას. ამის შემდეგ გახდები

კულიანი, მკითხავი. ამის უკან ყველა დაგიწყებს შენ ყურებას არა თუ როგორც ადამიანსა, არამედ როგორც რასმე კაცსა და ეშმაკს შუასა. გიფიქრია ეს?

— მე ფიქრი აღარ მინდა!

— არა, ამაღამ კიდევ იფიქრე, თუ შეგიძლიან, ღმერთსაც შეეხვეწე და ხვალ მითხარი, რაზედაც გადაწყვეტ, ახლა მშვიდობით.

ამ ლაპარაკის შემდეგ გულის ვარდი გამოვიდა და წამოვიდა შინ.

— ეგლა გვაკლდა, — უთხრა უნცროსმა ქალმა დედას დაყვედრებით, ვარდო რო გამოვიდა კარში, — აბა რაზე მოიხვიე თავზე სხვის შვილი, რო შენი თავის შენახვაც გიძნელდება?

— რა ვქნა, შვილო! მე მეგონა, რო ჩვენი ხელობა შეაშინებდა და დაანებებინებდა თავს თავის განზრახვას, სჩანს, რო არა ხუმრობს საწყალი.

— ახლა რაღას იქ? ხო ნახე, რო მე არა მგავს.

— შენ რა? ის რაღა კარგს შვრება, ხორცით დაღუპულმა, სულიც უნდა დაღუპოს.

— მაინც კიდევ ბარაქალა, ქალო, თუ დაღუპა, ისე მაინც, რო უმტეროს თავის მტერს!

— ახლა რით უნდა უმტეროს მითომ, თუგინდ ჩვენი ხელობა ისწავლოს?

— მაშ, არას ასწავლი?

— არა. მე იმედი მაქვს, რო ამ ერთ წელიწადში დაავიწყდეს თავის განზრახვა და გახდეს ისევ პატიოსან დედაკაცათ. იმითი დავიხსნით ჩვენ ქრისტიანე სულს ჯოჯოხეთიდგან და ეგება იმისთვის ღმერთმა დაგვიმადლოს.

— რო არა ქნას და მოინდომოს სწავლა?

— ვასწავლი, სულ ვასწავლი, რაცკი ვიცი, მემრე თითონ იცის, როგორც მოიხმარებს ჩემს სწავლას. ამის გარდა, შვილო, რას გეტყვი? ეგ გოგო კიდეც გამოგვადგება ჩვენ, ხო იცი, რო თავადების გოგოა, ვისაც ჩვენში საჭიროება ექნება, მოასწავლის ჩვენთან და იმითი ერთ ლუკმა პურს ვიშოვნით.

სანამ ესენი ამას ლაპარაკობდნენ, გულის ვარდი მივიდა შინ, შევიდა ქალბატონთან და სთხოვა განთავისუფლება.

— რათა, გოგო, განა შეგძულდი? — ჰკითხა ქალბატონმა.

— არა, ქალბატონო, ღმერთმანი, არა, — უპასუხა ვარდომ არევით.

— მაშ, რისთვის მანებებ თავს? ხო არავინ არას გაწუხებს, ჩემო ვარდო? მითხარი, შვილო.

— არა, მაგრამ...

— მაგრამ რაღა არი, მითხარი ჩქარა, რად გინდა განთავისუფლება?

— იქნება უფრო კარგმა კაცმა მითხოვოსო, — უნდა ეთქო გულის ვარდს, მაგრამ ტირილში ვერ გამოთქო.

— რაო, რაო, გოგო?

— იქნება უფრო კარგმა კაცმა შემირთოსო, — განუმეორა გულის ვარდმა.

— ჰო, თუ აგრეა, ხვალვე თავისუფალი იქნები, მაგისთვის რას სტირი, ტუტუცო? ამაღამ ბატონი რო მოვა, ვეტყვი და ხვალვე წიგნს დაგიწერინებ! სად უნდა იცხოვრო?

— ჩემ დედიდასთან.

საწყალმა გულის ვარდმა ამითი დაიწყო ტყუილის ლაპარაკი. აქამდინ არც ერთხელ არ ეთქო განზრახვით ტყუილი.

მეორე დღეს განთავისუფლებული გულის ვარდი მიადგა ჩვენ ნაცნობ კარს, ავლაბარში და დაუწყო კაკუნი. შიგნიდგან ხმამ შეიპატიჟა.

ნუ შეხვალ, საწყალო გულის ვარდო, დაიწერე პირჯვარი, ახსენე ღმერთი, შეაფურთხე ეშმაკს და გაბრუნდი უკან!

არ ესმის! შევიდა საწყალი გულის ვარდი!

— რაო, შვილო, მოიფიქრე? — ჰკითხა მოხუცებულმა დედაკაცმა, რო შევიდა გულის ვარდი.

— მოვიფიქრე და გადავასწყვიტე, რო უნდა ვისწავლო, — უპასუხა გულის ვარდმა.

— ბარაქალა, ქალო, მე არა მგვანებიხარ, — უთხრა უნცროსმა.

— ეს რაღა კარგს შვრება, ყმაწვილები ხართ ჯერ თქვენ,

ორთავ საწყლებო, სისხლი გიდუღთ, — უპასუხა მოხუცმა ორთავ. — კარგი, შვილო, — მიუბრუნდა გულის ვარდს, — თუ არ დაგიშლია, გადმოდი ჩვენთან. ღმერთმა ქნას, რო არ ინანო ეს შენი განზრახვა.

— ხვალვე გადმოვიტან ჩემს ბარგს, — უპასუხა გულის ვარდმა.

ამის შემდეგ მთელი ერთი წელიწადი იმსახურეს ამ მკითხავებმა გულის ვარდი, მაგრამ მკითხაობისა არა ასწავლეს რა.

— ყმაწვილია, ქარი გაუვა თავიდგან და მემრე კიდეც დამიმადლებს, რო არ გავრიე ჩვენ ცოდვებში, ამბობდა მოხუცებული, მაგრამ იმ ერთი წელიწადის შემდეგაც არ სჩანდა ცვლილება გულის ვარდის განზრახვაში.

ამ ერთი წელიწადის შემდგომ მოკვდა მოხუცებული მკითხავი და უნცროსი ჰპოვა, რო გულის ვარდის დათხოვნა ამის შემდეგ აღარ შეიძლებოდა, და ამისთვის, რაც კი რამ საიდუმლოება იცოდა მკითხაობისა, სულ ყველა ასწავლა და მიაჩემა კითხვა ყოველთათვის, ვინც კი მოვიდოდა საკითხავათ. აღარ გამოვიდა ხანი, რო დაბალ ხალხში დაიწყეს ლაპარაკი ვარდუას მკითხაობაზე და აუარებელმა ხალხმა დაიწყო დენა საკითხავათ!

ათ წელიწადს შემდეგ გულის ვარდი, აჩრდილი უწინდელი გულის ვარდისა, დაჭმუჭნული და გამხდარ პირისახით, იჯდა ორსართულიანი ძვირფას ხალებით მორთულს სახლში და უკითხამდა რამტენთამე პირთ. რამტენიმე ქართლელი და კახელი თავადიშვილი, მოსულნი მხოლოდ იმისთვის, რო ეკითხვინებინათ ვარდუასთვის, იჯდნენ მეორე ოთახში და ელოდნენ თავის რიგს.

— მე აქ ვერ გეტყვით, რაც მინდა, — უთხრა ერთმა გასათხოვარმა თავადის ქალმა, რო შევიდა ვარდოსთან და გაწითლებულმა დაღუნა თავი.

— მიბრძანდი მაგ მეორე ოთახში, ეხლავ გეახლები.

ქალი გავიდა.

— რა ვქნა, დედიჯან, არ ვიცი, როგორ შეგატყობინო მე ჩე-მი მწუხარება, — უთხრა იმან ვარდუას, რო შევიდა ისა.

— რატომ, შვილო, რა არის იმისთანა?

— შენ ვერ გაიგებ ჩემ მწუხარებას. ჩემ მწუხარებას იგრძნობს მხოლოდ ის, ვისაც თითონ გამოუცდია, მაგრამ შენ... შენ იყურები ისე, რო შენ არ იცი, რა არის სიყვარული.

— სიყვარული? ოჰ, მე მაგისი არა ვიცი რა, მე სიყვარულისა არა ვიცი რა, არაფერი, — ჰსთქო ვარდომ სიჩქარით და დაღონებით.

— აკი, გითხარ? მე თუ არა მიშველე-რა, მოვკვდები... მიშველე რამე, დედი, შენი ღვთის გულისათვის, — გულამომჯდარმა უთხრა, ქალი მისწვდა და აკოცა ხელზე.

— ვინ არის შენი შეყვარებული?

ქალმა უთხრა.

— ნუ ტირი, ღმერთი მოწყალეა, მოვახერხებთ როგორმე, შეგიყვარებს შენ შენი საყვარელი, მაგრამ ქორწილში კი უნდა დამპატიჟო.

— ოჰ, უთუოდ, უთუოდ, ღმერთს გეფიცები, ოღონდ კი ნეტავი ამისრულო და!

გულის ვარდმა აასრულა იმ ქალის თხოვნა ერთ კვირას უკან უთილისმოთ.

— აბა მიკითხე, ჩემო ვარდო, ჩემი ალექსანდრე რასა იქს? ერთი თვეა, წიგნი არ მომსვლია, — ეუბნებოდა ვარდუას უწინდელი მისი ქალბატონი, რომელმაც, შემდგომ შეტყობისა ვარდუას ხელობისა, არა თუ აჰყარა სიყვარული, არამედ სიყვარულთან იგრძნო იმნაირი შიში იმისი, რანაირათაც ეშინოდა თავისის ქმრისა.

ვარდუამ გაშალა ქერი.

— ალექსანდრე, ქალბატონო, ახლა ცხენზე ზის და ჯირითობს. აი, მეფეც იქ არის და უყურებს ყმაწვილის ჯირითობას. აი, ალექსანდრემ გააჭენა ცხენი. ჰო, ბარათაანთ თეიმურაზი გამოუდგა, ესროლა ჯირითი. ყოჩაღ, ბატონო! ჯირითი დაიჭირა და გააბრუნა ცხენი. გააჭენე, თეიმურაზ, ცხენი გააჭენე, მოვიდა, დაგეწია ბატონი, ოჰ, შიგ ბეჭებში არ მოარტყა საწყალს! აი, მეფემ აქო ალექსანდრე. ქალბატონო! უყურებ, მე-ფემ აქო ალექსანდრე, სხვა რაღა გინდა?

— არაფერი, შვილო, მადლობელი ვარ! — განცვიფრებულმა უთხრა ვარდოს.

მე აღარ შეგაწყენთ თავს გულის ვარდის მკითხაობითა. მოგახსენებთ მხოლოდ, რო ვარდომ იმ დროს შეიტყო ბევრი რამ იმისთანა, რომელიც იყვნენ შესარცხვენელნი კაცთა ჩამომავლობისათვის.

გავიდა კიდევ ათი წელიწადი. ათი წელიწადი! ხუმრობაა ათი წელიწადი? დაიხოცნენ ბევრი მათგანი, ვისთანაც გვქონდა ჩვენ შემთხვევა გაცნობისა ამ მოთხრობაში. დარჩნენ მხოლოდ თავნი პირნი: დურმიშხანი თავის ცოლშვილით, ესე იგი, ერთი შვილით, და ვარდო თავისი განთქმულის მკითხაობით. დარჩნენ ისე, როგორც ორი ფალავანი შუა მოედანზე, მომზადებული დასაჭიდავათ.

ვნახავთ, ვინ ვის მოერევა.

VI

აპრილის საღამოს, ის იყო ჩავიდა მზე სურამის გორას იქით და იქიდგან შადრევანივით ისვრიდა სხივთ, რომელნიცა ერეოდნენ რა ჰაერს, ხდიდნენ იმას ცეცხლის ალივით. ბუნება, გართული მზის სალამში, არც ერთი სიოთი არ შეარყევდა ფოთოლთა. აქა-იქ მოდიოდა მხოლოდ ჭიკჭიკი ყოველთვის მოუსვენარ ჭივჭავთა, რომელნიც ღამისთვის ეძებდნენ მოხერხებულ საჯდომსა და ამიტომ ერთმანეთს ართმევდნენ ალაგებს. მენახირეებმა, ის იყო ტყიდან გამორეკეს ნახირი შოლტის ტლაშა-ტლუშით და სიმღერით მოუდიოდათ შინ. ნახირი მოდიოდა შინ გაჩქარებული, ჩუმათ, მხოლოდ აქა-იქ კი შებღავლიდნენ ხოლმე დროითა და დროით ძროხები, თავიანთ ხბორების, მეტისმეტი სიყვარული რო მოაგონდებოდათ ხოლმე, მაშინ რამტენსამე დედაკაცს მხარზე უდგათ კოკები და დამწკრივებულნი მიეშურებოდნენ წყალზე დუმილით.

ამ დროს დურმიშხანის სახლის გვერდით მწვანე ხავერდივით მინდორზე ძვირფასი ხალი იყო გაშლილი და იმაზე იყო წამოწოლილი ჩვენი დურმიშხანი. ცოტათ მზისაგან გა-

შავებული და ხმელი პირისახე, ეგრეთვე ძარღვიანი ხელები და სრულებით გამხდარი ტანი აჩვენებდნენ, რო ის კაცი არ იყო შინ ჯდომის მოყვარე. ხოლო რამტენიმე ხაზი პირისახეზე და ჭაღარა თმაში და ულვაშებში უმოწმებდნენ, რო ის არას დროს არ ყოფილა უსაქმო, რასაც დაედო იმაზე თავისი ბეჭედი. მაგრამ, რასაკვირველია, ესე ჩვენ ვხედამთ დურმიშხანს თითქმის ოცი წელიწადის შემდეგ.

დურმიშხანმა, ის იყო მოსწია ერთი ჩიბუხი მშვენიერი სტამბოლის თამბაქოთი, გადააგდო ჩიბუხი იქით, გადაბრუნდა გულაღმა და დაუწყო ყურება მოწმენდილ ფირუზივით ღია ლურჯ ცას. იმან უყურა, უყურა ცას და ჩაფიქრდა. იმას მოაგონდა თავის სიყმაწვილე, ის სიყმაწვილე, როდესაც დადიოდა კონკებში და ყველა მსახური სცემდა თავში, მოაგონდა შემდეგ პირველი გაცნობა გულის ვარდისა, იმისი სიყვარული.

— რა ძრიელ უყვარდი საწყალს! — ფიქრობდა დურმიშხანი, — რო ის არა ყოფილიყო, ხომ არ გამანთავისუფლებდა ბატონი. რა კარგად მოვიქეც, რანაირად ვაჩვენე თავი, რომ მითომ მიყვარდა, მაგრამ, ღმერთმანი, ღირდა სასიყვარულოთ, რამტენი ვატყუე საწყალი, რომ მოვალ-მეთქი. მართლა, ფული რო დავპირდი უკანასკნელ წიგნში, რატომ არ გაუგზავნე? ეჰ, რათ უნდა ფული, ჩემთვის უფრო საჭიროა. ნეტა სად იქნება ეხლა საწყალი? ვინ იცის, როგორ დაბერდა, როგორ გაფუჭდა! ნეტა მომიგონებს ხოლმე კიდევ? მომიგონებს კი არა და, მგონია, ერთმა ბიჭმა ვინმემ შეირთო და შვილებით აივსო. სად ეცლება ჩემს მოსაგონებლად... საწყალი ოსმან-აღა.... აბა თუ ერთი ვაწირვინე იმის თავი, აბა თუ ერთი სანთელი აუნთე! სირცხვილი შენთვის, ჩემო თავო! იმ საწყალმა ნახევარი თავის ქონება მოგცა, იმისი წყალობით ხარ ასე ბედნიერი!.. რა ვქნა, ღმერთმანი, ფულები კი არა მშურს, მაგრამ მოცლა არ არის. რა უყო. ვვვ! რა საშინელი იყო საბრალო, მოსაკლავათ რო მიჰყვანდათ; რანაირათ შემომხედა, თითქო მეხვეწებოდა რასმე, რა იქნებოდა, რო დამემარხა? მე და ჩემმა ღმერთმა, არ ვემართლები...

— მამა-ჩემს ვახლავარ, — უთხრა ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელიც ის იყო მოვიდა საიდღამაც და შორიახლო ჩამოხტა ცხენითგან.

— ოჰ, შვილო ზურაბ, შენ?! — წამოიძახა დურმიშხანმა, წამოხტა ყმაწვილივით და აკოცა პირზე. — რასა იქ, შვილო, ხო კარგათა ხარ?

— კარგათა ვარ, დედა სად არის?

— აქ არის, ჯერ არ გინახამს?

— არა, პირდაპირ შენთან მოვედი.

— ბარაქალა, შვილო. ყოველთვის წინ მამა უნდა გაახარო ხოლმე. სხვა, რა ანბავია, როგორ რასმე მოიარე, როგორ რასმე დახვალ ამხანაგებში?

— ნულარ მეტყვი, მამავ, აღარ შემიძლიან ამ საშინელ ამპარტავან თავადებში ცხოვრება.

— რა არის, რას გიშლიან ისენი?

— რაღა რა არის? ხმას ამოიღებ, ან ხუმრობაში რაშიმე გაევრევი იმათში, მაშინვე ჭირისავით მომშორდებიან ხოლმე და დაიწყებენ ბუტბუტს: „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახარნახირაო“.

— რატომაო? რითა გჯობნიან შენ ისინი: შეძლებით, სილამაზით, გაზრდილობით თუ ვაჟკაცობით?

— არც ერთით.

— მაშ, რა უნდათ? რითა გჯობიან?

— ჩამომავლობით.

— ჰმ, ჩამომავლობით... ჩამომავლობით, ჩაფიქრებით განიმეორა დურმიშხანმა. — აბა ერთი ჰკითხე, იმათ მაგათგან თავის კაცობით ვინ იშოვნა ყმა და მამული? ვინ იშოვნა იმტენი ფულები, რო რომელიც უნდა თავადიშვილის მამული იყიდოს?

დურმიშხანი თავის გამდიდრებას აწერდა მხოლოდ თავის ვაჟკაცობას.

— მაგას არ ფიქრობენ, — უპასუხა ზურაბმა.

— შენი ვალია, რო ჩააგონო. იმათი მამები არ არიან, რო მეხვეწებიან ხოლმე შვილის მონათლას, იმისთვის, რო

ელიან კარგს კუნკულას. როცა ფულები სჭირდებათ, დაბლა მიკრავენ თავს. მოიცადონ! შენ ეს მითხარი, მეფემ ვერსად შეგნიშნა?

— ვერსად, არსად მოხდა იმისთანა შემთხვევა, მაგრამ ეხლა რალაცას იძახიან, მითომ ომი იქნებაო, აბა მაშინ შევიტყობთ, ვინ კუ ყოფილა და ვინ ლომი.

— შენ კი გენაცვალე, შვილო! იმედი მაქვს, შვილო, რო მამაშენს არ შეარცხვენ, მაგრამ ეგ რა სთქვი! ომი?! ვისთან უნდა იყოს ომი?..

— არ ვიცი, მგონია, რო ოსმალოებთან უნდა იყოს, მაგრამ სწორედ არავინ იცის-რა.

— ეგ ვერაფერი ანბავი მომიტანე, შვილო. შვილო, ომი ვაჭრობის მტერია. უეცრად რო ომი მოხდეს, დავიღუპებით.

— აი, აკი გითხარი, თითქო მე ვიყო ომის მიზეზი, იმნაირ საყვედურს მეუბნები.

— კარგი, კარგი, ბარაქალა! — და დურმიშხანი დაღონდა. დაინახა რა ეს ზურაბმა, გამოესალმა და წავიდა დედასთან. დურმიშხანმა რო შეხედა მიმავალ ზურაბს და დაინახა მშვენიერი ვაჟკაცის ტანი, სიამპარტავნით გაიღიმა.

— რასაკვირველია, შეიშურებენ ჩვენი თავადიშვილები, ვინ იქნება იმათში ჩემი ზურაბისთანა, — სთქვა სიამაყით დურმიშხანმა თავის გულში და შემდეგ დაიწყო ფიქრი თავის ვაჭრობის საქმეზე, — ეს კი ავი ანბავი მომიტანა ჩემმა ბიჭუკამ. თუ ხვალვე არ მივეშველე ჩემ ქონებას, სულ დავიღუპები. აბა მაშინ ნახე, დურმიშხან, აზნაურიშვილობა!

მეორე დილით დურმიშხანი ადგა ადრე, გაიყოლა თავისი ოსმალოთაგანი სამი ბიჭი და გასწია სტამბოლისაკენ.

მიდის დურმიშხანი ქონების შესაძენად; ის კი არ იცის, რანაირი უბედურება გროვდება იმის თავზე.

ბევრი დრო აღარ გამოსულა დურმიშხანის წასვლის შემდეგ, რო მეფემ დაიბარა თავისი პირველი ვეზირი და უბრძანა საქართველოს სამძღვრების გასინჯვა ოსმალოს მხრისკენ და, საცა საჭიროდ ჰპოვოს, ააშენოს ციხეები. ვეზირი წამოვიდა, გასინჯა სამძღვრები და სხვათა შორის, ჰპოვა ციხის აშენების

საჭიროება სურამში. მაშინვე საჩქაროდ მოაგროვეს მასალა, დასწვეს კირი და შეუდგნენ შენებას.

— აბა და ახლა თუ იქნება რამე, უთუოდ უნდა გამოვიჩინო თავი, — ჰსთქო ზურაბმა და ამ აზრით მიაშველა რამტენიმე ურემი. მაგრამ საკვირველი იყო, რამტენჯერაც აიტანეს ის ციხე ერთი ხუთიოდ ადლამდე, იმტენჯერ იჭექა და გასკდა შუაზე; რაღაც ავი სული უშლიდა იმ ციხის გაკეთებას. მღვდელს ახდევინეს პარაკლისი, მაგრამ მაინც კიდევ არ იქნა, მაინც კიდევ გასკდა კედელი. უკანასკნელ ყოველი ღონისძიება მოიხმარეს, მაგრამ არაფრით არა იქნა-რა; კედელმა თავისი არ დაიშალა. რა ქნან?

— მოდი ერთი, მკითხავს ვაკითხვინოთ! — წამოიძახა ვიღაცამ.

— მკითხავს! მკითხავს! — დაიძახეს ყველამ, ვინც კი ახლდა ვეზირს. მოახსენეს ეს აზრი ვეზირს. ვეზირმა მოიწონა, მაგრამ საქმე დადგა იმაზე, ვისთვის უნდა ეკითხვინებინათ, ვინ იყო იმისთანა განთქმული მკითხავი.

— ავლაბრელი ვარდუა! — წამოიძახეს რამტენთამე პირთა.

— საკვირველი რამ არის. ერთხელ ისეთი რამ მითხრა, რო ის საქმე მე და ღვთის მეტმა არავინ იცოდა, — ჰსთქო ერთმა.

— მეც, კაცო, — უპასუხა მეორემ.

— მეც, — დაიძახეს რამტენთამე.

— ერთხელ ჩემი დედაკაცი ყოფილიყო და საკვირველ რამეებს მოთსქვამდა, — დაასრულა ვეზირმა.

— მაშ, მოდი და წავიდეს ვინმე საკითხავად. არა, ვეზირო? — ჰკითხა უფროსმა თავადიშვილმა.

— წავიდეს, წავიდეს! რაც ჩქარა იქნება, ისა სჯობია, — ბრძანა ვეზირმა.

მაშინვე ერთი ყმაწვილი თავადიშვილი შაჯდა ცხენზე და თავის ბიჭებით წამოვიდა ვარდუასთან. ქალაქში რო მოვიდა გულის ვარდთან, იმასთან ჰპოვა რამტენიმე პირნი, მოსულნი საკითხავათ. ჩვეულებისამებრ ყმაწვილ კაცთა და უმეტეს იმისთანა პირთა, რომელთაც აქვსთ მინდობილი სახემწიფო საქმე, ელჩმა გაყარ-გამოყარა ყველანი და მივიდა ვარდოსთან.

— რა გინდა, შვილო? — ჰკითხა ვარდომ.

— ვეზირისაგან ვარ გამოგზავნილი. მიკითხე ჩქარა.

— რაზე, შვილო? მითხარი.

ყმაწვილმა უთხრა, და, რო გაათავა და ჩაჩუმდა, ვარდოს მოუვიდა ღიმილი.

— აბა, ეხლა მოვიდა შენი დრო, ჩემო თავო, თუ რამ შეგიძლიან, — სთქო ვარდომ თავის გულში და ჩაფიქრდა.

— ბევრს ნუ ფიქრობ, ჩემო ვარდუავ, ჩქარა მითხარი! — უთხრა ყმაწვილმა.

— არა, შვილო, სიჩქარით საქმე არ გაკეთდება და არც თუ ციხე აშენდება. ჯერ მითხარი...

— მკითხე ჩქარა რაც გინდა, — დააყოლა ყმაწვილმა.

— ჯერ მითხარი, სურამში ჰსცხოვრობს ვინმე ვაჭარი დურმიშხანი?

— ჰსცხოვრობს.

— შვილი რამე ჰყავს?

— როგორ არა, ერთი ჩემი ტოლი და ამხანაგი, მშვენიერი ყმაწვილი ზურაბი.

— კარგი! ახლა წადი და უთხარი ვეზირს, რო თუ თითონ არ მოვიდა, კითხვა არ შეიძლება-თქო. უთხარი, რომ ვთხოვ იმას მოსვლას ჩემთან, თუ საქართველოსთვის კეთილი უნდა.

— რას მეუბნები, დედა-კაცო?! მითხარი რამე, ასე ვერ წავალ.

— არა, შვილო, შენთვის არ იქნება თქმა. შენ დროს ნუ ჰკარგავ, ჩქარა წადი. საქართველოს ბედი ეხლა შენზე არის დამოკიდებული! — და ის ყმაწვილი თითქმის ძალად გამოაგდო კარში.

— მაშ, რა ვქნა, რა უთხრა ვეზირს?

— უთხარი, რო თითონ მოვიდეს. საჭირო არის-თქო!

ყმაწვილი მაშინვე შეჯდა ცხენზე და გასწია უკან.

გულის ვარდი ჩაფიქრებული შემოვიდა შინ და მლოდნელნი ყველანი დაითხოვა. უთხრა, რო მისულიყვნენ ხვალ. იმავ დღეს გავარდა ქალაქში ხმა, რო ჯარიდგან მოვიდა კაცი ვარდოსთან საკითხავად და იმის შემდეგ ვარდუა დაჯავრიანდაო.

— აბა, ჩემო თავო, — ფიქრობდა ვარდო, — აბა, ეხლა მო-

ვიდა დრო შენი შურისძიებისა... აბა, თუ შეგიძლიან რამე, ახლა შეგეტყობა. ჰოი, წყეულ იყავ, დურმიშხან! რისთვის დამღუპე მე საწყალი! რა გინდოდა ჩემგან, რა დაგიშავე, რისთვის ჩამაყენე ამ მდგომარეობაში?! საწყალო ჩემო თავო! დაღუპულო ხორცით, სულითაც უნდა დაიღუპო, — და დაიწყო საწყალმა ტირილი მწარეთ.— აი, შე ლაჩარო ჩემო თავო! შეგეშინდა? — ცოტა ხანს შემდეგ ისევ დაიწყო ლაპარაკი: — აბა, შენი გულის მკვლელი ჩაგივარდა ხელში, აბა, რა წვალებას მოუგონებ. იმის სიკვდილი? ცოტაა იმისთვის. დეე ეწვალოს ისე, როგორც მე ვეწვალე ამ ოც წელიწადში.

ვეზირს როგორც კი მოახსენეს ამ მკითხავის პასუხი, მაშინვე შეჯდა ცხენზე და შინაც აღარ მიბრუნდა, ისე პირდაპირ მივიდა ვარდუასთან.

— აბა, ჩემო საყვარელო, მიკითხე რა უნდა ქნა?

— შენ ბრძანდები ვეზირი?— ჰკითხა იმას ვარდუამ.

— მე ვარ.

— აბა, თუ შენ ბრძანდები და... პასუხის გებაც შენა გაქვს ბევრი. საწყალო ბატონო! რა ავ დროს გრგებია შენ ვეზირობა. ღმერთო! რას ვხედავ! წყეულნო, უსჯულონო, სად მოსდიხართ, რა გინდათ ჩვენი საწყალი საქართველოსაგან? ღმერთო, რა დავაშავეთ და შეგცოდეთ, რისთვისა გვსჯი ასე საშინლათ? ვაი, ვაი, რამტენი მოდიან! ღვთის მშობელო დედაო, შენ დაგვიხსენი. ღმერთო! ჰხოცენ, აი, დედებს ართმევენ შვილებს და ქათამივით ჰკვლენ, ნუ მისცემ, საწყალო ქალო! ნუ მისცემ შენ შვილს. ოჰ! წაართო წყეულმა, უშველე, ბატონო, უშველე, თორემ დავიღუპებით!

— რა ვქნა, მითხარი! — ოცნებით უთხრა ვეზირმა.

— აი, ვხედავ, — განაგრძელა ვარდუამ: — უსჯულოთ ჯარი შემოეხვია ჭინჭველასავით სურამის ციხეს. ჩქარა, ჩქარა ააშენეთ, მხოლოდ ის დაიჭერს ჯარს. თუ რო ის არ არის, აქ მოვლენ. ღმერთო, რა მოგვივა მაშინ! შენი წვრილშვილი მაინც შეიბრალე, ბატონო, შენი წვრილშვილი, ნუ დაახოცინებ უსჯულოთ, — და ვარდუამ დაიწყო ტირილი.

მართლა ტიროდა თუ ტყულად, არ ვიცი. ოცდაერთ წელიწადში ისწავლა ისეთი აქტიორობა, რო ღმერთმა შეარცხ-

ვინოს ამასთან ეხლანდელი განთქმული აქტიორები.

— რა ვქნა? რა უნდა ვქნა? მითხარი ჩქარა! — უთხრა ვეზირმა.

— უნდა როგორმე ააშენო სურამის ციხე.

— აკი ვაშენებ, მაგრამ მექცევა და რა უყო?

— ამოყარე ის საძირკველი, რომელიც ჩაგიყრია, ორ ადლზე კიდევ მოთხარე, გაანათლინე მღვდელს, მაგრამ... ეს რას ვხედავ? ღმერთო, შენ დამიხსენ! ბატონო, ამოიღე ხმალი და აქვე მომკალ, მადლი იქნება შენთვის. ო, წყეული იყოს ის დღე, რა დღესაც მე მკითხაობა დავიწყე! ბატონო, ნუ გაიგონებ, რასაც გეტყვი. არა, გაიგონე, კარგა ყური დამიგდე, რასაც გეტყვი, საჭიროა, რო იცოდე იმის ასრულებაზე ჰკიდია საქართველოს ხსნა, საქართველოს გამარჯვება.

— მითხარი, შენი ღვთის გულისთვის, მითხარი ჩქარა!

— ციხეში, ხურდის მაგიერად, დედის ერთა ვაჟი უნდა დაატანოთ: დურმიშხანის ვაჟი, ზურაბი.

— როგორ თუ ვაჟი? როგორ თუ ზურაბი? რას ამბობ, დედაკაცო?! — შეკრთომით ჰკითხა ვეზირმა.

— ზურაბი, დიახ, ზურაბი უნდა დაატანო კედელში! უიმისოდ კედელს ვერ ააშენებ! ო, დედამიწავ, გასკდი და ჩამიტანე, რომ ამისთანა სიტყვა ჩემი პირიდგან ამოვიდა! შე საწყალო დედაჩემო, რათა მშობე ქვეყნის საწყევად?!

— რათა, დედავ, შენ რასაცა ხედავ, იმას ანბობ, შენი რა ბრალია, — დაღონებით უთხრა ვეზირმა და საშინლად ჩაფიქრებული გამოვიდა იქიდგან და შინაც აღარ მიჰხედა, ისე წავიდა უკან.

— კარგს ძღვენს არ მიუტანს ჩემს დურმიშხანს ვეზირი! ნეტავი იკითხოს მაინც, ვინ გაუგზავნა, დეე გაიგოს, რაც შეუძლია საწყალ გოგოს. სუ! ჩემო გულო! ოცი წელიწადი მეტია, ღმერთს გავეყარე, რას მაშინებ მე იმითი!

VII

მიდის ჩვენი ვეზირი სურამს საშინელი ჩაფიქრებული და დაღონებული. მზე კი მხიარულად იყურება, თითქო იცინის

კაცის მწუხარებაზე. ვითომც არაფერი კავშირი არ აქვს კაცთა ცხოვრებასთან. ვეზირი რო მივიდა სურამს, იმავე დღეს გასცა ბრძანება, რო იმავე დღეს ძველი საძირკველი ყოფილიყო სულ ამოყრილი და საძირკველი მოთხრილიყო კიდევ ორ ადლზე. ბრძანება, რასაკვირველია, მაშინვე აღასრულეს და მეორე დღეს, შემდგომ პარაკლისის გადახდისა, ჩაყარეს ახალი საძირკველი და ამოიყვანეს მიწის პირდაპირ. საქმე მივიდა იქამდინ, როცა ვეზირს უნდა გამოეცხადებინა უკანასკნელი რჩევა მკითხავისა.

ძნელია ოდესმე ვალდებულება უპირატესთა ამა ქვეყნისათა. რა სიხარულით დაუტოვებდა საწყალი ვეზირი თავის თანამდებობას, ოღონცკი იმას ნუ გამოაცხადებინებდნენ და ნუ გარევდნენ ამ საშინელ საქმეში. მაგრამ რა ქნას? მამული არის განსაცდელში, ჩუმად უნდა იყოს გული, სჯობს ერთი მოკვდეს მამულისთვის, სანამ დაიხოცნენ ათასნი. ამ ფიქრებით გამაგრებულმა ვეზირმა დაუძახა ოსტატებს.

— რასაც გიბრძანებთ თქვენ, ბერო, უნდა აასრულოთ დაუყოვნებლათ, — უთხრა იმათ. — ვინც ჩაფიქრდება, ან აუკანკალდება ხელი ასრულების დროს, ის მაშინვე ჩემი ბიჭებიდგან მოიკვლება. გესმით?

— გვესმის, შენი ჭირიმე, — უთხრეს ოსტატებმა.

— წადით, ახლა ამის მეტი სათქმელი არა მაქვს-რა. შენ კი, ბერო, აქ მოიცადე, — უთხრა ვეზირმა ოსტატების უფროსს.

— მიბრძანე, შენი ჭირიმე.

— სასიამოვნოს არას გეტყვი, ჩემო ბერო, — უთხრა იმას ვეზირმა, — რაც უნდა გითხრა ისე საშინელია, რო ვერც-კი მითქომს.

— რა უყოთ, შენი ჭირიმე! სასიამოვნოა თუ არა, — მიბრძანე, შენი ჭირიმე, და თუ იმის ასრულება ჩემზე ჰკიდია, კარგად მოგეხსენება, რო თავს არ დავზოგავ.

— კედელში ცოცხალი კაცი უნდა დავატანოთ! — სიჩქარით ჰსთქო ვეზირმა.

— ნუ მიბრძანებ, შენი ჭირიმე, — შეკრთომით წამოიძახა ბერომ.

— რა ვქნა, ძმაო, მამულის კეთილ-მდგომარეობა ითხოვს ამ

მსხვერპლს, უიმისოთ ციხეს ვერ ავაშენებთ. ერთი სიტყვით, მზათ იყავი! ახლა-კი წადი.

— ღმერთო! ცოცხალი კაცი კედელში! — ჩაფიქრებით სთქო ოსტატმა, გამოდიოდა რა ვეზირიდგან.

ვეზირმა კი დაიბარა, ვინც თავადიშვილები იყვნენ, და გამოუცხადა რა ყოველივე, იმათაც უბრძანა რამტენსამე, რო იმათ მიეყვანათ საცა უნდოდა, ზურაბი, ხელი ეტაცნათ, შეეკრათ და მიეცათ კალატოზებისათვის. ხოლო სხვათა უთხრა, რომ ამ დროს ჯარი მზად ყოფილიყვნენ და შემოხვეულიყვნენ იმ ადგილს, საცა მოხდებოდა ეს საქმე.

შემდგომ რამტენიმე ხანისა, ზურაბი მკვდარივით ყვითილი, ხელებშეკრული იდგა კედელში და კალატოზები სიჩქარით აშენებდნენ იმის გარშემო კედელსა.

— ღმერთო! რა დავაშავე, რისთვის მმარხავთ ცოცხალს! — დროითა და დროით ამოიძახებდა ხოლმე ზურაბი დაოსებულის ხმით.

კეთილი თქვით, თორემ ავი ხმა ჩქარა გავარდება ხოლმე ქვეყანაზე. ზურაბი არ ამოეშენებინათ მუხლებამდისინ, რო იმის დედა მორბოდა ციხისაკენ თმაგაშლილი.

— არიქა, მაგრა შეკარით, არ დაანახოთ საწყალ დედაკაცს! — დაუძახეს ჯარს.

— გამიშვით, თქვენი ღვთის გულისთვის, გამიშვით. შვილო, ზურაბ, სადა ხარ! ვის რა დაუშავე, რას გემართლებიან, გენაცვალოს დედა! გამიშვით, ქრისტიანი ვინა ხართ, ჩემ შვილთან! იმასთან დამმარხეთ, იმასთან მომკალით!

— ნუ გეშინიან, დედი, არ მოჰკლამენ; გულადობაში უნდა გამოსცადონ! — უთხრა ერთმა ჯარისკაცთაგანმა დაღონებით.

— გამიშვით ჩემ შვილთან! გამიშვით ჩემ ზურაბთან! — იძახოდა ზურაბის დედა და მიიწევდა იმასთან.

ზურაბმა გაიგონა დედის ხმა:

— მიშველე, დედი! შენს ზურაბს ცოცხლად მარხამენ! — დაუძახა დედას ზურაბმა.

— შვილო, ზურაბ, სადამდინ?

— ვაიმე, დედავ, მხრებამდინ! — უპასუხა ზურაბმა.

— კარგი! არ ეყოფა? არ შეიტყევით იმისი გულადობა?

მომეცით შვილი, მომეცით ჩემი ზურაბი! შვილო, ზურაბ, სადამდინ?

— ვაიმე! დედავ, გავთავ... — აღარ დაასრულებინეს და მსწრაფლ დააყარეს რამდენიმე თაბახი კირი.

— ვაიმე! — შეჰკივლა ზურაბის დედამ და მკვდარივით დაეცა დედამიწაზე.

გულშეწუხებული წაიღეს საწყალი შინ და თითქმის გამოვიდა სამი საათი, რო ძლივს მოაბრუნეს გულწუხილიდგან.

— ახ, ნეტავი-კი მომაგონა! რაღაც დამავიწყდა, ქა! — ჰსთქო საწყალმა ზურაბის დედამ, გულწუხილიდგან რო მობრუნდა, და გაიღიმა ერთი იმ ღიმილით, რომელიც ტირილს უფრო მიემსგავსება, სანამ სიცილს. საცოდავი შეჰსცდა ჭკუაზე.

— შე საწყალო, რაღა უნდა მოგაგონდეს, შენი ზურაბი ცოცხალი დამარხეს! — დაიწყო ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა და მოაძახა ტირილით.

— ახ, ნეტავი-კი მომაგონა! — ჰსთქო ზურაბის დედამ და თავისი ამღვრეული თვალებით უაზროდ შეხედა იმ მოხუცს.

ამ დროს დურმიშხანი მოდიოდა შინ ფრიად დაღონებული და გულშეკრული, თუმცაკი არა ჰქონდა იმას სწორე მიზეზი ჭმუნვისა. სასარგებლოთ გაათავა თავისი ვაჭრობა, ჯიბე აივსო ფულით, მოდიოდა ცოლ-შვილში. რომელიც არ იყო რო უყვარდა, უმეტესად შვილი, ვგონებ, რო არა ჰქონდა მიზეზი ჭმუნვისა, მაგრამ ამბობენ, გული მისანიაო.

დურმიშხანი რო მოახლოვდა სურამს და დაინახა სურამის ციხე თითქმის გათავებული, ჰსთქო თავის გულში:

— ეტყობა, აღარ ხუმრობენ, შენმა მზემ! შეხედეთ, რამოტენი ციხე აუშენებიათ, ეტყობა, რო საშინელი ომი უნდა იყოს. ახლა თუ გინდ მთა-მთას ეხალოს, მე ჩემი საქმე გავათავე. ნეტავ ვინ იქნება ამ ციხის კეთებაზე ზედამხედველი? ნეტა ზურაბმა დაჰპატიჟა? უნდა ეთხოვნა ჩვენსა დამდგარიყო, შემდეგ გამოადგებოდა, მაგრამ უჩემოთ ვერ გაბედამდა. ჯერ ყმაწვილია, არ იცის ანგარიში. ეხლა მე რო მივალ, ჩემ მისვლაზე გავაკეთებ სადილს, დავპატიჟებ და გავიცნობ, ვინც გინდა იყოს. ერთი კარგი სტამბოლური ნივთი რამ რო მივართო ფეშქაშათ, მაშინ ხო სულ დავავალებ.

ამ ფიქრებით დურმიშხანი მიადგა თავის სახლს. მოსამსახურეებმა და რამტენთამე კაცთა იმ სოფლის მცხოვრებთა დაღონებით მიიღეს ის. რა არის ეს? უწინ რო მოვიდოდა ხოლმე, სულ ყველანი, დიდი და პატარა, მოეგებებოდნენ იმას მხიარულათ, არ იცოდნენ, ვის ცხენი გამოერთო, ვინ მიშველებიყო ცხენითგან ჩამოსვლის დროს. ახლა-კი თუმცა მიეგებნენ, მაგრამ რა არის ეს კაეშანი? დურმიშხანმა რო დაინახა ეს, თავზარი დაეცა, ის დარწმუნდა, რო სახლში მომხდარიყო უბედურება რამე.

— რა ამბავია, ხომ მშვიდობაა შინ? — ჰკითხა იმან მომგებთა შეკრთომით. — ჩემი დედაკაცი სად არის?

— მიბრძანდით შინ, შინ გახლამსთ! — უპასუხეს მათ დაღონებით. დურმიშხანი შევიდა შინ. სახლში, დედამიწაზე გაშლილ საფენზე იჯდა რამტენიმე მოხუცებული დედაკაცნი შავებით და შუაში უჯდათ დურმიშხანის ცოლი. უკანასკნელი იყო გართული რაღაც აზრით, ჰსჩანდა, რო ცდილობდა რიღისაც მოგონებას. აქეთკენ იდგა მღვდელი ოლარით და ჯვრით.

დურმიშხანმა რო დაინახა ყოველივე ესე, გახდა მკვდარივით, საშინელმა სიყვითლემ გადაჰკრა პირისახეზე და დასუსტებული მიეშო ტახტზე.

— რა არის ჩემ თავს? მითხარით ჩქარა! — წამოიძახა ტირილით, — მითხარით ჩქარა! ნუ მიკლავთ გულს!

იმას კიდევ რიღისიც იმედი ჰქონდა. როგორღასაც დარწმუნებული იყო, რო ეს უბედურება არ ეკუთნოდა იმის ზურაბს...

დედაკაცებმა უთხრეს ტირილით ყოველივე სიმართლე და დურმიშხანი იმ წუთს მოხუცდა თითქმის ათი წლით.

— დედაკაცო, რა უყავ ჩემი შვილი?! რა უყავ ჩემი ზურაბი? რატომ იმასთან არ მოჰკვდი, შენს საყვარელ ზურაბთან! ვაიმე, შვილო, ზურაბ! ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლევ! იქნება ამხანაგებმა გიმტრეს, შვილო, შენ ისე სჯობდი იმათ, შვილო! რატომ არ უთხარი, რო მოხუცებული მამაშენი მოეკლათ, შენთან რა უნდოდათ, ჩემო თვალის სინათლევ! ვაი, ჩემს დღეს!

— გამხნევდი, დურმიშხან, — დაიწყო დარიგება მღვდელმა,

— შეხედე შენ მაცხოვარს, რამტენი ტანჯვა მიიღო შენთვის, მოიგონე, რო არის სხვა სიცოცხლე, — სიცოცხლე საუკუნო, სადაც ნახამ და ყოველთვის ერთად იქნებით შენ ზურაბთან.

— დედაკაცო! რა უყავი ჩემი ზურაბი? რატომ არ გაუფრთხილდი. მითხარი ჩქარა: სად არის ჩვენი ზურაბი? — ტირილით ჰკითხა ცოლს დურმიშხანმა და გამოსწია კაბის სახელს.

— ახ, ნეტავი მომაგონა! დამავიწყდა, რაღაც უნდა მეთქო, — უპასუხა იმან და შეხედა თავის ამღვრეული თვალებით.

— ვაიმე, ოჯახო, დაქცეულო? — განაგრძელებდა დურმიშხანი, — ეს რა მომსვლია! ვის რა ვაწყინე, რატომ მე არ მომკლეს, რატომ მე არ წამართვეს ჩემი სიმდიდრე, იმან ვის რა დაუშავა, უმანკო ტრედმა. ვაიმე, შვილო ზურაბ! რად მოგადგა, შვილო, ეს დღე?! სწორე სიკვდილი არც-კი გელირსა, სწორე დამარხვა. ცოცხალი დაგმარხეს, შვილო! ვაი ჩემს სიცოცხლეს!

— კარგი, გეყოფა, დურმიშხან, განა არ იცი, რო მწუხარებით არას მოუმატებ! — არიგებდნენ იმას რამდენიმე პირი.

— დაიცა, შვილო, თუ ცოცხალი ვარ, ვიპოვნი შენ მტერს, ვიპოვნი იმას, ვინც ეგ დღე დაგაყენა შენ, და ვაი იმის სიცოცხლეს.

— მაცხოვარი ჩვენ გვიწერს მტერთა მიტევებას, — უთხრა მღვდელმა, — თითონ მოგვცა მისი მაგალითი; ის ჯვარზე ლოცულობდა თავის მტერთათვის.

მაგრამ მღვდლის სიტყვანი აქ იყვნენ ამაო. იმ დროსვე დურმიშხანმა დააწყო ფიქრი, რო ხვალე უნდა წასულიყო იმ მკითხავის მოსაძებნათ, რომელსაც მიეცა ის საშინელი დარიგება ვეზირისათვის, რომლისაც მსხვერპლი გახდა იმის ზურაბი, და იმისათვის გამოეკითხა ამისი მიზეზი.

მართლა-და არც იგლოვა ჩვენებურად, არც საყდარს გავიდა ჩვეულებრივ, როგორც ეკუთვნოდა დარბაისელ ოჯახის შვილს, არც წირვა უყო თავის ზურაბს! დურმიშხან ისევ შეჯდა მეორე დღესვე ცხენზე და გამოსწია აქეთკენ. როგორც-კი ჩამოვიდა აქ, მაშინვე იკითხა ვარდუა მკითხავის სახლი. ვარდო იმ დროს ისე განთქმული იყო მთელ ქალაქში, რო

თითქმის პატარა ბავშვებმაც-კი იცოდნენ იმისი სახელი და იმისთვის, რასაკვირველია, პირველმავე შემხვედრმა ასწავლა დურმიშხანს იმისი სახლი.

დურმიშხანი მივიდა.

— დაიწყო, ყმაწვილებო, ქუხილი, ჭექა და მეხი. მოემზადენით! — დაიძახა დაცინვით ალექსიმ.

— წყეული იყავ, მეფისტოფელო! — უთხრა იმას სიკომ, რომელიც სჩანდა, რო დიდი გულისხმის მიმდევნებით უგდებდა ყურს, — თქვი კაცო!

დურმიშხანი მივიდა და იკითხა ვარდო, დურმიშხანს აჩვენეს ვარდუა. რასაკვირველია, ვერც ერთმა ვერ იცნეს ერთმანეთი, ისე გამოცვლილიყვნენ ორივე შემდგომ გაყრისა.

— არ შეიძლება ცალკე მოგახსენო რამე? — უთხრა იმას დურმიშხანმა.

— რატომ, აი, ეხლავ გავათავებ და გიახლები, — უპასუხა ვარდუამ.

— თუ შეიძლება, დაითხოვე სულ ყველანი, მე ბევრი სალაპარაკო მაქვს შენთან, — უთხრა დურმიშხანმა ამღვრევით.

— ბატონი ბრძანდებით, — უპასუხა ვარდუამ. იმან არ უგდო ყური იმის ამღვრევას, იმიტომ, რო ბევრი შეხვედრიყო იმას ნახვა იმისთანა მაგალითისა.

შემდგომ რამტენიმე წუთისა, ვარდო და დურმიშხანი შეიყარნენ ერთათ ცალკე ოთახში.

— მიბრძანე, ბატონო, — დაიწყო დურმიშხანმა, — შენ უკითხე ვეზირს, რო ჩემი შვილი დაეტანებინათ სურამის ციხეში?

ამ ლაპარაკში ვარდომ გააპარა ხელი და გამოიღო პატარა ხანჯალი მუთაქის ქვეშითგან.

— მე უკითხე, — უპასუხა ვარდომ სრულებით მშვიდად.

— რათა?! შე წყეულო, რათა? რა დაგიშავა?

— დურმიშხან, აბა შემომხედე! ვერ მიცნობ? შენ მომიკალ გული, მე მოგიკალ შვილი! ეხლა გავსწორდით!

— ოჰ! შე წყეულო, გულისვარდო, შენ ხარ? — თქვა დურმიშხანმა ჩუმათ, მივარდა და ყელში წაუჭირა ხელები. სიმწარით აღარ მოაგონდა, რო მოეხმარა სხვა იარაღი.

— მოდი, ჩემო დურმიშხან, ოცი წელიწადია, ამ დღეს ველი!

— ჰსთქო ვარდუამ, მოეხვია და ბეჭებში ჩაურჭო ხანჯალი.

რამტენიმე საათს უკან მოსამსახურეთ ეპოვნათ ესენი მკვდარნი, მიწოლილნი ტახტზე, როგორც ორი საყვარელი, მოხვეულნი ერთმანეთსა. ეტყობოდა, რო არც ერთი მათგანი არ ცდილიყო სიკვდილისაგან დაცვას.

დურმიშხანის ცოლს, ზურაბის დედას, შემდგომ შეცდენისა, შეუყვარდა სურამის ციხესთან სიარული. მივიდოდა ხოლმე საწყალი, იდგა, იდგა, ფიქრობდა რაღაცას და შემდგომ გულის მოსაკლავი დაღონებით იტყოდა: — ახ, ნეტავი კი მომაგონა... დაღონებულივე წამოვიდოდა შინ. ესე გაიარა თითქმის სამმა წელიწადმა. შიშმაც გადაიარა ისე, როგორც ხანდახან გადაივლის ხოლმე ქუხილი. ქუხილი ბევრი იყო, წვიმა სულ არა. ზურაბის დედამ ერთხელ, როდესაც ჩვეულებრივ იდგა სურამის ციხის წინ და ფიქრობდა, მსწრაფლ დაიძახა საშინელის ხმით: — ვაიმე, შვილო, ზურაბ! — და შეუწუხდა გული. დასუსტებულმა სხეულმა ვეღარ აიტანა ის გულის წუხილი. საწყალი მოკვდა, დამარხეს ისე, როგორც ეკუთვნოდა დამარხვა ერთს მათგანსა, რომლისაც შვილმაც ესე საშინლად შესწირა თავი მამულს.

ამბობენ, ვითომ იმ ადგილს, საცა დატანებული იყო საწყალი ზურაბი, სურამის ციხე არის ნოტიო და ცრემლივით ჩამოდის წვეთი და თითქმის აქამდისინ მთვარიან ღამეში გამოდიოდა ერთი თმაგაშლილი დედაკაცი შავის ტანისამოსითა და ტირილით მოსძახოდა:

სურამისა ციხე,
სურვილითა გნახე,
ჩემი ზურაბ მანდ არის,
კარგად შემინახე!

იაკობ გოგებაშვილი

იავნანამ რა ჰქმნა?

სამშობლო ღვინისა

თბილისიდან რომ აღმოსავლეთისკენ წახვიდე, ერთის დღის მოგზაურობის შემდეგ მიადგები ერთს გრძელს მთასა, რომელსაც ჰქვია ცივი. ამ ცივის მთაზე რომ ახვიდე და იქით, აღმოსავლეთისაკენ გადაიხედო, შენ თვალწინ, ქვემოთ გადაიჭიმება ვეებერთელა ვაკე, რომელსაც ჰფარავს მთელი მწვანე ზღვა ვენახებისა და ზვრებისა. ამ ვაკის ზედ შუა წელზე დაინახავ გრძელ ლაპლაპა ზოლსა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გავლებულს. ეს სწორი ვაკე არის კახეთის ველი, ლაპლაპა ზოლო კი მდინარე ალაზანი, რომელიც კახეთს ჰყოფს ორს — თითქმის თანასწორ ნაწილად; აქეთა ნახევარსა ჰქვიან გამოღმა მხარი, იქითას — გაღმა მხარი. გაღმა მხარს საზღვრად უძევს აღმოსავლეთით დიდი და მაღალი მთები და ესენი ჰყოფენ კახეთს დაღესტნისაგან, რომელიც იწყება ამ მთებს იქით.

თუ გაღმა მხრისაკენ თვალს დააკვირვებ, ერთს ადგილას მთის ძირში გაარჩევ დიდს ღელეს, ღრმად შევარდნილს მთაში. ეს ღელე ახლა სახნავ-სათესი ადგილია. მაგრამ რომ ახლო მიხვიდე და კარგად გასინჯო, მიწების მიჯნებზე და განაპირას ადვილად შეამჩნევ ქვიტკირის ნაშთებს. ეს ნაშთები უტყუარი ნაშთია იმისი, რომ ეს ადგილი ნასოფლარია.

დიახ, ძველს დროში სწორედ ამ ადგილას ჰყვაოდა კარგა მოზრდილი სოფელი, რომელსაც ვაშლოვანი ერქვა. დასავლეთით ამ სოფელს ერტყა ზვრები და ვენახები, ხოლო აღმოსავლეთის მხრივ ის თითქმის ეხებოდა ხშირსა და აყრილს ტყესა, რომლითაც შეფენილი იყო მთა. ამ ხშირის ტყის წყალობით შიგ შუაგულს სოფელში მიწიდან შადრევანივით ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელი სოფლისა. შენობანი სოფლისა სულ ქვიტკირისანი იყვნენ და მოწმობდნენ, რომ სოფელი შეძლებული იყო. მართლაც მაშინ ვაშლოვანმა და მთელმა კახეთმა არ იცოდა, რა იყო ვაჭრის ვალი, რომელშიაც ახლა კახეთი ჩაფლულია.

ვაშლოვანის ნაპირს, აღმოსავლეთით, ტყის ახლო იდგა მშვენიერი ორსართულიანი სასახლე, ირგვლივ შემკული ლამაზი მოაჯირებით. ეს სასახლე ეკუთვნოდა თავად ზურაბ ქართველაძეს, რომელიც განთქმული იყო მთელს კახეთში თავისი სიმდიდრითა და პურადობით. ცოლად მას ჰყავდა ქართლიდან მოყვანილი ქალი მაგდანი. აგებულობით სუსტი, მაგდანი იყო სწორედ ოქროს გულის პატრონი. მათს სახლში ყოველდღე იმდენი საჭმელი კეთდებოდა, რომ ორ-სამ სახლობას ეყოფოდა, მაგრამ ხშირად დააკლდებოდა ხოლმე საჭმელი და გაუმაძღარნი რჩებოდნენ. ამის მიზეზი იყო მეტად კაცთმოყვარე გული მაგდანისა. ის უხვად უგზავნიდა თავის სახლიდან სანოვაგეს ყოველს ავადმყოფსა, ღარიბსა და გაჭირვებულს. ამასთან მაგდანს ჰქონდა საოცარი ხმა და განთქმული იყო მთელს იმ მხარეში თავისი მშვენიერი სიმღერით. მისი ხმა და სიმღერა ისე ღრმად მიდიოდა კაცის გულში, ისეთს სიამოვნების ჟრუანტელს დაასხამდა, რომ ვინც კი მას მოისმენდა, თავის სიცოცხლეში აღარ დაავიწყდებოდა. ზურაბმაც მშვენიერად იცოდა თარზე დაკვრა. როცა ქმარი უკრავდა თარზე და ცოლი დამღეროდა, ყური ამაზე უკეთესს ვერას გაიგონებდა.

ზურაბი და მაგდანი სულ ხუთი-ექვსი წლის ჯვარდაწერილნი იყვნენ. შვილად ჰყავდათ ერთადერთი ქალი — ქეთო, რომელიც მესამე წელიწადში იდგა. მეტად საყვარელი ბავშვი იყო ქეთო: ლამაზი, თეთრი, ბამბის ქულასავით, ცქრიალა, მხიარული, დაუღალავი მოტიკტიკე. ამასთან ქეთოს უყვარდა თავისი დედის სიმღერა, ხშირადაც ამღერებდა და სულგანაბული ყურს უგდებდა მთელი საათობით. კაცს სწორედ ჩასაყლაპავად მოუნდებოდა ეს ბავშვი. დედ-მამას მასზე ამოსდიოდა მზე და გაგიჟებით უყვარდათ.

ლეკები ჯახეთში

ვაშლოვანში და საზოგადოდ კახეთში მაშინდელს დროში ხშირად დაიარებოდნენ ლეკები. ძველის დროიდან დაღესტანსა და საქართველოს შორის ტკბილი განწყობილება არსებობდა, — დიდი მეგობრობა სუფევდა. ყოველს საქართველოს მტერს დაღესტანი მტრობას უწევდა. ყოველს საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა. არავის არ ახსოვდა, რომ ლეკები როდისმე საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხნათ ქართველებისათვის, ლეკები მტრად გაუხდნენ ქართველებს შემდეგში, როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და საქართველომ მართლმადიდებლის რუსეთისაკენ გაიწია. ძველ დროში კი დიდის პატივისცემისა და გულითადის მეგობრობის მეტი ქართველებს არა მოაგონდებოდათ რა. ამ მეგობრული მეზობლობის გამო ლეკები თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ კახეთში, უმეტეს წილად სავაჭროდ. გასასყიდათ გადმოჰქონდათ უფრო ნაბდეულობა და იარაღეულობა, რომლის კეთებაშიც განთქმულები იყვნენ.

სოფელ ვაშლოვანში დაიარებოდა კაი ხნიდან სავაჭროდ ორი ბაჯაჯგუნა ლეკი. ესენი ისე წყალწაღებულები იყვნენ, რომ თვითონ ლეკებსაც აბუჩად ჰყავდათ აგდებული. ამიტომ მათგან ცუდი საქმის გაბედვას არავინ არ მოელოდა, მაგრამ მალე მათ გაამართლეს ქართული ანდაზა: თავჩაღუნული კუდგაბზეკილიაო...

ერთხელ ერთმა ამ ლეკთაგანმა თავის ამხანაგს უთხრა:

— იცი, რა აზრი მომივიდა! რამდენი ხანია, რაც ჩვენ სავაჭროდ დავიარებით, მაგრამ რა გამოვიდა? ისევ ისეთივე ღატაკები ვართ, როგორც ვიყავით, ისევ ისეთივე ძაღლური ცხოვრება გვაქვს, როგორიცა გვქონდა. სხვაფრივ კი რომ მოვიქცეთ, ერთბაშად გავმდიდრდებით და მოვრჩებით ამდენ ვაივაგლახსა და ლაწლაწსა.

— როგორ? — ჰკითხა ამხანაგმა.

— ზურაბ ქართველაძე ხომ ძლიერ მდიდარია? — ჰკითხა მან.

— ჰო, მდიდარია, მაგრამ რას გვარგებს ჩვენ იმის სიმდიდრე? — უპასუხა იმან.

— გვარგებს, თუ ჭკუით მოვიქცევით. ამ მდიდარ კაცს ხომ გაგიჟებით უყვარს თავისი ერთადერთი ქალი?

— უყვარს, მაგრამ რა გამოვიდა მანდედან?

— ის გამოვიდა, რომ თუ ჩვენ იმ ბავშვს როგორმე მოვიტაცებთ და ტყვედ წავიყვანთ დაღესტანში, როგორ გგონია, ქართველაძე განა თავის შეძლებას დაიშურებს, რომ ტყვეობიდან დაიხსნას შვილი? ჰაი, ჰაი, რომ არ დაიშურებს.

ამხანაგსაც მოეწონა ეს აზრი და გადასწყვიტეს, რომ თვალი ადევნონ და რა წამს იგდონ ხელში მოხერხებული დრო, მოსტაცონ ჩუმად ქართველაძეს ქეთო და ტყვედ წაიყვანონ დაღესტანში.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სოფელს ვაშლოვანს აღმოსავლეთით ეკრა დიდი, ატეხილი ტყე. ამ ტყის პირას ხშირად სეირნობდა ხოლმე ქართველაძის სახლობა, რადგანაც სახლი იქვე ახლო ედგათ. ერთხელ, ქეთოს გამდელმა, საღამო ჟამს ამ ტყისკენ

გამოისეირნა და თან ჰყავდა პატარა ქეთოც. ტყეს რომ მიუახლოვდნენ, ბავშმა ხის ქვეშ ჩიტი დაინახა და გაექანა; ჩიტმა ისკუპა და იქით ხეებში გადაფრთხიალდა. ბავშვიც უკან დაედევნა. ამასობაში ქეთო კარგა შორს წავიდა ტყეში. გამდელიც უკან მისდევდა. უცებ საიდგანღაც გაჩნდა ლეკი, მივარდა ქეთოს, სტაცა ხელი, მეორე ხელი პირზე დააფარა და გაიტაცა. გამდელმა დაყვირება ვერ მოასწრო, რადგან ამ დროს მეორე ლეკმა თავში კეტი დაარტყა და უსუდგმულოდ დასცა მიწაზე. გატაცეს ქეთო და წაიყვანეს.

მდევარი

ქეთოს დედ-მამას ფიქრი არაფრისა ჰქონდათ. ეგონათ, მეზობლებში იქნებიან ჩვენი ქალი და გამდელი და თავის დროზე მოვლენო. როდესაც დაღამდა და გამდელი ბავშვით არსად იყო, შეფიქრიანდნენ და მეზობლებში გაგზავნეს მოსაკითხად, მაგრამ აბა რას იპოვიდნენ. ყველგან უთხრეს, რომ დღეს არც კი გვინახავს ისინიო. მაშინ შეშინებულმა დედ-მამამ ჩირაღდნებით დაუწყო ძებნა სოფლის გარემოში. დიდხანს ეძებეს და ბოლოს თავს წაადგნენ ტყეში გამდელს, რომელიც მკვდარივით ეგდო ხის ძირას. ღამის სიგრილემ და ხმაურობამ გონში ჩააგდო გამდელი და გამოაცოცხლა. ჯერ ხეირიანად არ გამორკვეულიყო, რომ შეშფოთებულმა და გაფითრებულმა მაგდანამ მიაძახა: — „ქეთო სადღა არის?“ გამდელმა სუსტი ხმით და შესვენებით უამბო, როგორ მოიტაცეს ლეკებმა ქეთო. ამის გაგონება და მაგდანის გულის წასვლა ერთი იყო. ზურაბსაც საშინელი თავზარი დაეცა, მაგრამ ვაჟკაცურად თავი შეიმაგრა, მწუხარებას სძლია და დაიძახა: — არიქა, მდევარიო!

მაშინდელს დროში ყველა ვაჟკაცს სრული თოფ-იარაღი ჰქონდა სახლში და გამოცდილი მეომარი იყო, რადგანაც გაჭირვების დროს საქართველოს მეფე ქუდზე კაცს დაიბარებდა

ხოლმე. ამიტომ ზურაბის დაძახების შემდეგ ერთი საათი არ გასულიყო, რომ მისი სახლის წინ იდგა ოცამდის ვაჟკაცი, თავით ფეხებამდის შეიარაღებული... სწრაფად გამოვიდა იარაღშივე ჩამჯდარი ზურაბი, მიესალმა და გაუძღვა წინ.

ღამე ღრუბლიანი და ძლიერ ბნელი იყო. მასუკან, რაც ლეკებმა ქეთო გაიტაცეს, კარგა ხანმა განვლო. დაღესტნისაკენ ტყეებსა და მთებში მისდევდა მხოლოდ ვიწრო ბილიკები და მთაზე სიარული ბნელ ღამეში ძლიერ ძნელი იყო ხამი კაცისათვის. ქეთოს მომტაცებელმა ლეკებმა ისე იცოდნენ ეს ბილიკები, რომ თვალდახუჭულსაც შეეძლოთ მათზე სიარული. ზურაბსა და იმის რაზმს კი აქეთ თითმის არ ევლოთ. ამიტომ ლეკებმა მთელი ღამე განუწყვეტლივ და დაუბრკოლებლივ იარეს, დიდს მანძილზე გაუსწრეს მდევარს, და მოტაცებული ქეთო მეორე დღესვე გადაიყვანეს დაღესტანში. ზურაბ ქართველაძე თავისი ამალით იძულებული შეიქმნა ხელცარიელი და საშინლად დაღონებული უკანვე დაბრუნებულიყო.

ქეთოს ნაიბი ყიდულობს

ლეკებმა პირველად ქეთო გაატარეს ერთს დიდს დაღესტნის სოფელზე, რომელიც იდო აქეთ ნაპირას, კახეთის საზღვრის ახლო. ამ სოფელში სცხოვრობდა ერთი მდიდარი ნაიბი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი დასავლეთის მხარე დაღესტნისა. მას ჰყავდა ცოლად ლეკისავე ქალი, შემკული ერთსა და იმავე დროს ვაჟკაცურის გამბედაობით და მეტად ნაზი გულით. ესენი იყვნენ დიდი ხნის ნაქორწილარი, მაგრამ შვილი კი არა ყავდათ, და გადაწყვეტილი ჰქონდათ, ვისიმე შვილი ეშვილათ.

საღამო ჟამი იყო, როცა იმათ სახლის წინ ლეკებმა ქეთო გაატარეს. ნაიბი და იმისი ცოლი კარაპანში ისხდნენ. მათ დაინახეს მიმავალი ორი ლეკი და ერთ მათგანს შეამჩნიეს ზურგზე გუდა, რომლიდანაც ბავშვის თავი და სახე სჩანდა. დაუძახეს თავისთან. ლეკები მოწიწებით მივიდნენ და თავი

დაბლა დაუკრეს, როგორც თავის ბატონს, მბრძანებელს. ლეკებს ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხეს. ამათ დატუქსვისა ეშინოდათ და ამიტომ მართალი დაუმალეს. — უთხრეს, რომ ეს ბავშვი გზაზე ტყეში ვიპოვნეთ და წამოვიყვანეთო.

პატარა ქეთო ცალკე დიდი ხნის მგზავრობისაგან და ცალკე შიმშილისაგან ძლიერ მისუსტებული იყო და ძლივსღა ახელდა თვალებს. მაგრამ ეს სისუსტე კიდევ უფრო საყვარელს ბავშვად ხდიდა მას. რაწამს ნაიბმა და მისმა ცოლმა ეს ბავშვი დაინახეს, მაშინვე გული ზედ შეუვარდათ. ნაიბის ცოლმა ჰკითხა ლეკებს: — რა მოგცეთ, რომ ეს ბავშვი ჩვენ დაგვითმოთო? — რა უნდა გვიბოძო, ქალბატონო, თუ გნებავთ, ფეშქაში გახლდეთო. ნაიბი ადგა, შევიდა სახლში, გამოუტანა ვეებერთელა ქისა, ოქროებით სავსე, და მისცა ლეკებსა. ქეთო გამოართვა ლეკს ნაიბის ცოლმა და მაშინვე გულში ჩაიკონა. ლეკებმა მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

დედობრივმა ალერსმა მალე მოასულიერა მიბნედილი ბავშვი. მას თუმცა ყველაფერი ეუცხოვა, მაგრამ, იმოდენა წვალების შემდეგ ბრიყვის ლეკების ხელში, ნაიბის ცოლის მისაყვარლება და ზრუნვა სწორედ შვებად ეჩვენა. პირველს ხანებში მაინც ქეთო ყველაფერზე გულცივად იყო და ხშირად სტიროდა, თავის დედ-მამას, სხვა შინაურებს და თავის სოფელს მოიგონებდა. მაგრამ ნაიბის ცოლი და იმისი ქმარი ისეთი სიყვარულით, მოფერებითა და ალერსით ექცეოდნენ ქეთოს, რომ მალე დაავიწყებინეს წინანდელი ყველაფერი.

ქეთო ლეკ-ქალად იქცევა

ბავშვი აწმდგომით სცხოვრობს, ის შეუწყვეტლივ ყოველდღე იზრდება, სულითა და ხორცით წინ მიდის, მატულობს, გრძნობს ამ თავის ზრდას, წინსვლას და ბედნიერია ამ გრძნობით. ის სრული სიხარულით შეჰხარის ცასა და დედამიწას, ბუნებას და ადამიანს. რადგან ბედნიერია აწმდგომით, ბავშვი არ ფიქრობს არც წარსულზე და არც მომავალზე. ამის გამო

წარსულის ნაშთი, ხსოვნა, მოგონება მის გულსა და გონებაში მალე სუსტდება, მკრთალდება და, თითქო სრულიად იშლება. აწმდგომი კი სრული ძალით მოქმედებს მასზე და იჭერს წარსულის ადგილს მთლად, განუყოფელად.

ქეთოსაც ეს დაემართა. ნაიბმა და იმისმა ცოლმა ისე შეაყვარეს ქეთოს თავი, რომ თანდათან ჩააქრეს მის სახსოვარში ღვიძლი დედ-მამის სიყვარული, მოგონება, სახე. ორი-სამი წლის შემდეგ ქეთოს თავის ნამდვილ მშობლად მიაჩნდა ნაიბი და მისი ცოლი: იმათით სცოცხლობდა, იმათით ჰხარობდა. ღვიძლი დედ-მამის კვალი თითქო მთლად წაიშალა მის ბუნებაში. ლეკურმა ენამ ცოტა-ცოტაობით, დღითი-დღე შეასუსტა ქართული ენა ქეთოში, დაიჭირა მისი ადგილი და ჩააქრო იგი. ლეკურმა სოფელმა ვაშლოვანის სახსენებელი ამოაგდო მისი გულიდან. ქეთო დიდხანს ჰგრძნობდა მხოლოდ ერთს დანაკლისს: მაგდანის მშვენიერი ხმა, დამატკბობელი სიმღერა ქეთოს ყურს აღარ ასიამოვნებდა. მაგრამ ესეც დაივიწყა, თუმცა ყველაზე გვიან. ერთი სიტყვით, აწმდგომი გამეფდა ქეთოს სულში და წარსული ჯერედ მკრთალი გახდა და მერე სრულიად გააქრო. ქართველი ქალი გადაიქცა ლეკ ქალად, კახეთის შვილი — დაღესტნის შვილად.

ამ სრულ გალაკებას ქეთოსას იმანაც მოუწყო ხელი, რომ ნაიბმა სასტიკი ბრძანება გასცა სოფელში: — არამც და არამც არავინ არ გაბედოს და ქეთოს ყურს არ გააგონოს, რომ ნაშვილარია და არა ჩვენი ღვიძლი შვილიო.

ამაო ცდა ქეთოს მამისა

რას ფიქრობდა და რას სჩადიოდა იმ დროს ქეთოს დედ-მამა? დიდხანს მათ არ იცოდნენ, რა უყვეს ლეკებმა ბავშვს. ზურაბს თავისი ქალი უფრო შუა დაღესტანში ეგულებოდა და იქ აძებნინებდა, რადგანაც მომტაცი ლეკები იქიდან იყვნენ. ამასობაში გავიდა სამი, ოთხი წელიწადი. ბოლოს ერთმა ნაცნობმა ლეკმა მოუტანა ამბავი, რომ ამა და ამ ნაიბს შე-

ნი ქალი ხელში ჩაუგდია, უშვილობია და ბრიყის, როგორც საკუთარ ქალსაო. ზურაბმა შეუთვალა ნაიბს, რომ ეგ ქალი ჩემი შვილია, მოტაცებულია ბუნაგი და ოთხივე დამიბრუნე უკან და, რასაც მთხოვ, მოგცემ ვარო. ნაიბმა შეჰთუთვალა პასუხად, რომ თუ თავდაბრუდებულად აცოდნოდა, რომ ეს ბავშვი შენი ქალია, მეთვითონ დაგიბრუნებდი. მაგრამ ახლა გვიანღა არისო. მეც და ჩემს ცოლსაც ძნე ამ ბავშვზე ამოგვდის, მასაც ძლიერ უყვარვართ, აქაურობაში გაჩვეულია, თქვენ სრულიად დავიწყებული ჰყეხართ, და ამიტომ ქეთოს ვერ დაგიბრუნებ, თუნდ მთელი კახეთის სიმდიდრე კარებზე დამიგროვოო.

ამისთანა პასუხის შემდგე ზურაბს შეეძლო თავისი ქალი დაეხსნა მხოლოდ ძალით, ან რაიმე ხერხით. დარჩენა კი ქეთოსი დაღესტანში აუტანელი იყო მისი დედ-მამისათვის, მითუმეტეს, რომ მაგდანს ქეთოს შემდეგ შვილი აღარ ეძლეოდა. ქართველაძე ბევრჯერ გაემგზავრა დაღესტნისაკენ ოციოდე შეიარაღებული ვაჟკაცით ქეთოს მოსატაცებლად, მაგრამ ტყუილად. ნაიბმა კარგა იცოდა წადილი და მეცადინეობა მისი და ამიტომ ყოველთვის გზაში დაახვედრებდა ხოლმე ჩასაფრებულ ლეკებს იმისთანა ადგილას, სადაც ერთი ჩასაფრებული ოცსა და ორმოც ვაჟკაცს გზას შეუკრავდა. სიმრავლეც ქართველების რაზმისა აძნელებდა შეუმჩნევლად მიახლოვებას ნაიბის სოფლამდის.

როცა ამ გზით ვერაფერს გახდა, ზურაბმა ხერხს მიჰმართა: ხმა გააგდო, რომ გულიდან ამოვიღე ჩემი ქალი და აღარ მწადია მოვტაცო დედობილსა და მამობილსაო. ეს ხმა მივიდა ნაიბამდისაც და მან ჯერ თუმცა ეჭვის თვალით შეხედა, მაგრამ მერე კი დაიჯერა, რადგან მთელი ორი წლის განმავლობაში ქართველაძის მხრივ ჩამიჩუმიც არ ისმოა. აქამდის ქეთოს დიდი სიფრთხილით უშვებდნენ კარში, ახლა კი, მაშინდელი დროის ლეკების სხვა ქალებივით, თავისუფლად დადიოდა ერთის უბნიდან მეორე უბანში თავის ნაცნობებთან. ეს ყველაფერი ზურაბმა კარგად შეიტყო ნაცნობი ლეკების შუამავლობით და თავდარიგს სხვანაირად შეუდგა.

დადგა სწორედ მეათე გაზაფხული მასუკან, რაც ქეთო მოიტაცეს ლეკებმა. ტყე ხშირად იყო შეფოთლილი და აადვილებდა შეუმჩნევლად მისვლას ნაიბის სოფლამდის. ზურაბმა მოიხმო ერთი იქაური ლეკი, დიდი ხნის ნაცნობი და პურმარილით დავალებული. გაიმძღვარა წინ და თან წაიყვანა მხოლოდ ათი შეიარაღებული ვაჟკაცი. მთელი მანძილი ისე ფრთხილად გაიარეს, რომ ერთი ლეკი არ დახვედრიათ გზაზე. მეორე დღეს საღამოს ჟამს მივიდნენ ნაიბის სოფლის პირად და ტყეში მოხერხებულ ადგილას დაბინავდნენ. ლეკი ჩუმად წავიდა იმ ღამეს თავის სოფელში, გაიგო და დილასისხამზე მეტად სამო ამბავი მოუტანა. ქეთო, თურმე, ყოველ დილით აივლიდა ხოლმე ერთი თავისი მეგობარი ქალის სანახავად. ეს ქალი იყო შვილი წინანდელი მოხუცებული ნაიბისა, რომელიც ამასწინათ გადაცვლილიყო. ყმაწვილი ქალი ძლიერ მწუხარე იყო მამაზე და ამიტომ ქეთო ყოველდღე დადიოდა იმის სანუგეშებლად.

ამოვიდა თუ არა მზე, ზურაბ ქართველაძე მივიდა გზის პირად, ამოეფარა ხეების ჯგუფსა და დაიწყო ცქერა იქითკენ, საიდანაც ქეთოს უნდა გამოევლო. ქართველაძის პირდაპირ გზის იქით ამართული იყო დიდი სერი, რომელიც იმ სოფელს ჰყოფდა ორად, ქვემო და ზემო უბნად. ქეთოს ქვემო უბნიდან უნდა ამოევლო ამ სერსა და ტყეს შუა და ასულიყო ზემო უბანში. ლოდინში კარგა ხანმა გაიარა, ასე რომ, ზურაბმა იფიქრა, ვაი თუ ქეთო სულაც არ ფიქრობდეს ზემო უბანში ავლასაო. მაგრამ აგერ შორს გამოჩნდა ქალი, ახლად შეღერებული, თამამად მომავალი და ლეკურად ჩაცმული. ზურაბი თვალებად გადაიქცა და გულის ცემამ მოუმატა. ქალი თანდათან მოუახლოვდა და ზურაბი ისე შეაცქერდა, თითქო თავისი მშიერი თვალით მისი შეჭმა უნდოდა. ქეთოს ცოტა იერი შესცვლოდა, გაზრდილიყო ბევრად დიდი თავის ხანზე, მაგრამ ფერი და პირისახე სულ პატარაობისავე, უწინდებური შერჩენოდა. მამის გული უზომო სიხარულით აივსო, როცა თავის ქეთო ისევ ქართველ ქალად იცონ. ქეთომ მიატანა იმ

ხეებს, რომელთაც ზურაბი ამოჰფარებოდა. ამან იდროვა და წინ გადაუდგა ფრთხილად, რომ არ შეეშინებინა. ქეთო შეკრთა, დაფრთხა და შველივით განზე გახტა.

— ნუ გეშინიან, შვილო, შენი მამა ვარ, მოვედი აქა, რომ დედასთან წაგიყვანო; შინა, — უთხრა ზურაბმა ტკბილი მამობრივი ხმით. ქეთო შიშით ისმენდა უცნაურს სიტყვებსა და ვერ გაეგო, რა უნდოდა მისგან ამ უცხო კაცს. ზურაბმა იფიქრა, თუ ლაპარაკში დრო დავკარგე, ვინმე მოგვასწრებს და საქმე წახდებაო; ამიტომ სწრაფად მივიდა ქეთოსთან, ფრთხილად დაავლო ხელი და გაიტაცა ტყისაკენ. ქეთომ შექმნა საშინელი წივილ-კივილი. სოფელში გაიგონეს ეს წივილ-კივილი, მაგრამ ვისი იყო ან საიდან მოდიოდა, პირველ ხანებში ვერ შეიტყვეს. სოფელი შეჩოჩქოლდა და რამდენიმე კაცი წავიდა ნაიბთან. ის სხვაგან იყო და ამიტომ დროზე ვერ შეატყობინეს. როცა უთხრეს ეს ამბავი, საშინლად შეწუხდა და სთქვა: უთუოდ ქალი მომტაცა ქართველაძემაო, და მდევარი დაიბარა. ფიცხლავ შეიკრიბა ოცდაათი შეიარაღებული ვაჟკაცი. ვაშლოვანისაკენ სამი გზა მიდიოდა. მდევარნი ნაიბმა სამად გაჰყო. ათი ვაჟკაცი გგზავნა ერთს გზაზე, ათი მეორეზე და ათიც თვითონ გაიდევნა მესამე გზაზე, სამივე რიგმა მდევარმა თითქმის ვაშლოვანამდე უწია მაგრამ ზურაბისა და ქეთოს კვალი ვერ მიაგნეს; ისინი, თითქოს მიწაში ჩაძვრნენ და გაჰქრნენ. საქმე ის იყო, რომ ზურაბმა თავისი ქალი ვაშლოვანისაკენ როდი წამოიყვანა, რადგანაც იცოდა კარგად, რომ მდევარი აქეთკენ დაედევნებოდა. ის დაადგა ჩრდილოეთის გზას, რომელიც კახეთის ზემო სოფლებისაკენ მიდიოდა. შორს მოვლა არჩია, რომ შინ მშვიდობით მისულიყო, მაგრამ ვაი ამ მშვიდობას.

ქეთო საშინლად იტანჯებოდა

რომ პირველ ხანებში ქეთო ვერც იცნობდა თავის მამას და მწუხარე იქნებოდა, ამის ფიქრი ჰქონდა ზურაბს. ხოლო ამასთან დარწმუნებული იყო, რომ ქეთო მალე მოვიდოდა გონსა, იცნობდა ჯერ თავის მამას, მერე დედასა, თავის ბავშვობა

მოაგონდებოდა და მოიმხიარულებდა, მაგრამ საშინლად მოტყუვდა. ქეთოს მწუხარებას მთელის მგზავრობის დროს საზღვარი არა ჰქონდა. მას განუწყვეტლივ ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები თვალებიდან და ისე ოხრავდა, თითქოს ლამობს გულ-ღვიძლი თან ამოატანოსო. მამა საშინლად იტანჯებოდა თავის ქალის ამისთანა მდგომარეობითა; ცდილობდა როგორმე გაექარვებინა მისი ნაღველი, მაგრამ ტყუილად. ყოველი მისი ალერსი ქეთოს მწუხარებას უფრო უმატებდა. ის უყურებდა ზურაბს, როგორც თავის მოსისხლე მტერს, რომელმაც მოაშორა საყვარელს დედ-მამას, სანატრელს სამშობლოს და სადღაც მიჰყავს ტყვედ. ამიტომ ყოველი მისი ტკბილი სიტყვა და თანაგრძნობა ლახვარივით ესობოდა გულში. ზურაბს ისღა ანუგეშებდა, რომ ეგება შინ მისვლამ მოიყვანოს ქეთო გონს, იცონს დედა, თავისი კარ-მიდამო, სოფელი და ჩვენსკენ მოუბრუნდეს გულიო.

ამ აზრით იყო ზურაბი დაიმედებული, როცა თავის სახლის კარები შეაღო, შეყვანა შიგ ქეთო და თავის ცოლს მხიარულად უთხრა: — „აი მაგდან, მოგიყვანე შენი ქეთო!“ — სიხარულისაგან გატაცებული მაგდანი გაექანა შვილისაკენ, მაგრამ სიმხიარულე სიმწუხრად გადაექცა, როცა დააცქერდა თავისი შვილის სახეს, რომელზედაც გამოუთქმელი ტანჯვა იხატებოდა. მაგდანმა მხიარულად ჩაიკონა გულში ქეთო, უნდოდა გაექარვებინა მისი მწუხარება, მაგრამ ამაოდ. ქეთო ყინულივით ცივად, ქვასავით უგრძნობლად იყო და არავითარი გავლენა არ იქონია მასზე მაგდანის მხურვალე დედობრივმა მიგებებამ და ალერსმა. არა, იქონია, მაგრამ სრულიად წინააღმდეგი მოსალოდნელისა მაგდანის ალერსმა ცოცხლად თვალწინ წარმოუდგა ქეთოს მისი დედობილის, ნაიბის ცოლის სახე და ალერსი. ვარამი უფრო კიდევ გაუძლიერდა და მდუღარე ცრემლის ნაკადული გადმოსკდა თვალებიდან.

— შენი მშობელი დედა ვარ, შვილო! ესეც შენი ღვიძლი მამაა, — ეუბნებოდა მაგდანი ქეთოს. — აი სახლი, რომელშიაც შენ დაიბადე, დაცუცუნებდი პატარაობის დროს, აი შენი პატარა აკვანი, რომელშიაც იწექი, აი შენი საყვარელი ბაღჩა, რომელშიაც დილიდან საღამომდის იჯექი.

მაგრამ ქეთოს აქაურობისათვის არც თვალი ჰქონდა და არც ყური. მისი გრძნობა და გონება მთლად, განუწყვეტლივ შეპყრობილი იყო ულრმესი დარდითა და ვარამითა. მაგდანი მაინც იმედს არ ჰკარგავდა, რომ ქეთო დღეს და ხვალ მოიგონებდა თავის პატარაობას, იცნობდა მშობლებს და დაუბრუნდებოდა მათ.

გავიდა რამდენიმე კვირა, და ეს იმედი დედ-მამას არ აუსრულდა. ქეთო თითქმის არას სჭამდა, სმითაც ცოტას სვამდა. ღრმად ოხრავდა, ხშირად სტიროდა და ღამითაც ძილი, მოსვენება არა ჰქონდა. ჩამოხმა, გაყვითლდა და მომაკვდავს დაემსგავსა. ის იჯდა ტახტზე ჩუმად, უმეტეს ნაწილად თვალებდახუჭული, და მისი გონება ფრინავდა იქ, დაღესტანში, ნაიბთან და იმის ცოლთან, თავის ტოლ-ამხანაგებთან და იქაურ სოფელთან. რაც გარშემო ერტყა, ყველა ეუცხოვებოდა, ყველას ითვალწუნებდა, ყველა თავის მტრად მიაჩნდა, ყველა ეჯავრებოდა, სძულდა. ბევრგვარი ხერხი იხმარეს, რომ მოეგონებინათ როგორე პატარაობა. დედამ რამდენჯერმე მიიყვანა ტყეში სწორედ იმ ადგილას, სადაც მოიტაცეს, მიიყვანა საღამოს იმ ჟამს, როდესაც მოიტაცეს. მიიყვანა წყაროს თავზე, სადაც ქეთო ხშირად იჯდა ხოლმე თავის გამდელთან და უყურებდა, როცა სოფლის დედაკაცები კოკებს ავსებდნენ, იკიდებდნენ მხარზე და მიჰქონდათ. აჩვენა ყველა მეზობლის ქალები, ქეთოს ტოლები, რომლებთანაც ის პატარაობისას ხშირად თამაშობდა, დაიბარა მისი გამდელი სხვა სოფლიდან, რომ ეგები ის მაინც ეცნო. აჩვენა მისი დედოფლები, რომლებიც ყუთში მთლად შენახული ჰქონდა, რამდენჯერმე მიაქცია ქეთოს ყურადღება ეკლესიის ზარის რეკვასა, რომელსაც პატარაობისას ქეთო ტაშის კვრას აყოლებდა, მაგრამ ვერც ერთმა ღონემ ვერ გასჭრა.

დედ-მამამ ქეთოს შეუკერა ისეთი მშვენიერი ქართული ტანისამოსი, რომ ყველა ყმაწვილ ქალს თვალი ზედ დარჩებოდა, მაგრამ ქეთომ ახლოც არ მიიკარა და კიდევ უფრო შეუყვარდა ამის შემდეგ თავისი ლეკური ტანისამოსი...

ბოლოს, ერთმა მეზობელმა უთხრა მაგდანს: — ქეთო შენ ძლიერ გგავს, სულ პირწავარდნილი დედაა. დადექ თქვენი

დიდი სარკის წინ და დაოყენე გვერდით ქეთო. ის ჩაიხედავს სარკეში, შეადარებს ორს სახეს, თავისა და შენს სახეში დიდ მსგავსებას ნახავს და იქნება მაშინ გეშველოთო. მაგდანმა ესეც სცადა, მაგრამ ამან ქეთო უფრო გააოცა, როგორც უცნაურმა ქცევამ მაგდანისამ. სახეებს ხეირიანადაც არ შეხედა და მსგავსებას ხომ სრულებითაც ვერ შეამჩნევდა.

ყმაწვილი ქალი დედ-მამას ხელიდან ეცლებოდა, უავამყოფოდ ჭკნებოდა, დნებოდა და სიკვდილამდე პატარა მაძილიღა ედო.

— არა, მე ველარ ვუცქერი ამ ბავშვის ამდენ ტანჯვას და წვალებას: თუ რამდენისამე დღის განმავლობაში პირი ჩვენსკენ არ იბრუნა, შევსვამ ცხენზე და ჩემი ხელით აუყვან ნაიბსა და იმის ცოლს. ეტყობა, ღირსეული ადამიანები ყოფილან, რომ აგრე შეუყვარებიათ თავი ჩვენ ღვიძლი შვილისათვის, — უთხრა ზურაბმა თავის ცოლს მაგდანსა.

ხოლო მაგდანი ესე ადვილად ვერ დასთმობდა ქეთოსა და მზად იყო, ისევ თავის ახლო დაემარხა თავისი ერთადერთი შვილი, ვიდრე გაეგზავნა ხელმეორედ და სამუდამოდ დაღესტანში.

იავნანამ რა ჰქმნა?

ამასობაში გავიდა აპრილი და დადგა მშვენიერი მაისი. პირველსავე რიცხვში ზაფხულურად მოიღრუბლა და გაჩნდა ჭექა-ქუხილი. საღამომდის იდინა ხშირმა და გამაცოცხლებელმა წვიმამ, საღამოზეკი ისე მოიწმინდა ცა, რომ ერთი ნაფლეთი ღრუბელიც არსად იყო. კამარა მთლად ბრწყინვალე ვარსკვლავებით მოიჭედა. დატრიალდა მეტად შეზავებული ჰაერი. უთუოდ ეს იყო მიზეზი, რომ ქეთოს იმ ღამეს მშვიდობიანად ეძინა. მეორე დღეს ადგა ცოტა მოღონიერებული.

შეუდარებელი დილა იყო: არემარეს კაშკაშა მზისაგან თავს დასდიოდა მთელი შადრევანი ბრწყინვალე სინათლისა და ამ

სინათლეს მცენარეებზე ათასფრად აებრჭყვიალებინა დილის ნამი. ტყე სავსე იყო ფრინველების გამაცოცხლებელი ჟივილ-ხივილით. ქართველაძიანთ ბაღში ვარდის კოკრები საამურად გადაშლილიყო და გარშემო მოეფინა გულწამტაცი სუნელება. ამ ვარდების მახლობლად ტკბილად დასძახოდა ბულბული, რომელიც იქავე ხეზე მოთავსებულიყო. ბუნება ხარობდა, დღე-სასწაულობდა, თითქოს ათას ბედნიერს ქორწილს ერთად იხდისო.

ბუნება შეუდარებელი მკურნალია კაცის ვარამისა და დარდისა. შვება მისცა მან ქეთოს ნაღვლიან გულსაცა, და სახეზე მას აშკარად დაეტყო შემცირება იმ საშინელის მწუხარებისა, რომელიც აქამდის მაჯლაჯუნასავით აწვა ამის გულსა და გონებას და ნებას არ აძლევდა გარემოცულ ცხოვრებაზე დაფიქრებულიყო. ამასთან ქეთომ პირველად დაიწყო ფიქრი იმაზე, რისთვის და რად მიჩვენებენ ამდენ სიყვარულს უცხო ადამიანები და რადა სწუხან ჩემს მწუხარებაზედაო.

დედამ ადვილად შეამჩნია ქეთოს ეს სანუგეშო ცვლილება. იმედი მიეცა. ცალკე ამ იმედმა და ცალკე მშვენიერმა დილამ კარგ გუნებაზე მოიყვანა მაგდანი და მან, სრულიად უნებურად, თავისთვის დაიწყო ღიღინი იავნანისა. რაც ქეთო დაჰკარგა, მას შემდეგ მაგდანის სიმღერის ხმა აღარავის გაუგონია. ეს პირველი სიმღერა იყო ათის წლის დუმილის შემდეგ. მაგდანი ფანჯარასთან იჯდა, ქეთო იყო მოთავსებული პატარა ტახტზე ოთახის კუთხეში. იავნანას მაგდანი ჯერ დაბალი ხმით, ღიღინით ამბობდა, მერე კი თავის ხმის სიმშვენიერემ გაიტაცა და თავისებურად დაამღერა, მაღლა აუწია. პატარა ხანს უკან, ისე, უნებლიეთ, გაიხედა ქეთოსკენ და გაოცდა. ქეთოს აშკარად ეტყობოდა სახეზე აღელვება. ცხადი იყო, რომ რაღაცას იგონებდა და ვერ-კი მოეგონებინა გარკვევით. მის ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ-კი გამოელვიძა. გონების ძირიდან რაღაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქვასა, მაგრამ ზევიდან კეც-კეცად აწვნენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მაღლა ამოსვლასა. მაგდანმა ეს კარგად შეამჩნია და თავის ხმას მისცა საოცარი მეტყველება და მიმზიდველობა. უწინ

ამგვარი სიმღერით და ამავე ხმით ყოველდღე უტკბობდა მაგდანი თავის ქეთოს სიპატარავის დღეებს. მაგდანის ხმამ უწია ქეთოს ბუნების სიღრმემდის, შესძრა ის ძირიანად და გააცოცხლა იქ დამარხული ბავშვობის სანატრელი ნაშნი, საგონებელნი. მაგდანი თან ხმას აძლევდა მომხიბავს ძალას და თან ქეთოს შესცქეროდა უსაზღვრო დედობრივი სიყვარულით. ქეთოც თითქმის სჭამდა თვალით დედის პირისახესა და მღელვარებით ცდილობდა ამ სახეზე ამოეკითხა რაღაც დიდი საიდუმლოდა კიდეც ამოიკითხა. ქეთოს აღელვებული სახე თანდათან დაწყნარდა, პირისახიდან მთლად გადაეყარა შავი ღრუბელი. განსაზღვრული სხივის ნათელი მოფინა სახეზე და სიხარულის სხივმა დაუწყო მასზე ელვარება. უცებ წამოვარდა ქეთო ტახტიდან, დაიძახა სანატრელი ხმით: — „დედავ!“ სწრაფლ მივარდა მაგდანთან, მოეხვია ორივე ხელით და მხურვალედ დაუწყო კოცნა. დედასა და შვილს თქრიალით მოსდიოდათ ცრემლი, მაგრამ ეს ცრემლი იყო სიხარულისა, შვებისა, ლხენისა. პატარა ხანს უკან ზურაბმაც შემოაღო კარები, ქეთო განთავისუფლდა დედის ხვევნიდან, მიეგება შემოსულს, დაიძახა: — „მამა!“ და მოეხვია.

შემდეგ გაბრუნდა დედისაკენ, წაავლო ხელი, გაიყვანა მეორე ოთახში, დაიყენა თავის გვერდით დიდი სარკის წინ, სიყვარულით გადაავლო თვალი, მაგრამ რაღაცამ აზრი შეუშალა. სწრაფად მოშორდა სარკეს, შეირბინა მეორე ოთახში, გააღო ყუთი, ამოიღო თავისი ახალი ქართული ტანისამოსი და ლეკურის მაგივრად ჩაიცვა. შემდეგ ისევ მიიყვანა გაოცებული დედა სარკესთან, დაუდგა გვერდით, შეადარა სახეები, აშკარად დაინახა რამდენად ჰგავდა დედას, მიუბრუნდა მას, ჩამოეკიდა ყელზე და ხელახლა დაუწყო კოცნა. უწინ ამისთანავე მოქმედებამ მაგდანისამ გააოცა, ახლა კი იგივე მოქმედება თვითონ ჩაიდინა. მერე დედას აახდევინა დედოფლების ყუთი და სიყვარულით მიეალერსა თავის უწინდელს მეგობრებს.

ერთმა მოგონებამ მეორე გამოიწვია, მეორემ მესამე, მესამემ მეოთხე, და ქეთოს სარკესავით გადაეშალა თვალწინ თავისი სიპატარავის დრო. აქამდის ის დაჰყავდა დედას აქეთ-იქით ძალაუნებურად, ახლა კი თვითონ ქეთო მოსვენებას აღარ

აძლევდა დედასა და მიჰყავდა ხან ბაღჩაში, წყაროს თავზე, ხან ტყეში და სოფლის არემარე სულ შემოიარა. მოიგონა ქართული ენაც, თუმცა სიტყვები ბლომად აკლდა, ლაპარაკის დროს ჩერდებოდა, ან ლეკურს სიტყვებს ურევდა და ამ დროს დედა ქართულს სიტყვებს ასწავლიდა.

აღმოჩნდა, რომ პირველი წლების შთაბეჭდილებანი და ჩასახულებანი კი არ გამქრალიყვნენ და არ წაშლილიყვნენ ქეთოს გონებაში, თურმე, ღრმად ეძინათ, დამარხულნი იყვნენ მისი სახსოვრის სიღმეში, ძირში, როგორც მცენარის თესლია დამარხული მიწაში, და ზევიდან მათ ეფარათ მთელის ათის წლის ნანახი და ნაცადი დაღესტანში ყოფნის დროს. ამ ჩასახულებათა დაძვრა და გამოღვიძება შეეძლო მხოლოდ რომელსამე ძლიერსა და ღრმა შთაბეჭდილებას სწორედ ისე, როგორც მცენარის თესლს ზევით ამოიყვანს ხოლმე გამაცოცხლებელი მზის სითბო-სინათლე. ამისთანა მზეებრივი შთაბეჭდილების მოხდენა ქეთოს გონებაში შესძლო მხოლოდ სამშობლო ხმამ, საბავშვო სიმღერამ: „იავნანამ“, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად ჰქონდა ქეთოს ძვალსა და რბილში გამჯდარი.

ყოველი ვაშლოვანელი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, გახარებული იყო ქეთოს გონზე მოსვლით. მოდიოდნენ ულოცავდნენ მაგდანსა და მის ქმარსა და შეჰხაროდნენ ქეთოსა. ქართველაძის სახლში სიხარული ტრიალებდა. ამ ძლიერს სიმხიარულეს სწორედ შეჰფეროდა და ბანს აძლევდა ხშირი სიმღერა მაგდანისა. როგორც დიდხანს უწყლოდ ყოფილი შველი ხარბად ეწაფება წმინდა წყალსა და გაძღომა მალე არ ეკიდება, ისე ქეთო, მთელს ათს წელიწადს მოკლებული თავის უსაყვარლეს სიამოვნებას, გაუმაძღრად ეწაფებოდა დედის სიმღერას და მაგდანს მოსვენებას არ ძლევდა. ერთს ხმას რომ გაათავებდა მაგდანი, ახლა მეორეს ათქმევინებდა, მერე მესამეს, მეოთხეს. ხშირად მაგდანი ეტყოდა ხოლმე: — გენაცვა, შვილო, ცოტა დამასვენე, თორემ არაქათი აღარ მაქვსო. მაგრამ ქეთომ უბარი წამალი იცოდა ამ დაღალულობისა მხურვალე ხვევნა და კოცნა დედისა. ქეთო თანა სტკბებოდა დედის მშვენიერი სიმღერით და თან თვითონაცა სწავლობდა სიმღერასა.

ერთხელ, როდესაც ქეთომ გული იჯერა ახალი ცხოვრებით, ჰკითხა დედას: – „დედილო, გენაცვა, არ შეიძლება, რომ დაღესტანში მოკითხვა ვისმე პირით შევთვალო?“

მაგდანს ეს სიტყვა არ ესიამოვნა და შეკრთა.

– ფიქრი ნუ გაქვს, დედა! – შვილებრივი სიყვარულით უთხრა ქეთომ. – შენ და მამაჩემი მიყვარხართ, როგორც ღვიძლი მშობელნი, იმათ კი პატივსა ვცემ, როგორც ჩემს მოამაგეთ და ჩემს აღმზრდელთ. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, ვის ხელში ჩავვარდნილიყავ და რა მომსვლოდა.

მოკითხვა შეუთვალეს ნაიბს და მის ცოლს საგანგებოდ გაგზავნილი კაცების პირით და ძღვნადაც გაუგზავნეს ჩინებული კახური ღვინო, რომელსაც მაშინდელი ლეკები კახელებზე ნაკლებად არ ეწყობოდნენ.

ზაფხული გადიოდა. დედა ატყობდა, რომ ქეთოს ძლიერ უნდოდა ნახვა თავის დედობილ-მამობილისა, მაგრამ არ კი ამბობდა ამასა. ერთხელ მაგდანმა უთხრა ქეთოსა: – „იცი, ჩემო კარგო, რა აზრი მომივიდა? ახლა რთველი ახლოვდება, დაღესტანში ვენახები არ არის და რთველი იქ არ იცის. მოდი, რთველში მოვიწვიოთ შენი დედობილ-მამობილი და ვასიამოვნოთ, სიკეთეს გადახდა უნდა“. მადლობის ნიშნად ქეთო დედას მხურვალეს გადაეხვია.

ნაიბსა და იმის ცოლს ძალიან უნდოდათ ქეთოს ნახვა, ამიტომ რთველში მოწვევამ გაახარა და დანიშნულ დროზე ეწვივნენ თავის შვილობილის დედ-მამას. დედ-მამის ნებართვით ქეთო თავის დედობილ-მამობილს ლეკური ტანისამოსით მიეგება. ქეთოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ერთად ხედავდა ოთხ ძვირფას თავისიანს, რომელნიც გულითა და სულით უყვარდა.

ზურაბი და ნაიბი დამეგობრდნენ, მაგდანამაც გულით შეიყვარა ნაიბის ცოლი და ამიტომ ყოველ შემოდგომაზე მათი რთველში მოწვევა წესად დასდეს. ეს წესი არ შეცვლილა

მას უკანაც, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ქეთო გათხოვდა დედის სამშობლოში და ჯვარი დაიწერა ერთს ღირსეულ ქართლელს ვაჟკაცზე. ყოველს ენკენისთვეში ქართველაძეს ქართლიდან ეწვეოდნენ ხოლმე ქალი და სიზე, დაღესტნიდან — ნაიბი ცოლით და ამალით. არა გვგონია, რომ ვისმე თავის სიცოცხლეში რთველი ისეთი სიამოვნებითა და ბედნიერებით ეტარებინოს, როგორც ატარებდა ქეთო.

ქეთოს ბედნიერება

მაგრამ განა მარტო რთველობის დროს იყო ქეთო შვებითა და ლხენითა? არა, სხვა დროსაც.

ბრძენნი ამბობდნენ და ამბობენ, რომ საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულიაო. ძლიერი, წმინდა სიყვარული მოყვასისადმი, თვით მოსიყვარულესაც უტკბობს სიცოცხლესა და მოყვასსაცაო. სიმდიდრეც შეიძლება ადვილად დაჰკარგოს ადამიანმა, სიმართლესა და სილამაზესაც მოაკლდეს, ნათესავებიც შეიძლება უდროოდ დამარხოს, მაგრამ მოსიყვარულე გული კი ათბობს და ანათებს მის სიცოცხლეს თვით სამარის კარამდისაო.

ქეთოს დედისგან დაჰყვა მეტად მოსიყვარულე გული, და ამ გულს ძლიერ მოუხდა იშვიათი მისი თავგადასავალი. ამ თავგადასავალმა ძლიერნი მოძრაობანი გამოაცდევინა ქეთოს გულსა და ავარჯიშა იგი. ღრმა გრძნობანი გულისა ჯერ დედ-მამის სიყვარულზე აღიზარდნენ, მერე ძლიერ ჯავრზე, რომელიც გამოაცდევინა მას მოტაცებამ ლეკების მიერ, შემდეგ დედობილ-მამობილის სიყვარულზე. მასუკან ფრიად ღრმასა და ხანგრძლივს ნაღველზე, რომელიც მოჰყვა მამისაგან მოტაცებასა, მას შემდეგ სიყვარული ღვიძლი დედ-მამისა და დედობილ-მამობილისა ერთად შეერთდა ქეთოს გულში, ბოლოს ამას დაემატა ღირსეული ქმრისა და შვილების სიყვარული, და ამ სახით

ქეთოს გული გახდა დაუშრობელი წყარო კაცთმოყვარეობისა, გაუქრობელი ლამპარი სიყვარულისა მოყვასისადმი. ქეთოს, გამომცდელს ცხოვრებაში დიდი ნაღველისაცა და ძლიერი სიხარულისაც, ყოველთვის და ყველგან ჰქონდა ტკბილი ალერსი ყველა ბავშვისათვის, ცრემლი უბედურთათვის, ნუგეში დაჩაგრულთათვის, შემწეობა გაჭირვებულთათვის, მოწყალება გლახაკთათვის. მას თავისიანად მიაჩნდა ქართველებიც და ლეკებიც, საქართველოც და დაღესტანიც, და რადგან სიყვარული შობს სიყვარულსა, ამიტომ ქართველები და ლეკები, თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთსა, ვინ უფრო მეტს პატივისცემას, მეტს ხათრსა და მეტს სიყვარულს უჩვენებდა ქეთოს. ქეთო თავისი მოსიყვარულე გულით გარშემო ჰფენდა ლხენასა და შვებასა, როგორც ვარდის აყვავებული ბუჩქი ჰფენს თავის თავის გარშემო საამურს სუნელებასა, და როგორც ამ ბუჩქს ყველა შეჰხარის, ყველას უყვარს, ისე ყველას შეჰხაროდა და ყველას უყვარდა ქეთო, რომელიც ერთსა და იმავე დროს სტკბებოდა თავისი სიყვარულით მოყვასისადმი და მოყვასთა სიყვარულით თავისადმი. უკეთესიღა ბედნიერება განა იქნება ამ ქვეყანაზე?

ნათელმოსილნი

I

დიდი ხალხი შეიკრიბა სვეტიცხოვლობას. საქართველოს ყოველ კუთხიდან მოაწყდა მცხეთას მლოცავი. ხელმწიფის სურვილი იყო, ყველა დასწრებოდა დღესასწაულს, ვისაც ხელი მიუწვდებოდა. ხელისუფალნი ვალდებულნი იყვნენ, ამ დიდებულ დღეს ჰხლებოდნენ მეფეს, გვერდი დაემშვენებინათ ბედნიერისთვის.

სხვანაირად არ შეიძლებოდა! ეს დღე აღსანიშნავი იყო ხელმწიფისათვის, მთელ ქართველ ტომებისათვის, საქართველოს მკვდრეთით აღდგომის დღე იყო ეს. ერს სიხარულით უნდა გაეხარნა ამ დიდებულ დღეს.

ვინ მოიფიქრებდა, განდევნილ იქნებოდნენ მონღოლთა უძლეველი ძალები?! მათ უჟმურ სახეს, გაჯინულ ნაქვთებს ხილად თუღა შეჰხვდებოდი ქართველთ არეში.

განქრა მონღოლი საქართველოდან, მთლად მოისპო, წაიშალა მის ნაკვალევი. ქართველთ სამშობლო ნანგრევებად რომ აქციეს უკაცურებმა, ეხლა უკვე აღსდგა იგი განახლებული. აღარ ელმოდა მტრის მახვილთ ჩანაბასრი მას იარები. აღდგენილ იქმნენ ციხეები, საყდრები თუ მონასტრები, დაბა-სოფლები. კვლავ აღივსო ქვეყანა ხალხით. მიუვალ მთებში, უღრან ტყეში გარდახვეწილნი ჩამობრუნდნენ, გააცოცხლეს კერაზედ ცეცხლი. ნაოხრები კვლავ დაიდო სამკვიდრებელად. შინ დაბრუნდნენ უცხოეთში გახიზნულები, ბრძანება იყო გაენთავისუფლებინათ ხარჯებიდან ახლად მოსულნი, დაჰხმარებოდნენ. გაძარცვილი მტრისგან სალარო აღარ დაიხშო ხალხთა საშველად.

სიკვდილამდინ მიხწეულ მუშაკთ ჩასჭიდეს ხელი კვლავ დედამიწას. ეწაფებოდნენ მის სინოყიერეს. მოსცა ნაყოფი ნიადაგმა სიუხვისაგან. აელვარდა ცელი, ნამგალი, კალოებზედ კევრთა ტრიალი. ჰაერს ჰსერავდა სასოებით სავსე კევრული. დასარყეს კვალად მამულები. გაშენდა ვაზი. ნიადაგის ნოყივრობა ნექტრად მოსქდა.

აღსდგა ვაჭრობა. შეღავათი მისცა მეფემ ვაჭრებს, სოვდაგრებს. მაშინ მოვიდა ახალი ტალღა ებრაელების. აღებ-მიცემაში დახელოვნებულნი სახელმწიფოს განგებაში არ ერეოდნენ. მალე ეთვისებოდნენ ქართველებს. გულწრფელად იჭერდნენ მათ კალთას: აქ შეეძლოთ უშიშრად ყოფნა, მიაქცევდნენ მთელ თვის ძალას საყვარელ საქმეს.

ეხლა ალექსანდრეს დასრულებულად მიაჩნდა მერთა განდევნა, გაოხრებულ სამფლობელოს კვალად აღდგენა და სამადლობელ მსხვერპლის შეწირვას აპირობდა დედაქალაქში.

II

— მოჰხვდა ხალხის გულს, მეფევ ბატონო, შენი ბრძანება: მთელი ერი იკრიბება სამადლობელ საეკლესიოდ. დავბერდი, ეკლესიის კარს ამოდენა მლოცავი არ მინახავს. უთვალავი შესაწირავი: ნახირად სდგას კურატთ სიმრავლე, ფარებად ცხვარი; ვერცხლის შანა ახვავებული.

— შეუწიროსთ!

— დიდად განვარისხეთ უფალი და მოგვივლინა დასასჯელად ლანგ თემურის წინამძღვრობით უსახო ტომი უთვალავი. ბნელეთის ძალა, სატანაილ მათ წინამძღვარი!

— არა სრულიად გარემიაქცია ჩვენგან პირი თვისი, კვლავ მოგვხვედა სახიემა წყალობის თვალით.

განგების ნება თუ იყო მოწყალისა. რომ უკიდურესად შეიწროებულ ქართველთა ერს ულოდნელად მოჰშორდა შავ ლოდად ჩამოწოლილი მტერი სასტიკი. გაქრა თოვლივით. მეტად ძნელი იყო გარდასრული ჭირი ხალხისა. თემურ უწყალო, კაცის სისხლში დალტობილი სატანაილი. თავის თავი დაესახნა მეუფედ ქვეყნისა.

— არ ღირს იმად კაცობრიობა, ორი მეფე რომ ჰყვანდეს იმას! — იტყოდა იგი.

და დამზერდა ხალხთა მოდგმას, ვით მწერთა გუნდებს.

— ჩემი კვალია სისხლის ღვარი, ალზედ შემხმარი!..

ფეხქვეშ განრთხმულნი დიდებული სამფლობელონი. მარად მოწვდილი ბასრი ხმალი სისხლით ნაბანი. მძლავრობის მოწმედ თან დაჰყვანდა გალიებით თვით კეისრები. რომ ინებებდა რაშზედ შეჯდომას, ხელმწიფეს ზურგზედ დააბიჯებდა.

— ჰე, მარჯვენაზედ ორი თითი ხმლით წაკვეთილი; სამუდამოდ შემუსვრილი ჩემი მძლე წვივი. მხოლოდ მაშინ დავუშვა ხმალი, როს წამეზარდნენ თითნი წარსხლილნი, ფეხი ჩემი ხეიბარი როს კვლავ განმრთელდეს!

და მოევლინა შავ-ბნელ ღრუბლად საქართველოსაც. როგორ განცვიფრდა, რომ ქართველნი არ ემორჩილნენ, ექვსჯერ განვლო საქართველო ცეცხლით, მახვილით.

— აღიგავოს ქართველთ მოდგმა ქვეყნის პირიდან!—სთქვა მან.

როცა ვახტანგმა მთლიანად მოსპო თორმეტი ათასი მისი რჩეული. დაულეწა თემურმა ქართველობას სიმაგრეები; სისხლმორეულს ბოღმა აღრჩობდა, ქართველნი რომ მაინც ფხიზლობდნენ, გიშაგად ედგნენ სიკვდილ მიხრილს თავის სამშობლოს. რამ საკვირველს წაიტყოდა ის ბელზებული.

— საქართველოს ნიადაგი კვლავ აცოცხლებს თავის დამცველებს, აბრუნებს მკვდართ გაღვიძებულთ მებრძოლ ლაშქარში.

მტრისგან დევნილნი სასოებას არ წარიკვეთდნენ, ხმალმოწვდილნი ჰგუშაგობდნენ ბეჩავს თვის მამულს; შიგ თვალებში ჩაჰყურებდნენ ულმობელს სიკვდილს.

— არ მოკვდების საქართველოს სული ძლიერი! — დასწეროდათ უტეხ სახეზედ.

III

კვლავ აღზდგა მკვდრეთით საქართველო ჩანავლებული, რა მოსპობდა სამშობლოს უკვდავს?!

ულოდნელად მთლად შეირყნენ მონღოლთა ურდონი. გაიკ-

რიფნენ, გადიღუპნენ საქართველოდან: ისტორიამ თუ უჩვენა სხვა გზები იმათ. შიგადაშიგ თითო პეშვი დარჩა მტრებისა: არ ჰქონდათ ღონე, გაჰყოლოდნენ თავის მოძმეებს; აირჩიეს საქართველო თავის სამშობლოდ. გაითქვიფნენ ქართველებში, მათ შეუერთდნენ.

წავიდა მტერი, შეგვრჩა ქვეყანა გაოხრებული. დანგრეული ციხე-ტაძრები, დამხობილი დაბა-სოფლები, გადამწვარი ქალაქები. არხები მიწით ამოვსებულნი. ტყით თუ ჯაგით მოდებული სახნავ-სათესი. ვერანად ქმნილნი ზვრები, ბაღები. ხუმრობა არ იყო: ორას წლამდინ ნავარდობდა ღვთის რისხვა მტერი. განახლება სჭირდებოდა მთელ ქვეყანას, მიპატრონება.

და წარმოშობა საქართველოს ნიადაგმა საამისოდ მინიჭებულნი. უტეხად იწყეს პარტახებულ მამულთ შენება. მქმედთა შორის პირველობდა მეფის ბებია, შორსმჭვრეტი რუსა, სულით ძლიერი. შეუდგა იგი ნანგრევთ აღდგენას სვეტიცხოველს მიჰმართა პირველ.

საზარელი სანახავი იყო დიდებული ტაძარი: გუმბათი მონგრეული, სვეტები გადაქცეული, ეკვდერები ჩამოლეწილი; ღამის მფრინველთ სავანედღა გარდაქცეული. დიდებულმა დედაბერმა თვის საფასით დააყენა მუშები თუ ოსტატები საშენებელზედ. მძიმე საქმე შესძლო ძლიერმა: უფრო მეტი მშვენებით თუ სიმტკიცით აღმართა ტაძრის შემუსვრილი ნაწილები, მოალამაზა მთელი შენობა, გალავანი გარს შემოარტყა. შემკობაღა აკლდა იმას, ახლად მოხატვა. აღარ დასცალდა: მიიწვია გამჩენელმა იგი იმ სოფლად. ქალი სიკვდილს გულსავსედ დაჰხვდა: მის ძვირფას საქმეს ჩაუდგა კვალში მის შვილიშვილი — ალექსანდრე მეფე ქართველთა.

ისკანდარმა ღირსეულად დაამთავრა მცხეთის აღდგენა. მარტო სატახტოსთვის არ ეზრუნა მას; ხელი იყო; აღედგინა მთელი სამეფო, წინანდელზედ უფრო მეტად განემტკიცებინა, დაემშვენებინა. მთელი ხალხი მასთან იყო ამ დიდ საქმეში. მუშა ხელი, ურემი თუ საქონელი ნებით იტვირთეს. კომლზედ ხარჯიც შეიწერეს აღსაშენებლად.

ეხლა ყოველივე აღდგენილი იყო, განახლებული. დრო უთხრობდა. სამადლებელი მსხვერპლი შეეწირა ქართველობას მფარველ ღმერთისთვის, სვეტიცხოვლობა აირჩიეს საზეიმო დღედ. იმისთვის იყო ნაბრძანები, მოსულიყვნენ დიდებულნი მცხეთას, მეფის კარს

მეფეს სხვა საამო ამბავიცა ჰქონდა ერისთავის დაგულებული: უნდა გამოეცხადებინა საჯაროდ, რომ ამიერიდან მოსპობილი იქნებოდა საამშენებლო ხარჯი ზედმეტი: აღარ იყო იგი საჭირო.

IV

განუწყვეტლად მოდიოდა მლოცავი მცხეთას. ხალხით აივსო არემარე არაგვიდან მტკვრის ნაპირამდინ. ძნელი იყო ამოდენა ხალხის გაძღოლა, მათში წესის დამყარება, მათ დაოკება. მთვრალი იყო ყვავილებად მორთული ერი. დიდ სიხარულს თუ დაეთრო ქართველთა გული.

— მოგვშორდა მტერი უნდობელი, მადლობა უფალს!

— წინათ ეგონათ, მოვიდაო დღე აღსასრულის. იმას იტყოდნენ: ამოიჭამს ქართველთ მოდგმას მძლავრი დუშმანი.

— სხვა დასკვნას ვერ გაიკვლევდა დაფიქრებულიც. ერთ ქართველზედ მოდიოდა მოძულე მრავლად.

— და მოისპო ულოდნელად ბნელეთისა ძალა! ეხლა!..

— აღვსება არის, მთელი ერის კვლავ გაცოცხლება. მრავალსახე სიხარული პირადპირადი!

— მიაპყართ ყური უწყვეტ ჟრიამულს: აღტაცება, თავდავიწყება!

— თუ იხმიეს მოჭარბებით ზედაშის ღვინო.

— შეარგოთ ღმერთმა!

— და შეუწიროსთ!

საყდრის მთელი გალავანი, ქალაქი, მის სანახები სავსე იყო უჩერებელ გუგუნ-ხმაურით. სანთლებით თუ ჭრაქ-ჭაღებით განათებული. ვარსკვლავებით მოოჭვილ ცას ეჯიბრებოდნენ. კიდეც სჯობნიდნენ: ვარსკვლავნი რომ უძრაობდნენ ბნელ

ლაჟვარდ ცაზედ, ესენი აქ შეიძროდნენ, მიმოვიდოდნენ. მაშ-ხალები მდინარებშიც დანთებულიყვნენ!

ისკანდარ მეფეს გვერდზედ ესხდნენ თანამშრომელნი: წარ-ჩინებულნი, ეკლესიის თავადები, კათალიკოზ-პატრიარქი შიო მხცოვანი. მხიარულად იყო მეფე, ღიმი უქროდა; ხალისობდა დაბრძნობილი, ვითა ჭაბუკი.

— ეკლესიის საჭეთმბყრობელო! ხვალინდელ წირვას მოაწ-ყობ შენ ისეთ დიდებით, ანგელოსთა ღაღადს ჰგვანდეს თვით სამოთხეში.

— უკვე ვიზრუნეთ, ბატონო მეფევ: საზეიმო სახეებით შე-ვავსეთ წირვა.

— და რა დასძინეთ?

— განვიზრახეთ ლიტანია, როგორც აღდგომას.

— ვერ დაეტევა გალავანში, ვერ დაიძვრის იქ მთელი ხალხი.

— გამოვფენ ერს გალავნიდან. ტაძარს სამგზით შემოუვ-ლით კედელ გარედან, ეკლესიის წმიდა დროშებს წინ წა-ვიმძღვარებთ.

— დიდებულია! ევლოგიას სახელმწიფო დროშა უძღოდეს! სათემო სხვა ალამები დროშას ეახლნენ. საზეიმო სვლაში ჩავსდგები!

— ვით დავით მეფე რონინის დროს აღთქმის კიდობნის.

— ვაჰ, რომ ცეკვით ვერ ავყვები მწყობრ ხმათა ჭავლებს: ხანი არ მითხრობს.

— შვილნი გყვანან ახალნორჩნი; სვლას წარგიმართვენ სიმ-ღერით, როკვით.

— ნება დავრთევით, საკრავთა ხმა შეუერთონ მგალობელთ გუგუნს: არ განრისხდება სახიერი, ბრწყინვალე დღეს ეკლესი-ის ჩვეულობა მცირედ შევცვალოთ.

— შეგვერგება აღტაცებულთ ნაჭარბიც კი ხალისლაღობა.

— სააღდგომო საგალობლებს აღვავლინებთ ევლოგიის ჟამს. ერთს სხვასაც დავსძენთ: ვიგალობებთ „ჩვენთან არს ღმ-ერთს“.

— დიაღაც დღეს ჩვენთან არს ღმერთი მფარველი, ხელი-საღმპყრობი! — ბრძანა მეფემ

და ერთხელ კიდევ დაავედრა ყველას, შეემკოთ ხვალინდელი დღე თავისი გარჯით, ნიჭთა სიმრავლით, რომ ჩაევლო დიდებულად, სამხიარულოდ.

V

წყნარი დღე დადგა. დარი ისეც ხელს უწყობდა ლოცვად მომავალთ, არ აკლებდა სითბოს, სიმშრალეს. არ იძროდა არსით ნიავი. ტატნობს ბული მოსდებოდა ძნელგასაჭვრეტი. ადრე აიშალა ხალხი. სამღვთოების კვლა, დამწყალობლება, კურატთა თუ ვერძთა ტყავება. ძლივს ასწრობდნენ ხუცესები მარილის კურთხვას. დიაკვნები მხართ თუ ტყავებს გადააწყობდნენ.

ზარის გუგუნი. წამოდგა ხალხი, პირჯვარს იწერდა. სამღვდელოთა თანახლებით კათალიკოზი. იგრიალა ხალხმა ტაძრისკენ. რას დაიტევდა თუნდა ვრცელი სვეტიცხოველი?! მეწესეებს შრომა დასჭირდათ: მლოცავთ ტალღებს აყენებდნენ, წესს ამყარებდნენ.

კვეთა თავდებოდა, რომ გამობრძანდა დედოფალი თამარ. ყავღიანი მანდილოსანი. იღიმებოდა, თავს უკრავდა ზრდილობიანად. იმერთ მეფის ქალს სხვაფერ ქცევა არ შეჰშვენოდა. ბატონიშვილი ქალწულები, სეფექალნი, შიმუნვარები. თვითონ მეფე გამობრძანდა მცირე ხნის შემდეგ. ტაძრისაკენ გაემართა ნელის ნაბიჯით. გვერდს მისდევდნენ ბატონიშვილნი: ვახტანგ და დიმიტრი, პირველი მეუღლისაგან, გიორგი და ზაალ — თამარისგან. ბატონიშვილი დავით უკვე არქიმანდრიტი იყო და თანამწირველი კათალიკოზის. წარჩინებულნი, რაინდები მეფის გარშამო.

— გაუმარჯოს ბატონ მეფეს!

— ადიდა ღმერთმა მეფე ბრწყინვალე!

ხელმწიფე სალამს აძლევდა ხალხს. ერის აღტაცებული ძახილი გუგუნად ჩასდევდა მტკვრის ხევს თუ არაგვს. მზეს აღმართი უკვე აევლო, როდესაც კათალიკოზმა ბარძიმი გამოასვენა. მუხლმოდრეკით დახვდნენ სიწმინდეს. ჩამოლოცვის

დროს განსაზღვრილი სახე მიეცა ცას: გალავანს გარს შემოერტყა მძიმე ბურუსი. განუჭვრეტლად დაჰფარა მან გარემო მთელი. ცის სარქველი ლაჟვარდობდა მარტოოდენ გუმბათის ასწვრივ. სხივთ ხელეურნი დაჰფენოდნენ ზევიდან ტაძარს.

შეაფინა ტაძარს ამბავი. სიხარულით აღელდა ხალხი. მიჰმართა ერს პატრიარქმა ბარძიმით ხელში:

— სწვდა ზეცას ქართველთ ვაება მტერთ კირთების ქვეშ, უფლის ფერხთ ქვეშ დაიფინა ქართველთა გლოვა და გვისმინა ყოვლადმოწყალემ, გადმოგვხედა წყალობის თვალით: დაჰნათის ტაძარს სახიერის სხივთა ბუნჯგალი. ამ სხივთა ელვამ განაბნივა ბნელი ძალა უსახო მტერის. საქართველოდან აღიგავა უფმური მძლავრი. ერთ გზით მოსული შვიდ გზით ივლტოდა. აწ აღსდგა მკვდრეთით საქართველო, მოენიჭა მის ერს სიცოცხლე! ქრისტე აღსდგა მკვდრე...

მძლავრ გუგუნად აღემართა ერის გალობა. გაეფინა გალავანში, მოედო მთელ ხალხს.

ცას მისწვდაო ქართველთ გალობა, აღტაცებით ამღერდნენო ანგელოსთ გუნდნი.

VI

ცისფერ სივრცედ გარდართხმული სამეფო სეფა. მის გარშამო მთელ მინდორზედ მლოცავთ სუფრები. სუფრული მღერა საქართველოს სხვადასხვა კუთხის. მოსწრებული სადღეგრძელო სადღეგრძელოზედ. სუფრებიდან სეფისაკენ მოსაკითხები. მეფის ტაბლიდან მლოცავთ ჯგუფებს კერძი პასუხად. მჭევრმეტყველთა შეჯიბრება ხოტბების თქმაში, ყვავილებად შაირ-ლექსი ფერადფერადი.

— ჩემი სუფრა ცოცხალ ყვავილთ შუშპრით შეიმკოს!

აკრიფ-აფინეს სეფის ფარდები. ფართო რკალი მოცეკვავთათვის. მოვლებული წრე სეფისკენ ღია. პირადპირადად მოკაზმული ტურფა ქალ-რძალი. მოსხეპილი რაინდები მოღიმარენი. საკრავთა ხმანი შეწყობილნი მწყობრ სამოძრაოდ. ხეებიც, ქვებიც ვერ შესძლებდნენ უძრავად ყოფას. ქართული

ცეკვა. დავლურების სხვადასხვა კუთხის, შეჯგუფულნი გლეხნი, თავადნი.

— საქართველოს აღდგომის დღეა: თანასწორობს ღდევანდელ დღეს ყოვლი ქართველი! — ბრძანა მეფემ.

მის ბრძანებას ემორჩილნენ თვით უფლისწულნი. მკვეთრი ტაშის ხმა. ცეკვა, თამაში. ფრთები თუ ესხათ დალოცვილებს მწყაზარ წვივებზედ! სიხარულით იღიმებოდა მთელი ბუნება. ხეებიც თუ ტანს არხევდნენ, ტოტთ აყოლებდნენ. ჩამოდგა ვაჟი. ფრენით შემოვლო ფართო სივრცე მისთვის მოცლილი.

— მოცეკვავე ჭანდარია ტოტებგაშლილი.

— იფანივით მოქნილია და უტეხელი.

— რკინის ჯერეთ ნორჩი დევი მწყობრად მხლტომარე?

— ნეტავ ვინ არის?

— სამშვილდელი ზურაბია ჭოლრათაშვილი.

— შუშპარშიაც პირველი სჩანს ხმალში გათქმული.

შედგა რაინდი ქალთ მწკრივების წინ. ყვავილოვანთ მოავლო თვალი. ზამბახის წინ დახარა თავი. გასრიალდა ლელწამტანი, გაშალა ფრთები. რა თვალებია! ოდნავ ძირს დაჰმზერს ღია თვალებით, გოგმანობს, დაჰქრის; თვალნი სწორ ხაზს არ არხევენ, ერთს ზოლს ჩასდევენ, ერთ რამ სახეს დაჰკვირვებიან.

— მითხარ, ტურფაო, რას ჰხედავენ იმ ერთს ეგ თვალნი, რას განაწონებ ხედვის ისარს, რა სახეს განსჭვრეტ?

თვალნი მორევნი არრას ეტყვიან: სხვას ვერვის ვერ თუ ჰხედავენ; არ მიესმით ზახილი უხმო.

— მისი სული შავ თვალებით დაჰმზერს ერთს საგანს.

— ყველაფერს ჰხედავს თვის გარშამო, თუმც არრას უმზერს.

— მისი რხევა მუქ სხივთ ციმციმი!

— მათ შუშპარი სიმღერაა ხმაშეწყობილი.

გათავდა ცეკვა. იგრიალა ვაშას ძახილმა. მოართვეს ქალს ბრძანების თქმა დედოფლისაგან. ეახლა ქალი, თაყვანი სცა, ხელს ეამბორა.

— ვისი ხარ, ქალო?

— ჩემი გახლავსთ, დედოფალო, ეგ ერთადერთი, — მოახსენა სამშვილდის ციხისთავმა.

— სხვა შვილი არ გყავს?

— სავსე სახლიდან ეს ერთიღა დამიტოვა მოწყალე ღმერთმა.

— ძვირფასი მოსჩანს!

— ბატონო დედავ, გავბედავ, ვიტყვი: სასახლეს უნდა გიმშვენებდეს ტურფა ვარსკვლავი, — წარსთვა ბატონიშვილმა დიმიტრიმ

და მუშტრის თვალისთ ჩააკვირდა ზამბახ ასულსა. ვერ მოახერხა. დაეჭირა მის თვალთა შუქი, ერთს სხვას უმზერდნენ ურხეველად ის უძირონი.

— არა, ბატონო, ვერ დავსთმობ ჩემს ქალს: თვალთ მოაკლდებათ უმაგისოდ ხედვათა ძალა. რასღა გარგებსთ სამშვილდეში ბრმა ციხისთავი?!

დედოფალმა ელვის თვალი დაჰკრა დიმიტრის და ესე ბრძანა:

— ძვირფასია ჩვენთვის სამშვილდე; ვერ ჩავუქრობ მის მცველ რაინდს თვალთა სინათლეს!

შეისხნა თვის მელევანღი, შეაბა ქალწულს.

VII

ფრთებს ისხამდა მოხუც მეფის სიმხიარულე: თითონც მღეროდა, ალერსს აფრქვევდა გაამრავლა მოწყალება; ლამის ეცეკვნა განახლებულ სიწმინდის მმზერელს. თასით ხელში მიჰმართა თვის ერს:

— ვმადლობ შემოქმედს, რომ მომასწრო ამ დიდებულ დღეს! მოაქცია პირი თვისი ნათელი ჩვენსკენ. მის მეოხებით განვსდევნეთ მტერი. ვმადლობ ჩემს კარგ ხალხს, გაკაჟებულ სიძლიერეს ჩემის ერისა! არ გადატყდა საშინლობის წინ, კვლავ იბრძოდა მიწად განრთხმული. ნახა დუშმანმა, შემართებას ბოლო არ ჰქონდა და აელვარდა: ულმობ მტრობასთან პატივცემაც მოგვაპყრო ქართველთ. არც ერთს ერს

არ ეპყრობოდა ესე სასტიკად, არც ერთს სხვა ხალხს არ უზღვნიდა ამგვარ პატივსა. განქარდა მტერი. აღსდგა ხალხი კვლავ შენებად თავის ქვეყნისა! კვლავ ვზეიმობთ აწ ქართველები. თავისუფლად გვიალერსებს ტურფა ქვეყანა. შევსწირეთ ჩვენს დედას მიწას შვილთა სიცოცხლე. კვლავ იზრდება ქართველთ შვილი კერის პატრონად. ჩვენნი წარსულნიც ჩვენთან არიან! აქ ზეიმობენ მათ აჩრდილნი თავისუფლებას. ჩვენს გარდასრულთ საუკუნო სახსენებელი! თქვენ გამარჯვება!

მეფის სიტყვა მოეფინა გალაღებულ ხალხს. ტალღა ტალღას გადასცემდა გაზვიადებით. ნადიმობამ დიდს ხანს გასტანა. არც ერთხელ ძირს არ დაეშვა აღფრთოვანება. დიდებულ ზეიმს თან ჰყვებოდა ჯირითყაბახი, ბურთაობა, ნიშნში სროლა, სხვა სამხედრო ვარჯიშობები. აქ მეტად ისახელეს თავი მეფის დიდებულმა სტუმრებმა. თვის მოხდენილ ვაჟკაცობით თვალს სჭრიდნენ ხალხს, ლიპარიტ დადიანი, ვამეყ გურიელი, თენგიზ შარვაშიძე, ჯანსუღ დადიშქელიანი. დასავლეთი პირველობდა ვარჯიშობაში. ერთობ მკვირცხლები, მოქნილები, ელვისებურნი, ბუნებით მარდთ ბალღობიდან შეეთვისნათ ეს ვარჯიშობა. პირველ ჯილდოს ვერვის მისცემდნენ!

რაინდულ პირისპირ შეჯიბრებაში მაინც ვერავინ შეედარა წოვა ფუნჩასა. ვერ გაუძლეს თუშს მებრძოლებმა. ბევრი ფიცხობდა, აფრთდებოდა, თავს არ ზოგავდა. ფუნჩა დინჯად ირჯებოდა, ხმალს არ აცდენდა; მოზომილად მოქმედებდა როგორც მანქანა. ბლაგვი ხმალი თუ ვერ სჭრიდა, მაინც ჰღარავდა ფარს თუ მუზარადს; ბეგთარსა ჰგლეჯდა. დასავლეთელთ ის აკვირვებდა: გრძნობათა ფურტკვნა არა სჩანდა მის ქვა-სახეზედ. ისტორიის კაბადონზედ კიდეც დარჩა ფუნჩას სახელი.

მხოლოდ ათაბაგმა ივანემ ვერ შეუტოლა სხვებს აღტაცება. ვერ იყო ღია მის გულის კარი. სხვა მთავრები ისკანდარს რომ თვით შეუერთდნენ, ათაბაგმა არ ინება და შეებრძოლა. ციხე კოხტასთან გადუტყდა ხმალი და ტყვედ ჩავარდა. შეუნდო მეფემ. ეხლა სათუთად ეპყრობოდნენ, არ რა იგრძნოსო, თითონ მაინც გრძნობდა ამას, ის აჟანგებდა.

ნასიამოვნები დაბრუნდა ხალხი. იმედიანად მიჰმართეს ბინებს, პირზედ ღიმილით. სახელმწიფო განმგებლობა კი ჯერ ვერ განიცდიდა სრულ კმაყოფილებას: არ იყო ქართველთა საწყაული ნანატრ სიკეთით სავსებით სავსე: საქართველო ჯერ ვერ დამდგარიყო თავის დონეზედ.

არც შეიძლებოდა ამ ცოტა ხანში მთლად მოეშუშნა საშინელი წყლულებანი, მტერმა რომ დაამჩნია მის წმიდა სხეულს, კვლავ დიდი შრომა მოსასპობლად წყვდიადის ნაშთთა, მისახწევად სიმშვიდისა, კეთილყოფისა! ქართველთ ჭირისუფალნი ფიქრობდნენ ამაზედ, ახალ გზებს სჭრიდნენ სამოქმედოდ თუ საბრძოლველად. ეს იყო მიზეზი, რომ მეფემ აღარ გაუშვა სასახლიდან მასთან მოსულნი ქვეყნის გამგენი. განვლო ხანმა და ბჭობად მიიწვიეს დიდებულნი. ძნელი საქმე იყო გასაბჭიბი, ღრმად მოსაფიქრი.

მხოლოდ საქართველო კი არ განთავისუფლდა მონღოლთა მძლავრობისაგან, თავისუფალ იქმნა მთელი წინააზიაც და უპირველესად დიდი სპარსეთი. მონღოლთა მფლობელობის დროს ირანი მეტად იქმნა დამბდაბლებული. საქართველოში რომ კიდევ დარჩა მეფე და ხალხს შერჩა აჩრდილი მაინც თავისუფლების. იქ ყეინს სრულებით აღარ სცნობდა გალაღებული მტერი; თვით განაგებდა უშუალოდ მონღოლი ირანს.

წავიდა მტერი. დაეტყო სპარსთ სიცოცხლის სახე. გამოვიდა სპარსთ წინანდელ შაჰთა გვარიდან ვაჟკაცი როხი და შეუდგა, აღედგინა ძველი სამეფო, დაედგა თავს შაჰთ გვირგვინი თუნდაც დაჟღლილი. როხი მონღოლთ ბატონობის დროსაც იბრძოდა. იმთავითვე გვერდსა ჰყვანდა განთქმული ჯეჰან, მხედართმთავარი. სანამ მტერი ძლიერი იყო, ორნივ იძულებულნი იყვნენ ფარულად ებრძოლნათ; ხალხნი მაინც იცნობდა იმათ, მტერმაც უწყოდა მათი სახელი; სდევნიდა კიდეც, თუმცა ამაოდ. როცა ჩამოჰკრა ჟამმა და განქრა უცხო სპარსთა კერიდან, განცხადებით გამოჩნდა როხი და აღიარა თავის თავი სპარსთა ყეინად. ხალხი დაცლილი იყო

სისხლიდან, სჭიროდა მფარველი და მიენდო გათქმულ როხის ხმალს. აღიარა ირანის შაჰად.

არ დავიწყა შაჰ-როჰმა თანამშრომელი ჯეჰან, მმართველად დასვა ადარბადაგანს და უჩინა სამყოფელად ამ მხარის დედაქალაქი თავრიზი. ეს უფლება შაჰობის შემდეგ პირველი იყო. წინად ეს ადგილი სამეფო ტახტის საფეხურად ითვლებოდა, ადარბადაგანი და თავზირი მემკვიდრის საუფლისწულო იყო უწინ. ის ადგილი რომ მისცა როხმა, სპარსთა ჰაზრით, ამით უკვე აღიარა იგი მემკვიდრედ. თვით ჯეჰანიც ესე ფიქრობდა.

შაჰ-როხს აწ განეზრახა, შეეკრიბა მთელი სპარსეთი. მოემორჩილებინა ის სამფლობელოებიც, რომელნიც წინად მის განგების ქვეშ ირიცხებოდნენ. ამის გამო გამოეგზავნა ელჩი საქართველოში მეფის ისკანდარის წინაშე და დიდებული ზღვენი ეახლებინა მისთვის. უთვლიდა მეფეს: ეცნო წინანდებურად სპარსეთის გავლენა, აღეარებინა თავისი თავი სპარსთ მფლობელის უმცროს ძმად და ნიშნად ამისა ეძლია მისთვის წლიური ხარჯი. სამაგიეროდ აღუთქვამდა დახმარებას მტერთ წინააღმდეგ და აგრეთვე შესაკრებლად საქართველოს ყველა ნაწილებისა თვის მფლობელობის ქვეშ.

ეს დიდი საკითხი იყო, ესეთი მიხვრა სპარსეთისაკენ დააღონებდა ბიზანტიასაც, აგარიანთაც: მათ შორის უძინებელი მტრობა მძვინვარებდა ეხლა, ორივესთვის ამ ბრძოლაში საქართველო დიდმნიშვნელოვანი იყო და მისი ირანისკენ მიხვრა თვითეულ მათგანისთვის მეტად იყო საგრძნობელი. ამისთვის ინება მეფემ ფართოდ გაეშალნა სახელმწიფო საბჭო.

IX

დარბაზობის დასაწყისს უხერხულობამ იჩინა თავი: მეფის კარს მიღებული იყო, ყეინის ელჩს მეფის ტახტთან დიდად საპატიო ადგილი ეთმობოდა.

— იგი პირად არაფერია, მხოლოდ მონაა ყეინისა. რა შესადარებელია თქვენთან, თავის ადგილს განმგებლებო, ხელ-

მწიფეებო? მაგრამ დღეს იგი სახე არის შაჰი-შაჰისა და მისი დამცირება შაჰ-როხის დამდაბლებას უდრის. ზრდილობას ვერ გასწავლით, სახელმწიფო საქმეებში დახელოვნებულნო: იმასა გთხოვთ, დაუთმოთ სტუმარს ადგილი ტახტთან, შესთხოვა ვაზირმა.

სდუმდნენ დიდნი თავადნი. დადიანს და გურიელს სახე აჰლეწოდათ.

— წმინდა ეკლესიის და სამშობლოს სიყვარული მოითხოვს, წუთიერად დავივწყოთ ჩვენი უზენაესი უფლება. მეც თქვენთან ერთად ვუთმობ შახის სახეს ჩემდა კუთვნილ ადგილს, — მიჰმართა კათალიკოზმა.

დიდად იამა სპარსეთის ელჩს შეძლეული მისდა პატივი, ჩაესახა იმედები გამარჯვებისა; მაგრამ როცა თვალი გადაავლო ჩარაზმულ ხალხს მედიდურს, გაფერმკრთალდნენ მის მოლოდინნი.

— მძაფრ მონობას, საშინელ ტანჯვას შეუმჩნევლად გადაუვლია საკვირველ ხალხზედ. აღუდგენიათ განადგურებული ქვეყანა; გაძარცვა და სიღარიბე აღარ ეტყობათ; რკინის უღელს ბეწვიც ვერ გაუქელავს მათ დევურ ქედზედ. ძნელი იქმნება ამგვარ ხალხთან სიტყვის გაყვანა, — გაიფიქრა ელჩმა

და აღიჭურვა სიფრთხილით. მართალი გამოდგა მისი შიში: სპარსეთი რომ თხოულობდა დამორჩილებას, ყეინის ბრძანებულობის მიღებას და მხოლოდ სახელს უტოვებდა საქართველოს მეფეს, ეს ზიზიღით უარჰყვეს. ბჭობა სათავეშივე ჩაიშლებოდა, თუ არ გამომჟღავნებულიყო რომ ეს სპარსთა მხრივ მხოლოდ ფანდი იყო მოლაპარაკებისა. ნამდვილი პირობები სხვა ჰქონდათ დასახული. გადიშალა თანისთანად მათ სურვილები. შესაძლო შეიქმნა მოფიქრება, დინჯად გაბჭობა. შეთანხმდნენ ბოლოს.

საქართველომ აღიარა სპარსეთი თავის მოკავშირედ და მფარველად; ომის დროს უნდა დაჰხმარებოდნენ ლაშქრით საქართველო სპარსეთს და სპარსეთი საქართველოს; საქართველოს მიეცა ნება, აღედგინა თავის უზენაესი უფლება განძა-ყარაბაღზედ, და შაქ-შირვანზედ: სპარსეთს ხელი უნდა

აელო ამ ქვეყნებზედ, არ დაჰხმარებოდა მათ ქართველებთან ბრძოლაში; სივნიეთი თავის დედაქალაქით ლორეთი კვლავ ცნობილ იქმნა საქართველოს განუყოფელ ნაწილად; ყველა ამის საბადლოდ ქართველთ მეფეს განსაზღვრილი ხარჯი უნდა ეძლია ყეენისათვის.

ამ უკანასკნელმა პირობამ მკაცრი კამათი გამოიწვია კრებულში. დიდი მთავარნი სრულებით არ თანხმდებოდნენ ამაზედ, საშინელ დამცირებად მიაჩნდათ საქართველოსთვის, არც დასთანხმებოდნენ, თუ ჭკვიან ვაზირს არ მიეცა ამ პირობისათვის მისაღები სახე: ისე გამოიყვანა ეს ხარჯი, როგორც შაჰის კუთვნილი ნაწილი იმ შემოსავლისა, რომელსაც მიიღებდა საქართველოს ხაზინა შემოსაერთებელ ქვეყნებიდან. ქართველთაგან ეს მით უფრო იყო მისაღები, რომ ამ ადგილებს სპარსეთი წინათაც ედავებოდა ქართველებს, თავის კუთვნილ ადგილებად მიაჩნდა ისინი.

უამათ, როცა ყეინის ელჩი დათანხმდა ყველა ამაზედ თვით ელჩიც კმაყოფილი დარჩა: საქართველო მაინც აღიარებულ იქმნა სპარსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ. დიდი ზეიმით დათავდა კრება. ორივე მხარეს უხაროდათ, რომ სისხლი არ ჩამოვარდა მათ შორის და შეძლება მიეცათ მშვიდად ეზრუნათ სახელმწიფოს აღშენებაზედ.

X

აუცილებელი იყო საპასუხოდ ელჩებისავე გაგზავნა. არჩევანი ბატონიშვილ დიმიტრიზედ შედგა: უფრო საჩინო ეხლა სხვა არ მოიძებნებოდა ელჩად. ვახტანგის გაგზავნა გადაჭარბებული იქმნებოდა: მემკვიდრის წასვლა თვით მეფის წაბრძანებას დაედრებოდა. დიმიტრი მეორე შვილი იყო ალექსანდრესი და მისი მიევლენა ვერ დაამდაბლებდა საქართველოს, ვერც ყეინს მისცემდა იმის თქმის საბაბს, ულირსი ელჩი მაახლაო ქართველთ ხელმწიფემ.

მეფემ მოსაკითხიც მიართო ყეინს. ზღვენი სიმდიდრით ვერ ედარებოდა შაჰ-როხისაგან მოზღვნილ მოსაკითხს, მაგრამ მა-

ინც სჯობდა იმასა: ერთი ცხრა მხევალი აახლა შაჰს, მთებიდან ვერცხლით გამოყვანილი; თითო თითო ვარსკვლავად ღირდა. როხის რჩეულ ჰარამხანას ნათელს მოჰფენდნენ.

ბატონიშვილმა მოინდომა ამალაში ჰყოლოდა მელექსე, ფალავანი და რაინდი.

— აუცილებელია! ვარჯიშობას გამართავენ სტუმართ სართობად; არ მინდა შევრცხვე უცხოთ წინაშე.

აურჩიეს მგოსანიც, ფალავანიც. რაინდად ჭოღრათაშვილი დაასახელა თითონ ბატონიშვილმა. ურჩევდნენ, სხვა წაეყვანა. ზურაბ მაჯვენა ხელიაო სამშვილდის ციხისთავისა, არ შეიძლება მისი ჩამოშორება. ციხისთავმაც სთხოვა, არ გაეგზავნათ იგი ჭაბუკი: მის გარდა ციხეს ვერვის ვანდობო. არ შეუსმინეს. დიმიტრიმ არ გადათქვა თვისი ნათქვამი.

თითონ მე წავალ და შევაგონებ! სამშვილდელი ცუდად ირჯება, ჩემს სურვილს რომ მსწრაფლ არ ასრულებს.

წავიდა. დაჰკრა თვალი იმ საკვირველ ქალს. ერთხელაც არ შემოხედა სრულის შეხედვით.

— დიდი პატივი ვეცი მცხეთაში: ცეკვად გავიწვიე; დროც არ მომცა, სრულის ეშხით გამეშალა ცეკვა-თამაში: სწრაფად შეწყვიტა. ვერსად წამიხვალ! — იმუქრებოდა ჟინიანი.

ღირსეულად მიიღეს. ფიანდაზად გაეშალნენ ძვირფას სტუმარს; თუმცა ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ საქმისათვის მის პირად გარჯას.

— ვმადლობ შემთხვევას, რომ მოგიყვანათ, უფლისწულო, ჩემს ოჯახში! — ეტყოდა ციხისთავი.

სახლში მისი ქალი აძლევდა სარისტას. სადილადაც ეახლა სტუმარს. არც ერთხელ არ შეარხია ქცევა ზომილი. არც მთლად ახადა წამწამთ ტევრნი გამჭვრეტელ თვალებს. ამაოდა ცდილობდა ბატონიშვილი, ვაჟკაცური ნდომით ჩაეხედნა მისთვის თვალებში; ვერ მოახერხა!

— რას იტყვი, ქალო, რომ თეირანს მსურს ვიახლო ჭოღრათაშვილი?

— ვაჟკაცს იქ უწერია გარჯა, სადაც მოითხოვს მისგან მეფისა და მამულის წინ მოვალეობა.

ბევრი ეცადა, დაეახლოვებინა ქალი. აელაპარაკებინა, ამაოდ! ბოღმა ერეოდა მეტად ნაწყენს. რა შეეძლო?! სდუმდა ბოროტად. ვნების ეშმა შესდგომოდა, ცეცხლს უკიდებდა.

XI

ვერ დაუახლოვდა ბატონიშვილი სასურბველს. მაინც აისრულა წდილი: გაიყოლა ზურაბ. ეს მისთვის ნაბიჯი იყო წინ წადგმული.

— დაბრუნებამდის ჯვარს ვერ დაიწერს. შორ მგზავრობას ბევრი ხიფათი სდევს. შეიძლება ბედისწერა იქ დახვდეს კაცსა, სად არ მოელის.

ქალი დააღონა მის რაინდის გამგზავრებამ, მაგრამ არცთუ მეტისმეტად: ზურაბი თითონ ახლდა თავის თავს და თვით განგებისათვის ადვილი არ იქნებოდა მისი დაჯაბნა.

— იქნებ, კიდეც სჯობდეს: თვალს გაახელს, ათას უცხო ქვეყანას ჰნახავს. სხვადასხვა ხალხს და გამოცდილება სასიკეთოდ დაედება მის ვაჟკაცობას.

— თუ იქ სადმე თვალი მოსჭრას ირანის ვარდმა?

— როგორ?! მაშინ... ხმა გაკმინდე, ფიქრო ბოროტო! ნუ შფოთავ, გულო! ნუ დაგბზარავს, ნებისყოფავ, ხანმოკლე ბნელი! აქავ მოგივა მხიარული. სად წავა სხვაგან?!

ქალის მამას სხვა აფიქრებდა: ის არ გაუკვირდა, რომ ბატონიშვილმა მოისურვა თან გაყოლა ნაქებ ჭაბუკის; არ მოეწონა, რომ დიმიტრი თითონ მობრძანდა სიტყვის სათქმელად და მის სახლში დაჰყო დღეები.

— ჩემმა ქალმა გაიტაცა ჟინმორეული. იმას ცდილობს დაუახლოვდეს. ცუდი აქვს გულში, შუქია კი გულუბრყვილოა: ყველა ვაჟკაცს ზურაბის მსგავს რაინდად სთვლის. მაგრამ... თუ დაავიწყდა, თავს ვადგივარ გულწმინდა ასულს!

თავის ეჭვებს სტუმარს როდი ამჩნევინებდა. იმისიც ეფიქრებოდა, ზურაბს ეჭვი არ დაეკრა, არ ეგრძნო ბნელი.

— ეჰ, ბედი არ თუ მაქვს: თუ ქალის დედა სიკვდილს არ გამოეტაცნა ხელიდან ჩემთვის, აქამდისინ ჯვარს დავწერდი ახალნორჩებსა. არ შეიძლება: უნდა გათავდეს საგლოველად

დადებული დრო, რომ სიხარულის ახმაურება ჩემს კერაზედ შესაძლო იქმნეს, — წარსთქვა დაღონებულმა.

ემცნო ალღოს ზურაბისთვისაც, რომ დიმიტრი რაინდულად არ იქცეოდა და დაიკვართა საბრძოლველად ბოროტებასთან: ტანთ ჩაიცვა სიფრთხილის ჯაჭვი, მოიმარჯვა ეჭვის ხელშუბი, რომ ყოველ წუთს შესძლებოდა შებრძოლება პირაშკმულ ბნელთან.

დადგა ჟამი გამოთხოვების. ტახტზედ ისხდნენ მოყვარულნი ხელგადაჭდობით. შეანათა ქალმა თვალები:

— ჩემი გული შენ მოგდევს თანა. შენ შესახებ ბუნდოვან ავს შთამაგონებს გული ღელვილი.

— ნუ გეფიქრება! შევძლებ დავუხვდე მართებულად მოწეულ საფრთხეს.

— მაგრამ შენ მხოლოდ პირდაპირ მტერს შეჰმართავ მძლავრად. ფარულ დუშმანს, გველივით რომ მოიგრაგნება, ვაჰ თუ...

— მითხარი ცხადად, ვიზედ მეტყვი ან...

— ნუ ენდობი ბატონიშვილს: მტერია შენი!

— ჩემთან სამტრო რა აქვს დიმიტრის?!

ქალი შეწითლდა. თავი დახარა. შეწყვიტა სიტყვა.

— მითხარ, გენაცვა! თუ შეატყე რამ თაღლითობა...

— არა! ჰო! რამდენჯერმე შევიპყარი მის თვალთ ისარი. ვკითხულობ მის ფიქრს: სასიკეთოდ როდი არის ჩვენთან მოსული.

— როგორ?!

— გულუბრყვილო ხარ! მცხეთობიდან მომაყოლა თვალი უძღები. დაჟინებით მოსურვება შენი წაყვანის...

— ჩემო ჭკვიანო! ეჭვი მეც დავკარ, მაგრამ შევრისხე ჩემი თავი ბოროტ ფიქრისთვის. ეხლა კი...

— რა ეხლა?

— ნურაფრისა ნუ გეფიქრება: შენი აჩრდილი შორ გზაზედაც არ მომშორდება და შთამაგონებს, თუ იქმნება მაგისაგან საფრთხე დარწყული.

— გფარვიდეს ყველგან ხმალმოწვდილი თეთრი გიორგი! ჰე, წმინდა შანა: ყოველ ჟამს მკერდს იქონიე იდუმალ ფარად, — უთხრა ქალმა

და შეაბა ყელს ჯვარი წმიდა. საყვარელმა დრო იხელთა, ჩაიკრა გულში, დაუკოცნა თვალნი უფსკრულნი.

XII

გაჰყვა ვაჟკაცს სატრფოს კოცნა, როგორც წყალობა: ყვავილებით უქარგავდა გრძელ გზას საძნელოს, ნათელ სხივად დასციმციმებდა, გულს უღიმოდა. ბევრს ხანს დიოდნენ: ნებივრად ვლიდნენ, აუჩქარებლივ. დიდდიდებულ ყეინისთვის ზღვენი მიჰქონდა მეტად მაღალი, სათუთად უნდა ეტარებინათ. როგორ შეიძლებოდა ეს ცხრა ქალწული გზადაგზა მტვერს ჩაეჯანგა, ან მწვავ სხივებს მძაფრის მზისა აელანძა თუ აეტკიცა?! არ იქნებოდა, შემჩნეოდათ გზაზედ რამ ჭკნობა! თუ არა...

— არა ამაოდ დაშნა ხელთ აქვს დიდ მეფეთმეფეს!

ტახტრევანდნი ქალებისთვის ფერად ფარჩის ჩარდახებით დაბურვილები. საქართველოს სამზღვრებამდინ ქართველთ რაზმი მისდევდა მცველად, მერმე სპარსნი მოეგებნენ, მიიღეს ზღვენი. უნდა ეზრუნვათ ეხლა ირანელთ. დასტრიალებდათ აწ შაჰის ხმალი და ძრწოდნენ შიშით, ხიფათი რამ არ შემთხვეოდათ.

შაჰ-როხს მეტად უამა ქართველთ მეფესთან საიმედო ზავის შეკვრა. მართალია, განჯა-ყარაბაღი და შაქი-შირვანი მისთვის ძნელი დასათმობი იყო, მაგრამ იმ გარემოებაში, რომელში შაჰ-როხი იმყოფებოდა, ეს მაინც დიდ გამარჯვებად ჩაითვლებოდა: თუ ეს ძვირფასი ადგილები ეხლა საქართველოს ემორჩილებოდნენ, საბადლოდ მთელი საქართველო მის სამზღვრებში მოქცეულ ერებით, ექვემდებარებოდა დიდ სპარსეთს.

დარბაზობა ბრძანა ყეინმა. საბჭომ მოუწონა თვის მეფეს მოსაზრება და მიხწევები, ქება შეასხა შორს გამჭვრეტელ იმის გონებას. კრების დასასრულ მოართვეს საქართველოდან მოღებული ზღვენი. საიშვიათო ტურფა იყო შიგ რამდენიმე. როცა ხადუმთ ჩამოგკრეს ხელი ქალების ჩადრებს და წარუდგნენ ლამაზები კრებულს შიშველნი, აღტაცება აესახა იქ მყოფსა ყველას.

— ეჰა ზღვენი უდარებელი!

— ამისთანა მშვენიერნი ჰგვარობენ მხოლოდ საქართველოში.

— ედემის არსთ უხრწნელ ქალებს ისკანდარი ამ ქვეყნადვე ჰფლობს.

— ნეტარება დაუშრეტელი!

ხარბად შეჰმზერდნენ დიდებულნი აკოკრებულებს. იდუმალი შური ჰქონდათ თვის დიდ ხელმწიფის.

— ისკანდარის ჰარამხანა სავსებით თუ სავსე არის ამგვარ ყვავილებით?

— ერთი ცოლი ჰყავს.

— ერთი?! უვარგისი ვაჟკაცია თუ...

— სჯული უკრძალავს: მხოლოდ ერთს ცოლს უწესს მათ ღმერთი.

— უკაცური ღმერთი სასტიკი!

ყეინს ცხრავე მოეწონა. ბრძანა მათი ჰარამხანაში დაბინავება. განაცხადა თვის სურვილი ქებინის გაჭრის. ან კი რა ქემნა ვაჟკაცს, როცა ქალთა შორის არჩევანი არ ეგებოდა: ყველა მათგანს ცალკე ჰქონდა საკუთარი მიმზიდველობა და ხორცთა მყოფი ვერ დასთმობდა ვერც ერთ იმათგანს.

XIII

მეტად მოილხინა ყეინმა. არ დაშალა ზეიმი სამ დღეს. ფერადფერადი საჭმელ-სასმელი. ღმერთთ სასმელი ნექტარები საბრძანებლის ყოველ კუთხიდან. იშვიათი ხილეული განსაცვიფრები. მომღერალთ ხმა, სიმთა ჟღრიალი. მოცეკვავე ქალწულები მოქნილ ლითონის.

ქართველთ ბატონიშვილი პირველობდა ყურადღებაში. რომელს მიაქცევდა შაჰინშაჰი მეინახეთა. მეფურად დაასაჩუქრა: საკუთარი თვისი ხმალი წელს შემოარტყა. მხოლოდ ის ენანებოდა, ვერ მიუპყრობდა მას უაღრეს პატივს, მიზღვნა რომ განეზრახა სხვა დიდებულთათვის: დიმიტრის რჯული ნებას არ აძლევდა, მიეღო მისგან ძვირფასი ჯილდო.

ზეიმის ბოლოს შაჰმა ერთხელ კიდევ გამოთქვა თავისი კმაყოფილება იმაზედ, რომ ქართველნი კვლავ მიენდნენ თავიანთ

ბუნებრივ მოკავშირეს, მეზობელ სპარსეთს და შეჰკრეს მასთან ძმური ზავი სამშვიდობო. განაგრძო:

— მით უფრო ძვირფასია ჩემთვის საიშვიათო ზღვენი, რომელი მამართვა ძმად გაფიხულმა ისკანდარმა. კმაყოფილების აღსანიშნავად ვბრძანებ: ეს ახალი ცხრა ვარსკვლავი ჩაირიცხოს ჩემ მეუღლეთა დასში; ჩემ ცოლთა სიმრავლიდან ცხრა მიბოძებია დიდის წყალობის ნიშნად საუკეთესო ჩემ მოჭირნახულთათვის. ხოჯათა უხუცესო, მოახდენ სათანადო განკარგულებას!

და ჩამოთვალა ის ცხრა ბედნიერი, რომელნი ღირსნი უნდა შექმნილიყვნენ, რომ შაჰის ცოლებს დაევანნათ იმათ კარზედ. სხვა დიდებულებს უბრძანა თავისი წყალობა ყმით, მამულით თუ ხალათებით. ნადიმის ღირსეულად დასათავებლად შესაფერი ნადირობა ბრძანა მოეწყოთ.

ამის გაგონებაზე ბატონიშვილს რაღაცა განზრახვამ შეანათა თვალებში, გაუპო ბაგე უნდო ღიმილით. შეჰბედა ყეინს:

— ამ მშვენიერ ნადიმობის დიდებული დაგვირგვინება იქმნება იგი ნადირობა. ბევრჯელ მსმენია ქება-დიდება თქვენებურის ნადირობისა. აწ ბედნიერი შევიქმნები პირად დავსტკბე საუკეთესო სანახაობით.

— გამიგია, გათქმული მონადირე ხარ და იქნება გსურს გამოფინო შენი უნარი?

— მიყვარს ნადირობა! გათქმული კი... მყავს ნაქები მონადირე, იმედი მაქვს, გასიამოვნოთ.

აახლეს ყეინს ზურაბი. დაასახელეს თავიანთი მონადირენი. განიზრახეს მათ შეჯიბრება. ნადირობა ხვალისთვის ბძანა.

XIV

დიდებული ნადირობა მოეწყო ბაზიერთუხუცესს. მწევრები, ავაზები, სპილოები, ქორმიმინო. დაკვართული მონადირენი. ხანჯლები, მშვილდ-ისრები თუ ხელშუბები. უფრო ქვეითნი იყვნენ, რამდენიმე ცხენოსანი საგდებლით ხელში მოიხმო ზურაბ ბატონიშვილმა.

— მარჯვე ვაჟკაცი ხარ, ნადირობაშიც ნავარჯიშევი; იმედი მაქვს, დღეს გვასახელებ.

— ამ ქვეყანაში პირველადა ვარ, არ ვიცი მათ ჩვეულობა ნადირობის ჟამს, არც აქაური ნადირის ძალა. მისი ალღო თუ ხასიათი. შესაძლოა, მარცხი მომიხდეს და...

— თითქოს შემკრთალხარ.

— რა არის შიში?

— მაშ რა გაფიქრებს?! ნადირი ყველგან ნადირია და მის მოსვლას მკლავი უნდა მარჯვედ დამხდომი, — ბრძანა ბატონიშვილმა

და ხმაში თითქო დამცინავი ბგერა შეაჩნდა. ზურაბმა შენიშნა ეს და ცხადად დაინახა, დიმიტრი ხიფათს უმზადებდა მას. მოაგონდა თქმა დანიშნულის:

— დიმიტრი მტერია შენი, ემორჩილე, არ კი მიენდო!

მიჰხვდა ვაჟკაცი, ქალის ეჭვი უსაფუძვლო არ ყოფილიყო.

— ჰსურს გზიდან ისე ჩამომიშოროს, რომ მას თითონ არაფერი არ დააბრალონ, — წარსთქვა ვაჟკაცმა

და გესლიანად გაიღიმა.

— ვერ ეწევი შენს ბინძურ სურვილს! თუ დავიღუპე, სატრფო მაინც არ დამრჩება ისე უმწეოდ: ჩემს შუქიას თითონ ახლავს თავისი თავი!

უნდა გაჰყოლოდა გაწვევას; თან ყოველივე ღონისძიება მიეღო, არ ძლეულიყო განძვინებულ მხეცისა თუ სამტროდ გამოსულ ვინმე კაცისგან. ყეინის მონადირეებმა უკვე იცოდნენ, რომ ქართველი მათ მეტოქედ გამოსულიყო.

— ვნახოთ, რას იზამს, თუ თავს დაგაწყდა ლომი ან ვეფხვი: იქნებ, ჭანჭრობში დაგეხვიოს ძელივით გველი.

— ალბათ აქაც საქართველოს ტყე თუ ჰგონია, სად დათვი არის მხეცთა შორის უძლიერესი.

სანადირო ადგილად ხეობა ამოერჩივნათ. მომცრო მდინარეს ჭალა ჩასდევდა ჭანჭრობიანი. შამბი, ბარდები. ტოტებზედ თუ კენწერებზედ მაიმუნთ ჯარი. გველი იყო უფრო საშიში. უჩვევი თვალი ვერ არჩევდა ხის ტოტიდან თუ სქელ ფესვიდან. მრავალი მხეცი სხვადასხვაგვარი. შაჰინშაჰის სანადირო მტკიცედ დაცული.

რომ იწვლილა წურაბმა, რა ადგილას მიდიოდნენ სანადიროდ, რა სახის მხეცთა სიმრავლეში, შეფიქრიანდა. შეიბერტყა, სიფრთხილის ზღუდე შემოირტყა, აღიჭურვა თვალხმიერებით.

XV

დიდის ამბით წაბრძანდა შაჰი. უმრავლესი მონადირე, მსახურთ ჯგუფები. სანოვაგის თუ სასმელთა დიდი სიუხვე. ვერ გაიკვლევდა, ნადირობად მიდიოდა თუ ნადიმად.

მომზადებულიყო ზურაბ: მაღალყელიანი ჩუსტები, შალის შალვარი, პერანგქვეშ საკურტაკე ჯაჭვი თალათინზედ. მოკლე ჩოხაზედ ტყავის ქამარი, ტყავისავე ქუდი მსუბუქი. იარაღი სხვებთან საერთო: მშვილდი, ისრით სავსე კაპარჭი, ხელშუბი, ხანჯალი. მხოლოდ იმით გაირჩეოდა სხვებისაგან, რომ ხმალი ერტყა სარტყელზედ მოკლედ მიმაგრებული. ლახტი უნდოდა, მაგრამ უარჰყო; დაშნას მიენდო. ფეხით იყო უბრალო მონადირეებთან ერთად. ყეინმა დაჰკრა თვალი, მოეწონა.

— სამოქმედოდ მოკაზმულა შენი ნაქები.

— ფრთხილია, თუმც ჯერ ახალგაზრდა.

— გამოვცდი ვაჟკაცს, მის მეტოქესაც. ნაბძანები აქვს ბაზიერთუხეცესს.

ნადირობაში განთქმული სპარსი ცხენით იყო, ახლდა თვით ყეინს. სანადირო იარაღით აღჭურვილიყო. ამაყად ეჭირა თავი. გადახედა თავის მეტოქეს, იუკადრისა.

ჭალის ნაპირები შეკრული იყო დამვლელებისგან. თავისუფლად დაეტოვებინათ მხოლოდ ის ადგილი, სად ჭალა უერთდებოდა შეფენილ მინდორს. ჩასაფრდა მსროლელი. ხელმწიფე და მისი ამალა ისეთ ადგილას მოექცნენ, საით უფრო მეტი ნადირი დაიძროდა. მათ მახლობლად საუკეთესო მსროლელთ დაიჭირეს ადგილი. მათ უკან ედგნენ მეფის მცველები.

ზურაბი ზევით იდგა, უფრო ღია ადგილას, დევნილ მხეცისთვის გასაქცევს გზაზედ. მეტოქისთვის მარჯვე ადგილი მიეცათ. უნდა დაეთვალათ, ვინ რამდენს მოჰკლავდა და რა ნადირს.

ატყდა დიდი ხმაურობა ჭალის გარშემო. ყოვილ-ყიჟინა,

ბუკთ ზახილი, დაბდაფთ ტკრციალი. ხმები თანდათან ჯგუფდებოდნენ, ახლოვდებოდნენ. იწყო გამოსვლა შემფრთხალ მხეცთა მათ მიმოხლტომა. ისართა ფრენა, ხელშუბთ ზუზუნი. ზედმისულ ნადირს ხანჯლითა ჰგმერდნენ. ლტოლვილ მხეცთ რიცხვი თანისთანად გამრავლდებოდა. ზოგი კაცი ველურ კამბეჩთ დააზარალეს, ქაფმორეულ ეშვთ გამოფათრეს. დევნილი ზოგი აპობდა წრეს, განერებოდნა სისხლი ბევრი იღვრებოდა, ხვავდებოდა მოკლულთ სიმრავლე.

აუჩქარებლად ირჯებოდა ზურაბ. მოზომილად ესროდა. არა ჰღელავდა. არ ჰვარდებოდა თავგანწირვით ზედმისულ ნადირს ბატონიშვილი თვალს არ აშორებდა მას. რიოში იყო იმისი გრძნობა.

— იქნებ გაიმარჯოს და გვასახელოს. რად ჩავაგდე ვაჟიკაცი ამგვარ ხიფათში?! შუქიავ ჩემო!.. რაც მოხდა, მოხდა; ბედისწერის ჩამოჰკრას წუთმა...

— ვეფხვი, ვეფხვი! — გაისმა ხმები.

შეკრთნენ, შეშფოთდნენ მონადირენი. ბევრი სტოვებდა თავის ადგილს, საფარს ეძებდა. გრგვინვა, ყიჟინა. გამოხტა ჭრელი. შედგა ერთს წამს, მიმოავლო არემარეს ცეცხლის თვალები. თუ შენიშნა: განგანზედ იდგნენ შეფენილში მონადირენი. ერთს ადგილას ეხლა მხოლოდ ერთი მოჩანდა: მახლობელნი თუ გაიფანტნენ. ალღომ მხეცი იქით მიმართა. დიდ-დიდ ხლტომით მსწრაფლ ჰლევდა მანძილს. ზურაბმა წუთს გადაყარა ხელშუბები, მშვილდი, კაპარჭი. მოწვდილ ხმალით გადაუდგა მომმხლტომელ ნადირს. შედგა მძვინვარე. ჩაიზნიქა. საკვირველი ფრენ-ნახტომი. როცა დაეშვა, ყურის ძირში მოჰხვდა მახვილი, თავის ქალა მთლად ააცალა. დაშვებულმა ტოტი ჩამოჰკრა. თუ ჯაჭვი არ დაჰხვედროდა მკერდს ჩამოჰბდღვნიდა.

XVI

წარუდგინეს მეფეს მონადირე გამარჯვებული და ნადირი დამარცხებული. როხმა დაჰკრა თვალი თხემგადასხეპილ ვეფხვს და წარსთქვა:

— საიშვიათო მოქნევა ხმლისა! დაშნის ხმარება დიდმებრძოლი ბუმბერაზისა.

— დიდო ხელმწიფევ! ზურაბი განთქმული მებრძოლია და შესძლებს, გიჩვენოს ბუმბერაზულ შემართების უნარიც.

— ყეინი დააკვირდა ბატონიშვილს. მის თვალში ბოროტმა ელვამ გაიპრიალა.

— არა! არ ვარგა, განგების ხელი ზედიზედ გამოსცადო: შესაძლოა ბედისწერამ თვით გამომცდელს მიაქციოს თვისი ახვილი, — წარმოსთქვა შაჰმა

და შეხსნა სანადირო ხმალი. გადასცა ჭაბუკს.

— მოუხდება შენს ვაჟკაცობას! გარედან ძვირფასად არ არის შემკული, გული კი რკინის მკვეთი აქვს.

ცალ მუხლზედ დადგა, საჩუქარი ჩამოართვა, ხელზედ აკოცა. გასინჯეს მისი მეტოქის ნანადირევიც. ბევრი დაეხოცნა. ერთი ნასროლი მეტად სანაქებო ჰქონდა: გალომებულ კამბეჩისთვის მარჯვედ დაეკრა ხელშუბი, ადგილობრივ გაეციებინა გულგანგმირული. მაინც მხრებამდინაც ვერ სწვდებოდა მის ნაღვაწი ქართველისაგან მოქნეულ მახვილს.

დიდი საჩუქრებით გამოისტუმრა შახმა ქართველნი. გახარებული იყო მისთანა მომხრის მოპოებით ერთობ ბევრი საქმე ჰქონდა სპარსეთში საკეთებელი და სამზღვრებზედ მოკეთის ყოლა ხელსაყრელი იყო მისთვის. მონღოლთა მფლობელობამ დაშალა სპარსეთის ცხოვრება, მოსპო იქაური კეთილდღეობა, გამუსრა ირანის დამცველი ხალხი, მის დამმუშავებ-ამყვავებელი მოჭირნახულე. დაამდაბლა დიდებული სახელმწიფო. დაახშო კეთილშეგნება სპარსეთის შვილთა.

აწ სავსე იყო ქვეყანა თავზედხელაღებულ ხალხით, რომელნი თვით მონღოლთ არ ჩამოუვარდებოდნენ ხალხის ჩაგვრაში, მამულის განადგურებაში.

ისეთი ძლიერებიც დათარეშობდნენ, რომელთ დაეკარგათ ყოველივე მოკრძალება შაჰის წინაშე, არაფრადა სთვლიდნენ სპარსეთის გაერთიანებას თუ გაძლიერებას. დაეჭირათმათ ზოგი კუთხე სახელმწიფოსი მეფურის მძლავრობით და ებრძოდნენ ერთმანეთს, რომ გაევრცო თავთავიანთ საბრძანებელი; იქნებ

კიდეც ასწდომოდნენ თვით შაჰობასა. დიდად ირყეოდა სპარსეთის ახლად ამდგარი სამეფო საყდარი.

განდგომილებში ყველაზედ მეტ საფიქრს წარმოადგენდა ადარბადაგანის მფლობელი ჯეჰან. გამძლავრებულიყო იგი, მეტად გაეფართოვებინა თვისი სამფლობელო; თავრიზი მთელის ირანის სატახტოდ დაესახნა. იქამდისინ გაკადნიერებულიყო, რომ სპარსეთის გვირგვინით შაემკო თავი და მიელო შაჰის წოდება.

ეს მიზეზები იყო, რომელთაც დაამალვინეს სპარსეთის ლომს ბასრი ბრჭყალები და მეგობრული მარჯვენა გამოაწვდევინეს საქართველოსკენ. ესევე მიზეზი იყო რომ ახალი სათხოვარი ებრძანებინა ყეინს და მის ასასრულებლად ოქრო ეახლებინა ისკანდარ ხელმწიფისათვის.

— გიგზავნი ოქროს. იმას გენუკვი, გამოიყვანო მთებიდან მებრძოლნი, ჩაუყენო შენი ქართველები და საომრად დარაზმულნი გამომიგზავნო: დრო არის, ავლაგმო სპარსეთის მტერნი და დუშმანნი მის მეგობარ ყველა ხალხისა. კვლავ მიიღებ ფულს გამოყვანილ ჯარის საკვებად. — სწერდა დამეგობრებული ყეინი როხი.

XVII

თავრიზი, ადარბადაგანის დედაქალაქი, სძევს მდინარე ნერხან-რუდის და აჯი-ჩაის შესართავში. გარს ახლავს ნოყიერი ადგილები მთოვანნი. ხალიფ გარუნალრაშიდის მეუღლემ გარდაქმნა უბრალო დაბიდან ქალაქად: აქაური იყო.

უწინ ვალიადი, ტახტის მემკვიდრე, იჯდა აქ, განაგებდა საუფლისწულოს. დიდებული სავაჭრო ადგილია: იქა სძევს, სად ერთდებიან გზები ტრაპეზონიდან — ქალაქ ხოით, თეირანიდან ყაზმინით, თბილისიდან ჯულფით.

როდესაც მონღოლთა ურდოებმა დაიბყრეს სპარსეთი, დაანგრიეს ყენთა სასახლეები თეირანის გარეთუბან რაგიში, თვით თეირანიც მიწასთან გაასწორეს. აღარ ვარგოდა ეს ქალაქი არამც თუ სატახტოდ, უბრალო აღებ-მიცემისათვისაც. სპარსეთის სატახტოს აჩრდილად თავრიზი დაისახა.

მონღოლთა წასვლის შემდეგ შაჰ-როხმა შეკრიბა სპარსეთის აღმოსავლეთი ნაწილები და თეირანშივე აღმართა სამეფო ტახტი. ხელი მიჰყო დასავლეთის შეკრებასაც, მაგრამ დიდი დაბრკოლება დაჰხვდა იქ: არ დაუთმო ჯეჰან-შაჰმა და შეებრძოლა.

ამ საბედისწერო ბრძოლაში საქართველოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ჩრდილოეთით მოქცეულს შეეძლო მთებიდან თუ მთათ გადაღმიდან ულეველად გამოეყვანა ლაშქარი და ხელი შეეწყო მოკავშირესთვის. როხმა ადრე განსჭვრიტა ეს და შეკრა სატევ-საგერებელი ზავი ისკანდარ ქართველთან. მეტად ეწყინა ეს ჯეჰან-შაჰს: ეხლა ორი მხრიდან ჰყვანდა მას მტერი: აღმოსავლეთით შაჰ-როხი, ჩრდილოეთით — ალექსანდრე ქართველი.

მონღოლთაგან განადგურებული საქართველო მალე გასწორდა: აღადგინა თავისი აღმოსავლეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი საზღვრები. განძა-ყარაბაღი, შაქი-შირვანი. თვით კავკასიონი დაემორჩილნენ მას: რაკი სპარსეთი იძულებულ შეიქმნა დაეთმო ისინი საქართველოსთვის, იმათაც აღარ გაუწიეს ძნელი წინააღმდეგობა. რა ბედენა იყო მათთვის, პირდაპირ სპარსეთს დაემორჩილებოდნენ, თუ მათ შუა ქართველობა ჩადგებოდა?! ეს უკანასკნელი სახე მორჩილებისა კიდეც ერჩივნათ: უფრო ლბილი იყო და ადვილად ასატანი.

დაასკვნა ჯეჰანმა სისხლის აღება. იწყო ომისთვის მზადება: როხი ტახტის წარმტაცია და უნდა დაისაჯოსო. ჯერ საქართველო ჰქონდა მიზანში ამოღებული. ეს განზრახვა უფრო გაძლიერდა, როდესაც ისკანდარმა დაიომა ლორის ციხე და მთლად სივნიეთი. ეს მხარე წინათ თურქთ ეჭირათ, მაგრამ ჯეჰანი სთვლიდა თავისი სამფლობელოს განუყოფელ ნაწილად.

სივნიეთის ბრძოლაში მეტად ისახელა თავი ბეშქენ ორბელიანმა, იმ მხრის თავადმა და დიდებულმა მებრძოლმა. მეფემ იგი დანიშნა სივნიეთის გამგედ.

ბატონიშვილი დიმიტრი ახლდა მეფეს სივნიეთში. მეფე რომ დაბრუნდა, შეიფერხა სამშვილდეში და იქიდან წაბრძანდა თბილისს. დიმიტრი არ გაჰყვა მამას, დაიხანა სამშვილდეში რამდენიმე დღით: ჯინჯილებით თუ დაება სამშვილდის მნათობს.

XVIII

სამშვილდეში დარჩენის საბაბად ის მოიდო ბატონიშვილმა, რომ დაეთვალიერებინა ეს დედაციხე, რომელი ბირთვისთან ერთად კარებს შეადგენდა საქართველოსას. სამხრეთიდან მომავალი მტერი ისე ვერ მიუახლოვდებოდა თბილისს, თუ არა სამშვილდეზედ.

ფართო ციხე მაგარი. ერთს მხარეს უფსკრულში მიმდინარე ქცია, მეორე მხრივ ჭივჭივის ხევი, რომელიც იქვე კონცხის ბოლოში, უერთდება ქციას. ნიადაგი — პიტალო კლდე. ფრიალოებში ქვაბ-ხვრელები, სამალავები. ნიადაგში გვირაბები, სხვადასხვა გზით მიმავალნი ქცუუს პირამდინ განიერ ადგილს, ქციისა და ჭივჭავს შუა, ციხის კედელი გადავლებული. მაშინდელი იარაღით აუღებელი იყო ეს ციხე.

ბატონიშვილს დიდი მუშაობა დაჰხვდა ციხეში: ახალ კედელს აშენებდნენ ძველი კედლის წინ. სამუშაოს ხალხი ეხვია: ეზიდებოდნენ ქვას. კირს. ხე-ტყეს. დამკლავებულ კალატოზებს ბევრი ჰშველოდა. სისწრაფით იზრდებოდა კედელი. ალაყაფის აქათ-იქით შემაღლებულიყვნენ კოშკები. კედლის ბოლოები ხევებში გადაეშვათ, რომ მტერს შეძლება არა ჰქონოდა გარს შემოევლო.

მიეგებნენ ბატონიშვილს, მიიპატიჟეს. ნახა შენობები.

— აუცილებლადა ვსცანი ციხის უმეტესად გამაგრება.

— განა რამე საშიშს ელი განდევნილი მტრისაგან?!

— არა! მონღოლი დაიღუპა, თურქთ ჯერ ჩვენთვის არა სცალიანთ: ბიზანტიის დასანთქმელად ირაზმებიან; სპარსნი სცდიან ჩვენზედ ძალას.

— სპარსნი, ჩვენი მეგობრები, მოკავშირენი?!

— არა. ბატონიშვილო! ადარბადაგანის მმართველი ჯეჰან დიდ ჯარს უყრის თავს თავრიზის სანახებში. არაბეთიდანაც მოუყვანიაო დაქირავებული რაზმები.

ეგ ვიცი. ჯეჰანს განუზრახავს თავის ხელში შეკრიბოს მთელი სპარსეთი, მოსპოს შაჰ-როხი, მთელი მისი გვარე-

ულობა. თავისი თავი უკვე განუცხადებია შაჰინშაჰად. მაგრამ სხვებსაცა აქვთ მოსაზრების უნარი: შაჰ-როხი თვით ემზადება მის მოსასპობლად. ჩვენც ხომ ვამზადებთ ლაშქარს საშველად. მეფე განძის სანახებში უყრის ლაშქარს თავს, რომ დროზე შესძლოს მიაშველოს იგი ყეინსა.

— მაგრამ ბატონიშვილო, ჯეჰანმა რომ განიზრახოს იმ დიდი ლაშქრით ჯერ საქართველოს გაოხრება და მერმე ქმნას პირი აღმოსავლეთისკენ...

— ვერ გაბედავს შაჰ-როხის შიშით! გარდა ამისა, ლორის ციხე უკვე ჩვენია. მთელი სივნიეთი შემოერთებული გვაქვს და ამ სანაპიროს ისეთი გამოცდილი სარდალი უდგა. როგორიც არის ბეშქენი. თავის საბატონოს იგი ადვილად ვერვის დაუთმობს.

— სრული იმედი მაქვს! მაინც სიფრთხილეს თავი არ ასტკივა და მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ მეფისა თუ ქვეყნის წინაშე.

— კეთილად ირჯებით და პატიოსნად!

— კიდევ სხვაც მინდა მოვაგვარო: ამ მხარეს ყველაზედ ხომრიელი ციხე ეს არის. გაჭირვების ხანს ხალხი მოაწყდება და აუცილებელია საზრდოს საკმაოდ დამზადება. მსურს შევისყიდო ხორბალი, შევინახო შავი დღისათვის.

— კარგი ჰაზრია. დაგეხმარები მაგ საქმეში ბატონ მეფესთან. როცა შიში გადაივლის, სახელმწიფოვე მოიხმარებს შეძენილ საზრდოს.

ბატონიშვილი ძლიერ კეთილად ეპყრობოდა ციხისთავს, უქებდა და უწონებდა ყოველ დაწყებილობას; აღუთქვამდა დახმარებას სიტყვით თუ საქმით. ციხისთავი მაინც ფრთხილად იყო, ეჭვის თვალი ეჭირა მასზედ: ყოველ წუთს ახსოვდა, რა ნდომის თვალით უმზერდა ის მის შუქიასა.

ზურაბი ხომ... მის რაინდული _ქცევა თუ ზრდილობიანი მოპყრობა ვერც ერთს წუთს ვერ ავიწყებდა მას საშიშროებას; ჰზომავ-სწონავდა ბატონიშვილის ყველა ნაბიჯს, ყოველ მის სიტყვასა თუ მოძრაობას.

XIX

ბატონიშვილი ალერსიანად ეპყრობოდა თავის მასპინძელს, მის სიძესაც: ესროდა მათ კეთილ სიტყვას, საამო თქმას არ იშურებდა. მაინც ყველაზედ მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ახალნორჩ დიასახლისზედ. ცდილობდა, არავისთვის შეემჩნევინებინა ეს, მაგრამ ამაოდ: მისი თვალები შეუგნებლად ქალისკენ მიიქცეოდნენ, მისი ენა შაქარ სიტყვას იმისთვის ხვეჭდა.

— ქალო შუქიავ! სად ისწავლე ჯერეთ ნორჩმა ოჯახის მოვლა? სასახლეში ვერ ვიგემებ ასეთ მგბარ ჭამადს.

— დედის გაწვრთნილია, ბატონიშვილო! ძვირფასი ადამიანი იყო ცხონებული.

— ნეტავ მენახა!

— ბედნიერი ხარ, ზურაბ, ესეთი ფასდაუდები ქალი შეგხვედრია. რომ მცოდნოდა, ეგრე გიყვართ თქვენ ერთმანეთი, არ წაგიყვანდი სახიფათო გზაზედ სპარსეთში.

— ბევრს დავკარგავდი, ბატონიშვილი.

— მადლობელი ვარ, რომ ინებეთ მაშინ და დაიახლოვეთ ეს ჩვენი აღზრდილი. დიდი გამოცდილება შეუძენია იმ მგზავრობაში, თუმცა კინაღამ შასწირვია იქ ნადირობას.

— არა, ყარამან! თუ ის ხიფათი არ შემმთხვეოდა, ვერ მივიღებდი ამ წყალობას დიდის ყაენის. თავგანწირვად მიღირს ის ხმალი!

— დაგიღონდებოდა ეს ქალი, თუ...

— ქართველი ქალი გახლავსთ და იცის: ვაჟკაცისთვის ხმალით ხელში სიკვდილი სჯობს ლაჩარ სიცოცხლეს.

ქალმა მოუწონა თავის კაცს სიტყვა: გადახადა ცეცხლის თვალებს გიშრის ფარდები, მიაშუქა მწვავი სხივი ბედნიერ ჭაბუკს. ბატონიშვილმა შენიშნა ეს შეხედვა, ალიან ღაზომ აიტაცა მისი არსება. საბოლოვოდ გადაწყვიტა, მიეთვისებინა თვალი ძვირფასი. მიჰმართა მამას:

— უსათუოდ შემისრულებ ერთს ჩემს სათხოვარს. უნდა გვაწვიო შენი ქალი სასახლეშია. თვალს გააღებს, ისიამოვნებს. შეიყვარებენ სეფექალნი, პატივს დასდებენ.

ამ თქმაზედ ზურაბი აილეწა, მოუსვენრობა დაეტყო, თვალებში სისხლი წამოუჩქროლდა. ციხისთავი ერთხანს შეყოყმანდა და მოახსენა:

— დიდად გმადლობთ, ბატონიშვილო! ღირსიც არა ვარ მაგისთანა პატივისა. გადამწყვეტი ქალის სიტყვაა: როგორცა ჰსურს, ისე მოიქცევა, ესეთია ჩვენის ოჯახის წესი.

— სასიკეთოსაც ვერ ურჩევ შენს ქალს?!

— თქვენი სურვილი სასიკეთოდ არის ჩვენდა მიმართული და კვალად გმადლობთ. მაინც ნება მაგისი არის: ჩვენი რჩევა მხოლოდ ჰაზრი იქნება ჩვენი.

მიჰმართა ქალს ბატონიშვილმა:

— მშვენიერო დიასახლისო! ვსვამ შენს სადღეგრძელოს, გისურვებ ბედნიერებას. გთხოვ ბატონიშვილი: ინებეთ და გვეწვიენით სასახლეშია!

ქალს ფერი მისდ-მოსდიოდა. მკაცრი პასუხი არ შეეფერებოდა სტუმარს, მის ხარისხს; ლმობიერ სიტყვის ღირსი არ იყო. ქალს პასუხი აღარ დასცალდა: მოისმა ცხენთა თქარათქური. რიხიანი ხმა ბეშქენისა:

— ციხისთავო, მეტად გიქებენ სტუმრის დახვედრას. აწ შეგეტყობა!

გამოეგებნენ.

— მობრძანდი, ბატონო!

— მობრძანდით!

XX

ეს ის ბეშქენ ორბელიანი იყო, რომელი თავის გამბედაობით, სამხედრო ნიჭით თუ მოხერხებით პირველობდა სამხრეთ საქართველოში და ამ სადროშოს მთავარსარდლად ითვლებოდა. აგარელთაც, სპარსთაც იცოდნენ მისი სახელი: თვისი დაშნით დაეჭდია მათზე მას იგი. მეტადრე დიდი ნავნები უყო ბეშქენმა თურქებს. უკანასკნელ ბრძოლის დროს, როცა ჩამოეცალათ მათ ლორის ციხე და სივნიეთი. მიჩნეული იყო მეფისაგან, პატივცემული.

სამხედრო საზრუნველზე მოსულიყო, მაგრამ სადილზედ

შეესწრო და მოიმხიარულა. საგანი მაინც ვერ დაავიწყა სმამ თუ ქეიფმა. სთხოვა მასპინძელს, სანდო პირები მოეწვია მოსააზრებლად.

— ბედნიერი შემთხვევაა, ბატონიშვილო, რომ აქა ბრძანდებით: ჩვენ დასკვნას მოახსენებთ ბატონ მეფეს და გვიბრძანებთ, როგორ მოვიქცეთ.

მხოლოდ ორი კაცი მიიწვია ციხისთავმა: მანგლელი თეოდორე და ბირთვისის ციხის უფროსი. ბჭობის მიზეზი მთხრობელისაგან თავრიზიდან მოტანილი ამბავი გამოდგა.

— ესეთი ცნობები მივიღე: ჯეჰან-შაჰს დაუმთავრებია ლაშქრის შეკრება. დიდი ჯარიაო. ჩვენთვის ეს მეტად საგულისხმოა და მზად უნდა ვიყვნეთ.

— ჯეჰანის მზადების შესახებ უკვე ვიცით, ბატონო ბეშქენ, თვით შაჰ-როხმა შეგვატყობინა. მაშველი ჯარიც დავამზადეთ. მათ ვახტანგი წაუძღვება, რომ მიეშველოს შაჰ-როხს ბრძოლაში.

— მეც ვიცი ეგ ამბავი, მაგრამ ომის გზა წინდაწინვე ძნელად გაიზომება. ამისთვისა ვსცდილობ გავამაგრო ციხე.

— ჭკვიანური მოსაზრებაა, ციხისთავო! ჯაშუშმა ერთი მეტად საყურადღებო ამბავი მომიტანა: რჩეული ჯარი ჯეჰანს ცალკე ჰყავსო გამოყოფილი. სხვა ბრბოები რომ აღმოსავლეთისკენ დასწია, ეს ჯარი ჩრდილო სანახებში დაამყოფაო. მე თვითონ ვნახეო მათი ბანაკი. მას თურმე არ ერიდებოდნენ, როგორც სოვდაგარს. გავიგონეო ძნელი სიტყვა თავრიზელისა: სწრაფის დაკვრით უნდა გატყდეს საქართველო, რომ ველარ შესძლო-სო გაუწიოს როხს დახმარება.

ამ თქმამ მეტად დააფიქრა კრებული: ჭკვას ახლო იყო ეს მოსაზრება.

— მით უფრო ფრთხილად უნდა იყვნეთ. თქვენ გაბარიათ სამხრეთი საზღვრები საქართველოსი. ლორის ციხე, სამშვილდე, ბირთვისი განიცდიან პირველ ლახტს მტრისას. ღმერთო, გვფარვიდე! — წარსთქვა მანგლელმა

და პირჯვარი გადაისახა.

— ეს არის მიზეზი ჩემის აქ მოსვლისა. ციხისთავებო,

დააჩქარეთ ციხეების გამაგრება. ლორის ციხეს შეუვალს გაუხდი მტრისაგან. მასზედ დაიმსვრას მოსულთ რაზმები!

— გავბედავ, გეტყვით: ამ სამივე ციხეს უნდა აკავშირებდეს მოძრავი რაზმი თავისუფალი, რომ ალყის დროს რომელიმე მთლად არ გადიჭრას, — ურჩია ზურაბმა.

— დამზვერავთა მფრინავი ჯგუფები? მშვენიერია! მოსულ დუშმანს არ მოასვენებს. თუ დიმიტრი დასტურსა ბრძანებს, შენვე მოგანდობთ იმისთანა რაზმის შედგენას.

დაასკვნეს მსწრაფლ გაემაგრებინათ ციხეები, ისეთი თადარიგი დაეჭირათ, თითქო მტერი მოახლებულიო. ციხისთავმა ერთი შენიშნა:

— მე ეს მაფიქრებს: დიდძალი გადმოქენცილი შემოფარებით, ბატონო ბეშქენ, თქვენს კალთას, ვაჰ თუ სანდონი არ გამოდგნენ გაჭირების დროს.

— ნუ გეფიქრება! დიდად დავალებულნი არიან ჩემგან. კიდეც ეშინიანთ მანამ ჰხედავენ ჩემის ხმლის ელვას, ვერაფერს ავს ვერ გაჰბედენ ჩემ წინააღმდეგ.

— ღმერთმა ინებოს! — დაათავა მანგლელმა.

XXI

უკვე დრო იყო, წასულიყო ბატონიშვილი: სახელმწიფო საზრუნავი იწვევდა მას, ჰხლებოდა მეფეს, ვერ შესძლო დაძვრა: ნებისყოფა აეხადნა მიმზიდველ ძალას, ხასიათი თუ უნარი ზომილ ქმედობის.

— რა მემართება?! გონება და მდგომარება რომ მიჩვენებენ ჩემს საფერს სავალს, ძალა ველარ მიპოვნია, ავყევ იმ სადენს. უნებლიეთ მივდივარ იქით, რაც უფერია და უაზრო ჩემის ყოფისთვის! — იტყოდა გაკვირვებული ვაჟკაცი

და ვერ გასცილებოდა სამშვილდის გალავანს, ვერ მოეწყვიტნა ნდომის თვალი იმ ალქისათვის. თვალნი თითონ იძროდნენ მისკენ, მის აჩრდილისკენ: ყურთ უნებლიედ მოესმოდათ მის ხმიანობა, თქმა ჯერ უთქმელი; ფერხნი იმისკენ თვით მიდიოდნენ, ასდევდნენ მის კვალს.

— ახ, დამალაპარაკა მასთან თავისუფლად, მათქმევინა მისგან ლახვრილ გულის სიტყვები!

უფრთხოდა ქალი, ცალკე ნახვის არ აძლევდა არც სად შემთხვევას.

— ნუ მიჰქრი, ქალო! შენმა სურვილმა დამანავლა; მაპკურე ნამი!

გულქვა ლამაზს მისი სიტყვა როდი ესმოდა! უსისხლო იყო მუქ ზამბახად აღყვავებული; უხორცო იყო ფოლადისგან ნაქანდაკები; თვის რჩეულის მოყვარული უგულო იყო!

— ზურაბი... თუ არ ჰყვანდეს იგი თვის გვერდზედ, ლმობიერად გადმომხედავდა. ვაჰ, რომ მაშინ ვერ ასრულდა ჩემი განზრახვა! თვალხმიერად გამოვიდა ძნელ ნადირობას. გულმა თუ უგრძნო. არა! აქედან ეს ტურფა ალქი თვალთა ძალით იქ ამცნებდა, ფრთხილად იყავო. მოისპოს იგი!

ისე შეუნდა იგი ქალი, რომ მეუღლედ წაიყვანდა, თუ შესძლებოდა.

— შევიქმნებოდი ამ წუთიდან ნეტარებული! რადღა მინდოდა თუნდ სამეფო, ან ზინეთები?!

მაგრამ იქვე ინანებდა ამგვარ დათმობას.

— არა! ვისურვებდი სამეფო ტახტის სრულის სურვილით, რომ დამესვა მასზედ დამწველი; უსათუოდ მოვიხვეჭდი ქვეყნის სიმდიდრეს, რომ ზინეთი გამეშალა ტურფის ფერხთა ქვეშ.

ცხადად წარმოუდგა ბატონიშვილს თვისი მეუღლე, სულითა თუ აღნაგობით ქალი სამეფო. მოწონებით შეირთო მან თვისი შესაფერი. ეხლა...

— ბორკილია იგი ჩემთვის, ხუნდი სამხვრევი. აქ ყოფილა ბედი ჩემი, სხვას გადავეგე! — გაიფიქრა კაცმა

და... ხორციელად იქ მოჩვენებულს მაჯა შესტაცა. ქალი უკან გადაფრინდა გველნაკბენივით.

— რასა სჩადი, ბატონიშვილო? ქვეყნის დამცველი და ბინძურაობა?!

— ვაჰ, რომ სხვისაგან ჩამხერგია შენსკენ სავალი!

— მისთვის ისურვე, ვეფხვს დაებდღვნა ის უცხოეთში? ჩემი სისხლიც შენს სიბნელეს დაედებოდა.

— გიყვარს ზურაბი?

— კმარა! რომ გისმენდნენ მამაც, ზურაბიც, მაინც ავს თქმას არ გესროდნენ, როგორც რომ სტუმარს. მაგრამ შენ თითონ...

— აქ თუ სხვაგან არრად ვსთვლი იმათ. მხოლოდ შენ...

ქალმა პირდაპირ შეხედა ვაჟკაცს.

— უზნეოა და უფერი შენგან ნათქვამი. მორჩა ეს სიტყვა!

— მაშ მე...

— შენს თვალებში ვხედავ შენს წერას: დაჰამხობს, დაგჩლეჩს ჟინიანი სხვა გატაცება!

განქარდა ქალი. ბატონიშვილი კიდევ დარჩა სამშვილდეში რამდენიმე დღე, მაგრამ ქალს თვალი ვერ მოჰკიდა ვერც როდის, არც სად. ჰსურდა ეკითხნა, სად დამალეს ძვირფასი თვალი; ველარ გაბედა. გულდამსხვრეული განეშორა იმ არემარეს.

XXII

ქალმა ყველაფერი უამბო თავის დანიშნულს. სასიძომ სიმამრს განუცხადა ეს მის ნათქვამი. დაღონდნენ ორნივ: ავი კაცი შესჩენოდათ სტუმარის სახით.

— ქორწილი მალე. სხვა გზა არ არის: მძლავრი კაცია, შეიძლება მიიშველოს თვის ძლიერება, — სთქვა ქალის მამამ.

დანიშნეს მახლობელი ხანი ჯვარის დასაწერად. იწყეს მზადება. ეს ერთადერთი ქალი ჰყვანდა ციხისთავს და ქორწილს ვერ მოამწყვდევდა ვიწრო ფარგლებში. ნათესავები, ნაცნობები, მთელი სამშვილდე. გულღიად იჭერდნენ ფართო სამზადისს. მათ გრძნობათა შესაკრებელს ქუფრადვე ედვა დიმიტრის ქცევა.

— სტუმრისაგან ვით იქმნება კერის შელახვა?

— და მერმე რა დროს! რომ ძნელი მტერი კარს მოგვადგა სანადგურებლად.

საქორწინოდ აღარ დასცალდათ: ზედიზედ მოხდა ძნელი ამბები. მიიჭრა კაცი ლორის ციხიდან.

— უბედურება! ორბელიანი მოულოდნელად გარდაიცვალა.

— ბეშქენი, კაცო?!

— დიაღ, ბატონო!
— გალავანი შეხსნია ლორეს.
— მთელ სივნიეთსაც.
— რა დაემართა?
— ექიმბაშმა დაამოწმა, მოუწამლავთო.
— ვინ გაბედა, ღვთის გარეგანმა?
— ამნადინსა ჰბრალდებაო, მასთან შეხიზნულს.
— შხამიც იპოვნეს იმის ბინაზედ.
— არმად სიკეთე!
— ხომ აცნობეს სასახლეში უბედურება?
— მსწრაფლ აფრინეს შათირები ბატონ მეფესთან.

ძნელი ამბავი დატრიალებულიყო. ბეშქენს თითქო თითონვე მიუძღოდა ბრალი ამ უბედურებაში, მის წინდაუხედავობას.

ბიზანტიის მოსასპობლად აღძრული აგარიანნი იმ ჰაზრს დაადგნენ, რომ ყველა ქრისტიანი მათ ქვეყანაში ბუნებრივი მტერი იყო და მოღალატე. უნდა მოესპოთ მუდმივი საფრთხე. ქრისტიანთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა. მოკლე იყო მტარვალთა სიტყვა და ულმობელი:

— ან სიკვდილი, ან სჯულის შეცვლა!

მრავალი გადუდგა სჯულს. მოისპნენ ურჩნი. დაიტაცეს ქალნი, ბავშვები; მაჰმადიათ ოჯახებში ჩამოარიგეს. ხალხი მაინც ვერ ამოწყვიტეს: მოახერხა ბევრმა გაქცევა; გადაიხვეწნენ. ლტოლვილებმა ჩრდილოს მიჰმართეს: ქრისტეს სჯულის აღმასრულებელი სახელმწიფო მხოლოდ აქ იყო. შეეფარნენ საქართველოს. სოფელთ, ქალაქთ მოედნენ. ჯელგა-ჯელგად მოიწევდნენ სივნიეთისკენ. საშინელი სანახაობა: ტიტველ-შიშველნი, დამშეულნი, შეძრწუნებულნი; ათრთოლებულ ნადირებათ გარდაქმნილები. ქვის გულიც კი მოლბებოდა მათ დანახვაზედ! ბეშქენი რილას რაინდი იქნებოდა, თუ დევნილთათვის არ გაეღო ფართოდ კარები. ეუბნებოდნენ შორს გამჭვრეტელნი:

— სახიფათო შეიქმება ამდენ უცხოს აქ დავანება.
— როგორ?
— თავისუფალ არემარეს მთლად დაიჭერენ. შენი ყმებისთვის არ დაგრჩება მიწა საკმაო.
— ვიშოვნი!

— ესეც უნდა ვსთქვათ: უცხო თესლია; მტრის მოსვლისას თუ გვიღალატონ და შიგნიდან გატეხონ ციხე.

— ჩვენნი მტერნი არიან აქ აგარიანი; ისინი ამათ სისხლსა სვამენ: როგორ შეიძლება, რომ მიუდგნენ ესენი თავის მტერს?!

— ვერ შეგიგვნია, დაბრძნობილო: მონობაში შობილთ და აღზრდილთ ნათელი გრძნობა და ქმედობა მოსპობილი აქვსთ, ვერ გაუძლებენ ოქროს პრჭყვიალს თუ ხმალთა პრიალს.

— არ შემიძლია ან დევნილ-გვემულთ არ დავეხმარო.

— ერთი გახსოვდეს: შენ გაბარია საქართველოს სამხრეთი ჯარი; ახალ სამშობლოს დაეძებენ ჩვენს მამულში გამოდევნილნი. არვის დაზოგვენ!

XXIII

ჯეჰან შახს შეეგნო, რომ საქართველოში შეხიზნული ხალხი გამოადგებოდა მას ქართველებთან ბრძოლაში და ნაკადად გაეშვა იქით ოქროს საგუბარი. ბეშქენის მეგობარი ამოერჩია, მისი მეინახე ამნადინი, შემოხიზნულთ ბატონ-პატრონი. მიიტანეს კვალი იმის კარს: ვერ მოეფიქრა რიგიანად, ყოველი-ვე არ დაემალნა. აღიარა გაწამებით მიმტკნარებულმა: მერიქიფე მოესყიდნა, სასმელში სმასალა შეეპარებინა. მოჰკვეთეს თავი. ვერ გააცოცხლა მის სიკვდილმა ორბელიანი. ღიავე დარჩა საქართველოს დამცველი კარი. ჩაიშალა სამხედრო გეგმი, ბეშქენს რომ ჰქონდა ჰაზრთა არეში.

ბატონიშვილსაც არშიყობის დრო აღარ ჰქონდა. მსწრაფლ გაემართა ლორის ციხისკენ. ციხისთავმა და ზურაბმა მთელი თვისი ყურადღება მხოლოდ იმ საძნელო საქმეს მიაქციეს, რომელზედაც იყვნენ დაყენებულნი: ააჩქარეს გამაგრება სამშვილდის ციხის.

— უკვე დაიწყო ჯეჰანმა ბრძოლა: მისმა ნატყორცმა ოქროს ბოძალმა საუკეთესო სარდალი გამოგვაცალა ხელიდან.

— სწრაფად უნდა დაინიშნოს ახალი გამგე, ციხის მოვლა რომ შესძლოს მალე.

— ადვილია სათქმელად! ვინ გვყავს ისეთი, ხმალშიც გათქმული იყოს, ადგილობრივი ამბებიც ბეშქენივით კარგად იცოდეს?

— თითონ ბატონიშვილი...

— რა სათქმელია?! ნადირობაა იმთავითვე მაგისი საქმე: შინ სდევნის ქალებს და გარეთ მხეცთა.

— ლორის ციხე მაგარია; კარგადაც იმქნება გამაგრებული ცხონებულისაგან.

— უბეშქენოდ გატეხილია. შეხიზნულთა ბრბო ალბათ განცხადებულ მტრად არის ეხლა გარდაქმნილი.

— ერთის ცოდვას მთელს ხალხს ნუ აწერ.

ეს იყო ცხადი: ხელი უნდა ეჩქარებინათ, ეგებ მოესწოთ დაყენება საომარ ფეხზედ. აღარც დაჰყოვნეს: დაათავეს გარეთ კედელი; დააბანაკეს ციხეშივე მებრძოლი რაზმი; უკვე შეგროვილ სანოვაგეს კიდევ დასძინეს; გაისტუმრეს ისეთები, ვინც ომის დროს შებოჭავდა მებრძოლთ; მახლობელ სოფლებს აცნობეს, განძი დაეფლათ, გახიზნულიყვნენ.

ციხისთავს უნდოდა, მისი ქალიც გასცლოდა საშიშ ადგილს, მაგრამ იმან არ ინება.

— სადაც თქვენ, იქავ მე! უთქვენოდ მე რაღა დასამყოფი ვიქმნები?!

— ვერას გაგვიკეთებენ, მხოლოდ ხელს შეგვიშლი.

— ბევრი იქნება საქმე: მებრძოლთ, ომში დაჭრილ-დაძაბუნებულთ მოვლა დასჭირდებათ.

— ტყვედ ჩაჰვარდები და დაგვამწარებ.

— ვერ შემიბყრობს უსჯულო ცოცხალს! ვერ გასტეხავენ ჩვენს მაგარ ციხეს.

დარჩა ქალი ციხეში. რამდენიმე დედაკაცმა მიჰბაძა მას. შესდგა პატარა ჯგუფი თავდადებულ ქალებისა: მებრძოლთ მშველელად იგულეს თავი.

XXIV

მეტად შეაშფოთა მეფე ბეშქენის მკვლელობის ამბავმა: მიჰხვდა, რა დიდმა ღალატმა იჩინა თავი სამხრეთ სამზღვრებზედ. უბრძანა სივნიეთში წასვლა გამოცდილ მხედართმთავარს. ბატონიშვილი დიმიტრი ხომ უკვე იქ იყო. უნდა ეზრუნათ სივნიეთზედ, ლორის ციხეზედ.

გვიანღა იყო: მგგვინავ ტალღებად აგორდა მტერი.

ჯეჰანმა თავის დიდი ლაშქარი დაძრა აღმოსავლეთისაკენ. შაჰ-როხის სამფლობელო არ გადალახა; სამზღვრებს ახლო დააბანაკა და გაამაგრა. ხმები დაყარა:

— მე თვითონ არ ვებრძვი შაჰ-როხს; ისეთივე მეფეა ის, როგორც მე. მას აღმოსავლეთი დაულოცა განგებამ, მე დასავლეთი. თუ თვით დამესმის, ღმერთი არის გამმარჯვებელი.

იცოდა, ხმები მიაღწევდნენ როჰამდინ და გავლენას იქონიებდნენ მასზედ.

თითონ ჯეჰანი დაბრუნდა თავრიზს, დაძრა უეცრად ჯარი რჩეული. ლაშქარი ისე იყო მოწყობილი, რომ მისი სწრაფი მოძრაობა არაფერს შეეფერხებინა. ბარგი ფეხჩქარ აქლემებზედ. მებრძოლი სულ ცხენოსანი. ბეგთარში ისხდნენ სანაქებო იარაღით შეჭურვილები. სანოვაგე მსუბუქად: გზა თოვლათიან ადგილებზე იყო გათვლილი და მოძრავ ჯარს არ გაუჭირდებოდა თავის გამოკვება, მარტი ჯერ არ გასულიყო. მშრალი გაზაფხული იდგა.

— ლორის ციხეს მოვევლინო მათ აღდგომის დღეს. დავსცე ღვთის რისხვა! ციხის აღება, სანახების მოოხრება სამ-ოთხ დღეს მოხდეს! მერმე სამშვილდე. იქიდან პირდაპირ... — ოცნებობდა ჯეჰანი.

სრული იმედი ჰქონდა, უკლებლივ შეასრულებდა თავის სურვილებს.

— ამ ერთ თვეზედ დავწვა თბილისიც, მოვაოხო ეს არემარე. დავლამრავლად დავბრუნდე თავრიზს. მაშინღა ნახოს ისკანდარმა, რა ადვილია მოქმედება ჯაჰანის სამტროდ! ისიც ვაჩვენო, რა შეუძლავს მის ბატონ შაჰ-როხს, — იტყოდა ჯეჰან.

და გაჰხედავდა გრაგვნით მავალს თვის ლამაზ ლაშქარს. სხვებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ: იცოდნენ, რომ ქართველები არ მოელოდნენ ამ სწრაფ თავდასხმას, მზად ვერ, იყვნენ მათ დასახვედრად. ისინი თითონ აპირობდნენ სულ სხვა მხარეს სალაშქროდ წასვლას.

ჯეჰან-შაჰს ესე ჰქონდა გზა გამოთვლილი: ხოიო, ბაიაზეთი, სარდარაბადი, ბამბაკი, ლორე. ციხის აღების შემდეგ:

დმანისი, ქვეში, სამშცილდე. რახან ეს დედაციხე დაეცემოდა, თბილისის გზა ღია რჩებოდა: ფარცხისის ციხე სრულებით ვერ გაუმაგრდებოდა, ხოლო კოჯრის მეციხოვნენი ვერ გაბედავდნენ კოშკიდან გამოსვლას, ძირს ჩამოშვება დიდ ლაშქარზედ თავდასასხმელად.

ეს გზები კარგად იცოდნენ ჯეჰანის სარდლებმა. ყოლაოზებიც გამოცდილები ჰყვანდათ: ოქროთი გამოეყვანათ იგინი საქართველოს სამხრეთიდან. მათგან ღალატის არ ეშინოდათ: მოსყიდულებს ფეხდაფეხ მისდევდათ ამოღებული ხმალი, უნებურ შეცდომისთვისაც თავს ჰკვეთდა მათ. მსუბუქად და მწყობრად მიდიოდა თორმეტ ათასზედ მეტი კაცი. ყველა მათგანი ნაწრთობი იყო ომში თუ მეკობრობაში.

XXV

ბამბაკამდინ უბრალო მგზავრობა იყო ჯარისათვის: არ ჰყვანდათ მოწინააღმდეგე. ვერც ეყოლებოდათ: ვინ რას შეჰბედდა ამ დიდ ლაშქარს, საომრად ჭურვილს?! მაინც ღონიერ ქალაქებზედ არ გადაიარეს, იფერხებდნენ მათ სანახებში, ხარჯის კრეფით კმაყოფილობდნენ.

ბამბაკზედ გადადიოდა მაშინ საქართველოს საზღვარი. მტერს მცირე შემართება მოუხდა აქ. სცადეს თვის ხმალის ფხა და კმაყოფილნი დარჩენენ: მალე გაუმარჯვდათ, აიღეს ქალაქი. ლორემდისინ ბრძოლა აღარ დასჭირდათ. მხოლოდ ის იყო მათთვის საგრძნობელი, რომ სოფლები ცალიერები ჰხვდებოდათ: მათ მიახლოვებაზედ ხალხი ჰკრძალავდა ქონებას, იხიზნებოდა.

მოახწიეს ლორეს სანახებს. დაისვენეს. აღრიცხეს ჯარი. ბრძოლის უნარმოკლებულნი გააცალკევეს. საბრძოლველად დაეწყო ჯარი. წინამძღვარად ჯეჰანი უდგა. მიჰმართა თვის ხალხს:

— მოვვლენილვართ თვით მაჰმადისგან მის წმიდა სჯულის გასავრცელებლად. საქართველო მოწინავე ციხე არის ჯვარისმსახურთა. დაიმსხვრეს იგი! ავიღებთ თბილისს. დავბრუნდებით დავლით სავსენი. დავთრგუნავთ სხვა მტრებსც.

შეიკრიბოს ერთ სამეფოდ მთელი სპარსეთი! ირანის ლომმა კავკასიონს მიაპყროს ზურგი. მოიქციოს მძლავრ ტოტებში წინა აზია! გამარჯვებისკენ!

მტერთა ზახილით აივსო არე. ხმალთ აგელვებდნენ. ბრძოლის დასაწყისი მეტად საიმედო იყო ჯეჰან-შახისთვის; მოახსენეს, ლორეს მცხოვრებნი პურ-მარილით გამოსულანო შესაგებებლად.

— ქართველები? მომართვან ციხის გასაღები!

— არა, მზის შვილო! ქართველი ცოტა. შეხიზნულნი გეველრებიან, წყალობის თვალით გადაჰხედო იმათს სიმდაბლეს.

ჯეჰანს ერთს წამს ფერი ეცვალა. გასწორდა წელში.

— აქ წარმომიდგნენ!

ეახლნენ. ეთაყვანნენ. შეჰბედეს მცირე რამ ზღვენი. მოახსენეს, რომ ამიერიდან იგინი თავიანთ ხელმწიფედ და პატრონად ჰხადიან იმას, მთელ ირანის განუყოფელად მფლობელ დიდ ყეინს. მიიღო. დაუმადლა. გაემართა დაიმედებული, რომ ციხის კარებთან თვით მებრძოლნი შეჰხვდებიან, კარს გაუღებენ, გადასცემენ ციხე-სიმაგრეს.

სიჩუმით დაჰხვდა ლორის ციხე მოსულ მტერს ძლიერს. დაბა დაცლილი იყო. შეხიზნულებიც გაფანტულიყვნენ. თვით ციხიდან არრა ხმაური. ქონგურებზედ მეომრები არ მომდგარიყვნენ.

— თუ დაცალეს ჯაბანთ ციხე და გარდიხვეწნენ. — წარსთქვა მძლავრმა

და უბრძანა მოწინავეთ, ციხის კარებს მიახლებოდნენ. წადგა წინ რაზმი. გაემართა.

— ფრთხილად! იქნებ საფრთხე რამ დაგვირწყეს და გვიტყუებენ.

ციხეში არავითარმა ხმაურობამ თუ მოძრაობამ არ იჩინა თავი. წათამამებულნი დაუახლოვდნენ გალავანს და გაექანნენ. კარის კოშკიდან იგრიალა ლოდების გროვამ, ჩააქვავა ზედ მისულები. კედლის ხვრელთაგან წამოვიდა ისარ-ბოძალი. ქონგურებით ხელშუბები მოზუზუნებდნენ. შურდულის ქვა სეტყვად დიოდა.

ციხის კედელი მოფიქრებით იყო მოწყობილი. ადლზედ მეტი სიგანისა მაღალიც იყო. სხვადასხვა ჯურის ხვრელი ჰქონდა სასროლ-სამიზნად. კოშკთ გვირგვინები წინწეულნი ძირს სატყორცნელად. კედელი ქონგურებიდან კაცის სიმაღლეზედ თხელი იყო. მერმე იწყებოდა სისქე, ისე რომ მებრძოლთ თავისუფლად შეეძლოთ კედელზედ დგომა, გარშამო სიარული, იარაღის ხმარება. ალყამორტყმულნი ყველა ამით სარგებლობდნენ და აზარალებდნენ მათზედ მისულ მტერს. მეტად საქმე გაუჭირა შურდულის ქვამა. სეტყვასავით გადადიოდა შეუწყვეტლად. ხვავებად თუ ედგათ ქვის გულა.

გაწყრა ყეინი. მთელი ჯარი მზედ მიაწყვიტა. კიბეები, საგდებლები, კედლებზედ ბობღვა. მოდიოდა ზევიდან ლოდი, კუნძი თუ მორი, მდულარე წყალი. რას გააწყობდნენ გულადები უამრავ მტერთან?! შიგ ციხეში გადაუხდნენ, შელეწეს კარნი. მოიქციეს ხმალ ქვეშ ყველანი.

ძვირად დასჯდომოდა ჯეჰანს გამარჯვება: ბევრი ემსხვერპლათ დამცველებს; მის მხედრობას ბევრი ასი გამოჰკლებოდა. ეს შეუვსებელი დანაკლისი იყო მისთვის: ნამდვილ საბრძოლველი ადგილები ჯერ წინა ჰქონდა.

XXVI

მიწასთან გაასწორებდა ციხე-სიმაგრეს, თვით დაბასაც ძირიანად ამოაგდებდა, თუ დრო ჰქონოდა: ესწრაფებოდა სამშვილდისაკენ. დმანისი, ქვეში. ცალიერები დაჰხვდათ აქათ სოფლებიც, ციხეებიც. მიემალნა ხალხს ყოველივე, გაქცეულიყო.

ერთი ძნელი გარემოება აჰყვა მიმავალთ: არემარეში არავინ სჩანდა, მაგრამ თუ ლაშქარს ჩამორჩებოდა ან გზას გადაუხვევდა ცალკე კაცი თუ მცირე ჯგუფი, ველარ ბრუნდებოდა.

— მიწის მგელი თუ უტყვრებათ და...

— მგლის ხროვაზედ უმძაფრესნი! ფეხდაფეხ გვდევენ. ტყეები თუ ხევ-ღრანტები ჰფარავენ ჩვენგან.

— ყველა ჩახოცეთ!

— ჰაი, ჰაი მოსასპობნი არიან! მაგრამ უჩინართ როგორ დავკრათ ისარი, შუბი?!

რაც წინ იწევდნენ, უჩინართ რიცხვი იზრდებოდა, ძლიერდებოდა. დიდი ჯგუფებიც უფრთხოდნენ იმათ. ძნელ ადგილებში, ვიწროებში თავს ესხმოდნენ, ზარალს აძლევდნენ. თვალთ წინ სტაცებდნენ ბარგსა თუ კაცებს! რას დააკლებდა ბრაზმორეული?! შეტევაზედ იფანტებოდნენ, წუთს უჩინარ შეიქმნებოდნენ. კლდეები თუ ისხნებოდნენ მათ შესაფარად!

მაინც რას დააკლებდა მცირე ზიანი მოზღვავებულ ხალხთა სიმრავლეს?! მიარღვევდნენ არემარეს, მიისწრაფოდნენ დაუახლოვდნენ სამშვილდის ციხეს. აქაც, როგორც მთელ გზაზედ, სოფლები ცალიერები დაჰხვდათ. ციხის გარძშამო სიცოცხლე მთლად მოსპობილიყო. შედგა ლაშქარი, შეიქაქანა.

გაგზავნა ყეინმა გამოცდილები სიმაგრის დასაზვერად; იმას მოსაფიქრებლად, როგორ ემჯობინებოდა შებრძოლება მის ასაღებად, მოახსენეს:

— ქციის მხრიდან მიუდგომელია ციხე: უძირო ხევი ჩასდევს, პიტალო კლდეა მდინარისგან ღრმად გაკვეთილი.

— მეორე მხრიდან?

— შემდინარე ჭივჭავია ისევ ღრმა ხევით.

— შესაძლო ხომ არ იქნება იქიდან მისვლა?

— არა, ღვთის შვილო! ცხენი იქ სულ ვერ გამოდგება.

— კაციც ფეხს ვერ მოიკიდებს იმ ძნელ აღმართზედ.

— ჭივჭავისკენ ჩასდევს კედელი: აღმა ამსვლელს ავნებენ მეტად.

— წინამხარეა ჯარისაგან მისადგომელი. ციხე უნდა აქათგან გატყდეს.

— ერთი სიძნელე: როდი არის ლაშქრისათვის გასაშლელი ფართო ადგილი.

— თქვენის ჰაზრით, არ ეგების ციხის აღება.

— არა, მზისშვილო, რა სიმაგრე დაუდგება შენს რჩეულ ლაშქარს?! მარტო ოდენ იმას ვითვლით, ბევრი მსხვერპლი არ შევალიოთ.

მოისურვა შაჰმა, თითონ შემოევლო ციხისათვის. აისრულა სურვილი. იმავე ჰაზრს დაადგა, რომელიც დაასკვნეს, გამოცდილებმა: შუბლიდან უნდა შეჰბრძოლებოდნენ სიმაგრეს:.

ერთს გარემოებას მიაქციეს ყურადღება: ხრამის ჩამდევარი კლდეები დაფულრულნი მოსჩანდნენ, გამოქვაბულთ ბევრი პირი იხილვებოდა.

— ეტყობა, სამალავებია.

— საიდან მიუდგებიან მთლად უგზო-უკვლო ციცაბოებს?

— არ ვიცით. ამბავი კი მოიტანეს, მოსჩანანო გვირაბებში ადამიანნი.

— იქნებ, ხვრელი აქვსთ ტყიდან ჩაჭრილი

ყველაფერს თავი დაანებეს. ის გადაწყვიტეს, იერიში მიეტანათ ციხის კარებზედ.

XXVII

მაინც უეცრად არ დააწყდა ჯეჰან ძალებით. შედარებით სუსტ ციხესთან ჭვანგებ დაღლილი სამშვილდესთან მეტად ფრთხილობდა. შეუთვალა:

— ვეღარ რა გიხსნით ჩემის ხელიდან! თუ სიცოცხლე ძვირად გიღირთ, გააღეთ კარი.

არ შეუშვეს კაცი ციხეში. მოუჭრეს სიტყვა:

— აიყარე, მსწრაფლ მოგვშორდი, თუ კვლავ გინდა, რომ დაჰბრუნდე შენს სამეფოში.

ბრძოლის დაწყება. ჯგუფად არ მიუშვა ხალხი ციხეზედ; გაფანტულად მიუახლოვდნენ. დაიწყო სროლა. მტრის ნასროლი ვერ ახწევდა დანიშნულებას: შუბი, ისარი თუ შურდულის ქვა ან კედელს ემსხვრეოდა, ან თავს გადაევლებოდა კედლის სარტყელზედ მდგომ მებრძოლთ, შუა ციხეში ესობოდა მიწას. მეციხოვნეთ შეძლება ჰქონდათ, ემიზნათ საფარ გარეშე მდგომ მტრისათვის. ვნება მოჰქონდათ მისთვის. განვლო რამდენიმე დღემ. სცადეს შეჰპარვოდნენ ჭივჭავის მხრივ; ქციაშიაც გააპარეს მცურავები რამ ბილიკის საპოვნელად, ვერაფერს გახდნენ: თვალხმიერად იყვნენ შიგნიდან; ჩაუხოცეს გამბედავები.

მოხდა ამბავი, რომელმაც მეტად განარისხა ყეინი. ულოდნელად გამოქროლდა მხედართა ჯგუფი, მოსხლიტა ცხენები და უჩინარ იქმნა. სახუმარო აღარ იყო ეს. ბრძანა ჯეჰანმა:

— კმარა თამაში, შორით შექცევა. დღესვე აღებულ იქმნას ციხე!

მიაწყდა ბრბო ციხის კედელს. საგდებლებს ესროდნენ ქონგურებზედ მოსაკიდებლად; ადიოდნენ თოკის კიბეზედ; აყუდებდნენ მაღალ ძელებს, ზედ მიცურავდნენ. იბრძოდა ციხე: ათასობით მფრინავი შუბი; ისართა წვიმა; ჩამქოლავი ქვა შურდულისა; ნიაღვრებად წყალი მდუღარე. კედლის ძირებში ხვავდებოდა მკვდარი, დაჭრილი. მომსვლელი ჯარი დაყრილთ ხვავებს კიბედ ხმარობდა. გაჭირვება უკანასკნელი.

ქალთა ჯგუფი ციხის კედელზედ. აკერილი მოკლედ კაბები. ფერხთ მაშიები. თავისჩითი თავზედ წაკრული. ქამარხანჯალი. დამკლავებულნი ამოუდგნენ მებრძოლ ვაჟკაცებს. უძღოდა შუქურ.

ისრებს აწვდიდნენ, შუბთ მიართმევდნენ. გაჰქონდათ მკვდრები თუ დაჭრილები. წყალს უზიდავდნენ. გააფთრებულთ მთლად დაჰკარგეს შეგნება შიშის. მებრძოლ ვაჟკაცთ ამხნევებდა მათი იქ ყოფნა. ლომებად იქცნენ.

— ქალნი. მებრძოლად?! პირველად ცხედავ! — იძახდა ჯეჰან განცვრიფებული.

მაინც სპარსნი გაიტანდნენ თავისას, თუ მათთვის საშიშროებას არ ეჩინა თავი: ციხიდან დაიწყო დენა დიდ დიდმა ქვამ. შორს უწევდა მძლავარად ნასროლი. სულ დარეგვა ზედმისულები: მეციხოვნეთ შესძლეს მაინც, ფილკვანი ააშორავეს.

სახუმარო აღარ იყო. ჯეჰანმა მოიზიდა წვერი ხელით და თითონ გადაერია ბრძოლაში. მძვინვარება უკანასკნელი. დაესხნენ თავს მთელის სიმრავლით. ციხის კედელს თავს გადაევლნენ.

დატრიალდა საშინელება. წინ ციხის ძველი კედელი დაჰხვდათ. ქვის ორღობეში მოემწყვდა ბევრეული. ვეღარ შესძლეს მოძრაობა. ჩაიხოცნენ: კედლიდან რომ მეციხოვნენი ავნებდნენ, მომწყვდეულნი თითონაც სრესდნენ ერთმანეთს. უწია ღამემ. დაბრუნდა მტერი დამარცხებული. მთელი ღამე მუშაობა დასჭირდათ ქართველებს, რომ გადაერჩინათ თავისები,

გადაეყარათ სხვა ვნებულთ სიმრავლე ქციისა თუ ჭივჭავის ხევში. გაწმინდეს ორღობე. ბევრი იარალი შემოზიდეს ციხეში.

მეორე დღეს ელოდნენ იერიშის განახლებას, მაგრამ მტერი აღარ დაიძრა. მეტად გაუხარდათ შემწყვდეულებს: დიდად დაქანცულნი იყვნენ; ბევრი ჰყვანდათ დაჭრილი თუ მკვდარი. მოვლა უნდოდა ამას ყველაფერს; ახლად დარაზმვა კვლავ საბრძოლველად.

XXVIII

ამ საშინელი ბრძოლიდან უვნებლად გამოვიდნენ ბატონიშვილი და ციხისთავი. ზურაბი მცირედ იყო ნამზნევი. რომ შეიყარნენ და თავისუფლად ამოისუნთქეს, მიჰმართეს ქალებს, შეაქეს მათ გარჯილობა, თავის განწირვა.

— ვხედავ, კარგი ვქმენ, რომ გისმინეთ და არ გაგგზავნეთ: უთქვენოდ ბევრს დავკარგავდით ამ დიდ ბრძოლაში, — მიჰმართა ციხისთავმა ქალებს.

— ძალიან გვამხნევებდით! რომ გხედავდით იქვე ჩვენს გვერდზედ, ბრძოლის ძალა გვემატებოდა. ვერ შევსძლებდი ძნელ შემართებას, თუ თქვენთვის თვალი არ მომეკრა ჟამითი ჟამად; მაგრამ მეშინის: საშიშია თქვენთვის აქ ყოფნა, — მიჰმართა დიმიტრიმ ქალებს

და თვალებით უალერსა ქალწულ შუქიას. განცვიფრდა ქალი: ამისთანა განსაცდელის ჟამს არშიყობას არ სტოვებდა ბატონიშვილი.

— დიდად სჯობს ჩვენთვის იქ ჩავიხოცნეთ, სად მამულისთვის თავს სწირავენ ჩვენი გმირები, — მიუგო ქალმა

და სიყვარულით შეხედა ზურაბს. დიმიტრის შეშურდა ვაჟკაცისათვის ქალის სიტყვა თუ მოძრაობა. ქუფრ ჰაზრმა დაჰკრა: თუ მოისპოს მის ზურაბიც ურიცხვ ხალხთა ხოცვა-ჟლეტაში.

— ყველას გშვენით საბრძოლველად დაკვართვა თუ ქამარხანჯალი. ბევრ ნავნებს კი ვერ მოუტანს მტერს განძვინებულს სუსტი ხელით მოქნეული მომცრო მახვილი.

— ფიქრში არა გვაქვს მტრის სისხლის დენა.

— მაშა, ქალო?

— თუ ვაჟკაცები, ღმერთმა ნუ ქმნას, დაგვეღუპენით, ტყვედ ჩავცვივდებით. მიჰმართავს მაშინ ეს ხანჯალი ჩვენსავე გულსა.

ააღელვა ამ პასუხმა ბატონიშვილი.

— ახ, როგორ მიყვარს! ეს მყოლია, ცხოვრებაში აღნიშნული მე თანამგზავრდა, — გაიფიქრა ბატონიშვილმა

და ჰზომავდა სხვა ძნელ ხაზით თავის მომავალს.

ძნელი საქმიანობა ტრიალებდა ციხეში: წესში მოჰყავდათ ყოველივე, რაც აშლილიყო იმ საშინელი ბრძოლის ქარბუქში: აავსეს ქვევრები გვირაბიდან მოზიდული წყალით: შეამზადეს მებრძოლთათვის თბილი საჭმელი; სისხლით დალტობილ ტანისამოსს ასუფთავებდნენ, არჩევდნენ და ურიგებდნენ გაშანშლულ თუ დავლად მოსულ იარაღს.

მეტად ძნელი იყო დაჭრილების მოვლა-შენახვა: არც დრო ჰქონდათ ამისათვის, არც საჭირო მოწყობილობა. მეორე ღამეს შესძლეს მოეგვარებინათ ეს მძიმე საქმე: გვირაბებით ჩაიყვანეს დაჭრილ-ვნებულნი, ნავტიკებით გააპარეს სამშვიდობოსკენ. მათ გააყოლეს ბატონიშვილიც. ევედრებოდნენ მშველელ ჯარის დროზედ მოყვანას. მტერმა ხელი ვერ შეუშალა: გვიან გაიგო.

მტერი თვალს არ აშორებდა ციხე-სიმაგრეს; მოქმედებას კი არ იწყობდა, არც კი ცდილობდა. დაეშალნა გამაგრება, დანგრეული კედლის შენება. ისე სჩანდა, აღარ ჰსურდა კარის მხრიდან ციხის აღება.

მეციხოვნედ მოაწყეს, რაც შეიძლებოდა. ჯარმა დაისვენა. მზად იყვნენ ხელახლად დაეწყოთ ბრძოლა. მხოლოდ ის აღონებდათ, მტერი ერთობ მეტი იყო რიცხვით. ქართველების ისეც პატარა ჯარი, დაცოტავებულიყო სასტიკ ბრძოლაში.

მეციხოვნეებს იმედი ჰქონდათ გარედან მიეხმარებოდნენ, აგერ-აგერ გამოჩნდებოდა მშველელი ჯარი, კადნიერ მტერს, რისხვას დასცემდა. არ მართლდებოდნენ იმედები, არსაიდან არ მოსჩანდა მათი მოსარჩლე.

XXIX

ვერ მოაშველა მეფემ ლაშქარი. დაქირავებულებით შევსებული ქართველთა ჯარი უკვე გამგზავრებული იყო სპარსეთისაკენ, განძის სანახებს სწეოდა. ამ ჯარის თუნდ ნაწილობრივ დაბრუნება და შინაურ ბრძოლაში ჩაბმა არ შეიძლებოდა: ყეინი მეტად აჩქარებდა, თვალს ადევნებდა მათ მოძრაობას. მოუთმენლად ელოდდა ის დამხმართ შეკრებას, რომ დაეძრა თვის ლაშქარი თავრიზისაკენ.

მიმავალ ჯარს ჩაუდგა დიდი ბატონიშვილი ვახტანგი. თითონ ალექსანდრე სწრაფად დაბრუნდა, რაკი გაიგო მტრის შემოსევის ამბავი. აფრინა გამრეკელნი სამეფოს ყველა კუთხისაკენ: მებრძოლთ უხმობდა. მანამ ჯარი შეგროვდებოდა, თავისი პირადი რაზმი გაისტუმრა მოსულ მტერის დასაბრკოლებლად. ეს რაზმი სამშვილდესთან შეუერთდა იმ ჯგუფს, მტერს რომ გზა-გზა ასდევნებოდა: ესენი იყვნენ, რომ ბრძოლის ჟამს დააზარალეს მტერი: ჯეჰანი რომ თავს დაატყდა ქართველთ სიმაგრეს, ესენი დაეტანნენ მის ბანაკის განაპირებს და დასტაცეს ცხენები, სურსათი, ტყვეები.

გააფთრა ამ ამბავმა ყეინი ისეც გამწარებული. გამუსრა ტყვენი. სისხლის მწყურვალემ თავისებსაც წარკვეთა თავი.

— ჰაზრიანი რჩევა, ქცევა არ შეგიძლიანთ; ამაოდღა გბმიათ მხრებზედ უტვინო თავი! — ისროდა სიტყვას.

გაიგო, წინამძღვრობდაო მეციხოვნეთ ბატონიშვილი; მთელი თვის დამარცხება მას მიაწერა.

— ცოცხალი უნდა აქ მომგვაროთ ბატონიშვილი! თვისი კბილებით ვაგლეჯინო ხორცი თავისი.

უსაფუძვლოდ მრისხანებდა ყეინი: უმთავრესი მიზეზი თვის ძნელყოფისა თითონვე იყო. მის სამხედრო მოძრაობას დიდი ნაკლი ჰქონდა: სალთა ჯარით, თუნდაც ძლიერით, შეუძლებელი იყო ისეთი ქვეყნის მსწრაფლ გატეხა, რომელი მოფენილია მრავალი ციხეებით და ბუნებრივ სიმაგრეებით. გაუვალი ხევები, მიუდგომელი ციცაბოები, ულრანი ტყეები. თან არა ჰქონდა მოწყობილება ციხის საალყოდ. რომ მოდიოდა საბრძოლველად, სხვასა ფოქრობდა:

— ქართველთ მეფე ომად მომეგებება. დავსცე ერთბაშად რჩეული ძალით მის ძლიერება! ველარ შესძლებს, მიეშველოს თვის მოკავშირეს. ავიალაფებ. დავბრუნდები გამარჯვებული. მთელის ლაშქრით დავატყდები მარტოებულ როხს. თეირანისკენ!

გარემოებები სხვანაირად მოეწყვნენ: სპარსეთიასაკენ მიმავალი ქართველთ ლაშქარი არ შებრკოლდა და არც დაბრუნდა; უფრო მეტად წაისწრაფა მოკავშირისკენ; ხალხმა მაინც მოასწრო გახიზვნა თუ ციხეებში ჩაკეტვა და ჯეჰანისთვის შეუძლებელი შეიქმნა, სწრაფად სწევიყო თავის წადილს, როგორც ეგულვა.

აღდგომისთვის რომ დაესხა თავს ციხეებს, ამაღლება მიახლოვებოდათ ქრისტიანებს, ის კი ჯერ სამშვილდესთანავე იდგა. დაყოვნება მეტად მავნებელი სჩანდა მისთვის. დააფიქრა ამან ყეინი. მიხვდა, რომ ამისთანა მდგომარეობაში გულფიცხელობა ვერ იყო გამოსადეგი. მიჰმართა სხვების ჭკუასაც.

XXX

ბჭეთათვის ძნელ ყოფაში დაიწყო თათბირი. მაინც ამრეზილი ყეინი საბაბს ეძებდა, თვისი რისხვა გადევლინა ელვისებურად. სდუმდნენ მრჩეველნი: ყველა ფრთხილობდა, დაეწყო სიტყვა.

— გონი აგხადათ ქართველთ მხნეობამ. ჭინჭველების მცირე ფუნფლემ ენა ჩაგიგდოთ. როხის ლაშქარს როცა ჰნახავთ, ნეტა რას იზამთ?

— არა, ღვთის შვილო! გამბედავნი რომ არიან შენი მონები, ეს დამტკიცდა, გორა-გორა რა ახვავდა მკვდართ სიმრავლე წყეულ ციხესთან. ეს სიმაგრე მაინც სწრაფად უნდა მოისპოს. ზომებს უნდა ამისათვის გამოგონება.

— მისთვის მოგიხმეთ.

— გარშემორტყმით მის აღება არ შეგვიძლიან: ბევრი დრო უნდა, სხვანაირი მოწყობილება. წყალი შინა აქვსთ, სანოვაგე შეუკრებიათ.

— ამაო თქმა — ალყის მორტყმა თუ კვალად დაცდა!

— ჩემი ჰაზრია: დავსტოვოთ აქ საკმაო მცველი, მეციხოვნეთ

ვერ გაბედონ გარეთ გამოსვლა. დანარჩენით წავესწრაფოთ თბილისისაკენ.

— შეუძლებელია: დიდს ჯარს ვერ დავსტოვებთ. ცოტა მებრძოლთ წამოჰქელავენ.

— ნუ დაივიწყებთ, რომ ხალხიც გვებრძვის: ხევები თუ ტყე სავსე არის ფარული მტერით.

— კვლავ პირდაპირი იერიშით დაუყოვნებლივ.

— რომ ისევ ისე უშედეგოდ ცავხოცოთ ჯარი?

ველარა ურჩიეს რა. ყველას უტრიალებდა ჰაზრი:

— ავიღოთ ხელი ჯადო-ციხეზედ, დავბრუნდეთ უკან, რომ მძლედ დავხვდეთ ურიცხვ ლაშქარს, ჩვენზედ მომავალს.

ვერვინ გაბედა ამისი თქმა: შეილახებოდა ყეინის თვითყვარება, ბრძოლა უკვე წაგებულად ჩაითვლებოდა; ამის გამხელას შაჰი ვერვის აპატიებდა. ჩამოვარდა სიჩუმე. გაბედა და სიტყვა სთხოვა მცირეთაგანმა.

— დასტური დამე, მზისა შვილო, გითხრა სათქმელი.

— სთქვი!

— ჭივჭავიდან ავიღოთ ციხე!

— როგორ?! ხევი ღრმა არის, კაცი ფეხს ვერ მოიკიდებს აღმართებში და...

— ამოივსოს იგი ხევი ციხის კედლამდინ! გალავანი სუსტი არტყავს იმ ხევის მხარეს და არც მაღალი.

— ხევის მიწით ამოვსებას თვეები უნდა.

— ერთი წვიმა და წაჰლექავს ნიაღვარი მიზიდულ მიწას.

— უგუნურს იტყვი! — ბრძანა შაჰმა

და დააშტერდა.

— მათქმევინე ბოლომდისინ; მერმე მომჭერ თავი უაზრო.

— დაათავე!

— ციხის გარემო ტყით სავსე არის. ხალხი ბევრი გყავს მებრძოლი თუ ტყვედ შეპყრობილი. უქმად გიდგას ცხენი დიდძალი. მოსჭრან. შეკონონ, გადმოზიდონ, აავსონ ხევი. ზედ გავიდეს ჯარი შენი, როგორც ბოგირზედ.

— ბარაქალა! ჰაზრიანია. თუ გაგვიმარჯვდა, დაუვიწყრად დაგაჯილდოვებ.

დაუფიქრდნენ ნათქვამს სხვებიც, გაუსინჯეს სიღრმე,

სიგანე. ვერვინ ვერ სცნო მისი ჰაზრი შეუძლებლად.

— ვცადოთ ეს რჩევა: სამი-ოთხი დღემც დასჭირდეს მის ასრულებას.

სხვა გზა არც ჰქონდათ! ჭივჭავს უნდა ჩაჰკიდებოდნენ, ან უკუ უნდა ქცეულიყვნენ სირცხვილეულნი.

XXXI

შემოვიდა ციხეში სიტყვა:

— ჯეჰან-შახმა მთელი ჯარი ტყეს შეუსია. სჭრიან, ჰკაფავენ, ფიჩხს ჰკონავენ, ძელებს ჰმორავენ. მთლად გაჩეხეს ტყე მახლობელი!

მითქმა-მოთქმა აღელვებული:

— ნეტა რად უნდათ ფიჩხი თუ ხე-ტყე?

— თუ აპირობენ გარს მოუწყონ ციხეს მთელი ტყე და მისცენ ცეცხლი, რომ ამოგვწონ, ბოლში ჩაგვახრჩონ.

— რა სათქმელია?! ორივე მხრიდან უძირო ხევი. წინა კედლიდან მოცემული ცეცხლი რას გვიზამს?! იქ დასაწვავიც არაფერია.

— ალბათ აპირობენ, კედელს მოაყარონ ხე-ტყე თუ ფიჩხი, რომ პირდაპირ შესძლონ ამოსვლა.

— რა საჭირო იქმნებოდა მთელი ტყის კაფვა?

ბევრ სხვას ამბობენ. არც ერთი ჭკუაში არ უჯდებოდათ. რა ხიფათი მოელოდათ, ვერ მიმხვდარიყვნენ. შემწყვდეულნი ლოდინის ხანს მეტად ღელავდნენ. რამდენიმე დააკვეთა, ააქადაგა: ვერ გაუძლეს ამოდენა ფურთქვნას თუ ჩქროლვას! მტრის განზრახვა გამოირკვა ბოლოს ერთს დილით. გუშაგებმა კედლებიდან ხმა გაამრავლეს:

— გახედეთ, ნახეთ! საკვირველი რაღაცა ხდება!

ავიდა ხალხი მაღლობზედ. მზერად გარდიქმნა. ცხენთა სიმრავლე, ჯარისკაცნი, ტყეები ყველა დაეტვირთათ, ფიჩხის კონებით. მთელი ტყე დაძრულიყო ჯერეთ უმჭკნარი. გაოცდა ხალხი. გაშტერებით უყურებდნენ საკვირველებას. ტყე მოდიოდა, ჭივჭავის ხევს ახლოვდებოდა. მოიტანეს, იწყეს ხევში ხე-ტყის გადაყრა. მიხვდა ხალხი მათ განზრახვას სატანასებურს.

— დახეთ, რა ხერხი მოიგონეს უსჯულოებმა. ხევს აავსებენ ხე-ტყით თუ ფიჩხით, გადმოჰქლავენ!

— ოჰო! ეს კედელი ვერ გაუძლებს იმათ მოწოლას და...

— ჩვენს მებრძოლებს მთლად დაჰფარავს მათი სიმრავლე.

— ხერხს რაიმ ხერხი!

— მხოლოდ ცეცხლით შეიძლება ხე-ტყესთან ბრძოლა!

დაენთო ცეცხლი ყველგან, ყველასაგან. გალავანში მრავალ ადგილს ავარდა ალი. გამოჰქონდათ ფიჩხი, შეშა, ფიცრები, თუ სახლის ავეჯი. ღობეები, ფუიცრულები ყოველგან მოხსნეს. სახლებიც კი დაანგრიეს შეშის საშოვრად. ცეცხლის ალი ზეცას სწვდებოდა.

— აბა ყველა რკინეული ჩაჰყარეთ ცეცხლში!

გამოჰქონდათ სახნის-საკვეთი, ჯაჭვი-საკიდლები, ლითონის სხვა საციქველი, სპილენძეული და ცეცხლში ჰყრიდნენ.

— გადააყარეთ მათ მოყრილს ფიჩხს ნაკვერჩხლები, მუგუზლები, ცეცხლად ქმნილი რკინეულობა! აბა ეჩქარეთ!

დაიძრა ხალხი. ცეცხლით აივსო ფიჩხით სავსე ჭივჭავის ხევი.

— კუპრიელი, ეტრატი, ქონი!

— ყველაფერი, რაც ცეცხლში იწვის!

ისროდნენ ხევში დასაწვავს ყველას. ზედ ანთქევდნენ ზეთს, ერბოს თუ ქონს. ნედლი შეშა ტყლაშუნობდა ცეცხლის ძალაზედ. მწვავე ბოლი შენივთებული. შიგადაშიგ ალის ენა აიწვდებოდა. გუგუნ-გრიალი. ნედლი ფიჩხი იტყრუშებოდა. ნადგურდებოდა მტრის მოსაზრება.

გაოცდა ჯეჰან. კიდეც დაიბნა. გონს მოვიდა, მოიაზრა, გასცა ბრძანება:

— ჰარიქათ წყალი!

— ჩაყარეთ კვლავ ფიჩხი, მორები!

— იქვე დაკალით, ვინც ვერა ჩქარობს!

გამწკრივდნენ წყლამდინ. მიდიოდა უფერხებლად სავსე ჭურჭელი. ცალიერი ბრუნდებოდა იმავე გზითა. მიწას აყრიდნენ. მრთელი დღე-ღამე იბრძოდა ხალხი. მტერი სჯობდა მომწყვდეულებს თვისის სიმრავლით. თანისთანად ნელდებოდა ცეცხლის უნარი, ახალი ხე-ტყით იესებოდა ჭივჭავის ხევი.

XXXII

ციხისთავმა არემარეს თვალი მოავლო. მოსულიყო დღე აღსასრულის. გასცა ბრძანება:

— ვისაც ბრძოლა არ შეგიძლიანთ, გაგვეცალენით! სამალავებს მიჰმართევით, დაიკრძალენით!

ქალმა სცადა, აეწონა სიტყვა მამისთვის. არ აცალა, მკაცრად უბრძანა:

— ჩემი ნება აწვე ასრულდეს! ვიგულებ ურჩს ხელის შემშლელად.

მიეახლა ქალი მამას და ეამბორა. წინ წადგა ზურაბი, თვის დანიშნულს მკლავი მოჰხვია.

— მშვიდობით, ჩემო! შენის სახით ნეტარება მაჩვენა ბედმა და აწ...

ხმა აუთრთოლდა. მოშორდა ქალს. აქვითინდა მწარედ ქალწული. გააცალეს. მოიწმინდა დედაკაცობა. უძლურნი თუ დაჭრილები მათ გააყოლეს. საუკეთესო სამალავი ჯერ არ იყო შეხმარებული.

ციხის შუაში ეკლესია გუმბათიანი. სიონის ქვეშ ვიწრო სარდაფი გელაზებით ამოგებული. ჩასდევდა ხვრელი ქციის პირამდინ. ადგილ-ადგილ გვირაბს ჰქონდა სანათურები. გვერდის ხვრელებში თაღიანი სენაკები პატარ-პატარა: სამალავები საგანძურის, მეციხოვნეთა სარდაფში გვირაბის კარები სიპით იკეტებოდა. ამ საფარის არსებობა ყველამ არ იცოდა. მტრისგან იქ ჩასვლა ერთობ ძნელი, შეუძლებელი.

აქ დაკრძალეს ეკლესიის სამკაული, ძვირფასი ხატები. აქ ჩავიდნენ შუქიაის თანამშრომნი, სხვანიც ყოველნი. ეხლა კი ვეღარ შეიმაგრეს ცრემლის ნაკადი. გლოვისა თუ გოდებისა თავს მისცეს ნება. გამოიტირეს მახლობელნი, ოჯახები, დიდებული თვისი სამშვილდე.

მეტად გამწარდა ქალი შუქია. ზევით მხნეობას არ ჰკარგავდა და მაგრდებოდა, თვის მაგალითით საბრძოლველად აგზნობდა ყველას; აქ მოიღვევდა და ატირდა ბავშვივით მწარედ. სიცხოვლით საცხე მისი თვალები გარდაიქმნენ წყაროდ ცრემლისა;

საროსავით სხარტი ტანი მოიხარა მოჟეჟილივით; მკაცრად დახშულნი მისნი ბაგენი აწ განიხვნენ მოთქმა-გლოვისთვის. ველარ დაწყნარდა!

— არ კი გადგვერიოს ქალი! აბა ყური დაუგდეთ, ბოდვასა ჰგავს იმისი მოთქმა.

თვალებიც მთლად აჰრევია: სიცხე თუ მისცა.

მოუსვენეს, როგორც შეიძლებოდა. ცდილობდნენ სიწყნარე დაეცვათ, რომ ქალს თვალზედ რული მოსვლოდა. ჩაეძინა გატანჯულს. არც სხვები იყვნენ უკეთ ყოფაში: შეუწყვეტლად რომ იბრძოდნენ, დაეშრიტათ ყოველი ღონე. მკვდრებივით იწვნენ ძალგამოცლილნი. გარიჟრაჟმა გაუნათა სანათურთაგან.

— აქ ჩვენ წყნარად ვართ, კიდეც გვეძინა; იქ კი ალბათ ცეცხლს მიეცნენ ჩვენნი ვაჟკაცნი!

ეს თქვა ყველასათთვის საზარო იყო. სირცხვილსაც იწვევდა მათში, რომ სიკვდილამდინ მებრძოლთ გვერდი ვერ დაუმშვენეს. ეს ძნელი გრძნობა გადარჩენას ფასს უკარგავდა. ჩალადღა ღირდა ყოფნა მათთვის მებრძოლ გმირთ შემდეგ.

XXXIII

ცხარე დღე დასდგომოდათ სამშვილდის მცველებს. ჟამი სიკვდილის. გამარჯვებისა! სახელოვანი სიკვდილი გამარჯვებაა.

აისრულა მტერმა განზრახვა: ფიჩხის ხიდი გადო ჭივჭავზედ. ღვართქაფს ნატრობდნენ მეციხოვნენი, რომ წაელო, წაელეკა მტერთა ნაშრომი. მათმა ნატვრამ ვერ შემოსა ლაჟვარდი ღრუბლით. უძლური რამ ნაკადული მიჩხრიალებდა.

გადაჰხედა ციხისთავმა მტრის ნამუშევარს. მიუბრუნდა მებრძოლთა დასებს:

— ხმალით ხელში სიკვდილია ვაჟკაცის წესი. მშვიდობით, ძმებო!

გადაჰკოცნა ახლომდგომები. ჩაიარა ძმურმა კოცნამ ჯარის მწკრივებში.

მოწინავე მტრის რაზმები მიადგნენ კედელს. ბრძოლა სასტიკი. ციხის კედელს გადასცდა მტერი. პრიალებდნენ მზის სხივებზედ ხმალი, ხანჯალი. ხელშუბნი თუ ბოძალები მოციქულობდნენ. შერკინული მებრძოლები სისხლით ბასრულნი. მთლად დაილტო გმირთა სისხლით ბრძოლის ადგილი. მეწამული გუბეები. მკვდართა სიმრავლე. დაჭრილთა გმინვა. ომის რიხი შიგადაშიგ, ვაჟკაცთ ზახილი.

ერთს ადგილას შენივთდა ბრძოლა. ხმალ-ხანჯლის წკეპა. ცოტა ხალხი სავალს უხშობს მისულ ბევრეულს. გარს შემოერტყნენ. უხმოდ იბრძოდნენ: თუ აღარ ჰქონდათ დაძახილის დრო. გმირთა გარშამო მკვდართა ხვავები.

იქ იბრძოდა თვით ციხისთავი. სიძე გვერდს ახლდა. ბრძოლის ადგილს თანისთანად ართმევდა მტერი, ჰკუმშავდა მებრძოლთ. ცოტანი დარჩნენ.

— ციხისთავი ცოცხლივ შეიპყართ!

— შაჰის ბრძანება!

— ვერ ელირსებით! — შესძახა ყარამანმა

და დაეგო თავის დაშნაზედ. მიჰბაძა სიძემ. ზოგიერთმა სხვამაც მოასწრო.

გათავდა ბრძოლა. გამარჯვებულთ გაამრავლეს ძლევის ყიჟინა. დაითელა ქართველთ დროშა უწმინდურ ფეხით. აფრიალდა მტრის ალამი სამშვილდის კოშკზედ. იპყრობდნენ ტყვეებს.

ჯეჰან-შაჰი მაღლობიდან დაჰმზერდა ბრძოლას. ეხლა დაიძრა, ციხისაკენ მიბრძანდებოდა. აღჭურვილი რაზმი მისდევდა.

— მომგვარეთ აქ ციხისთავი, დღე დავუბნელო!

— არ დაგვნებდა ციხისთავი...

— და თქვენ მოჰკალით?

— თავის ხმალზედ დაეგო თითონ!

— ბევრმა სხვებმაც მოიკლეს თავი.

თავს დააყენეს ჩახოცილ ქართველთ. ჩაფიქრდა შაჰი.

— ომში დავბერდი, არ მინახავს ამათგვარი გაუტეხელი. ტყვე ბევრი არის?

— მცირე რიცხვია.

— მებრძოლთ შორის ქალნიც მოსჩანდნენ და...

— ვერ ვიპოვეთ ველარც მკვდრებში, აღარც ცოცხლებში.

— მაშ?

— სხვებთან ერთად წყალს თუ მიეცნენ.

— ქართველს ყველას მოჰკვეთეთ თავი. არც ერთი ცოცხლად! კოშკი აიგოს შიგ ციხეში მათ თავებიდან!

ვინც მოხელეს, უწყალოდ მოსხლეს. ააგეს მათ თავებიდან კოშკი-მინარი.

XXXIV

მინარისათვის მიიზიდა მოჭრილი თავი ათას ექვსას სამოცდა ოთხი. სამკუთხედი იყო. ციხისთავი აგვირგვინებდა. ზურაბის თავს ნიკაპით ეყრდნო. წადგა მტარვალი, დააშტერდა ჩახოცილ მებრძოლთ. წარმოსთქვა ღრჭენით:

— მცირეა. მცირე ეს მინარი სისხლის საზღვევად!

ამგვარი თქმის მიზეზი ჰქონდა: დათვალეს თვის დანაკლისი, ბევრი აღმოჩნდა, არც კი ღირდა ციხე იმ მსხვერპლად. ეჭვი შეეპარა ყეინს, ვაჰ თუ წადილის ასრულება ველარ შევძლოვო. რაღას იზამდა?! უნდა დაეთავებინა დაწყებული საქმე.

— თბილისისაკენ! იქ ჰნახავენ ქართველები ჯეჰანის რისხვას!

გაუძღვა ლაშქარს. მიდიოდა, მიაპობდა პირდაპირის გზით. ჰსურდა, აენაზღაურა დრო დაკარგული.

— თუ შემასწრო ისკანდირმა ციხე ქალაქში, გაჭირდება მისი აღება, — იტყოდა იგი.

მიისწრაფოდა. გადალახა ფარცხისის ციხე. კოჯრის ციხეს გვერდს ჩაუარა. გადათელა სოღანლუხი, კრწანისი, წინანაური. მიადგა განჯის კარს. ციხე დაკეტილი დაჰხვდა. გადაღმიდან არ ისმოდა ღელვის რაიმ ხმა.

— ლორეშიაც, სამშვილდეშიც სიჩუმით დამხვდნენ, — წარსთქვა შაჰმა უსიამოვნოდ.

მიგზავნა კაცი. მოითხოვა ჩაბარება ციხე-ქალაქის. გადმოადგა მშვილდოსანი ციხის კედელს. მიგზავნილ კაცს დაჰკრა ისარი.

— ქურდულად მოსულ ავაზაკთა ბრბოს იარაღი თვით გასცემს პასუხს!

იერიში დაასკვნა ჯეჰან. უარის თქმა გაუბედეს თავის კაცებმა:

— ცხენოსანნი ვერ შეუვლენ ამ ძლიერ ციხეს. მხოლოდ ალყით შეიძლება ამის აღება. ჩვენ კი არ...

— სამშვილდეშიც მაგას ამბობდი; მაინც გავტეხე და მოვსპე მცველი, აქაც...

ბევრი ჰქონდათ მის საპასუხო: აქაც იგივ დაბრკოლებები დაჰხვდებოდა ერთი-ათად გაძნელებულნი; იქ რომ მთელი თვე დასჭირდა ციხის აღებას, აქ ბევრი დრო მოუნდებოდა; იქ დაიღუპა საგრძნობელი ნაწილი ჯარის; შესაძლო იყო, აქ საჰის ძალა მთლიანად შეჰნარცხებოდა. ვერ გაუბედეს სიტყვა: ადვილი იყო გაცოფებულს თავისებზედ ჯავრი ეყარნა.

ბრძოლა უსათუოდ დაიწყებოდა, თუ ჯეჰან-შახი გონებაში არ ჩაეგდო ერთს ახალ ამბავს: თავრიზიდან მსწრაფლმსრბოლელმა მოხსენება მოართვა ყეინს.

— მოდის შაჰ-როხი დიდის ლაშქრით და მოაბნელებს, გაუგია შენი წასვლა, აშურებულა. ანადგურებს ყველაფერს გზა-გზა. მეტისმეტად საშიშია. ისწრაფე ჩვენსკენ!

სათირს სხვა მოჰყვა ამნარივ მოხსენებით, იმას კიდევ სხვა: რამდენიმე კაცი გამოეგზავნათ სხვადასხვა გზით, რომ ამბავი რამ შემთხვევით არ ასცდენოდა. თავრიზელი მეტად დაფიქრდა.

— უნდა ვუშველო.

— უსათუოდ, მეფეთ მეფეო!

— დიდი სისწრაფე.

— უშენოდ ჯარი ვერ შესძლებს ბრძოლას.

— საქართველოს ჯავრი...

— გულს ჩაიტანე! დადგება ჟამი და მოსპობ ქართველთ. უსათუოდ უნდა დაბრუნებულიყო. შაჰ-როხს რომ ამბავი მოუტანეს, ჯეჰანი საქართველოში იბრძვისო. მაშინვე დაძრა ლაშქარი თავრიზისაკენ. მისწერა ქართველთ, სისწრაფით ევლოთ. ალექსანდრემ გაისტუმრა ლაშქარი და დაბრუნდა,

რომ შეეკრიბა ახალი ჯარი, მეკობრულად მოსულ დუშმანს მიჰგებებოდა. თბილისისკენ მიისწრაფოდა. აეშურა ჯეჰან-შახი. ღამით დაიძრა. ბრძანება გასცა, დაეყარნათ ავადმყოფნი, მეტი ბარგი; მთლად მოესპოთ დატყვევებულნი. ტყვეებსა ჰყიდნენ. გააიაფეს: ვაჟკაცი ტყვე გადიოდა ათას ჩენჩფარად.

XXXV

ვინც გადარჩა სამშვილდეში, ზე ამოვიდა. ელდანაკრავნი, შეძრწუნებულნი, გადახრწნილები. სამარიდან სასწაულით გამოსულიყვნენ. მოთქმა, გოდება ჩახოცილთა ჭირისუფლების უღონო წყევა ღვთისრისხვა მტრისა. ზოგი კიდეც შეშლილიყო უბედურებით.

მკვდართა სიმრავლე. ბევრი ეყარა უსიცოცხლო დუშმანის გვამი. შეჰბღალავდა მათი ლეში ქართველთა მიწას. მოსჭდომოდნენ ერთურთს მტერნი გაციებულნი. საჭირო იყო გადარჩევა, შექუჩება, დასაფლავება. დაბნეულ ცოცხალთ სჭირდებოდათ წესის მიცემა. შველა უნდოდა ხალხს განაწამებს.

გამოჩნდა კაცი. შერჩენოდა გონება თუ ძალა ქმედობის. დაკვართულიყო სამოქმედოდ თევდორე მანგლელი. ხმა აიმაღლა:

— მისმინე, ხალხო! მძლავრ უბედურობამ ზედ გადგეიარა. წმიდა მიწა სისხლით მოირწყო. გმირთა ზვინები. ქართველთათვის საუკუნოდ სამგლოვიარო. მაგრამ ეხლა... გულგაპობილთ პატივცემა უკანასკნელი!

— გვიბრძანე!

— შემოკრბით ჩემთან, ვისაც კიდეც შეგრჩენიათ ძალა ქმედობის.

გაანაწილა მოქმედი ხელი: ზოგს დაავალა, დიდ ტაძართან შეეკრიბათ მიცვალებულნი; სხვა უბრძანა დაჭრილთა მოვლა.

— მტერნი ჰყრიან დახოცილნი, ჭივჭავს იქით გადაიტანეთ.

— დაჭრილია ბევრი მათს შორის.

— იქითკენვე გადაიყვანეთ. ნუ ჩაჰხოცავთ მათ ძაღლებივით: სული უდგათ ღვთის მოცემული.

მიჰმართა დიაცთ:

— ჭამადი ეცით საცოდავ ხალხს. შეამზადეთ თბილი რამ წვენი.

ბევრი სხვაცა სთქვა. სიტყვას ყველგან საქმე მისდევდა. მკეთებელი პირველი თითონ! წესის მიცემამ, სამუშაოს მტკიცედ განსაზღვრამ გააფხიზლა უსასოქმნილნიც. მოიწმინდა ძნელ ნაშთთაგან სამშვილდის ციხე.

ამ საერთო ქმედობაში არ ეცალათ. კერძოდ ვისთვისმე. ქალი შუქია არ სჩანდა ხალხში. არც დაეძებდნენ: სადმე სხვაგან იდგებაო სამუშაოზედ.

XXXVI

— ვიზრუნოთ ეხლა გმირთ გოდოლისთვის, — წარსთქვა მანგლელმა.

— სხვა გზით წასულან ავაზაკნი. ვინღა დაგვიშლის წამებულთ თავნი დავასამაროთ.

მივიდნენ, ნახეს. მინართან დაჰხვდათ ქალი შუქია. ფრიალებდა ციხის დროშა თავების კოშკზედ. მუხლმოდრეკით იდგა ქალწული. ხელდაკრეფილი. ირყეოდა მარჯვნივ თუ მარცხნივ. გაურკვეველ სიტყვას იტყოდა.

— კარგად გიქმნია, ჩემო ქალო, წმიდა დროშით შეგიმკია თავდადებულნი.

— მამამ მიბრძანა და მოავართვი მას მისი დროშა. როცა ავღმართე, გამიღიმეს მამამ, ზურაბმა.

ფერმიხდილი მღვდელმთავარი შესდგა შემკრთალი. მოეგო თავს. განაგრძო სიტყვა:

— წესის აგებას მოელიან მიცვალებულნი. ვილოცოთ მათთვის!

გაშალეს დაფარნა თავთა კოშკის წინ. დაასვენეს ხატები, ჯვარი შეიმოსა. იწყეს ანდერძი. მწყობრად როდი მიდიოდა ღვთისმსახურება: შიგადაშიგ ირღვეოდა ვაის ზახილით, ხმით ტირილით, საერთო მოთქმით. არ ტირიდა ქალი შუქია. მუხლებზედ იდგა. შეჰყურებდა მინარიდან გადმომზირალ ძვირფას სახეებს. გათავდა ლოცვა. ხელი აჰკრეს ხატებს. დაფარნას. უბრძანა ქალმა:

— ნუ აალაგებთ! წმიდათ-წმიდაა ეს ადგილი. ხატნი თუ ჯვარნი საუკუნოდ დაადგრნენ აქა! გასვენებულთ ესე მიბრძანეს.

მოეწონა ხალხს ქალის სიტყვა. სიწმიდენი იქვე დატივეს წამოდგა ქალი, განაახლა სანთელ-საკმელი. თავების კოშკს გვერდს ამოუდგა.

— შვილო შუქიავ! წამოდი ჩვენთან, დაისვენე, პური ახლიჩე, ყარაულად სხვებს დავაყენებთ.

— არა, მამაო! ღამეს აქ ვათევ.

— ვაკურთხებ ტაბლას, გამოგიგზავნი. იხმიე მცირედ. ნუ დააღონებ მიცვალებულთ შენი გაწამებით.

უმთვარო ღამე. ვარსკვლავთ ჭახჭახი. ციაგი რამ შენიშნა ქალმა: ლურჯი ნათელი მოჰფენოდა თავების გოდოლს, დასციმციმებდა. შუქდებოდა უფროდაუფრო. შენიშნეს სხვებმაც.

— ნათელმოსილნი! წმიდათა შორის შეიაცხნენ მამულიშვილნი. შეიწირეთ ლოცვა ჩემი, თავდადებულნო! — წარმოსთქვა ქალმა

და სასოებით მოიდრიკა მუხლი კოშკის წინ.

გაიფანტნენ გაკვირვებულნი. სასწაული ყველას აცნობეს. მსწრაფლ ეახლა მანგლელი მინარს. მიჰყვა მას ხალხი. ნახეს ნათელი. ადიდეს ღმერთი. შეიმოსა. აამაღლა მცირე ლოცვა სამადლობელი.

— გუნდრუკის სუნი!

— ძოღანვე ვიგრძენ!

— ნელსაცხებელთ სუნნელება ტკბილსაყნოსელი!

წარსდგა შუქია. განერთხო მიწას, ეთაყვანა წმიდა წამებულთ. ხალხს მიუბრუნდა: — ღვთისმშობელი ბრძანებს სიტყვას თვის მხევლის პირით: ამ წმიდათა დასაკრძალვად აქავე მთხრებლი! სამლოცველო გადეხუროს ამათ სამარას! ქვა ამოვა სვეტის მზგავსი ამათ საფლავზედ, გაიზრდება იგი ნიში, თხემს ცას მიაბჯენს, თუ მყისვე არ გადეხურა მას ეკლესია.

საძმო სამარე. დამარხეს თავნი. მობრძანდა მეფე. გმირთა აკლდამა გულსაკლავი ცრემლით დაალტო. დადვა აღაპი მათ

მარადის მოსახსენებლად. მეფის გუჯარში ნათელმოსილთ ვინაობა ჩამოთვლილია. გადახურეს სამლოცველო. ქვის სვეტი დადეს ნიშად საფლავზედ. დაირხა ხმები: იგი სვეტი ხატიაო ღვთისმშობლისა, სასწაულთ მქმედი. მოხდებოდა სასწაული, თუ შუაქია ევედრებოდა. მოდიოდნენ, ლოცულობდნენ, იკურნებოდნენ.

მონაზონი ათანასე. ისკანდარ-მეფე, არა ჰკვეთავდა, დაქილი არ ამოეღო ამ წმიდათათვის.

ბატონიშვუილს აუსრულდა ქალის ნათქვამი: გატაცებით მოყვარული ნადირობისა ცხენმა დაჩლიჩა შველის დევნაში.

ჯეჰან-შახს ქართველთ მიწის აოხრება ძვირად დაუჯდა: როხმა იდროვა და დაბზარა მის მისვლამდინ მისი ლაშქარი. აღარც გამთელდა ერთხელ მზნეული. უზუნ-ჰასანმა მოუღო ბოლო მის სამფლობელოს.

მხევალი ღვთისა ქალი შუქია...

იმ პატარა ეკლესიის ბჭესთან მარხია.

ვაჟა-ფშაველა

ამირანის ხმალი

იგივეა, დაბერებულა: თმა გასთეთრებია, წელში ცოტად მოხრილა. უზარმაზარი კონა მოიტანა შეშისა და კერის პირას დაყარა.

— ოჰ, ძალიან დავიღალე, — სთქვა მან: — ღონე აღარა მქონია, დავბერებულვარ, გულიც გატყდა, მაგრამ ნუგეში მაინც კიდევ მაქვს. იმედი თავს არ მანებებს... აჟინება, ახირებაა... უკან დაწევა, დახევა, ყოვლად შეუძლებელია. აქამდის თუკი... ჰოო, აქამდის თუკი სწორე გზაზე დავდიოდი და შენც გატარებდი, ამას შემდეგაც ისევ ის იქნება. განა ეს ლეჩაქი სითბოს გულისთვის მხურავ? არა... რამდენჯერაც ახალი წელი დგება, იმდენჯერ თითქოს მეც განახლებასა ვგრძნობ. არ ვიცი, თითონაც არ ვიცი კარგად, ასე რად მემართება და, შე საცოდავო, შენც დაგათრევ თან ძალაუნებურად...

— როგორ? რადა ვარ საცოდავი, დედა არა ხარ ჩემი?

— ვარ, ოღონდაც ვარ, მაგრამ ვაი თუ მემდურები, იქნება, კარგი დედა ვერა გყევარ, გულს რამ გაკლია ჩემგან.

— არა, არა... ღმერთმა დამიფაროს, ღმერთმა! მე უნდა მოვკვდე, შენ იცოცხლო. ვენაცვალე შენს მკრთალ სახეს, დედაჩემო, შენს დაფლეთილ, დაგლეჯილ კაბას. მაინც ლამაზი ხარ, მაინც მიყვარხარ... აბა, მითხარ — წყალში ჩავარდი, კლდეზე გადავარდიო, მხოლოდ თითით მაჩვენე, თუ უკან დავიხიო.

თავდაკიდებული იჯდა, თვალებიდან ცრემლმა მოჰხეთქა. ესიამოვნა ჩემი ასეთი პასუხი...

— ჰოო, შვილო, მართალია, მართალი, დედ-მამის ურიც შვილი უბედურია. დედის წინ მორბენალს კვიცს მგელი შესჭამს. მხნედ იყავ. სულმოკლეს ნაბიჯიც მოკლე აქვს. განა დღესა ვარ მარტო უბედური? წინათაც ბევრჯერ ვყოფილვარ ამაზე უარეს დღეში. მტრებმა ამირანი რომ შეიპყრეს, შებოჭეს და დიდს მღვიმეში დიდის ჯაჭვით დააბეს: „ნუ ხარ კერპი, ურჩი, გაუტეხელიო“, — ჩემს მეტი ვინ შაესწრო ამ ამბავს? ან ვინ გაიგებდა, მე რომ არ მეუწყებინა ქვეყნისათვის ეს ამბავი? თვითონ დამაბარა თავის მჭუხარე ხმით, როცა შებოჭილი მიჰყვანდათ. მედგრად დამიძახა: „თინათინ, ამცნე ქვეყანას ჩემი ამბავი; დაე, გაიგოს ადამიანმა, მტარვალნი მართალს ადამიანს როგორ მტანჯავენო!“

მეც არ დავუმალე კაცობრიობას ეს ამბავი; ვაუწყე ყველას.

— ნუთუ დედავ, ამირანსაც იცნობ?

— ვიცნობ, კარგად ვიცნობ. ჩემს მეტი ვერცვინა ჰნახავს იმას. გუშინაც ვნახე. სახე გაბრწყინვოდა. „კარგი ნიშნები ჩნდება, თინათინ, ღმერთი მოწყალეაო“, — სთქვა მან: „გვეშველება, უსათუოდ გვეშველება“, — და მიმითითა თავის ხმალზე: „აგერ ჩემმა ხმალმა ფერი მოიწმინდა...“ მეტად სულგრძელია ის კურთხეული ადამიანი...

გარეთ ქარი ჰქროდა, ღმუოდა საზარლად და ნამქერს ანიავებდა. დედამიწას ჰგვიდა, თითქოს სწმენდდა ქვეყანას ცოდვათაგან. სადღა მიჰქონდა ეს ადამიანთა ცოდვები, არავინ იცის.

— ყრაანტ! ყრა...ა...ანტ! —მოისმა. ო, როგორ მეჯავრება ეს ხმა! როგორა მძულს, ენით ვერ გეტყვით. მერე ამ უკუნეთს ღამეში... საშინელებაა... საშინელებაზე მეტია...

— დედა, ყორანი!.. საიდამ გაჩნდა ეგ წყეული? მერე რა დროს და!

— სწორედ ყორანია... საკვირველია, ღმერთმანი, რას ჩაგვაცივდა ეგ წყეული! — სთქვა დედაჩემმა.

— არ ვიცი, მეც მიკვირს... და... — სიტყვას ვიდრე ვიტყოდი,

ჩვენს დარბაზში შემოაფლაშუნა მხრები... ჩამოჯდა არხეინად კიდობანზე, დაიმწყაზრა მხრები... დაგვაცქერდა, წამოძაბა ჩვენკენ კისერი და დედა-შვილს ორივეს თავზე დაგვყრანტალა. ავენთე, სისხლი ყელში მომებჯინა; მისმა გაკადნიერებამ მეტისმეტად ამაღელვა, მოთმენა ყოვლად შეუძლებელია. აქამდის მაღლიდამ ჩვენს დარბაზს დაჰკიჟინებდა და ხალა ზემოთაროსაც დაგვიბინავდა.

— დედავ, მოვკლავ!.. რაც უნდა ცოდვა იყოს, მოვკლავ!

— მოკალ, შვილო, მოკალ ეგ ღვთისაგან დაწყევლილი! — დედაჩემსაც ძალიან ეწყინა, რომ ამ უმსგავსო ფრინველმა ასე მასხარად აგვიგდო.

იქვე პაპიჩემის შავერცხლილი ხირიმი ეკიდა დედა-ბოძზე მიკრულს ირმის რქაზე. ჩამოვიღე და მივუშვირე გულში. წარბს არ იხრიდა. ხუმრობა ეგონა. თითქოს დამცინოდა კიდეც: შენ ჩემს მოკვლასა ჰბედავო?! მაგრამ თოფმა რომ დაიგრიალა და გულგაპობილი ზედ კერაზე რომ გაერთხა, მაშინ აღარ ვიცი, რა სთქვა და რა იფიქრა...

დედაჩემს მაინც კიდევ შაეცოდა.

— აბა რისთვის, რის გულისათვის მოიკლა საბრალომ თავი? რას გვემართლება, რა დაგვიშავებია მაგისთვის, რომ უბედურებას გვიქადიდა?!. რას ჩაგვაცივდა და აღარ გვეშვებოდა?!. — სთქვა მან.

— ტყვიას ეძებდა. — ვუპასუხე მე...

ყორანი ჯერ ისევ ნისკარტს აღებდა, სული არ დაელია, რომ გარიჟრაჟებულიყო და კარების კაკუნი შემოგვესმა.

კარები გავაღე. ჩემი მეკვლე ბუთლა მოვიდა, შემოვიდა სახლში და მოგვილოცა ახალი წელი: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა! დიდი გიმატებიათ, დიდი გიმატოსთ ღმერთმა, ახალმა წელმა, ახალის წლის გამოცვლამა!“

მამელუკი

I

მდინარე ტეხურის პირას, სოფელ უშაფათის ბოლოს, ორ მთებ შუა, საკმაო ფართე ველია გაჭიმული. ეს ველი ნაყოფია მოუსვენარი მდინარის ათი ათასი წლობით მუშაობისა. უხსოვარი დროიდან ურეცხია მას, ნაპირების გაყოლება მარჯვნივ და მარცხნივ ამართული, ხშირი ტყით და მუდამ მწვანე დაფნის ბუჩქებით დაბურული სერები; ეს ხელისგულივით სწორი ველი გაუკეთებია, სილა-დანალექით გაუპოხიერებია და ამნაირად ადამიანისთვის მშვენიერი სახნავ-სათესი ადგილი მოუმზადებია.

ადამიანიც სარგებლობს ბუნების უხვი წყალობით: ხელისგულის ოდენა ადგილს ვერ იპოვნით ამ ველზე დაუმუშავებელს, მოუხნავ-მოუთესავს.

ამ ერთ-ნახევარ საუკუნის წინადაც ამ ველზე სამარგლავი ღომის ჯეჯილი ბიბინებდა. მკათათვე იყო. მოწმენდილ, ფირუზისფერ ცაზე თავისუფლად მისცურავდა დიდებული მნათობი და ქვეყანას უხვად უგზავნიდა მაცოცხლებელ სხივებს ფართე ველზე აქა-იქ მოსჩანდა ზოგან ერთი, ზოგან ორი, სამი და მეტიც, პერანგისამარა, თოხიანი მომუშავე. ველს აქა-იქ საჩრდილობლად დატოვებული, ლამაზად ტოტებგაშლილი ბჟოლის, იფნის და სხვა ხეც ამშვენებდა.

ერთ ალაგას სამი კაცი მუშაობდა. ერთი მათგანი მთლად ჭაღარა იყო, მეორე დაწვერულვაშებული, ხოლო მესამეს საულვაშე ოდნავ ამწვანებოდა. პირველი მამა იყო, ორნი კი მისი შვილები.

— დაჰკათ, ვაჟებო, დაჰკათ თოხები! სადილობამდე ეს სვე როგორმე ავიტანოთ, — გადასძახა მოხუცმა ახალგაზრდებს, — ღვთის შეწევნით, არ ჰხედავთ, რა ჩინებული დარია? ისე გაუხმეს სინსილა-სახსენებელი გლეხი კაცის და საქრისტიანოს მაწუხებელს, როგორც დღევანდელ მოჭრილ ღვარძლს სამუდამოდ ძირი გაუხმეს. ო...ო... შენი გულისა, რა ალ-ცეცხლს უკიდებს მადლით მოსილი!

— მე კი ვერ გამიგია, ბაბა, — შენიშნა უფროსმა შვილმა გიგომ, — საიდან გაჩნდა ჩვენს ყანაში ამდენი ჭოჭყოტი და დოლოკეტი? მგონია, შარშან ორჯერ გავმარგლეთ, ეგ ოხერი. თითქოს ღვარძლის ყური არ დაგვიტოვებია და წრეულს, შეხედე, კვალამოსაგდებ თათრის ლაშქარივით დასევია ისევ ჩვენს ყანას!

— კაი დახსომება გცოდნია, — სიტყვა მოუჭრა უმცროსმა ძმამ, მალხაზიამ, — ბიჭო, შარშან ეს კუთხე ერთხელაც არ გაგვიმარგლავს ხეირიანად. აი იქ, ქუჩურა კოპიტის გაყოლება, მართალია, ორჯერ გავმარგლეთ და კიდევაც, თუ სქლად ამოსულ ღომს დავარიგებთ თორემ, მარგვლა არც კი სჭირდება.

— მართალს ამბობ, შვილო, — დაემოწმა მამაც, — ხომ გახსოვს, ბაბაია, ვერ მოვასწარით მაშინ ამ მუხუროს გამარგვლა, არ დაგვაცალეს ღვთისა და კაცის მიერ მოძულებულებმა. მიუხედავად ჩემი ჭაღარა წვერისა და ხელ-ფეხის სისუსტისა, მე, იმერეთისკენ სალაშქროდ წავჩანჩალაკდი. ყველა წმინდა ხვთიშობელო, — თვალები ზევით აღაპყრო მოხუცმა, — შენ მოუსწრაფე დღე ყველა უთავბოლო შფოთის ამტეხს, ძმათა შორის ხოცვა-ჟლეტის მოსურნეს! ღმერთო, შენ გაუმარჯვე სოლომონ იმერთა მეფეს... ხრესილთან კი გვარიან კარგა ჩაუკაკუნა იმ ურჯულოებს, ჩაუძაღლებია ის ძმათა მოღალატე ლევან აბაშიაც. ღმერთო, შენ გაუმარჯვე!

— მართლა, მომაგონდა! მაშინ მეც ხომ ორი კვირა გავცდი, სალაშქროდ წამსვლელთა უნაგირების შემკეთებელს ვეხმარებოდი. — ცოტა არ იყოს დარცხვენით სთქვა გიგომ. — ოჰ! რამდენი ვზილე მაშინ აყროლებული ღვედი! დასწყევლის

მაგათ ყული და ქიაჩი! ყანა კი გაუმარგლავი მიგვირჩა და ახლა ორკეცი შრომა სჭირია.

სამთავემ მარჯვედ დაჰკრეს თოხი. სილანარევ, მსუქან ნიადაგში ბასრ რკინამ ჩახა-ჩუხი გაადინა.

— საცა წონა-სამართალია, სადილობის დროც კია, — სთქვა მალხაზიამ.

მოხუცმა შუბლზედ ხელი მიიდო და მზეს შეხედა.

— მართლაც და შუადღეს ბევრი არ უკლია, — აუჩქარებლად წარმოსთქვა მან, მუშაობა შეწყვიტა და თოხის ტარზე დაეყრდნო, — ბიჭო, ივაკია და ფილუია ხომ წავიდნენ სოფლისკენ მესადილე დედაკაცების თანამგზავრად ალბათ, საცაა გამოჩნდებიან. ვერ მოასწრებდნენ საწყლები, ვერ მოასწრებდნენ, ბაბაია. ვაი, ახავაი! როცა ბევრთან გვაქვს საქმე, მუდამ ასეა, დროით თავს ვერ მოუყრი. ზოგს რა უჭირს და ზოგს რა. ავადმყოფობაც რომ არ გვასვენებს. ქუჩუს დედა ხომ ლოგინში მწოლიარე ავადმყოფია და წვრილფეხობით ხელფეხშეკრული მისი რძალი მაია დროით ვერ მოიცლიდა. ბიტას ცოლიც ავად გამხდარა... თორემ საბრალო დედათქვენი? სადილი რა ხანია დამზადებული ექნება, მაგრამ მარტო ხომ ვერ წამოვიდოდა. იძულებული იქნება სხვებს მოუცადოს.

— მოგშივდა, ბიჭო, ბაღანა! — გაეხუმრა გიგო მალხაზიას, — აი, გაიხარე, მოდიან.

მართლაც, მდინარე ტეხურის გაყოლება მიმავალ სასოფლო გზაზე ორი თოფით შეიარაღებული კაცი გამოჩნდა, მათ უკან თხუთმეტიოდე მხარზე კალათგადებული დედაკაცი მოსდევდა.

ქალები ველზე თავიანთ მომუშავეებისაკენ გაიფანტნენ. ჩვენ ნაცნობ მომუშავეთკენაც გამოეშურა ერთი შუახნის, გამხდარ-გამხდარი, მაგრამ მხნე და თამამი გამომეტყველების დედაკაცი. გვერდით შვიდი-რვა წლის ვაჟი მოსდევდა. ბავშვს მხარზე, თუმცა კარგა მოზრდილი დოქი ედგა, მაგრამ მაინც თამამად მოაბიჯებდა, დედას წინ თუ არ უსწრებდა, უკან არა რჩებოდა.

— ეს ვინ მოდის! ეს ვინ მოდის! ჩემი ხვიჩა, ჩემი ბაბაია,

ჩემი გულის გამხარებელი? — მიეალერსა შორიდანვე ბავშვს მოხუცი. — ბაბაია, თხები ხომ არ დააბნიე, შენ შემოგეველოს ჩემი თავი?!

— არ დაიჯერა, თოლიგე, საშველი არ მომცა, ყანაში წამიყვანე და წამიყვანეო. რაც თხები მორეკა, სულ ბუზღუნით თავი მომაბეზრა. მართალი უნდა ვსთქვა, ეს დოქი სახლიდან მარტოდ-მარტო წამოიღო, — სიცილით სთქვა ქალმა, ქუჩურა ბჟოლის ძირას კალათი მოიხსნა და ჩითის ჭრელი მანდილით გაოფლიანებული პირისახის წმენდას შეუდგა.

— კარგი, ბაბაია, კარგი, ჩემო გულის გავლავ, თხები კი არ დააბნიო შენ შემოგეველე, თორემ ყველი და მაწონი, შენ რომ გიყვარს, არ გვექნება, — კვლავ მიეალერსა ბავშვს მოხუცი, მუშაობას თავი დაანება და ქუჩურა ბჟოლისაკენ გაემართა.

ყველანი ბჟოლის ჩრდილქვეშ ჩამოსხდნენ.

დედაკაცმა კალათიდან წაბლისა და წიფლის მწვანე ჟვერი ამოალაგა და ფხვიერ მიწაზე სუფრის მაგივრად დააფინა. მაზედ, ახლად ამოღებული, ჯერ კიდევ თბილი ღომი დააწყო; ღომს შიგადაშიგ ყველის ნაჭრები ჰქონდა ჩარჭობილი, ერთი მოზრდილი ნაჭერი ცალკეც იდო.

— ჩალამკალამი არ მოიტანე? — დაეკითხა ცოლს მოხუცი. — ბეჩა, რად დაგაგვიანდა! ამ შენმა ვაჟებმა კინაღამ ყელში ბაწარი მომიჭირეს, ყმაწვილები არიან, დროზე ჭამა უნდათ, — ხუმრობით ამბობდა მოხუცი... — ჰაი, ჰაი, დედაკაცო, რაც სიბერე შემეპარა, მას აქეთ აღარაფრად მაგდებ... მაგრამ მომიფრთხილდი! ხშირ გვალვას, ხომ იცი, ჭექა-ქუხილი და ჟუჟუნა წვიმა მოსდევს!

— უი, თვალიც დაგიდგეს! რაებს ბოდავს ეს ქვესკნელში ჩასაძრომი, — ხუმრობითვე შეუტია ცოლმა და თანაც ტუჩზე მხიარულმა ღიმმა გადაურბინა, — ჩალამკალამს რავა არ მოვიტანდი, — ამბობდა ქალი და კალათაში რაღაცას ეძებდა — აი ჩალამკალამი! რად დაიგვიანეო? ასეთ ყოფაში ისიც კარგია, ამ დროს მოვაწიეთ. ერთს ავადმყოფი უწევს, მეორეს ბატონის სასახლეში ღომი აქვს საცეხვავი, მესამეს იქვე

შალი აქვს საქსოვი. სანამ ყველა თავს მოიყრის, დრო და ხანი გადის. ახლა შეიარაღებულ გამცილებლების მოსვლას უნდა უცადო. ღმერთო, ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა! ვითომ მოვესწრებით ისეთ დროს, სადილი ყანაში უთოფუიარაღოდ მიგვქონდეს? ამ ზღვა-მდინარის გამოსვლაც ერთი ჭირია სწორედ! ვარცლის ტოლა ნავში ყველანი ერთბაშად ვერ ჩავეტიეთ ხელმეორედ უკან დასაბრუნებელი შეიქმნა ნავი და ერთხანს დავბანდდით...

— კარგი, კარგი, თოლიგე! ნუ მიაყოლე საბაია დიაკონივით, — კვლავ გაეხუმრა ცოლს მოხუცი. — მე და შენ, ბეჩა მოვრიგდებით! ხვიჩა, ბაბაია, ერთი ამ ჩალამკალამში დამისხი ის ძირკურთხეულის მონასხამი. თუ ყელი არ ჩავისველე, ისე ტყუილია, ლუკმას ვერ გადავყლაპავ.

სახით ცქვიტმა, თვალებბრიალა და ნიკაპმოგრძო ბიჭმა დოქს მწვანე ფოთლებისაგან გაკეთებული თავსაცობი მოხადა და ბროწეულის ფერი ღვინო ჩალამკალამში დაასხა.

მოხუცმა სავსე ჩალამი ხელში დაიჭირა, სასოებით ზევით აიხედა და წარმოსთქვა ღმერთო, დიდობა მოგეხსენა, ღმერთო. შენ იყავ ჩვენი მფარველი, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა დაამყარე, მებატონეთ შორის დაუსრულებელ მტრობა-ქიშპობას ბოლო მოუღე ურჯულო დაამარცხე, ქრისტიანობა აღამაღლე. გაუმარჯვე და კეთილად წარუმართე ყოველ საქმეში მეფე სოლომონს. მაგას კი ვენაცვალე. ბრძანება გაუცია, ვაჟებო, თურმე, ვინც ოსმალეთში ტყვის გაყიდვას გაბედავს, ერი, ბერი, სულერთია, თუნდ ჭყოინდარიც რომ იყოს, არ დავინდობ, თვალებს დავთხრიო... ო... ოხ! შენ რომ მოგისხა, იმ ბრუნდე ვაზს ვენაცვალე! — აუჩქარებლად წარმოსთქვა მოხუცმა, როცა ჩალამკალამი გამოსცალა, წვერ-ულვაშზე ხელი მოისვა და აქა-იქ დავარდნილი ღვინის წინწკლები მოიწმინდა.

დასხდნენ სადილად მაშვრალნი და მადიანად ჭამას შეუდგნენ. პატარა ხვიჩაც გვერდში მოუჯდა მამა-ძმათ და თუმცა შინ უკვე ესადილნა, მაგრამ სხვების წაბაძვით, ისე გემრიელად ილუკმებოდა, თითქოს სამი დღე ლუკმა არ გაუღეჭიაო.

— ის ვინ უნდა იყოს, ბაბაია? აბა, შვილო, გიგო, ერთი გაიხედე, იმ შარაგზაზე ცხენოსანი ვინ მიდის? ნეტავ, ვინ უნდა იყოს? ჰეპე გუშა, სადა ხარ დროებავ! როგორ მირბის დრო, თვალსაც დამაკლდა, ეგ სანგარო! ხეზე ჩამოკიდებულ კვერცხს სამოცი ნაბიჯის მანძილზე ტყვიით შუა ვხვრეტდი, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მოხუცმა, — ახლა კი ცხენოსან კაცსაც ვერ ვარჩევ ხეირიანად.

გიგომ და მალხაზიამ ცხენით მიმავალს თვალები დააშტერეს.

— ე... ს... ვინ უნდა იყოს? მურზაყან რევიას ჰგავს, — სთქვა გიგომ.

— უეჭველად მურზაყანია, ნაბდის ტარება ზამთარ-ზაფხულ იმან იცის ხოლმე, — კვერი დაუკრა მალხაზიამ.

— მურზა რევიაო? აბა, ქალო, გაქვს თუ არა კიდევ ღომი კალათაში? ყველი გვაქვს? — საჩქაროდ დაეკითხა მოხუცი ცოლს.

— ღომი ორი ჩოგანი კიდევ მაქვს. ყველიც მაქვს, მაგრამ ასეთი მცირე რამ როგორ გაებედება, შე დამწვარო, უცხო სტუმარს. იქით არ გადაირიო, არ მოიპატიჟო, — უშლიდა ცოლი.

— შენ რა იცი, უტვინო დედაკაცმა! აბა, ბაბაია, მურზაყანს ერთი ჩალამი ღვინო უნდა დავალევინო. შევთავაზებ, იმედი მაქვს, არ გამაწბილებს. ე... ხე... ხე ნანაია შური, დავღლილვარ, — ჩაიკვნესა მოხუცმა, მძიმე-მძიმედ ზეზე წამოდგა და გზად მიმავალი ცხენოსნის მისაგებებლად გაემართა.

ერთი ორი წუთის შიგნით ქუჩურა ბჟოლასთან ბედაურმა ცხენმა ჯირითი მოადინა.

— უკაცრაოდ კი ვარ, ბატონო მურზაყან, კადნიერებისათვის, — ებოდიშებოდა მოხუცი, — მაგრამ ჩვენი გაზრდილი ხარ, იმედი მაქვს ჩვენს ძუძუ-მკერდს არ შეაფურთხებ, პატივს სცემ ჩემს ჭაღარას და ერთ ჩალამკალამ ღვინოს მიირთმევ.

— დიდის სიამოვნებით, ჩემო ტაგუია, ჩემო მორდუ, ძლიერ მოხარული ვარ, რომ მშვიდობით გხედავ შენი ძვირფას ცოლ-შვილიანად. დიდი მადლობელი ვარ, რომ დამიძახე, —

სთქვა სტუმარმა და ცხენიდან ჩამოხტა: ნაბადი გადიძრო და უნაგირზე დააფარა. — ამ ოხრის დაკეცვაც დამეზარა, მუდამ ზედ ვათრევ, რას იზამ, ჩემისთანა, მუდამ მოგზაური კაცისთვის მიუცილებელი საქონელია.

— ჭკუიანი მოსაზრებაა, ჩემი ბატონის დღეგრძელობამ, ხომ გაგიგონია, ბატონო, ჩვენებური არაკი, — თუ ნაბდის ხელით წაღება დაგეზაროს, კავს მოაბი და იმით ათრიეო. მობრძანდი, ჩემო ბატონო! — მოიპატიჟა მოხუცმა.

— სალამი, ჩემო ტაგუია, — სთქვა მურზაყანმა და კოხტად გამოიჭიმა. კაცი იყო ტანად მაღალი, მხარ-ბეჭა; ზურგზე განდაგან ეკიდა მშვენიერი სტამბოლის თოფი. ერთი დამბაჩა უკან ქამარში ერჭო, მეორე წინ ეკიდა. წელზე ხმალი ერტყა, სახის გამომეტყველება მამაცი და მხიარული ჰქონდა.

— შენი თავი არ მომიკვდეს იმის მეტი, — მტკიცედ მიუგო ტაგუიამ.

— შენი ჭირიმე.

— არა, შენ არ მომიკვდე.

— მე გთხოვ!

— არა, ეს სამივე ბაღანა ნუ დამეხოცება.

როგორც იყო, კაი ხნის ხვეწნა-მუდარის და ბოდიშის შემდეგ, მურზაყანი დასთანხმდა სალამის მიცემას, თოფი მოიხსნა და ბჟოლის ძირას მიაყუდა. იქვე ორი სხვა თოფი უკვე ეყუდა, ერთი ტაგუიასი, მეორე გიგოსი.

მურზაყანიც მიუჯდა მუშის სახელდახელოდ გაწყობილ სუფრას. თბილი ღომი ლამაზად მოტენა, მშვენიერი, ახალი სულგუნის ყველი შეატანა და სხვებზე არანაკლებ მადიანად ჩაძმუძნა.

— უკაცრაოდ, ბატონო, ღმერთო მომკალი... დასაპატიჟებლად არა ვღირსვართ შენ თავს და ამ გადაშთერებულმა ყაზახმა სად მომიყვანა შენი თავი, ჩემო ბატონო, — ებოდიშებოდა სტუმარს ტაგუიას ცოლი მზეხაც.

— როგორ გეკადრება, ძიძა, ამისთანა სიტყვები, ამ სუფთად გაკეთებული ბაიასფერ ღომს და თოვლი „ატატია“-სავით თეთრ ყველს მე კი არა, დადიანის შვილი არ დაიწუნებს.

ღმერთმან ეს არ მოგვიშალოს და სხვას ნულარ სწუხარ, ჩემო გამზრდელო ძიძა. ამისთანა ჭამას აქვს გემო, — ამბობდა სტუმარი და ლუკმას ლუკმაზე ანელებდა.

— რომ მცოდნოდა, ქათამს მაინც გავაკეთებდი, ნეტავ გამაქვავოს...

— ერთი შენც ახლა, დედაკაცო, ქათამი კი არა, კვერცხი არ გინდა! რაც გვაქვს, ის არის, — ამბობდა ტაგუია. — მურზაყანი ჩვენია, არ დაგვძრახავს. ღომი და ყველი კი არა, მარტო ღომის ქერქის მეტი არაფერი მქონდეს, თუ კი ეს ღვთივკურთხეული მექნება, — მიუთითა ტაგუიამ დოქზე, — კაცის დაპატიჟების სრულებით არ შემრცხვება, თუ გინდ უფლისწულიც მომადგეს კარებზე.

— მართალია, მართალი, ჩემო ტაგუია, საცა ღვინოა, იქ ყოვლისფერია. ჩინებული ღვინო დაგიყენებია სწორედ. შენ ყოველთვის კარგი ღვინოს დაყენება იცოდი. წმინდა ოჯალეშია განა?

— არა, მურზაყან. როგორ მოგატყუილო, ბიძიჩემის უტასი და ბიცოლაჩემის თათიას გაზრდილი ხარ. აზნაურიშვილი ხარ, ღვინოს გამოცნობა კარგი იცი. შვილებს გეფიცები, ოჯალეში, მართალია, კი ურევია, მაგრამ დიდად მეტი წილი პანეშია.

— მამაჩემის სულს გეფიცები, ეს ღვინო ოჯალეშს არ დაუვარდება. ღვინოს, მართალს ამბობ, გვარიანად გამოვიცნობ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვინც გინდა მოიყვანე, ამ ღვინოს ოჯალეშად ჩააგდებს.

— შენი ჭირიმე, ა? მურზაყან! — გამხიარულდა მოხუცი. — წმინდა ოჯალეში სამიქელგაბრიო ლაგვანში მაქვს ჩასხმული. დაილოცა მისი სახელი! ამ ნამარიობებს მინდა მოვილოცო. მაშინ რომ მელირსებოდეს შენი თავი, ის იქნება ღვთის წყალობა, თორემ ახლა რაა, მართლაც და ამ ჩვეგერე დედაკაცისა არ იყოს, დასაპატიჟებლად ვინ მაღირსებს შენს თავს და ახლა კი ამ უვერს მოგიჯდინე, სწორედ თავხედობაა, მაგრამ...

— სწორედ, სწორედ დიდი თავხედობაა, — გაავჯავრა სტუმარმა. — კაცო, ეს აფხაზური ბოდიში სად გისწავლია! საქმე კეთილი გულია და არა ბევრი ხორცეულობა და ხის ფართე ტა-

ბაკი. მე კი, მართალს თუ მათქმევინებ, ასეთი გემრიელი საჭმელი ერთიხანია არ მიჭამია. თქვენ გვაროვნობით მოგდევთ პურმარილიანობა. თქვენ მიერ მითავაზებული მწვარე ბოლოკიც გემრიელია... ჩემო ბაბაია. ტაგუია, — სთქვა სტუმარმა და ღვინით სავსე ჩალამი ხელში დაიჭირა. — ღმერთმან და წმინდა გიორგი ხორციელმა გიცოცხლოს ჯერ შენი თავი და მერე შენი ცოლ-შვილი. ყოველგვარ ალიან-ჩალიანს აგაცდინოს... ფო...ფო...ფო!. ამაზე უკეთესი ნამდვილი ოჯალეშიც ღმერთმა დასწყეველოს! ან რა ფერისა დამდგარა, თითქოს გაწურული ბრეწოულიაო. შენ რომ მიგისხა, იმ ვაზის ძირს ვენაცვალე, — სთქვა სტუმარმა, როცა ჩალამი დასცალა.

— სწორედ ვენაცვალე, — კვერი დაუკრა ტაგუიამ...

— მოიცა, ტაგუია, ეს პატარა ბიჭიც შენია, არა?

— დიახ, ბატონო, ეს ჩემი ბაბაია გახლავს, — მიუგო ტაგუიამ და მოალერსე თვალებით ბიჭს გადახედა.

— ერთი შეხედეთ ამ ბებრუცანას, რა ჩაუდენია ამ სიბერის დროს? — გაიხუმრა სტუმარმა...

— ეს ბატონო, სულ ამ გლახაკი დედაკაცის ბრალია! ბებერი ხარ, ბებერი ხარო, მაყვედრიდა მუდამ და მეც ვუჩვენე ბებერი ვარ თუ არა! ჰა, ჰა, ჰა!..

— იქით დაიღუპე!.. მიწა მოსაყრელი შენი ენა, — დატუქსა ცოლმა, შეწითლდა და ბჟოლის ძირს მოეფარა.

სტუმარი იცინოდა, ვაჟებიც იცინოდნენ.

— ჯერ კიდევ დამაცადოს. ჯერ სადაა, ერთი მოვრჩე ამ სამარგლავს, — წახალისდა ტაგუია,— მე შენ გიჩვენებ ბებერი ვარ თუ არა!

— არაფერია, ძიძა, ნუ შეგრცხვებათ! ხუმრობს, თორემ მეტს ველარ გაბედავს, ღვთით ტარიელივით ბიჭები გარს გახვევია, რამე რომ გაგიბედოს, ბადიდ-კაცს ცხვირს მოამტვრევენ. ხი, ხი, ხი!.. — ხითხითებდა სტუმარი.

— იმდენი აღდგომა მაგას გათენებია,—ბუტბუტებდა დედაკაცი.

— სხვას თავი დავანებოთ, ძიძა, პატარა ბიჭიკო დაგიფარავს, ბადიდ-კაცს ფეხზე ბაწარს მოაბამს, არა, ჯიჯი? — ალერსიანად დაეკითხა სტუმარი ხვიჩას.

ბიჭმა მოღიმარი სახით სტუმარს შეხედა, მერე მამას გრძნობით სავსე თვალებით დააცქერდა...

— ჩემი ბაბაია მე არ მიღალატებს, — მიეალერსა მოხუცი ბავშვს და თავზედ ხელი გადუსვა.

ყველანი გამხიარულდნენ და ჭამა გააგრძელეს.

— სხვა, ბატონო მურზაყან, შენ ხომ ყველგან დადიხარ, რა ამბავია ქვეყანაზე, ვითომ ცოტა მოგვეშვა? ვითომ ღმერთმა მოგვხედა? ვენაცვალე მის სახელს, — პირჯვარი გადიწერა მოხუცმა, — ვითომ განმტკიცდა ჩვენი დადიანი და მეფის მეგობრობა?

— ასე მოგახსენებენ და საქმითაც ასე სჩანს ჯერ-ჯერობით, — საქმიანი კილოთი მიუგო სტუმარმა. — ჯერ-ჯერობით, ჩვენი ოტია დადია ერთგულად იქცევა, თუ ეშმაკი არ დააჯდა მხრებზე და არ ულალატა ფიცსა და ნათესაობას. ამ დროებით, მართალი უნდა სთქვას კაცმა, ძლიერ შველის მეფეს. გურიელიც თითქოს მოლბა, საშიში არაა. მხოლოდ საქმეს აჭირებს ის როსთომია რაჭის ერისთავი. არ ცხრება და არ ცხრება მაგ ურჯულოს თანაზიარი. თუ ისიც დაამარცხა მეფემ, მაშინ, იცოდე, ტაგუია, რომ ჩვენშიაც ისეთი მშვიდობა დამყარდება, როგორიცაა მეფე ელეკრეს სამეფოში, ქართლ-კახეთში.

— ჰო! ერეკლე მეფე? ის არ არის, რომ სიმღერაში იხსენიებენ?

— დიახ, ის არის. სხვანაირად კიდევ პატარა კახს ეძახიან, — განუმარტა მურზაყანმა.

— შენი გულის ჭირიმე! — აღტაცებით ამბობდა მოხუცი. ახალგაზრდებმა ჭამას თავი დაანებეს და სმენად გადაიქცნენ.

— ერეკლე მეფე, ჩემო ტაგუ, რას ამბობ, ბაბა, — დინჯად გააგრძელა სტუმარმა, — ციდან მოვლენილი კაცია. საითკენაც ხელი გაისვა, ყველგან მუსრი გაავლო ურჯულოებს. ლეკები გინდა, ყიზილბაშები, თუ ეს წყეული ოსმალები! ინდოეთში რა ამბები ქმნა თურმე! ამბობენ, ბედაურზე რომ შეჯდება, ქარქაშიდან ლეკურს რხიალს გაადენს, შესძახებს და შეუტევს მტერს, ცოდვილ თვალს არ დაენახვება თურმე. საარაკო რამეაო, მოგახსენებენ.

— ბიჭიც ის ყოფილა და... — წარმოსთქვეს ჯეილებმა.

— ღმერთო, შენ გაუმარჯვე, — ამოიოხრა მოხუცმა და ღვინით სავსე ჩალამი ხელში დაიჭირა. — ღმერთო, შენ გაუმარჯვე ყველა ურჯულოთა მებრძოლს, ქვეყანაზე მშვიდობის დამამყარებელს, საწყალი გლეხი-კაცის გამკითხველს, ქვრივ-ობოლთა შემწეს. ყველას ერთობ, წონა-სამართლის მექონს. ღმერთო, ის დღე მაჩვენე, ისე საფლავში ნუ ჩამიყვან, რომ ყანაზედ უთოფოდ მივდიოდე, დედაკაცს სადილი მარტოდ-მარტო მოჰქონდეს და არაფრის შიში და რიდი არ ჰქონდეს.

— ჰაამინ, ჰაამინ, — მიუგო სტუმარმა.

ტაგუიამ ჩალამი დასცალა და სტუმარს დაულოცა.

— ბატონ მურზაყანს დაულოცავ მრავალ წელს, ღმერთმან შენი თავი მიცოცხლოს. შენ სხვა მტაცებელ-ამწიოკებლებს არა ჰგავხარ და იმიტომ სულით და გულით მიყვარხარ. ღმერთმან დიდი დღე მოგცეს.

— მადლობელი ვარ, ჩემო ტაგუია. ახლაც თუ დავაკვირდებით საქმეს, რაც იყო ამ ხუთიოდ წლის წინათ, იმის შედარებით, ბაბაია, მშვიდობიანობაა. ქალს შენ თავი დაანებე, კაცო, მე თვითონ, რაც გინდა იყოს, გვარიან გამოქნილი და მარჯვე ვაჟკაცი ვარ მგონია, მაგრამ ტყუილი რა საჭიროა, უდამბაჩოდ სახლიდან ვერ გამოვიდოდი. ახლა, აქა-იქ, კანტი-კუნტად თუ მოხდა რამე, თორემ ისე შიშიანობა არაა. სასტიკი ბრძანებაა გაცემული მეფისაგან ტყვეთა მომტაცებლების წინააღმდეგ!

— ამბობენ, ამბობენ, ბატონო მურზაყან, — სიხარულით წარმოსთქვა მოხუცმა.

— ტაგუია, იცოდე, თუ ჩვენმა ოტია დადიამ და იმისმა შვილმა კაციამ არ ულალატა მეფე სოლომონს და თუ გურიელიც დაუმეგობრდა, მე მითქვამს, ამ შინაურ ჩვენ წუწკებს ხომ ალაგმავს და ალაგმავს, ოსმალებსაც განდევნის აქედან. იცოდე, ქუთაისსაც დაიბრუნებს, შეიძლება ფოთიდანაც განდევნოს ურჯულოები. ღმერთმა ნათქვამი შეგვისრულოს, — სთქვა სტუმარმა და ჩალამი დასცალა.

— ღმერთმან ქნას, იოსე ქისტემ ჰაამენი შეგაწიოს, მაშინ ხომ თრევაც აღარ დამჭირდება ყანაში...

— იცოდე, ასე მოხდება, თუ ღმერთმან აცოცხლა სოლომონ მეფე. მე ვიცი, ბაბაია, როგორ არის საქმე. სამჯერ ვიყავი ლაშქრობაში...

— მურზაყან, შენი ჭირიმე, იმ შარშანდელ ხრესილის ბრძოლაში იყავი? — დაეკითხა მოხუცი.

— ვიყავი. აი ეს თითი იქ დავიშავე, — მიუგო მურზაყანმა და მარცხენა ხელი უჩვენა. სალოკი თითის ალაგას რაღაც პატარა აბორცვებული მოსჩანდა.

— ნანა შვილო! — მწარედ წამოიძახა მზეხამ.

— ეს რა არის, ძიძა, ისეთ ადგილას ჩავვარდი, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი, არ მეგონა. ჩვენებმა, ღმერთს მართალი უყვარს, მაშინ სწორედ თავი ისახელეს. ოო, ბაბა ტაგუ, დიდი რამეა ერთი პირი და ერთი გული! საცა ერთი პირი და გულია, იქ ჯარი უძლეველია. კარგახანია იმერლების და მეგრელების ასეთი ერთსულ-გულოვნობა არ უნახავს კაცს და კიდევაც საშინლად დავამარცხეთ მტერი. მტერი მარა რა მტერი, ჩემო ხვანთქარო. ოსმალები ხომ თმის სისქე იყვნენ, ახლა ჩვენიანებიც, თვალდაბნელებულნი, რამდენი გინდა მათ ზურგს უმაგრებდნენ, ბედუკუღმართ ლევან აბაშიას მეთაურობით, მაგრამ, გაქვს ღვთის წყალობა, ჩვენ მაგათ სეირი ვაჩვენეთ. შინაური განხეთქილება ღუპავს, ტაგუ, ჩვენს ქვეყანას, თორემ, მე მაშინ დავრწმუნდი, გარეშე მტერი ერთზე ათიც მოვიდეს, თუ ჩვენ ერთობა გვაქვს, გავუმკლავდებით.

— მერე ვინ არის, მურზაყანის ჭირიმე, განხეთქილების მიზეზი? ისევ დადია, მისი კარიკაცები, თავადები, ჭყოინდარი და მაგისთანები, თორემ თაარ ანგილოზს გეფიცები, მე და ოკრიბელი, ჩემსავით მხვნელ-მთესველი, თავისს დღეში არ ავიშალოთ და ერთმანეთის მოსაკლავად არ მივიწიოთ. საერთო მტრის წინააღმდეგ კი ერთგვარი ხალისით გავალთ ორთავე. მე ერთი უბრალო ძროხა ყაზახი გეუბნები ამას. შფოთის და დავიდარაბის ამტეხი ყოველთვის დიდკაცობაა, თუ გინდ მიწყინე ეს სიტყვა, — ცოტა აპილპილდა ტაგუია.

— მწყინს კი არა, მიხარია, რომ მართალს ამბობ, — აღტაცებით მიუგო სტუმარმა.

— მართალს, მამი ჩემის სული ნუ წამიწყდება, — წათამამდა ტაგუია. — ჩვენ, დაბალ ხალხს, არაფერი სამტრო ერთმანეთთან არა გვაქვს. ერთხელ, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, მე და ცხონებული ჩვენი კოჩა დავითაია იქით, შორს, ზემომხარისკენ მოვხვდით. მივედით ერთ საწყალ კაცის სახლში. მტრობა კი არა, ისე გაუხარდა, თითქოს სათათრეთში გაყიდული და უკვალოდ დაკარგული ძმები დაბრუნებოდესო. თავს შემოგვევლო, საბრალო, რაც შეეძლო, პატივი გვცა, მეორე სოფლამდი გამოგვაცილა. მეც ახლა, თავის ქება კიტრად ღირსო, ნათქვამია, მაგრამ ჩვენი შორებელი მოძმე თუ ვნახე ჩემ სახლში, ვუმტრობ კი არა, სხვამ რომ ხელი ახლოს, უსიკვდილოდ არ დავანებებ... ჰაი, მართლა რა გითხრა, ამას წინათ რა მომივიდა, — მხიარულად წარმოსთქვა ტაგუიამ. — შევიხედე, კარს მომადგა ორი ცხენოსანი, ისინი სულ იქითური, ქართლის მხრიდან უნდა ყოფილიყვნენ. იმათ უნაგირს, მურზაყან, უკან კომპული სულ არა აქვს, ისეა თაღივით გადამრგვალებული.

— კი ვიცი, რამდენი მინახავს, — შენიშნა სტუმარმა...

— აი, მესტუმრნენ. ისეთი გამიხარდა, რომ მამა ჩემი ცაკვაია აბედია მოსულიყო საიქიოდან, ისე არ გამიხარდებოდა სწორედ; მაგრამ საქმე იმაშია, ვაჟო, რომ ისინი თურმე ღომს არა სჭამენ, სულ პურის ჭამას ჩვეული ხალხია. აი, თოლიგე, შეიძლება რამე მოაგვარო-მეთქი, ვუთხარი დედაკაცს. საბრალოს სადღაც ერთი-ორი ატარი იფქლის ფქვილი ჰქონოდა, სალოცავი კვერებისთვის შენახული. საჩქაროდ ხაჭაპური გამოვაცხობინე. სხვა ცოტ-ცოტა, შენი და მიქამ-გარიოს წყალობა, პურით არ ვიყავი ზურგგამაგრებული, თორემ ყოვლისფერი მქონდა. ოჰ! ღმერთმან დასწყევლოს უკეთესი ტაბაკის ხალხი! ისე მოილხინეს, ისე დაგვლოცეს, ისეთი მრაალჟამიერი დასძახეს, თავისებური, მაგათ გრძლად სცოდნიათ, გაჭიანურებული, რომ დიდი და პატარა გაგვამხიარულეს... ეს იმას მოვაყოლე, თორემ რა სალაპარაკოა. ჩხუბს და მტრობას დიდკაცობა სთესავს, თორემ ჩვენ, მხვნელ-მთესველი ხალხი მუდამ კეთილგანწყობილებაში ვიქნებით ერთმანეთთან. მაშ, ეს ღმერთმა

შური და მტრობა მოსპოს ჩვენს ქვეყანაში. საერთო მტრის წინააღმდეგ ერთი პირი და ერთი გული მოგვცეს. მაშინ არც ტყვედ გაიყიდება სთამბოლში უბედური ჩვენი კაცის შვილი, — წარმოსთქვა მასპინძელმა და სავსე ჩალამი ხელში დაიჭირა. — ოხ, ღმერთმან სწორედ მიცოცხლოს შენი თავი, დღეს გული გამიმსუბუქე მოხუცებულ კაცს. ჩემო ბატონო მურზაყან, შენისთანა ერთი ასი რომ ერიოს ჩვენ თავად-აზნაურებში, მაშინ ჩვენი საქმე სულ სხვანაირად იქნებოდა.

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო ტაგუია.

— თაარ ანგილოზი იყოს შენი მფარველი ყოველ შარაგზაზე, — დალოცა სტუმარი მასპინძელმა და ღვინო დალია — ოო... მართლა გვარიანი ღვინოა, ღმერთმა უკეთ იცოდეს. ბატონ მურზაყანს სიცოცხლე და გამარჯვება.

— ღმერთმან გაგიმარჯოს! ღმერთმან ეს შენი ვაჟები გიცოცხლოს, მათი წითელი გვირგვინი გაჩვენოს! იცოცხლეთ, ბიჭებო, — გადასძახა ჯეილებს.

გიგომ და მალხაზიამ მადლობა მოახსენეს.

სტუმარმა ღვინო დალია და ჩალამი გიგოს გადასცა. გიგომაც და მალხაზიამაც ხელახლა მადლობა მოახსენეს და ღვინო დალიეს.

— იმ ხრესილის ბრძოლაში, ბატონო მურზაყან, შარშან მეც გამიწვიეს. რავა გგონია? წავჩანჩალაკდი ამ ჩემი კუნტა-თოფით. ცხენისწყლამდე მივედით და ამბავიც მოვიდა, მეფეს და დადიას გაემარჯვაო, და უკანვე გამოვბრუნდით.

— ოი, შენ რომ სალაშქროდ გაგიწვია, იმას შენი მეტი ჭკუა არა ჰქონია, — შენიშნა მზეხამ...

— ჰა, შე ტვენგერე დედაკაცო, ერთ ტყვიას ხომ მოვიკავებდი, შეიძლება, ერთიც იქით გამესალებინა...

— რას ამბობ, ძიძა, ტაგუია ჩინებული მსროლელია, — უთხრა სტუმარმა. — ვო, ტაგუია, მახსოვს, მე რომ პატარა ვიყავი და თქვენ ოჯახში ვიზრდებოდი! მაშინ, ალდგომა დილით ადრე, ნაწირევევს ცაცხვის ქვეშ წითელ კვერცხს რომ ჩამოკიდებდნენ და იყო ერთი ნიშანში სროლა! შენ რამდენჯერ ჩამოგიგდია...

— იმდენი, შენ არ გწყევლი, და ამ ჩემს ბალნებს გაუთენდეს

აღდგომა, — სთქვა მასპინძელმა.

— იმ ხრესილის ბრძოლაშიო, ამბობენ, ხუტუნია შარაშიამ ისახელა თავიო, — მორიდებით შენიშნა გიგომ.

— ჭეშმარიტია, ჭეშმარიტია! — დაადასტურა მურზაყანმა. — ხუტუნია ხომ კაცი კი არა, დევი იყო სულგანათლებული! ხომ შევარდა, ყმაწვილო, ოსმალოს ჯარში და რომ მოისვა ლეკურზე, თექვსმეტი კაცი ჭარხალივით მიათალა ერთმანეთს და თვითონაც ზვარაკად შეეწირა საერთო საქმეს.

— ღმერთმა ნათელი აღუდგინოს, — სასოებით სთქვა მოხუცმა, ჩალამკალამში ღვინო ჩაასხა, მერე ჩალამს თავი გადუწია და რამდენიმე წვეთი ღომის ნამცეცზე დააწვეთა.

ხუტუნიას შესანდობელი ყველამ ლოცვა-მოხსენებით დალია.

— ახლა კი საკმაოა, ბაბა ტაგუია, — სთქვა სტუმარმა.

— ერთი კიდევ, შენი ჭირიმე, ბატონო, ჯერ ღვინო კიდევ არის.

— ნურც გამოლიოს ღმერთმა, მაგრამ ჩვენთვის კი მეტი რიგი არაა. ყანაში მუშაობის დროს ესეც გადავაჭარბეთ.

— ყველა წინდა ღვთიშობელი იყოს, ბაბაია, შენი და შენი ოჯახის შემწე, — წარმოსთქვა სტუმარმა, ჩალამში ცოტა ღვინო დაასხა, დალია და ზეზე წამოდგა. — დიდად გმადლობ, ბაბაია: ასეთი გემრიელი საჭმელი, მგონია, ხშირად არ მიჭამია, ნუ მოაკლოს ღმერთმა ბარაქა შენს ოჯახს.

— მომკლას ნეტავ ღმერთმან, სული ამომხადოს, მოგატყუილეთ, ბატონო, — უანგარიშო ბოდიშს მოჰყვა დიასახლისი.

სტუმარმა ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა, თოფი გადიკიდა, ცხენზედ შეჯდა და თავის გზას გაუდგა.

მზეხა და ხვიჩა სხვა მესადილე ქალებთან ერთად ისევ შეიარაღებულ მამაკაცების თანხლებით შინისკენ წავიდნენ.

— აბა, ბიჭო, ხვიჩა, შენ ჭკუიანად იყავი, — დააბარა გიგომ, — მარტო არ გარეკო თხები, არც შორს წახვიდეთ. ბეკოს ნაფუზართან მაღალი ანწლია, იქ ხუთასი თხაც რომ იყოს, გაძღება. ჭკუიანად იყავით. ჩიტის ბუდეს ნუ შლით ხოლმე.

— ჭკუიანად, ჩემო ბაბაია, ჩემო გულის გამხარებელო ბაბაია, — დააბარა მოხუცმაც.

ტაგუიამ და მისმა შვილებმა ნასადილევს ჩრდილ ქვეშ ცოტა წაიძინეს. მზე გადაიხარა თუ არა, წამოცვივდნენ, დაავლეს თოხს ხელი და მუშაობას შეუდგნენ.

სამხრობის დროს მოაღწია. მწვანე ჯეჯილით აბიბინებულ ველს მოწმენდილ-მოკრიალებული ფირუზის ფერი ცა დაჰყურებდა. არსად ერთი ბეწო ღრუბლის ბულული არ მოიძებნებოდა. თითქოს ჰაერი ერთ ალაგას გაიყინაო, არსაიდან სიო არ ჰქროდა.

— ოჰ, მეტისმეტი ცხელა, ლამის სული შემიგუბდეს. ვო შური საყვარელი, ერთი კაი ბორია ახლა ათას ქისა მარჩილად ღირს, — ინატრა უმცროსმა — მალხაზიამ.

— მაინც რა გადაცემული დღეა ეს დალოცვილი, — დაეთანხმა გიგოც.

— მართალია, ბაბაია, ცხელა, — აუჩქარებლად წარმოსთქვა მოხუცმა, — სიცხე ჩვენ გვაწუხებს, მაგრამ ჭირნახულისთვის კი დაუფასებელია. ყველასათვის სასიამოვნო იმ დალოცვილ ღმერთსაც რომ ვერ შესძლებია! ჩვენ გვასიამოვნოს, ჭირნახულს არ ესიამოვნება, ჭირნახულს ასიამოვნოს, ჩვენ არ ვართ კმაყოფილი.

— ჰეპე, რაღა გაეწყობა! — წამოიძახა გიგომ. — გაგვიძლია, კიდევ გავუძლოთ, სხვაფრივ არ იშოვება მაგრად ჩასალუკმებელი. ჰე, ბიჭო! — გადასძახა მალხაზიას — თოხი მარჯვედ მოიქნია. მალხაზია აჰყვა. არც მოხუცი ჩამორჩა უკან და კვლავ გაისმა თოხის აჩქარებული ჩახაჩუხი.

— ეს სვე, როგორმე, ბიჭებო, და მერე ცოტა შევისვენოთ, არც მაინცდამაინც თავის გადაყოლება ვარგა, — სთქვა მოხუცმა.

— სიცხეს კი გავუძლებ, რაც გინდა იყოს, სანგარო, სხვანაირადაც არა ვარ კარგად, — რაღაც მთელი ტანი დაბეჟილივით მაქვს, — ჩიოდა გიგო.

— ალბათ, ბელტზე დაწოლილხარ, შვილო, უხერხულად, — მიუგო მამამ.

— არა, დილიდანვე უხასიათოდ ვარ, მთელ ტანში სიმძიმესა ვგრძნობ, ვაი თუ ცივება დამიწყოს...

— სუთ, სუთ! — გააწყვეტინა მალხაზიამ. შეჩერდა, თოხის ტარს დაებჯინა და სმენად გადაიქცა.

— რა იყო, ბაბა? — დაეკითხა მამა.

რაღაც კივილივით მომესმა.

სამივენი შეჩერდნენ და ყური დაუგდეს.

— თითქოს რაღაც მეც მესმის, — სთქვა გიგომ.

— ძაღლი ყეფს, მგონია, — შენიშნა ტაგუიამ.

— ძაღლის ყეფაც ისმის, ნამდვილია.

სხვა მომუშავენიც ველზე შეჩერდნენ და ყურს უგდებდნენ.

სოფლიდან რაღაც ხმაურობა მართლა მოისმოდა, ქალების კივილს ჰგავდა.

— ავავაია! მოკვდა ვიღაცა, — გაუბედავად სთქვა მალხაზიამ.

— ვაი, საბრალო, თუ ქუჩუს დედა გარდაიცვალა. ხანში შესული ადამიანი იყო საცოდავი, — შენიშნა ტაგუმ, — მე რომ, ბაბაია, პატარა ბიჭი ვიყავი, იმას მაშინ ხუთი შვილი ქე ყავდა. კაცი, სანგარო, ერთი გუდა სისხლია, რა ბევრი უნდა, რომ მოკვდეს.

— არა, ქუჩუს დედა გუშინწინ ვნახე, სასიკვდილო პირი არა აქვს, — დაფიქრებით სთქვა გიგომ — ალბათ, გარეშე სოფლიდან ვისმე სიკვდილის ამბავი თუ მოიტანეს. უეჭველია ქალების კივილია. ე! უყურე, ხმაურობა თანდათანა ახლოვდება, თითქოს აქეთკენ მოდიანო.

ხმაურობამ იმატა. ახლა ქალების წივილ-კივილი ნათლად მოისმოდა. ერთი ქალი განსაკუთრებით საშინლად გაჰკიოდა.

შვილებმა იცნეს დედის ხმა.

— ეჰე, ჩვენი ცოდვა! რაღაც სახეირო არ არის ჩვენს თავზე, — წამოიძახა გიგომ, თოხი იქვე დააგდო და ქუჩურა ბჟოლასთან მიირბინა, თოფს ხელი დაავლო და სოფლისაკენ გავარდა. ტაგუია და მალხაზიაც იმას მიჰყვნენ. სხვა მომუშავეთაც დაყარეს თოხები და თოფებს მიაშურეს, ზოგი ახალუხს იცვამდა, ზოგი პერანგის ამარა თოფით გარბოდა.

მდინარის გაღმა რამდენიმე თმაგაწეწილი ქალი წივილ-კივილით მორბოდა, მათ შორის მზეხაც გულსაკლავად ღრიალებდა.

— ნანა შვილო, ნანა შვილო, მოგიკვდა დედაშენი, ხვიჩა ნანა! მი... შვე... ლეთ...

— რა ამბავია, რა მოუვიდა! ჩემი ბიჭი ახლა აქ ხელში არა მყავდა? — დაიყვირა წყალგამოღმიდან საბრალო ტაგუიამ, მაგრამ მისი ხმა უცებ გაწყდა, ფეხები აუკანკალდა და იქვე ჩაიკეცა.

მუშებმა, საცა მოხვდათ, წყალში შეტოპეს და ერთი კიჟინით და ხმაურობით გაემართნენ.

ნახევარი საათის შიგნით მოელი სოფელი ფეხზე იდგა. ქალების წივილ-კივილი, ძაღლების ყეფა, მამაკაცების კიჟინა, ერთად შერეული, რაღაც გულშემზარავ ხმაურობას აყენებდა... სოფლის ბოლოდან მოისმა თოფის ხმაც. გავარდა ერთი... ორი... სამი...

მზის ჩასვლას ცოტა-ღა აკლდა. დასავლეთიდან სიო საგრძნობლად უბერავდა, ცაზე აქა-იქ ღრუბლებიც მოსჩანდა. ერთი პაწია სერის კალთაზე მოთავსებული ტაგუია აბედიას კარ-მიდამო ქალით და კაცით სავსე იყო.

მჭვარტლისაგან გამურულ ფიცრული სახლის დერეფანში ქალები მოგროვილიყვნენ და ერთი ტირილი და ვაება გაემართათ.

მამაკაცები, თითქმის ყველა მოხუცებული, სახლის წინ, ვაშლის ხის ქვეშ, დამსხდარიყვნენ და მოწყენილ-შეშფოთებულნი მსჯელობდნენ.

ტაგუიას ცოლი მზეხა ლოყებდაკაწრული და გასისხლიანებული ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო და ცხარედ გაჰკიოდა. სხვა ქალები მას ძლივ-ძლიობით იმაგრებდნენ.

— ხვიჩა ნანა, ხვიჩა ნანა, ჩემი ბიჭი, ჩემი საფლავის გამთხრელი... საით წავიდეს... საით გეძებოს... ვის მიმართოს... სად მოგნახოს... უბედური დედაშენი! — მწარედ მოთქვამდა გამწარებული დედა.

— მზეხა, მზეხა, ცოტა დამშვიდდი, ადამიანო! ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ამბავს მოგვიტანენ, ვისაც თოფის დაჭერა შეეძლო ჩვენ სოფელში, ყველანი დაედევნენ. გზა-გზა კიდევ რამდენი მიეშველებოდა. ის ვიღაც ულვთო და უსულგულო, კაცია ალბათ, ცაში ხომ ვერ აფრინდებოდა: უსათუოდ დაე-

წევიან და დააგდებინებენ, — ანუგეშებდა მზეხას ერთი სხვებზე უკეთ ჩაცმულ-დახურული მანდილოსანი; ეტყობოდა, ვინმე აზნაურის ცოლი უნდა ყოფილიყო.

— ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა! ჩემი მოხუცებულობის მანუგეშებელი ბაბა, — მოთქმით ლულლულებდა თავშიშველი და გულხელდაკრეფილი ტაგუია და ეზოში უთავბოლოდ დადიოდა.

— ესეც შენი ქვეყნის დამშვიდება და დაწყნარება! ჩვენი საშველი მაინც არ ყოფილა. ქე მაინც ყველანი ერთად ამოვწყდებოდეთ, — ნაღვლიანად ამბობდა ერთი მელოტი, ჭაღარა გლეხი.

— ასეთ გაძაღლებულ ცხოვრებას, თუ სიკვდილი არ სჯობდეს, ღმერთი გამიწყრეს, — მიუგო მეორემ.

— კაცო, ქე მაინც არ გვაიმედებდნენ, — სთქვა ისევ მელოტმა. — ამას წინეთ ნოქალაქევში ტაია ბატონიშვილის სასახლეში გიახელ. გერიე სახუცესი იქ ბრძანდებოდა. — რა ამბავია, უჩარდია, როგორ ცხოვრობო? — თოლი, რა ცხოვრებაა, ბატონო, ჩვენი ცხოვრება-მეთქი, ქათმებივით გვიჭერენ და ოსმალეთში გვყიდიან-მეთქი.

— ეს წინეთ იყო, ჩემო უჩარდია, თორემ ახლა ხომ მშვიდობააო. ბარელამ ოციოდ გლეხი კი ვიყავით. ნუ გეშინიათო, გვიბრძანა გერიე სახუცესმა, კაცის სული კი არა, უსამართლოდ ერთი თიკნის ყურიც არ დაგაკლდებათო. დადიამ და მაფამ ერთი პირი შეკრეს, ჯვარზე და სახარებაზე შეფიცეს ერთმანეთს, რომ სათათრეთში ტყვე არ გაყიდინო. ყველამ პირჯვარი გადავისახეთ, ღმერთს მადლობა შევსწირეთ. არხეინად იყავით, ნუ გეშინიათო, ბარემ ხუთჯერ გვითხრა...

— სულ ტყუილიც არ არის, ბატონი ნუ მომიკვდება, — ხრიწიანი ხმით სიტყვა ჩამოართვა მეორე მოხუცმა, — აგერ მეორე აღდგომა გავიდა, რომ ჩვენ სოფელს მართლაც და თიკნის ყურიც არ დაკლებია. რასაკვირველია, ძალით, აბრაგის მოტაცებით, ეს რაღაც ჯიბრის საქმე უნდა იყოს.

— საჯიბრო ვის რა უნდა ჰქონდეს საწყალ ტაგუიასთან! ამისთანა გულკეთილი და მართალი კაცი მეორე არ გვირევია, — წამოიძახეს მოხუცებმა.

— ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა!.. — მოისმოდა ტაგუიას მწუხარე მოთქმა.

— ბატონმა იცის ნეტავ? — იკითხა ერთმა.

— როგორ არა. საშინლად ეწყინა თურმე. ეს ტაგუიას აგდება კი არა, ჩემი აგდებაა, მაგრამ მე თუ ვამეხი ვარ, მაგას არ შევარჩენო, უთქვამს და მაშინათვე თავისი ვაჟი ტარიელი ცხენით დაუდევნებია, — სთქვა ერთმა ქოსა მოხუცმა.

— მაშ, ჯერ კიდევ იმედი დაკარგული არაა. ტაგუია, ბაბა, აქ მოდი, — თანაგრძნობით მიმართა მელოტმა მოხუცმა, — არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც კაცს ეგონება. ტარიელ ბატონიშვილი დასდევნებია, მთელ სოფელში რამედ რომ ვარგა ისეთი, ყველა დაედევნა. მართლა და ქვესკნელში ხომ არ ჩაძვრება. გული დაიმშვიდე, შე კაცო! შენ სხვა რამდენი გინუგეშებია და თვითონ ასე ჩქარა რამ მოგტეხა, შე ძაბუნო! — ხმა მაღლა დაათავა მელოტმა მოხუცმა.

— ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა! მოგიკვდეს მამაშენი, — მწარედ წარმოსთქვა ტაგუიამ და მსხვილ-მსხვილი ცრემლი გადმოყარა. — ნეტავ, ღმერთო მომკალი, დღეს მაინც ხელში არა მყოლოდა! დიდი დოქი ღვინო მხარზე გადაედო და დედამისთან ერთად ყანაში მოგვიტანა. რომ გენახა, ის რომ ვაჟკაცურად ფეხს მიაბიჯებდა, სწორედ გაგიკვირდებოდა, — ტირილით ამბობდა ტაგუია. — მე შავ დღეში გაჩენილს, დღე და ღამ მაგის შიში მქონდა, მაგრამ რა მექნა, კაცო, რა მექნა, ქრისტიანებო?! ბავშვს ხულაში ხომ ვერ დავამწყვდევდი? ჭამა გვინდა, სმა გვინდა! რა შიმშილით მოვმკვდარვარ, რა აბრაგს მოუტაცნივარ, სანამდი უნდა ვიმალოთ... ათიოდ თხის გარეკვაში მალხაზია, ვაჟკაცი, როგორ გავაცდინომეთქი, ვამბობდი და ის ბაღანა ერეკებოდა და მერე რა ჭკუიანად ერეკებოდა... უი... უი... მოგიკვდეს მამაშენი... აჰ... აჰ... აჰ... აჰ... აჰ... აჰ... აჰ... დადია მე მწიწკნის, მებატონე მე მწიწკნის, ურჯულო მე მწიწკნის და რჯულიერი... სად არის ღმერთი, სად არის სამართალი! რით უნდა ვინუგეშო თავი მე უბედურმა? უკანასკნელი ყოფილა, შვილო, დღეს ჩვენი ერთმანეთის ნახვა. შეიძლება შენ კიდევ ბევრხანს

იცოცხლო, გაიზარდო და ბევრიც მხიარული დღე ნახო... მე კი! სიბერეგაძაღლებული, საფლავში უნდა ჩავიდე! უი ჩემს თავს! უი ჩემს თავს! — ბღავილით ამბობდა ტაგუია და შუბლში ხელს იცემდა.

ყველას ცრემლი მოერია. სანუგეშო სიტყვას ვერავინ პოულობდა. ყველა ერთ ტაფაში იწოდა.

„ვაი, ახავაი, ჩვენი ცოდვა! — ისმოდა მწარედ ამოძახილი.

— ღმერთო დიდებულო! რად მოგვიძულე ამ ზომამდე! — მაღლა ხელებაპყრობით წარმოსთქვა ერთმა ღრმად მოხუცებულმა გლეხმა, კაი ხნის მწუხარე დუმილის შემდეგ, — რა შეგცოდე ისეთი, შე სახელკურთხეულო! კვირაში სამი დღე ბატონის სახლში ვმუშაობ. დანარჩენი სამი დღის ნამუშევარსაც, როცა მოესურვებათ, მაშინ წამართმევენ... ცხენს მტაცებენ, ძროხას მტაცებენ, ქათამს მტაცებენ... ჯანდაბას, რა გაეწყობა... ისე მოაწყვე ჩვენი ცხოვრება, რომ შვილი მაინც არ მოგვტაცონ და ურჯულოებში არ გაგვიყიდონ! კაცნო! — მიუბრუნდა მოხუცი გლეხებს, — ამ ხნის კაცი ვარ, ასი აღდგომა როგორ არ მეხსომება და ერთი წელი არ მახსოვს, რომ შიშიანობა არ ყოფილიყოს. ახლა სადაა ბაბა, შიშიანობა, შიშიანობა ამ ორმოცდაათი წლის წინათ უნდა გენახა! ლოგინიდან იტაცებდნენ ხალხს. საკვირველებაა, სულ როგორ არ ამოწყდა საწყალი ჩვენი ხალხი?! მხოლოდ ე... განსვენებული მამაჩემი ცაკვაია, ისე, ზღაპარივით იტყოდა: ვაი, ახავაი, სად არის ახლა ან გიორგი ლიპარტია, ან ლევან დადიაო. იმათ დროს ვინ გაბედავდა ტყვის გაყიდვასო! მე კი, რაც გავჩნდი, სულ შიშიანობა მახსოვს.

— ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა! — მოსთქვამდა ისევ მოხუცი...

— დამშვიდდი, დამშვიდდი, ტაგუია, ჯერ იმედს ნუ გადაწყვეტ, — მტკიცედ უთხრა ერთმა გრძელწვერა ჭაღარა, მაგრამ ვაჟკაცური გამომეტყველების გლეხმა, — მე, ბაბაია, პატარაობისას ბარემ ორჯერ მომიტაცეს, მაგრამ, ხომ მხედავ, აქა ვარ და იმედი მაქვს ჩემი ძვლებიც ჩემ წინაპრების საძვალოში დაიმარხება...

— მართლა, სეფანე! შენ ხომ ორჯერ ხარ მონატაცები. — ცოტა არ იყოს, ხალისით წამოიძახეს მოხუცებმა.

— ორჯერ, აბა, რავა გგონია! პირველად რომ მომიტაცეს, აქეთკენ წამათრიეს, აი! — ხელი გაიშვირა დასავლეთისაკენ, — ამ ეკით, საწულეისქირიოთ და თეკლათით...

— ფეხით მიყავდით? — ჰკითხა ვიღაცამ.

— ფეხით, აბა, ცხენით კი არა! კარგა მოჩიტული ბიჭი ვიყავი და ერთი კაცი, ტყუილია, ცხენზე ვერ დამიმაგრებდა. ორ კაცს ვეჭირე ხელებით იქით-აქეთ და მიმათრევდნენ, სულ ტყე-ტყე. სად უფსკრულში რობუ და ჩქოფუში არ ჩამიყვანეს, სად მთის წვერზე არ ამათრიეს, კაცო, რომ გამახსენდება, კაცი ძალლი ყოფილა-მეთქი, ვამბობ! ან მე როგორ გადავრჩი მაშინ ცოცხალი და ან ისინი! ისინიც რა, კაცები იყვნენ, დევები ხომ არ იყვნენ!

სეფანეს არაერთხელ ეამბნა ეს ამბავი, მაგრამ ყველანი მაინც დიდის სიამოვნებით ყურს უგდებდნენ. ტაგუიამაც თითქმის შესწყვიტა მოთქმა-გოდება და ისიც სულგანაბული ყურს უგდებდა.

— წირვის დადგომის დრო იყო, რომ მომიტაცეს და ისე დაღამდა, რომ არც ლუკმა ჩაგვსვლია პირში და არც მოგვისვენია. მივედით თეკლათში და იქ მდინარე ცივის პირას ვიღაც მოსახლე კაცის სახლში თავი შეაფარეს. მე სხვა არაფერი მახსოვს. იქ მივედით თუ არა, სადღაც დავეგდე და მკვდარივით დამეძინა. გათენებული არ იყო, რომ გამაღვიძეს. რაღაც ორი ლუკმა მაჭამეს და, მართალი უნდა ვსთქვა, ცხენზე შემსვეს, მხოლოდ ფეხები აბჟანდებთან მიმიკრეს, სხვაფრივ, ხელები თავისუფალი მქონდა, ბურთიც ამომაცალეს პირიდან, ან რა საჭირო იყო? იქ რომ მეყვირნა აბა, ვის რას გავაგონებდი.

— მოიცა, ჩვენები იყვნენ, არა? — ჰკითხა ერთმა.

— ჩვენები, კაცო, მაშ თათარი აქ ჩემ სახლში ბავშვის მოსატაცებლად მოსვლას როგორ გაბედავს? თათრები იქა სხედან ციხესიმაგრეებში! მეც ხერხი ვიხმარე, იცოდე, ისეთი მხიარული სახე მივიღე, ისე შევეჩვიე, რომ რიონის პირას გამოვედით თუ არა, ფეხებიდანაც მომხსნეს ბაწარი. მხოლოდ ჭალადიდში შემოგვიერთდა ორი ცხენოსანი თათარი.

ეტყობოდათ, ვიღაც კაი კაცები იყვნენ. ჩემი მომტაცებლები დიდის პატივით ეპყრობოდნენ. ერთ უდაბურ ტყეში დასასვენებლად ჩამოვხტით. ჩვენიანებს მაშინვე დაეძინათ. რა გასაკვირია, კაცო, დაღლილები იყვნენ, ძლივს ქაქანებდნენ. მეც მაშინათვე მივეგდე და ვითომ დავიძინე. ერთმა თათარმაც დაიძინა, მაგრამ იმ მეორემ, გაგონილა?! დიდი ეშმაკი ვინმე უნდა ყოფილიყო მაგ სახეძაღლი! თვალებს დახუჭავს, ვითომ ძინავსო, გაჩერდება, გაჩერდება ასე, და მერე უცბად გააღებს და ჩემკენ მოიხედავს. მე კი ვწევარ გატრუნული გოჭივით და ხანდისხან ფრთხილად შევხედავ ხოლმე. იმასაც, მართლაც არ ჩაეძინა?! ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ აქედან ჯიხაფერდში გაიგონებდი. მოგეცა ღვთისწყალობა, წამოვხტი და მოვკურცხლე. ჩემ ბედზე ერთი ცხენი ცოტა მოშორებით მიებათ ხეზე. ფრთხილად მოვხსენი, ჯერ ოციოდ ნაბიჯი წინ გავუძეხი, მერე მოსართავები მოვუჭირე, შევჯექი და მოვუსვი, მარა რა მოვუსვი!

— ჰა წიე! — სიცილით წამოიძახეს მოხუცებმა.

— მაშ ცხენიც დაინარჩუნე? — ჰკითხა ერთმა.

— ეს! რის ცხენი! რა მეცხენებოდა! — მიუგო სეფანემ. — ცხენი ვაჭენე, სანამ ფეხის გადადგმა შეეძლო, მერე მივაგდე იქ და ტყეს შევაფარე თავი. მერე ეშმაკი ვერ დამიჭერდა.

— გამოქნილი ყოფილა, ეს მიწაში ჩასაძრომი, — გაიხუმრა ერთმა.

— მეორეჯერ როგორ იყო, სეფანე, მეორეჯერ! — მოსძახეს აქეთ-იქით.

— მეორეჯერ ბევრი არაფერი! მომიტაცეს თუ არა, ჩქარა შეუტყვეს, მთელი სოფელი დაესია და ჩემი თავიც დააგდებინეს.

— ვაი, ახავაი! დღესაც რომ დროზე შეეტყო კაცს, მაშინათვე დააგდებინებდა, — სთქვა მელოტმა მოხუცმა.

— ჩემ ბედზე ყოვლისფერი შეიკრა, — მწუხარებით სთქვა ტაგუიამ, — სანამ თხები აბნეულად არ უნახავთ ტოტიას სახლის ქვემოთ, ყურადღება არავის მიუქცევია. მერე აუტეხიათ წივილ-კივილი. მარა გვიან იყო. ჩვენ რომ შევუტყვეთ, მაშინ ის კაცი სორტას ჭალას გაცილებული იქნებოდა.

— ვაი, ახავაი, ვაი, ახავაი! — მოწყენით ამბობდნენ მოხუცები.

დაღამდა. მდევრები ჯერ არ მობრუნებულიყვნენ. საქმის არც ავი და არც კარგი სოფელში არავინ იცოდა. მოხუცნი თავიანთ სახლებში წავიდნენ. ტაგუია და მზეხაც გაურკვეველ მომავლის მოლოდინში ჯერჯერობით მიწყნარდნენ.

III

უღრან ტყეში, უშველებელ ფუღურო მუხის გვერდით, მდელოზედ, ნაბადი იყო გაშლილი. ზედ წამოწოლილიყო ვიღაც თავით ფეხებამდე შეიარაღებული კაცი. თოფის ლულა ფეხებ შუა დაემალა, ხოლო კონდახი მკერდში ჩაეხუტებინა. წელზე შავი რქისტარიანი ხმალი ერტყა, ხელში დამბაჩა ეჭირა. იქვე ახლო ხის ტოტზე მიბმული იყო გიშერივით შავი ბედაური ცხენი. ერთი შეხედვით ნაბადზე მწოლი თითქოს სთვლემდა, მაგრამ ყოველ ფოთლის შრიალზე, ან სხვა რამე გახმაურებაზე ტყეში, ფრთხილად, გველივით თავს მაღლა აიშვერდა, დამბაჩას მოიმარჯვებდა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავდა.

კაცი იყო ტანად — ჩასკვნილი, პირად — სახე ოდნავ დანაოჭებულს, მოყვითალო ფერი დაჰკრავდა. ნიკაპს უფარავდა ნახშირივით შავი, მოკლე, აქა-იქ ჭაღარაშერეული, ქოსა წვერი. მრისხანე გამომეტყველების დიდრონ შავ თვალებს აქეთ-იქით მოუსვენრად აბრიალებდა.

— ფიტ, ფიტ, ფიტ! — გაისმა ტყეში ლარჭების ხმა. ნაბადზე მწოლი საჩქაროდ წამოდგა, თოფსა და დამბაჩას ფალია გაუსინჯა და სმენად გადაიქცა.

— ფიტ, ფიტ, ფიტ! — ახლა უფრო გარკვევით მოისმა ხმა. ნაბადზე მჯდომი ზეზე წამოდგა.

— ფიი...ტ, — გაისმა ტყეში ერთხელ კიდევ, მაგრამ გრძლად.

— ფიიი...ტ, — გაისმა კვლავ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

კაცმა თოფი ზურგზე გადიკიდა, ახალუხის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ლერწმის პატარა ნაჭერი ამოიღო, პირზე მიიდო და დაუსტვინა.

„ფიტ!“ მოკლედ და მკაფიოდ გაისმა ულრან ტყეში.

გავიდა დრო. მახლობელი ბუჩქნარი მძლავრად შეინძრა და ტოტების შრიალი მოისმა.

— ქუჩუია! — დაიძახა ხის ქვეშ მდგომმა, მუხას ოდნავ მოეფარა და დამბაჩა წინ გამოიშვირა.

— მე ვარ, ფიქრი ნუ გაქვს, — მოისმა ნაცნობი ხმა.

— სანგარო, რამდენი სიფრთხილეა საჭირო, — ჩაილაპარაკა შავ-შავმა კაცმა, თავისუფლად ამოისუნთქა, დამბაჩა ქამარში ჩაირჭო და მოლოდინში ერთ ალაგას გაჩერდა.

ცოტა ხნის შემდეგ თხილის ბუჩქებში ვიღაც დაბალ-დაბალი, ჩასქელებული, წითური კაცი გამოჩნდა. რა თქმა უნდა, იმასაც ხელში თოფი ეჭირა.

— თენგიზ, მარტო ხარ? — ფრთხილად დაიძახა მან და ხელი რაღაცნაირად გააქნია.

თენგიზმა მარცხენა ხელი პირზე მიიდო და მარჯვენა ხელის სალოკით მუხის ფულურო უჩვენა.

ახალმოსული ფეხაკრეფით მივიდა და ფულუროში შეიხედა. ფულურო დიდი იყო. ავდრის დროს სამი-ოთხი კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა შიგ.

— ეჰე! — ჩუმად სთქვა ახალმოსულმა და თავი კმაყოფილებით გააქნია.

— სუ, სუ! ძინავს, ძინავს! — ფრთხილად ჩაულაპარაკა თენგიზმა.

ორთავენი მუხის ცოტა მოშორებით ჩამოსხდნენ.

— ნელა ვილაპარაკოთ. ჯერ არ მინდა გაიღვიძოს, საშინლად დაღლილია, — სთქვა თენგიზმა.

— წარმომიდენია, — მიუგო ქუჩუიამ, — კაი ბიჭსა ჰგავს, აი! რამდენი წლისაა, ნეტავ?

— აბა, რა ვიცი, მის დაბადებას არ დავსწრებივარ და ნათლობას. გარეგანი შეხედულებით ასე შვიდი-რვა წლისა უნდა იყოს.

— ბიჭო, ბიჭო, შე ღმერთგამწყრალო, როგორ მოახერხე?! სწორედ რომ ეშმაკი ხარ, ეშმაკი!

— ეხ! ნუ გამახსენებ ქე მაინც! ეშმაკი კი არა, კინაღამ ან-

გელოზიც დამავიწყდა. მოხერხება კი არა, კინაღამ თავიც ზედ გადავაგე. რასაც ერთხელ დაეჩვევა კაცი, რაშიაც ერთხელ ხელს გაისვრის, მერე მისი მოშლა შეუძლებელი ყოფილა, კაცო, თორემ ამისთანა სახიფათო და აშკარა საშიშ საქმეს კაცი როგორ უნდა სჩადიოდეს. ეს შემთხვევა მაინც სულ სხვა იყო. ჩემ სიცოცხლეში, ქუჩუია, აბა შენც ხომ იცი, რამდენი ბავშვი მე მომიტაცნია. რაღა ბავშვი გინდა, რამდენი გასათხოვარი ქალი! ხომ გახსოვს, ამ ათი წლის წინათ რას ჩავდიოდით, მაგრამ ამდენი შიში და ჯაფა, რაც ახლა გამოვცადე, არ გამომიცდია. მე თვითონ მიკვირს, აქამდის ცოცხალი როგორ მოვაღწიე.

— ვახ! ვახ! — ამბობდა ქუჩუია. — მოტაცებით კი ადვილად მოიტაცე?

— კაცო, უცაბედათ შემეხეჩა... მე, მართალი გითხრა, საგანგებოდ სხვაგან მივდიოდი. შევიხედე ერთ ალაგას, საისლეს გვერდით, დალმართზე, მაღლა ანწლიანში თხების ფრუტუნი მომესმა. იქვე სკვინჩასავით პატარა ბავშვი შევამჩნიე, ხელში პატარა ჯოხი ეჭირა და რაღაცას თამაშობდა. საისლეს გვერდით, დალმართშივე კვამლი ამოდიოდა. ეტყობოდა, ვიღაცა ესახლა. დედაკაცის ხმაც მომესმა: იქით მიაბრუნეო. ჩემ დანახვაზე ბავშვი სრულებით არ შეშინდა, გამიღიმა კიდეც, ალბათ, ვისმე მიმამსგავსა. მე მაშინვე მარჩილით სავსე ქისა ამოვიღე, დავაჟღარუნე და ვუჩვენე. ა, ჯიჯი, შენ გქონდეს-მეთქი. მაშინათვე მოირბინა. მეც, ხომ იცი, პირველი შემთხვევა არაა ჩემთვის ამისთანები, ხელი ვტაცე, ბურთიც პირში მარჯვედ ჩავჩარე და ბაწრით ნაბდის ქვეშ ზურგზე შემოვიკარ. მერე მოვკურცხლე, მაგრამ შენს მტერს, რაც დღე მე დამადგა...

— შეგიტყვეს ჩქარა, ა?..

— რის შეტყობა! შეტყობით გვიანამდე არ შეუტყვიათ. შეტყობა კი არა, ბავშვმა გამიჭირა, კაცო, საქმე. ცხვანტივით დაიწყო ტრიალი! კინაღამ ბაწრიანად გამიძვრა. საცა ხელი დამავლო, ამ მუშტისტოლა ბავშვმა, ისე მაგრა ჩამჭიდა, რომ ახლაც მტკივა. იმ ზომამდე მივედი, ქუჩუია, რომ, ეხ, ჯანი

გავარდეს, დავსცხებ ამ დამბაჩას შუბლში ამ ლაწირაკს და მოვრჩები და მოვისვენებ-მეთქი. არ იქნა, ვაჟო, მისი საშველი! სანამ ღონე სრულებით არ გამოელია, არ მოისვენა. ალმართ-დალმართი რომ გავიარე და როსთოს ჭალას მოვატანე, თოფის ხმა და კიჟინა მაშინ მომესმა. ისეთი ამბავი იყო, რომ მეგონა, დიდი და პატარა ერთად მომდევს-მეთქი. რომ მომწეოდნენ, შენი მტერი, ბოლოკივით ამთლიდნენ, მაგრამ რას გეტყვი, იცი, ქუჩუია, ამ ქვეყანაზე არაფერი არ ინატრო... ინატრე მხოლოდ კარგი ცხენი. კარგი ცხენის ფასს, იცოდე, ენა ვერ გამოსთქვამს. ღმერთმან აკურთხოს ამის გამზრდელი. ეს ის ცხენია, გურიიდან რომ მოვიყვანე შარშან. ეს ცხენი არა მყოლოდა, ახლა ლუკმა-ლუკმა დაკეპილი ვეგდებოდი სადმე. აბაშაში ისე გამოვედი, არ შეუსვენია, მერე ღამემაც მომასწრო და, როგორც არის, ჯერ-ჯერობით სული კბილით გადავარჩინე.

— ახლა როგორ ვქნათ? — დაეკითხა ქუჩუია.

— ორპირთან ნავი არის?

— ვითომ ორპირით წახვალ?

— საით ჯობია?

— ორპირისაკენ არ გირჩევ, ძლიერ საშიშია. ყოველ სანაოზე და შარაგზაზე მეფის ყარაულები დგანან. თუ შეგამჩნიეს რამე მაგგვარი და ხელში ჩაგიგდეს?! ავა ვაია... არავითარ წირვა-ლოცვას არ მოგაშველიებენ. მოკვლით, მართალია, არ მოგკლავენ, მაგრამ სიკვდილი ათას წილად მირჩევნია მაგ-ნაირ სიცოცხლეს: თვალებს დაგთხრიან და გაგიშვებენ. იარე, რამდენიც გინდა და საითკენაც გინდა...

— ოჰ! მაგას ცხრაჯერ სიკვდილი მირჩევნია... მაშ საით ჯობია წავიდე? ვითომ სუჯუნისკენ?

— აპაპა! იქ უკვე, ალბათ, მარაგად იქნებიან, გზები ახლა ყველგან შეკრული იქნება. შენ გგონია ჩვენ ჭკუიანები ვართ და სხვები ტუტუცები?

— მაშ, როგორ?

— მომითმინე, — აუჩქარებლად მიუგო ქუჩუიამ და შუბლზე ხელი მიიდო... — იცი რა გითხრა?

— ჰო!

— ფართე ჩქონი იცი?

— ვიცი.

— აი იმის პირდაპირ, ახლო, გამოღმა შავი ღელე ერთვის რიონს; მიუვალი ადგილია. ცხენით, ტყუილია, იქ ვერ მივადგებით. ისეთი ჭაობები და პაპანწყვლია, რომ თუ ფეხითაც გავედით, ღმერთს ათჯერ თავი დაუკარი. მე წავალ, სადმე პატარა ნავს მოვიპარავ და ასე შუალამისთვის იქ დაგხვდები. თუ ამაღამ ნავი ვერ ვიშოვნე, სხვა რა ჩარაა, ხვალ საღამომდეც ტყეში უნდა შევინახოთ თავი.

— მაშ, აბა, შენ იცი, ქუჩუია! როგორმე იშოვნე ნავი. თუ რიონს გავედი, მერე არა მიჭირს რა... ცხენი კი, ქუჩუ... შენი ხელით ყელი არ გამომჭრა და თვალიდან არ მოიშორო ჩემს მოსვლამდე. კაი საბალახოებზე დააბი, ომბალე არ შეყვეს... შენ იცი, აბა, ჩემი საკუთარი თავივით ჩამიბარებია.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, ქუჩუს მაგისთანების დარიგება არა სჭირია. შენ კი, იცი, რომ მიუახლოვდე ფართე ჩქონს, ორჯერ ზედიზედ დაისტვინე. ხანი გამოუშვი და კიდევ ორჯერ დაისტვინე. თუ პასუხი მიიღო, იცოდე, საქმე გაჩარხულია, თამამად მომიახლოვდი. ახლა კი — ჰა, ეს ცოტა რაღაც მოგიტანე, ჯერ-ჯერობით ეს წაისაუზმე, — სთქვა ქუჩუიამ და ჩოხის აკეცილი კალთიდან კვახის ფოთლებში გახვეული რაღაც ამოიღო და თენგიზს გადასცა. — რომ შებინდება, ერთ დოქ ღვინოსაც მოგიტან და ცხენსაც მაშინ წავიყვან, — დაუმატა მან, ფრთხილად გზას გაუდგა და ხშირ ფოთლებში მიიმალა.

IV

მღვდელმა მარკოზ დაბაძემ ბოსტანში მუშაობა გაათავა, ხელპირი დაიბანა და თავის პატარა, მაგრამ კოპწია ფიცრული სახლის დერეფანში, გრძელ და ფართე სკამზე ჩამოჯდა. ხვალ კვირა იყო და წირვისათვის მომზადებას დღეს საღამოდანვე უნდა შესდგომოდა.

მღვდელი მარკოზი მთელ გურიაში განთქმული იყო, როგორც ღრმად მორწმუნე, სიმართლის მოყვარული, პირში მთქმელი, კადნიერი, ჩინებული მწიგნობარი და ტკბილი მგალობელი. ორი ვაჟი მღვდელი ჰყავდა სხვადასხვა სოფელში, სამი ქალიშვილი გათხოვილი და, ახლა უკვე სამოცდაათ წელს გადაცილებული მოხუცი, სახლში მარტო დარჩენილიყო თავის მეუღლესთან, ყველასაგან პატივცემულ, მისი ჭირის და ლხინის გამყოფ მოხუც მარიკასთან.

მღვდელი მარკოზი აზნაურთაგანი იყო. მამისაგან რამდენიმე მეკომური ყმა ერგო მემკვიდრეობით, მაგრამ იმან ადრიდანვე ცოტაოდენი სასყიდელი აიღო მათგან და ყოველგვარი გარდასახადებისა და სამსახურისაგან გაანთავისუფლა. სახლში ჰყავდა მხოლოდ ერთი ნაყმევის ასული ლერწამისა, აწ უკვე ხანში შესული დედაკაცი. ლერწამისა პატარაობითვე მათ ოჯახში იყო აღზრდილი, მერე გათხოვილიყო, მაგრამ ქმარ-შვილი დახოცოდა და სამუდამოდ მღვდელ მარკოზთან დაბინავებულიყო.

მღვდელი მარკოზისთანა კაცი იმ ჩვენი ქვეყნისთვის ავად სახსენებელ დროს მართლაც და სანუგეშო მოვლენა იყო. იმ დროს მთელი საქართველო, ამერ-იმერი შინაურ და გარეულ მტრების მიერ აწიოკებულ-აოხრებული, საზარელ სურათს წარმოადგენდა. მაშინდელი ქართლ-კახეთის მდგომარეობის დასასურათებლად საჭიროა მხოლოდ გავიხსენოთ სახელოვანი მგოსნის დავით გურამიშვილის სიტყვები:

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი.
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქციის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან განაწევრი“.

უარეს მდგომარეობაში იყო იმერეთის მხარეც. იმერეთის მეფე და მთავრები: გურიისა, ოდიშისა და აფხაზეთისა და მათი მიმყოლი დიდებულები ერთმანეთის მტრობაში, მიხტომ-მოხტომაში და სისხლის ღვრაში ლევდნენ სულს. ეს ვაჟ-

ბატონები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ სისაძაგლეს ჩაიდენდა ერთმანეთის დარბევა-აწიოკების საქმეში. მაგრამ ყველაზე უფრო საზიზღარი ამ ხანაში იყო ტყვეების მოტაცება და ოსმალეთში გაყიდვა. გაქვთ ღვთის წყალობა, მშიერი მგელივით მღრინავი ოსმალეთი ჩინებულად სარგებლობდა ჩვენ მაშინდელ მესვეურთა გრძნობა-გონების დაბნელებით. თითქმის ყველა, ასე თუ ისე გამოსადეგი ციხეები, როგორც ქუთაისი, ფოთი, შორაპანი, ოსმალებს ეჭირათ. ათასობით გზავნიდნენ სტამბოლში ტყვე ქალს ოსმალთა დიდკაცების ჰარამხანების დასამშვენებლად და ტყვე კაცებს მათი სხვადასხვა ჯარების გასაძლიერებლად.

ასეთ შემთხვევაში ყოველთვის თავს იჩენს ხოლმე შიში, უნდობლობა, ორპირობა... ამდენი უბედურება ყველაზე მეტად თავს ატყდებოდა საწყალ დაბალ ხალხს, გლეხკაცობას, ამიტომ იგი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. ყველა მას წიწკნიდა, ყველა მას სთლიდა, ხოლო შემწე და შემბრალე არავინ იყო.

ასეთ საშინელ პირობებში მღვდელი მარკოზი გამოვიდა უსამართლობის მამხილებლად, ჩაგრულის მფარველად, შურისა და მტრობის ნაცვლად ძმობისა და ერთობის მქადაგებლად. ის არავის ერიდებოდა, არც თავადიშვილებს, არც თვით გურიელს... სასტიკად გმობდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა ტყვეთა გამყიდველებს. ვინ იცის, რამდენი ტყვე დაუხსნია სტამბოლში გასაგზავნად განმზადებული! დაბალი ხალხი „მარკოზ ხუცესს“ აღმერთებდა. დიდებულებს, თუმცა არ უყვარდათ, მაგრამ მის უანგარობას, კაცთმოყვარეობას და სიმტკიცეს ძალაუნებურად პატივსა სცემდნენ. ამასთანავე მარკოზ ხუცესი იშვიათი მუშაკაცი იყო და ქონებითაც შეძლებულ კაცად ითვლებოდა. მარკოზ ხუცესს არა თუ გურიაში, იმერეთ-სამეგრელოშიაც ქება-დიდებით იხსენიებდნენ.

მაგრამ აი, თითქოს ბედმა გაუღიმა ბედკრულ საქართველოს. როგორც საშინელი ჭექა-ქუხილის და წამლეკ ნიაღვრის შემდეგ გამოიდარებს ხოლმე, ბრწყინვალე მზე მოღიმარ სხივებს ისვრის და მილეკილ-მოლეკილ მიდამოს ხელახლა აღორძინების

იმედს ჩაუსახავს, ისე გაოხრებულ-დაუძლურებულ აღმოსავლეთ საქართველოს ამ დროს მოევლინა იმედი, სახელოვანი გმირი, პატარა კახი, მეფე ერეკლე. ერეკლეს „ელვარე ხმალი“ ისე საგრძნობლად გაუმასპინძლდა სულ მტრად გარს მომდგარ თურქ-სპარს-ლეკ-ყიზილბაშებს, რომ ისინი არა თუ გარეკა საქართველოდან, თავიანთ სახლშიაც შიშისაგან ააძაგძაგა. 1752 წ. მეფე ერეკლემ ათას-ხუთასი კაცით საშინლად დაამარცხა ერევნის ახლო მის წინააღმდეგ ათჯერ უფრო მეტი ჯარით და ზარბაზნებით გამოსული სპარსეთის ტახტის მაძიებელი აზატ-ხანი. ამ გამარჯვებით თავისი ხმალი და ჯარი ახალი შარავანდედით შემოსა და მთელ აზიას დაანახვა, რომ შაჰ-აბაზისაგან აოხრებული და სასიკვდილოდ განმზადებული საქართველო უკვე მოღონიერებული და წელში გამაგრებული, კვლავ აპირებს სიცოცხლის განგრძობასაო.

ამავე დროს ბედმა თითქოს დასავლეთ საქართველოსაც გაუღიმა. სწორედ იმავე წელს, რა წელსაც მეფე ერეკლემ აზატ-ხანზე ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვა, იმერეთში გამეფდა სოლომონ პირველი, მრავალგვარი სიკეთით და სათნოებით აღჭურვილი. ის დაემოყვრა სამეგრელოს მთავარს ოტია დადიანს, დაიმორჩილა ურჩი და თავგასული თავადები. ზოგი მათგანი დასაჯა, ზოგი გააძევა, ზოგს მოეფერა, სასტიკი ბრძანება გასცა ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგ. ბრძოლაში რამდენჯერმე საგრძნობლად დაამარცხა ოსმალები და თუმცა სრულებით მათი გაძევება ყველა ციხე-სიმაგრეებიდან ვერ მოახერხა, მაგრამ მათი პარპაში და ბატონობა ძლიერ შეამცირა. საერთოდ მთელი იმერეთის მხარე გამოაფხიზლა, გამოაცოცხლა და განახლების გზაზე დააყენა.

საქმის ასე მოგვარება ვის უნდა გახარებოდა, თუ არ მღვდელ მარკოზ დაბაძეს. ჯერ როცა ერეკლეს მეფის გმირობის სახელი გავარდა, მღვდელი მარკოზი სიხარულით ცას ეწია, უსურვა მტრებზე გამარჯვება და დღედაღამ მის საკეთილდღეოდ ლოცულობდა. მაგრამ, როცა იმერეთის მხარესაც მოევლინა ღირსეული მეფე სოლომონი, მღვდელ დაბაძეს გულმა ვერ მოუთმინა და სიხარულით აღსავსემ თვით მეფეს გუმანი

მიართვა; მიულოცა მეფობა, აუწერა იმერეთის საშინელი მდგომარეობა და იმედი გამოსთქვა, რომ აღმოსავლეთით ერეკლე და დასავლეთით სოლომონი ერთმანეთს მხარიმხარს მისცემენ და ამჟამად დაუძლურებულ საქართველოს ისევ ძველ ღირსებას და სახელს აღუდგენენო.

მეფე სოლომონს წინეთაც გაგონილი ჰქონდა მღვდელი დაბაძის ამბავი და ახლა მის მიერ გამოგზავნილმა გუმანმა ძლიერ ასიამოვნა, მით უფრო, რომ, საუბედუროდ, მაშინდელი სამღვდელოება გონებრივადაც და ზნეობრივადაც სახარბიელო არ იყო. თვით მღვდელმთავრებიც ერიენენ სტამბოლში ტყვეთა გაყიდვის საქმეში და ადვილი წარმოსადგენია დაბალი სამღვდელოება რაღა იქნებოდა.

მეფემ სახლთხუცესს უბრძანა, მადლობის ბარათი მიეწერა მღვდელ მარკოზ დაბაძისათვის, გაემხნევებინა, აღეთქვა მფარველობა და საჩუქრად გაეგზავნა ერთი კაი მაუდის კაბა და ქალაქიდან მოტანილი თბილი ყელიანი ჩუსტები.

ამ ამბავმა მღვდელი მარკოზი და მისი მომხრე საწყალი, გაჭირვებული ხალხი ძლიერ გაამხნევა და გაახარა, მაგრამ მისი მტრები, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის მოტრფიალე თავადები და მათი დამქაშები ძლიერ შეაშფოთა და მარკოზ ხუცესის წინააღმდეგ შურითა და მტრობით აღავსო. პირადად შეხვედრის დროს ძალაუნებურად ანგარიშს უწევდნენ მაღალი მფარველობის ქვეშ მყოფ ხუცესს, პატივით ეპყრობოდნენ, ეფერებოდნენ და თითქოს თანაუგრძნობდნენ. მღვდელი მარკოზი კარგად იცნობდა ყველას და თავის არჩეულ გზას მტკიცედ ადგა. არც არავის ქება-დიდება ასხამდა თავბრუს და არც არავის მტრობა-მუქარის ეშინოდა.

— მარიკა! — დაუძახა მღვდელმა მარკოზმა ცოლს.

— რა გინდა, — მოისმა სახლიდან ხმა.

— ე მანდ რას აკეთებ?

— ბეჩა, როდის მნახე უსაქმოდ მჯდარი. საჩოხე მატყლს ვწეწავ. განა ვერ დაინახე, რომ პაჭიჭები სულ მთლად გაგცვეთია?

მღვდელმა პაჭიჭებზე დაიხედა. მართლაც, ერთიც და მეორეც

რამდენიმე ალაგას ამოგლეჯილიყო. მარკოზს სრულებით არ შეუმჩნევია პაჭიჭების გაცვეთა და თუ შეამჩნია, ყურადღება არ მიუქცევია. მუდამ სხვადასხვა ფიქრებში და მუშაობაში გართულ მღვდელს სად ეცალა პაჭიჭებისათვის.

— კაი დაგემართოს, კაი ფიქრი შენ მოგსვლია, — კმაყოფილებით მიუგო მღვდელმა. — მაშ სამარიობოდ ახალი პაჭიჭები მექნება! ლერწამისა სად არის?

— წყალზე წავიდა.

— ჰო, კარგი! მაშ იცი, რა გითხრა, ერთი გაისარჯე და ეფუთი მომიძებნე, მინდა შევიტყო რა ხნისაა დღეს მთვარე, ამ დღეებში ხეხილის დამყნობას ვაპირობ.

რამდენიმე ხნის შემდეგ კარებში გამოჩნდა სანდომიანი სახის ტანდაბალი მოხუცი დედაკაცი. ერთ ხელში მატყლის ფანტელი ეჭირა, ხოლო მეორეში კარგა მოზრდილი, შავ ყდაში ჩასმული წიგნი. წიგნი მღვდელს მიაწოდა და ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა.

მღვდელმა წიგნი გადაშალ-გადმოშალა:

— იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი... — წარმოსთქვა მან, — ნიადაგი და თვის თავი, ზედნადები ოცდასამი... ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...

— შენდობა მოძღვარს, — გაისმა ამ დროს ხმა და მის წინ მხარზე მოკლე თოფგადაკიდებული გლეხი გამოჩნდა.

— თედორიკა, რა ამბავია, შვილო, ხომ არა გიჭირს რა? — ჩვეულებრივ ტკბილად მიეგება მღვდელი.

ახალ მოსულმა მღვდლისაგან ლოცვა-კურთხევა აიღო.

— არა, მამაო! — ცოტა არეულად მიუგო თედორიკამ. — სასახლიდან გამომგზავნეს. ქალბატონი როდამი უქეიფოდ გახლავთ და გთხოვეს... საზიარებლად მობრძანდითო.

— ჰა, ბიჭო, ქალბატონს რა დამართნია? იქით კვირას წირვაზე ბრძანდებოდა და ისე ყოჩაღად იყო, რომ...

— იქით კვირას კი არა, დღეს დილითაც კარგად გახლდათ და მერე უცბად ცუდი გული შეექმნა.

— ბატონი გიორგი შინა ბრძანდება?

— არ გახლავთ, მამაო, ჯუმათში წაბრძანდა.

— ოო... — გაჭიანურებით წარმოსთქვა ხუცესმა და თოვლივით თეთრ და გრძელ წვერზე ხელი მოისვა.

— კარგი, კარგი, შვილო! წავიდეთ, წავიდეთ! — მიუგო მღვდელმა, წიგნი დაკეცა და წასასვლელად მზადებას შეუდგა.

— ჯორი მოგიძებნო, მამაო? — დაეკითხა თედორიკა.

— არა, შვილო, არა ფეხითაც ავირბენ, მაგის მოძებნა-შეკაზმვაში ბევრი დრო წავა, ხვალ კვირაა, წირვა-ლოცვა მიჭირს, — აუჩქარებლად მიუგო მღვდელმა მარკოზმა, სიწმინდის კოლოფი გულზე გადიკიდა და თედორიკას გაჰყვა.

V

ნიგოითის ერთ-ერთ, ზამთარ-ზაფხულ ამწვანებულ სერზე, თავადი გიორგი ჭორიშვილის სამოსახლო იყო გამოჭიმული. თავადის ეზოს ორასამდე ქცევა ადგილი ეჭირა. ეზოს ერთ მხრივ, საუკეთესო, სწორე და ამაღლებულ ალაგას იდგა ყავრით დახურული დიდი ოდა — ბატონების საცხოვრებელი და მახლობელი სტუმრების მისაღები. იქვე მახლობლად იდგა მეორე პატარა ოდა, საზოგადო სასტუმრო. იქვე ცოტა მოშორებით სხვადასხვა ზომის, — ზოგი ფიცრული და ზოგიც დაფაცხული: ისლით დახურული შენობა სამზარეულო, საჯინიბო, საბაზიერო და სხვა. ეზოს მეორე მხრივ დაბლობზე, წყაროს პირას, ოციოდ პატარა სახლები და ფაცხები იყო გაფანტული. იქ მოჯალაბეთა მოსახლეობა იდგა.

მზე უკვე ჩადიოდა, როცა მღვდელი მარკოზი თედორიკას თანხლებით თავადის ეზოში შევიდა. მას მოეგება თავადის ვაჟიშვილი ალექსანდრე და თავაზიანად სახლში შეიპატიჟა, მაგრამ მღვდელმა მარკოზმა ერთი შეხედვითვე შეატყო, რომ მისი მოსვლა ბატონიშვილს არ ესიამოვნა, ძლიერაც ეწყინა.

მღვდელმა მარკოზმა თავადიშვილს პირდაპირ თვალებში შეხედა და თითქოს ანიშნა: რა ვქნათ, შვილო, ეტყობა, არა გსურდა ჩემი აქ მოსვლა, მაგრამ მე მაინც, ეს არის გეახელიო.

— რა დაემართა, ნეტავი ქალბატონს? ძლიერ საწყენად

დამირჩა, — მიებოდიშა მღვდელი მარკოზი თავად ალექსანდრეს, — ქრისტე მეუფეს ვთხოვ მის ჩქარა განკურნებას.

— გმადლობთ, მამაო, — ზრდილობიანად მიუგო თავადიშვილმა, — რაღაც უქეიფოდ გახდა დღეს, არ ვიცი, აწყინა რამემ, თუ გაცივდა.

გაუბედავი კილო თავადიშვილისა ძალაუნებურად ეჭვს უბადებდა მღვდელს, რომ არც ერთი მიზეზი სწორი არ იყო.

— რა აწყენდა, ბატონიშვილო, ან სად გაცივდებოდა? — სიცილით მიუგო ხუცესმა, — მე შენ გეტყვი და ცივი ღომით საუზმობს, ან კოკით წყალს ეზიდება.

თავად ალექსანდრეს ბრაზით ფერი ეცვალა, მაგრამ თავი შეიკავა, იცოდა მღვდელი მარკოზის მოურიდებლობა ლაპრაკის დროს და ღიმილითვე მიუგო:

— ეხ, მამაო, ცივი ღომის მჭამელი და კოკით წყლის მზიდავი ხშირად უფრო ჯანსაღია, ვიდრე ფუფუნებაში გაზრდილი...

— ეს სწორედ ჭეშმარიტი ბრძანებაა, — კმაყოფილებით მოუსწრო ხუცესმა, — ღმერთი წონა-სამართალია! ღარიბი და დაჩაგრული კაცის ერთადერთი ნუგეში მისი ჯანმრთელობაა, შრომა-გარჯით და ზომიერი ცხოვრებით მოპოებული. გამჩენს ასე განუწესებია.

— სიმართლე რომ ვსთქვათ, მამაო, დედაჩემი, თუმცა ფუფუნებით გაზრდილი ადამიანია, მაგრამ ძლიერ გამრჯელია. დილიდან საღამომდე არ ისვენებს და ხშირად ისეთ საქმეებში ერევა, რაც მას სრულებით არ შეეხება...

— ვიცი, ვიცი, შვილო! განა არ ვიცი! ვიხუმრე, თორემ ქალბატონ როდამს მარტო დღეს ვიცნობ? შენ ქვეყანაზე არც კი არსებობდი, როცა მე მას ვიცნობდი. ჯვარი მე არ დავწერე?.. როგორ მიბრძანებთ, პირდაპირ შეიძლება შევიდეთ?

— უკაცრავად, მამაო, მაგრამ ცოტა უნდა დავიცადოთ, მგონი. ახლახან ჩაეძინა...

— რა საბოდიშოა, შვილო! — გააწყვეტინა ხუცესმა, — იყოსმცა მისთვის ძილი განმკურნებელი. მე მანამდე აქ დერეფანში ჩამოვჯდები. ჯდომას და აქედან ყურებას რა ჯობია. იფ,

რა მშვენიერებაა! მთელი რაიონის დავაკება, გაღმა-გამოღმა და თითქმის მთელი ოდიში ხელისგულივით მოსჩანს. ახ, ცხონებულ ბაბუაშენმა ქაიხოსრომ აირჩია ეს ადგილი სამოსახლოდ... რა წყალი, რა ჰავა! გურიაში ამის ბადალი ალაგი მეორე არ მოიძებნება.

მღვდელი დერეფანში გრძელ სკამზე ჩამოჯდა, თავადი ალექსანდრეც შორიახლო მოუჯდა.

ცოტა ხანს სიჩუმე სუფევდა.

ორთავენი ცოტა უხერხულად გრძნობდნენ თავს. მღვდელი ატყობდა, რომ თავადიშვილს მასთან დარჩენა არ უნდოდა, მაგრამ ზრდილობის გულისათვის არ მიდიოდა და თვითონ ხუცესს კი — წადი, მომშორდი, ვერ ეთქვა...

ბოლოს სიჩუმე ისევ თავადმა ალექსანდრემ დაარღვია.

— რას ამბობს, მამაო, შენი ეფუთი? როგორი წელიწადი იქნებაო, როგორი მოსავალი, როგორი სიმრთელე?

— ჰო! — ჩაახველა ხუცესმა. — ეფუთი რაღათ გვინდა, შვილო, — აუჩქარებლად, მაგრამ ჩვეულებრივ მტკიცედ მიუგო მღვდელმა მარკოზმა, — როცა უეფუთ-უკარაბადინოდაც ჩვენი ცხოვრება და მისი ბედ-იღბალი დღესავით ნათელია! თვალით ვხედავთ, ყურით გვესმის, რაც ხდება ირგვლივ. გული კი სწუხს და შფოთავს. მოსავალი კარგი საიდან იქნება, თავადიშვილო, როცა მხვნელ-მთესველი შიშით თავისუფლად ვერ გამოსულა სამუშაოდ. სიმრთელეს ვინ მიანიჭებს შიმშილით კუჭ გამხმარ ხალხს. ან ეს მიბრძანეთ თვით ხალხი სად არის? სად არის ხალხი? ან სად იქნება, როცა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძენი და ასულნი ასობით და ათასობით, შავ ზღვას გაღმა ბატკნებივით და თიკნებივით იყიდებიან. ჭეშმარიტად დიდია სულგრძელობა უფლისა, თორემ, საკვირველია, რატომ ამდენხანს არ მოგვევლინა როგორც საღმრთო წერილში წერია: „ცეცხლი და წუმწუმა და სული ნიავ-ქარისა“ და სრულებით არ აღგავა პირისაგან ქვეყნისა ჩვენი ცოდვილი კუთხე. მე მიკვირს, რატომ ზღვად და პალეასტომად არ გადიქცევა მთლად ჩვენი ქვეყანა, საცა ამდენი შესაზარი უსამართლობა მომხდარა და კიდეც ხდება, საცა... მაგრამ, ჰოი, უფალო

შეგცოდე! მაშინათვე ადამიანური სულმოკლეობა მომიტაცებს ხოლმე და სრულებით მავიწყდება, რომ შენ სულგრძელი ხარ და მრავალმოწყალე. არა ცოდვათა ჩვენთაებრ მოგვაგებ ჩვენ და არცა საქმეთა ჩვენთაებრ გვასწავლი ჩვენ. შენ უკეთ უწყი უმჯობესი... ახლა მგონია არ გაგვწირავ სრულიად, რადგან მოავლინენ ჩვენდა შემწე წმიდით შენით და სიონით გამო ხელი აღგვიპყარ ჩვენ... რამეთუ შენ ერი მდაბალი აცხოვნო და თვალნი ამპარტავანთანი დაამდაბლო. არა, თავადიშვილო, — ხმას დაუშვა ხუცესმა, — ჩემი ეფუთკარაბადინი ხელისგულივით ჩვენს წინ გადაშლილი ჩვენი ცხოვრებაა, თუმცა სახარბიელო არაა, მაგრამ არც სულ უნუგეშოა. აწ გულის ხმა ვყავ, რამეთუ აცხოვნა უფალმან ცხებული თვისი... უფალო, აცხოვნე მეფე და ისმინე ჩვენი დღესა მას, რომელსაცა გხადოდეთ შენ... ესენი ეტლებითა და ესენი ჰუნებითა, ხოლო ჩვენ სახელითა უფლისა ღვთისა ჩვენისათა ვხადოდეთ. იგინი შებრკოლდეს და დაეცნეს, ხოლო ჩვენ აღვსდეგით და აღვემართენით.

თავად ალექსანდრეს პირისახეზე ალმური აედინა. ის ძლიერ კარგად მიუხვდა, თუ რა ქარაგმებით უბნობდა მარკოზ ხუცესი. საქმე იმაში იყო, რომ თავადი გიორგი ტყვეთა ყიდვა-გაყიდვაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ყველა წვრილმან მტაცებელს, — გურულს, იმერელს თუ მეგრელს, თავადის სახლში მყუდრო ბინა ჰქონდა, რადგან თავადი დიდი გავლენიანი კაცი იყო და მის სახლში შეჭრას, ან რაიმე პასუხის მოთხოვნას უბრალო ვინმე კი არა, თვით გურიელიც ადვილად ვერ გაბედავდა. თავადი გაცნობილი იყო ფოთის ციხეში მჯდომ ოსმალთ ფაშასთან, ოსმალეთის მდიდარ სოვდაგრებთან. ისინი თავად გიორგის დიდად აფასებდნენ და პატივსა სცემდნენ. ერთი სიტყვით, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის საქმე თავადმა ძლიერ კარგად იცოდა და ამით კაიძალ ქონებასაც იძენდა.

ვინ იცის, რამდენჯერ მოსვლია უსიამოვნება მარკოზ ხუცესს თავად გიორგისთან ტყვეთა გაყიდვისა გამო. ბევრი უქადაგნია ხუცესს თავადისთვის, ბევრი უხვეწნია, ბევრი უმხილებია აღეკვეთა ეს საზიზღარი საქმე, მაგრამ ვერა გაეწყო რა. თავის

მხრივ თავადს მღვდელი მარკოზი, რასაკვირველია, სძულდა, უნდოდა მასთან ყოველივე კავშირი გაეწყვიტა და სახლშიაც არ შემოეშვა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა, რადგან ქალბატონი როდამი დიდი პატივისმცემელი იყო მარკოზ ხუცესისა და სხვა მოძღვრის არჩევაზე არასგზით არ თანხმდებოდა. თავადი გიორგიც გულის სიღრმეში, უეჭველია, გრძნობდა ხუცესის პირად ღირსებას და, თუმცა არ ესიამოვნებოდა მუდამ მამხილებელი კაცი, მაინც, ვიგინდარა ყურმოჭრილ ყმა-მღვდელს მაინც ერჩივნა. „რას დავეძებ, ილაპარაკოს რამდენიც უნდაო, მე მაინც ჩემსას ვიზამო“, — ფიქრობდა თავადი, მაგრამ როცა მარკოზ ხუცესი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო თვით მეფე სოლომონმა, საქმე შესამჩნევად შეიცვალა. მღვდელი მარკოზი ახლა ტყვეთა გამყიდთათვის საშიში კაცი შეიქნა. ხუცესს შეეძლო თავის მომხრენი, რომელთ რიცხვი, განსაკუთრებით დაბალ ხალხში, მრავალი იყო, აემხედრებინა, მეფისთვის მიემართნა, ისიც ძალას მოაშველებდა და ტყვეთა გაყიდვის საქმეში მხილებული სასტიკად დაისჯებოდა. თუმცა ხუცესი ჯერჯერობით ჩვეულებრივ ტკბილ სიტყვებს და იგავების თქმას სჯერდებოდა, მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო სხვა ღონისათვის მიემართნა და თავადი გიორგისთვის საგრძნობელი უსიამოვნება მიეყენებინა. ამიტომ თავადმა ბოლო დროს ხუცესს მოფერება და უფრო პატივით მოპყრობა დაუწყო, თანაც ეფიცებოდა, რომ ახლა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის საქმეში ჩარევას სრულებით თავი დავანებეო. ერთი მხრივ ეს ტყუილიც არ იყო. აშკარად მოყვანა ტყვეებისა თავადის სახლში, რაც წინათ ჩვეულებრივი მოვლენა იყო და რის-თვისაც თავადი გიორგი არავის ერიდებოდა, შესამჩნევად შემცირდა.

სხვა დროს თავად ალექსანდრესაც მღვდლის იგავებზე შეიძლება პასუხიც გაეცა, მაგრამ დღეს საუკეთესოდ სცნო გაჩუმებულიყო. ხუცესისადმი უკმაყოფილებას მხოლოდ თვა-ლებით გამოსთქვამდა და ამით კმაყოფილდებოდა. მღვდელმა კი ძლიერ კარგად შენიშნა, რომ თავადიშვილს მისი სიტყვები არ ესიამოვნა, მაგრამ თითქოს არ შეუმჩნევიაო, კვლავ გა-ნაგრძო ლაპარაკი.

— იცოდე, თავადიშვილო, ჩვენ აღვსდგებით და აღვიმართებით! სძლევს სიკეთე სიბოროტეს, მაგრამ შურს არ იძიებს. ქრისტიანულ სიკეთეს შურისძიება არ უყვარს. რაც იყო, შვილო, იყო! — უკვე პირდაპირ სთქვა ხუცესმა, — მას ნუღარ გავიხსენებთ. ყოვლად მოწყალეს ვსთხოვოთ შენდობა და დავადგეთ ახალ გზას. მაშინ ნახავ, რომ ცაც დროზე წვიმას მოგვცემს და ქვეყანაც უხვად აღმოაცენებს ნაყოფსა თვისსა, მოსავალიც კარგი იქნება და სიმრთელეც ხალხში სანატრელი.

— ღმერთმან ქნას! ღმერთმან ქნას! — ამბობდა თავადი, მაგრამ ზედვე ეტყობოდა, გულწრფელი არ იყო ეს მისი სურვილი.

— დროა, გონს მოვიდეთ, სიტყვით ნათქვამი საქმითაც შევასრულოთ, ხელი ხელს მივცეთ და წარმოვსთქვათ სიტყვა იგი მეზვერისა, — მტკიცედ სთქვა მღვდელმა მარკოზმა, მაგრამ სიტყვა ვეღარ დაათავა, ოდნავ შეკრთა და ეზოში რაღაცას დააკვირდა.

ეზოში საჯინიბო სახლისაკენ ვიღაც შავწვერა, ჩასქელებული, ყაბალახით თავშეხვეული კაცი მიდიოდა, უკან ქამარში განდაგან დამბაჩა ერჭო და რაღაცნაირი რხევა-ზნექით მიდიოდა. გამოცდილ მღვდელს ეს კაცი მაშინათვე თვალებში ჩაუვარდა.

— ეს კაცი ვერ ვიცანი, ბატონიშვილო! — მიუთითა ხუცესმა ეზოში მიმავალ კაცზე.

თავადმა ალექსანდრემ გაკვირვებით აიხედა, სახე ცოტა გაუფითრდა, მაგრამ შეეცადა სრულებით დამშვიდებული სახე მიეღო.

— ესა? ჰო, ჩვენი მოკეთე კაცია.

— აქაური არ უნდა იყოს.

—...არა, ოდიშელია, — მიუგო თავადმა ალექსანდრემ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ოო!.. — მრავალმნიშვნელოვნად წარმოსთქვა ხუცესმა და სასტიკი თვალით თავადს შეჰხედა.

— მამაო, დედას უკვე გაეღვიძა, — მოიბოდიშა თავადიშვილმა, საჩქაროდ წამოდგა და სახლში შევიდა. სხვა გზა არ იყო, ხუცესის მრისხანე თვალს თვალი ვერ გაუსწორა.

— ოო... ახლა კი მივხვდი! აქ რაღაც საქმეა, — გაიფიქრა მღვდელმა და თეთრ წვერზე ხელი მაგრად მოისვა. — სახეზე ვატყობ იმ შავ-შავ ყაზახს, კეთილი სული არ უნდა იყოს. ვითომ ახლაც გაბედეს და ვინმე უბედური მოიყვანეს? მოიცა, ვნახო ქალბატონი, ყოველისფერს გამოვააშკარავებ. მაშინ გაუხმეს ხელი მარკოზ ხუცესს, თუ მან ვისმე ზიარება მიაწოდოს, სანამ დაწვრილებით არ შეიტყობს, თუ რაშია საქმე. თავადიშვილს მე არასოდეს გულზე არ ვეხატე. მამის შვილი არაა! მაგრამ დღეს კი რაღაც განსაკუთრებული არეულობა შევატყვე. ღმერთო, მწეო ჩემო და მფარველო ჩემო, განმისწავლენ გზანი ჩემნი! — ლოცულობდა გულში ხუცესი. მის ყურამდე სამზარეულო სახლიდანაც კანტიკუნტად საგულისხმიერო სიტყვებმა მოაღწია. მღვდელს ესეც არ გამოეპარა.

— ვაი, ვაი, დედაი სულო! ულმერთოები, ულმერთოები, — ამბობდა მოხუცი გადია... — მისი ცოდო... კაცის გული... და...

რამდენიმე ქალი ერთად ლაპარაკობდა. სამზარეულო სახლიც კარგა მოშორებით იყო და მღვდელმა მარკოზმა დალაგებით ვერ გაიგონა მოხუცი გადიას ნათქვამი, მაგრამ რაც გაიგონა, ისიც საკმარისი იყო, ეჭვი აიღო, რომ ამ სახლში რაღაც საიდუმლო საქმე იმალებოდა, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ შავწვერა მეგრელის მოსვლასთან.

— ვითომ, რაც თავადმა შემომფიცა, მაგისთანები აღმოვკვეთეო, კიდევ გაბედეს? — თავისთვის წარმოსთქვა ხუცესმა. — დამაცადეთ, განკითხვის დღე მოახლოვებულია, — იმუქრებოდა მღვდელი მარკოზი.

VI

ქალბატონს გამოელვიძა. ალექსანდრე არსად სჩანდა. გამოვიდა მოახლე ქალი და მღვდელი სახლში შეიპატიჟა. მღვდელი მარკოზი შევიდა.

ოთახი, სადაც იწვა ქალბატონი, დიდი არ იყო. კედელში

გამოჭრილი პატარა ფანჯარა სახლს საკმაოდ ვერ ანათებდა. ერთერთ კედელთან, ტახტზე, ძვირფას აბრეშუმეულობა გადაკრულ ქვეშაგებში იწვა ქალბატონი როდამი. ტახტის წინ ძვირფასი, სტამბოლიდან მოტანილი ხალიჩა ეგო. ავადმყოფის სარეცელთან მაღალი სამფეხა სკამი იდგა, რომელზედაც მხედრულად დაწერილი პატარა დაუჯდომელი და ვერცხლის პატარა შანდალი იდგა. შანდალში შინ ჩამოქნილი ყვითელი თაფლის სანთელი ერჭო. ოთახში, ავადმყოფს გარდა, არავინ იყო.

მღვდელმა მარკოზმა ოთახში ფეხი შესდგა თუ არა, მცირე ლოცვა წარმოსთქვა და მერე ავადმყოფს აუჩქარებლად მიესალმა.

— იაგუნდისა, — მილეული ხმით დაიძახა ქალბატონმა, — მოძღვარს სკამი მიართვი.

მოახლემ სკამი შემოიტანა. ხუცესი ჩამოჯდა. ოთახს თვალი მოავლო, ერთიც დაუჯდომელს გადახედა და ავადმყოფს თანაგრძნობით დაეკითხა:

— რა დაგმართნია, ქალბატონო? ძლიერ ვწუხვარ, სასო ღვთისმშობელს შევთხოვ შენს ჩქარა განკურნებას.

— გმადლობ, მოძღვარო! ძლიერ ცუდად ვიგრძენი თავი და შეგაწუხე. ვინ იცის, სიკვდილ-სიცოცხლე ხომ ერთი წუთის საქმეა, — ნელ-ნელა წარმოსთქვა როდამმა.

მღვდელმა თავისი გამომცდელი თვალებით ახედ-დახედა ავადმყოფს და ტკბილად მიუგო:

— კეთილი, ქალბატონო! მოხარული ვარ, რომ გაჭირვების დროს ღმერთს მიმართავ ხოლმე. და ხმა ჰყოს ჩემდამი და მე ვისმინო მისიო, ბრძანებს უფალი. უეჭველია, შენც გისმენს იგი, თუ კი გულწრფელად მიმართავ მას.

— მოძღვარო, ძლიერ სუსტადა ვარ.

— უფალი განამტკიცებს უძლურთა და დაამხობს ძლიერთა. აუარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი, — თვალების ზეაპყრობით ამბობდა მღვდელი მარკოზი.

— ეხ! მოძღვარო, უფალსაც მოსწყინდა, ალბათ, ჩვენი ცოდვები... ჩვენი...

— ჩვენი ცოდვები, ქალბატონო, რაღა საკითხია... დასამალი არაა, აშკარაა, — გააწყვეტინა ხუცესმა, — მთანი და ბორცვნი, მდინარენი და ველნი, ზღვა და ხმელეთი, უსჯულოთა ბანაკი და ქვრივ-ობერთა თავშესაფარი ქოხი სულ ჩვენ ცოდვებზე არ ღაღადებენ?

— მოძღვარო, მე ხომ მიცნობ? მრავალჯერ მითქვამს ხომ გულწრფელი აღსარება შენთვის... ჩემი სულიერი ტანჯვა, ჩემი წუხილი... უფალმა ხომ... უწყის... — ქალბატონს ტირილი მოერია და სიტყვა ვეღარ დაათავა.

— მგონი, მეც მიცნობ, ქალბატონო! ორმოცი წელიწადი გავიდა, რაც ჯვარი დაგწერე. კარგად იცი, რამდენი უსიამოვნება შემხვედრია ამ ხნის განმავლობაში, თვით შენ ოჯახშიაც რამდენჯერ ყოფილა ჩემ დასაღუპად შეთქმულება, მაგრამ პირადად შენი ყოველთვის მადლობელი ვიყავი, რადგან დარწმუნებული ვარ, თუ არ შენ, ბევრი ხნით ადრე ცოცხალთა რიცხვში არ ვიქნებოდი. უფალმან მოგაგოს მაგიერი. მრწამს ისიც, რომ გულწრფელად იტანჯებოდი, როცა ჰხედავდი აშკარა ულმრთოებას შენ ოჯახშივე შენს დაახლოებულთა მიერ. მართლაც და დიდი უნდა იყოს ის მწუხარება, რაც უნდა განეცადა პატიოსან ცოლსა და დედას, როცა ხედავდა, რომ მისი ქმარი და შვილი ძმათა მტაცებელს და ურჯულოში გამყიდველს თავშესაფარს აძლევდნენ. მაგრამ დაგვიდგა სხვა დრო. ღმერთმან ზეცით გარდმოიხედა, მოგვივლინა მხსნელი, ხომ შეიტყე, რა სასტიკი ბრძანება გაუცია მეფეს ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგ. იმედი მაქვს, ეს ბრძანება არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. კიდევაც ახლავე დაეტყო ამ ხმის ძლიერი გავლენა ჩვენ ქვეყანას. ახლა მთესველი უკვე მხიარულად გამოდის თესვად, ხოლო მტაცებელი თავზარდაცემული იმალება. მე იმედი მქონდა, ასე სანატრელად დროების შეცვლა შენ გაგახარებდა და, აი, საუბედუროდ, ვხედავ, რომ, პირიქით, დაუძლურებულხარ, ტირი და გოდებ. გატყობ, რომ შენი ავადმყოფობა რაღაც სხვანაირია, ასოთა ტკივილისაგან არ არის გამოწვეული. მითხარ, რაშია საქმე, ნუ დამიმალავ!

ქალბატონი მწარედ ქვითინებდა.

— პასუხის მოცემა გეძნელება, ცრემლი ნებას არ გაძლევს? — გულდამშვიდებით გააგრძელა ხუცესმა. — არა უშავს-რა, ცრემლი დიდი ნუგეშია, მწუხარე გულის დამამშვიდებელია. შეიძლება, ჩემ შეკითხვას პასუხიც მე მივცე? კარგი, შენ არ შეგაწუხებ, მე თვითონ გიპასუხებ. ხომ იცი, ქალბატონო, ჩემ გამოცდილ თვალებს არაფერი გამოეპარება, მაგრამ ერთი მაინც უნდა მიბრძანოთ: ვინა ბრძანდება ის შავწვერა მეგრელი, თქვენს სახლში დღეს სტუმრად რომ არის? უეჭველია, კეთილი სული არ უნდა იყოს!

ქალბატონი ცრემლით სავსე თვალებით მღვდელს დააშტერდა.

— ნუ გიკვირს, ქალბატონო, მე ის უკვე ვნახე! თუმცა შორიდან, მაგრამ მაინც ვნახე და ჩემთვის ესეც საკმარისია. დანარჩენი ხომ ცხადია, მე და შენ მაინც განმარტება აღარ გვჭირია.

— მოძღვარო, ვფიცავ იესო მაცხოვარს, — წამოიძახა ქალბატონმა...

— აბა, შენი ფიცი მე რალათ მინდა... განა არ ვიცი, რომ მისი სტუმრობა შენც ისე გაგიხარდებოდა, როგორც მე დღეს მისი ნახვა? რას ვამბობ, მე თუმცა არ მესიამოვნა მისი ნახვა, მაგრამ ავად არ გავუხდივარ და იმედი მაქვს, არც გამხდის, შენ კი, აი, სარეცელში წევხარ.

— მოძღვარო, გულთმისანი ხომ არა ხარ? — ისევ წამოიძახა ქალბატონმა.

— გულთმისნობა რაღა საჭიროა! ისედაც მივხვდებით, სირცხვილიცაა მარკოზ ხუცესისთვის, მაგისთანეები გამოეპაროს.

— რა ვქნა, მოძღვარო, ორ ცეცხლშუა ვარ ჩავარდნილი, საცოდავად წარმოსთქვა როდამმა და ცრემლი მოიწმინდა. — ერთხელ დაჩვეულის ერთი მოსმით გადაგდება ძნელი ყოფილა. შენც ხომ იცი, რომ ჩემმა ქმარმა და შვილმა გურიელთან ერთად მეფეს შეფიცეს, რომ ფაშისთვის ტყვეები არ მიეწოდებინათ და, მართალი უნდა ვსთქვა, სხვა დროსთან შედარებით, ძლიერაც შეამცირეს ეს საძაგელი ხელობა, ეს შენც იცი, მაგრამ სრულებით მაინც ვერ აღმოკვეთეს.

მე ცალკე ქმარს ვეჩხუბე, ცალკე შვილს და მხოლოდ ის მოვახერხე, რომ აქ, ამ ჩემს ოჯახში, ჩემ თვალწინ მაინც არ უნდა მომხდარიყო ეს საზიზღრობა. ორთავემ პატიოსანი სიტყვა მომცეს და, მართლაც, სამი თვე გავიდა, რაც ჩემ ეზოში ტყვე არ შემოუყვანიათ; მოწმე იყოს თვით ქალწული უბიწო! დღეს დილით კი მოეთრია ის ავაზაკი, ის იუდა გამცემლის თანაზიარი, ის დაუნდობელი და ერთი პატარა ყმაწვილი მოიყვანა... ისეთი ლამაზი, ისეთი კარგი, რომ... ვაი დედამისს გამწარებულს, ცეცხლ-გენია მოკიდებულს! მე მაშინათვე ყვირილი მოვრთე, თავი მოვიკალი... ბატონი შინ არ იყო, არც ახლა გახლავთ... ჩემმა შვილმა კი ჩვეულებრივ მანუგეშა, ეს უკანასკნელიაო. დანაპირი ვართ ფოთის ფაშასთან, სასყიდელი წინდაწინ გვაქვს მიღებულიო. მე ეს არ დავიჯერე, გავცოფდი, გადვირიე. ბავშვი გამოვტაცე და ჩემს ერთგულს გადიას და მოსამსახურეებს ჩავაბარე... მერე საშინელი თავის ტკივილი ამივარდა... გონებაც დავკარგე...

— მესმის, მესმის, ქალბატონო, ყოველისფერი მესმის, დამშვიდდი! შენი სათნოებით და სიყვარულით სავსე გული მეოხ ეყავნ შენ ქმარ-შვილს დღესა მას განკითხვისასა, — თანაგრძნობით მიუგო მოძღვარმა. — არ დაგიმალავ, მე ამას მაშინათვე მივხვდი. თავადიშვილს ალექსანდრეს თვალებში შევატყე, რომ ჩემი ნახვა არ ესიამოვნა. რა ვქნა! მე მაინც ღვთისადმი ვითხოვ მის კეთილ გზაზე დაყენებას. დრო კი არის, ქალბატონო, შენმა ქმარ-შვილმა აღმოკვეთონ ეს საზარელი საქმე. ნუთუ არ კმარა, რაც მდულარე ცრემლი დაიღვარა უბედურ ჩვენი ქვეყნის დედათაგან მთელი საუკუნის განმავლობაში! დაე, ჩვენი ქვეყნის ტურფა ძენი და ასულნი ჩვენ ქვეყანაშივე დარჩნენ, აქვე დაიზარდნენ, აქვე იშრომონ, აქვე განვლონ დღენი ცხოვრებისა, მოიხადონ მოვალეობა სამშობლოს წინაშე და აქვე მიწას მიებარონ. გარდაეცი ბატონს ჩემ მაგივრად, რომ ფიცი მტკიცედ შეინახოს. ნუ ჰკადრებს თავის ჭაღარას არასაკადრისს, თორემ მოახლოებულია დღე განკითხვისა. ხომ იცის, ისმინა უფალმან ტირილი და გოდება ხალხისა და მოუვლინა მას მფარველი. ეკრძალოს, მე გამიფრთხილებია.

— ახლა როგორ მოვიქცე, მოძღვარო, ბავშვს რა ვუყოთ? — დაეკითხა როდამი.

— ბავშვი ჯერ-ჯერობით მე მომეცი. გავზრდი, შევასწავლი რასმე და მერე პატრონი მოვძებნოთ და ჩავაბაროთ. რა თქმა უნდა, უკეთესია ამ საქმეში ხმა არავინ ამოიღოს. არც შენ და არც ჩემ წინააღმდეგ, თორემ ბოლოს სასინანულოდ დაურჩება. მარკოზ ხუცესი თავმდაბალია, მაგრამ, თუ გაჭირდა, ქუდმაღალზე უარესს იზამს. შენ კი, ღირსო ადამიანო, უფალმა მოგანიჭოს დღეთა სიგრძე. დამშვიდდი, ზიარება არ გეჭირვება.

VII

დაღამდა. მოღრუბლულ-მოღუშული და საწვიმრად განმზადებული ცა ქვეყანას მრისხანედ დაჰყურებდა. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო და ირგვლივ სიბნელე სუფევდა.

მღვდელი მარკოზი ორი შეიარაღებული კაცის თანხლებით თავად გიორგის სასახლიდან გამოვიდა და თავის სახლისაკენ გაემართა. გვერდით ანაფორის კალთაში გამოხვეული ბავშვი მისდევდა. თუმცა ზაფხული იყო და ცხელოდა კიდეც, მაგრამ ბავშვი მაინც ძაგძაგებდა.

— ნუ გეშინია, ჩემო ბიჭიკო, — ალერსიანად უთხრა მღვდელმა, — შინ ჩქარა მივალთ, საჭმელს გაჭმევ, დაგაძინებ... შენი სახელი?

— ხვიჩა, — ტირილით მიუგო ბავშვმა.

მღვდელმა ხელი მაგრა მოხვია და ტანზე მიიკრა.

— უღმერთოები, უსვინდისოები, — ბუტბუტებდა იგი, — ბავშვისთვის პერანგი მაინც ჩაეცვათ ხეირიანი. ან ღმერთს რას ეტყვიან, ან კაცს ეს ურჯულოები!

— ეხ, ეხ, ჩვენი ცოდვა, — ოხვრავდნენ მღვდლის მხლებლები.

მარკოზ ხუცესის სახლის კერაზე ხმელი ფიჩხის ცეცხლი კაშკაშებდა და მთელ სახლს საკმაოდ ანათებდა. მარიკა და ლერწამისა კერას აქეთ-იქით შემოსხდომოდნენ და მღვდლის მოლოდინში საჩოხე მატყლს ართავდნენ.

— მარიკა, მარიკა, აბა, გამოიცანი ვინ მოგიყვანე, — სახლს მიუახლოვდა თუ არა, დაიძახა ხუცესმა. მისი ხმის გაგონებაზე ქალებმა თითისტარები განზე გადადეს და ზეზე წამოიჭრნენ. ამასობაში მღვდელი სახლში შევიდა, ანაფორის კალთა გადასწია და თმახუჭუჭა, შავგვრემანი ბავშვი წინ წამოაყენა. ბავშვი თითქმის ტიტველი იყო, დაჭერილ მხეცივით შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ეს ვინ არის? — გაოცდა მარიკა.

— ვინ უნდა იყოს, დედაკაცო, — მშვიდად მიუგო ხუცესმა, — თუ არ ნაყოფი ჩვენი კეთილი გზიდან ცთომისა, ჩვენი გათახსირებისა, გულგაქვავებისა და გონების დაბნელებისა.

მარიკა მიხვდა, შეშინებულ ბავშვს მიუახლოვდა, ნაზად ხელი მოჰხვია და გულში ჩაიკრა.

— ნანა, შვილო, ნანა, შვილო, ბედდამწვარი შენი მშობელი დედა, ბედდამწვარი შენი მშობელი დედა... ოი, ნანა, შვილო! რა მწარეა შვილის დაკარგვა... უღმერთოებმა რა იციან, რა მწარეა დედის გულ-მკერდი! ნანა, შვილო, უბედურ მთვარეზე დაბადებული შენი მშობელი დედა... იმას ვინ ანუგეშებს? იმას ვინ გაუმრთელებს დაჭრილ გულს? იმას შენ მაგიერობას ვინ გაუწევს?... საფლავში უნდა ჩაიტანოს უბედურმა შენი სიმწარე, — მოთქმით ამბობდა მარიკა, ბავშვს თავზე ხელს უსვამდა, ჰკოცნიდა და თან ქვითინებდა.

ალერსით და დედის გახსენებით გულაჩვილებული ბავშვი მწარედ ატირდა. ატირდა ლერწამისაც. მღვდელი მარკოზი შორიახლო იდგა და ცოლის ქცევით კმაყოფილი და აღტაცებული, ისიც აცრემლებული, გრძელ წვერზე ხელს ისვამდა.

— კარგი, გეყოფა დედაკაცო! — უთხრა ბოლოს ხუცესმა. უიმისოდაც გულჩათუთქულ ბავშვს დედის გახსენებით კიდევ უფრო გულს ნუ უკლავ. აჭამე რამე და დააძინე. შეხედე, რავა ცოცხლად დაუხრჩვიათ მაგ უღმერთოებს.

მარიკა გამოერკვა, ბავშვი კერის პირას დაბალ სკამზე დასვა და ვახშმის თადარიგს შეუდგა.

— აკი ამბობდი, ხუცესო, მაგისთანა სამარცხვინო საქმეები მოისპოო, ამდენ სამადლობელ პარაკლისებს ტყუილად იხდიდი? — ამბობდა მარიკა.

— განა ასე ადვილია, ქალო, ძაღლის კუდის გასწორება? ჯერ კიდევ დროა საჭირო, სანამ ასეთი საძაგელი ჩვეულება სრულებით აღმოიფხვრებოდეს. ყველა ბოროტებაში გასერილი ხელი ჯერ უნდა სამარეში დაიმარხოს, რომ კაცის შვილთა მოტაცება და გაყიდვა საზღაპრო ამბად გადაიქცეს, მაგრამ ასეთი სამწუხარო მოვლენა იშვიათი რომ გახდა, ესეც დიდი ნუგეშია, ესეც ღირს იმად, რომ სამადლობელი პარაკლისი გადავიხადო და გადვიხდი კიდეც, — მხიარულად მიუგო ხუცესმა.

ნავახშმევს ლერწამისამ სპილენძის ქვაბით წყალი გაათბო. ქალებმა ბავშვი დაბანეს, მარკოზის ერთ-ერთი პერანგი ჩააცვეს და ლოგინში ჩააწვინეს. მერე მღვდლის ძველი კაბა მოსძებნეს და მისგან ბავშვის ჩასაცვამ ახალუხის გამოკერვას შეუდგნენ.

— უღმერთოები, უსულგულოები, დედას შვილს სტაცებენ და უსჯულოებზე ყიდიან! არ აჭმევენ, არ აცმევენ... ღმერთო, მიაგე მაგიერი, — ბუტბუტებდა მარიკა და გაჩქარებით ჰკერავდა.

მღვდელმა წმიდა სანთელს მოუკიდა, კუთხეში მიყუდებულ პატარა ხატის წინ წარსდგა და ლოცვას შეუდგა.

— ნანა, შვილო, ნანა, შვილო, ბედდამწვარი შენი მშობელი დედა, — სლოკინით წამოიძახებდა ხოლმე დროგამოშვებით მუშაობაში გართული მარიკა.

— ვითარ განდიდენ სახელი შენი უფალო და ყოველივე სიბრძნით ჰქმენო, — ღაღადებდა ხუცესი.

ლერწამისა საჩოხე მატყლს ართავდა, ხოლო პატარა ხვიჩას ლოგინში ტკბილად ეძინა, ოთხი დღე და ღამე გავიდა, რაც მას ასე ტკბილად მოსვენება არ ღირსებია.

* * *

— არა, ღმერთს გეფიცები, თავადო ალექსანდრე, თუ მართლა ვინმე კუდიანია ქვეყანაზე, სწორედ ეს მარკოზ ხუცესი უნდა იყოს, — ამბობდა აზნაური ყარამანი, თავადი გიორგი ჭორიშვილის ძლიერ ერთგული და დაახლოვებული პირი.

— კუდიანი კი არა, გულთმისანია, მაგ ჩამოსახრჩობი, — მიუგო თავადმა ალექსანდრემ.

— წაგვართვა, მარა რა ბიჭი წაგვართვა, მაგ წვერით ხეზე თხასავით ჩამოსაკიდებელმა, — სწუხდა ჩვენი უკვე ნაცნობი თენგიზი, ხვიჩას მომტაცებელი და თავადის სასახლეში მომყვანი, — რამდენი ტანჯვა და ბრძოლა გამოვიარე იმის აქ მოყვანაში.

სამთავენი კერის პირას ისხდნენ და საუზმის მოლოდინში მუსაიფობდნენ.

— მართალი რომ ვთქვათ, დედაჩემმა წაგვართვა, იმას არ ეთქვა, ხუცესი ასე მაგრად ხელს ვერ ჩაგვჭიდებდა, — ამბობდა თავადი ალექსანდრე, — მაინც, კაცო, დამელაპარაკა თუ არა, მაგ ჩასაძაღლებელმა, მაშინათვე იჭვიანი თვალებით აქეთ-იქით ყურება დაიწყო, თითქოს მეძებარია და ნადირს სუნავსო. თენგიზი რომ შეამჩნია ეზოში, მაშინათვე პირში მომახალა უბოდიშოდ: ეს ვიღაცაა კეთილი სული არ უნდა იყოსო.

— ჰა, მაგი ყოფაგაქუცული... — შეაგინა თენგიზმა.

— იმის შეხვედრას ხომ ჭრელი გველის შეხვედრა მირჩევნია, — გააგრძელა ალექსანდრემ, — მერე, კაცო, მომიყვა სხვადასხვა იგავებს! ეს საღმრთო წერილიო, ეს ესაო, ეს ისაო... დედაჩემი ხომ სელში ჰყავს, რასაც ეტყვის, იმას აქნევინებს... ის, ალბათ, როგორც გულუბრყვილო დედაკაცი, ყოვლისფერს უამბობდა და, რაკი ერთხელ ყური დაეხვრიტა მენცარს, მერე ხომ არ მოგვეშვა და არ მოგვეშვა, თორემ დედაჩემს მარტო ჩქარა დავამშვიდებდი... ერთი ორი დღე რომ დამცლოდა, ბავშვს ისევ წყნარა გამოვტყუებდი... ახლა კი არ ვიცი, რა პირით დავხვდე ან მამაჩემს, ან ხელცარიელი როგორ ვეახლოთ ფოთის ფაშას. შეიძლება, თენგიზ, შენებურად კიდევ მოაგვარო რამე?

— ვეცდები, ბატონიშვილო, განა ცოტა მომიყვანია, მაგრამ საძნელო კი არის, ოხერი! შეიცვალა დროება, — ნაღვლიანად ამბობდა თენგიზი. — თუ დადიას მოხელეებმა ხელთ მიგდეს, შენი მტერი! თვალებს დამთხრიან. ხალხიც გამაგრდა. ყოველ სოფელში ყარაულები მორიგეობენ.

— კიდეც იმიტომაა, რომ მარკოზ ხუცესმაც ფრთები შეისხა და ახლა მუქარასაც არ ერიდება, — ბრაზით ამბობდა ალექსანდრე.

— ტყუილად დარდობ მაგ ამბავს, — ბატონის მზემა, — გაერია ყარამანი. — ერთი მეცა მკითხე და, თავადიშვილო, იმ ხუცესმა ბავშვი ხომ თავის სახლში წაიყვანა?

— კი.

— ხომ არ გაყიდის?

— ათასი ქისა მარჩილი რომ მისცე, არ მოგცემს, მაგის ხასიათი კი ვიცი, კერპი ვინმეა.

— მაშ, ყავდეს, ბატონო, ჯერ-ჯერობით ასვას და აჭამოს. თვალი გაუტყდეს, აქაურობას გაეჩვიოს. მე ყარამანი არ ვყოფილვარ, ის თუ ბოლოს ისევ ჩვენი არ იქნეს. მერე უფრო მეტი ფასი არ ექნება თუ?

— ერთი შენცა!

— ჩემი თავი მოგიკვდეს, თავადიშვილო, თუ მე ეს არ შევასრულო.

— ეხ, ყარამან! შენ ხუცესს ნუ ეხუმრები. მთელ ქვეყანას შესძრავს. პირდაპირ მეფესთან წავა. შეიძლება ხალხიც აიჯანყოს. ერთი რომ დაუძახოს და წინ წაუძღვეს, შენ რავა გგონია, პირველად თვით ჩვენი ყმები ცეცხლს მისცემენ ჩვენ სახლ-კარს.

— შენი მოღალატე ვიყო-მეთქი, ვაჟო თუ შენ ოჯახზე ვისმე ეჭვი კი შევატანინო... ისე მოვაწყობ საქმეს, თავი და ბოლო ვერავინ გაუგოს. ჯერ დამაცალე, მიჩქმალდეს ეს საქმე, გავიდეს დრო და ხანი.

— თუ შენ მაგას იზამ, ყარამან, და თუ იმ ხუცესის ჯავრს ამომაყრევინებ, — მიუგო თენგიზმა, — ლეჩაქი დამეხუროს, თუ ერთი კაი ყირიმის თოფი არ მოგიტანო ფეშქაშად.

— იცოცხლე! კარგად იყავი, უფეშქაშოდაც ვიზამ მაგას. შენზე ნაკლებ ჩვენ არ გვიმწარებს სიცოცხლეს მაგ გასატყავებელი. რაც ზარალი მაგას ჩვენთვის მოუცია, ა, თავადიშვილო?

— ოი! სახსენებელ ამოსაგდები! — ჩაილაპარაკა ალექსანდრემ.

— შენ, თენგიზ, მხოლოდ ის იცოდე, რომ — გააგრძელა ყარამანმა, — აქ, სასახლეში მეტი არავინ მოიყვანო. აქ ისეა საქმე, რომ ვერ დაიმალება. დიდი იყოს თუ პატარა, თუ ღმერთმა ხელში ჩაგიგდო, ჩემ სახლში მოიყვანე. მე ახლა შავ ღელეს სათავეში დავსახლდი. ირგვლივ უდაბური ტყე მარტყია, კაცის ჭაჭანება იქ არ არის.

— კაი დაგემართოს, ვეცდები, — მიუგო თენგიზმა და ულვაშები გადიგრიხა. — მე მიკვირს, ამდენხანს ცოცხალი როგორ ატარეთ მაგ ფეხმოსატეხი. ისეთი ოხერი და ხელისშემშლელი უნდა მოსპო, თორემ, რასაკვირველია, საშველს არ მოგცემს, საქმეს ყოველთვის დაგიხლართავს.

— კარგი, მაგაზე მერე ვიფიქროთ. ახლა ერთი გემრიელათ ვისაუზმოთ, აგერ ყაზახს მოაქვს კიდეც შემწვარი ბატკანი, — მადიანად წარმოსთქვა თავადმა ალექსანდრემ.

სამთავენი გემრიელ საუზმეს მოუსხდნენ.

* * *

ხვიჩა ჩქარა გაეჩვია მარკოზ ხუცესთან. გულკეთილმა მოპყრობამ და საჭმელ-სასმელმა თავისი ქმნა. ბავშვი გამხიარულდა, მოღონიერდა, შვლის ნუკრივით დახტოდა. ხუცესს ძლიერ შეეჩვია. საყდარში დაჰყავდა, საცეცხლურს უბერავდა, სანთლებს უკიდებდა. შინ შეშა-წყალი მოჰქონდა და სხვა წვრილმან რამეებს აკეთებდა. ორ-სამ თვეში ბავშვს სულ სხვა სახე დაედო. ტირილისაგან ჩაცვივნულ-ჩალურჯებული და საშინლად გამომყურე თვალები დაუმრგვალდა, აუმხიარულდა, ლოყა ამოებორცვა და ვარდისფერი დაედო.

— ხვიჩა! — დაუძახებდა ხოლმე მღვდელი მარკოზი.

— პატონი! — ცქვიტად ეტყოდა ბავშვი.

— ჰა, კიდევ ვერ გამოტეხე! ბატონო-თქვა, ბა...ტონო!

— ბა...ტო...ნო!

— ჰო ასე. აბა გაიქე, ერთი დაათვალიერე, ხბორები ხომ არ გაიქცნენ შემოლობილიდან.

ბავშვი ელვის სისწრაფით გარბოდა.

— აბა, სთქვი, ბიჭო: „დიდება შენდა“, — ასწავლიდა მღვდელი ლოცვას.

— დიდობა შენდა, — ამბობდა ბავშვი.

— ჰა? მეგრულ კილოზე ნუ უბნობ, ბიჭო, წმინდა ქართული ილაპარაკე. „დიდება შენდა“.

— დი... დე...ბა შენდა.

— ჰო, ემაგრე.

— წმიდაო ღმერთო.

— წიმიდაო ღმერთო.

— კიდევ თავისებურად გადაუხვია! ბიჭო, კარგად გამოხატე!

— წმი...და...ო ღმერ...თო.

— ჰო, ემაგრე, — გულშეუწუხებლად უსწორებდა მღვდელი და ბავშვს ლოცვებს ასწავლიდა.

ლოცვებიდან მღვდელი ანბანზე გადავიდა. ბავშვი საოცარ გულისწყურვილს იჩენდა. ჩქარა დაისწავლა წერა-კითხვა, გალობა; დავითნს, სამოციქულოს კითხულობდა. მღვდლის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, ბავშვს თვალიდან არ იშორებდა და როცა სამრევლოში წავიდოდა, მუდამ თან დაჰყავდა.

VIII

გავიდა წელიწადნახევარი. ხვიჩა სრულებით შეეჩვია მარკოზ ხუცესის ოჯახს. მოხუცნი მას საკუთარ შვილებისაგან არ არჩევდნენ. ბავშვი ძლიერ გაიწაფა როგორც ხუცურში, ისე მხედრულ კითხვაში. ერთი წელიწადი კიდევ და დიაკვნობასაც შესძლებსო, ხუმრობდა მღვდელი.

ერთხელ მღვდელი მარკოზი სამრევლოდან შინ ბრუნდებოდა, ხვიჩაც თან მოსდევდა. მაღალ სერზე მოექცნენ. ამ სერიდან მშვენიერი გადასახედავი იყო. ირგვლივ დიდ მანძილზე ბევრი ადგილები სჩანდა. დაბლა გაშლილი იყო უშველებელი, ხელისგულივით სწორი. ტყით დაბურული ადგილი, სადაც შუაგულ მისდევდა ფართე, დაკლაკნილი მდინარე. ჩრდილოეთ მხარეს — შორს, შორს, თვალუწვდენელ ტყის ბოლოს, მტრედისფერ ბურუსში გახვეული ბორცვები მოსჩანდა და მათ თავზე თოვლით შელესილი ბუმბერაზი მთები დაჰყურებდა.

— აი, ის, ფართე ზოლივით რომ მისდევს, შვილო, დაბლა გაშლილ ხშირ ტყეს, მდინარე რიონია, — აუხსნა ხუცესმა. — იმ მდინარეს რომ ქვევით ჩავყვეთ თვალუწვდენელ ზღვას მივადგებით, ეს მდინარეც იქ შეწყდება, რადგან ზღვას უერთდება, რიონის ზღვასთან შესართავთან არის ციხე ფოთი. იქ ახლა ურჯულო ფაშა ზის. მაგრამ ღმერთი გაუმარჯვებს ჩვენს მეფეს და იმ საზიზღარს იქიდან განდევნის. მაშინ ქვეყანაზე ნამდვილი მშვიდობა დამყარდება, ავაზაკ-მტაცებლებს საბუდარი მოეშლება.

აი, აქეთ კი, ჩრდილო მხარეს, მტრედისფრად სერები რომ მოსჩანან, იმ სერებ შორის შენი სოფელია. შენი დედ-მამა და ძმები იქ ცხოვრობენ. ნუ გეშინია, ცოტახანს კიდევ, მივაწყმოვაწყობ საქმეებს, შენც მანამდის წიგნში გაიწაფები და მერე უსათუოდ წაგიყვან, — ალერსიანად დასძინა მღვდელმა.

მარკოზ ხუცესის ნათქვამმა ბავშვს ნორჩი გული აუტოკა, შიგ დამალული და გარედან ვითომდა მომთელებული წყლული გაუღვივა. ბავშვმა თვალები გააციალა ბურუსში გახვეულ სერებისაკენ და სიშორის გამო ნაცნობი ადგილები თუმცა კარგად ვერ გაარჩია, მაგრამ გონებაში მაინც ნათლად წარმოუდგა ტყით დაბურული მთები. მათ შუა ფართე ველი და იქვე მოჩუხჩუხე მდინარე ტეხური. მოაგონდა სახლკარი. აი მათი ეზო, თითქოს თვალწინ უდგასო. აი დიდი ვაშლის ხე, იმათ სახლის წინ რომ დგას; მერე რამდენი ნაყოფის მოსხმა იცის, ან რა გემრიელი წითელი ვაშლები? აი უზარმაზარი კაკლის ხეც! აი მამა, აი ძმები... აი ისიც... მაგრამ მის გახსენებაზე ბავშვს საშინლად გული დაეწვა, სახე გაუწითლდა, თვალები გაუდიდდა და ძალაუნებურად მდუღარე ცრემლები გადმოჰყარა... ის ხომ მუდამ ახსოვს, მუდამ თვალწინ უდგას... ოხ! ამ დღეებში რა კარგი სიზმარი ნახა! სიზმარი ნახა?! სიზმარი კი არა, სულ ცხადივით იყო. ვითომ თავიანთ სახლის გვერდით იდგა ის, ხელში რაღაც ეჭირა, მაგრამ ხვიჩას დანახვაზე გადააგდო და მისკენ ხელებგაშლილი გამოექანა. ხვიჩასაც უნდოდა მიჰგებებოდა და გაშლილ ხელებში ჩავარდნოდა, რაც არაერთხელ უქნია ხოლმე,

მაგრამ, რაღაც საუბედუროდ, ვერ მოახერხა, ადგილიდან ვერ დაიძრა, მთელი ტანი აუთრთოლდა და გამოეღვიძა კიდეც. ნანა, ნანა! მწუხარედ წამოიძახა გულდამწვარმა, მაგრამ „ნანა“ არსად იყო. თვითონ კი, მთლად გაოფლიანებული, ქვეშაგებში იწვა, ტანში ჟრუანტელი უვლიდა და დამძიმებული თავიც, თითქოს უტრიალებდა. ჯერ ვერ გამოერკვა, არ იცოდა, თუ სად იყო, შიშის ზარმა აიტანა, მერე ცოტ-ცოტად გონს მოვიდა და ჩუმად ტირილი დაიწყო. ოჰ, რამდენი იტირა. „შეიძლება ახლა ნანა, ერთ-ერთ იმ სერიდან აქეთკენ იყურება, მაგრამ მე აქედან ვერ ვამჩნევ, ალბათ, არც მე მამჩნევს“, მოსდიოდა ბავშვს ფიქრი და მწარე ცრემლით იმდურებოდა.

— ნუ გეშინია, ჩემო ბიჭიკო, — ალერსიანად განიმეორა მარკოზ ხუცესმა, თუმცა ბავშვის ცრემლების მნახველი თვითონაც აღელვებული იყო, — უსათუოდ წაგიყვან შენს სახლში. სხვა ვისმე არ გაგატან, მე თვით წაგიყვან. აი შემოგისვამ ამ ჯორზე და გავსწევთ. არც იმდენი შორი გეგონოს, დიდი დიდი ერთი დღის სავალია, დილას ადრე გზას რომ გავუდგეთ, საღამოთი იქ ვიქნებით. მოდი, ახლაც შემომიჯექი ჯორზე.

— არა, მე ფეხით სიარული მირჩევნია, — მიუგო ბავშვმა. ეტყობოდა, ცდილობდა ტირილი შეეწყვიტა და ჩვეულებრივი სახე მიეღო.

მზე უკვე ჩავიდა, ხვიჩა დამშვიდდა. მაღლობიდან დაბლობში ჩამოვიდნენ.

— აბა, თუ მეტყვი, ბიჭო, ამ დაბლობს რა ჰქვიან, ახლა ჩვენ რომ მივდივართ? — მხიარულად დაეკითხა მღვდელი.

— ტახოგანი, — ცქვიტად მიუგო ხვიჩამ.

მღვდელს ძლიერ გაუხარდა.

— ყოჩაღ, გცოდნია. ამას რომ ფერდობი მოსდეს?

— ის გვერდოულია, — სიტყვის გათავება არ დააცალა ბავშვმა.

— ჰა! ჩემო ბიჭიკო, — მხიარულად სთქვა მღვდელმა მარკოზმა. — კარგი, გვერდოულს იქით?

— შავი ღელე ჩამოუდის.

— იქით?

— ტყეა...

— ტყეს იქით?

— ვაკე კარი, იმას მოსდევს ხულადგმულას სერი, სადაც საყდარი დგას და იმის იქით ხომ ჩვენი სახლია, — ჩამოთვალა ბავშვმა.

— ეს ადგილები რა კარგად დაგიხსომებია, ჩემო ბიჭიკო, — კმაყოფილებით ამბობდა ხუცესი. — მაშ ახლა შინ რომ გაგიშვას კაცმა მარტოდ-მარტო, მიხვალ?

ბავშვი ცოტა შეჩერდა.

— ცოტა უფრო ადრე რომ იყოს, წავიდოდი, — გაუბედავად წარმოსთქვა ბავშვმა.

— ხა, ხა, ხა, ხა! — ხარხარებდა მღვდელი.

მარკოზს უფრო ის ახარებდა, რომ ოჯახის მოგონებით გამოწვეული მოწყენა ბავშვს ასე ჩქარა გაუქარდა. მღვდელი შეეცადა, რაც შეიძლებოდა გაემხიარულებინა ბავშვი.

— აბა, შენ თუ კაი ბიჭი ხარ, ბაიობის სამოციქულოსაც მომიყვები, აი, გუშინწინ რომ გაკითხებდი?

— სულ თავიდან დავიწყო? — ცქვიტად დაეკითხა ხვიჩა.

— სულ თავიდან დაიწყე! — აღტაცებით მიუგო ხუცესმა.

— „და სულისაცა შენისა თააანა“, — გაისმა ბავშვის წკრიალა ხმა ტყეში.

— ჰო, ემაგრე, ემაგრე! — ამხნევებდა ხუცესი.

— „წარდგომა, ფსალმუნი დავითისი: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ“, — წართქმით ამბობდა ბავშვი.

— ნუ ჩქარობ, სიტყვები მკვეთრად გამოტეხე, — ტკბილად ეუბნებოდა მღვდელი მარკოზი.

— „ფილიპელთა... მიმართ ეპისტოლე... წმი... დი...სა... პავლე... მო... ცი... ქუ... ლისა... საკით... ხაააავი“, — ჩააგალობა ბავშვმა.

— ემაგრე, ემაგრე, — ამხნევებდა მღვდელი.

— „ძმააააანო! გიხა...როდენ... მარა...დის უფლისა მიერ... კვალად გეტყვი გი...ხა...რო...დეენ! “

— ჰო, ასე, ერთი მუხლი დაბლა კილოთი უნდა ჩააგალობო, — შენიშნა ხუცესმა.

— „სიმდაბ...ლე თქვენით ცხად იყავნ ყოველთა კაცთა“, — თამამად გააგრძელა ხვიჩამ.

— ოჰო, ჰო... აქ უნდა მაღალი კილოთი ჩავაგალობოთ, — ვერ მოისვენა ხუცესმა.

— „უფალი ახ... ლოოოოს არს? — ჩაამღერეს ორთავემ.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭიკო, — აღტაცებით ამბობდა მღვდელი. — აბა, შენ თუ კაი ბიჭი ხარ, შოთას შაირსაც მეტყვი.

— ეგ რომელი? „მაქვს საქონელი“? — მხიარულად დაეკითხა ბავშვი.

— სულ ერთია, თუ გინდ „მაქვს საქონელია“ მითხარი.

— „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები, მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი არას მქონები, მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“, — შეუსვენებლად ჩააკაჭკაჭა ბავშვმა.

საცოდაობა არ იყო, რომ ეს ბავშვი სამშობლო მიწა-წყლისთვის მოეწყვიტათ და ოსმალეთში გაეყიდათ! — ფიქრობდა მღვდელი. — ჰოი, უბედურო, მამულო! განა საკმარისი არ იყო, რაც შენ შვილებს თავი შეუკლავთ გარშემორტყმულ უანგარიშო მტერთათვის, რომ სამშობლოს დაცვისათვის თავდადებულთაგან გადარჩენილნიც, ისევ ჩვენივე გონების დაბნელების წყალობით, ურჯულოთა სათრევი არ გამხდარიყვნენ?

— აი, შვილო, ეს შაირი ხუთას წელზე მეტი იქნება, რაც გამოთქვა ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილმა, — გასაგონად სთქვა ხუცესმა, — და ჩვენ ანდერძად დაგვიტოვა, მაგრამ, ჩვენდა სამარცხვინოდ, არა თუ არ აღვასრულეთ, პირიქით, ამ ანდერძის წინააღმდეგ წავედით. რას იტყოდა ის დიდებული ადამიანი, თავის თვალით რომ ენახა ყველა ის სისაძაგლე, რასაც სჩადიან ჩვენი ვაჟბატონები?! კინაღამ შენც მაგ სიბოროტის მსხვერპლი გახდი, მაგრამ უფალმა შეგვაძლებინა შენი გამოხსნა მტარვალთა ბრჭყალებისაგან, — გულდაწყვეტილად დაათავა მღვდელმა მარკოზმა. მაგრამ ჩქარა ისევ მხიარულად წარმოსთქვა: — აბა, ჩემო, ბიჭიკო, კიდევ თუ მეტყვი შაირს. მგონია, მეორე შაირიც დაგასწავლე?

— მეორე რომელი? „ვაჰ სოფელო“? — ცქვიტად დაეკითხა ბავშვი.

— კარგი, მითხარი „ვაჰ სოფელო“, — ცქვიტადვე უპასუხა გამხიარულებულმა მღვდელმა.

— „ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა; სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“, — ჩააკაჭკაჭა ბავშვმა.

— ესეც კარგად დაგიხსომებია, — მოუწონა ხუცესმა. — ჭეშმარიტად, შვილო, კაცისაგან განაწირს ღმერთი არ გასწირავს. ჩვენც არ გაგვწირავს, იმედი მაქვს. ღმერთო! — ხელი მაღლა აღაპყრო მღვდელმა, — შენ გაუმარჯვე ერეკლე და სოლომონ ბაგრატოვანთ, შეაძლებინე საბოლოოდ დაამხონ მტერი და ძვირის მოქმედი და ადიდონ სახელი შენი! მაგრამ, ეჰ, შვილო! — უკმაყოფილოდ სთქვა მღვდელმა. — ეს ყოვლისფერი კარგი, მაგრამ ჩვენ კი შუაგზაზე შემოგვიღამდა. მერე რა ბნელი ღამეებია! ნეტავ ახლა სადა ვართ?

— შავ ღელეს ვუახლოვდებით.

— კარგი, შვილო, ტყე ჩქარა გავიაროთ, ნუ გეშინია, ჩქარა ვიქნებით შინა... ეს, საკვირველია ჩვენი ხალხი! რაც გინდ უბედურება დაატყდეს თავს, რაც გინდ გაჭირვებული იყოს, თუ ღვინო ნახა, ყოველგვარი ჭირ-ვარამი დაავიწყდება. აბა, რა საჭირო იყო, იმდენხანს სმა-ჭამა საბრალო ლუკაიას სახლში? ცოლი რომ მოუკვდა, არ ეყოფოდა, აღაპშიაც ამდენი უხეირო ხარჯი არ გაეწია? მეც ხათრი ვერ გავუტეხე, დავრჩი და, აი, შუაღამე სადღაც ტყეში მიხდება ფორთხიალი, — უკმაყოფილოდ სთქვა ხუცესმა.

— აი შავი ღელეც, — სთქვა ბავშვმა...

— ჰხედავ, ბიჭო, რასმე? მე კი ვერაფერს ვარჩევ. მაინც რა უკუნეთი ღამეა! ოი, ძნელია, შვილო, სიბერე! შენ ჰასაკში მეც ისე ცქვიტად დავხტოდი ყოველგან, თვალი კატასავით მიჭრიდა, მაგრამ დრომ თავისი ქნა. ეჰ, სადა ხარ, ახალგაზრდობავ! რამდენი ამბები მახსოვს ამ ღელის პირას. ჰე, შვილო, ყური დამიგდე, რომ გაიზრდები, გაგახსენდება ჩემი ნათქვამი ამბები. მე მაშინ მონასტერში სწავლას ვათავებდი,

— ჩვეულებრივ ტკბილად დაიწყო ხუცესმა, — ის იყო სადიაკვნოდ ვემზადებოდი. ახლაც არ არის სახარბიელო დროება და მაშინ ხომ ჯოჯოხეთი იყო. მონასტერში კაცი მოიჭრა: არიქათ, გაიხიზნეთ. ოსმალები საცაა დაგვეცემიანო, მა...

მღვდელმა სიტყვა ვეღარ დაათავა... ერთი დაიკვნესა და ჯორიდან გადმოვარდა. ჯორი გამწარებით ტლინკებს ისროდა. ბავშვმა მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ ვიღაცას მაგარი ხელები მკლავებში ჩაებღაუჭა.

— ჩქარა ბურთი ჩასჩარე და ტომარაში ჩაავდინე, — ყურში მოხვდა ხვიჩას აღელვებით წარმოთქმული ჩურჩული. სხვა რა მოხდა იქა, ვერ გაიგო რა, რადგან შიშისაგან მაშინათვე გონება დაჰკარგა და როცა გონს მოვიდა, უკვე ცხენზე დაკრული სადღაც უდაბურ ტყეში ვიღაც უცნობებს გაჩქარებით მიჰყავდათ.

მეორე დღეს მთელი სოფელი შეშფოთებული ერთი მეორეს ეკითხებოდა:

— გაიგეთ, რა უბედურება დატრიალებულა? მარკოზ ხუცესი ჯორს გადმოუგდია და მოუკლავსო.

— ვაი, ახავაი! ვაი ახავაი! რა კაცი, რა ანგელოზი კაცი, რა საღმრთო კაცი! — ამბობდნენ გულდამწვარი სოფლელები.

IX

შავ ზღვაში აფრააშვებული ხომალდი მისცურავდა. ზღვის ლურჯი, ფაფარაქაფებული ტალღა ტალღაზე მოგორავდა და გემის კედლებს მრისხანედ ეხეთქებოდა — თითქოს დიდებული სტიქიონიც უკმაყოფილოა გემით და მისი დანიშნულებით, სურს შეანგრიოს სქელი კედლები და უფსკრულში ჩასძიროს ეს მრავალ ცოდვათა მტვირთველიო, მაგრამ კედლის სიმაგრეს ვერ უძლებდა, უანგარიშო წინწკლებად იყოფოდა და იფანტებოდა, რომ ხელახლა ერთ მტკიცე ძალად შეერთებულს, ახალი იერიში მოეტანა და უფრო მძლავრად სცემოდა. თუმცა ჯერჯერობით ხომალდი რჩებოდა გამარჯვებული, ის უშიშრად აპობდა ტალღებს და თამამად მიდიოდა სტამბოლისაკენ; სრულებით ანგარიშს არ

უწევდა ტალღათა შხაპუნს და არჩეული გზიდან არ უხვევდა, მაგრამ არც ტალღა ცხრებოდა; გამოცდილებით იცოდა, რომ მოვიდოდა დრო, ამოვარდებოდა ქარიშხალი, ჩაუნერგავდა მას არაჩვეულებრივ ძალ-ღონეს და მაშინ? ფრთხილად ხომალდო! შავ ზღვას არა ერთი და ორი შენისთანა ამპარტავანი და თეთრ ლეჩაქებით მორთულ-მოკაზმული თავქვე მოუქცევია და სამუდამოდ დაუსამარებია თავის უფსკრულში.

ხომალდის ერთ-ერთი დიდი ოთახი ძვირფას ხალიჩებით და ნოხებით იყო მორთულ-მოფენილი. სკამების მაგივრად ხავერდ-აბრეშუმ გადაკრული ბალიშები იყო ჩამწკრივებული. ოთახი კარგად ჩაცმულ-მოკაზმულ ოსმალებით იყო სავსე: ზოგი მათგანი ფეხმოკეცით იჯდა ბალიშზე, ზოგი ყავას მიირთმევდა, ან ყალიონს აბოლებდა, ზოგი წამოწოლილი იყო და სთვლემდა, ზოგიც გემის პატარა ფანჯრიდან თვალუწვდენელ ზღვას გაჰყურებდა.

ერთი მათგანი, სახით გამხდარი, თეთრწვერა მოხუცი, სხვებისაგან განირჩეოდა. ის ხნით ყველაზე უფროსი ჩანდა, სხვებზე უფრო მდიდრულად იყო ჩაცმული და წითელ ოსმალურ ქუდს ირგვლივ თეთრი დოლუბანდი ჰქონდა შემოხვეული. მას სხვები მორიდებით და პატივით ეპყრობოდნენ. ამას თვითონ მოხუციც გრძნობდა და ცოტა არ იყოს თავი ამაყად ეჭირა, ბალიშზე დაფიქრებული იჯდა და მსხვილ გიშრის კრიალოსანს აუჩქარებლად აჩხაკუნებდა.

— არა, რჯულის მადლმა, სრულებით არა ვარ კმაყოფილი ამ მოგზაურობით, — წყნარად სთქვა მოხუცმა და კრიალოსანი დააჩხაკუნა. — რა ხანია ამ გზაზე დავდივარ და ასეთი ხელნაკლები ჯერ არ წამოვსულვარ. სტამბოლში სირცხვილით თვალს ვერ გავახელ.

სხვებმა მოხუცს ლმობიერად შეჰხედეს.

— ვაჰ, რას ბრძანებ, პატივცემულო ეფენდი ალი-უსუფ! — მორიდებით მიუგო ბალიშზე წამოწოლილმა, კოხტად ჩაცმულმა ახალგაზრდა ოსმალომ. — შენც რომ წუწუნებ, ჩვენ რაღა გვეთქმის? შენ, პატივცემულო, ორმოცდა ათი ტყვე მაინც მოგყავს და ჩვენ ყველას ერთად იმდენი ვერ გვიშოვნია.

— ჰა, მართლაც და ესეც რომ წუწუნებს, — გამოეხმაურა ერთი შუახნის პირმოპარსული, ნაყვავილარი ოსმალო, — ჩვენზე მეტი რომ მოჰყავს, — ეს ხომ ცხადია, და შენ ის იკითხე, იბრაჰიმ, რა რჩეული ქალ-ვაჟები მოჰყავს! ერთი ორი გოგონა ისეთი ურევია, რჯულის მადლმა, რომ ფადიშაჰის ჰარამხანაც არ დაიწუნებს.

— ეხ, იმ დღესაც მოვესწარი, რომ რაღაც ორმოცდაათი ტყვეც შურთ ჩემთვის, — დინჯად წარმოსთქვა მოხუცმა ალი-უსუფმა, — აბა, ერთი გემის პატრონს ჰკითხე, რამდენი ტყვე წამისხამს მარტო ამ გემით გურჯისტანიდან სტამბოლში... არ მოგიკვდეს იმის მეტი ალი-უსუფი, რომ მისთვის არც ფადიშაჰის ჰარამხანა იყოს მიუწვდომელი. არა ერთი და ორი ჩემ მიერ მოყვანილი გოგო მოხვედრილა იქ. ფაშებზე და ნაზირ-ვეზირებზე ხომ არას ვიტყვი. ისინი ჩემს სტამბოლში დაბრუნებას ისე შეხაროდნენ, როგორც მართლმორწმუნე წმინდა ალიას დღესასწაულს. მერე რა იაფი იყო მაშინ ტყვეები! ახლა მხოლოდ ფოთის ფაშის ხელიდან გამოდის ტყვეები, მაშინ კი ვინ გინდოდა, რომ ტყვეებს არ ყიდდა: თავადი, აზნაური, კერძო პირი... ერთხელ, წმიდა ყურანს ვფიცავ... რა ქვია ე? მაგათ მოლათმოლას, თავზე დიდ კოთხოს რომ იხურავს... მგონი, ჭყოინდელს ეძახიან... იმას, ყმაწვილო, ერთი ქარვის კრიალოსანი ვუფეშქაშე და ერთი ქალი და ორი ვაჟი გამომიგზავნა. რა იაფობა, რა იაფობა იყო! ალლაჰ, ალლაჰ! განა შენ თვითონ არ გახსოვს, ზაიდოლ, — მიუბრუნდა მოხუცი ჩოფურას, — ერთხელ იმდენი ტყვე წავასხით, რომ ტრაპიზონში, სამსუნში და სტამბოლშიაც, ყავახანებში, ნაღდის მაგივრად ტყვეებით ვუსწორდებოდით. ახლა რაა? განა ეს ვაჭრობაა? ზარალის მეტი შიგ არა ყრია რა. რაც მიმყავს, ესენი თუ დავასაღე, ვფიქრობ, სულ ხელი ავიღო ამ ხელობაზე.

— შენ კი სულაც ხელი აიღო, არა გიჭირს რა მაჰმადის იმედით, მაგრამ ჩვენი უნდა იკითხო, — შენიშნა ახალგაზრდა იბრაჰიმმა.

— რათ გამახსენდება მაინც ის წინანდელი დროება! — გულ-

დაწყვეტილად სთქვა ჩოფურა ზაიდოლამ. — ორი წელიწადი რომ დამცლოდა, ეფენდი რომ ბრძანებს ისეთი, მეტი მეც არ მინდოდა. კაი, გაუწყრა ალლაჰი, რა დროს გაფუჭდა საქმე?

— მართლაც და, რა მიზეზია, მართლმორწმუნენო? — იკითხა ერთმა ბალიშზე წამოწოლილმა, კბილებჩაჟანგებულმა ჭაღარა ოსმალომ. — რათ გაფუჭდა ასე უცბად საქმე? შარშან ხომ იმდენი ტყვეები იყო სტამბოლის მოედანზე, არც კი ეტეოდა. ეს სულ ჩემ ჯინაზე მოხდა, მე რომ წამოველი სავაჭროდ, ტყვეც გაძვირდა.

— ჰაი, ჰაი, სხვა მიზეზი რომ არა იყოს რა, ამას ჩვენც დავდებდით წამალს, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, შენ ქრთამს მაინც მოგცემდით, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ნამდვილი მიზეზი ძნელი გასაქრობია და! — მოწყენით სთქვა ალი-უსუფმა.

— ეს სულ მაგ იმერეთის მეფემ სოლომონმა გაგვიფუჭა საქმე. ჩვენ ჭირად, ღვთის რისხვად გაჩენილა სწორედ ის გიაური, ისა!! — ამბობდა ზაიდოლა.

— ალლაჰ, ალლაჰ, — თავს აქნევდნენ ოსმალები, — ღმერთო, შენ ნუ დააცლი, ღმერთო, შენ ნუ დაცლი!

— ფოთის ფაშა მის სახელის გაგონებაზე ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა. სადღაც ორ-სამ ციხეშია კიდევ მართლმორწმუნეთა ჯარი გამაგრებული, თორემ სხვაგან ისედაც ვერ გაივლიანო, — ბრძანებდა ფაშა...

— ოჰ! შარშანწინ დიდი სირცხვილი აჭამა მაგ ჩამოსახრჩობმა ჩვენს მხედრობას, საშინლად დაგვამარცხა და კიდევაც აქედან დაიწყო ტყვეთა სიძვირე, — მოწყენით სთქვა ალი-უსუფმა.

— ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, — ამბობდნენ და თავს აქნევდნენ ოსმალები.

— იმას მაინც რა ღმერთი გაუწყრა, იმ ოდიშის მთავარს დადიანს? ის ხომ ჩვენი მეგობარი იყო? ტყვეთა ყიდვას გვიშლიდა კი არა, ხელსაც გვიწყობდა, — გაერია ლაპარაკში ერთი წითურა ოსმალო.

— ის ახლა იმ წყეული სოლომონის მოკავშირეა, — მიუგო ზაიდოლამ, — რასაც ის ეტყვის...

— რის მოკავშირე, ყურმოჭრილი ყმაა, — გააწყვეტინა ალი-

ეფენდიმ. — ახლა მთელი ქვეყნის, მთელი დასავლეთ გურჯისტანის ბატონი სოლომონია. სანამ ის არ დამარცხდება, ჩვენი საქმე წაგებულია!

— ვაი დედასა, ალლაჰ, ალლაჰ! — ბრაზით თავს აქნევდნენ ოსმალები.

— არა, მომითმინეთ! ჭეშმარიტებას თუ მათქმევინებთ, აქ კიდევ სხვა მიზეზიცაა. წყეულ სოლომონს აღმოსავლეთ გურჯისტანიდანაც აქვს ზურგი გამაგრებული. იქ ხომ ახლა ერეკლე მეფობს. იმან ხომ ლეკთა და ყიზილბაშთა ძალა გაანადგურა, განჯა და ერევანი დახარკა, ტყვეთა გაყიდვა სრულებით აღმოკვეთა და, ღმერთი არ დააცლის, თორემ, თუ ასე მიჰყვა, შენი მოსისხლე მტერი, შენ როგორ გგონია, სრულებით უბოდიშოდ ფადიშაჰის მხედრობის წინააღმდეგაც გამოილაშქრებს.

— ალლაჰი არ დააცლის, ალლაჰი არ დააცლის! — ხმაურობდნენ ოსმალები.

— ასეთ პირობებში, რა გასაკვირალია, რომ ტყვე ნაკლებ მოგყავდეს; რაც მოგვყავს, იმაზედაც მადლობა უნდა შევწიროთ დიდებულ ალლაჰს, — სთქვა კბილებჩაჟანგებულმა ოსმალომ.

— კიდევ ღმერთმან აკურთხოს ის ზოგიერთი თავადები, მიუხედავად სიძნელისა და შიშისა, კიდევ ახერხებენ ჩუმჩუმად. თურმე ნუ იტყვით, კაცნო, მაგ გიაური სოლომონი, თუ შეატყო ვისმე ტყვეთა გაყიდვა, დააჭერინებს და თვალებს დაათხრევინებს ხოლმე! ის აშენებულები თავს მაინც არ ზოგავენ და ცოტ-ცოტად მოჰყავთ ტყვეები ფოთის ფაშასთან და ისიც ჩვენზე ჰყიდის, — სთქვა ჩოფურამ.

— ალლაჰმა აკურთხოსთ, ალლაჰმა აკურთხოსთ! საკვირველია, რატომ ისინი მართლმორწმუნეობაზე არ გადმოვლენ! — ამბობდა კბილებჩაჟანგებული.

— ეხ! ალლაჰმა ადღეგრძელოს, რა თქმა უნდა, ფოთის ფაშაც, მაგრამ ძვირად კი ჰყიდის ტყვეებს! ეს მეტისმეტია, ძმაო! ახლა ჩვენ რომ ჩავალთ, უეჭველია, ფასიც დიდი უნდა დავადვათ. აბა, ისე მუქთად თუ გავყიდეთ, რა გამოვიდა,

ვირის მხედნავი ხომ არ ვართ. შენ ნახე, რა ალიაქოთი ატყდეს სტამბოლის ბაზარზე, — წარმოსთქვა იბრაჰიმმა.

— ეჰ, რაც არის, არის, მართლმორწმუნენო! — ანუგეშა ყველანი ალი-უსუფმა. — დიდებული წინასწარმეტყველი არ დაგვივიწყებს, შეირყევა წესრიგი, დაგვიდგება ისევ ძველებური დრო. მე, აგერ ორმოცი წელიწადი გავიდა, რაც ტყვეთა ყიდვის საქმეში ვარ გართული. თქმა არ უნდა, დიდი გამოცდილება მაქვს მიღებული. მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს, ალლაჰს ვფიცავ! კაცნო, ამდენი ტყვე ჩვენ გავზიდეთ გურჯისტანიდან, ამდენი ეხოცებათ ურთიერთ ბრძოლაში, ამდენი იჟლიტება გარეშე მტერთან ბრძოლაში და მაინც რომ არ ამოწყდნენ სრულებით ეგ საერანენი?

— გიაურს რა ამოწყვეტს, გვიმრასავით მრავლდება, — შენიშნა კბილებჩაჟანგებულმა ოსმალომ.

— რას ამბობ, ალლაჰმა უკეთ არ იცის? — მიუგო იბრაჰიმმა. — სრულებით რომ ამოწყდნენ, მაშინ ტყვესაც ვერ ვიშოვნით საყიდლად...

— კიდევ ვიმეორებ, მართლმორწმუნენო! წინასწარმეტყველს მიანდეთ თქვენი საქმე და ის უკეთ წარმართავს, — სთქვა ალი-უსუფმა, — მე კი ჩემი თავი და ჩემი საქმე კვლავაც იმისთვის მიმინდვია... მან...

— ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! — კვერი დაუკრეს სხვებმა.

— ახლა კი ერთი თვალი უნდა მოვატყუო, წუხელ ძლიერ ცუდად მეძინა. ალმასხან! — მიუბრუნდა ერთ-ერთ ოსმალოს, — წადი, თუ ძმა ხარ, და ტყვეები დაათვალიერე. იმ პატარა ბიჭს, ფაშამ რომ მიფეშქაშა, პური აუტანე, არ მოაშიო. მაინც სულ ტირის ის შეჩვენებული! რომ დამშვიდდებოდეს ის წყეული, ფერ და ხორცში მოვა და უეჭველად კაი ფასად გავყიდი. იმას უსათუოდ ეგვიპტელი მამელუკები იყიდიან. ძარღვიანი და მაგარი ბიჭია, ამასთან ისეთი ცქვიტი და მარჯვე, რომ ერთი წამოუძახო, ამ ბაქანიდან ზღვაში გადაფრინდება. ქორივით თვალებს აბრიალებს. ფაშამ მითხრა, კინაღამ ციხიდან გამეპარაო.

— საჭურისად გაყიდე, ეფენდი, კაი ფასს მოგცემენ, — შენიშნა კბილებჟანგიანმა.

— რას ამბობ! საჭურისად კი რაა, ბავშვს ნამდვილი მეომარი მამელუკის სახე აქვს. კაცი დავბერდი ამ ხელობაში და ყმაწვილს არ ვცნობ, ვინ სად გამოდგება? — მიუგო ალიუსუფმა, ბალიში თავქვეშ ამოიდო და მიისვენა.

რამდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ზოგი ყავას მიირთმევდა, ზოგი ყალიონს ეწეოდა, ზოგს ეძინა...

— შესამჩნევად კი გვარწევს, აი, იბრაჰიმ, — მიმართა ჩოფურა ზაიდოლამ და გემის პატარა მრგვალი სარკმლიდან ზღვაში გაიხედა, — ერთი შეხე, რა დიდი ტალღები ადის და ჩადის!

— არაუშავს რა, — გულდამშვიდებით მიუგო იბრაჰიმმა, — ზღვის ღელვის მეტი რა გამოგვიცდია, რაც გავჩნდით, სულ ზღვაში არ დავცურავთ? ზღვა და ღელვა, მეგობარო, ისეთი განუშორებელია, როგორც ქუხილი და ელვა.

— ეს მეც ვიცი, მაგრამ ამ ცოდნაში სანუგეშო ბევრი არაფერია! მე სრულებით არ მინდა ხელმეორედ გამოვცადო ის, რაც ერთხელ, იმ ხუთიოდ წლის წინათ გამოვცადე სამსუნ ქალაქის ახლო. თუ ეს ზენაქარი არ ჩადგა, შენი მტერი, დღესაც უარესი მოგვივიდეს. საძაგელი ზღვა კი არის ეს პონტის ზღვა.

— შენ ამ სიბერის დროს რაღაც ზღვის შიში ჩაგვარდნია, ზაიდოლ! გინდა ერთი გადაგიყარო სევდა და დარდი? მოდი, ვითამაშოთ ნარდი.

— ყაბული მაქვს, — მიუგო ზაიდოლამ. — რაზე ვითამაშოთ?

— რაზედაც გინდა.

— თითო ყურუში?

— ვა, ყურუში რაღაა! გლახაკები ხომ არა ვართ?

— მა რა გინდა?

— თუ ვითამაშებთ, რამე რიგიანზე ვითამაშოთ.

— მაინც?

— თუ მოგიგე... მხარბეჭა ვაუკაცთ რომ გირევია ტყვეებში, ახალციხელი, ის ჩემი იყოს.

— ვა! გაგიჟდი? რას ამბობ, გონზე მოდი! ის ერთადერთი მიმყავს თვალსაჩინო და ისიც ნარდში წავაგო?

— ჯერ გაიგე, და! არ გესმის, რას გეუბნები? თუ მოგიგეთქი. განა არ შეიძლება შენ მომიგო?

— მე თუ მოგიგე, რას მომცემ?

— ჩემი გრძელთმიანი ცირა შენი იყოს.

— პახ, პახ, პახ, — წამოიძახა ჩოფურამ და თვალები გაუღვივდა.

— ჰა? მოგწონს განა? არ არის ბარი-ბარი შენს ახალციხელთან?

— ე... იფ, თუ თვალები დაგთხარე, მოგიგე და ხელში ჩავიგდე! შენი გულისა, როგორც კაცი, არ გავყიდი. მე თვითონ ჩემ ჰარამხანაში წავიყვან, — აღტაცებით ამბობდა ჩოფურა ზაიდოლა, — მაგრამ თუ წავაგე? ვაი, მაშინ ხომ ფუჭად წამივიდა ეს მოგზაურობა... ცუდი საქმე მომივა რჯულის მადლმა, ზარალ, ზარალ! — საორჭოფოდ თავს აქნევდა ზაიდოლა.

— შენმა მზემ, ერთი ჩემი ზარალიც იკითხე და, თუ წავაგე! ვითომ შენზე ნაკლებ ვიზარალებ? ამ სიძვირეში ცირას ფასი უკანასკნელი ათასი ყურუშია.

— ეეხ, მოდი, რაც იყოს, იყოს! დავხუჭო თვალები და გავბედო? ახ, ბედო, თუ სადმე? აალლაჰ! — ხელებ ზეაპყრობით წამოიძახა ჩოფურამ.

— ალლაჰ! — შეევედრა იბრაჰიმიც და კამათლები ხელში აიღო.

— ვინ უნდა დაიწყოს?

— ვისაც ნაკლები მოუვიდეს, — იბრაჰიმმა კამათლები გადაადგო.

— აჰ! დუ! — დაიძახა მან.

— ჰოჰ! შაში! — ამბობდა ზაიდოლა. — შენ ნაკლები მოგივიდა. დაწყება შენია.

— კარგი, მოდის! — სთქვა იბრაჰიმმა და კამათლები გააგორა, —ჩარუ-ფანჯი, ოო... ეს ჩარუ, ეს ფანჯი.

— შაშ-ბეშ! — იძახდა ზაიდოლა. — ეს შაში, ეს ბეშ!

— დუ-ბარა! ვა, ეს რა ნავსი კამათლები მოდის! — უკმაყოფილოდ სთქვა იბრაჰიმმა.

— დუ-შაში? ერთი მოდი და, შე გიაურების სათრევო! —

წახალისდა ზაიდოლა და კამათლები გააჩხაკუნა, — ე... ეხ! ფანჯუ-იაქე მომივიდა, ნავსად დასარჩენი, — იმედგაცრუებულად დაუმატა მან.

— ჰაჰ! ერთი შეხედე და, — წამოიძახა თვალებგაბრწყინებულმა იბრაჰიმმა. —დუ-შაში! შენ კი გენაცვალე, მაჰმად, სულში!

— ვაჰ, არ უყურებ მაგ ყურუმსაღსა! — შურით წარმოსთქვა ჩოფურამ, როცა დარწმუნდა, რომ იბრაჰიმს მართლა დუ-შაში მოსვლოდა.

— მოდი შე ოხერო რაღა? ჰა! შაშ-ჩარი! ჰო, ამასაც არა უშავს რა, — გული დაიიმედა ზაიდოლამ.

— ვითომ ჩემ ცირაზე ხელი ამაღებინო გინდა რაღა?

— წინასწარმეტყველის იმედით, — სასოებით ამბობდა ჩოფურა.

— წმინდაო ალია, თუ შენ შემეწევი და იმ ახალციხელს ხელში ჩამიგდებ... — აღთქმას სდებდა იბრაჰიმი.

— ჰა, კარგი, ითამაშე, — აჩქარებდა ზაიდოლა.

— დამაცადე ერთი, არც შენა გაქვს დაკვანწული საქმე, — მშვიდად მიუგო იბრაჰიმმა და კამათლები გააგორა.

— შაში-ფანჯი! ეს შაში, ეს... იქ... მოიცა, საშიშია... დამიკეტავს მაგ პირძაღლი... არა, ასე იყოს... აჰა, ესეც ფანჯი!

— ახლა, თუ დუ-შაში მომივიდა, ხომ გამოგიბრიცე თვალები! — აღიზიანებდა ზაიდოლა. — სე-დუ, ღმერთიც გასწყრომია. ვაჰ, მართლაც და, არ მომიგოს მაგ გიაურების სათრევმა!

— მაშ, რა გგონია! თავის ქება ბრძოლის შემდეგ უნდა! ჰა, იფ ერთი შეხედე და, დუ-შაში, ალია, შენ კი გენაცვალე სულში, — სიხარულით წამოიძახა იბრაჰიმმა, — ახლა როგორ გინდა? დავ!

— მოვიდეს. შეგიშინდები გგონია, თუ? — მიუგო ზაიდოლამ.

— რამდენი მოვიდეს?

— რამდენიც გინდა.

— ორმოცი ყურუში!

— ყაბული მაქვს... სე-დუ, ფუ შენს გამომთლელს!

— შაში-ჩარი!

— დუ-შაში? ვააჰ, ალლაჰ, ალლაჰ! — ისე მძლავრად წამო-

იძახა ჩოფურამ, რომ მძინარე ალი-უსუფი შეინძრა და რაღაც ჩაიწმუკუნა.

— დავბა-სე, გინდა? — დაეკითხა ჩოფურა.

— ზაიდოლ! ძლიერაც ნუ თავხედობ! — გაჭიანურებით შენიშნა იბრაჰიმმა.

— დავბა-სე-მეთქი, — განიმეორა ზაიდოლამ.

— კარ...გი, თამაშობა ხომ ჩემია. ესეც ჩარი-სე.

— ფანჯუ-სე.

— დუ-შაში.

— ჰოი, შე შეჩვენებულო! — წყენით წამოიძახა ჩოფურამ, ერთერთი კამათელი აიღო და ნარდის ფიცარზე დაანარცხა...

— ჯერ რას ცხარობ, ბოლო ვნახოთ, და! — მშვიდად ამბობდა იბრაჰიმი.

— ალი-უსუფ! ზაიდოლ! იბრაჰიმ! — ყვირილით შემოიჭრა ამ დროს გემის უფროსი. — ტყვეები ჩხუბობენ. შენ რომ სქელ-სქელი კაცი მოგყავს, რა ჰქვიან ახალციხელია, თუ რა ჯანდაბაა, დიდი შფოთის მოყვარე ვინმე ყოფილა. რატომ მაგისთანებს ხუნდს არ ადებთ, კაცნო!

ყველანი წამოიშალნენ.

— რა მოხდა? რა ამბავია? ესენი ხომ... — ბუტბუტებდა ალი-უსუფი და თვალებს იფშვნეტდა.

— ალი-უსუფ! მიშველე... ტყვეები აჯანყდნენ, — აღელვებით ამბობდა გემის უფროსი.

ყველანი საჩქაროდ გემის ბაქანისაკენ გაემართნენ.

— რა დროს შემიშალეს ხელი მაგ წყეულებმა, უეჭველია მოვიგებდი, — ფიქრობდა იბრაჰიმი და უკმაყოფილოდ თავს აქნევდა.

— ალლაჰ! ალლაჰ! რანაირად შესცდება კაცი? როგორ ავყევი მაგ ცხოველ ეშმაკს და კინაღამ არ ვიზარალე? სწორედ ბეწვზე ეკიდა ჩემი საქმე, ერთი ორი თამაში და მოიგებდა მაგ პირძაღლი, — ფიქრობდა ჩოფურა ზაიდოლა. — ყოჩაღ ჩემო, ახალციხელო! რა კაი დროს აუტეხია აურზაური! მე შენ დაგაფასებ, თუ ბიჭი ვარ. ორ-ორ პურს ზედმეტს მოგცემ ყოველდღე.

X

გემის ფართე ბაქანზე ტყვეები უთავბოლოდ ეყარნენ. მათში რამდენიმე ჭაღარაც ერია. უმრავლესობა კი, ქალი თუ კაცი, ახალგაზრდობა იყო, ათიდან ოცდაათ წლამდე. ზოგს ფეხზე სრულებით არაფერი ეცვა. ზოგს რაღაც ჭინჭებში ჰქონდა ფეხები შეხვეული, ზოგს ზედატანიც რაღაც ნაფლეთებით ძლივ-ძლივობით ჰქონდა დაფარული. აქა-იქ, ტყვეებს შორის, წითელქუდიანი ოსმალებიც მოსჩანდნენ, უშველებელი შოლტით ხელში. ესენი ტყვეთა მეთვალყურენი იყვნენ. თავიანთ შოლტებს ისინი ხშირად ძლიერ მარჯვედ ხმარობდნენ. სულ მცირე რამ მიზეზისათვის, ზოგჯერ ისე, თავშესაქცევადაც, გადაუტყლაშუნებდნენ ხოლმე უბედურ ტყვეებს ტიტველ მხარ-ბეჭზე.

სიცივისა, შიმშილისა და ხმელ იატაკზე პირუტყვივით გდებით არაქათგამოლეულნი და ბევრი ტირილისაგან თვალებჩალურჯებულნი ეყარნენ თავისთვის, ვინც სად მოხვედრილიყო. დაღვრემილნი, გულმოკლულნი და სასომიხდილნი, დამფრთხალი ნადირივით აქეთ-იქით იყურებოდნენ, თითქოს თავიანთი მდგომარეობა თვითონაც არა სჯერათო... ხანდისხან ზოგიერთთა თვალებში იმედის ნაპერწკალიც ანათებდა, ალბათ, ეს იყო ნაყოფი ან მხურვალე ლოცვისა, ან ტკბილი ოცნებისა. მაგრამ დრო მიდიოდა, შველა კი არსაიდან სჩანდა და მოსალოდნელიც არსაიდან იყო. ირგვლივ პირქუში, მოუსვენარი, წამდაუწუმ ამავალ-დამავალი ზღვა სჩანდა. წინ წყალი, უკან წყალი, მარჯვნივ წყალი და მარცხნივ წყალი...

მაღალი ანძის ძირს ახალგაზრდა ტყვე ქალი იჯდა. ტანთ ეცვა შედარებით სუფთა, შინ მოქსოვილი ბამბის კაბა. თვალებზე ლეჩაქი ჩამოეფარა და თითქმის სულ ტიროდა.

ტიროდნენ და მოსთქვამდნენ სხვებიც. ოხერი კაცის გული ყოველგვარ მდგომარეობას, ყოველგვარ უბედურებას შეეგუებ-შეეთვისება. ზოგმა უკვე გამოიტირა თავისი თავი. ინაღვლა, იტირა, თავი ქვას ახალა... ბოლოს ხელი ჩაიქნია და მომავალს გულგრილად დაუწყო ყურება.

განსაკუთრებით ჩქარა შეეჩვივნენ თავიანთ ახალ მდგომარეობას ახალგაზრდები. თავდაპირველად ისინი სხვებზე მეტს სწუხდნენ, ბღაოდნენ, ხელებსა და ფეხებს აქნევდნენ, მაგრამ ისევ ჩქარა დამშვიდდნენ და ჩქარა სიცილ-თამაშიც დაიწყეს, თუმცა ხანდისხან გადაეკვროდა ბინდი მათ პირისახეს, გაახსენდებოდათ მშობლები, სახლ-კარი, სამშობლოს ველ-მინდვრები, აუტოკლებოდათ ახალგაზრდა გული, აემღვრეოდათ თვალები და ცრემლი, ცრემლი, ერთადერთი მათი ნუგეში, კამკამით ჩამოვარდებოდა იმათ ლოყა-ნიკაპზე.

— ჰასან, რა ვუყოთ, სულ ტირის და ტირის ის წყეული ქალი? მესამე დღეა, რაც ფოთი დავტოვეთ, და კიდევ არა ცხრება ის გიაურის შვილი, — სიცილით უთხრა ერთმა მეთვალყურემ მეორეს, — რჯულის მადლმა, ყურთასმენა წაიღო მაგის მოთქმა-წუწუნმა.

— გინდა, დავამშვიდო? მაგის ვაი-ვაი მეც არ მაძლევს მოსვენებას. წუხელ ისეთ დროს გამომაღვიძა მაგის გოდებამ, ისეთი კარგი სიზმარი გამაწყვეტინა, რომ კინაღამ მივედი და გადავუჭირე ეს ჩემი მათრახი.

— ალბათ, ქმარი თუ აგონდება. ო... ხო, ხო, ხო!.. — უშნოდ დაიღრიჯა ოსმალო.

— ჩვენ აქ რა ვართ? ვითომ ჩვენზე უკეთესი ვაჟკაცი იქნებოდა მისი ქმარი? მართლმორწმუნე პირისახით რაც გინდ უშნო იყოს, გიაურს მაინც სჯობიან, — ამაყად წარმოსთქვა ჰასან მეთვალყურემ და მტირალ ქალს მიუახლოვდა.

— ეი, შენ, ჰაანუმ! ა, ჰაანუმ! თირილი რა თირილი, გაჩუმდა, გაჩუმდა... შენი არ... ესმის? — დამტვრეული ქართულით მიუბრუნდა ოსმალო მტირალ ქალს.

გაოცებულმა ქალმა პირისახეზე მიფარებულ ლეჩაქს გადასწია და შავგვრემანი, ცრემლით დანამული თვალებით ოსმალოს შემოხედა...

ვნებათა ღელვით გაბრუებულმა ჰასანმა ერთი ხელი ქალს მხარზე უბოდიშოდ დაადო და მეორე ძუძუებისაკენ წაიღო.

ქალმა შეჰკივლა, მოძალადეს ხელი ხელში სტაცა და ასადგომად წამოიწია, ოსმალომ კი ხელი კისერზე მაგრად

შემოჰხვია და საკოცნელად მიიწია, მაგრამ ამ დროს ვიღაცის ხელი ისე მძლავრად მოხვდა ბეჭზე, რომ საჩქაროდ ქალის ხელი უშვა და გაცოფებულმა უკან მოიხედა. მის გვერდით ტყვე იდგა — ასე ოცდაათი წლის კარგა ჩასკვნილი ვაჟკაცი. ტანზე დახეული ჩოხა ეცვა, თავზე ნაბდის პატარა ქუდი ეხურა.

— შე ურჯულოვ, შენა! მაგას თავისი მწუხარება და დამცირება არ ეყოფა, რომ შენც ნამუსი არ ახადო? მაგის ლეჩაქი შენთვის დამიხურავს ემაგისთანა ვაჟკაცობისათვის, — დასჭყივლა თვალებანთებულმა ტყვემ.

— ოჰ, გიაურ! ვის უბედავ ხელის მიკარებას, — წამოიძახა ოსმალომ და ქამარში გარჭობილ შოლტისაკენ ხელი წაიღო, მაგრამ ტარზე ხელის მოკიდება და მომარჯვება ვერ მოასწრო, რომ გემის ბაქანზე პირაღმა გაშხლართული იწვა.

შეიქმნა ერთი ალიაქოთი. ტყვე ქალებმა წივილ-კივილი ასტეხეს. საჩქაროდ მოცვივდნენ მეთვალყურეები და უმოწყალოდ მოურთეს შოლტი მოჩხუბარ ტყვეს. გამწარებულმა ხელი გაიქნია. სწვდა ერთ-ერთ მეთვალყურეს, წაართვა შოლტი და თვითონაც გადუჭირა მარჯვნივ და მარცხნივ. რა თქმა უნდა, ტყვესაც ბევრი მოხვდა, ნახევრად ტიტველი ზურგი ბევრგან ლურჯად აებურთა, მაგრამ ორი-სამი მეთვალყურე მაინც კიდევ მიაწვინა. ამის შემყურე დანარჩენმა ტყვეებმაც ვერ მოითმინეს, წამოიშალნენ, დაავლეს ხელი რაც მოხვდათ...

ჩქარა გემის უფროსი, ვაჭრები და სხვა შეიარაღებული ბიჭებიც გამოჩნდნენ.

— რა ამბავია? რა მოხდა? დაწყნარდით, დაშოშმინდით! — იძახოდა ალი-უსუფი.

მათ დანახვაზე ტყვეები ცოტ-ცოტად დამშვიდდნენ.

— აი ამან, აი ამან, ეფენდი! — უთითებდა ერთი მეზღვაური ოფლში გაწურულ ზურგ გასისხლიანებულ ტყვეზე, ამან ასტეხა ჩხუბი, მეთვალყურე ჰასანს სულ ცხვირიდან ძმარი ადინა.

— ეს ხომ ზაიდოლას ახალციხელია! — გაისმა რამდენიმე ხმა.

— უეჭველია, მაგი იქნება ამბოხების თავი... — ყვიროდა იბრაჰიმ. — დაჰკათ მაგას ასი შოლტი!..

— მოიცა, ნუ ჩქარობ, გავიგოთ, რაშია საქმე, — აუჩქარებლად წარმოსთქვა ალი-უსუფმა.

— ასი კი არა ორასი უკვე დაურტყამთ... მიზეზი უნდა ვიცოდეთ, — უკმაყოფილოდ ამბობდა ზაიდოლა.

— რაც გინდა იყოს, ასეთი მოვლენა გემზე მოსათმენი არაა! ერთი ორი ჩემი მეზღვაურთაგანიც ნაცემია, — ყვიროდა გემის უფროსი...

— შფოთის ამტეხს და უნამუსოს რატომ ორასიც არ ერგება? — დაიყვირა მოთმინებისაგან გამოსულმა ერთმა ჭაღარა ტყვემ. — ოსმალებო, თავს ნუ ირცხვენთ! უსამართლოდ ნუ ირჯებით! გვაკმარეთ ამდენი დამცირება, თორემ იცოდეთ, ჩვენც დავიღუპებით, მაგრამ თქვენც ამოგაყოფინებთ თავს ამ ზღვის უფსკრულში! სულერთია, რაღა დაგვრჩენია ამის მეტი! მაინც დაღუპულნი არა ვართ? ღვთისა და კაცისაგან განწირულნი და მოძულებულნი!

ჭაღარას სხვებიც მიჰყვნენ. ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ, ყველამ თავი წამოჰყო.

— დაე ყველას სათითაოდ ყელი გამოგვჭრან. რა დაგვკარგვია, ამ ქვეყნისა მაინც ხომ აღარა ვართ! — ყვიროდნენ ტყვეები.

— დაჩუმდით! დაწყნარდით! გამაგებინეთ, რაშია საქმე? იძახოდა ალი-უსუფი, მაგრამ არც ისე ადვილი იყო მოთმინებიდან გამოსულ, გააფთრებულ ტყვეთა დაცხრობა. როგორც იყო, ცოტ-ცოტად გამოირკვა შფოთის ატეხის ნამდვილი მიზეზი.

— არც ასე შეიძლება, ალლაჰს ვფიცავ, — დინჯად ამბობდა ალი-უსუფი, — ყოველნაირ საქციელს საზღვარი უნდა ჰქონდეს... ამ შემთხვევაში ჰასანი შემცდარია. დედაკაცს ისე აშკარად, ისიც დღისით, ამგვარად არ უნდა მოპყრობოდა.

— მოპყრობოდა კი არა, ხელითაც არ უნდა მიჰკარებოდა! ცხარობდა ჩოფურა. — ჰასან ხომ ჩემი მეთვალყურე არ არის! რა უფლების ძალით ერეოდა სხვის საქმეში? მაგრამ ვიცი, ეს სულ იბრაჰიმის ოინებია!

— ერთი ჭკუაზე მოდი, და! — წამოჭარხლდა იბრაჰიმი — ჩემი კი არა, თუ მათქმევინებ, შენი ოინებია. ორი წუთი კიდევ რომ დამცლოდა, შენს ახალციხელს ნარდში მოგიგებდი—

— მე მითხოვნია, შენმა მეთვალყურეებმა ჩემს ტყვეებს ხელი არ ახლონ, — ყვიროდა ზაიდოლა და ქამარში ჩარჭობილ ფიშტოს მალ-მალ სინჯავდა.

— გაგონილა? იწამეთ ალლაჰი! — ცხარობდა თავის მხრივ იბრაჰიმი. — კაცნო, ვერ გამიგია, რა ოინებს მწამებს ეს ადამიანი! ჩვენ ნარდს აი, იქ, გემის დარბაზში ვთამაშობდით, ფეხი იქიდან არ მომიცვლია...

— ერთი ახლა თქვენცა... როგორ გეკადრებათ, სოვდაგრებო! — ჩაერია გემის უფროსი. — პირველად მეც ტყუილად ავჩქარდი. სრულებით დამავიწყდა, რომ ეს გურჯები დაუცხრომელი ხალხია და მათთან სიფრთხილეა საჭირო. ღვთის გულისთვის, დაარიგეთ მეთვალყურეები, თორემ ხუმრობა იქით იყოს და ნუ გავაღიზიანებთ, თორემ საშიშია. როგორ გგონიათ? არ ყოფილა მაგალითი, რომ ტყვეებს გემი დაელუპოთ?

— აი ჭკუა! მაშინ რად არ გახსოვდა, როცა ხალხს ტყვეების საცემრად იწვევდი? — დინჯად შენიშნა ეფენდი ალი-უსუფმა. — შენც ფიცხი კაცი ხარ. იცოდე, არავითარ საქმეში აჩქარება და აღელვება არ ვარგა. რამდენს მეტს იყვირებ და იშფოთებ, იმდენს უფრო გააფუჭებ საქმეს. მეთვალყურეებს სასტიკი ბრძანება უნდა მივცეთ, დედაკაცებთან განსაკუთრებით ძლიერ თავდაჭერილად იყვნენ. მივიდეთ, ბატონო, სტამბოლში, ფეხი დავდგათ დედამიწაზე და მერე, ვისაც როგორ მოესურვოს, შენს ტყვეს, თუ გინდ სცემე, თუ გინდ ტყავი გააძრე, ვინ გიშლის? იქ ქე მაინც, შენ მიერ ჩადენილ საქმეზე შენვე აგებ მარტო პასუხს. აქ კი, შე ოხერო, რას ამბობ, ერთი მრუდედ გადადგმული ნაბიჯით შეიძლება თავიც დაიღუპო და ამოდენა ხალხიც დაღუპო.

ალი-უსუფმა გემის უფროსთან ერთად ტყვეები დაიარა, ზოგს უსაყვედურა, ზოგს მოეფერა, ზოგს დაემუქრა და ერთიორი საათის განმავლობაში ყველანი დააშშვიდა.

XI

თამამად აპობდა ხომალდი ზღვის ტალღებს და წინ მიეჩქარებოდა. მაისის მზემ გამოანათა და ერთნაირი პირუთვნელი ღიმილით მიესალმა ზღვასაც, გემსაც და ბედკრულ ტყვეებსაც.

გუშინ ჰასან მეთვალყურის მიერ შეურაცხყოფილი ქალი ჩვეულებრივ ანძასთან იჯდა. თავზე გადაგდებული ლეჩაქი პირისახეს სანახევროდ უფარავდა. დღეს ის არ ტიროდა, მხოლოდ მოწყენილი გაჰყურებდა თვალუწვდენელ ზღვის სირცეს.

მის გვერდით ათიოდე წლის ბიჭი იჯდა და გამხმარ პურის ქერქს კვნეტავდა. ბავშვს ტირილისაგან თვალები ჩალურჯებოდა, სახე ძლიერ გამხდარი ჰქონდა. თავისებური მოგრძო ცხვირი და ნიკაპი მოგაგონებდათ, რომ ეს ის ხვიჩა იყო, რომელიც ასე ვერაგულად მოიტაცეს უცნობებმა შავი ღელეს პირას და იმავე ღამეს ფოთის ფაშას მიჰგვარეს. ფოთის ფაშამ კი ბავშვი ეფენდი ალი-უსუფს უფეშქაშა. გემზე ასვლისთანავე ბავშვი ქალს მიეჩვია და არ შორდებოდა. ალი-უსუფსაც ჯერ-ჯერობით ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

— კიდევ გინდა ქერქი? — ალერსიანად დაეკითხა ქალი ხვიჩას.

— ქერქი კი არა, რბილ პურს მივცემ, — გაისმა ხმა და მათ წინ ახალციხელი გამოიჭიმა. ხელში ორი მრგვალი პური ეჭირა.

ქალი შეკრთა, წამოწითლდა და თვალები ძირს დაჰხარა.

— შენ რად სწუხდები... მეც... — არეულად მიუგო ქალმა.

— შესაწუხებელი რა მაქვს. შესაწუხებელი რეზოს გუშინ ჰქონდა, როცა შავი დღე ადგა, თორემ დღეს რა მიშავს. ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, ისე მომივიდა, ქალო სალომე, — აღტაცებით ამბობდა რეზო. — გუშინ, მართალია, ცოტა ამიწვეს ზურგის კანი მაგ ძაღლებმა, მაგრამ სამაგიეროდ დღეს ჩემმა ბატონმა ერთის მაგივრად ორი პური მომცა. შემდეგშიაც დამპირდა, ყოველ დღე ორ-ორ პურს მოგცემო... ვერ გამიგია! მე დამტუქსავდა მეგონა, ის კი ისე მომეფერა,

რომ... გაოცებული ვარ! გამიხმო ცალკე და, ყოჩაღ, ყოჩაღო, მეუბნებოდა და ხელს მხარზე მიცაცუნებდა... საცა თავისი დაიკვეხონ, იქ ჩემიცა სთქვან მაგ წუნკალებმა, — თავისთვის ჩაილაპარაკა რეზომ, პურის კარგა მოზრდილი ყუა მოსტეხა და ბავშვს გაუწოდა.

— ჰა, ხვიჩა, შვილო, ჭამე! — ტკბილად უთხრა მან, — შენ კიდევ არა გიშავს რა, ჯერ პატარა ხარ. ახალ ადგილას, ხალხს და ენას შეეთვისები. ვინ იცის, შვილო, რა კარგი ბედი გიძევს წინ. შეიძლება ისეთი კაცი გახდე, რომ შენ სახლში ისეთი კაცობა სიზმარშიაც არ მოგლანდებოდეს. ჩვენი საქმე უნდა იკითხო, ჩვენ უბედურების! ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, ოქრო-ვერცხლში რომ ვიჯდე, მაინც როგორ დამავიწყდება ჩემი სახლ-კარი, ჩემ მიერ დამყნობილი, ყოველწლივ აუარებელ ნაყოფის მომცემი ხეხილი... ჩემი პატარა, ერთი ბეწო ნუცა... პატარა დოქით წყალს რომ ამომიტანდა ბაღში და თავისი მოტიკტიკე ენით დამიძახებდა, „მამა, მამა, ტყალი მოგიტანეო...“ ვაი, მოგიკვდეს, შვილო, მამაშენი, — მკერდში ხელი ჩაიკრა ვაჟკაცმა და თვალებიდან მსხვილი ცრემლები გადმოუცვივდა...

— ნანა, შვილო, მოგიკვდეს დედაშენი! — მწარედ დაჰკვნესა ქალმაც.

ხვიჩაც ატირდა. თვალებიდან ლოყებზე ნაკადულად წამოსული ცრემლები ნიკაპთან ერთდებოდა და მსხვილ-მსხვილ წვეთებად პურის ყუას ეცემოდა.

— ე... ეხ! მინდოდა რამე სანუგეშო მეთქვა, — თავშეკავებით სთქვა რეზომ, — მაგრამ მაინც სამწუხაროზე გადავედი. ჩვენი მდგომარეობა ისეთი საცოდავია, ისეთი უმწეოა, რომ რაც გინდა გამაგრდე, მაინც საკაეშნოზე უნდა გადახვიდე, მაინც ცრემლით და ტირილით უნდა გაათავო.

— რეზო, ღმერთს გეფიცები, — თან ტირილით, თან ბრაზით წარმოსთქვა სალომემ, — პირდაპირ თათრებს მოვეტაცე, იმდენს არ ვინაღვლებდი. გულს ის მიკლავს, კაცო, ის ვერ მომინელებია, რომ ისევ ჩვენებმა, ჩვენმა ნათელ-მირონებმა მიღალატეს. ყოვლად წმინდაო, ნუ მისცემ ნურაფერს სიკე-

თეს და წარმატებას თავად ალმასხან წვერაძეს და მის ჩამომავალს... ოოხ! შხამად შეარგე მას ჩვენი პურ-მარილი...

— თავადის სახლში თუ მოხვდი, ქალო, რა გამიკვირდება, არ დაგინდობდა, — მიუგო რეზომ, — ჰაი დედასა, მძინარე მომიმწყვდიეს მთაში, თორემ მე მაგათ დედას აუტირებდი, მაგრამ რაღა დროსია! მადლობა ღმერთს, ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა!..

— ეს საცოდავი ბავშვი ორჯერ არის მონატაცები თურმე, — ამბობდა სალომე, — ერთხელ დედ-მამის სახლიდან და სანამ თათრებს ჩაუვარდებოდა ხელში, ვიღაც ღვთისნიერ ხუცესს გამოუსყიდნია და თავის სახლში დაუნარჩუნებია. შვილივით ეპყრობოდა თურმე, ზრდიდა, ასწავლიდა, თვალიდან არ იშორებდა, სულ თან დაჰყავდა თურმე. მაგრამ უღმერთოები ღამე გზაზე მიმავალს თავს დასხმიან და ბავშვი მოუტაცნიათ.

— თათრებსა?

— რის თათრებს, ვაჟო, ჩვენებურებს! იქნება იმ ხუცის მეზობლებიც იყვნენ.

— ჰაი დედასა, — თავს იქნევდა რეზო.

— თათრები ახლა, ბოშო, ჩვენში ბევრს ვერაფერს გაბედავენ. ისევ ჩვენიანები იკლებენ ქვეყანას. მელა-ტურასავით დაეხეტებიან დაუნდობლები და, თუ სადმე მოხერხებულ ალაგას მოიმწყვდიეს ვინმე, შებორკავენ, პირში ბურთს ჩასჩრიან და ოსმალებთან მიჰყავთ. აშკარად ახლა ჩვენებიც ვერაფერს გაბედავენ. მეფემ რომ შეუტყოს, თვალებს დასთხრის.

— სხვა არა მინდა რა, ერთი ეს ვიცოდე... ცოცხალია თუ არა მარკოზ ხუცესი, — ტირილით სთქვა ბავშვმა.

— ბიჭო, შენ რომ მოგიტაცეს, არაფერი დაიძახა?..

— ერთი კი დაიკვნესა და ჯორიდან გადმოვარდა... სხვა არაფერი დაუძახნია... ბნელი ღამე იყო... მე დამიჭირეს... სხვა არაფერი მახსოვს.

— მოჰკლავდენ ის უსვინდისოები, — უკმაყოფილოდ თავი ჩაიქნია რეზომ, — კაცი რომ გამხეცდება, ნადირზედ უარესია... ჩვენში კი, ქალო, მეფე ერეკლეს საბრძანებელში,

ემაგისთანები ვის გაუგონია. ყმის ტყვედ გაყიდვას იქ ვინ გაბედავს. მე სულ შემთხვევით მოვყევი, გაუწყრა ღმერთი... მე ბორჯომის ხეობიდან ვარ. შარშან ზაფხულ ახალციხის მთებში მოვყევი და იქ სულ უცაბედად ურჯულოთ ხელში ჩაუვარდი... ეეხ! დამშვიდდი, ქალო, — ლმობიერად უთხრა რეზომ... — აი ეს პური გაღეჭე, ათასიც რომ ვიდარდოთ და თავში ქვა ვიხალოთ, ვერას გავხდებით. ჩვენი საქმე მორჩომილია.

ქალმა პურის ნატეხი ნელა გამოართვა და რეზოს შეხედა. რეზო ოდნავ გაფითრებული იყო.

— დიდი მადლობელი ვარ შენი, რეზო, — მორცხვად ჩაილაპარაკა სალომემ, — გუშინ შენ არ ყოფილიყავი... — ქალმა სიტყვა ვერ დაამთავრა, ტირილი მოერია და ლეჩაქი თვალებზე მიიფარა...

— ნუ გეშინია, ქალო, — მტკიცედ უთხრა რეზომ, — სანამ პირში სული მიდგა, შენთვის ხელს არავის ვახლებინებ. — ქალმა თავი მაღლა აიღო, ლეჩაქს გადასწია, მათ ერთმანეთს შეჰხედეს და ორთავეს სახეზე ღიმმა გადაურბინა.

— ნეტავ როდის მოელება ბოლო ჩვენს ტანჯვას. ამ საზიზღარ გემს მაინც მოვშორდებოდეთ როგორმე! ვნახო ქე მაინც ჩემი საბოლოო ბედი... ალბათ, სადმე ადამიანებთან ვიქნები... ხეზე ხომ არ ჩამომკიდებენ... თუ გინდ ჩამომკიდონ, დამახრჩონ, ოღონდ ამ დამცირებას, ამ შეურაცხყოფას, რასაც ამ გემზე გვაყენებენ, მოვშორდე.

— გადავრჩებით, გადავრჩებით, ქალო, — მოწყენით მიუგო რეზომ. — მეზღვაურები ამბობენ: თუ ზღვა ძლიერ არ გაფუჭდა, ორ-სამ დღეში მივალთ სტამბოლშიო. ეეხ. სახარბიელო იქაც არა ყრია რა! აქ ჩვენ ენაზე ხმას მაინც ვცემთ ერთმანეთს, იქ კი გაგვთიშავენ და სააღდგომო ბატკნებივით თითო-თითოდ დაგვყიდიან.

— ვაიმე, ეს სრულებით არ გამხსენებია! — მწარედ წამოიძახა ქალმა და რეზოს თვალებში შეაჩერდა, — მერე ისე ვერ მოხერხდება, რომ ერთმანეთს არ დაგვაშორონ... რეზო?.. — ამბობდა ქალი და გაფითრებული ვაჟკაცს თვალს არ აშორებდა.

— ვეცდები, თუ გამოვიდა რამე, ჩემი ბატონი, რაც ის წუწკი აქ გავშოთე, კარგად მიყურებს. მივალ, შევეხვეწები, არ დაგვაშოროს ერთმანეთს...

— მეც თქვენთან მინდა ყოფნა, მე თქვენ არ მოგშორდებით! — წამოიძახა ბავშვმა და იმედით აღსავსე თვალებით რეზოს და სალომეს შეხედა.

— ხვიჩა, ნანა შვილო, ბედდამწვარი დედაშენი! — მიეალერსა ქალი და ბავშვი გულში ჩაიკრა. — რეზო! გესმის, რას ამბობს ეს ჯერ უსუსური ყრმა, ესეც ჩვენსავით უღმერთოთაგან ძალად დაობლებული და დამცირებული, მეც თქვენთან მინდა ყოფნაო! ჩვენ ვითომ რა სიკეთეს მოველით, რა ბედნიერ დღეს შევხარით, მაგრამ ერთადერთი ნუგეში მაინც ერთად ყოფნა დაგვრჩენია, ჰხედავ, ეს ბავშვიც ამით ნუგეშობს, თურმე... ღმერთო... — ძლივს წარმოსთქვა ქალმა, ბოლმა მოაწვა, სული ყელში მოებჯინა და მწარედ აქვითინდა. ატირდა რეზოც, სამთავენი ტიროდნენ.

ირგვლივ კი მრისხანე ზღვა თავისებურად შხუოდა, ფაფარგათეთრებული ტალღა ტალღას მოსდევდა, გემის კედელს ეხეთქებოდა და ზედ აკვდებოდა.

XII

სტამბოლის ტყვეთა მოედანზე ხალხი ირეოდა. სხვადასხვა ქვეყნებიდან გასაყიდად მოყვანილი ტყვეები აქ იყო თავმოყრილი. ვინ გინდოდა აქ რომ არ გენახა, შავკანიანი, წითელკანიანი, თუ ყვითელკანიანი. წინა წლებში უმრავლესობას კავკასიიდან მოდენილი ტყვეები შეადგენდნენ: ქართველები, აფხაზები, ოსები, ჩაჩნები... წრეულს კი მათი რიცხვი ძლიერ მცირე იყო, რაც საერთო ყურადღებას და გაკვირვებას იწვევდა.

ზოგი ტყვეები მინდორში ჰყავდათ გამოფენილი, ზოგიც სახელდახელოდ გაკეთებულ ფარდულებში. მყიდველები მოდიოდნენ, სინჯავდნენ, ზომავდნენ, ანჯღრევდნენ, ტყვეთა პატრონებთან ვაჭრობდნენ, ჩხუბობდნენ, ილანძღებოდნენ და, როცა ფასში მორიგდებოდნენ, ნაყიდ ტყვეს კისერში ბაწარს,

ან ჯაჭვს ხბოსავით აბამდნენ და შინ მიჰყავდათ. ეს ჩვენ დროში წარმოუდგენელი სისაძაგლე, მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მდიდარი სოვდაგრები ათობით ყიდულობდნენ ტყვეებს სხვადასხვა საჭიროებისათვის. ზოგს ჯარის კაცად, ზოგს მიწის მომუშავედ, ზოგს ხელზე მოსამსახურედ; ლამაზ ქალებს კი, რა თქმა უნდა, დიდკაცობის გასართობად და სასიამოვნოდ.

— დიდება ალლაჰს, დიდება ალლაჰს, — სასოებით ამბობდა და ნელ-ნელა, დინჯად ფეხს მოაბიჯებდა ჰუსეინ-აღა, მდიდარი სოვდაგარი და განთქმული ტყვეთ მყიდავ-გამყიდავი. ჰუსეინ-აღას მრავალჯერ მოულოცნია არაბეთის წმინდა ადგილები, ნაკითხ კაცად და რჯულის მცოდნედ ითვლებოდა. თავი მუდამ თოვლივით თეთრი დოლბანდით ჰქონდა შემოხვეული. ტანზე ჩინეთიდან მოტანილი ფარჩა-ქსოვილის გრძელი ხალათი ეცვა და ხელში ოქროთი მოჭედილი ჯოხი ეჭირა. ჰუსეინ-აღას თითქმის მთელი სტამბოლი იცნობდა.

— ჰუსეინ-აღა მოდის, ჰუსეინ-აღა მოდის! — გაისმა აქეთ-იქიდან ტყვეთა მოედანზე.

სხვათა შორის, ჩვენ ნაცნობ ეფენდი ალი-უსუფსაც აქ მოეყვანა თავისი ქართველი ტყვეები.

— არ ვიცი, რა ვუყო, ეფენდი, რომ არა ცხრება ის შეჩვენებული? ვერაფრით ვერ დავაშვიდე, — მოახსენა ერთ-ერთმა მეთვალყურემ.

— რომელი?

— აი პატარა ბიჭი, ფოთის ფაშამ რომ გიფეშქაშა, ხვიჩა რომ ჰქვიან.

— რის ხვიჩა! — გაჯავრდა ეფენდი, — მე ხომ მაგას მახმუტი დავარქვი, მახმუტი დაუძახე. განა კიდევ ტირის?.. მიფეშქაშა!.. ისე ამდგარა დილა ადრიან ფოთის ფაშის გვერდები, რაც მე იმან რამე მიფეშქაშოს! კარგი ფეშქაშია, შენ არ მომიკვდე... იმის ფასად, რაც მე მაგას საჩუქრები მივართვი, ხუთ ტყვეს ვიყიდიდი... რა მინდაო, ბიჭო, რა ატირებს?

— თავს იკლავს, რატომ ზაიდოლას დედაკაცს არ გამა-ყოლეთო.

— ვა, გაგიჟდა? ხუმრობს თუ! ერთი მაგ ლაწირაკს უყურე და! ბიჭო, ხომ არ შიან?

— თავზე საყრელს ვაძლევ, ეფენდი, მაგრამ დღეს პურისთვის ზედაც არ შეუხედავს. გემიდან გამოსვლისას, შენც კი უყურებდი, ეფენდი, კინაღამ ზღვაში გადიჩეხა. ამსიმსხო კაცმა ძლივ-ძლივობით დავიმაგრე. ისე ღონივრად გამწია მაგ სარივით წვრილმა ბიჭმა, რომ ჯაფარა არ მომშველებოდა, ორთავენი ტყლაშუნს მოვადენდით წყალში.

— ჰა, შეჩვენებული! ეგ სულ მაგ ზაიდოლას გაღიზიანებულია. მაგის ოინებს ეშმაკიც ვერ გაუგებს თავბოლოსა. არ გამიკვირდა? ჯერ კიდევ გზაშივე ჩამაცივდა, ბიჭი მომყიდეო. არ ვყიდიმეთქი. ორ დიდრონ ტყვეს მოგცემო, კაცო, თავი დამანებეთქი. ის მასწავლის, რომელ ტყვეს რა ფასი აქვს?

— მართლაც და, იმ ზაიდოლას ტყვე დედაკაცს ძლიერ შეეჩვია ბიჭი. გემზე სულ მასთან იყო. ერთმანეთს რომ დავაშორეთ, ის ქალიც საშინლად ატირდა, თითქოს საკუთარ შვილს აშორებენო.

— ეხ! რაღა დროის მაგისთანებია! დალოცვილები, მაგათი გულის ასაყოლად ვის-ღა სცალია... მაშ, დღეს პური არ უჭამია? ეს სასიამოვნო ამბავი ვერ მითხარი სწორედ... სახეზედაც ძლიერ გამხდარი იქნება.

— არც ისე, მაგრამ...

— სალამ-ალეიქ, სალამ-ალეიქ ჩემს ალი-უსუფს! როგორა ხარ? მე და შენ ხომ მუდამ უნდა ვიცხოვროთ, — გაისმა ჰუსეინ-აღას ხმა, — რა ცოტა ტყვეები ჩამოგიყვანია, ეფენდი, გურჯისტანიდან. რა ამბავია? შარშანწინ, მახსოვს, ამ მოედანზედ არ ეტეოდნენ და წრეულს საგანგებოდ უნდა ეძებო, რომ შეამჩნიო.

— ეხ, აღაჯან! გურჯისტანში არ მიდის საქმე კარგად, იღვიძებენ, მგონია, გიაურები. რაც ჩამოგვიყვანია, ისიც დიდის წვალებით, რჯულის მადლმა. მთელ დასავლეთ გურჯისტანში ახლა ერთი კავშირია იმერთა მეფის სოლომონის მეთაურობით. შეიტყობდით რა სირცხვილი აჭამა მაგ ურჯულომ მაჰმადის სახელს, რა საშინლად დაამარცხა მართლმორწმუნეთა მხედ-

რობა... ისე გაძლიერდა, რომ ყველა მთავრები, ბეგები, თუ აღები მის სახელის გაგონებაზე კანკალებენ... ტყვეთა გამყიდელებს სასტიკად სდევნის, მოურიდებლად თვალებსა სთხრის...

— სამწუხარო, ძლიერ სამწუხაროა, ფადიშაჰის დღეგრძელობამ, — დარბაისლურად სთქვა ჰუსეინ-აღამ.

— ლამაზი ქალები ხომ თავის წონა ოქრო გახდა, — განაგრძო ეფენდი-ალიმ.

— ეჰ, მაგ ლამაზი ქალების დავიდარაბას კარგა ხანია თავი დავანებე, ჩემო ეფენდი. ზარალია, სწორედ ზარალი მათი ყიდვა-გაყიდვა. დღეს შეჰხედავ, ლამაზია, ლოყა ბროწეულის მარცვალივით უღუის, ახალ გაშლილ ვარდს ჰგავს, ხვალ შეხედავ, მომაკვდავს დამსგავსებია... ზარალია, ზარალი... მე ახლა ქალების დავიდარაბის თავი არა მაქვს... ეხ, ეფენდი, ხათრი, ჯანიც არ არის საიმისო. ყოველ საქმეს თავისი დრო ჰქონია... გული მოდრკა, მოდუნდა, სიბერე შემეპარა... მე ახლა, ჩემო ალი-უსუფ, მიწის მუშები მინდა და, თუ რიგიანი ვიშოვნე, მეომრები... სამწუხაროა. ალლაჰს ვფიცავ, გურჯისტანში ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის საქმე ასე რომ შეფერხებულა. წინათაც მქონდა იქაური ამბები გაგონილი...

— რა ვქნათ, აღა რაც არის, ის არის. ალლაჰის მადლით ცოტ-ცოტა მაინც გვყავს, დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც...

— ალლაჰის მადლით, ალლაჰის მადლით! — ამბობდა ჰუსეინ-აღა და ტყვეებს ათვალიერებდა. გაიარ-გამოიარა ტყვეებს შუა, გახედ-გამოხედა, ზოგი გასინჯა, ზოგს დაელაპარაკა, — კარგი, კარგი, ძლიერ კარგი, მაგრამ ძლიერ ცოტაა. ასეთი ქესატობა ჯერ მართლაც-და არ მინახავს, — აუჩქარებლივ ამბობდა ჰუსეინ-აღა და ოქროთი თავმოჭედილ ჯოხს მიწაზე ახაკუნებდა.

უეცრად მისი ყურადღება რაღაც ხმაურობამ მიიპყრო.

— გაჩუმდი! გაჩუმდი, შე კისერმოსატეხო, თორემ სულს გაგანთხევინებ! რა მიზეზიანი რამ ყოფილა ეგ ღორის შვილი! — უჯავრდებოდა ვიღაც მტირალ ბავშვს.

ჰუსეინ-აღას გამოცდილ ყურებს ეს არ გამოეპარა.

— ეს ვინ ტირის იმ ფარდულში, ეფენდი-ალი? — დაეკითხა ჰუსეინ-აღა. — ის ტყვე ბიჭი იქნება.

— ჰა, კიდევ ტირის მაგ წყეული! — თავისთვის ჩაილაპარაკა ეფენდიმ, — ტყვე ბიჭია, დიახ, კისერმოსატეხი. ხომ მოგეხსენებათ მაგათი ჯინიანობა, აიტეხა რაღაც მიზეზი და არ ცხრება.

— შეიძლება ვნახო?

— აქ მოვაყვანინებ, აღა! აღმოსხით, აქ მოიყვა ეგ გიაურის შვილი. ჰა, კიდევ არ გაჩუმდა?

ბავშვი გამოიყვანეს.

ჰუსეინ-აღას ჭრელი ტანისამოსის და თოვლივით თეთრი დოლუბანდის დანახვაზე ბავშვი მართლაც გაჩუმდა.

— რისთვის ტირი, ბიჭუნია? ტირილი როგორ გეკადრება, — ტკბილად უთხრა აღამ და თავზე ხელი გადუსვა. ბავშვმა გაოცებით შეხედა. ოსმალოთგან ცემისა, გინებისა და ყვირილის გარდა, ასეთი ტკბილი სიტყვა ჯერ არ გაეგონა.

— გურჯია, არა?

— გურჯია. ფოთის ფაშისაგან საგანგებოდ ვიყიდე, — მიუგო ეფენდიმ.

— სახელი რა ჰქვიან?

— მახმუტ!

— მახმუტ? მახმუტ! კარგია, კარგი! — ამბობდა ჰუსეინ-აღა და თავზედ ხელს უსვამდა. — ნეტავ რისთვის ტიროდა?

— მისი სისულელე! გზაზე ერთ ტყვე დედაკაცს გადაეკიდა, — გინდათ თუ არა, იმას გამაყოლეთო. გიჟია ეგ ოხრის შვილი? ის დედაკაცი ჩოფურა ზაიდოლასი იყო. ჩამოველი თუ არა გემიდან, ის დედაკაციც და მეორე ტყვეც იმ კაცმა ანდრიანოპოლელ ვაჭარს მიჰყიდა და მყიდველმა ნაყიდი ტყვეები, რა თქმა უნდა, თან წაასხა. ამანაც იმათკენ გაიწია, და, რომ არ გაუწუწვით, დაუღია პირი და ბღავის...

ჰუსეინ-აღა დაფიქრდა.

— კარგი, კარგი — ჩუმად ჩაილაპარაკა მან. — ეხ, მახმუტ, მახმუტ. შენისთანა ბიჭს როგორ არ ეცქვენია, რომ ტირი.

— აღამ აუჩქარებლად ხალათის ჯიბეში ხელი ჩაიყო, მუჭით ჩამიჩი ამოიღო და ბავშვს გაუწოდა.

ბავშვმა საჩქაროდ ორივე მუჭი ერთად გაუშვირა, ნაწილი ჩამიჩი უბეში ჩაიყარა და ჭამას შეუდგა.

ირგვლივ სიცილ-ხარხარი ასტყდა.

ჰუსეინ-აღამ ბავშვი გასინჯა — მკლავში ხელი მოუჭირა, პირი გაულო და კბილებში შეხედა, შეანჯღრ-შემოანჯღრია და სახეზე კმაყოფილების ღიმმა გადაურბინა.

— კაი აგებულობის ბიჭია! წმინდა სამამელუკოა, — უთხრა ეფენდი-ალიმ.

ჰუსეინ-აღამ ცბიერად შეჰხედა და ტუჩები ჩაიკვნიტა.

— საგანგებოდ მომიყვანია სალეკ ეფენდისათვის. საცაა, ალბათ, ისიც გამოჩნდება, — დინჯად ამბობდა ეფენდი-ალი.

ჰუსეინ-აღამ ორ აზროვნად გადახედა, თითქოს ეუბნებაო: ხომ იცი, შვილო, ორთავენი ვაჭრობის ძაღლები ვართ, ჩვენ შორის მაინც ტყუილი რაღა საჭიროაო.

— კეთილი, კეთილი, ეფენდი! — დინჯად მიუგო მან და ბავშვი ხელახლა უფრო დაკვირვებით გასინჯა. მერე ცოტა ხანს დაფიქრდა.

— შენ, პაწიავ, ჭიდაობა იცი? — ტკბილად მიუბრუნდა ჰუსეინ-აღა.

ბავშვმა ვერ გაიგო შეკითხვა. სხვებმა გააგებინეს. მაშინ ბავშვმა საჰოიოდ თავი დააქნია.

— კარგი. მაშ, ეფენდი, მოდი, დავჭიდოთ ვისმე.

— რას დავეძებ, — მიუგო ეფენდი-ალიმ. — ვის დავჭიდოთ? ტყვეთაგანს?

— არა, არა, ქუჩის ბიჭს... აბა, გაიქეცით, მომგვარეთ ვინმე, — სთქვა აღამ.

მეთვალყურენი აქეთ-იქით ეცნენ და ცოტა ხნის შემდეგ თორმეტ-ცამეტი წლის ოსმალო ბიჭი მოიყვანეს.

— ეს შესაფერი არაა! — ითაკილა, ეფენდი-ალიმ. — ეს ხომ დიდია!

— მახმუტ, დაეჭიდები მაგას? — დაეკითხა ჰუსეინ-აღა.

ბავშვმა გაულიმა და თავი დაუქნია. ეს მისი თითქმის პირველი ღიმილი იყო იმ უბედური ღამის შემდეგ.

— შენ თუ მაგას დასცემ, აი შენი საჩუქარი, — შეაგულიანა აღამ და ჯიბიდან ვერცხლის ფული ამოიღო.

ოსმალოს ბიჭი თუმცა სიმაღლით არა სჭარბობდა, მაგრამ თვალსაჩინოდ უფრო ხნიერი და მსხვილიც იყო.

ოსმალომ მედიდურად გადახედა ტყვე ბიჭს და დაუბღვირა. ტყვეც თავისი მიმინოსებური თვალებით დააჩერდა.

— ჰა, დავჭიდოთ? — წახალისდა მოხუცი აღა...

— თანასწორი ძალა არაა, ჰუსეინ, — ჭოჭმანობდა ალი-უსუფი, — სად ეს თითისტოლა ბიჭი, ზღვაში მოგზაურობით გალახული, და სად ეს ჭაბუკი, ჩამრგვალებულ-ჩასუქებული.

— ბიჭი თანახმაა. ალბათ, თავის იმედი აქვს, ჰა? გაბედე! — აძალებდა ჰუსეინ-აღა.

ეფენდი-ალი დასთანხმდა.

მეტოქენი ერთმანეთს დაეტაკნენ. ოსმალომ სტაცა ხელი მახმუტს და თავისუფლად ზეით ისროლა. ყველას ეგონა ეს არის ძირს დაანარცხებს და დაამტვრევსო.

— მე ხომ ვსთქვი, ბარი-ბარი ჭიდაობა არაა! — უკმაყოფილობას უცხადებდა ეფენდი ალი-უსუფს.

მაგრამ ბავშვი, ყოველი მოლოდინის გარეშე, თუმცა წაბარბაცდა, მაგრამ არ დაეცა, თავი შეიმაგრა, საჩქაროდ გასწორდა და მოპირდაპირემ შემოხედვა ვერ მოასწრო, რომ გულდაგულ ეცა. ხელები ირგვლივ წელზე შემოჰხვია, მოსდო კაჭა და იმსიმსხო ბიჭი მიწაზე გააგორა.

შეიქმნა ერთი სიცილ-ხარხარი. ეფენდი-ალის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— კარგი, კარგი! მე ჩემს პირობას შევასრულებ, — ჩვეულებრივის აუჩქარებლობით წარმოსთქვა ჰუსეინ-აღამ და ბავშვს ფული გაუწოდა. — ახლა როგორ? დაეკითხა ეფენდი-ალის და რაღაცნაირად ტუჩები დაჭმუჭნა. ეფენდი-ალიმ მხრები აიჩეჩა და იმანაც ტუჩებით ანიშნა, თითქოს ეუბნებაო: ხომ ჰხედავ, რაც არის, რა საჭიროა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი, ჩვენ ხომ ორივენი ერთ დარჯაკში ვართ ჩამოყალიბებულნი და რისთვის უნდა ვცადოთ ერთმანეთის მოტყუება, მაინც ხომ არა გამოვა რა.

— ხომ მოგახსენეთ, აღა, რაც დროება დადგა, დღითი დღე მატულობს საქონლის ფასი. სალეკ ეფენდიც...

— ზღაპრებს თავი დაანებე, ალლაჰი ნუ გაგიწყრება, — მოუჭრა ჰუსეინ-აღამ, — შენ ვაჭარი ხარ, მეც, აგერ საქონელი, აგერ ფული!

— სოვდაგარო, იცოდე, უკანასკნელია, — ჩუმად უთხრა ეფენდიმ და თითები უჩვენა.

— ალლაჰ! რას ამბობ? — გაიკვირვა აღამ. — ამდენი ფულით მთელ რაზმს შევადგენ.

— ნება შენია. ქება მეტია. საქონელი ხომ თვალწინაა. ვიცი, ვისთვის გინდა. უკეთესი ძნელი მოსაძებნია.

— მართლადა, ეს რა მომივიდა, რომ ქუჩის ბიჭს დავჭიდე, — ფიქრობდა ჰუსეინ-აღა, — მაგრამ ესეც კარგია, დარწმუნებული მაინც ვარ საქონლის სიკარგეში... ასი და ორასი ყურუში ჯანდაბას! — გულს იმაგრებდა აღა.

— ეფენდი-ალი! — მიმართა აღამ და თითები უჩვენა.

— ოო! ყოვლად შეუძლებელია. ჯერ გემის პატრონს რამდენი ფული მივეცი.

— გემით ის ერთი ხომ არ მოგყავდა?

— ყოველ შემთხვევაში...

— მაინც.

— ერთი ყურუში არ დააკლდება.

— ჰა, ესეც.

— რას ბრძანებთ, ჰუსეინ-აღა! მარტო ფოთის ფაშას ფარჩის ქსოვილი რომ ვუფეშქაშე, ორმოცდაათი მეჯიდიე მაინც ღირდა.

ჰუსეინ-აღამ ბავშვი ხელახლა გასინჯა. გაატარ-გამოატარა, ახტუნა, არბენინა...

— კარგია, კარგი! ჩინებული მამელუკი გამოვა! — ამბობდა გულში სოვდაგარი და ოქროთი თავმოჭედილ ჯოხს მიწაზე სცემდა. მერე ჰუსეინ-აღამ განზე გაიხმო, მთელი ქისა ოქროები გადასცა და ბავშვი თან წაიყვანა. ბავშვი სიხარულით გაჰყვა.

ჰუსეინ-აღამ სხვა ტყვეებიც ბევრი იყიდა, გემი დაიქირავა და ორი დღის შიგნით ეგვიპტისკენ გზას გაუდგა.

ალი-ბიი, მამელუკთა სახელოვანი სარდალი, ოქროთ მოვარაყებულ და ლალ-ფირუზით მორთულ ტახტზე ფეხმოკეცით იჯდა, ყალიონის ტარი პირში ჩაედო და ნელ-ნელა აბოლებდა. ღრმა ფიქრებში იყო გართული ალი-ბიი, და, ღვთის წინაშე, საფიქრებელიც ბევრი ჰქონდა. მთელი ეგვიპტის უმთავრესი გამგე ახლა ის იყო. მან მიიყოლია მამელუკთა დანარჩენი ოცდასამი ბიი ეგვიპტის სხვადასხვა კუთხეთა მმართველ-გამგებელნი, და სტამბოლის სულთანისა და მის მიერ ეგვიპტის უფროსად დაყენებულ ფაშისაგან თავისი თავი სრულებით დამოუკიდებლად გამოაცხადა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ძლიერ საწყენად დაურჩა სტამბოლის სულთანს და მით უფრო ეგვიპტის ფაშას, რადგან მისი უფლება არარაობამდე ჩამოვიდა, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერა გააწყო რა. ძალა მამელუკთა ხელში იყო და ძალა ხომ ალმართსა ხნავს.

მამელუკთა რიცხვი იმ დროს ათი-თორმეტი ათასი იქნებოდა. ისინი გაფანტულნი იყვნენ მთელ ეგვიპტეში, სათავეში უდგნენ მხედრობას, ეჭირათ თანამდებობის ადგილები, ერთი სიტყვით, მთელი ქვეყნის განუსაზღვრელი ბატონ-პატრონნი იყვნენ.

„მამელუკი“ არაბულად ნაყიდ ტყვეს ნიშნავს. მეცამეტე საუკუნეში ეგვიპტის სულთანმა მალეკ-სალეჰმა მონგოლებისაგან რამდენიმე ათასი ტყვე თურანელები და კავკასიელები იყიდა და იმათგან თავისი მცველი გვარდია ისე გააძლიერა, რომ თვით სულთანისათვის საშიში შეიქმნა. როცა 1250 წელს, ქრისტეს დაბადების შემდეგ, ეგვიპტის სულთანმა თურმან-შაჰმა მათ დაუკითხავად ზავი დასდო ჯვაროსანთა წინამძღოლ ლუდოვიკ მეცხრესთან, მამელუკები საშინლად გაბრაზდნენ, მოჰკლეს თვით თურან-შაჰი, იმის ნაცვლად თვის შორის ამოირჩიეს ვინმე ჰეიბეკი და გააბატონეს. ამ დროიდან დაიწყო მამელუკთა ბატონობა ეგვიპტეში. 1517 წელს თუმცა სულთანმა სელიმ პირველმა დაიპყრო ეგვიპტე და ქვეყნის მთავარ გამგედ ფაშა დაუყენა, მაგრამ იძულებული შეიქნა

პროვინციების გამგედ მამელუკთაგან არჩეული ოცდაოთხი ბიი დაენიშნა. ბიიებმა მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩქარა ხელთ იგდეს. ალი-ბიის მეთაურობით ხომ სულთან ფაშისაგან სრულებით დამოუკიდებლად გამოაცხადეს თავისი თავი და იმდენად გრძნობდნენ ძალას, რომ არავისი შიში და რიდი არა ჰქონდათ.

თავიანთ მხედრობის შესავსებათ ისინი ახლაც სიამით ყიდულობდნენ ახალგაზრდა ჯანსაღ ბიჭებს, ზრდიდნენ და მეომრებად წვრთნიდნენ. უპირატესობას ამ მხრივ კავკასიელებს აძლევდნენ.

შემოვიდა კარისკაცი და ალი-ბიის მძიმედ თავი დაუკრა.

— მბრძანებელო, — მოწიწებით მოახსენა მან, — სოვდაგარი გეახლათ.

ალი-ბიიმ ყალიონის ტარი ტუჩს აუჩქარებლად მოაშორა.

— ჰუსეინ-აღა? ოხ, ჩქარა, აქ დამიძახე! — ბრძანა ალი-ბიიმ. — ის, ალბათ, სტამბოლიდან ჩამოვიდა... ერთი რა ამბები ჩამოიტანა? — ოდნავ გაიღიმა ალი-ბიიმ და ყალიონი განზე გადასდო.

— სალამ ალეიქ, დიდებულო მბრძანებელო! — შემოილაპარაკა ჰუსეინ-აღამ, ხელი გულზე და შუბლზე მიიდო და მძიმედ დაუკრა თავი.

— ოოჰ! მობრძანდი, ჩემო ჰუსეინ, ჩემო ძველო მეგობარო! ამ ბოლო დროს რა იშვიათი და სანატრელი გამიხდა შენი ნახვა, აქეთ, ჩემო აღა, ამ ბალიშზე ჩამობრძანდი, — მხიარულად უთხრა ალი-ბიიმ და ძვირფას ხალიჩაზე დაგებულ, ოქრომკედით მოქარგულ ბალიშზე მიუთითა.

ჰუსეინ-აღა ჩამოჯდა.

— სხვა, მეგობარო, სტამბოლში იყავ?

— ეს არის იქიდან გიახელ, მბრძანებელო!

ალი-ბიიმ კოპი ოდნავ შეიკრა.

— რა ამბებია, ჩემო ჰუსეინ? ფადი-შაჰი როგორ ბრძანდება? ალბათ, ძლიერ გაჯავრებულია ჩემზე!

ჰუსეინმა თავი საორჭოფოდ ჩააქნია და ჩაიცინა.

— რასაკვირველია, მადლობელი არ იქნება. აქ დასამალი რა არის, ქვეყანამ კიდით კიდე იცის.

— რა ვქნათ, აღა, რა ვქნათ! — დინჯად გააგრძელა ალი-ბიიმ. — დრონი მეფობენო, ნათქვამია. ჩვენ ყველანი დროებით ვართ ამ ქვეყანაზე. ჩემი აზრი ასეთია — ან უნდა ვიყვნეთ, როგორც რიგია, ან სულ არ უნდა ვიყვნეთ. თუ ეგვიპტის ბატონ-პატრონი ჩვენა ვართ, ჩვენ უნდა ვიყვნეთ, უგამდლოთ, უხელმძღვანელოთ მადლობა ალლაჰს, ჰასაკით სრულნი ვართ. თუ ბატონი ფადი-შაჰი და მისი ფაშაა, ისინი უნდა ბრძანდებოდნენ, მამელუკები რაღა საჭიროა? შენ კარგად იცი, ჩემო ჰუსეინ, რომ მამელუკს საბოდიშო, პირმოსაფერებელი არავისთან არაფერი აქვს; მისი უტყუარი მეგობარი მისი ბასრი ხმალია, რომელსაც მუდამ თან ატარებს და სწორედ ნამდვილი მამელუკი ისაა, ვინც სისხლით შეღებილი ხმლით ხელში სულს განუტევებს. ამიტომ ჩვენ არავისთან და არც ფადი-შაჰთან საბოდიშო არა გვაქვს რა, ვცოცხლობთ, — ვცოცხლობთ, მოვკვდებით, — მოვკვდებით. მე აგერ სამოცდაათის წლის მოხუცი ვარ, თხუთმეტი წლიდან ბრძოლის ველზე ხმალს ვატრიალებ, ახლაც ნაღარის ხმას რომ გავიგონებ, ამიფართხალდება მოხუცი გული. გაქრება ჯანღონის სისუსტე, მინდა ტაიჭს მოვახტე და ხმალამოწვდილს მწადიან ჩემ ძმებთან, უშიშარ მამელუკებთან შევანავარდო მკვეთრი მახვილი და, თუ საჭიროა, მათთან სულიც დავლიო, — თანდათან აღტაცებით სთქვა მოხუცმა. — სხვა, მეგობარო, როგორი ვაჭრობაა, როგორ იმოგზაურე? — ტკბილად დაეკითხა ალი-ბიი.

— კარგად, მბრძანებელო! უბედურობა არა შეგვხვედრია რა. ზღვა მშვიდობით გავცურეთ. ვაჭრობა კი ძლიერ ნაკლებია. საქონელი არ არის, ბატონო! გურჯისტანიდან ტყვეთა დენა ძლიერ შემცირდა, — მოწყენით დაუმატა ჰუსეინ-აღამ.

— რათაო? — გაიოცა ალი-ბიიმ.

— მოგახსენებენ, მბრძანებელო, რომ გურჯთა მეფეები გაძლიერებულან. არც სპარსელებს აძლევენ თურმე ახლა ხარკს და არც ოსმალებს. შაჰ-აბაზის გალაშქრების შემდეგ გურჯისტანი საუკუნოდ დამარხული ეგონა ყველას და, დახე მათ ბედსა, დამარხვა კი არა, განახლების გზას დასდგომიან.

ყიზილბაშები ზედი-ზედ სასტიკად დაუმარცხებიათ და... ჰოი, ალლაჰ! ოსმალთა მართლმორწმუნე მხედრობაც... — ვერ დაათავა ჰუსეინ-აღამ.

— ძლიერ სამწუხაროა, — წარმოსთქვა ალი-ბიიმ და წყენის ნიშნად შუბლზე ხელი დაიკრა. — რა თქმა უნდა, თუ მომჯობინდნენ, ტყვეებს არ გაიმეტებენ. ტყვეების გაყიდვა, ჩემო ჰუსეინ, როგორც შენც კარგად მოგეხსენება, ერის შინაური გახრწნილების, უწესრიგობისა და უმეთაურობის ბრალია, თორემ საცა ხალხს ცოტაოდენი ძალა შესწევს, ერთი მეორეს უჯერებს და საერთო კეთილდღეობის საჭიროების გემო აქვს გაგებული, ის ერი განა ტყვეს მოგვყიდის? რომელი დედა ნახე შვილის გამყიდველი, თუ არ სრულებით ზნეობით დაცემულ-გათახსირებული?.. მაგრამ ჩვენთვის კი სამწუხაროა, ძლიერ სამწუხაროა, სჯულის მადლმა, აუჩქარებლად დაუმატა ალი-ბიიმ და ყალიონის ტარს ხელი წაატანა.

— მაგრამ მე შენთან, მბრძანებელო, შენ ამომავალ მზეებრ გაბრწყინვებულ სახესთან, რაც გინდა იყოს, მაინც ხელცარიელი ხომ არ მოვიდოდი: ერთი გურჯის ბიჭი მოგიყვანე.

— პატარა ბიჭი? — მხიარულად დაეკითხა ალი-ბიი და თვალები გაუბრწყინდა.

— დიახ, მბრძანებელო, პატარა ბიჭი, ცხრა-ათი წლისა.

— აბა, სადაა? ყოჩაღ, ჩემო ჰუსეინ, ვიცოდი, რომ ხელცარიელი არ მოხვიდოდი...

— თქვენ საფარეშოში გახლავს...

— ბიჭი საჩქაროდ მომგვარონ აქ, ახლად მოყვანილი ბიჭი, — მოუთმენლად ამბობდა ალი-ბიი.

ცოტა ხნის შემდეგ მდიდრულად მორთულ ოთახის კარებში ჩვენი მახმუტად მონათლული ხვიჩა გამოჩნდა. ბავშვი დაბანილ-დავარცხნილი იყო, ტანზე ჭრელი ხალათი ეცვა და თავზე წითელი ქუდი ეხურა. რიგიანი მოვლის მეოხებით სახითაც შევსებულ შელამაზებულიყო და ამ კარგ ტანისამოსში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა.

შემოჰყო თუ არა თავი ოთახში ბავშვმა, ორივე ხელი გულზე დაიჭდო და ალი-ბიის მძიმედ თავი დაუკრა.

— ოო, ჩემო პატარა გურჯო! ყოჩაღ, ყოჩაღ! — დაიძახა ალი-ბიიმ. — გმადლობ, სოვდაგარო, ძვირფასი ძღვნისათვის, გმადლობთ იმისათვისაც, რომ ახლავე ჩვენი ზნე-წესები შეგითვისებინებია. ან რა კარგად გამოგიწყვია! სახელი რა ჰქვიან ჩემს პატარა ბიჭს?

— მახმუტ, მბრძანებელო, — მიუგო ჰუსეინ-აღამ.

— მახმუტ! — დაუძახა ალი-ბიიმ.

ბავშვმა ხელები ისევ გულზე დაიჭდო და მძიმედ თავი დაუკრა.

ალი-ბიის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— ერთი შეხედეთ, რა ჩქარა შეუთვისებია ჩვენი წესრიგი! — კვირობდა მოხუცი.

— ეს სულ გზაში ვასწავლე, — მოახსენა ჰუსეინ-აღამ. — მაინც ეს გურჯები, მბრძანებელო, ნიჭიერი ხალხია. ერთს რომ ეტყვი, განმეორება არა სჭირია. ოთხი-ხუთი თვე არ იქნება, რაც ეს ბავშვი თავის ქვეყანას მოშორებია და უკვე კარგად ესმის ჩვენი ენა...

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო აღა, — კმაყოფილებით ამბობდა ალი-ბიი, — შენ სოვდაგარი კი არა, ოსტატი ხარ, ალლაჰის მადლმა! შენ სადმე სასწავლებლის გამგე უნდა იყო... აბა, ჩემო ბიჭიკო, ახლო მოიწი ჩემთან, — ალერსიანად მიმართა ალი-ბიიმ მახმუტს.

ბიჭმა ფეხი მოკრძალებით წინ წადგა. ასე მდიდრულად მორთულ-მოვარაყებული ოთახი თავის დღეში არ ენახა და, ცოტა არ იყოს, ფეხის თამამად გადადგმას ვერა ბედავდა.

ალი-ბიიმ ბავშვი გასინჯა, თავზე ხელი გადაუსვა, შეანჯღრა-შემოანჯღრია. ბავშვი თავისი მიმინოსებური თვალებით პირდაპირ შეჰყურებდა.

— ჰა, სოვდაგარო, მეომარია რაღა, მეომარი! წმინდა მამელუკადაა დაბადებული, — მხიარულად ამბობდა მოხუცი და ბავშვს მკლავებს უსინჯავდა.

— მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, დიდებულო, რომ ბავშვი ძლიერ გალახულია, ბევრი ნათრევ-ნაწამებია. ჩემ ხელში მომჯობინდა ცოტა, თორემ ძვალი და ტყავი იყო. არ

იციან, მბრძანებელო, ზოგიერთმა ვაჭარმა ტყვეთა მოვლა. განსაკუთრებით ბავშვებს დიდი ყურადღებით მოპყრობა სჭირია... უკმეხად ექცევიან, სცემენ, რიგიანად არ აჭმევენ, არ აცმევენ. რაც გინდა იყოს, კაცის შვილი ძროხის შვილისაგან უნდა გაარჩიო, ესეც არ იყოს, პირდაპირ ანგარიში ითხოვს ვაჭარმა საქონელი მუშტარს რიგიანი სახით უჩვენოს. ჩვენს ვაჭრებს ესეც არ ესმით!

— სწორია, სწორია, ალლაჰის მადლმა! მე ხომ გითხარი, ოსტატი ხარ-მეთქი, — კმაყოფილებით მიუგო ალი-ბიიმ.

— ცხენზე ჯდომა იცი, ჩემო ბიჭიკო? — დაეკითხა მახმუტს ალი-ბიი.

— ვიცი, — თამამად მიუგო ბავშვმა.

— ისეთ ცხენზე შეგსვა, რომ იმის ბადალი ქვეყანაზე არ იყო! ძვირფას ხალათს ჩაგაცმევ, საჭმელ-სასმელი ხომ ულევი გექნება. შენ მხოლოდ ჭკვიანი ბიჭი იყავ. დიდად გმადლობთ, სოვდაგარო, სასიამოვნო ძღვნისათვის, — მიუბრუნდა აღას ალი-ბიი. — ბიჭი ძლიერ მომწონს. ამას უეჭველად ჩემ სახელობაზე გავზრდი. მამელუკთა მხედრობას ერთი მეომარიც მიემატება. არც შენ დაგრჩები უმადური, მეგობარო კარგი ძღვნისათვის, კარგ საჩუქარსაც მოგართმევ. ბიჭო, მოლარეთუხუცესი დამიძახე! ახლა როგორ მირჩევ, აღა? არა სჯობია, რომ ამთავითვე მოლა-აღაფიჯის მივაბარო, რომ მაჰმადის წმიდა მოძღვრებაში გაწვრთნას?

— ჩინებული აზრია, დიდებულო! სამხედრო ვარჯიშობასაც ამთავითვე შეაჩვიოთ, ემჯობინება.

— ეს ხომ ჩვენი ხელობაა, ოსტატო! ხვალვე ჩემს ჯაბადარბაშს ვუბრძანებ, შესაფერი იარაღი მოუმზადონ და მის ტარებასა და ხმარებას შეაჩვიონ. შენ კი, მახმუტ, ძლიერ ფრთხილად უნდა იყო. აქ უშველებელი მდინარე რომ მიდის, ის თქვენებური პატარა მოჩუხჩუხე წყაროები არ გეგონოს. იქ ისეთი ბასრკბილა ნიანგები ბუდობენ, რომ ა... ჰა, ჰა, თუ კბილი დაგავლეს, ჩაგახრამუნებენ.

მოჩუხჩუხე წყაროს გაგონებაზე ბავშვს მდინარე ტეხური გაახსენდა... გაახსენდა იქაურობა. — „ნეტავ სად არიან ახლა

ჩვენი თხები“, – გაუელვა ბავშვს თავში. – „ნეტავ ვინ ერეკება მათ ახლა? ნანა და ბაბა როგორ არიან? მე ვახსოვართ თუ არა? მარკოზ ხუცესი ცოცხალი გადარჩა თუ არა? მარიკა... ლერწამისა... ბავშვს თვალწინ წარმოუდგა სამშობლო ქვეყნის მთები, ველ-მინდვრები, ტყეები... გაახსენდა პატარა ნამყენი მსხალი მარკოზ ხუცის სახლში. ეს მსხალი ძლიერ უყვარდა. ყოველ დილით მივიდოდა ნორჩ ხეხილთან და ადამიანივით ემუსაიფებოდა, მიესალმებოდა, გამოეთხოვებოდა ხოლმე. გაახსენდა გემით მოგზაურობაც, სალომე და რეზო, შვილივით ეფერებოდნენ, უკანასკნელ ლუკმას მას უყოფდნენ... რა მწარე იყო მათთან გაშორება... უჰ, რამდენი იტირა მაშინ!.. ისეთი სიმწარე, პირველად როცა მოიტაცეს, მაშინაც არ უგრძვნია... წარმოუდგა ბავშვს თვალწინ ყველა ეს და თვალები ცრემლებით აევსო. ალი-ბიიმ ეს შეამჩნია... თითქოს მის სახეზე აღმოიკითხა მისი გულისწუხილიო. ნაზად მიეალერსა და თავზე ხელი გადაუსვა.

ბავშვი კი მწარედ აქვითინდა.

XIV

ქალაქ ქაირის განაპირას, აღმოსავლეთით, მოკატტამის ხრიოკ მთის კალთაზე ამაყად ამართულა სალადინის ციხე თავისი მაღალი კოშკებით და სქელი გალავნებით. გავიდა ოცდაათი წელიწადი ზემოთ მოთხრობილი ამბის შემდეგ. ერთ დღეს სალადინის ციხის გარშემო ფართე მოედანი ხალხით გაიევსო. ეგვიპტის ყოველი მხრიდან მოგროვდნენ აქ მამელუკთა საუკეთესო წარმომადგენელნი. იყვნენ ბიიები, ათასისთავები, ასისთავები და რჩეული მხედრობა. შეკრებილნი მოედანზე მიდი-მოდიოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ, ზოგი ცხარობდა, ზოგი დინჯად მუსაიფობდა... ეტყობოდა, რაღაც მძიმე საქმე ჰქონდათ გადასაწყვეტი.

ციხის ერთ-ერთ კოშკზე მამელუკთა სათაყვანებელი დროშა აიმართა. ამ დროშას იშვიათ შემთხვევის დროს გამოიტანდნენ ხოლმე. დროშის დანახვაზე მთელმა საზოგადოებამ,

ნიშნად სიხარულისა, ერთი დაუსრულებელი კიჟინა დასცა. მსჯელობა-კამათი ცოტ-ცოტად მისწყდა და ხალხმა მოედანზე გალავანთან რაზმებად დამწკრივება დაიწყო. შუაგულ ქვეითები დარაზმდნენ, იქით-აქეთ ცხენოსნები... რა თქმა უნდა, ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ.

ბევრი ხანი არ გასულა, რომ ციხის გალავანზე ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი ბიიები გამოჩნდნენ და მხედრობას მიესალმნენ. ჯარმა აღტაცებული ყიჟინა დასცა.

მაგრამ აგერ გამოჩნდა მოოქრული ტახტრევანი. ხალხმა სული განაბა. ტახტრევანი გალავანზე მოწიწებით დაასვენეს და ფრთხილად კარი გააღეს. იქიდან აუჩქარებლივ გამოვიდა თეთრწვერა ხმელ-ხმელი მოხუცი. ტანზე სადათ შეკერილი ჭრელი ხალათი ეცვა, თავზე თეთრი ჩალმა ეხურა და წელზე ოქროთ შეჭედილი, ჩვეულებრივ, მოღუნული ხმალი ერტყა. ეს გახლდათ მოლა ომერ-ბი-საიდი, მამელუკთა მეთაური, მთავარი ბიი, ერთხმად არჩეული ალი-ბიის სიკვდილის შემდეგ. ომერ-ბიიმ ხელით ანიშნა მოსამსახურეებს ტახტრევანი წაელოთ, წელზე ხმალი გაისწორა, გალავანზე გადმოდგა და მხედრობას მხიარულად მიესალმა.

— გაუმარჯოს მოლა-საიდს! გაუმარჯოს მამელუკთა უძლეველ მხედრობას! — გრიალებდა ჯარი.

ომერ-ბიის აქეთ-იქით დანარჩენი ბიიები მოუდგნენ. ომერს თვალები გაუბრწყინდა და ღიმილით გახედა მის წინ დარაზმულ რამდენიმე ათას ცხენოსან ქვეით მხედრობას. ჭრელ ხალათებში და წითელ ქუდებში გამოწყობილი ჯარი რაღაც საარაკო სანახავი იყო.

— დიდება ალლაჰს, შემოქმედსა და მოწყალესა. — სასოებით წარმოსთქვა ომერ-ბიიმ და ხელები მაღლა აღაპყრო. საკმაო მკაფიო და საამო მოსასმენი ხმა ჰქონდა.

— დიდება ალლაჰს! — ბანი მისცა ჯარმაც.

— გაუმარჯოს მამელუკთა მძლეთა-მძლე მხედრობას, — დაიძახა ომერ-ბიი-საიდმა და კისერი ამაყად მოიღერა.

ჯარის აღტაცებული ყიჟინა წუთს არ შეწყვეტილა.

ომერ-ბიი მოთმინებით აღიჭურვა და, როცა ყველანი ცოტა-

ცოტა დამშვიდდნენ, აუჩქარებლად, რაც შეეძლო, ხმამაღლა წარმოსთქვა:

— მამელუკნო! — ხალხმა ხმა გაკმინდა, თითქმის ცხენების ფრუტუნიც აღარ ისმოდა. — დიდებულის წინასწარმეტყველის დროშის ქვეშ შეკრებილა მისი უძლეველი მხედრობა. ბევრს გულს უმღვრევს და სულს უშფოთებს მისი გმირობა და მამაცობა. ბევრი მტრობს, არ მეგობრობს... ფადი-შაჰიდან მოყოლებული ხართუმის ველურ თემთა მთავრამდე, ყველანი ბრაზით კბილებს აკრაჭუნებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავის არ ეპუება, შესაფერ პასუხს აძლევს ყველას. მისი დროშა თამამად ფრიალებს და, უეჭველია, კვლავ იფრიალებს, თუ არ მოაკლდა ერთსულოვნება, სიმამაცე და ბრძოლის ველზე თავგანწირულება, რაც დღემდე გვჩვევია, ძმანო, საყვარელნო მამელუკნო.

— გაუმარჯოს ომერ-საიდს! გაუმარჯოს მამელუკთა მხედრობას! — დაიგრიალა ჯარმა.

— მამელუკნო! — განაგრძო ომერ-ბიი-საიდმა. — ყველამ ვიცით, საყვარელნო, რომ ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება ალლაჰისა და წინასწარმეტყველის შემდეგ, ჩვენი მარჯვენა და ჩვენი ხმალია. ისიც გამოცდილებით ვიცით, რომ მაგარი მკლავი და ბასრი ხმალი, მრავალთა უმრავლესიც რომ იყოს, უღონოა და სუსტია, თუ ღირსეული მეთაური წინ არ მიუძღვის და გზას არ უჩვენებს. მამელუკნო, სხვათა შორის, ჩვენს საერთო ღირსებას ის შეადგენდა, რომ ვიცოდით ღირსეული წინამძღოლის არჩევა... ჩვენ სრულებით არა გვჭირია ანგარიში ან ხათრი გავუწიოთ ვინმეს ჩამომავლობას და გვარიშვილობას! პირადი ღირსება: ჭკუა, სიმამაცე და მამელუკთა ერთგულება — აი რას ვეძებთ ჩვენ მეთაურში. მოგეხსენებათ, დღეს გლოვობს მამელუკთა მხედრობა. წინასწარმეტყველმა ინება და სახელოვან სარდალს, თავდადებულ მამელუკს, ფიბის მაზრის გამგეს, ბაგირ-ბიის ზეცად მოუწოდა. ახლა მისი სული იმქვეყნიურ სიტკბოებაშია. მარად ქალწულ გურიებთათანა განისვენებს მისი განახლებული არსება. ჩვენ კი, აქ დარჩენილთ, დიახ გვესაჭიროება მისი მაგიერი სარდალი. მამელუკნო, უნდა

ავირჩიოთ განსვენებულის ბაგირ-ბიის მოადგილე. დაასახელეთ, ძმანო, ღირსეული კაცი. იყოსმცა მფარველი ჩვენი დიდებული ალლაჰი და მისი წინასწარმეტყველი, სანამ ეს მუდამ ფირუზისფერი ულრუბლო ცა ეგვიპტეს დაჰყურებს და სიგრძე-სიგანე განუზომელი ნილოსი მასაზრდოებელ ტალღებს უძირო ზღვისაკენ მიაქანებს! დიდება ალლაჰს, მოწყალესა და შემწყალებელსა ჩვენსა! — ისევ ხელების მაღლა აღპყრობით დაათავა ომერ-ბიი-საიდმა.

— დიდება ალლაჰს! — დაიგრიალა მხედრობამაც.

ცოტა ხანს ჩუმი ჩოჩქოლი შეიქმნა. „სულერთია... იმან... კარგია... სთქვას...“ — ისმოდა კანტიკუნტად ხალხში.

— მამელუკნო! — გაისმა მჭექავი ხმა და ერთი შავტაიჭოსანი ჭაღარა მხედარი დაწინაურდა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მამელუკნო, ოცი წელიწადი გავიდა მას აქეთ... მაშინ... ეხ! მეც ჯეილი ვიყავ. სეუტელებმა ხარკის მოცემა მოგვისპეს. გამარები და სხვა შავკანიანთა თემები მოიწვიეს და ჩვენი გამკლავება განიზრახეს. მათ წინააღმდეგ ორი ათასი მხედრობა გაიგზავნა. მეც მათში ვერიე. სეუტის ალყა შემოვარტყით, გვინდოდა ერთი დაკვრით აგველო, მაგრამ ეს არც ისე ადვილი შესასრულებელი შეიქმნა, როგორც გვეგონა. ურჯულომ ჩირან-ბეიმ, შუბოსანთა წინამძღოლმა, ჩვენ მარცხენა ფრთას შემოუარა და სეუტის გალავანსა და ოღრო-ჩოღრო კლდეებს შუა მოგვამწყვდია. ჩვენმა ცხენებმა ფეხი ვერ მოიკიდეს, გალავნიდან კი ცეცხლსა და ქვას წვიმასავით გვაყრიდნენ. მწარე გასაჭირი გვადგა. მამელუკნო, ვინ შეახტა მაშინ მარჯვედ მტრის გალავანს, მარჯვნივ და მარცხნივ აკაფა მტერი? გმირს სხვებიც უკან მიჰყვნენ, ციხეში შეიჭრნენ, კარი გაგვიღეს და გაგვამარჯვებინეს. იმ მამელუკმა მაშინ ასისთაობა მიიღო. ის ვინ იყო?

— მახ... მუტ! მახ.. მუტ! — დაიგრიალა ჯარმა.

— მამელუკნო! — გაისმა ხმა ცხენოსანთა მეორე მხრიდან და ვიღაც წითური, შესაზარი შესახედაობის კაცი დაიძრა. უშველებელი ულაყი ცხენი მხედრის ქვეშ ბორგავდა, თავს

აკანტურებდა და საჯირითოდ მიიწევდა. ჯარმა გზა უტია და მხედარი წინ წარსდგა.

— იმედია, ძმებო და თანამოაბჯრენო, მეც მომისმენთ. ეს მშვენიერი, ვიწროდ და გრძლად გაჭიმული წალკოტი ამ ვერან და ხრიოკ უდაბნოს შორის, ვით მწვანე ფირუზი კლდის ნაპრალში გდებული, ეს ძველთა-ძველი ჩარდახებით, ტაძარგალავნებით, უზარმაზარ წოწლოკინა სასაფლაოებით, ეს ვაზით, ფინიკით და ხორბლით გალაღებულ-გაპოხიერებული ქვეყანა-ეგვიპტე, დიდებულმა წინასწარმეტყველმა, ჰოი, მამელუკნო, ჩვენს ხმალს და ჩვენს დროშას დაუმორჩილა! ზლაზვნით მიგორავს ნილოსი, მიაქვს ქვეით ჩვენი ამბები, რომ განუზომელ ზღვას და იქიდან მთელ ქვეყანას ამცნოს და გააგებინოს ჩვენი სიმტკიცე, ჩვენი ერთობა და ჩვენი შეუდრეკელი გამბედაობა. სხვა რაღა უნდა მიქოს ნილოსმა? პაპას ვერ მიქებს დიდებულს და პაპის პაპას ჩინებულს! მე არც კი ვიცი, ვინა ვარ, სადაური ვარ, მხოლოდ ვიცი, რომ მამელუკი ვარ! ხმალი ჩემი — დედ-მამაა ჩემი, მკლავი ჩემი — სიმტკიცეა ჩემი, თქვენთან, ძმებო, შეურყეველი კავშირი — გამარჯვებაა ჩემი...

— ვაშა, ვაშა! — გრიალებდა ჯარი.

— სრულებით ვეთანხმები ჩვენს მბრძანებელს, მეთაურს და მასწავლებელს ომერ-ბიის, — გააგრძელა წითურმა კაცმა, — რომ კარგ მეომარს, კარგი მეთაური სჭირია. უშიშარი და გამბედავი მუთაური ტოლია მთელი მხედრობისა! მახსოვს და ბევრს თქვენთაგანსაც ახსოვს, სულ ათი წლის საქმეა, ასუანთან მოგვიხდა ბრძოლა. ზანგები ყიჟინით და კბილის კრაჭუნით წამოიშალნენ ჩვენზე. ჩვენც მედიდურად ვეკვეთეთ. ჩვენი ხმალთა ელვა-კაშკაში მზის სხივებს ეცილებოდა. ხელჩართული დიდხანს გაგრძელდა. უთვალავი მტერი, კალიასავით მოზღვავებული, წინ მოდიოდა. ათასი ვძლიეთ, ორი სხვა აღმოჩნდა, ისიც გავანადგურეთ, ხუთი კიდევ მოზღვავდა. დაიქანცა, შედრკა ჩვენი მხედრობა. თითქოს გვღალატობს ბედიო, ოდნავ განზე გადიხარა ჩვენი ამაყად მოფრიალე დროშა. მკლავში ტკივილი ვიგრძენ, ხმლის ტარს ხელი

ვერ მოვუჭირე.. ხელის გულზე დავიხედე, წითელი ზოლები შევამჩნიე... ჩვენიანების გულზვიადი ურთიერთის გამხნევება ყურთასმენას არ მიტკბობდა. შევიხედე, ჰოი, თვალები დამიდგეს! მამელუკთა მხედრობის სიამაყე, სწორუპოვარი სარდალი ბათირ-ბიი ზანგის შუბით განგმირული ცხენიდან ჩამოეშვა... შევკრთით, დავძაბუნდით. ერთი წამი და მტრისთვის ზურგი უნდა გვეჩვენებინა. მამელუკნო, გახსოვთ ასისთავი, ხმამაღლა რომ შეჰკივლა? ისეთ ხმას, მხოლოდ მაღალი მთის მწვერვალზე მობინადრე არწივები გამოსცემენ ხოლმე. ხმალი შეათამაშა და, ვით შავარდენი მტრედთა გუნდში, მტრის რაზმში შეიჭრა. ჩვენები გამხნევდნენ, შურდულივით უკან დაედევნენ, მტრის ჯარი შუა გააპეს, სძლიეს და ჩვენი დროშა კვლავ ამაყად ააფრიალეს. ვინ იყო ის ასისთავი?

— მახ... მუტ! მახ... მუტ! — იგრიალა ჯარმა.

— მამელუკნო! — გაისმა მესამე ხმა, — ფიბის ნანგრევების ქვემოდ ჩვენი რაზმი იდგა. გარს მტერი ერტყა, ატბართა და ჰოტენტოტთა თემები შოას ნეგუსის, ჩვენი დაუძინებელი მტრის იმედით ზურგგამაგრებულნი, ჩვენზე თავხედურ იერიშს ლამობდნენ. ჩვენდა სამარცხვინოდ, აწ უკვე განსვენებულმა საღირ-ბიიმ (ალლაჰ, იქ მაინც ნუ მოაკლებ სახელსა და ნეტარებას), ვერც ერთი მხრივ შეტევა ვერ გაბედა. მტერმა თითქოს იგრძნო ჩვენი გაზურგება, რკალივით შემოგვერტყა და ისე შეგვავიწროვა, რომ გასაქანი არა გვქონდა. ორში ერთი: ან იარაღი უნდა დაგვეყარა, ან მტერი გაგვერღვია. მაშინ ვინ იყო, მამელუკნო, რომ დაიძახა: ჩემთან, ძმებო! ტაიჭი გააქანა და ჰოტენტოტთა მეთაურს, გუთხარ-ხათუს ხმალდახმალ ეძგერა და ერთი დაკვრით თავი გააგდებინა?..

— მახმუტ! მახ... მუტ! — იგრიალა ჯარმა.

მოხუცი ომერ-ბიი-საიდი კვლავ გალავნის მოაჯირზე გადმოდგა. თან სხვა ბიიები ახლდნენ.

— დიდება ალლაჰსა, გამჩენსა და მწყალობელსა ჩვენსა, — ხელაპყრობით წარმოსთქვა მან, — საქმე გამორკვეულია. ხმა ერისა და ხმა ღვთისა! სურს შენზე მონდობილს მამელუკთა მხედრობას და იქმნას ასე:

გვყავს მახმუტ-ბიი, ძმა და თანამოაბჯრე ჩვენი.

ჯარის მხიარულ კიჟინს დასასრული არ უჩანდა. ომერ-საიდმა მოოქრული ხმალი მოიხსნა და ხელში დაიჭირა, დააცადა, სანამ ჯარი დაწყნარდებოდა, და მერე ხმამაღლა დაიძახა:

— მახმუტ-ბიი!

ჯარში ჩუმი ჩოჩქოლი შეიქმნა.

ცოტახნის შემდეგ რაზმმა გაიწ-გამოიწია, გზა უტია და გამოჩნდა ერთი ახოვანი, კარგა აჭაღარაებული ვაჟკაცი. ის ოქროსფერ ბედაურზე იჯდა, აბრეშუმის ჭრელი ხალათი ეცვა და თავზე წითელი ქუდი ეხურა. ტიპიური, ოდნავ ხუჭუჭა წვერ-ულვაში, მოგრძო ცხვირი, ზომიერი თვალები და თეთრი პირის კანი ეჭვში თუ შეიყვანდა კაცს, რომ მაღალ ხარისხზე არჩეული მამელუკი შთამომავლობით არც ოსმალი იყო და არც არაბი, თორემ სხვაფრივ წმინდა წყლის მაჰმადიანსა ჰგავდა.

მახმუტს სახეზე აღელვება ეტყობოდა. მან კოხტად მოახტუნა ცხენი და გალავნის ძირს შეჩერდა. ბედაური კი არ ისვენებდა, კიშმიშზე დგებოდა.

— ჰა! — დაიძახა ომერ-საიდმა და ხმალი ისროლა. ყვითლად შეიკაშკაშა მზის სხივებზე ოქროთი მოჭედილმა მრუდე ქარქაშმა.

მახმუტ-ბიიმ ხმალი დაიჭირა.

კვლავ იგრიალა ჯარმა და მახმუტ-ბიის ფუტკარივით გარს შემოეხვია.

XV

ქაირის ფირუზის სასახლეში ყველა ოცდაოთხივე ბიი შეკრებილიყო.

ომერ-ბიი-საიდმა, მეთაურთ-მეთაურმა, დიდად აღელვებულმა და აღშფოთებულმა, კრება გახსნა.

— წარჩინებულნო, წინამძღოლნო! — მიმართა მან ბიიებს — უკვე გაგონილი გექნებათ, რა მოულოდნელი და არასასიამოვნო ამბავი მოგვივიდა. ალექსანდრიაში უკვე, გადმოუსხამს თავისი

ლაშქარი ფრანგთა ფაშათ-ფაშას ნაპოლეონ ბონაპარტეს და გაჩქარებით მოდის თურმე ჩვენკენ საომრად. გვიახლოვდება მტერი ძლიერი, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილ-გამოწვრთნილი, მტერი ბრწყინვალე გამარჯვებით გულ-გაზვიადებული და გაამაყებული. რა უნდა გითხრათ, მამელუკნო, სიყრმიდანვე ბრძოლას ჩვეულნო? ძლიერი მტერი მოდის. პასუხი ერთადერთია: გალესილი მახვილი უნდა დავახვედროთ. მამელუკნო! დასამალი რა არის, შინაც არა გვაქვს მტკიცედ საქმე. ფელახებში დიდი მოძრაობაა, თურმე. ზოგნი ფრანგთა ტანმოკლე ფაშათ-ფაშას ჩვენზე გამარჯვებას წინდაწინვე დღესასწაულობენ – იქნებ გვეშველოს და მამელუკთა ბატონობას ბოლო მოეღოსო, ამბობენ, თურმე. მაშ, მსწრაფლი მზადება, მამელუკნო, ჭკვიანი თადარიგი, მედგარი დახვედრა, სახელოვანი სიკვდილი...

ბიიებმა სულგანაბულად მოისმინეს თავიანთი წინამძღოლის სიტყვები. ყველანი გრძნობდნენ საქმის არაჩვეულებრივ სირთულეს.

– ვერ გამიგია, – დაარღვია სიჩუმე ყველაზე უფრო ახალგაზრდა ასლან-ბიიმ, – რისთვის მოდის ტანმოკლე ფაშათ-ფაშა ჩვენზე? რა უნდა ჩვენგან? რა დაგვიშავებია მისთვის? სად ჩვენ და სად საფრანგეთი. მასთან და მის ჯართან თავის დღეში შეტაკება არ მოგვსვლია. საიდან მოგვწვდა ამ სიშორეზე?

– ადვილი ასახსნელია, ჩემო ასლან, – მიუგო სალეკ-ბიიმ, გრძელწვერა, ჭაღარა კაცმა, – ფაშათ-ფაშას ახლო-მახლო უცხო ტომთა ჯარები დაუძლევია და ახლა უკვე მოხვეჭილი სახელის შარავანდედის მოსაფენად ჩვენკენ გამოილაშქრა. ეს ხომ ყველა გულადი მეომრის თვისებაა.

– რა ვუყოთ, მობრძანდეს, აგერა ვართ – სთქვა ხაირბიიმ, პირმოპარსულმა, შავ-შავმა კაცმა.

– ეს ხომ ასეა, აბა, სად უნდა გავექცეთ? მამელუკს სიკვდილის როდის შეშინებია, მაგრამ საქმე ისაა, ყოველ გალაშქრებას და, მით უფრო, გალაშქრებას ასეთ შორეულ ქვეყანაზე, რამე პატივსადები მიზეზი უნდა ჰქონდეს. მე მგონია,

უმიზეზოდ არც ეს გალაშქრება უნდა იყოს. ხომ მოდიოდა ამბები, მამელუკნო, ნაპოლეონ ფაშათ-ფაშა ინგლისელებზე აპირებს გალაშქრებასაო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს მძიმე საქმე იმასაც ვერ გაუბედნია. ინგლისელებს შინ რომ ვერა დააკლეს რა, გარედან სურთ უკბინონ, ჩვენსკენ გამოლაშქრებით უნდათ ვნება მიაყენონ ინგლისელთა ვაჭრობას... მისი, ასე ვთქვათ... აღებ-მიცემობა შეაფერხონ, — ჩაერია ლაპარაკში ქილმა-ბიი, შუახნის თვალ-ტანადი კაცი.

— ადვილი შესაძლებელია, ასეც იყოს, მხოლოდ ამ მიზეზთა გამოკვლევა ჩვენ ბევრს ვერაფერს შეგვძენს. წარმოვიდგინოთ, ამ წუთში გაჩნდა აქ თვით ტანმოკლე ფაშათ-ფაშა და თავისი პირით დაწვრილებით აგვიხსნა და განგვიმარტა, თუ რამ აიძულა, ჩვენსკენ გამოელაშქრა. მე მგონია, ამით საქმის მდგომარეობა ნამცეცისოდენად არ შეიცვლება, ჩვენი მდგომარეობა ამ მიზეზის ცოდნით სრულებით არ გაუმჯობესდება. თავი და თავი მიზეზი, რაც ყველამ უკვე ვიცით, მაინც უცვლელი დარჩება — ბიჭი ვარ და მოვდივარ, ბიჭები ხართ და დამხვდითო, გვეუბნება ის კაცი, — სთქვა მახმუტ-ბიიმ.

— დავხვდებით, — წამოიძახეს ბიიებმა და ოქროთი მოჭედილ ხმლებზე ხელი იტაცეს.

ელვის სისწრაფით მოედო მთელ ეგვიპტეს ფრანგთა შემოსევის ამბავი. ყოველი მამელუკი, ვისაც ტანის განძრევა შეეძლო, საბრძოლველად მოემზადა. რაც ჯარი ჰყავდათ, სულ საბრძოლველად გაიწვიეს. მამელუკები კარგად გრძნობდნენ, რომ საქმე ჰქონდათ არა იმ ნახევრად ველურ აფრიკელებთან, ვინც უთანასწორო ბრძოლაშიც არა ერთხელ სახელოვნად დაუმარცხებიათ, მათ წინააღმდეგ მოდიოდა მთელ ქვეყანაზე განთქმული, იმ დროის მიხედვით საუკეთესო თოფებით და ზარბაზნებით შეიარაღებული, ევროპის შიშის ზარის დამცემი დიდებული ნაპოლეონ ბონაპარტე. მამელუკებს კი ზარბაზნები თითქმის არ ჰქონდათ. ისინი ნაქები იყვნენ, როგორც ცხენდაცხენ ხმლით მეომრები. სიკვდილის არ ეშინოდათ და ბრძოლაში შეუდარებელ სიმამაცეს იჩენდნენ, მაგრამ ხმალი ზარბაზნის წინააღმდეგ, რაც გინდა მამაც კაცს ეჭიროს

ხელში, მაინც სუსტი იარაღია. მამელუკები ძლიერ კარგად გრძნობდნენ, რომ ახლანდელს გამარჯვება-დამარცხებაზე იყო დამოკიდებული მათი ბატონობა ეგვიპტეში და შეიძლება მთლად მათი არსებობაც, ამიტომ გადაწყვიტეს მთელი თავიანთი ძალ-ღონით დახვედროდნენ მოულოდნელ საშიშ მტერს.

ბონაპარტემ გადმოსხა თუ არა ჯარი გემებიდან ქალაქ ალექსანდრიაში, პირდაპირ ქაირისკენ გაემართა.

ქალაქი ქაირი დედა ქალაქია ეგვიპტისა. არაბულად მისი სახელია მაზ-ულ-კახირა, რაც ნიშნავს ძლევამოსილს. გაშენებულია მდინარე ნილოსის მარჯვენა ნაპირზე. ქაირი დაარსებულია მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ არაბთა სარდლის ამრუ ფოსტატის მიერ. შემდეგ მეათე საუკუნეში სარდალმა გოჰარმა ძველი ქალაქის მახლობლად ახალი ქალაქი გააშენა. შემდეგ ორივე ქალაქი — ძველი და ახალი — შეერთდა. ქაირის ირგვლივ ძველ ეგვიპტელთა ოდესმე დიდებული და აწ უკვე დამარხული კულტურის ნაშთები ახვევია. ქალაქიდან სამხრეთით ათი-თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე მოსჩანს ძველ ეგვიპტელთა სატახტო ქალაქის მემფისის ნანგრევები, ჩრდილოეთით კი რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ძველ ქალაქის ჰელიპოლისის ნანგრევებია, ხოლო დასავლეთით, მდინარე ნილოსის გაღმა ათი-თხუთმეტი კილომეტრის მოშორებით, ხრიოკ უდაბნოთა მიჯნაზე, ამართულია სამი უზარმაზარი, თავ-წოწლოკინა შენობა, ეგრეთ წოდებული პირამიდები, აშენებული ორი ათასხუთასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე. ამ შენობებს თავისი სიდიადით დღემდე განცვიფრებაში მოჰყავს კაცობრიობა. ყველაზე უფრო დიდს ქეოპსის პირამიდის, მაგალითად საძირკველთან, სიგრძე აქვს 227 მეტრი, ამდენივე სიგანე, ხოლო სიმაღლე 137 მეტრი.

სწორედ ამ პირამიდების ცოტა ჩრდილოეთით, პირამიდებისა და მდინარე ნილოსის შუა, დარაზმდნენ საბრძოლველად განმზადებული მამელუკები. ჭრელი ხალათები ჩაიცვეს, ბედაურებზე შესხდნენ, მრუდე ხმლები გალესეს და, გამოჩნდა თუ არა ფრანგთა ჯარი, თავგანწირულად ეკვეთნენ.

XVI

მახმუტ-ბიის განკარგულებაში იყო ხუთი ათასი მეომარი, ის სარდლობდა ჯარის მარცხენა ფრთას და ეჭირა ადგილი მდინარე ნილოსის ახლო. მას წილად ხვდა შეტაკება ფრანგთა ცხენოსან ჯართან. ფრანგთა კავალერია პირველად, ცოტა არ იყოს, მოუხეშავად იქცეოდა. მამელუკთა ჭრელი ტანისამოსის დანახვაზე ფრანგთა ცხენები დაფრთხნენ და აირივნენ. ამით ისარგებლა მახმუტ-ბიიმ, ბედაური წინ გააგდო, იშიშვლა ხმალი და ათასი მეომრით ფრანგთა კავალერიის შუაგულში შეიჭრა. მახმუტს განზრახვა ჰქონდა ფრანგები შუა გაერღვია, ერთი ნაწილი როდას კუნძულის ბოლოს, მდინარის მოსახვევთან მოემწყვდია, ახალი ძალები მიესია მათთვის და გაენადგურებინა. ნილოსის ლერწმოვან და ჭაობიან ნაპირებზე ფრანგთა ცხენები, ადგილმდებარეობას უჩვეულო, ფეხს ვერ მოიმაგრებდნენ და საჭირო სიმარდეს ვერ გამოიჩენდნენ. ამ მოსაზრებით შეუტია ასე ცხარედ მახმუტმა.

ფრანგები თითქოს მიუხვდნენ მახმუტ-ბიის განზრახვასაო, ცხარე შეტევაზე ცხარედვე არ უპასუხეს, პირიქით, უკან დაიწიეს; იმავ დროს შეეცადნენ არ არეულიყვნენ, შემტკიცდნენ და თავიანთი მთავარი ჯარისაკენ ალმაცერად გაიწიეს. ფრანგთა შუაგულ ჯარში კი ზარბაზნები ქუხდა და გრგვინავდა.

მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილ-გამოჯეჯკილმა მახმუტ-ბიიმ პირველ შეტაკებისთანავე შენიშნა, რომ საქმე ჰქონდა ჯერ მისთვის უნახავ და უცნობ წესრიგთან. ფრანგების ყოველ მოძრაობას, ყოველ ფეხის გადადგმას ეტყობოდა მოფიქრება, მდგომარეობის წინდაწინ აწონ-დაწონა, აუჩქარებლობა და სასტიკი დისციპლინა. მამელუკთა ყოველ შეტაკებაზე ისინი მწყობრად უკან იხევდნენ და მსწრაფლ მოქნეულ ხმლებს აუჩქარებლად, მაგრამ საოცარის ოსტატობით იგერიებდნენ.

— ხასან! — დაუძახა მახმუტ-ბიიმ მის გვერდით მებრძოლს ერთ-ერთს ასისთავს. — ხომ ჰხედავ შვილო, რომ ჩვენ წინ ზანგები, ან კორდოფანელები არ არიან! ხომ ჰხედავ, რა ოსტატურად იგერიებენ ჩვენ შეტევას, როგორ ცოტ-ცოტად

გვიტყუებენ თავიანთ მთავარი ძალებისაკენ? აბა, ჩქარა გაიქე ასლან-აღასთან. ათასი კაცით საჩქაროდ ნახიდარისაკენ გავარდეს, გიზეხის ქვემოთ ლერწმოვანთან ჩასაფრდეს და ელოდეს ჩემს განკარგულებას. მე მახმუტი არა ვყოფილვარ, თუ ფრანგებს მათი ეშმაკობა თავზე არ დავატეხე.

ხასანმა ცხენი მოაბრუნა, მათრახი შემოჰკრა და გავარდა.

მახმუტ-ბიიმ ჯარს უკან დახევა უბრძანა. დაიხიეს. ახლა კი ფრანგებმა შემოუტიეს. მათი ცხენებიც მიეჩვივნენ მამელუკთა ჭრელ ტანისამოსს, იმ ზომამდე არ ფრთხებოდნენ, კიშმიშზე აღარ დგებოდნენ. მახმუტმა ჯარს კიდევ უკან დახევა უბრძანა. ფრანგები სქლად მოაწვნენ. მახმუტმა პირი იბრუნა და ჭენებ-ჭენებით უკან დაიხია. ფრანგები დაედევნენ. ორას ნაბიჯამდე გაირბინა მახმუტმა და მერე სწრაფად მოტრიალდა და შეუტია. ფრანგები ამას აღარ მოელოდნენ, თავი ვეღარ შეიმაგრეს და დაიქსაქსნენ. მახმუტმა მედგარი იერიში მიიტანა, ფრანგთა კავალერია გაარღვია, რამდენიმე ასი კაცი დანარჩენ ჯარს მოჰგლიჯა და ნილოსის ნაპირისაკენ გაირეკა. სამხრეთ-აღმოსავლეთით ტრიალი მინდორი მოსჩანდა, მაგრამ ფრანგები იქით გაქცევას მოერიდნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთით ბუჩქნარი და ლერწმოვანი იყო. რაღაც მოსაზრებით აქით უფრო ხელსაყრელად მიიჩნიეს ფრანგებმა თავის შეფარება და კიდევაც გაქუსლეს ცხენები.

მახმუტ-ბიისაც ეს უნდოდა. სწორედ აქ იყო ჩასაფრებული ასლან-აღა. ასლან-აღა საფარიდან გამოვიდა, ათასი ახალი ჯარით გაქცეულ ფრანგებს გზა გადაუღობა, უკან კი ფეხდაფეხ მახმუტი მისდევდა.

სწორედ ორ ცეცხლს შუა ჩავარდა ფრანგების რაზმი, მაგრამ არ შედრკა, არ დაიბნა, ორად გაიყო. ერთმა პირი უკან იბრუნა და მახმუტის რაზმს შეუტია, ხოლო მეორე ასლანის რაზმს შეებრძოლა. შეიქმნა საზარელი უთანასწორო ჟლეტა. ფრანგთა მომწყვდეული რაზმი ყოველ წუთობით თხელდებოდა, მაგრამ ისინი მაინც მტკიცედ იდგნენ და თამამად იბრძოდნენ. მახმუტმა ახლა მთელი თავისი ძალა შემოიკრიბა და ფრანგთა მთავარ კავალერიას მიუსია, რომ მომწყვდეულებთან კვლავ შეერთებისათვის ხელი შეეშალა.

თქმა არ უნდა, ნახევარ საათს მაინც თუ გაგრძელდებოდა ასეთი მდგომარეობა, ფრანგთა რაზმი უკანასკნელ ჯარის კაცამდე ბრძოლის ველზე დაწვებოდა. მაგრამ აი იგრიალა ზარბაზანმა. უშველებელი ყუმბარა მახმუტ-ბიის შორი-ახლო გასკდა და რამდენიმე მამელუკი იქვე გააგორა.

ტანმოკლე ფაშათ-ფაშას, თურმე, არ ეძინა. მისი არწივისებური თვალები ყველაფერს ხედავდა, მისი გამჭრიახი, არაჩვეულებრივი გონება ყოველგან იყო. კავალერიის ზიანი რომ შეამჩნია, საჩქაროდ ზარბაზნები და ქვეითა ჯარი მიაშველა.

ზედიზედ გაიქუხა ზარბაზანმა და ოციოდ ახალი მსხვერპლი შეიწირა. „რა ყოჩაღად უმიზნებენ ეგ სახე-ძაღლები? — გაიფიქრა მახმუტ-ბიიმ და თავის მხრივაც შეუტია.

მაგრამ, აი, გაისმა ბარაბნის ხმა და მომწყვდეულთა საშველად წამოსული ხიშტიანი თოფებით შეიარაღებული ქვეითი ჯარიც გამოჩნდა.

ახლა კი მამელუკთა რაზმი შეიქმნა მომწყვდეული, სწორედ ის რაზმი, სადაც თვითონ მახმუტ-ბიი იმყოფებოდა.

— ხასან, ეს ქვეითა ჯარი რა ჯურის ხალხია, მწვანე მაუდის, ყვითელ გრეხილშემოვლებული მოკლე ტანისამოსი რომ აცვიათ, წმინდა წყლის ფრანგებს როგორღაც არ ჰგვანან? — დაეკითხა მახმუტ-ბიი თავის ასისთავს.

— ესენი ვენეციელები უნდა იყვნენ. ვითომ მივსცეთ გზა და მერე მათ მარჯვენა ფრთას შევუტიოთ?

— რას ამბობ! ალლაჰმა დაგვიფაროს, ჯერ-ჯერობით, რაც უნდა მოგვივიდეს უნდა გავმაგრდეთ და მერე ან სიცოცხლე, ან სიკვდილი. ახლა ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ქვეითა ჯარი მომწყვდეულ ცხენოსნებს არ შეუერთდეს, თორემ ხომ ტყუილუბრალოდ დაიკარგა ჩვენი შრომა. გავუძლოთ როგორმე, მივსცეთ ასლან-აღას შეძლება ის რაზმი გაანადგუროს... სახსოვრად მაინც დარჩება... ყოჩაღ, ასლან-აღა! ჩინებულად იბრძვის! მეოთხედი საათი თუ დასცალდა, იმ პირმოპარსულ, ქუდზე ცხენის ძუა გარჭობილ ფრანგებს სათითაოდ ამ ველზე გამოსჭიმავს. ეს თუ მოხერხდა, მერე ასლან-აღაც ჩვენ შემოგვიერთდება და თავგანწირვა... სიკვდილი... ჩემო ხასან!..

ქვეითა ჯარს აქა-იქ ცხენოსნები მოსდევდნენ. ტანსაცმელზე

ეტყობოდათ, რომ ისინი ასისთავები უნდა ყოფილიყვნენ. ერთმა მათგანმა, შუახნის ლამაზმა კაცმა, ზურგს უკან გადაკიდებული თოფი საჩქაროდ მოიმარჯვა და მახმუტ-ბიის თვალწინ ერთი მამელუკი მიწაზე უსულოდ გააგორა. თოფი საჩქაროდ ისევ ზურგს უკან გადიგდო, მარჯვედ ხმალი იშიშვლა, რაღაც დაიყვირა და საიერიშოდ წამოვიდა.

— ახ, გიაურ, არ შეგარჩენ, იცოდე! — დაიძახა მახმუტ-ბიიმ, მიზანში ეს ასისთავი ამოიღო და პირდაპირ მისკენ მიიწია.

მახმუტ-ბიის ერთი პატარა მათრახი ჰქონდა. ამ მათრახს ხელიდან არ იშორებდა, მუდამ ხმლის ქარქაშზე ეკიდა. ეს მათრახი ხართუმის თემთა ერთ-ერთ მთავარმა უფეშქაშა. ტარი წმინდა სპილოს ძვლისა ჰქონდა, ხელმოსაკიდი კი ოქროთი მოჭედილი. რასაკვირველია, მახმუტ-ბიი ისეთ ბედაურზე იჯდა, რომ მათრახის დაკვრა არ ესაჭიროებოდა. მათრახს ატარებდა მხოლოდ როგორც სახსოვარს, მეგობრისგან მიძღვნილს. ცხენზე გაქნევ-გამოქნევის დროს, რაღაც მიზეზით, ეს მათრახი ქარქაშს მოშორდა და მიწაზე დავარდა. მახმუტმა ამას თვალი შეასწრო და ძლიერ ეწყინა. „ჯანდაბას, რაღა დროს მათრახზე დარდიაო“, გაუელვა თავში, მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა, საჩქაროდ ჩამოიწია ცხენიდან, მათრახს დააფრინდა, აიღო და ისევ უნაგირს ზედ მოექცა. აღშფოთებული მამელუკები გარს შემოერტყნენ.

— ვაიმე, მოგკლეს?.. განგგმირეს მაგ...— იძახდნენ მამელუკები...

— რა მოხდა? — გულგრილად დაეკითხა მახმუტ-ბიი.

— განა ტყვია არ მოგხვედრია ახლა? — ხმის კანკალით დაეკითხა ხასანი.

— ჯერ არაფერსა ვგრძნობ.

— როგორ? აქვე შენ უნაგირზე მტრის ტყვიამ გაიზუზუნა, შუა გახვრიტა და ჩამოგაგდო, გვეგონა.

— ჰაიტ! — დაიჭყივლა მახმუტ-ბიიმ, — ბედი ამასა ჰქვიან! ტყუილად კი არ მიყვარს ჩემი მათრახი! ჯერ-ჯერობით ხომ სიკვდილს ამაცდინა... თუმცა სულერთია... საბედისწეროა დღევანდელი დღე... მამელუკნო, წინ... მომყევით! — დაიძახა

მან და ვენეციელთა რაზმში ხმალამოწვდილი შეიჭრა. მოხდა საშინელი ხელჩართული შეტაკება. ორი მხარე მშიერი მგლებივით ეძგერნენ ერთმანეთს. ცხენი, ხმალი, ხიშტი, კაცი — დომხალივით ერთმანეთში აირია. მახმუტი თავგანწირვით იქნევდა ხმალს მარჯვნივ და მარცხნივ. მისი გამოცდილი ხელი ერთხელაც არ მოცდენილა.

ამ სასიცოცხლო შეტევის დროს მახმუტ-ბიის ისევ ის ვენეციელი ასისთავი მოელანდა. მახმუტმა დამბაჩას ხელი იტაცა, ვენეციელი მიზანში ამოიღო და მისკენ გაექანა. იმანაც შეამჩნია, ცხენი შეაყენა და უკან, თოფისაკენ ხელი წაივლო, მაგრამ საჩქაროდ ისევ უშვა, ალბათ, გატენილი არ ჰქონდა, ცხენი მიაბრუნა და გაჰქუსლა. მახმუტ-ბიი გამოუდგა.

— თითქოს მეცნობება! სადღაც მინახავს ეს კაცი! — ფიქრობდა მახმუტი, მაგრამ ვერ მოეგონა, თუ სად ენახა.

— მოითმინე, ყმაწვილო! შენ ბრძანდებოდი, რომ ჩემ თვალწინ ჯარისკაცი მომიკალ, მე მოგიკვდი, თუ სამაგიერო არ გადაგიხადე! — წაიბუტბუტა მახმუტ-ბიიმ, დამბაჩა გასინჯა და მარჯვე წამს ეძებდა, რომ ვენეციელი ასისთავი ნიშანში ამოელო, მაგრამ ამ დროს მის ცხვირწინ ხიშტიანი ჯარისკაცი აიტუზა. ხიშტი აიქნია და მახმუტისათვის ბარძაყში უნდა ეთხლიშა. სხვა რა გზა იყო! მახმუტის უკვე ფეხზე შეყენებული დამბაჩა გავარდა და ჯარისკაცი იქვე უსულოდ ჩაიკეცა.

ასისთავმა ეს შენიშნა, საჩქაროდ ცხენი მოაბრუნა, ხმალი იშიშვლა და პირდაპირ მახმუტ-ბიისაკენ წამოვიდა. ორთავემ ანთებული თვალებით გაზომეს ერთმანეთი.

— ჰაიტ, გიაურ! — დაიძახა მახმუტ-ბიიმ და, სანამ ვენეციელი ხმალს მოიმარჯვებდა, ელვის სისწრაფით მოქნეული ხმლით მკერდი გაუპო.

— ვაი, ნანა! — გარკვევით წამოიძახა მწარე კვნესით, ვენეციელს ხმალი ხელიდან გავარდა და ხის მოჭრილი ტოტივით ნელ-ნელა ცხენიდან ჩამოეშვა. ალისფერი სისხლით შეიღება მისი მწვანე მაუდის კოხტად შეკერილი და ყვითელ გრეხილებით მორთულ-მოქარგული ტანისამოსი.

XVII

მახმუტ-ბიი გაფითრდა, მთელი ტანი აუცახცახდა. არც კი ახსოვდა, თუ რამდენი კაცი მოეკლა ბრძოლის ველზე ამ ორმოცი წლის განმავლობაში, ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივ უბრალო მოვლენად გადაექცა, მაგრამ ასეთი სულიერი აღშფოთება ჯერ არ განეცადა.

ვაი, ნანა! ჩასძახოდა მას ყურში რაღაც ხმა და ეს ხმა გულის სიღრმემდე სწვდებოდა და აშფოთებდა. შეირყა მთლად მისი არსება. იგი თითქოს უცბად მოსწყდა იმ სინამდვილეს, რაც მის გარშემო ხდებოდა. ირგვლივ თოფების ტკაცატკუცი, ხმლების ჩახაჩუხი, ზარბაზანთა გრიალი დედამიწას აზანზარებდა, მახმუტ-ბიის კი არაფერი არ ესმოდა. ის უძრავად, გარინდებული იჯდა ცხენზე და სულგანაბული, სულთმობრძავ ვენეციელს თვალს ველარ აშორებდა.

ახლა კი გაახსენდა მახმუტ-ბიის, თუ სად ენახა ასეთი კაცი. ეს თვალები, ეს ცხვირი, ეს შუბლი... ეს ხომ სალომეა! ეს წვერ-ულვაში, ეს ტუჩები ხომ რეზოსია!.. სწორედ ამნაირად, როგორც ახლა ეს მომაკვდავი, კრეჭდა რეზო კბილებს, როცა მას ოსმალები უწყალოდ მათრახს უშენდნენ... „ვაიმე! ვითომ ეს მათი შვილია?“ — გაუელვა თავში საშინელმა აზრმა. „შეუძლებელი რა არის?.. ღმერთო, რა საშინელებაა!..“ მახმუტ-ბიის გონებაში ელვის სისწრაფით გადაირბინა მისმა განვლილმა ცხოვრებამ, მოჩუხჩუხე, მუდამ ამწვანებული ტეხურის ნაპირიდან, ფართე, უზარმაზარი ნილოსის ნაპირამდე. გაახსენდა ბავშვობა, გაახსენდა სახლკარი, დედ-მამა, ძმები, მარკოზ ხუცესი, სალომე, რეზო.... ნუთუ ეს ყოველისფერი ცხადი იყო?.. „ცხადია! ცხადია! — ეფუჩუნებოდა ყურში რაღაც ხმა. — დიახ, ცხადია! სულ ყოველისფერი ცხადია!“ — პასუხს აძლევდა მეორე ხმა. განა არ გახსოვს, ამ შორეულ ქვეყანაშიაც ბევრჯერ მოგგონებია ისინი! ბევრი ცხარე ცრემლი დაგიღვრია ცხადლივ თუ იდუმალ მათ გახსენებაზე. არ გახსოვს, ერთხელ ვიღაცამ, შენსავით მოტაცებულ-გაყიდულმა, ხელით გიჩვენა, თუ საითკენ უნდა

ყოფილიყო შენი საყვარელი, ის შენთვის და შენ მისთვის სამუდამოდ ცოცხლადვე დამარხული სამშობლო. შემდეგში ხომ გულდამწვარი და თვალებაცრემლებული ბევრჯერ იყურებოდი იქით, გულმოდგინედ ათვალიერებდი ნილოსის გაღმა გაჭიმულ, თვალუწვდენელ ხრიოკ უდაბნოს? თითქო გსურდა, ოდნავ მაინც გაგერჩია იმ უდაბნოს იქით ტყით შემოსილი სერები და მათ შორის შხუილით ჩამომდიმარე ანკარა ტეხური. მაგრამ ამაოდ! ხრიოკი, კვლავ ხრიოკი! უდაბნო, კვლავ უდაბნო, ერთფეროვანი და უსიცოცხლო გვხვდებოდა თვალებში! ხომ ბევრჯერ მოგსვლია ჭაბუკობაშიაც ფიქრი: ახ, ნეტავ როგორ ცხოვრობენ იქ, ცოცხალნი არიან თუ არა? სულ ყველანი როგორ დაიხოცებოდნენ... მე ვახსოვართ თუ არა?.. შენ კი გახსოვდა ყველა, გახსოვდა... ადამიანი კი არა, რამდენჯერ გაგხსენებია თქვენი ცხარედ მოყეფარი ძაღლი აშგერია და რქამოღუნული ვაცი ოჩაგა, რომელიც ყველა თხებს ურქენდა და ეჭიდებოდა... მაგრამ მიდიოდა დრო, წელიწადი წელიწადს მისდევდა... შენ შეეჩვიე ახალ ცხოვრებას... ბედმა გაგიღიმა... საუცხოო პირობებში ჩავარდი... არაფერი არ გაკლდა — კარგი გარეგნობა, სიმდიდრე, სახელი, სიამოვნება... ყველანი გაქებდნენ, პატივით გეპყრობოდნენ. ჩაგითრია ცხოვრების ახალმა პირობამ... განვლო ბევრმა დრომ და ამ ხნის განმავლობაში ახალი ცხოვრების ტალღის დანალექმა დაჰფარა შენი გული, თუმცა გულის სიღრმეში ერთი ბეწო რამ მაინც დარჩენილიყო. რაც ვერავითარმა დრომ, ვერავითარმა დანალექმა ვერ დაჰფარა და ვერ გააქვავა. ის „რაღაც“ ხანდისხან მოულოდნელად ამოძრავდებოდა, გაგახსენებდა ძველს, დამალულს, დავიწყებულს, საგრძნობლად გიკბენდა და სევდით მოცულს დაგაფიქრებდა.

„ვაი ნანა!“ ალბათ, ჩურჩულებდა მომაკვდავის ოდნავ მოძრავი ტუჩები. ეს ხომ პირწავარდნილი რეზოა?.. ნუთუ? ღმერთო, რად დამსაჯე ამ ზომამდე! განა ჩემი ბრალია!.. ნამდვილი მაინც ვიცოდე... ვითომ ყურმა მომატყუა? შეუძლებელია! „ვაი ნანა!..“ — არ ცხრებოდა ხმა.

ვენეციელმა ერთიც გაიწ-გამოიწია, კბილები დააკრაჭუნა და გაშეშდა.

მახმუტ-ბიის თმა აებურძგნა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა. თავის გასისხლიანებულ ხმალს თვალი მოავლო, ტარს ხელი მოუჭირა და ნელა გადააბრუნ-გადმოაბრუნა. ბასრი რკინა მზის სხივებზე ელვარებდა; სისხლის ერთი პატარა ნაკადული ხმლის ყუის ღარს ჩაჰყოლოდა და ერთ ალაგას შემდგარიყო.

— მახმუტ-ბიი! ალლაჰ! ცოცხალი ხარ? — დაიყვირა ვიღაცამ.

მახმუტი გამოერკვა. მის წინ სისხლში ამოსვრილი, ტანისამოსშემოგლეჯილი მამელუკი იდგა. მისი აქაფებული ცხენი საცოდავად ქშინავდა. ველზე უთავბოლოდ ეყარნენ მკვდარი ცხენები, მამელუკები, ფრანგები. ხმაურობა და ტკაცატკუცი პირამიდების მხრიდან ისმოდა. მახმუტმა ახალ მოსულს შეხედა, იცნო — ეს ათასისთავი ახმეტი იყო, მაგრამ თავისი თავი კი ველარ იცნო. ორმოცი წლის დანალექი მისი გულიდან თითქოს ამ ერთ წამს გადაირეცხა, გასუფთავდა. ის უკვე მამელუკი აღარ იყო.

— მახმუტ-ბიი! — ათრთოლებით განიმეორა მამელუკმა, — რა ვქნა, მოჩვენებაა, თუ სიცხადე? კაცო, ცოცხალი ხარ? აქ ასე გაქვავებული რამ გაგაჩერა? ვერა ჰხედავ, გვძლევენ ფრანგები! ასლან-აღას რაზმი განადგურდა. შენი რაზმი სადღაა? ომერ-საიდმა შენ საძებნელად გამომგზავნა, საჩქაროდ გვიბარებს, — მოუთმენლად ამბობდა ათასისთავი.

მახმუტი-ბიი თითქოს დამუნჯდაო, გარინდებული იყურებოდა. ათასისთავს უაზროდ შემოჰხედა და მერე ისევ ვენეციელის გაციებულ გვამს დააჩერდა.

მოისმა ცხენების თქარა-თქური და ათიოდ მამელუკი მოიჭრა. ზოგი მათგანი ათისთავი იყო, ზოგი ათასისთავი.

— მახმუტ... აქა ხარ?.. ეს რა ამბავია? ახმეტ, აქ რას უდგიხარ?.. დავიღუპეთ! ტანმომცრო ფაშათ-ფაშამ ჩვენი გვარდია გაანადგურა... ომერ-საიდმა გმირულად თავი შესწირა მამელუკთა სახელს! მახმუტ, კაცო, ბიიები შენ გეძებენ, არ იციან, რა ქნან, როგორ მოიქცნენ! ფრანგები გარს გვერტყმიან, ყოველ წუთს უბედურობაა მოსალოდნელი! — სხაპა-სხუპით აყრიდნენ მამელუკები.

მახმუტი სდუმდა. ბიის გონებაში სულ სხვა სახეები, სულ სხვა პირები იხატებოდნენ.

— იქნებ დაჭრილია? — შენიშნა ერთმა.

— კაცო, რას გაჩერებულხარ? — მედგრად დაეკითხა ახმეტი. — ვერ გამიგია, რას დასჩერებიხარ ამ გიაურის ლეშს! ახლა ნახე? ვენეციელი ასისთავია, ვიღაც ძაღლი ძაღლურათ ჩაძაღლებულა!

— ვინ არის ვენეციელი? — დაიძახა მახმუტ-ბიიმ და თვალები კაკლის სისხო გაუხდა. მამელუკებმა ერთ-ორი ნაბიჯი უკან დაიხიეს.

— ალლაჰ! ალლაჰ! რა ამბავია, მახმუტ, შენ თავს? — გაოცებით წამოიძახეს მამელუკებმა.

— ეს ისეთი ვენეციელია, როგორც მე არაბი! — ხმას აუწია მახმუტ-ბიიმ.

— ალ...ლაჰ! ალლაჰ! წინასწარმეტყველო, შენ დაგვიფარე! ხომ არ შეშლილა ნეტავ? — ჩაილაპარაკა ერთმა.

— შენს წინასწარმეტყველსაც და შენს ალლაჰსაც... სად არის ერთი, ან მეორე?! უსამართლობაა ქვეყნის ალლაჰი და ძალმომრეობა მისი წინასწარმეტყველი! — დაიჭექა მახმუტ-ბიიმ.

შეშფოთებულმა მამელუკებმა კიდევ უკან დაიხიეს.

— მახ... მუტ?! — შეჰყვირა თავის მხრივ ათასისთავმა ახმეტმა, — ეს რა გვესმის? შენ რჯული დაჰგმე?.. მამელუკთა ფიცს უღალატე?!

— მახ... მუტ!? ეს რა ამბავია... იქნებ ფრანგების მოსყიდულია? შე მოღალატევ, შენა! — დაიძახა ერთმა ათასისთავმა ისმაილმა.

— ადვილი შესაძლებელია, — კვერი დაუკრეს სხვებმა.

— არა ჰგავს თუ? ამისი რაზმი დაიქსაქსა, ეს კი სრულებით უვნებელი აქ გამოჭიმულა...

— მაგრამ, გიაურ, არ შეგარჩენ იცოდე! — დაიყვირა ახმეტ ათასისთავმა და ხმალზე ხელი დაიდო.

მახმუტ-ბიი, თითქოს ამას ელოდებოდაო, ცქვიტად შეტრიალ-შემოტრიალდა უნაგირზე.

— არ იკადრო, ყმაწვილო, — მწარე სიცილით წარმოსთქვა და სანამ ახმეტ ხმალს ქარქაშიდან ამოიღებდა, უკვე შიგ კისერში უთავაზა ბასრი რკინა.

— ჰა, გიაურ! ჰა, მოღალატე! — წამოიძახეს მამელუკებმა და ხმლებზე ხელი მოისვეს.

ერთ ხანს ელავდა მზის სხივებზე სწრაფად მოქნეული ხმლები.

— ვაი ნანა! — გაისმა მწარე კვნესა და სასიკვდილოდ დაჭრილი მახმუტ-ბიი ვენეციელ ასისთავის გვამს ზედ დაეცა.

ზარბაზნების გრიალი და თოფების ტკაცატკუცი ცოტ-ცოტად მიწყდა, სამაგიეროდ ბარაბანის და საყვირის ხმას დასასრული არ უჩანდა.

ფრანგთა ჯარი უზარმაზარ პირამიდის ირგვლივ მოგროვდა და გამარჯვებას დღესასწაულობდა.

საზარელ ბრძოლის ველზე, ურიცხვ გვამთა შორის, ორი ერთმანეთს გადაჭდობილი გვამიც ეგდო, ერთს ძვირფასი არაბული ხალათი ეცვა, მეორეს ვენეციელ გვარდიელის მუნდირი.

ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი.

ორთავენი ბედკრულ საქართველოს შვილები იყვნენ.

ჯოლა ლომთათიძე

მამასახლისი თუაძე

ორჯერ დამამარცხა მე გურგენ თუაძემ. პირველათ, როცა ის მამასახლისი არ იყო და მეორეთ, როცა მამასახლისი იყო. და ორივეჯერ მე მართალი ვიყავი იმის წინაშე.

პირველი შეტაკება იმასთან მომიწია, როცა მე ათი წლის ვიყავი, ის კი ორმოცი წლის იქნებოდა. და „ვეფხის ტყაოსანი“ იყო მიზეზი ჩვენი შეტაკებისა. საქმე იმაშია, რომ მას ჰქვიოდა გურგენი. ამიტომ იმას თავი მოსწონდა იმით, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ მისი სახელი იყო ნახსენები. თუ სად ნახა ეს სახელი, ვისგან გაიგონა, ეს დღემდის საიდუმლოებით არის მოცული ჩემთვის, მაგრამ ერთ დროს მეც მჯეროდა, რომ „ვეფხის ტყაოსანში“, მართლაც, ეწერა მისი სახელი. ეს რწმენა ჩემი გაგრძელდა იქამდე, სანამ მე თვითონ არ წავიკითხე ის წიგნი. და ეს შემთხვევა მოხდა, როცა მე ცხრა წლის ვიყავი. ერთ წელიწადს შემდეგ კი გადავწყვიტე დამემტკიცებია გურგენი თუაძისათვის მისი შეცდომა. ვიღაცამ დამაჯერა მე, რომ სიმართლე უნდა ილაპარაკოს კაცმა, თუ ის ნამდვილი კაცი არისო.

გურგენ თუაძე ერთ საღამოს წყლის პირას იჯდა და ირგვლივ მეზობლები ეხვია. ორი ვერცხლის ჯვარი ეკიდა მას ფართო მკერდზე და კიდევ რამდენიმე მედალი. გმირული სახე ჰქონდა მას, განსაკუთრებით თვალები, ცოტათი ჭაღარა წვერი უფრო ამშვენებდა ამ სახეს. მოძრაობა დინჯი და გამომეტყველი ჰქონდა მას — ერთი სიტყვით ნამდვილი „დარბაისელი“ კაცი იყო, როგორც სოფელში ამბობდენ. ის მუსაიფობდა წყლის პირათ, ხოლო მისი მუსაიფი აუცილებლათ მოითხოვდა ადრე თუ გვიან „ვეფხის ტყაოსანის“ გმირებზე გადასულიყო

მისი საუბარი და ამ გმირებში გურგენის სახელიც უნდა გამორეოდა. მეც გადავიწერე პირჯვარი, ვახსენე ღმერთი და დავიწყე ლოდინი — როდის მომეცემა შემთხვევა, რომ შევებრძოლო გურგენ თუაძეს-მეთქი.

— ჰო და მოვრეკავ ახალციხიდან საკლავს, — ამბობს გურგენი, — გდმოვადექი თავზე სურების მთას და უცებ ცხენოსანმა, შეიარაღებულმა თათარმა გადამიჭრა გზა — შეჩერდიო, შემომძახა. შევხედე — რას შეხედავ, მხედარი ტარიელია და ცხენი ტარიელის ტაიჭი!.. გამახსენდა ერთი თვალის დახამხამებაში ტარიელის ამბავი:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა, გურგენისა და ვითა გმირსა“...

თქვა ეს გურგენმა და ვაჟკაცურათ მიმოიხედა. მეც გადავდგი წინ ფეხი, გადავწყვიტე გამეწირა თავი სიმართლისათვის და გურგენის რისხვა მიმეღო.

— გურგენ, მასე არ წერია „ვეფხისტყაოსანში“... — ვთქვი მე და ერთიანად გავიწურე ოფლში, ცა და მიწა დატრიალდა ჩემსწინ, კინაღამ წავიქეცი. მახსოვს, რომ მაყურებლებმა დაალეს პირი და შემომაცქერდენ. მაგრამ ყველაზე უფრო განცვიფრება დაეტყო თვითონ გურგენს.

— რაიო, რაიო? — დამეკითხა დაბოლოს ის.

— მასე არ წერია — გურგენსა და ვითა გმირსაო... — ვუპასუხე მე და ცოტათი მოვედი გონს, დავრწმუნდი, რომ ჯერ კიდევ არ გადავუყლაპივარ ვეშაპს.

— აბა რაფერ წერია, ბაღანავ? — დაბალი და საიდუმლო ხმით დამეკითხა ის.

— „შავი ხცენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“, აი ასე წერია. გურგენის სახელი „ვეფხისტყაოსანში“ არსად არ წერია.

— შენ წაგიკითხავს „ვეფხისტყაოსანი“, ბიძია? — მესმის გურგენის ხმა.

— წამიკითხავს.

— გაქ შენ „ვეფხის-ტყაოსანი“?

— მაქ.

— წადი ერთი, შენ გაზდას, მოიტანე!

ათ წამში მე გაწითლებული და რბენით დაღლილი გურგენის წინ ვიდექი „ვეფხის-ტყაოსნით“ ხელში.

— მოდი აბა, მაჩვენე, სად წერია!

მე მივედი, დავდექი გურგენის წინ და დავუწყე ფურცვლა და ისიყო უნდა დამედო თითი სადაც საჭირო იყო, რომ გურგენის ხელებმა ჩემი ორივე ყურები შეიპყრეს და ისეთი ძალით მოსწიეს იქით-აქით, რომ მეგონა ორივე ყურები და დამაგლიჯა. საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ, მახსოვს, არ მიყვირია, მხოლოდ თვალები დავხუჭე, ყურებს კი ისევ აქანქალებს გურგენის ძლიერი ხელები, მტკივა, ყვირილი მინდა და პირს ვმუწავ და ტკივიოლთან ერთად მესმის გურგენის ნელი ხმა:

— ბრძენმა კაცმა თქვა, ბაღანავ, რომ პირი ერთი და ყური ორი იმიტომ აქვს კაცს, რომ ცოტა იტლიკინო და ბევრი გაიგონოვო...

მე ველარ მოვითმინე და დავქანდი. გურგენმა გამინთავისუფლა ცალი ყური და თავისუფალი ხელით ერთი ისეთი სილა გამაწნა ლოყაზე, რომ ეხლაც მახსოვს მისი სიმწვავე.

— შე გაუზრდელო, შენა! — მითხრა დაბოლოს მან, ამომკრა ერთი პანღური და გამაგდო. შერცხვენილი, შეურაცყოფილი წავედი მე ბრძოლის ველიდან და უკანიდან მომდევდა ჩვენი მეზობლების ხარხარი და დაცინვა. შინ არაფერი მითქვამს, მეორე დღეს კი მამაჩემმა გაიგო ეს ამბავი და იმანაც მითავაზა ერთი-ორი — რათ ხარ ენა-გრძელიო...

შეურაცხყოფა გულში ღრმათ ჩავიმარხე და ვეძებდი მარჯვე დროს, კიდევ მეცადა ბედი გურგენ თუაძის წინააღმდეგ. დრო მიდიოდა, მე ვიზრდებოდი. გურგენი ბერდებოდა, მაგრამ სიდინჯე, გავლენა და ჭკუიანი კაცის სახელი მას ისევ ისე ჰქონდა შერჩენილი. სიმსუქნე მოემატა მას და აკი ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი გურგენი მამასახლისათ აირჩია ჩვენმა საზოგადოებამ. შესანიშნავი მამასახლისის სახელი გაუვარდა

მას, მისი მოსწრებული, მოქნილი სიტყვები ანეკდოტებათ გადაიქცენ, მისი მიხვრა-მოხვრა, სიტყვა-პასუხი მისაბაძავ მაგალითათ იყო მიყებული.

— ნუ ცრუობ, ყაძახო, ნუ ცრუობ-მეთქი, — დაუყვირებდა ის რომელიმე გლეხს, — ნუ ცრუობ, შენ ვერ მოატყუებ გურგენ თუაძეს. მე ერთი საბანი მაქვს, რომ დავწობი და თავზე დავიხურავ იმას, რაც ჩემ საზოგადოებაში რამე ხდება, ყველაფერს მეუბნება მე ის. ნუ ცრუობ, ყაძახო, თვარა, მამა-ჩემს აქვს ცხონება, გამოგაბამ წელში ღორის ბაწარს და გაგაყოლებ ვირის აბანოში...

— შენ, ბიჭო, თუ დათვერი, ვერ მოინელე, შე ღორის შვილო! — უყვირის ის მეორეს, — ჩემ საზოგადოებაში პარიადკა უნდა იყოს, მე ასე მსურს და ასე იქნება. ღონე გერჩის? ჩხუბი იცი? სად იყავი მაშინ, შე მუტრუკო, ოსმან ფაშა რომ დავიჭირეთ პლევნაში, ა, მაშინ სად იყავი... შენ მეზობლებთან გაქვს დიდი გული? კოჭლი ინდოური შეგაშინებს და შენ კიდევ ჩხუბობ, ბიჭო?.. მოდი აბა, დამეტაკე ერთი თუ შეგიძლია, გამოდი, ნახე...

დაბოლოს გურგენ თუაძეს მოსკოვში მოუწია გამგზავრება, როცა ხელმწიფე ეკურთხა. სულ სირმებით მოქსოვილი გურულ ტანისამოში, ტამბაჩით, რევოლვერით გამოწყობილი, სირმითვე მოქარგული, გურულათ თავზე მოხვეული ჩაბალახით და კოხტა წუღა-მესტებით, ის, მართლაც, ზღაპრულ გმირს მოგაგონებდათ.

— გურია უნდა ვასახელო, გურია! — ამბობდა ის და ყველას სწამდა, რომ, მართლაც, ასახელებდა გურიას, მართლაც, არ შეირცხვენდა თავს გურგენ თუაძე... მისკოვიდან დაბრუნებული, ის უკვე ვეღარ ცნობდა ვერავის, სულ მოსკოვზე და იქაურ სურათებზე ლაპარაკობდა. და რა თქმა უნდა, რომ ყველას სჯეროდა, რომ მოსკოვში ოქროს ეტლებით დადიოდნენ დიდი კაცები, ოქროს სახლები იდგა, ოქროს ტანსაცმელს იცვამდნენ და ერთი ქუჩა კიდევ, სადაც მეფეს უნდა გაევლო, ოქროთი იყო მოკენჭილი, ყველას სჯეროდა, რომ უთვალავ წარმომადგენლობაში გურგენ თუაძე შეამჩნიეს.

— შენ ვინ ხარ? — ჰკითხა ერთმა დიდებულმა მას.

— მე გურგენ თუაძე ვარ, ოზურგეთის მაზრის, ახალშენის საზოგადოების მამასახლისი.

— სად იშოვნე ეს ჯვრები და მენდლები?

— ოსმან ფაშის დაჭერისათვის მომცეს პლევნაში.

— ყოჩაღ, გურგენ, ყოჩაღ გურულებო! — დაჰკრა დიდებულმა მხარზე ხელი მას და მისი სახელი და გვარი ოქროს ფურცლებიან უბის წიგნში ჩაიწერა.

ვიღაც უბედურს წამოსცდა, რომ გურულები ოსმალეთთან ომის დროს ჩვენშივე იბრძოდენ, რომ პლევნა თვალით არ უნახავთ მათ და მათ რიცხვში არც გურგენ თუაძეს, მაგრამ ერთი ისეთი გადახედა გურგენმა მას, რომ კინალამ იქავე გააცხებია ფეხი.

— აბა სა ვიშოვე, შე ჯალაბო, მე ეს ჯვარი... აი, ეს ჯვარი! მოიკიდა მან ერთ-ერთ ჯვარზე ხელი, — სა ვიშოვე?..

ეს ისეთი საბუთი გამოდგა, რომელსაც ვერაფერი დაარღვევდა და მოწინააღმდეგე სამუდამოთ გაჩუმდა. სწორეთ ამ დროს მე და კიდევ რამდენიმე სხვები სასწავლებლიდან გამოგვრიცხეს და სოფელში ვცხოვრობდით. ამ გარემოებამ დიდი მასალა მისცა გურგენ თუაძეს. სადაც დაგვინახავდა, აგვხედ-დაგვხედავდა, ააქნევდა ცალ ხელს, რომელშიაც მათრახი ეჭირა და თავის ქნევით ამბობდა: — ქვეყნის ამშენებლები! სახლის დამშვენებლები! სუდენტები!... ცენტერაძის მოლაზონი თურმე ცისა და ქვეყნის სატირალს ტიროდა, აი, ეს ბიჭებიც ცენტერაძის მოლაზონია... დეიქცა, დეიქცა თქვენი აშენებული ქვეყანა, ტურის მეტმა არ იცხოვრა იქ.

მაგრამ თუ ჩვენ თავზე უბედურება დაგვატყდა, გურგენსაც გამოუჩნდა თავსატეხი საზრუნავი. ჩვენ საზოგადოებას ერთხელ გადახდილი ბეგარა, ხუთი ათას მანეთამდე, ხელახლა მოსთხოვეს გადაეხადა. გამოდგა, რომ ეს ფულები ხაზინის მაგიერ გურგენის მისვლოდა და იქ დაებინავებიათ სამუდამოთ. ატყდა ყაყანი და ამ ყაყანმა დაგვაფიქრა ჩვენ. ჩვენ გადავწყვიტეთ გვესარგებლა ამ შემთხვევით და მამასახლისი გამოგვეცვალა... კერძოთ მე გამახსენდა „ვეფხის-ტყაოსანი“, ტარიელ და გურგენი. ცხადი იყო, მოვიდა ჩემი დროც...

და დავიწყეთ აგიტაცია. დავითანხმეთ ერთი პატიოსანი გლეხი მამასახლისობაზე და გავწიეთ სოფლებში, დაუწყეთ ქება ჩვენს კანდიდატს. ჩვენი მოლოდინის წინააღმდეგ გლეხები დაგვეთანხმნენ ჩვენს კანდიდატზე და, ასე გასინჯეთ, ჯამაგირის მიცემის მომხრეც კი იყვნენ, ოღონდ ქრთამს ნუ აიღებს და ფულებს ნუ შეგვიჭამსო. კიდევ უფრო გაგვაკვირვა ჩვენ იმ გარემოებამ, რომ თვითონ გურგენ თუაძე, რომელსაც გაეგო, რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილი, გულგრილათ შეხვდა ამას, თითქოს სულ ერთი იყო მისთვის, დარჩებოდა მამასახლისათ თუ არა.

ჩვენ მხიარული ვიყავით იმ დღეს, როცა ბოქაული მოვიდა და ხალხი შეკრიბა მამასახლისის ასარჩევათ. აბა, დღეს დამაგრდი თუ შეგიძლია, ჩვენო გურგენ!

გაიხსნა კრება და ბოქაულმაც მიმართა ხალხს — მოილაპარაკეთ, სამამასახლისო კაცი გამონახეთ, ან ძველი დატოვეთ, ეს თქვენი ნება არისო. და ამ დროს მოაჯირზე გადმოდგა გურგენ თუაძე თავმოხდილი და ჩაბალახით მარცხენა ხელში, გადმოდგა, დაახველა და დაიწყო:

— უფალო ახალშენის საზოგადოებავ! მე დიდათ მოხარული ვარ, რომ ყველას ერთათ შეკრეფილს გხედავ, რომ ყველას ერთად მოგცეთ ჩემი მდაბალი სალამი და დაგემშვიდობოთ. მე თქვენ გთხოვთ, თავი ტყუილათ არ შეიწუხოთ და მე არ ამირჩიოთ. მე აღარ შემიძლია თქვენი სამსახური, აწი სხვამ გემსახუროს საზოგადოებას, ერთი ვინმე რომ დეიფსოს და დეიფშუკოს, ნურც თქვენ იზამთ მაგას, თვარა მე ხათრიანი კაცი ვარ. თქვენ იცით, რომ ერთ დროს მე შეძლებული კაცს მეძახოდნენ, საჭმელი მქონდა და სასმელი, ხომ იცით, აგი, ბიჭებო, მართალია, თუ არა, ძმებო, აჰ?..

— მართალია, მართალია, შენი სიტყვა! — წამოიძახეს აქაიქ ვილაცეებმა. გურგენმა ამოახველა, მოიწმინდა ოფლი და განაგრძო:

— ახლა კი თქვენ სამსახურს მოუნდი მე და ოჯახმა კოჭლობა დეიწყო. ამის გამოთ მე იძულებული ვხდები გამოგემშვიდობოთ. და ამ ჭირსაც რომ გავუძლო, მე პირამტეხი

კაცი ვარ, სიმართლე მიყვარს, უდროოთ გამათეთრა ამ პირში მთქმელობამ, — და გურგენმა ხელი ლაღათ გადაისვა წვერულვაშზე, — ძველ დროში ჩემ ხელობას ჭაკუნობიას თამაშობდნენ. პირდაპირი კაცი ვარ და ბევრი მევიმდურე ჩემი პირდაპირობით, ბევრი გადავიმტერე. ამას წინათ ვინ ემტერებოდა გურგენ თუაძეს, ყველას ვუყვარდი და თვალში რომ ჩავარდნოდი, ნუ დამერიდებით, ხომ მართალს ვამბობ?...

— მართალია, მართალია! — გაისმა ეხლა უფრო მეტი ხმა.

— მარა რაც იყო, იყო, მტყვანისა და მართალის გამკითხველი მაღლა ღმერთი უფალია ძირს ჩველი ლიმპერატორი ხელმწიფე. ავათ იყო თუ კარგად, დღემდი გემსახურე, ძმებო, მე თქვენ, დღემდე დღეი და ღამე თქვენზე ვფიქრობდი. ახლა დამასვენეთ, ძმებო, გამანთავისუფლეთ! დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ახალშენის საზოგადოებავ, პატივისცემისათვის. თქვენ მე მასახელეთ, წარმომადგენელათ ამირჩიეთ. თქვენი წყალობით მე თვითონ ხელმწიფე ლიმპერატორი დავინახე, გავბედნიერდი. მოსკოვის ქალაქში, რომელიც სტალიცაა, ვიყავი, აბა თქვენ რომ არ აგერჩიეთ, სად წავიდოდი მე? დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ძმებო, მარა თუ თქვენ პატივი მეცით, არც მე მიჭმევია, ბიჭებო, თქვენდა სირცხვილი. სადაც წევიდოდი, ვინც მნახავდა, ვისაც დეველაპარაკებოდი, ყველა კითხულობდა, ვინ არის ეს კაციო? და ყველას ეუბნებოდნენ: ახალშენის მამასახლისი გურგენ თუაძეაო... თვითონ მოსკოვში ჩეიწერენ ახალშენის საზოგადოება, იქ მითხრეს: ყოჩაღ, გურგენ თუაძევ, ყოჩაღ გურულებოვო!... აი ასე ვატარებდი მე თქვენს სახელს, არ შემირცხვენია... და დიდი მადლობა თქვენ, ძმებო, ვიხდი ქუდს თქვენ წინ და გამომშვედობების წინ ვიძახი: ურა, ბიჭებო, ურა, ახალშენის საზოგადოებავ! — და გურგენმა აისროლა მაღლა თავისი ჩაბალახი, აისრულა და კიდევ დასძახა:

— ურა, ბიჭებო!

— ურა! ურა! — დაიღრიალა ხალხმა და იმათაც შესტყორცნეს მაღლა ჩაბალახები. ვიღაც მელიასავით გამოძვრა ხალხიდან, აირბინა კანცელარიის მოაჯირზე და მთელი ხალხის წინაშე

გადაეხვია გურგენ თუაძეს, გადაუწია თავი და ზედი-ზედ ჩაჰკოცნა. შემდეგ შემობრუნდა ხალხისკენ და დაიძახა:

— ვის ევირჩევთ, ძმებო, ჩვენ ამაზე უკეთეს მამასახლისს, ვის ევირჩევთ... ვინ გვასახელებს ჩვენ ამის მეტი? ვთხოვოთ გურგენს, ვთხოვოთ და არ გაგვაწბილებს...

— ვთხოვთ! ვთხოვთ! გურგენის მეტი არავინ გვინდა ჩვენ!... — გაისმა სხვადასხვა კუთხეში.

— არა, მაგას ნუ შემეხვეწებით, ძმებო! — დაიძახა გურგენმა, — მე დამანებეთ თავი. მარა ეირჩიეთ ვარგებული ყაძახი, ფოლადიანი ბიჭი, რომ ცეცხლსა ყრიდეს პირიდან, რომ არ შემრცხვეს ვთქვა — აგია ჩემი მოადგილე-მეთქი...

— გურგენ, გურგენია ასეთი! აბა სხვა ვინ ივარგებს? ურა, ბიჭებო! გურგენს ვთხოვოთ, გურგენს, გვცეს პატივი... აბა, ვისაც გინდა გურგენი, ასწიეთ ხელი!

და მთელმა საზოგადოებამ ასწია ხელი, გურგენი ერთხმათ არჩეული იქნა ხელმეორეთ მამასახლისათ.

ჩვენ, რომლებიც შორი-ახლოდან ვუცქერდით ყველაფერს, რაღა დაგვრჩენოდა იმის მეტი, რომ უკან დავბრუნებულიყავით. და როცა მეორე დღეს გურგენ თუაძემ დაგვინახა, ცალი ხელი, რომელშიც მათრახი ეჭირა, აიღო მაღლა, გააქნია თავი და ჩვენდა გასაგონრად თქვა:

— ჩემმა საბანმა მითხრა წუხელის, რომ ვიღაცას ჩვენს საზოგადოებაში ღმერთი არ სწამს და ხატი, უფროსებს არ ემორჩილებაო. რა ეკუთვნის ამფერ კაცებს-მეთქი, ვკითხე მე ჩემს საბანს. — მათრახიო!.. ჩემი საბანი თილისმაა...

ამ სიტყვაზე მაყურებელმა გაიცინეს და ჩვენც გავშორდით თვალიდან იმათ...

ნიკო ლორთქიფანიძე

რაინდები

ვისაც გამოუცდია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოდვა, ტკივილების დროს ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოუსმენია, — იგი გაიგებს ჩემს სულისკვეთებას და სასიამოდ დარჩება არეული ისტორიის, დავიწყებული ზეპირგადმოცემების და დაღლილი ოცნების ხლართი მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეკონილი.

I

კარებთან ვიღამაც ორჯერ-სამჯერ მორიდებით, მაგრამ განგებ ჩაახველა.

— ვინა ხარ მანდ?

— მე გახლავარ, ბატონო, გიორგი...

— ვინ გიორგი? შემოდი...

ფანჯარასთან მჯდომი დედოფალი ეზოს თვალს ვერ აშორებდა...

— აა! შენა?.. მოდი, მოდი! შეხედე, თუ კაცი ხარ: განა მართლა გიჟი არ არის ჩვენი არჩილი?

ახლად შემოსული სავარძლის უკან დადგა და ეზოში გადიხედა.

საკვირველი დაინახა:

მეფის ძმა არჩილი ჩამჯდარიყო და ხმალს ფეხებში უქნევდა ახოვან კაცს, რომელიც ყოველ მოქნევაზე ხტებოდა; სისხლიც აჩნდა აქა-იქ უცნაურ ჯამბაზს...

— არჩილ, ღვთის გულისათვის, გაუშვი! რა დაგემართა?..

— ახლავე ქალბატონო, ახლავე...

არჩილი წამოდგა, ოდნავ გასისხლიანებული ხმალი ბიჭს გადასცა.

უცნობი ვაჟკაცი შეჩერდა, სული მოითქვა. უცერად მის ყურებთან დამბაჩა გავარდა... ვაჟკაცი ერთი შეკრთა, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნია არავისთვის...

— ახლა დაისვენე... ფეხები დაიბანე და არაყი გადისხი — არა გიშავს რა! — ბრძანა არჩილმა.

— რა ამბავია, ქალბატონო? — დაეკითხა ოთახში მყოფი დედოფალს.

— სასაცილო ამბავი, სასაცილო, ჩემო გიორგი!.. ამასწინათ ბატონი და არჩილი დანაძლევდენ, არა ჩემი ყმები უფრო ვაჟკაცები არიან და არა ჩემიო... ბატონმა აი, ახლა რომ არჩილი აწვალებდა, ის გამოიყვანა, არჩილმა — ახალგაზრდა პირტიტველა მესხი. რავა გვეგონა, ამხელა მუტრუკს თუ ტუჩზე რძე შეუშრობელი ყმაწვილი დაიჯაბნებდა...

დედოფალი ამ სურათმა გამოაცოცხლა. პირზე ღიმი მოუვიდა, ფეხზე წამოდგა:

— როცა მესხმა იძრო ხმალი და დაატრიალა, ეს ლეჩხუმელი ხესავით დადგა, ძლივს ამოიღო ხანჯალი, დახუჭა თვალი, დაიწყო ღრიალი: „ხუთი ნუ მოდიხართ, ერთი მოდი! ხუთი ნუ მოდიხართო“. სიცილით დავიხჩვით. მეფე გაჯავრდა, ასწია და ის კაცი არჩილს აჩუქა. არჩილი ახლა იჩემებს: „რა ვაჟკაცი მქვია, თუ ერთი ლაჩარი ვერ გავაგულადეო!“ ამიტომ აწამებს... ურჯულოსავით...

— ჰმ! — გაეცინა გიორგის.

— საიდან გაჩნდი? — დაეკითხა დედოფალი.

— ტყიდან გიახელი, დედოფალო.

ჩქარის ნაბიჯით ოთახში შემობრძანდა მეფე იმერეთისა.

შეჩერდა.

შეხედა.

— გეძებ, ვერ გპოულობ. სად ხარ? — დატუქსვით მიმართა მეფემ.

— ნამოხვანში გახლდი...

— რაო?!

— ნამოხვანში გახლდი, წისქვილის ქვებს ვტეხდი...

— მეწისქვილობა დამიწყე, როცა მე ომისთვის ვემზადები?!

— არაფერი მსმენია, მეფეო...

— საქმეც ისაა... რომ დაიკარგები, ხმას ვერ მოგაწვდენს ადამიანი.

— რა ვქნა, მეფეო, რჩენა მინდა და ხელი უნდა გავანძრიო. გიორგი შეჩერდა და ელოდა, იქნებ ახლა მაინც წამოცდეს რაიმე წყალობაო.

— შენს ვაჟკაცობაზეა დამყარებული: ვერცხლიც შეგიძლია იშოვო და ყმაც.

— ვის ეომები, მეფეო? — წყალობაზე იმედგაწყვეტილის ხმით შეეკითხა გიორგი.

— ვეხმარები ოდიშის მთავარს აფხაზთა მთავრების წინააღმდეგ!

— როდის წაბძანდები?

— ზეგ დილით.

გიორგი ჩაფიქრდა.

— მაშ, გავსწევ, წისქვილს მოვაწყობ და...

— გადირიე? ისედაც მცირეა ჩემი ლაშქარი!..

— მეფეო, მე მცირე რაზმით წინ დაგიხვდებით... მე ვიცი მოკლე გზები.

— მეც იმ გზით წავალ...

— ვერა მეფეო, მე მეყოლება სულ ხუთიოდე ცხენოსანი, ორი საბარგო ჯორი და ოციოდე ქვეითი. მათი ბილიკზე გაყვანა ადვილია, თუმცა ზოგჯერ ცხენების დაგორებაც კი მოგვიხდება. ათასი კაცი კი, თუ არ გაიშალა, ერთმანეთს დაასახიჩრებს..

— უშენობა დაემჩნევა ჯარს.

— მეფეო, ნუ დამიშლი წისქვილის დამთავრებას... მეცინოდენ, ქვას ვერ იშოვნის და სათავის კეთება ტყუილა ჩაუვლისო... ამელამვე ჩავიტან მასალას, ხვალ და ზეგ უკვე ავარიკრიკებ წისქვილს, სახლიკაცების გულის გასახეთქად... თუ გნებავს, ჩემს კაცებს გამოვაწყობ და მოგართმევ, მე კი ორის მხლებელით პირდაპირ წავალ და ენგურის პირად დავიცდი: იქაური ადგილები ვიცი, მაგრამ ომის წინ მივლა-მოვლა კარგია...

— უსარდლოდ მაინც როგორ იქნება ჯარი, — უპასუხა ჩაფიქრებულმა მეფემ.

— სარდალი თვარა, მე რომ გაწრთვნილი ჯარი მყავს, მისი ჭირი არ იქნა!.. მე ჩაგისრებთ, თუ თქვენ გიახლებით, ჯარს ჩვეულებრივ დავრაზმავ, ძველებურად შევძახებ, წინ წავალ, და თუ არ გამომყვებიან, მაშინ — პატივი თქვენთან მომითხოვია... — და სარდალმა ისეთი ორსართულიანი გინება ჩაახაჭაპურა, რომელსაც გვირგვინოსანნი კადრულობდენ, მათთან მომუსაიფენი ბედავდენ და რომელსაც ახლა ასოთ-ამწყობიც კი არ აპატიებს მწერალს.

მეფემ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში.

— ბედნიერია, ვისაც გაწრთვნილი ჯარი ჰყავს — მცოდნე იარაღის ხმარების, შეტევის და მოგერიების, — შენიშნა გიორგიმ.

— ნუ გეშინია, ჩვენც გვეყოლება გაწრთვნილი და მუდმივი ჯარი.

— მე ვერ მოვესწრები და...

— ჩვენი შვილები მოესწრებიან...

— ღმერთმა გისმინოს...

— აბა გიახლები... დროა, ბატონო...

— წადი, შვილო, კეთილი გზა მოგცეს ღმერთმა.

— ენგურის პირას დაგხვდები, მეფეო.

— კარგი... ოღონდ...

— ვიცი, ვიცი...

— მეფეც როდის იყო...

ოდნავ შეჩერდენ. სათქმელი აღარაფერი იყო.

— შემოსვლისას სალამი არცერთმა არ მაღირსეთ, ახლა მაინც მიბრძანე, — ღიმილით სთქვა გიორგიმ. მეფესაც გაეღიმა.

— გზა მშვიდობისა, ჩემო გიორგი! მომიკითხე ჩემი ნათლული. გიორგიმ გულზე აკოცა მეფეს; დედოფალმა თავში მოჰკიდა ხელები მიმავალს და ძმურად თავზე აკოცა.

— ჩემს ბატონს შენ გაბარებ, აბა შენ იცი...

— კაი ბავშს კი აბარებ... — გაეცინა მეფეს...

— რა ვქნა, დედოფალო, ომში მე არაფერს დამიჯერებს... უზნეო ბავშია, — იოხუნჯა გიორგიმ, მდაბლად ორივეს თავი დაუკრა.

— დედოფალო, კალთას გეამბორები... მეფეო, თაყვანისცემა! — და სარდალი ფარდის იქით მიიმალა...

— ასეთი ერთგული და გონიერი კაცი რო ერთი ასი მყავდეს! — ინატრა მეფემ.

— აი, მე რომ არ მიჯეროდი, განრისხული გყავდა!..

— ვცდებოდი, ჩემო გვრიტო...

ბნელდებოდა.

—...შენ ხარ მხოლოდ გულთამხილავი და წინათმგრძნობი.

ბნელდებოდა.

— რამდენი ხვეწნა და მტკიცება დამჭირდა და... რამდენი გევედრე შეგერიგებია — რაღაც მინაზებულის ხმით უპასუხა დედოფალმა.

ბნელდებოდა.

— სულ ხომ მე არ უნდა გეხვეწო, ერთხელ მაინც შენ მეხვეწე... — მაცდურის ღიმილით სთქვა მეფემ.

ბნელდებოდა...

და დაიწყო მოსაყირჭებელი ალერსი — ნახევი და ნაგლეჯი ტარიელ-ავთანდილის მიჯნურობისა, სპარსული მგოსნებისა, თეიმურაზის ლექსებისა, რომელნიც ახლაც ისმის ბაიათებსა და მუხამბაზებში...

აქ იყო „კოკობი ვარდი“, „ალვის ტანი“, თუმცა დედოფალი კარგა შემრგვალებული, თვალჟუჟუნა, შუა ხანს მიღწეული ქალი იყო.

— ამისთანა მარდი, მოხერხებული და ნამუსიანი დიდებულნი მყავდენ... — დაიწყო ისევ მეფემ მაგრამ დედოფალმა შეაჩერა.

— მოიცა, მოიცა, — სიმღერა ისმის.

დედოფალი და მეფე სამზერად ფანჯარას მიადგენ.

— მეტივეებია! გააღე, ბატონო, ფანჯარა...

მეფემ ფანჯარა გააღო.

— ეს ხომ ჩვენი გიორგია. დახე, რა ტკბილად იმღერიან! მდინარის შუაგულიდან ისმოდა:

ჩემო ტივო, მაშინ გაქებ,
სატივოზე გასულიყო.
თავს მუშტარი დაგხვეოდეს,
სხვაზე მეტად გასულიყო.

— ძალიან ფაცურობენ, მაგრამ სიმღერას არ სწყვეტენ. — შენიშნა დედოფალმა.

— საშიშია. იქაა მორევი...

— ღმერთო უშველე!

— არა უშავს რა, გიორგი ნაცადი ვაჟკაცია, — თქვა მეფემ; თვალს კი არ აშორებდა, სანამ ტივმა არ გასცურა სახიფათო ადგილი.

II

მეფის მცირერიცხოვანი ჯარით მოსვლა არ იამა ოდიშის მთავარს.

მოხუცი დედოფალი მეფის გასაგონადაც კი დედაბრულად ბუზღუნობდა:

— აი, დახმარება თუ გინდა სიძე-ბატონისაგან, ამას ჰქვია!.. თითქო სანადიროდ მოსულიყოს! სასაცილოდ აგვიგდო!... თუ გავიმარჯვეთ, სახელი მისია; თუ დავმარცხდით — ჩვენ აგვიანცებენ...

მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ მოკლეთ მოსჭრა:

— ცოტაა თუ ბევრი ჩემი ჯარი, გამარჯვება ჩემს კისერზე იყოს... თქვენი ჯარი სრულიად ნუ გამოვა! თუ გაწყრა ღმერთი და დამამარცხეს, ჩემი სამეფო თქვენთვის დამითმია — მოგახმაროთ ღმერთმა!..

მეფეს ენგურის პირას დახვდა გიორგი.

— დამეკარგა შენი იმედი, — მიეგება მეფე.

— წუხელის გიახელი, ბატონო, ღამით. ადგილები დავათვალიერე. აფხაზთ ჯარი დიდი ჰყავთ...

— ჩვენ კი მცირე ვართ, ოდიშელნი არ გამოსულან. სულ ასიოდე კაცი იქნება. თუმცა რჩეული ვაჟკაცები.

— რატომ?

— წამომცდა, სულ არ ხართ საჭირო-მეთქი, და დაიხვია ხელზე მთავარმა... თავისი ნებით კი მეტმა არ ისურვა.

— ჩვენ რაღას ვაკლავთ, შე დალოცვილო, თავს? შემოვაბრუნოთ ცხენები და გაუდგეთ ჩვენს გზას.

— ეჰ, ასეც არ იქნება!.. თუ გავიმარჯვეთ, ღმერთმა ჰქნა, აფხაზეთი მფარველობას შეგვევედრება... შუაში მომწყვდეული ოდიში სამუდამოდ ქედს მოიხრის ჩვენს წინაშე...

გიორგიმ თავი ჩაღუნა: შერცხვა, რომ ვერ გასჭვრიტა მეფის წინდახედული საქმენი.

— თანაც, — დაუმატა მეფემ, — ძველ მოყვარეს, სიმამრს თუ არ დავეხმარე, როგორ შემხედავს ან სოფელ-ქვეყანა, და ან განსვენებული ჩემი მეუღლე როგორ შემხვდება საიქიოს... ბევრია მტერი?..

— ჩვენზე ორჯერ მეტი იქნება...

— ბანაკი რომ პატარაა შესახედავად?

— ბარგი არ აქვთ... ურმები არ ყავთ... თავის ქვეყანაში არიან... თანაც სულ დიდკაცობაა და შეჯგუფული არიან. ქეფობენ... დანამდვილებით მაინც ვერაფერს ვიტყვი, ოღონდ ჩემმა ლაზიკამ ასე მითხრა... ის გაღმა იყო და ბანაკს ირგვლივ შემოუარა.

— როგორ? რანაირად? ჯერ რომ წყალი არ დავარდნილა?

— მაგი ხომ კაცის შვილი არ არის... ან ბოშებმა დატოვეს და ან პირდაპირ ეშმაკმა ჩამოუგდო ფაცხაში დედამისს — და ლაზიკასკენ გაიხედა, — ცხენიც კი გამოიყვანა გაღმიდან...

— ძალიან უმარჯვნია!... შენ როგორ გაუშვი, არ შეგეცოდა?

— ვეხვეწე, ხვალ წყალი დავარდება და მერე გადი-მეთქი, — არ დამიჯერა. გადამეკიდა... საშველი აღარ მომცა... წყლის პირას ჩამიყვანა, ამიხსნა — ეს ჩქერი გაღმა მხარეს ეცემა, მას გავყვეიო, იქედან კი — მეორე ჩქერზე მიმითითა — იმას გავყვებიო... მერმე აქ ერთი ფუტურო ხე მოსჭრა, ჭვრიტიმალები დაუგლისა, წინ გაიგდო და უკან გაყვა. ვუყურებდი, წელს

ზევით არც კი დასველებულა. კაშკაშა მთვარე იყო... აქეთ კი დილას მოვიდა და ეს ცხენიც მოიყვანა. შემომჩივლა, მეორე შუა წყალში მოსილულზე დამრჩაო.

— მოდი აქ, ბიჭო! — დაუძახა თვით მეფემ.

ლაზიკა თავის ცხენიანათ მოვიდა.

— ბიჭო, რამ გაგაბედინა გალმა გასვლა?

— დედისაგან მაქვს, ბატონო, ნაწინასწარმეტყველები: „შენისთანა მურტალი არც ომში მოკვდება და არც წყალში დაიხრჩობაო", — იოხუნჯა ლაზიკამ, რომ ბატონები გაეცინებინა.

— რა მთავრის შვილი თვითონ იყო, რომ შენ დაგცინოდა? — სიცილით დაეკითხა ისევ მეფე, რომ ლაზიკასთვის კიდევ მიეცა ოხუნჯობის საშუალება.

— მთავრის არა, და მგონი, ბებია-ჩემი ხშირად დაძვრებოდა ბატონების სასახლეში და, სამზარეულოს გარდა, მუცლის გასაბერავს განსვენებული ბატონის ლოგინზედაც ღებულობდა.

— ნუ იგდებ თავს! — შეუბღვირა სარდალმა. მაგრამ ღიმი მანაც ვერ შეიკავა.

— ეს ყველაფერი კარგი, — მეფის სახე უეცრად დადინჯდა, — როგორია ჯარი?

— სულ დარჩეული ვაჟკაცებია, ბატონო, ღამის ყარაულათაც კი აზნაურები უნდა იყონ... მაგრამ რაცხა უკმაყოფილებაც არის ჯარში... გუშინ წასვლას აპირებდა თურმე ინალიპა, მაგრამ გააჩერეს.

— საიდან გაიგე?

— იქ რომ ვიყავი, ჩოჩქოლი ატყდა... მერე ყარაულების ფაცხას მივაყურე: მთავრების კარვიდან მოსული უამბობდა მათ... მე ასე გამოვიტანე...

— ზარბაზნები აქვთ?

— ბატონსაც მოვახსენე, ზარბაზანი არ მინახავს, მარა ერთ ადგილას ბუჩქებს რგავდენ, გამიკვირდა: რა დროს ბაღის გაშენებაა-მეთქი, და მინდოდა მივპაროდი, მაგრამ იქედან ძაღლის ყეფა მომესმა, და ვეღარ მივბედე.

— აქედან იხედება ის ადგილი?

— აი, ეგერ გახლავთ, მეფეო... წითელი მიწა რომ მოჩანს, მის ქვევით ორი ხეა და ხეების ცოტა დაშორებით — ბუჩქნარი... სწორეთ ისაა, მეფე ბატონო; ემჩნევა კიდევაც, რომ ადამიანის ხელს იქ უფათურებია... ასე მწკრივად და მრგვალად სხვაგან არსად არის ბუჩქები.

— დააყენე მზვერავი? — ჰკითხა მეფემ გიორგის.

— დავაყენე, მეფეო, მაგრამ გამოცდილი ხალხია: დღისით არავინ მიეკარება, და ღამით კი არ დაინახება...

— აჩუ, შე მგლის არჩივო! კიდევ დაწოლა გინდა? — შეუწყრა ლაზიკა ცხენს.

— დაწვეს, დაწვეს... ახლა მაგას მოსვენება მოუხდება...

— უწამლე რამე?

— კი, ბატონო... ჯერ თავდაყირა დავკიდეთ, — ბევრი წყალი ასხა, მერე ფერდობზე თავქვე დავაწვინე და მუცელი დავუზილე, — მაშინაც ცოტა წყალი დააქცია; თოფის წამლიანი არაყი დავალევინე, მეტი რა უყო!..

— თოფის წამლის მაგიერ საპონი დაგელევინებია, სჯობდა, მაგრამ არაფერია. — მეფე დაიხარა და მუხლებზე და მუცლის ქვევით დახედა... — აი ამ გადატყავებულზე კი წაუსვი თოფის წამალი... სიმინდი აჭამე.

მზე ჩადიოდა.

„რად აქცევს ჩემს ცხენს ამდენ ყურადღებას მეფე?.. ვაი თუ წამართვან!“ — ელვის სისწრაფით გაუარა თავში ლაზიკას. — არა, აჰ, ჩემს ცოდვაში როგორ ჩაიდგამს ფეხს?..

— ჩვენი ბანაკი როგორია? — დაეკითხა მეფე ისევ გიორგის.

— მშვენიერი... უკან სალი კლდეა, ჯიხვიც ვერ ავა; აქეთ მდინარე — ერთი მზვერავი კმარა; ქვევით კი გაშლილი უტყეო ველია, ჩიტიც კი თვალში მოგხვდება კაცს.

— ძლიერ დაღლილი ვართ ჯარიც და მეც; ცოტა ვიავახშმოთ და მოვისვენოთ.

ცხენები შეაჯგუფეს; ირგვლივ ურმები დააყენეს; ხალხი და ლაშქარი ურმების უკან მიწვა; ყველამ მოძებნა სასთუმალი

— უნაგირი, ულელი, ჯირკი, უბრალო ქვა, მაგრამ არავის უძებნია ქვეშსაგები ან ზედსახურავი; იშვიათად თუ ვისმე ქონდა ნაბადი; მხოლოდ მეფეს დაუყარეს კოპიტის ტოტები, გაუგეს ზედ ნაბადი.

ყველამ მიიძინა.

არ ეძინა ორს: უდიდეს — მეფეს და უმცირესს — ლაზიკას.

— მოიწი აქეთ! — გაღვიძების შემდეგ დაბალის ხმით უთხრა მეფემ გიორგის.

თავისი სასთუმალი გაღვიძებულმა მეფისკენ მისწია და დაჯდა.

— დაწევი... ვერავინ შეგვნიშნავს, რომ ვთათბირობთ... ჩვენ დიდხანს ვერ მოვიცდით აქ. სიმამრ-ბატონს ურემი ბევრი წამოუყვანია და სურსათი ცოტა წამოულია; თანაც, ვინ იცის, ჩემი აქ ყოფნით ვინ როგორ ისარგებლებს.

— მტერი რომ ბევრია?!. ოდიშის მთავარს იმედი აქვს, დამხმარე ჯარი კიდევ მოვაო...

— მოსვლით არავინ მოვა, ტყუილია, მტერს კი შეიძლება მოემატოს... ქელეშების მსახურნი, უეჭველია, ყრიან ხმას, რომ მათი ჯარი აივსო ნადავლით და ნატყვევნით; ჩემი ნათესავი ქალი, მისი მეუღლე, ვინ იცის, იქნებ თვალთმაქცურად სამძიმარსაც კი ღებულობს ჩემი სიკვდილის გამო და უგულო შეტირილებს მართავს... აფხაზის ხალხს ყველა ეს გაამხნევებს, და ახლა თუ მარტო აზნაურობაა, შესაძლოა, მთელი ბრბო მოაწვეს აქეთკენ საშოვრად.

— ხმებზე თუ წავიდა საქმე, თქვენს სიმამრსაც კარგი ხმები დაუყრია აფხაზეთში...

— მაინც?

— ვითომც თქვენ თვალი გიჭრიდესთ... რა ჯარიც არ უნდა იყოს, რომ შეხედავთ, გააფუჭებთ, და თითქოს ამიტომაც იყოს, რომ თქვენ საკუთარ ჯარს არ უყურებთ და მუდამ ჯარის წინ ბრძანდებით.

— ვინ დაიჯერებს?

— დაიჯერებენ კი არა, გლეხობა რომ არ მოსულა, სულ ამის ბრალიაო, — ბრძანა დღეს აფხაზეთის კარგა მცოდნემ გლახუა ჩიჩუამ.

— მე რატომ არ მითხრეს ეს ამბავი?

— ვერ გაგიბედეს უსათუოდ, რომ ასეთი ცუდი თვისება მოგაწერეს, — თვალის მჭრელობა...

— ო, ნეტავი მართლა მქონდეს, შევზღუდავდი ჩემს ფარგლებს და დავამშვიდებდი ქვეყანას, ჩემს სამეფოს.

გაჩუმდენ.

— თუ გენებება, ბატონო, ხვალვე შეიძლება დავეცეთ. დილისთვის მდინარე დავარდება. ფონი აქვე იქნება...

— ხვალ არა და ზეგ, მგონია, უნდა გავათავოთ ეს საქმე: ან გავიმარჯვებთ და ან...

— გავიმარჯვებთ, მეფეო, გავიმარჯვებთ: შენ გვერდში გვეყოლები და არ გავიმარჯვებთ?!.

დადუმდენ, თვლემდენ.

— ჰო, — კიდევ შენიშნა მეფემ, — ხვალ კარვების აშენება დაიწყე, თითქოს ერთი თვით ვაპირებთ დარჩენას.

— მესმის, ბატონო, — ნახევრად ძილში უპასუხა გიორგიმ, — მეც მასე ვფიქრობდი.

მეფის რჩევა ლაზიკამ აასრულა. ახლა ცხენს გვერდში მოსწოლოდა, თვალებში შეჰყურებდა. კისერზე ხელს უსვამდა და ებუტბუტებოდა:

— ტყუილია, მეფე ჩემი ცოლ-შვილის ცოდვას რავა მეიკიდებს! ოღონდ შენ მორჩი...

და დაღლილი ცხენი თუ ოდნავ მოიწყენდა, ლაზიკა წყევლა-კრულვასაც არ აკლებდა:

— მორჩი, შე მგლის არჩივო! ჭამე, ჰა, სამყურა მოგიტანე, ვერ ხედავ? მორჩი და შვილში არ გაგარჩევ... შენს პატრონს შენისთანა ათასი ჰყავს იქნება, და მე კი ერთი მეყოლები... დაგესევით დედაბოძიანათ, ტახსავით გაგასუქებთ და დედოფლის კატასავით გაგასუფთავებთ... ოღონდ მეიბრუნე ერთი პირი... წამოდექი... მთელს ოჯახს ამიშენებ... ეჰ, რას შვრებიან ნეტავი ახლა ჩემი ბიჭუნები? ტკბილად სძინავთ, თუ მუცელში თაგვები დაურბისთ?.. დამპირდა ქალბატონი, არაფერს შევაკლებო, მაგრამ... ჩუ, რა გემართება... დგები? მეიცა, მეიცა, მეც მოგეხმარები...

ცხენი წამოდგა და ბალახს ყნოსვა დაუწყო.

ლაზიკა ირეოდა სიხარულით...

— ჭამე, ჭამე! მეიცა, ერთი ჭადის ნატეხი მოგიტანო... ეხ, ლაზიკა, რა ოქრო ბიჭი ხარ! ერთი ალჩუ დაგივჯდებოდეს, რას არ მოახერხებ, რა არ შეგიძლია!..

ლაზიკა გაიქცა ურმებისაკენ ჭადის ნატეხის საშოვნელად.

ცა კი უზნეო ბავშივით ხან მოიღუშებოდა, მაგრამ ოქროსფერთ ზოლები მაინც რჩებოდა, ხან კი გაიღიმებდა, მთვარის შუქით, და თან თქორავდა და შხუმფლავდა. ლაზიკა ექვთიმიას თანხლებით მალე დაბრუნდა. მოტანილი ჭადიც ცხენმა ზანტად, მარა მაინც შეჭამა.

— აწი ამას არაფერი უჭირს... ახლა მეორე გამოვიყვანოთ. — მიმართა ლაზიკამ ექვთიმიას.

— გადირიე, კაცო?! წყალი კიდევ საცურავია... ყარაულებმაც რომ შეგვნიშნონ...

— თუ არ გაიჭირვებ, რისი იმედი გაქვს... იქნებ ბედმა გაგვიღიმოს... — ნახევრად ძალით, ნახევრად ნებაყოფლობით ბიჭები მეორე ცხენის გამოყვანას შეუდგენ.

III

შერვაშიძეების ბანაკში თათბირობდენ.

— რისი გვეშინია? ჩვენ ბევრად მეტი ვართ.

— მაგიერათ — მეფეს თვალს უჭრის, გადახედავს ჯარს და დააძაბუნებს.

— თვალის ჭრის რა მოგახსენო, არ დამიცდია, და იმერეთის საუკეთესო ვაჟკაცები კი თან ახლავს: არჩილი, აგიაშვილი, მესხი, ერისთავი...

— ოდიშიდან ხომ არავინაა?

— როგორ არა! სულ გალექსილი გმირებია...

— მე მაინც ჩემსას ვამბობ. მეფეს თვალს უჭრის... ის ნუ გადახედავს ჯარს, და სხვა რაც მოხდება, ღვთის ნებაა...

— მერე როგორ შეუთვალოთ მეფეს, ისე იომე — ჩვენს

ჯარს არ შეხედო-თქო?! — ღიმილით სთქვა ქელეშ-ბეიმ.

— მოსაკითხი გავუგზავნოთ ვისიმე ხელით და მოვწამლოთ.

— უ, რას ამბობ! — იუცხოვა უმცროსმა.

— აბა ტყულა დავიხოცოთ? ომი ხომ ჯირითი არ არის, ესროლო და თან ერიდო არ დავასახიჩროვო... რითაც გაგვივა, მით უნდა გავიტანოთ ჩვენი...

— მე წინააღმდეგი ვარ... ვაჟკაცურად შევხვდეთ: რაც მოსავალია, ვერ გავექცევით...

— მე თანახმა ვარ შენი: მეფის თავიდან მოშორება გამარჯვებას უდრის, მაგრამ მეფეც ხომ ფრთხილად არის: ასე ადვილად თავს არ მოგვაწამლვინებს.

— მაშ მკვლელი გავუგზავნოთ.

— არც მაგია შესაძლებელი, — ვინ მიგვიშვებს მეფესთან!..

— აი რა, — ჩაერია ბჭობაში მოხუცი ემუხვარი — ჩვენი ზარბაზნის მსროლელი ჩემულობდა ტყვიას სადაც მინდა, იქ მივარტყამო; გავიგოთ, სად არის მეფის კარავი, და ვესროლოთ.

— მერე სადაა მისი კარავი?

— მზვერავები გვეტყვიან.

— თქმა არ კმარა... ნათქვამზე ხომ ვერ დაუმიზნებ, — ხიფათიდან წინდაწინვე თავის დაღწევისათვის მოიმიზეზა მეზარბაზნემ.

— აბა გავგზავნოთ მეფესთან კაცი დღისით... აქედან შენ უყურე და განიშნებს.

— როგორ უნდა მანიშნოს?

კუთხეში მჯდომმა უჩარდიამ წამოიწია:

— მე გამგზავნეთ, ბატონებო, მოციქულად... მოვახერხებ, რომ უსათუოდ მეფის კარავში პირველად შევიდე... იქიდან რომ გამოვალ, ესროლეთ.

— ეს კარგი აზრია.

— მაშ ასე, — დაარიგა უფროსმა, — მეფეს იახლები; სანამ მის კარავში არ შეხვალ, არსად შეხვიდე, მოიმიზეზე — საჩქარო საქმე მაქვს-თქო, მოახსენე, როდის გნებავს ომის დაწყება-თქო.

— ახლავე წავიდე?

ცას შეხედეს... ღამდებოდა.

— არ იქნებოდა ცუდი... მაგრამ გვიანაა... ხვალ ადრე წადი... დაბრუნდი მალე და კეთილად.

— გახსოვდეს: როგორც კი მეფეს დაშორდები, ჩქარა წამოდი, თორემ მაშინვე ვესვრი, რადგან მეფეც იქნება კარვიდან მალე გამოვიდეს და ეს ხერხი უნაყოფოდ ჩაგვივლის.

— კარგი.

— მე ყველა ამის წინააღმდეგი ვარ, ეს სილაჩრე და მუხანათობაა.

— ნამეტანი არაფერი ვარგა, — შენიშნა უფროსმა ძმამ, — აქ ვაჟკაცობას კი არ ვაჩვენებთ ერთი მეორეს, აქ სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია.

— გემორჩილები, ძმაო ბატონო, მაგრამ ვამბობ, არ იყო საჭირო.

ნიშნად მოციქულობისა, კალთაგადაკაპიწებული, თეთრი ჩოხით გამოწყობილი უჩარდია მეფის ბანაკს მიუახლოვდა.

დარაჯებს დიდხანს არ შეუჩერებიათ, პირდაპირ მიჰგვარეს მეფეს, რომელიც ჭადრაკს ეთამაშებოდა ოდიშის გამოჩენილ მოჭადრაკეს.

— ღვთის წყალობა მეფეს.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა... რას გვეტყვი საყურადღებოს?

— მთავრიშვილები მოგახსენებენ, როდის ინებებთ ომის დაწყებასო.

— რაც უფრო მალე შევექცევით, მით უკეთესი, — მოკლედ მოსჭრა მეფემ და უჩარდიას თვალი თვალში გაუყარა: ასეთმა უჩვეულო, ახირებულმა მოციქულობამ ცოტა არ იყოს გააკვირვა.

— მაშ ასე გადავცემ: მეფემ ბრძანა, რაც უფრო მალე შევექცევით, უკეთესია-თქო.

— დიახ.

— გწყალობდეს დედა ღვთისა.

— გზა მშვიდობისა.

უჩარდია წავიდა. ჭადრაკის თამაში არ შეუწყვეტიათ.

მოციქულობამ მეფე მაინც ააბორგა.

— მეც ვერ გაგიბედე, თორემ არ მომეწონა; ზედმეტი თავაზიანობა ყოველთვის საეჭვოა.

— გამიგონია, ჩვენს ძველებს ასეთი ჩვეულებაც ჰქონიათ, — დაუდასტურა ფალავამ.

და ვერ მოასწრო ხელში აღებული მხედრის გადასმა, რომ კარავი შეინძრა და მოისმა ზარბაზნის ხმა.

მეფემ ზევით აიხედა — კარავის წვერი იწოდა.

— გამოიტანეთ, რაც რამ არის... კარავი წააქციეთ და ჩააქრეთ ცეცხლი, არ გადავიდეს — მშვიდად გასცა ბრძანება მეფემ და ჭადრაკი აიღო. — წამობრძანდი შენს კარავში, იქ დავამთავროთ.

— მდევარი! არ გაუშვათ მაგ წუწკი!

— ხელი არ ახლოთ! — ისევ ბრძანა მეფემ, — მაგრამ ვინც ომიდან მაგის თავს მომიტანს, ათ ოქროს ვაჩუქებ, ჰკარით ბუკი და ნაღარა... დაემზადეთ... ომი იწყება...

— ფონი მონახულია? — დაეკითხა მეფე სარდალს.

— კი ბატონო, ორს ადგილას...

— ამინდიც ხელს გვიწყობს: გრილა და მზეც კაშკაშებს, — დაუმატა მოჭადრაკემ.

მეფე გამობრძანდა.

იგი აღარ ჰგავდა ტკბილ მობაასე, მშვიდ მეთაურს.

თავს მუზარადი ეხურა; ტანს ეცვა ჯაჭვის პერანგი.

დინჯი ნაბიჯი.

დაძაბრული სხეული.

მიხრა-მოხრა მკვირცხლი;

კილო მბრძანებელი;

აზრი ფხიზელი.

მოართვეს ცხენი. მოახტა.

— აგიაშვილო, ვინ არის მებაირახტრე?

— ლორთქიფანიძე, მეფეო!

— მიმყოლი?

— ლასხიშვილი.

— უთხარი: ვინც გახრის ბაირაღს, თავს გავაგდებინებ... აბა, შვილებო, ხრესილის სამაგიერო გადავიხადოთ.

მეფემ აღაპყრო ხელი:

— ღმერთო, შეგვეწიე!

ყველამ პირჯვარი გადიწერა.

ფონებით გავიდენ მდინარეში.

გაიშალენ მინდორზე. ელოდენ მტერს.

ზარბაზნის ხმა არც დიდ იმედს იძლეოდა და არც არავის აშინებდა, მხოლოდ ცხენები ცქვეტდენ ყურს.

თხემიდან ჩამოაჭენა ცხენი უცნობმა; ჰაერში ლეკური შეატრიალა; ჩააგო; იმავე წუთს დამბაჩა დასცალა, გადააგდო, გაჭენებული ცხენიდან გადიხარა და მარდად აიღო.

— ჯირითობს. გვიწვევს.

არჩილმა გაიწია.

— მოითმინე, ბატონიშვილო! ვინ იცის, ვინ არის...

— მე გავალ, ბატონო, — და გააგდო ცხენი ავალიანმა: მაგრამ მისული არ ეგონათ, რომ უხაგირზე ჩაეკეცა.

უცნობმა კი ცხენი ისევ აახელფეხა...

ავალიანს აბაშიძე გაჰყვა. კაცხის თავადმა მხოლოდ მოასწრო დამბაჩის დაცლა, — მისი ცხენი მალე უაზროდ დაჭიხვინობდა ველში.

— ე, რავა უცადო, სანამ გაგვწყვეტს! — თავის მგლისებურს ცხენს ქუსლი ჰკრა არჩილმა.

უცნობი არჩილის დანახვაზე ცხენზე გადახტა და საყელოს ღილი გაიხსნა.

— ვინა ხარ? — დაეკითხა უცნობს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბატონიშვილი.

— ალანელი, თქვენი ძიძიშვილი.

— მოდი აქ.

ალანელი ეახლა. არჩილი ცხენიდან გადმოიხარა — და ალანელმა გულზე აკოცა, არჩილმა — თავზე.

უფრო ხანგრძლივი იყო წულუკიძის და ალანელის შებრძოლება, მაგრამ როცა ხელში დაჭრილი წულუკიძის ხმალი მიწას დაეცა, ალანელი გადიხარა ცხენიდან, აიღო ხმალი, მოწინააღმდეგეს ქარქაშში ჩაუდო და ისევ თავის ადგილას გაჩერდა.

მაშინ ძალით გასხლტა პირტიტველი ერისთავი და მიაშურა.

ალანელმა პირველად მხოლოდ ახლა იკადრა თოფის მხარიდან გადმოღება და დაახალა; ერისთავი ცხენიდან გადავარდა. ყველას ეგონა — ატირდა ბარაკონის დამამშვენებელი მზეთნახავი გულქანიო, მაგრამ საცნაური დაინახეს: ალანელს უკან შემოჯდომოდა ერისთავი, იღლიებს ქვეშ გაეტარებია ხელები, თვით ხელთ ეგდო აღვირი. განცვიფრებულს ალანელს თოფიც კი ვერ გადაეგდო და ისე მიჰქროდა მტერთა ბანაკში.

შეიქნა საშინელი ყიჟინი.

თავში ხშირი, შეწყნარდა თოფისა და ბუკის ხმა.

მხოლოდ ზარბაზანი განსაზღვრულ დროს გამოსცემდა თავის მოსაწყენ „ბუუ“-ს.

ცქერა მოსწყინდათ მხედრებს. აღელვება მატულობდა.

— აბა, თქვენი მარჯვენის ჭირიმე! ენგურსაც ვაჩვენოთ, ჩვენი ვაჟკაცობა! — დაიგრიალა გიორგი-სარდალმა...

თითქმის ერთსა და იმავე დროს ორივე მხრიდან ყიჟინით დაიძრა ჯარი.

დაიწყეს ხელჩართული ბრძოლა.

აი იქ, წულუკიძის ირგვლივ, შეჯგუფდა ჯარი.

აქ ზეფიშვილს შემოარტყეს რკალი.

გამოჩნდა ლურჯაზე მჯდომი ხმალამოღებული მეფე.

მთიდან დაეშვა ბექირ ბეი; მანაც ამოიღო ხმალი.

შეხვდენ. მაცქერალთ გული აუძგერდათ.

ჩაუარეს ერთმანეთს უხმოდ, უომრად.

მსწრაფლ შემოატრიალეს ცხენები და მიაშურა ერთმა მეორეს...

ვინ დააობლებს თავის ჯარს? ბევრმა მიატოვა ბრძოლა

და მათ მიაჩერდა, თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს; გაუსწორდენ. მთავრის ცხენს ფეხი გაუსხლტა და წაიქცა; მხედარი ოდნავ წინ გადიხარა, უნაგირს დაყვა; მეფემ ჩაუქროლა, ხმალი წაქცეულის თავზე ჰაერში შეატრიალა და გასწია მებრძოლთა ჯგუფისაკენ, სადაც მამა-შვილს მიქელაძეს სამი აფხაზი შემოხვეოდა და საბიფათო მდგომარეობაში ჩაეყენებინა: შვილი უკვე ჩამოეგდოთ უნაგირიდან, მამას სისხლი სდიოდა, მაგრამ ცხენოსანიც და ქვეითიც ციბრუტივით ტრიალებენ და...

— აქა ვარ, არ შეგეშინოსთ! დაჰკარით მაგ გლახებს!

— უი, მეფე! — თავზარდაცემულმა დაიძახა ერთმა და თავს უშველა.

— სად მირბიხარ, შე დედაბერო? — მიაძახა ამხანაგმა, მეტი ვერ მოასწრო: მოხუცი მიქელაძის ხმლით თავგაჩეხილი ცხენზე გადმოვარდა. მესამე აფხაზმაც იკადრა გაქცევა.

— არ გაუშვა! — უბრძანა მამამ შვილს.

ყმაწვილი მოახტა აფხაზის ცხენს და დაედევნა.

მეფე ცხენზე ჩამოხტა და მოხუც მიქელაძეს მოეხმარა.

— დროზე მოგვისწარი, გწყალობდეს უფალი... ცუდად იყო ჩვენი საქმე.

— ძლიერად ხარ დაჭრილი?

არაფერია, ბატონო, — ბოდიშობდა მოხუცი, როცა მეფე მისივე ყაბალახით თავს უკრავდა.

მოითმინე, მოითმინე! აი ასე! ბანაკში წაბრძანდი, იქ უკეთ შეგიკრავენ; მე ვერ გამოგყვები...

— არა, შენი ჭირიმე, აქ დარჩი, გაამხნევე, გადაარჩინე, როგორც ჩვენ.

მოხუცმა უკვე იგრძნო სისუსტე, ნელა შეჯდა ცხენზე და წყნარის ნაბიჯით წავიდა.

შეტაკების უკანასკნელი სიფიცხე ტრიალობდა.

არჩილი მიიზლაზნებოდა თავის წელმოხრილი, ფეხ-მსხვილი ცხენით, თითქოს კამეჩი დადისო ცხვრის ფარაში.

ორი-სამი შეტაკების შემდეგ რაღაც გული აუვარდა და მხოლოდ მეფის ხათრით ვერ ტოვედა ბრძოლის ველს.

ე, მოხუცო, დაჭრილთ შორის
რომ დამდგარხარ უცხენოთო,
ზიარებას თუ უმზადებ,
მოვახერხებთ უშენოთო.

— დაცინვით მიმართა არჩილმა.

ანჩაბაძეს მეძახიან
საოხუნჯოთ — გრძალწვარასო;
თუ საომრად მობრძანდები,
რაზედ ხარჯავ ფუჭ სიტყვასო! —

დაუყოვნებლივ უპასუხა დამხდურმა,

წინათ მთავარს გადუდექი —
თვით გნებავდა შენ მთავრობა:
ახლა ცდილობ — ჩვენი სისხლით
შეიყიდო ორგულობა? —

კიდევ გაეშაირა არჩილი.

შერვაშიძეს ვეცილები,
მე მეკუთვნის ბატონობა;
მით უმეტეს ვერ ავიტან —
ჩიქვანს ჰქონდეს პირველობა.

— მაინცდამაინც გინდა ჯოჯოხეთში გაგგზავნო? — ჩამოხტომისთანავე შეეკითხა არჩილი.

— არა, ბატონიშვილო, თქვენ მინდა შეგკადროთ სამოთხეში წერილის გატანება...

კენწლაობდენ.

ორივეს ეტყობოდა ხერხი და გამოცდილება. ბოლოს მოხუცმა ძლიერად მოუქნია; არჩილმა გადაზნექილ ხმალს წვერში მოარტყა ლეკური, და მოხუცის ხმალი წკრიალით დავარდა.

— დამრჩი! — ძლივს მოასწრო არჩილმა: მოხუცს უკვე ამოელო დამბაჩა. არჩილმა წვერით შუბურათ ჰკრა პირში ხმალი... მოხუცი პირაღმა დაეცა, მაშინვე თვითონვე პირდაღმა გადატრიალდა.

— ვერაა ვაჟკაცური ჭრილობა. ჩემი ბრალი არ იყო: ან კისერში უნდა მეკრა და ან პირში... ასე სჯობია: თუ მოუსწრეს, არ მოკვდება...

და თავის თავზე უკმაყოფილო არჩილმა ქუსლიც ჰკრა და მათრახიც გადაუსვა ცხენს, რომელიც ძლივს აძუგძუგდა, ბუმბერაზ მხედრის სიმძიმით წელგაწყვეტილი.

ველზე გამოჩნდა შავულვაშიანი, წვერმოპარსული, ჩაბალახთავწაკრული, ნაბდიანი ცხენოსანი... აბჯანდზე ცერებით შედგებოდა და მიმოიხედავდა. ვინც შეუტევდა, უგულოდ გზას უთმობდა, და მეომარნიც შორდებოდენ — ზოგს შუა კაცი ეგონა, ზოგს მგლოვიარე.

ერთი ახალგაზრდა ნამეტანი აუხირდა: ორჯერ შეატრიალა ცხენი, მაგრამ ახალგაზრდა წინ რომ გადეღობა და ხმლის მოქნევა რომ დაუპირა, უეცრად ნაბდიდან ამოყო ხელი, რომელშიაც მოკლე თოფი ეჭირა... თითქმის გულზე მიადგა და პირქუშად უთხრა:

— წადი, ძმაო, სხვა მონახე — შენთვის არ მცალია...

თავაზიანობაზე უფრო თოფის ტუჩმა გასჭრა: დარცხვენილი ახალგაზრდა გაშორდა.

მხედარმა დაინახა, ვისაც ეძებდა: ცხენი და მხედარი ორივე აიწურა, მოწყდა და შურდულივით გაექანა.

— აგიაშვილო, დამიხვდი: შენთან მოვალ! — დაუძახა კარგა მოშორებით მხედარმა.

— მობრძანდი, მე მზად გახლავარ! — და ცხენი ალმაცერად ისე დააყენა, რომ ხმლის მოქნევა უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო.

მხედარმა ცხენი უეცრად შეაჩერა. თოფი აგიაშვილს გულზე დაადო:

— დამრჩი!

— რაღა მეთქმის!..

უცნობი მხედარი ეჭვის თვალით უყურებდა, არ მოელოდა ასე ადვილად გამარჯვებას.

აგიაშვილმა ხმალი შეაბრუნა, წვერში ხელი მოკიდა და ტარმუშტით მტერს გაუშვირა.

უცნობმა თოფი დაუშვა და ლეკურის გამოსართმევათ მარცხენა ხელი გაუწოდა.

ამ დროს აგიაშვილის ლეკური ჰაერში გადატრიალდა, ჰაერშივე სტაცა მას ხელი პატრონმა, და უცნობი მარჯვენა მხრიდან მარცხენა ძუძუში დაიჭრა.

— ამას ვეძებდი... ღირსი ვარ... — და ცხენიდან ნახევრად ჩამოხტა, ნახევრად გადმოვარდა.

— ვინ ბრძანდები? — დაეკითხა აგიაშვილი.

ასტამურ ინალიპა.

— ეს მეორე ძმაც მე მხვდა... — გაუელვა თავში, — თქვენებს შევატყობინებ აქიმი მოგაშველონ.

ამ გამარჯვებით, ცოტა არ იყოს, დანაღვლიანებული აგიაშვილი მივარდა ვიღაც აფხაზს და უხრა: — ინალიპა ძლიერ დაჭრილია, აი იქ... მიეშველეთ.

აფხაზმა ცხენი გააჭენა.

— ვაი, საწყალი! რაც იარაღს არ უქნია, იმას საწამლავი დამართებს, — ჩაილაპარაკა იქვე მდგომმა ჩიჩუამ.

— როგორ?

— მაგი არის ინალიშვილების ერთი ბუდის ერთადერთი ვაჟი-მემკვიდრე; ქალი კი მთავრის შვილსა ჰყავს და დიდი ხანია უთვალთვალებს მემკვიდრეობას.

— დანარჩენი ინალიშვილები, ნათესაობა რას იტყვის?

— ჰო, ვინ იცის... იქნება მთავრის ოჯახს იმედები გაუცრუვდეს, მაგრამ ცდას არ დააკლებენ... მორიგდებიან ნათესავებთან... ბევრი რამ მაინც დარჩებათ.

მოხუცი ჩიჩუა და აგიაშვილი განგებ იყვნენ აქ უსაქმოდ გაჩერებული: გამოცდილმა თვალმა უკვე შეამჩნია, რომ შეტაკება თავდება, რომ აფხაზები უკუქცეული იქნებიან, და აქ იყო საჭირო გზის გადაჭრა, თავზარის დაცემა, რომ ვერ გამობრუნებულიყვნენ.

მეფეს წამოეწია აგიაშვილი და ჰკითხა:

— მტერი გაქცევაზეა. რა ვქნათ?

— ჩვენ საზღვრამდის მივდენოთ... მერე რაც ნებავთ, ის ქნან.

— და რომ შემობრუნდენ?

— შეუძლებელია! ყველა ეს ალანელები, ჩერქეზები, როცა დაინახავენ, რომ ოდიშიდან ვერაფერს წაიღებენ, თვით აფხაზეთს შეესევიან...

შორი-შორს იყო ხალხი, კაცი, ჯარი; ცნობა კი ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდი ელვის სისწრაფით გადად-გადმოდიოდა.

ინალიპას, ცნობილი ვაჟკაცის და გვარიშვილის დამარცხება უკანასკნელი ზარი და ნიშანი გამოდგა: აფხაზები შედრკენ. იმერლებმა და ოდიშლებმა კიჟინა დასცეს და მთელ ველს მოედვა გაქცეული და მდევარი.

— დაგვრჩი, ვერ წახვალ!

ცხენს აჩერებდენ, თავს იხრიდენ ნიშნად დამონებისა.

გიორგიმ ვერ მოითმინა და ისევ მივიდა დაჭრილ ინალიპასთან...

— ახია ჩემზე, რაც მომივიდა: არ მომწონს დაუსრულებელი ომი ოდიშთან და იმერლებთან... არ მიყვარს მთავარი და მისი ოჯახი. შემეშინა მოღალატეთ არ გამოვსულიყავ პატრონის წინაშე, არავის ეფიქრა, რომ შიშმა ამიტაცა და ბრძოლის ველი დამატოვებია... გუშინ, ცხარე სიტყვიერი შეტაკების შემდეგ, კიდეც დავტოვე ბანაკი, მაგრამ დავბრუნდი. მინდოდა მოვალეობა შემესრულებია, გესლიანი ენისთვის კლიტე დამედვა და წავსულიყავ... თქვენ აგირჩიეთ — გვარიშვილობით ერთი ვართ და თქვენთან შებრძოლებაც სასახელოა. თანაც თქვენ ჩემი ძმის სისხლი გმართებდათ. გადაეცით მეფეს, რომ მისი გამარჯვება მახარებს...

ჭენებით აფხაზი მოდიოდა.

აგიაშვილი დაემზადა.

— ნუ სწუხართ, ხელს არ გახლებენ. — ინალიპამ მოსულს რაღაცა აფხაზურად უთხრა:

— უ, ცუდად ვარ... ახლა წაბრძანდი...

— ჩვენს აქიმს გაახლებთ.

— ნუ შეიწუხებთ თავს. თუ მოსარჩენი ვარ, ჩვენი აქიმიც მომარჩენს. თუ არა და... ახია... გადაეცით მეფეს, რომ თავის მსხვერპლად შეწირვა არ მინდოდა, მაგრამ მის გამარჯვებას ჩემს ღმერთსაც ვევედრებოდი.

ომის ველზე კიდევ დიდხანს მიმოქროდა აგიაშვილი... იგი ეძებდა ცოლის ძმას, ომში პირველად გამოსულს, რომელიც სასოებით და მუდარით ჩააბარეს მოყვრებმა.

ხის ძირში აფხაზთა მცირე ჯგუფი ფაცურობდა... დაჭრილებსა და მიცვალებულთ ცხენებზე სვამდენ და აკრავდენ.

მის დანახვაზე ყველა შეხტა ცხენებზე და გაექანა.

ერთი ყმაწვილი-ღა ჩამორჩა: დამფრთხალი ცხენი ხან ყალყზე დგებოდა, ხან ტრიალებდა; ყმაწვილი ვერ ახერხებდა შემოჯდომოდა ნაბადში შეფუთნულსა და უნაგირზე მოხერხებულად დაკრულ კაცს. აგიაშვილის მოახლოებაზე ყმაწვილი რაღაც უიმედოდ შეჩერდა. სიკვდილს მოელოდა. სრულიად ბავში იყო. აგიაშვილმა ცხენს აღვირში ხელი სტაცა.

აფხაზი დაიბნა — არ მოელოდა.

— შეჯექ!..

ყმაწვილი რაღაც უხერხულად მიუახლოვდა ცხენს; შეჯდომას რომ აპირებდა, ცხენზე მჯდომი ნაბდიანი ჩაეკეცა.

— დაჭრილია? — ჰკითხა აგიაშვილმა მეგრულად.

— არა — მკვდარია!..

— ვინაა?

— დედი-ჩემის გაზდილი...

— ყოჩაღ: არ დაგიტოვებია! აბა შეჯექი!

მიცვალებულის სახიდან ნაბადი ჩამოცურდა. აგიაშვილმა იცნო მის მიერ მოკლული აფხაზი და ცხენს ქუსლი ჰკრა.

— ის ბავშიც მომეკლა. ვინ იცის, იქნებ სისხლი იძიოს... ეჰ, რას ვერჩოდი ან იმას...

შენიშნა ცოლის ძმის ცხენი.

მოუკლავთო, იფიქრა.

მიუახლოვდა. ვიღაც მძიმეთ დაჭრილის გვერდში ეგდო.

დაჭრილმა თავს ძალა დაატანა და ჩაიხროტინა.

— უნდოდა იარაღი წაერთმია... მუჭი დავკარი...

— ადე! — ზიზღით მიმართა გიორგიმ ყმაწვილს — ვაჟკაცობას სწავლობ თუ ცარცვას?.. შეგირცხვა თავი! — და მათრახი მთელის ძალღონით გადაკრა.

ბავში დაიკლაკნა, წამოდგა დარცხვენილი.

— შეაჯდინე ეს კაცი ცხენზე.. იარაღი მოუნახე და ჩემს კარავში წაიყვანე... ილარიონს უთხარ მოუაროს...

მერმე დაჭრილს მიუბრუნდა და უთხრა...

— ნუ გაამხელ მაგის თავსხლაფის დასხმას, ნუ მოსჭრი სამუდამოდ თავს. ყმაწვილია, გამოსწორდება...

ბრძოლა გათავდა. მზე გადიხარა. მიყუჩდა ველი. ხის ძირში ჩამოხტა მეფე და გაგებულ ნაბადზე დაბრძანდა. ხალხი მის ირგვლივ იყრიდა თავს ნადავლითა და ტყვეებით... მოყავდათ ცხენები. მოჰქონდათ იარაღი. მეფე წყალობას უხვად არიგებდა.

აი მოვიდა მედროშე.

— ვინ შემოაბრუნა ბაირაღი?

— ლასხიშვილმა, ბატონო.

— სადაა?

— მოკლეს, ბატონო.

— დაუბრუნე, ერისთავო, მის ქვრივს და ობლებს, რაც ჩამორთმეული ჰქონდა...

— დაგლოცოს უფალმა!

— შენ გახარე ბაირაღი?!

— ნუ გაურისხდები, მეფეო: დაკოდილი ცხენი ვერ გააჩერა, მაგრამ იმდენი ვაჟკაცობა კი იხმარა, რომ პატივმოყვარეობისთვის ბაირაღი თან არ გაუტაცნია, მიმშველს გადასცა. როცა ცხენი დაიმორჩილა, უკანვე მოიჭრა. სწორეთ იმ წუთში ლასხიშვილს თავი გაუპო ბექირ-ბეიმ და ვიღაც

აფხაზმა ჩვენს დროშას კიდეც სტაცა ხელი, მაგრამ ოტიამ მოასწრო, მკლავი გააგდებია და დროშა ხელში ჩაიგდო. მერმე მაგი შეგვიძლვა ბანაკში.

— ჰოო... ბატონო ნიკოლოზ, ასეთი ყმაწვილი თავადობის ღირსია ხომ?

— ჭეშმარიტად, მეფეო! თანაც აზნაურათ კი არ ვთვლი, შვილებში არ გამირჩევია...

— სვიმონ, ლორთქიფანიძეებს ხომ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ? ისედაც ბევრი ხართ...

— რას ბრძანებ, ბატონო! ჩვენი სისხლი და ხორცია... ოღონდ მამულს ვერ მივცემთ... განსვენებული მაგის ბაბუას მოქმედებამ ისე დაგვჩაგრა, რომ...

— ვიცი, ვიცი... მამულს ბატონი ნიკოლოზი...

— დიახ, დიახ...

— სიძეთ უნდა, — ჩაუჩურჩულა მეფეს ერისთავმა.

— ვიცი... მაშ მომიცია შენთვის თავადობა, ოტია...

— გწყალობდეს წმინდა გიორგი...

— თქვენ რა გვარი ხართ? — მიმართა მეფემ ოთხ — სახეზე ეტყობოდათ — მამა-შვილს, რომელნიც, თოფით-ხანჯალ-ლეკურებით დატვირთულნი, ძლივს მოდიოდენ.

— ჩემი ყმები გახლავან, — დაიწყო მოხუცმა დიდებულმა, მაგრამ არჩილმა შეაწყვეტინა.

— ამდენხანს, არ ვიცი, რა გვარის იყვნენ, მაგრამ ჩეხელიძეები კი შეფერით აწი.

— ჭეშმარიტად... ჩეხელიძე იყოს თქვენი გვარი, და შემდეგშიაც ასე უერთგულეთ ქრისტეს რჯულსა და მეფეს.

— თქვენი ჭირი მოგვეცა! — დაიღრიალა მათ შორის უხუცესმა.

— შენც ომობდი, ბებერო?

— როგორ არა, მეფეო, როგორ არა! მაგი იყო თავი და თავი, — ჩაერია ისევ არჩილი. — ბრძოლის ველიდან ვბრუნდებოდი... აფხაზებს შორიდან თავი დაეარათ და ბანაკს დასცემოდენ... და ეს ბებერი შვილებით იგერიებდა, როგორც ვეფხვი.

— როცა მაგის ორი უფროსი ბიჭი წამოვიყვანე და უმცროსიც იმათვე აეტორღიალა, მაგ ბებერმა მითხრა: დედაკაცებში ნუ დამტოვებთ; ბარგის თვალყურის მდევნელად მეც გამოვდგებიო, და პირველი ვაჟკაცი კი გამოდგა...

— ...იარაღი მაინც ჰქონოდა... წალდი გრძელ ჭოკზე წამოეგო და ისე ტრიალებდა ჯარასავით... არც სხვებს ჰქონიათ ხეირიანი იარაღი, — დაუმატა არჩილ-გიჟმა.

— ...რა ვქნა, მეფეო, ყველას ვერ გაწვდა ჩემი თოფ-ხანა... მოხუცი და პატარა ბიჭი წალდ-ნაჯახის ამარა დამრჩენ.

— მაგიერად ახლა კარგი შეუძენიათ.

— ვისაც მტერთან ბრძოლა უნდა, იარაღს ომშივე იშოვნის...

— მომიცია თქვენთვის 40 ქცევა ადგილი და აზნაურობა, ოღონდ ვალდებულება თქვენი ბატონის წინაშე თქვენვე გაასწორეთ.

— არა, მეფეო! რადგან მასახელეს, გამითავისუფლებია საშვილიშვილოდ, ოღონდ ჩემი სულის მოსახსენებლად სწირონ აღაპი გელათის მონასტერში.

— კი, შენი ჭირიმე; რასაც გვიბრძანებთ, ავასრულებთ, ოღონდ მეფის წყალობა შეგვაფერებიე.

— რა ქნა, თუ ძმა ხარ, ჩემმა ბუმბერაზმა?

— ასათიანმა, ბატონო? იცოცხლე, ის ვაჟკაცი გამოდგა. მესხებსა და ავალიანებს ჩავუყენე შუაში — მეშინოდა, უკან არ დაეხია... ვუბრძანე: თუ ღმერთი გაუწყრეს, ხანჯლის წვერი ჩხუტეთ, არ დაზოგოთ-მეთქი... ერთხანს ერიდებოდა თურმე ბრძოლას, მარა მერე ისე გახელებულა, რომ ზარბაზანთან მივარდნილა, მეთოფურები აუკუწავს, ზარბაზანიც ამოულია მიწიდან და კლდეზე დაუგორებია...

— აი, ვაჟკაცი იმას ჰქვია, ვინც სხვასაც გაამამაცებს...

— რად დამცინი, ძმაო — მეფე? — შენ ჩემზე მამაცი ხარ, ოღონდ შენ ყველას ენდობი... მე კი ვწვრთნი, უკან მივსდევ...

— აი, მეფეო, ასლანიშვილი, უჩარდია რომ შუა გააპო.

— მერე თავი რად არ მოართვა? — შეეკითხა მარად ურწმუნო და გამკილავი წერეთელი.

— არ იკადრა მურტალი ჯაშუშის თავის წამოღება.

— კარგი უქნია.. აი ეს ჯორი მოხუც მამა-შენს მიართვი და ესეც, — მეფემ საუცხოოდ შემკულ უნაგირზე მიუთითა, რომელზედაც თვითონ ეყრდნობოდა, — დაპირებულ ათ ოქროს მოლარე გადმოგცემს.

— არა ვარ ღირსი, მეფე-მწყალობელო.

ამ დროს მოაჭენა ცხენი აგიაშვილმა.

— შენ არაფერი და არავინ მოართვი ბატონს? — თითქოს სალაღობოდ, და ნამდვილ კი მზაკვრობით შენიშნა წერეთელმა.

— მიცვალებულთ მე არ ვცარცვავ და ვაჟკაცობის დამტკიცებას არ ვსაჭიროებ, მკვახედ უპასუხა აგიაშვილმა.

მოვიდა მიქელაძე და მოიტანა ხმლის წვერზე წამოგებული თავი მტრის მებაირახტრისა.

მოდიოდა ყველა ნადავლით, ან ამაყის შეგნებით, რომ მოიმოქმედა დაკისრებული, და ჯილდოსთვის მეფეს არ აწუხებდა.

და მოვიდა ალმასხანიც.

მეფე ღიმილით შეხვდა საუკეთესო გამრთობ კარის-კაცს;

— აკი ამბობდენ ალმასხანი ვერ ივაჟკაცებსო!..

— ა! — შეუტია ალმასხანმა ტყვეს.

— მიარტყი მაგ ენა-მყრალს.

მაგრამ ტყვე არ იძროდა.

— გაიარე, შე ურჯულო! — კიდევ მოუქნია გათამამებულმა ალმასხანმა.

— რას მირტყამ, ბატონო!..

— ბიჭო, ამან საიდან იცის ქართული?!. — გაკვირდა მეფე.

ალმასხანს ალმური მოედვა სახეზე, უნდოდა რაღაც დაემალა და კიდევ გადაკრა მათრახი.

— რას მერჩი, ბატონო? მართლა აფხაზი ხომ არ ვარ? რა დაგემართა? — უყვირა ისევ ტყვემ.

— ვინა ხარ? — ჰკითხა მეფემ.

— ვინ ვიქნები, ბატონო! აგიაშვილის მეწისქვილე ვარ და რატომ მაძრობს ტყავს?

— ლაზიკა! აი დაგლახროს ღმერთმა!..

ყველანი შეკრთენ... ალმასხანი მცირე ხნით დადუმდა. მოისმა სიცილი.

— რა ამბავია, ბიჭო, რას ბოდავ! — შეუწყრა მეფე, — ეს თავიც როგორ წაგიკრავს?

— რაი, ბატონო, და მე არც აფხაზი ვარ და არც თათარი, — ორივეს ღვთის რისხვა მიეცა! დამპირდა, მეფესთან წაგიყვან და მე ვიცი შენი საჩუქარიო... ახლა ქე მირტყამს...

ლაზიკა უძილობამ და წყალში ტატყუნმა გააცივა; მთელი დღე ხან სიცხისგან ბოდავდა, ხან სიცივისგან კანკალობდა, სანამ ალმასხანი, რომელიც ჩიგვნარში, ბანაკის ახლო, იმალებოდა, არ წააწყდა.

— რას შვები, ბიჭო, შენ? — ცოტა არ იყოს დარცხვენით დაეკითხა ალმასხანი.

— ვკვდები, ბატონო, თვარა ახლაა საშოვარი..

— გეიქცა მტერი?

— კი, ბატონო, ეგერ ტყვეებიც ჩაატარეს ჩვენმა კაცებმა.

— რა ვქნა, ა? ბიჭო, ერთ ტყვეს ვერ მიშოვი? გამოართვი თქვენ ბიჭებს, აგიაშვილს ბევრი ეყოლება...

— რას ბრძანებ, ბატონო, მომკლავს ჩემი ბატონი.

— მოახერხე აბა რამე.

ლაზიკას საკვირველმა აზრმა გაურბინა თავში...

— რას მომცემ?

— გამოგაწყობ...

— რად მინდა გამოწყობა.. ერთი უღელი ხარი მომეცი.

— კარგი მარა რას იზამ?

— ა, ბატონო, შენი ყაბალახი მათხოვე, თავს წავიკრავ... პირს სისხლით შევისვრი და ულვაში ქე მაქ დალოცვილი გრძელი... საცვეთსაც თუ მიშოვი, აფხაზი ვიქნები ნამდვილი... მარა ხარებს ხომ მომცემ?

— გითხარი, მოგცემ, — და ალმასხანმა მოიხსნა ყაბალახი, — მარა ეს საცვეთი სადღა ვიშოვო?

— არაფერია, მაგასაც მოვახერხებ — აგერ თოქალთოს გავარღვევ და იმას შევიხვევ და თასმით გავკირავ — ოღონდ თუ მიმტყუნე, მეც გაგამხელ.

— კაი, კაი!..

მაგრამ გამოწყობილი საქმე ლაზიკამ ვერ დააგვირგვინა კეთილად: ციებამ უწია თუ მართლაც რტყმევა ვერ აიტანა, ლაზიკა ხელცარიელი დაუბრუნდა თავის ბუნაგს და სასოება ცხენის უნახავადაც კი დაეგდო.

— ცხელება აქვს... მოუარეთ, უყურეთ, სანამ მომჯობინდებოდეს; მერე ერთად წამოდით — უბრძანა შინ დასაბრუნებლად გამზადებულმა ბატონმა თავის ორ ბიჭს.

— გიყურებთ და მიკვირს თქვენი საქმე.

— რა გინდა ჩვენგან? — შეღრინეს ბიჭებმა.

— თვალებში რომ ჩამჩერებიხართ, რა მზეთუნახავი იშოვეთ. გავიდოდით, მოვიარდით ამ ველს, ერთი მარჩილის საღირალს მაინც ვიშოვიდით...

— ვინ დაგიწყობს ახლა მინდორში ოქრო-ვერცხლს.

— შე ვირისთავო, ოქრო და ვერცხლი მამაშენს არ ქონდა და დედაშენს, და ერთ გაწყვეტილ აღვირს ან აბჟანდს ქე ნახავს კაცი... ნალს მაინც ააძრობდი მკვდარ ცხენს...

— ნალი არა, ბიჭო, და მართლა ერთი ცხენი მაინც გავატყავოთ — ქალამნად გამოგვადგება.

— ჰო და — დაუკრა კვერი ლაზიკამ.

— რა იშოვეთ?

ორივემ გაიკრიჭა.

— კაცო, ვერცხლის მოყვითლული ბუნუკი.

— ხომ გითხარით, თქვე სულელებო!..

— ნალიც ვიშოვეთ სამი — ორ ცხენს მეტი არ ქონდა და ის ცხენებიც გავატყავეთ.

— ბარაქალა! რას მაძლევთ ახლა მე? — თქვით... — დაეკითხა ლაზიკა.

— როგორც შენ გაყოფ ნადავლს, ისე გაგიყოფთ ჩვენც.

კარგი, ვნახოთ... ახლა გააკაპარჭეთ ტყავები: ღამე ერთმანეთს გადააფარეთ თმა ზევით — არ დანამოს.

— თქვენ ვინ ხართ, შვილო?

— აგიაშვილის ყმები, ბატონო.

— ჰოო... გიორგის? დაისვენეთ... ბიჭო, მიართვი, დააპურე.

ლაზიკა მანამ არ გამოვიდა სამზარეულოდან, სანამ ისევ არ დაინახა ქალბატონი.

— მიდიხართ?

— გიახლებით, ბატონო, დიდი გზა გვაქვს გასარები...

— გზა მშვიდობისა მოგცეთ ღმერთმა. ბატონებს მდაბალი სალამი მოახსენეთ.

— მესმის, ბატონო.

„გზა მშვიდობისა რათ მინდა, თუ არაფერი მექნა“, — გაიფიქრა ლაზიკამ და მიიხედ-მოიხედა.

— ბატონო, იქნებ, სანოგროთ ერთი-ორი გოჭი გვიბოძოთ... ღმერთი გიშველისთ.

— კი, შვილო! ეი, გუჯუ, მიეცი აგიაშვილის კაცებს თითო ღორი.

— ბატონო, მესამე ამხანაგი დაწინაურდა და, იქნებ, იმისთვისაც მოიღოთ წყალობა.

— უი შენ გვარიანი ჩაცივება გცოდნია, — გაეღიმა დედოფალს. მიეცი სამი ჯანი გავარდნია.

— მაგიერათ აგავსებს უფალი ჯოგებით და ფარებით.

ლაზიკამ თავის საჩუქრის ბედი გუჯუს ვერ მიანდო. თვითონ გაჰყვა და სანამ სამი საუკეთესო ღორი არ გაიგდო წინ, ხან იოხუნჯა, ხან იხვეწა და ხან იწუნა მიწოდებული.

რაც უფრო უახლოვდებოდენ იმერეთის საზღვარს, ლაზიკა მით უფრო აფაციცებდა თვალებს; ბოლოს თანამგზავრებსაც კი უთხრა:

— ბიჭებო, იქნებ, რამეს შეავლოთ თვალი. თორემ წყალობის იმედი ნულარ გაქვთო.

ბედმა გაულიმა.

— თქვენ პირდაპირ იარეთ, და ფონამდის თუ ვერ დაგეწიოთ, იქ დამიცადეთ.

ლაზიკა ღელეს დაყვა. ბიჭები ხშირ-ხშირად იცქირებოდენ ლაზიკასკენ.

— უი, დასწყევლა ღმერთმა, სად მოკრა თვალი? — ბიჭებმა შეხედეს, რომ ლაზიკა ღელის კალაპოტით კამეჩს მიდენიდა...

როცა გზაზე მთავრის ერთ-ერთი ახალგაზრდა ვაჟი შეხვდა, თავისი კამეჩი დაღზე იცნო და იკითხა, ვისი არისო, ლაზიკამ წარბშეუხრელად, რომ სიმართლეს უფრო გვანებოდა, ჯერ უამბო, თუ მთავრის მეულღემ როგორ დაასაჩუქრა ისინი ღორებით, და შემდეგ დაუმატა: ფაღავამ ბატონს სარდალს უფეშქაშაო.

ახალგაზრდა ბატონიშვილმა ერთხანს კი უყურა მიმავალ ლაზიკასა და მის ამხანაგებს, მაგრამ სიტყვა არ შეუბრუნებია — ერიდებოდა ასეთ მცირე რამეზე უსიამოვნება არ მიეყენებია დამხმარე სარდლის თუნდაც ულირსი ყმებისთვის.

ცხენის-წყალს რომ გადააბიჯეს და ფეხი იმერეთში დადგეს, თავი უკვე სახლში ეგონათ და კარგა ხანს დასასვენებლად შეჩერდენ.

— მადლობა ღმერთს, აწი კი ვერავინ გვახლებს ხელს.

— ჰეი! — იჭვნეულად ამოიოხრა თეიმურაზმა:

— არა, ძმაო, ღმერთმა თუ გიორგი სარდალი გვიცოცხლა, მეფეც კი თავზე ბალანს ვერ შეგვინძრევს.

— არხეინად იყავი, ნუ გეშინია. ახლა, ძმაო, ერთი საქმე მაქვს: ჩვენი ნადავლი უნდა გავიყოთ, სანამ შინ მივიდოდეთ, თვარა ჩაგვერევიან ქალები, მოკეთეები, შუაკაცები და სულ აგვერევა თავ-ტვინი.

მსმენელებმა ყური დაცქვიტეს.

— მართალი რომ თქვას კაცმა, ყველაფერი ჩემი ნაშოვნია... ორივეს უნდოდა პასუხი გაეცა; ლაზიკამ შეაჩერა:

— მოიცა, მოიცა! კი არაფერს გართმევთ, შე კაცო! ჯერ მე გავყოფ. და თუ კანონიერად და ღვთისნიერად გავყო — ხომ

კაი, თუ არა და მაშინ თქვენ გაასამართლეთ უკეთ... კამეჩი ბატონს მივართვათ...

— რატომ? რა ჩვენი წყალობა სჭირია?

— რაიო, შე სულელო და ამ კამეჩს იქნება მდევარი მოყვეს — ბატონს ხმასაც ვერ გაუბედავენ; შენ და მე კამეჩსაც წაგვართმევენ და ბევრსაც გვირტყამენ... მერე ბატონს არაფერი წაუღია ნადავლი და, რომ ნდომებოდა, ხომ თავისთვის გაგვადენიებდა და წაგვაღებინებდა, და ჩვენ ქე დავრჩებოდით ხახამშრალი.

— იმას კი დააჯილდოვებს მეფე, ჩვენ ვიკითხოთ თვარა, — წაილუღლუღა ექვთიმემ და თან დაუმატა:

— კარგი, კამეჩი ბატონს. მერე?

— მერე თითო ღორი თითოს.

მოეწონათ.

— ეს ერთი ცხენი საკუთრათ მე — კინაღამ გადავყევი მაგის გამოყვანას... მეორე ცხენი საერთოდ იყოს... რჩენით რიგ-რიგობით ვარჩინოთ... ცხენის ტყავები და ბუნუკი ორ კურტანს გაგვიწყობს, ვიჩალანდროთ და ამ ერთი ცხენის შემოსავალი სამათ გავიყოთ... ხან შენ გაყვები ცხენს, ხან შენ, ხან მე ან ჩემი ძმა... როცა გამრავლდება, ეს ცხენიც გავიყოთ...

დიდ ხანს ფიქრობდა ორი ბიჭი. ლაზიკას კარგა ხანია რაც ყოველივე გამოანგარიშებული ქონდა...

— ასე რომ, ამ ვაი-ვაგლახით მე მერგო ერთი ღორი და ამ ფაშატის ერთი მესამედი.

— მეტი რა გინდა, შე მამაცხონებულო?! ცხენის ჯოგს და ცხვრის ფარას ვინ მოგცემდა გულაღმა ძილისთვის?!. კურტნიანი ცხენის ერთი მესამედი და ერთი მაკე ღორი კაი რამეა; რავა იტყვი? — მიმართა ლაზიკამ თეიმურაზს, რომელსაც თანხმობის ნიშანი უფრო ეტყობოდა...

— აგაშენა, ძმაო, ღმერთმა! მაგასაც არ მოველოდი, — დააქნია ხელი თეიმურაზმა, — მე თანახმა ვარ.

— მაგი თუ თანახმაა, ექვსი შვილის პატრონი — მე რა მსჯის!.. — შესწყვიტა მოლაპარაკება ექვთიმემ.

— მაშ ასე: ამ ტყავებს მეკურტნესთან წავიღებთ, კურტანს გავაკეთებინებთ, ერთი ჩემი იქნება საკუთარი, მეორე საამხანაგო, ხელფასათ ბუნუკს მივცემთ...

— კეთილი! — დაეთანხმა თეიმურაზი.

— ბარელამ ჩვენ ჩვენი ღორი დავინიშნოთ.

— ეს მე! — საჩქაროდ სთქვა ლაზიკამ.

— მომასწარი... აბა ეს იყოს ჩემი... — საყვედურით მიმართა ექვთიმემ.

— არადანი ყოველთვის მე მრჩება... — უიმედოთ ჩაილაპარაკა თეიმურაზმა.

— თუ თვალი გრჩება, ჩემი ღორი წაიყვანე, თუმცა ყველა ერთია.

— არა! არა! იყოს, რაც ბედმა და ღმერთმა მარგუნა.

— ესეც გავათავეთ, მშვიდობიანად გავყევით... ან კი რა გვქონდა საჩხუბარი... მე რომ არა, ღვთის წინაშე თქვით, გექნებოდათ რამე გასაყოფი?

— ჩვენც, რომ არ გყოლოდით, ამ ერთი ცხენის მეტი, მგონი არაფერი გექნებოდა...

— კაი ახლა, დაეთხოვეთ მაგას — შეაწყვეტინა თეიმურაზმა — ნეტავი ასე ადვილად ჩემს ძმებსა და მამას გამოვეყოფოდე... სამი წელიწადია, კაცო, ვიყოფით და ვეღარ გავიყავით...

— რა მდიდრები თქვენ ხართ, ვეღარ დათვალეთ და ვეღარ გაზომეთ?.. — დასცინა ექვთიმემ.

სამი მეგობარი ნადავლით, ნაპარავით და ნაჩუქარით დატვირთული, მხიარულად დაბრუნდა შინ, ოჯახის გასახარებლად, ბატონის სასიამოვნოდ და მუდამ სატრაბახოთ... მხოლოდ ორიოდე წლის შემდეგ, როცა აგიაშვილის განუყრელი თანმხლებელი ლაზიკა თვალში მოხვდა ოდიშის ბატონიშვილს, უკანასკნელმა იცნო და ღიმილით უთხრა:

— დიდი მამაძაღლი უნდა იყო შენ...

ლაზიკამ მდაბლად თავი დაუკრა.

— თქვენ საიდან იცნობთ, ბატონიშვილო, ჩემს ლაზიკას?

— თქვენი კაცია? — და ბატონიშვილმა სიცილით უამბო ლაზიკას ოინები... — ასე კიდევაც გამქურდა და საჩუქრებიც

გამომტყუა... — დაასრულა ამბავი ბატონიშვილმა.

— აბა ვისგან უნდა ისარგებლოს კაცმა, თუ თქვენგან არა, — მოკრძალებული ღიმილითვე უპასუხა ლაზიკამ.

— მართალი ხარ, მართალი. მაშინ ისეთი დახმარება გაგვიწიეს იმერლებმა, რომ ყველა მეფურად უნდა დაგვესაჩუქრებია, მაგრამ ვერ მოვასწარით... მეფე იჩქაროდა.

— უკაცრავად, ბატონიშვილო, — ცოტა არ იყოს შეტკინებულად მიმართა აგიაშვილმა, — თქვენი კამეჩი ახლაც ჩემსას არის... ნება მიბოძეთ, ბოდიშით უკან მოგართვათ.

— რას ბრძანებთ! რას ბრძანებთ!.. განა ღირს მაგაზე ლაპარაკი?

— არა, თუ არ გამირისხდებით, ძლიერ დაგიმადლებთ უკანვე მილებისთვის; მით უმეტეს, რომ ჩვენში კამეჩები იშვიათია, ცალად დარჩენილს მხოლოდ ვწველით...

— აი თქვენ კი დამავალეთ და მიიღეთ ჩემგან მისი უღლის გამწევი... როგორც გამიგია, თქვენ ისეთივე უბარი მეოჯახე ბრძანდებით, როგორც მეომარი... თუ გიყვარდე, — მიუბრუნდა ბატონიშვილი თავის მხლებელს, — ახლავე გაგზავნე ჯოგში კაცი და ერთი საუკეთესო მეწველი კამეჩი მიართვი ბატონ სარდალს.

— მესმის, ბატონო.

მხლებელი წავიდა.

— დიდი, დიდი მადლობელი ვარ, ბატონიშვილო! თუმცა უხერხულად ვგრძნობ თავს, მაგრამ ვეცდები გადავიხადო.

— გადახდილი გაქვთ ათასჯერ, ბატონო სარდალო! — და ბატონიშვილს გადაჰკრა მაცდურმა ღიმილმა.

აგიაშვილს უნებურად მოაგონდა მოკლული ასტამურ ინალიპა.

— შენ კი გაყურებიებ სეირს! — დაექადა სარდალი ლაზიკას.

— ჩემი პატივისცემისათვის არ გაურისხდე, გთხოვთ... ძალიან მადლობელი ვარ, ლაზიკა, რომ საშუალება მომეცი, შენი ბატონისთვის მცირეთ მესიამოვნებია.

V

ნადიმი გრძელდებოდა. სულ უფრო დიდსა და დიდ პირებს ადღეგრძელებდენ — სულ უფრო დიდსა და დიდ სასასმოს სცლიდენ.

როცა არჩილის სადღეგრძელოს სვამდა, აფხაზეთის მთავრის შვილმა ხოტბასა და ქებას ღიმილით დაუმატა:

— შემარცხვინე, ბატონიშვილო არჩილ, ტყვედ ქმნილს, დღეს უარარაოს ისეთი საჩუქარი მიბოძე, რომ ვერ გადაგიხდი.

— თქვენ ბრძანე, ბატონიშვილო, და გადამხდელი მე ვიყო...

— არა, მირონცხებულო მეფეო, რად გაგსარჯოთ — მოკრძალებით მოახსენა ბატონიშვილმა.

— მერე გადამიხდი.

— ეჰ, ძმაო სოლომონ, — ორივეს გააწყვეტინა სიტყვა შეზარხოშებულმა არჩილმა, ბატონიშვილის ხასიათი ვიცი: თავს მოიკატუნებს და მერე ისეთს საჩუქარს მიბოძებს, რომ შემარცხვენს, მოულოდნელად მოსული სტუმარი დაფუძნებულ მასპინძელს... იგი უხვი გამოვა და მე კი ძუნწი, მაგრამ მე არაფერ საჩუქარს არ მივიღებ, გარდა ერთისა.

— მიბრძანე, რაც გენებოს...

— აასრულებ?

— თუ კი შემეძლება...

— მაშ გულახდილად სთქვი საჯაროდ, რატომ არ შეუტიე მეფეს, როცა ერთმანეთს შეხვდით, ხომ კი ეძებდით მას?

ბატონიშვილმა თავი ჩაღუნა და მეფეს შეხედა, თითქოს ჰკითხავდა, ვთქვაო?

— ბრძანე, ბრძანე...

— მირონცხებული მეფე, — მორცხვად წარმოსთქვა ყმაწვილმა, ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი — პირველად მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა...

— ყოჩაღ!

— დაგელოცა სიტყვა-პასუხი!

— ვენაცვალე შენს ვაჟკაცობას!

ისმის აქეთ-იქეთ.

— ასეთი მტერი მოგცეს ღმერთმა!

— ვაკოცოთ ერთმანეთს!.. — სთქვა არჩილმა და ფეხზე წამოიწია, მაგრამ სანამ მთლად ადგებოდა, მის წინ გაჩნდა ახალგაზრდა აფხაზი და უპირებდა გულზე კოცნას; არჩილი არ დანებდა, ერთმანეთს ლოყები დაუკოცნეს.

ვეებერთელა უხეშ არჩილს სრულიად არ შეეფერებოდა ეს ნაზი სურათი.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ არჩილმა მიმართა მეფეს;

— ძმაო — ბატონო, ახლა შენ უნდა გვითხრა, რატომ არ შეებრძოლე ბატონიშვილს?..

მეფე სდუმდა.

— ...ენა-მოქარგულად კი არა, როგორც შენ იცი ზოგჯერ, არამედ ჩემებურად...

— როგორც კი პირველად შევხედე, გავიფიქრე: ასეთი ვაჟკაცის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნდობს კაცს-თქო და ჩაუარე გვერდი... მეორედ რომ ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, დაუპირე ხმლის მოქნევა, მაგრამ საბედნიეროდ ცხენს ფეხი დაუსხლტდა...

— და წაქცეულს კი არ აკადრე შეხებოდი. შენი ჭირიმე, შენი, — აღტყინებით იყვირა ვიღაცამ ბოლოში.

— გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს რაინდებს! — ღრიალებდა დიდი და პატარა.

მწიგნობარი აბულაძე მოძღვრავდა თანმჯდომს ახალგაზრდას: არ გახსოვთ ვისის სიტყვები, „ვისაც წაეკიდებოდე, გულსა შიგან საზავოსა ადგილსაცა დაუგდებდი, მეცნიერი კაცი ომსა შინაგან საზავოსა ადგილსაც დააგდებსო“... აი ასე იქცევა ჩვენი მირონცხებულიც....

— დიაღაც, ბატონო, ბრძენია ჩვენი მეფე...

— ხალხო და ჯამაათო! — მოისმა უეცრად თვალუწვდენელ ჭანდრიდან.

ყველამ ჭანდარს დაუწყო ცქერა.

— ხალხო და ჯამაათო! — ყვიროდა ვიღაც ფოთლებში მიმალული.

იკურთხოს ღვთის განგება!
დღეგრძელი იყოს მეფე!
გაიმარჯვა ჩვენმა ჯარმა.
გაიქცა მტერი.
მოსრნა ურჯულო ბაგრატიონთა მკლავმა...
თავი ისახელა აგიაშვილმა, წულუკიძემ...
გათავადდა აზნაური,
გააზნაურდენ გლეხები...
დაესხა თავსლაფი ალმასხანს...
არ მისცეთ მის შთამოებას ქალი;
არ ჩაესიძოთ მის ოჯახს;
ამოწყდეს ლაჩარი.
არ მინდა მისი ბატონობა.

გამანთავისუფლეთ მისგან, თვარა გადმოვვარდები აქედან კისრით.

— კარგი, ჩამოდი, — გაიღიმა მეფემ.

— აქაც ლაზიკა! — განრისხდა აგიაშვილი, — ჩამოდი შე, მართლა, ძაღლის შვილო, რა გააჭირე საქმე, ყველგან ეჩრები... შენი გასამასხარავებელი კიდევ ვინ არის?!.

ლაზიკა ხიდან მობუნძღული ჩამოცოცდა: არ მოუწონეს ოხუნჯობა.

— გაატუტუცეს ეს ლაწირაკი! — ჩაილაპარაკა ვიღამაც.

ხალხი ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყო ამ უცნაურ შემთხვევის შემდეგ, ჯერ კიდევ ყურადღებით აცქერდებოდნენ მეფის ახალ ხუმარას, რომ მოშორებით გავარდა დამბაჩა:

— რა მოხდა? — იკითხა მეფემ. ცოტა ხნის შემდეგ მოახსენეს:

— ალმასხანის ვაჟმა თავი მოიკლა.

— რა საცოდაობაა! — ერთად ერთი შვილი. ეს სულ შენი სისულელის ბრალია! — შეუწყრა ხუმარას მეფე და ჩქარის ნაბიჯით ამალის თანხლებით გასწია სულთმობრძავ ყმაწვილისაკენ.

— რა კარგი ყმაწვილია! — შენიშნა დედოფალმა.

— მაგის მაგიერ მამა-მისს მოეკლა თავი, უფრო კანონიერი არ იქნებოდა, — მიბუზღუნობდა არჩილი.

ვინც დამხმარე იყო, დასახმარებელი შეიქნა: განდევნილმა მეფემ უცხოეთში დალია სული. მთავარი მომქმედნი პირნიც დაიხოცენ. ვინც ცოცხალი დარჩა, მასაც ზღაპრად ეჩვენებოდა წარსული ზრახვანი და სულის-კვეთებანი.

გადაბერებული მიქელაძის სასახლე ველარ იტევდა ცოლ-შვილიან შვილებსა და შვილიშვილებს, მაგრამ თეთრი, გრძელი წვერები, შეკრული წარბები და ღარებ-გავლებული შუბლი ჯერ კიდევ ერთ ჭერ ქვეშ აჩერებდა მათ.

„... — ერთხელ მეფეს ისე გასჭირებია ახალციხეში, უამბობდა აღდგომა დღეს ბუხრის წინ შეკრებილ თავისიანებსა და სტუმრებს მოხუცი მიქელაძე, რომ ღაბუაშვილებისათვის (აბაშიძეებისათვის) მოუწერია — ცოტა ღვინო და არაყი მომაწოდეთო და ქორქაშვილს 25 მანეთს შესესხულებოდა“.

ერთმა ყმაწვილმა სახლისკაცმა შენიშნა:

— ღმერთმა კი შეარცხვინა ისეთი მეფე, „ცოტა ღვინოსა და არაყს“ რომ თხოულობსო.

მოხუცი წამოხტა და ყმაწვილს სილა გაარტყა:

— როგორ არ გრცხვენია ქართველ კაცს ქართველ მირონცხებულს მეფეზე ასეთი სიტყვების თქმისო.

მოხუცი შეაწუხა სტუმრის შეურაცყოფამ, მაგრამ კანონიერად მიაჩნდა თავისი საქციელი.

ამ უსიამოვნების გამო აირია ოჯახი: ვიღაცას შეურაცყოფილი ყმაწვილი ქმრად უნდოდა, თუ მიჯნურად...: და გაიყო ოჯახი.

მარტო დარჩა მოხუცი თავის დიდ სასახლეში და პატარ-პატარა; იქვე ეზოში მიმოდგმულ ოდებში ვერც კი გაიგეს, როცა ის გარდაიცვალა.

მხოლოდ ლაზიკას საქმე და აზრი გამოდგა სიცოცხლეუნარიანი:

მისი ცხენი, ისე როგორც თვით ლაზიკაც, შეიქნენ მეჩალვადრეების წინამორბედნი: მათი შთამომავალნი იყვნენ, ჭიათურიდან რომ პირველ ქარავნად წამოვიდენ შავი ქვით დატვირთულნი.

სერგო კლდიაშვილი

დირბელი მოყმის ამბავი

ბრძოლით დაღლილმა თემურ-ლენგმა დატოვა საქართველო. არაერთხელ შემოესია და გადათელა მან ეს პატარა ქვეყანა, მაგრამ აქედან ყოველთვის მხოლოდ დამარცხებულის გრძნობით გაბრუნებულა. უკანასკნელად ქართლის ხევებში და ველებზე დაკარგა თითქმის ყველა, ვინც მისი სამხედრო მშვენება და ნახევარი დედამიწის რისხვა იყო. თემურ-ლენგი გრძნობდა, რომ ამიერიდან გზა გადაღობილი ჰქონდა და ვეღარ განახორციელებდა ოცნებას დაეპყრო შორეულ დასავლეთით მდებარე ფრანგთა სახელმწიფონი.

გაბოროტებულმა წასვლისას დაანგრია ტაძრები, დაარბია მონასტრები, გაძარცვა და ცეცხლს მისცა ქალაქი და სოფელი. მონღოლთა ურდოებმა გაირეკეს ჯოგი და ფარა, ხოლო საკუთრად სარდლისათვის წაიღეს ჭედილი ოქრო და ვერცხლი, სამეფო კარის განძი და წიგნსაცავები. ქართული, ბერძნული, ირანული და არაბული ხელნაწერებით დატვირთული აქლემების ქარავნები ლანგ-თემურს გაჰყვნენ აზიისაკენ.

მთებში გახიზნულმა ხალხმა მაშინ მოაშურა მიტოვებულ კერას და ხელახალი ცხოვრება დაიწყო.

დირბის ბატონი გარსევანიც, აქამდე თრიალეთის უღრანს შეფარებული, თავის სახლ-კარს დაუბრუნდა.

გარსევანმა სახელდახელოდ მოაწყო გავერანებული სასახლე, ეკლესიების აღდგენა და შემკობა ბრძანა და ბოლოს სოფლებზედაც იზრუნა.

მაგრამ წლებმა ჭმუნვა მაინც ვერ განუქარვეს. მთებში ხეტიალის დროს მეუღლე გარდაეცვალა და ამ მწუხარებას კიდევ უფრო მწვავედ განიცდიდა შინ, სადაც აღარ ესმოდა დიდი ხნიდან შეჩვეული საყვარელი ხმა.

დასევდიანებულმა მოხუცმა მთელი მგრძნობიერება და ფიქრი თავის ერთადერთ ასულზე, რუსუდანზე, გადაიტანა. რუსუდანის აღმზრდელი აქამდე დედა იყო. საბატონოს საქმეებით გართული გარსევანი ხშირად ვერც ხედავდა შვილს, მაგრამ სავსებით ენდობოდა სათნო მეუღლეს და დარწმუნებული იყო, რომ გოგონას ღრმად ჰქონდა ჩანერგილი ღვთის მორჩილება და სოფლის სიამენი მას ვერასოდეს ვერ შებილწავდნენ.

გარსევანი ცდილობდა გაერთო შვილი, რომ უდედობა არ ეგრძნო, მაგრამ რუსუდანი არაფრის ხალისს არ იჩენდა. ის რჩეობდა მარტო ყოფნას, მეტწილად იჯდა აივანზე თავის საყვარელ კუთხეში და მტკვრის ხეობას გაჰყურებდა. გარსევანს ყველაფერი მოსწონდა შვილისა: ისიც, რომ ჩუმი და მოკრძალებულია, ისიც რომ მაღალსა და თეთრ შუბლზე უფრო შავად ჩანან წვრილი, ბოლოში მოხრილი წარბები. ამით ის დედას ემსგავსებოდა. უფრო კი ის უხაროდა, რომ საღვთო წიგნთა მოყვარული იყო. ამაში გარსევანი თავის მსგავსებას ხედავდა და ხელს უწყობდა გაწვრთნილიყო იმ წიგნების კითხვაში, სადაც მარტვილთა ცხოვრება იყო აღწერილი.

მრავალ საუნჯეთა შორის მტრის ურდოს სახლიდან წაელო ძვირფას ყდებში ჩასმული საღვთო და საერო წიგნებიც, რომელიც გარსევანისაგან დაფარულად რუსუდანის ოთახში ინახებოდა. წასაკითხი აღარაფერი დარჩენილიყო. ცნობისმოყვარე რუსუდანი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო ახლა იმით, რასაც ახალგაზრდა შინაყმა, ბავშვობიდანვე წამოყვანილი მშობლებისაგან, ბატონის კარზე გამოზრდილი და დავაჟკაცებული გოჩა უამბობდა ხოლმე.

ლამაზი გარეგნობის და მახვილი გონების პატრონი გოჩა ბავშვობაში მოაშორეს სხვა მწყემს ბიჭებს, ასწავლეს წერა-კითხვა, ხოლო როცა წამოიზარდა, წიგნების კითხვაში და გადაწერაში გაიწაფა, ბატონმა დაიახლოვა და საბოლოოდ

სასახლეში დაიტოვა. დილით აკითხებდა ლოცვებს, მწუხრის ჟამს ისევ ლოცვებს, თავისუფალ დროს კი — წმინდა მამათა ცხოვრებას და სულისათვის საჭირო სხვა წიგნებს. გოჩას მომავალი გარსევანს თავის გუნებაში დიდი ხანია კიდეც გადაეწყვიტა: დამბლადაცემული მოხუცი კარის მღვდლის მაგიერ მალე ეს ყმა უნდა კურთხეულიყო. ბატონი დარწმუნებული იყო, რომ ის კმაყოფილი იქნებოდა თავისი ბედით.

მთებში ხიზნობის დროს გოჩამ რამდენჯერმე თავგანწირვა გამოიჩინა, რომ გაჭირვებას შეუჩვეველი ბატონისა და მისი ასულისათვის ტანჯვა შეემსუბუქებინა. იმ უბედური თვეების განმავლობაში გარსევანმა და რუსუდანმა კიდევ უფრო დაიახლოვეს ერთგული შინაყმა.

მეგობრობა, დაწყებული იქ, სადაც ყველანი ერთნი იყვნენ განსაცდელის წინაშე, შინ დაბრუნებისას კიდევ უფრო განმტკიცდა რუსუდანსა და გოჩას შორის. კეთილი ყმა მუდამ ზრუნავდა ბატონის ასულზე და მარტოობის სიმძიმეს უქარვებდა. დაინახავდა თუ არა აივნის კუთხეში მარტო მჯდომარეს, მოკრძალებით მივიდოდა, მის ფერხთით მოიკალათებდა და გასართობად უამბობდა მრავალ რაიმეს, რისი მოსმენაც უყვარდა რუსუდანს.

გარსევანი დარწმუნებული იყო, რომ გოჩა რუსუდანს მხოლოდ ღვთის სიტყვას უნერგავდა. მრავალჯერ კმაყოფილებით შეუნიშნავს, თუ როგორ უამბობდა ის რუსუდანს წმინდა შუშანიკის ცხოვრებაზე და წამებაზე, სვეტიცხოველში დაკრძალულ ნეტარ სიდონიას ღვაწლზე.

„საკმარისია შეხედო სახეზე, — უფიქრია ხოლმე გარსევანს, — და დაიჯერებ, რომ მიწიერი არაფერი მიჰკარებია მის სულს. ეს ყმა თვით განგებამ მომივლინა დაიცვას ჩემი სახლკარი ბოროტისა და უწმინდურისაგან.“

ასე სწამდა გარსევანს და არასოდეს უფიქრია, რომ გოგონამ — აქამდე ბავშვად სთვლიდა რუსუდანს, თუმცა მას მკერდი უკვე ამაღლებოდა — უფრო სხვა მიზეზის გამო დაიახლოვა შინაყმა.

რუსუდანი მუდამ მორჩილად ყურს უგდებდა წმიდათა ამ-

ბავს, მაგრამ უფრო უყვარდა იმის მოსმენა, რასაც ჭაბუკი ყველასაგან საიდუმლოდ მოუთხრობდა: გოჩა ხან უკითხავდა, ხან უამბობდა გმირთა და მიჯნურთა საკვირველ თავგადასავალს და რუსუდანიც მღელვარებით მხოლოდ ამას უსმენდა.

იხელთებდა თუ არა დროს, იხმობდა გოჩას და უბრძანებდა ეამბნა გმირი როსტომის თავგადასავალი, ვისის და რამინის სევდიანი ზღაპარი, ხოლო უფრო ხშირად ტარიელისა და ნესტანის ამბავი. რუსთველის თქმული ეს წიგნი გარსევანისაგან აკრძალული, გახიზვნამდე ფარულად შენახული ჰქონდა რუსუდანს. როცა დაბრუნდა, ვეღარ იპოვა. სხვა წიგნებთან ერთად მტრის ურდოს წაელო. მაგრამ გოჩას თავიდან ბოლომდე ზეპირად ახსოვდა რუსთველის წიგნი და ოსტატურადაც უამბობდა. სმენად საამო ხმას, ოდნავ ამღერებულს ლექსის თქმის დროს ხშირად აუთრთოლებია რუსუდანი. ახალგაზრდა მეოცნებე ქალბატონს ავთანდილი იმ სახით წარმოედგინა, როგორც ეს ერთგული ჭაბუკი იყო.

ქალმა იცოდა კიდევ სხვა მისი ღირსებანი, ესენიც დაფარული ბატონისაგან.

გარსევანს, რომელიც სხვა დარბაისელთა შორის გაჰყოლია ხოლმე მეფეს იპოდრომებზე და უტევანზე ასპარეზობის საყურებლად, არა ერთხელ ხლებია გოჩა. მან ისწავლა იქ ცხენოსნობა, სრევა ისრისა და სხვა მრავალი სამამაცო ზნე. ავთანდილისა და ტარიელის რაინდობით გატაცებული ჭაბუკი ცდილობდა მიებაძა მათთვის და შეიძლება, იდუმალ კიდეც ოცნებობდა საყვარელ გმირთა შესადარი გამხდარიყო.

რუსუდანმა ერთხელ გადაწყვიტა საკითხავად აღედგინა ზოგი უფრო საყვარელი ლექსი რუსთველიდან, შეითქვა გოჩა და მალულად შეუდგა წერას. საშიში იყო ბატონს არ გაეგო მათი განზრახვა და ამიტომ დიდად ფრთხილობდნენ.

მხოლოდ ასეთ წუთებში ბედნიერად გრძნობდა თავს რუსუდანი. სხვა დროს კი ერთფეროვნად და ნაღვლიანად გადიოდნენ მისი დღეები.

მოსაწყენი გახდა ცხოვრება გარსევანისათვისაც. მეზობელ და ნათესავ თავადებს წინათ ხანდახან მაინც დაუცდებოდათ

ფეხი და ფრინველით განთქმულ მის ჭალებში სანადიროდ ესტუმრებოდნენ. ახლა კი არავინ ჩანდა. ან დრო არ ჰქონდათ, ან ხალისი.

დღით გარსევანს კიდევ, როგორც იყო, გაჰქონდა თავი. მოწყენილობა და მარტოობა აბორიალებდა ეზოში — შეიყვანდა სამეძებროში, იქიდან საჯინიბოში, საჯინიბოდან მარანში, მარნიდან ისევ სამეძებროში. მზის ჩასვლიდან კი აღარ იცოდა როგორ გაეთრია დრო. აივნის მოაჯირზე დაყრდნობილი გაჰყურებდა ბინდში გახვეულ სივრცეს და მრავალ რამეზე ფიქრობდა. მის ოცნებას გადაღმა არ უშვებდა საბატონოს შემორტყმული მთა, მაგრამ იმ გარემოს, რასაც თვალი სწვდებოდა, ავსებდა ისეთივე ახირებული ნაოცნებარით, როგორიც თვითონ იყო. ათასგვარი საოცრებანი გაუელვებდნენ ხოლმე გონებაში. ისინი საკვირველნიც იყვნენ და საჭირონიც, რომ მისი პატარა სამფლობელო მკვიდრ ფეხზე დამდგარიყო.

ოცნებობდა გარსევანი ცეცხლისმფრქვეველ ღრმა თხრილებზე... მთელი საქრისტიანო გარშემორტყმულია ასეთი თხრილებით და ურწმუნოთა ურდო საზღვარს ვეღარ გადმოდის. ანდა, განა არ შეიძლება მაღალი საგუშაგო ააგონ, ერთი არაგვის შესართავთან, მეორე მესხეთში, და როცა საჭირო იქნება, იქიდან ჩირაღდნებით ნიშანი მისცენ: მზად იყავით, მტერი ახლოვდებაო. გაიხედავს გარსევანი ყოველ დაღამებისას და თუ ნიშანია — ჯარს შეკრიბავს. ოჯახს დროით გახიზნავს, ხოლო თუ ნიშანი არა ჩანს, მაშ, მშვიდობა ყოფილა. ღმერთს მადლს ეტყვის და უზრუნველად დაიძინებს.

იმ წელიწადს შემოდგომა ნაადრევად მოძლიერდა. გარემომ ფერი უცბად იცვალა. ტყეები აფერადდნენ, მხოლოდ მუხას და წაბლს კიდევ შერჩათ მწვანე ტოტები. ყველაზე ადრე ყვითლად მოირთვნენ ვერხვი და კოპიტი. შორიდანვე ადვილად განირჩეოდა წითლად შეღებილი შხამიანი იელი. გადამხმარ ნაპურალიდან მწყერის ჭუკჭუკი ისმოდა. მინდვრებზე ქედნის გუნდი ლაღობდა, მაგრამ ფრინველს არავინ აფრთხობდა. მრავალი ნაცადი მონადირე ბრძოლიდან აღარ დაბრუნებულა, შინ მყოფთ კი ათასი საზრუნავი ჰქონდათ.

ერთ საღამოს, როცა გარსევანი აღარავის მოელოდა, სტუმრად ეწვია მეზობელი თავადი და ყრმობის მეგობარი ზაზა.

ერთი შემთხვევის შემდეგ, როცა გარსევანმა საჯაროდ უსაყვედურა ზაზას ცბიერობა, მათი მეგობრობა გაიბზარა. იმ დღიდან ზაზამ გული აიყარა, თუმცა არაფერი დაიმჩნია და გარეგნულად კეთილი განწყობილება შეინარჩუნა.

სხვა მდგომარეობაში ეს ამბავი შესაძლოა უბედურებითაც დამთავრებულიყო, მაგრამ ზაზა თვითონაც გრძნობდა, რომ დამნაშავე იყო მეგობრის წინაშე და რომ აურზაურის ატეხა მხოლოდ გაუხმაურებდა საზრახავს. გარდა ამისა, ვინ არ იცნობდა გარსევანს. ვინ არ იცოდა მისი ახირებული ჩვეულება ყველასათვის დაურიდებლად ეთქვა რასაც ფიქრობდა? ის თავის გონებით და თვალით ზომავდა ყველაფერს. ჭეშმარიტების მღაღადებლად მიაჩნდა თავი და ღრმად სწამდა, რომ უზადო იყო თვით და შემდეგ მისი საგვარეულოც. ამ ციხე-სიმაგრიდან ებრძოდა ცოდვილ ქვეყანას და ლამობდა მის გამოსწორებას. ყველას მობეზრებული ჰქონდა გარსევანის ყბედობა, მაგრამ უარესს გაურბოდნენ და უთმობდნენ. სხვაზე უფრო ისევ ზაზა მეგობრობდა გარსევანთან, თუმცა იდუმალ ნატრობდა ოდესმე შემთხვევა მისცემოდა სამაგიერო გადაეხადა და მეგობრულად დაენახვებინა, რომ არც ისე ურყევია მისი ციხე-გალავანი.

ამ მოსვლაზე ზაზას ჩვეულებრივი სიმრავლით აღარ ახლდა ამალა. მეჯინიბე, რამდენიმე ბაზიერი და კარის მოძღვარი, მამა მირიანი. მეტი არავინ. მამა მირიანს ზაზა არ იშორებდა. ავადმყოფი ზაზა ყოველ წუთს ელოდა სიკვდილს და შიშობდა უზიარებლად არ მომკვდარიყო.

გარსევანმა სიხარულით მიიღო სტუმარი. ეზოში მიეგება, გადაეხვია მეგობარს და შინისაკენ გაუძღვა.

— ნელა... ასე ჩქარა არ შემიძლია. — შეჩერდა ზაზა, როცა კიბეზე ორიოდე საფეხური აიარა, — შენ გახსოვს, ალბათ, რომ მე წინათაც გულის ხუთვა მქონდა. ბოლო დროს კი მიმატა. ხანდახან ისე შემიკრავს სუნთქვას, რომ მგონია, წუთისოფელს ვეთხოვები.

გულისპირზე ღილები შეიხსნა, ფართოდ გაღებული პირით ჰაერი ხარბად შეისუნთქა და ამოიოხრა:

— არ ღირს რასაკვირველია ზრუნვა სიცოცხლეზე. ცოდვილი ვარ, უფალო, მაგრამ ჯერ მაინც უნდა ვიცოცხლო იმისათვის, რომ მრავალი ჩემი შეცოდება მოვინანიო და მარადი ცხოვრებისათვის მოვემზადო... შენც, გარსევან, მრავალჯერ გითქვამს ეს ჩემთვის.

შეისვენა, დამშვიდდა და აივანზე ფრთხილად აიტანა თავისი მძიმე ტანი.

შინ და გარეთ ამოძრავდნენ... ფარეშები წამოიშალნენ. ეზოში გაოფლილ ცხენებს აურვებდნენ. ფარეხში მიძინებული ფარა ააფორიაქეს. სამზარეულო ახმიანდა და გაჩაღდა.

ზაზამ თვალი მიმოავლო სასახლის ოთახებს და გაკვირვება გამოთქვა, თუ როგორ მოასწრო გარსევანმა ამ მცირე ხანში გავერანებულის აღდგენა.

— მე შენზე და მრავალ სხვაზე უფრო დავზარალდი, — თქვა მან. — ჩემი სოფლები იმ გზაზე მდებარეობენ, რომლითაც არაწმინდებმა გაიარეს. მიმავალნი არაფერს ინდობდნენ. მე თითქმის ყველაფერი დავკარგე, საყვარელი ძმაც კი დამეღუპა ურჯულოებთან ბრძოლაში. რას იზამ, ასეთი ყოფილა ღვთის ნება... თავი დავანებოთ ამაზე ფიქრს. იმედი ვიქონიოთ, რომ დარჩენილ სიცოცხლეს ღმერთი არ გაგვიმწარებს. მოხარული ვარ, რომ მხნედ გხედავ და რუსუდანიც ჯანმრთელად გყავს... დიდი სურვილი მქონდა მენახე და შენთან რამდენიმე დღე გამეტარებინა. თუ გახსოვს, ამ თვეში მუდამ შენი სტუმარი ვიყავი. კარგო სანადირო დღეები დადგა. შენ ტყესა და მინდვრებში ხოხობი და ქედანი ისე მომრავლებულა, რომ ხელით დასაჭერნი გამხდარან. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ბაზიერებს დაფდაფებზე გარჯა არ დასჭირდებათ, ნანადირევს კი უხვად მოვიტანთ.

ვახშმის დროს დაწვრილებით მოითათბირეს ხვალინდელ ნადირობაზე. ზაზამ სიამოვნებით მოიგონა ჯაგნარი, სადაც ორიოდე წლის წინათ დურაჯები დახოცა. ხორცსავსე სახეზე ხალისი აღებეჭდა და გარსევანს მიაჩერდა:

— იმედი მაქვს ზაფხულზე მაინც მეწვევი და ჩემს ტყიანშიც მოინადირებ. შენი რუსუდანიც უნდა მასტუმრო. იც

მკრთალი მეჩვენება. ჩემი სოფლის მთის ჰაერი და ფიჭვნარი დაკარგულ ფერს მალე დაიბრუნებს. ჩემი შვილებიც მოხარული იქნებიან და გაართობენ. გარდა ამისა, დროც არის ქვეყანაში გამოაჩინო.

ვახშამზე ყველაფერი გემრიელი იყო და უხვადაც შემოჰქონდათ.

ზაზაც ისე ხალისით შეექცეოდა, რომ მამა მირიანი, რომელსაც არაერთხელ გამოცდილი ჰქონდა, თუ რა საჭირბოროტო გამხდარა მისთვის ბატონის მადა და მოუთმენლობა, ბოლოს იძულებული შეიქნა გაეფრთხილებინა და თავშეკავება ეთხოვა.

სტუმარი ხშირად თვით ეწეოდა მასპინძლობას, აქებდა და სხვებს აწოდებდა კერძს. სხვა ადგილას გარსევანს, ყველაფერში ზომიერების მოყვარულს, ვერავინ დაასწრებდა ესაყვედურა მეგობრისათვის, რომ მან ჭამაში საზღვარი არ იცის, მაგრამ ახლა მასპინძელი იყო და თავს იჭერდა. ჯერ კიდევ ყოფნიდა მოთმინება.

გარსევანს შესაძლოა კიდევაც უყვარდა ზაზა, თუმცა მრავალი მისი ქცევა არ მოსწონდა. ყველაზე ხშირად იმას უმზერდა, რომ ის დახარბებული იყო ამქვეყნიურ სიამეს და სულისთვის არ ზრუნავდა. ამაზე გარსევანმა ცხარედ იცოდა ლაპარაკი, ხოლო არანაკლებ ცხარობდა იმის გამო, რომ მისი მეგობარი მოთმინებით მოუსმენდა, დაეთანხმებოდა კიდევაც, რომ ცოდვილია — ახ, რა უიმედოდ ცოდვილია! — მაგრამ დარიგებას მეორე წუთშივე დაივიწყებდა. გარსევანი მას მარადი ცხოვრებისათვის დაღუპულ ადამიანად თვლიდა და ეცოდებოდა.

ახლაც, ამ ვახშამზე, გარსევანმა დააპირა ზოგიერთი დარიგებანი მიეცა მისთვის — რამდენი ხანია არავის წინაშე გული არ გადაუშლია, გულში კი ათასგვარი ნაღველი დაგროვილიყო! — მაგრამ ზაზა, მიუხვდებოდა თუ არა, ოსტატურად გამოაცლიდა სიტყვას და თვით იწყებდა ლაპარაკს. სულ ერთი იყო რაზე, ოღონდ კი მრავალჯერ გაგონილის და მობეზრებული რჩევა-დარიგების ხელახლა მოსმენით ეს გემრიელი ვახშამი არ გაუგემურებოდა. ამ ლა-

პარაკში თვითონაც არ შეუმჩნევია რამდენჯერ უამბო ერთი და იგივე: ოსეთიდან ულაყები ჩამოაყვანინა და ერთს ისეთი ფაფარი აქვს, რომ მიწას სწვდება; აღადგინა თევზების აუზი. კალმახი, ჭანარი და მურწა ნებიერად არიან იქ და დიდხანს სძლებენ; ჭანარი კალმახს გემოთი არ დაუვარდება, თუ თან ახლავს ბროწეულის წვენი და დანაყილი ნიგვზით შეზავებული საწებელი, ბროწეული ოდნავ სიცხარეს აძლევს, ენას საკმაოდ კბენს და მადას აღვიძებს...

ტყუილად ეცადა ზაზა. უთავბოლო ლაქლაქით მოთმინება დაუკარგა გარსევანს.

— ვხედავ, ჩვეული უდარდელობით განაგრძობ ცხოვრებას, — მალე გაისმა გარსევანის გამკილავი ბოხი ხმა. — დრომ და განვლილმა უბედურებამ თურმე ვერაფერი გასწავლა შენ. რატომ ერთხელაც არ დაფიქრდები, რომ ჩვენს ასაკში მხოლოდ სულზე უნდა ვზრუნავდეთ?

„დაიწყო!“ — გაიფიქრა ზაზამ და ნაღვლიანად მიაჩერდა მამა მირიანს.

მირიანს ნუგეშის მიცემის თავი აღარ ჰქონდა. მოკრუნჩხულიყო სუფრის კუთხეში და თვლემას ებრძოდა. უყურებდა ზაზა და გულს იყოლიებდა. თავტიტველა მღვდელს მხოლოდ კეფაზე შერჩენოდა დიდი ხნის ნაზარდი თმა. შინ მირიანი გაჩეჩილი დადიოდა, თმას საგარეოდ თუ დაიწნავდა. ნაწნავი რომელიღაც ცხოველის კუდს აგონებდა ზაზას...

— ჩვენ ზედმეტად შევექცევით ამქვეყნიურ სიამოვნებას, — განაგრძობდა გარსევანი. — საგანგებოდ ხომ არ მოუვლინა ღმერთმა რისხვა ჩვენს ქვეყანას? ხომ არ დაგვსაჯა იმისათვის, რომ დავეწაფეთ მიწიერ სიტკბოს, ხოლო დავუტევეთ მცნებანი უფლისა?

— რითამცა განვარისხეთ იგი! — ეშმაკურად ამოიოხრა ზაზამ.

ღრმად ამოიოხრა მთვლემარე მოძღვარმაც.

— შენც, ჩემო ზაზა, დიახ, შენც დამნაშავე ხარ. შენც ერთი იმათგანი ხარ, ვინც გახდა მიზეზი ჩვენი უბედურებისა! — ხმას უმატა გარსევანმა, — შენ არასოდეს არ თმობდი ამ ცხოვრების სიამეთ, მუდამ გატაცებული იყავი ნადიმებით,

მოგწონდა თეატრი, სახიობანი. შენს კარზე ხშირად უნახავთ რიტორნიც. იმის მაგიერ, რომ სიტყვა ღვთისა არ დაეგდო ხალხს, ყოველი დიდებული და მცირე გატაცებული იყო მოშაირეთა ენამჭევრობით. შენი შვილებიც შენ კვალს მისდევენ. ნუ გეწყინება, თუ ჩემს რუსუდანს ვერ გასტუმრებ. მას ღვთის შიში აქვს ჩანერგილი, მისი სული წმინდაა, მისი ფიქრი და ზრახვანი მხოლოდ ციურს შესტრფიან და რა უნდა იპოვოს მან იმათ შორის, ვინც უკუღმართ გზას დასდგომია? მე დარწმუნებული ვარ, შენს სახლში კვლავად ერთობიან წარმართთაგან გადმოლებული არაკებით და ყველაზე უფრო ისევ იმ ბიწიერი რუსთველით...

— სძებნეს სოფლებში, მაგრამ ვერ იპოვეს! — წამოცდა ზაზას და უმალვე სანანებლად გაუხდა ასეთი დაუფიქრებლობა.

— გეშინოდეს იმ წიგნის, ზაზა! — მიაძახა გარსევანმა. — ის ბოროტ სულს ემსახურება! უფალმა ჩვენს გამოსაცდელად მოავლინა ეს ბოროტი რიტორი. ცეცხლს მიეც იგი და დაივიწყე!

აღელვებული ადგა, გაშორდა სუფრას და დარბაზში სიარული იწყო.

დიდხანს მიმოდიოდა მდუმარე და გაბოროტებული. გრძელი ლანდი, ესეც პატრონივით გრძელი და გამხდარი, ხან წინ უძღოდა, ხან უკან მოსდევდა.

ზაზა არც ცდილა მის დამშვიდებას. იცოდა, რომ ახლა ვერაფერს გახდებოდა, თვითონაც აღარ იყო გუნებაზე. იჯდა, თვლემდა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

ბოლოს ისევ გარსევანმა დაარღვია სიჩუმე.

— მგონი დაგღალე, — ნაძალადევი ღიმილით გადახედა სტუმარს. — დროა მოვისვენოთ, საცაა შუაღამე იქნება.

ზაზა ცალკე მოასვენეს სატუმროში. გარსევანმა მოისმინა ყველა ლოცვა, რაც წესით დადებული იყო, გაუშვა გოჩა და ღრმა ძილს მიეცა.

მთელ სახლში სიჩუმე ჩამოდგა.

ნამგზავრი ზაზა დაღლილობას გრძნობდა, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა, ფხიზლობდა, თვალღია იწვა და სარკმელს შეჰყურებდა. ვიწრო სარკმლიდან მთვარის ნათელი

შემოდიოდა. ეთერის მოვერცხლილი სვეტი თრთოდა. ქარმა ხეებზე გადაიქროლა და ტოტები ააშრიალა. გამახვილებული სმენა ღამის სიჩუმეში ყველა ხმას იჭერდა.

იწვა და წვალობდა. ოთახში ჰაერი არ ჰყოფნიდა. იცოდა რა იყო უძილობის მიზეზი და რა უნაყოფო იყო ახლა მასთან ბრძოლა. უსაყვედურებდა თავის თავს, რომ ზომაზე მეტად შეექცა ვახშამს.

ერთ ხანს კიდევ იბორგა ლოგინში, მერე წამოდგა, კაბა მხრებზე მოიგდო და აივანზე გავიდა.

სიგრილემ გული დაუამა. ჰაერი ხარბად შეისუნთქა. მთვარით განათებულ სივრცეს გახედა. წვევით ჭალები დაფენილიყვნენ. თრიალეთის გორაკზე ღრუბლის ნაფლეთი მიღოღავდა. ქარი ფანტავდა ეზოში დაყრილ შემოდგომის ფოთლებს და მიუსაფართ მიწაზე დაათრევდა. ქარმა ფოთოლი აივანზედაც შემოაგდო. ხმელმა ფოთოლმა ფიცრულზე გაიშრიალა.

აივნის ბოლოში ზაზამ სინათლე შენიშნა.

სინათლე სარკმლიდან ჩანფა.

მოულოდნელად იქიდანვე ხმა მოესმა. მიაყურა, ცნობისმოყვარეობამ წასძლია და მოაჯირს გაჰყვა.

დაუახლოვდა თუ არა სარკმელს, გარკვევით გაიგონა მამაკაცის ხმა:

— ახლა წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი...

ისევ რუსთველი! ეს რიტორი ახლაც არ ასვენებდა!

ლექსი იგივე ხმამ დაიწყო, ყოველ სიტყვას გარკვევით, ალერსით წარმოთქვამდა. თითქოს თავის გულისთქმასაც აყოლებდა თვითეულ მათგანს:

ჰხედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა, სოფელმან და ჟამმან კრულმან?
ველარ გნახე საყვარელი მხიარული მხიარულმან,
ნეტარ რა ქმნას უშენომან გულმან შენგან დალახვრულმან!
გაგიცხადა დამალული გულებამან დაფარულმან.

იდგა ზაზა და უსმენდა. კითხვაც მოსწონდა და ლექსიც· მართლაც გრძნეული უნდა იყოს ეს რიტორი, თუკი ყოველი

მისი სიტყვა ასე სწვდება გულს!

რაც მეტი გაიგონა, უფრო ეამა. განა პირველად, მაგრამ ასეთი გულისხმიერი კითხვა ჯერ არავისგან სმენია. დაე, გამოუხსნელი მეოთხე უკუნიდან იყოს ამის დამწერი... თუ ასე ტკბილია ჯოჯოხეთის შხამი, არც ჯოჯოხეთი ყოფილა საშიში!

„ჰო, მაგრამ რად უზრახა გარსევანმა ჩემს შვილებს რუსთველის წიგნის ძებნა, თუკი თვითონ შინ ჰქონია!“ — ფიქრობდა ზაზა და უხაროდა, რომ ამის შემდეგ შესძლებდა ემხილა მეგობრის არაგულწრფელობა.

რატომღაც წამკითხავი იმეორებდა ხოლმე სტრიქონებს და მხოლოდ ეს არ მოსწონდა ზაზას. უნდოდა ესმინა დაუბრკოლებლად, შეუჩერებლად. მოუთმენლად ელოდა ნესტანის წერილის ბოლო ტაეპს და სჯეროდა, რომ აქ კიდევ უფრო გულისხმიერი იქნებოდა ის უცხო ოსტატი.

ეს ადგილიც ახლოვდებოდა.

როგორც კი გაისმა პირველი სიტყვები, ზაზა დარწმუნდა, რომ ლოდინი არ გაუცრუვდა. რასაკვირველია, ამას მთქმელი თითქმის მღელვარებით ამბობდა:

> აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა!
> გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა,
> ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
> რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვილისა.

თქვა და გაჩუმდა.

ოთახიდან აღარაფერი ისმოდა.

სარკმლის სინათლეს რაღაც ლანდი აეფარა.

— მოსვენებას ხომ არ ინებებთ ქალბატონო? — რამდენიმე ხნის შემდეგ მოესმა ზაზას იმავე მამაკაცის მორიდებული ხმა.

ეს უკვე რუსთველიდან აღარ იყო. ოთახშიც, ცხადია, მარტო ერთი არ ყოფილა, ის მეორე — ქალი უნდა ყოფილიყო.

მამაკაცს პასუხი არავინ გასცა.

სიჩუმე ისევ გრძელდებოდა.

ველარ მოითმინა ზაზამ, ფრთხილად მიიწია და სარკმლიდან გადაიხედა.

ოთახში რუსუდანი და გოჩა დაინახა.

ქალს თვალი დაეხარა და ტიროდა.

შორიახლოს მდგარი გოჩა ბატონის ასულს კრძალვით მისჩერებოდა.

სიჩუმე გახანგრძლივდა.

ბოლოს რუსუდანმა თავი ასწია, დანამული თვალები მოიწმინდა, გოჩას მორცხვად ახედა, უცბადვე შეჰკრა წარბები და ფურცელი მოიმარჯვა.

— განაგრძე! — ბრძანა და ხელში ფრთა აიღო.

ესე წიგნი საყვარელსა მისსა თანა მინაწერი,
რა დასწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი.

უსმენდა გოჩას რუსუდანი და წერდა.

* * *

რიჟრაჟზე გააღვიძეს ზაზა.

ძილი აკლდა. სხეული დასვენებას ითხოვდა. თბილი ლოგინის მიტოვება დაეზარა.

მეორედ შევიდა მასთან ფარეში და თავზე დაადგა.

გაბრუებულმა ზაზამ უნდომად ჩაიცვა და გავიდა ოთახიდან.

კიდევ ბინდი იყო. დაბალი ნისლი ახლა იწყებდა აშლას.

ეზოში ხმაური ისმოდა. ყველაფერი მზად იყო — ბაზიერნი ბატონების გამობრძანებას უცდიდნენ. ნადირობის მოლოდინით გახელებული ძაღლები ყეფდნენ, წასვლას მიიწევდნენ. მეშავარდნეთა სამკლავეზე დინჯად სიხდნენ კაპოეტები. მამა მირიანი უკვე შემჯდარიყო ცხენზე, აღვირზე ხელი არ ეკიდა და ცხენი თავისუფლად მიეშვა. ცხენი მწვანე ბალახს ეძებდა და ეზოში მხედარს თავის ნებაზე ატარებდა.

გარსევანმა თვალი მოჰკრა ზაზას, როცა მან კიბის თავზე ფეხი ჩამოდგა. მიეგება, მიესალმა და, ჩვეულებისამებრ ჰკითხა სტუმარს თუ როგორ მოისვენა.

— არ დაგიმალავ, ცუდად მეძინა, — თქვა ზაზამ და უცბადვე

დაუმატა: — მაგრამ ეს დილა სიხარულით გათენდა ჩემთვის!

დაიწია ერთი საფეხურით, ხელები მოხვია გარსევანს და გულზე მიიკრა:

— ჩემო კეთილისმყოფელო, რომ იცოდე, რა მადლობელი ვარ შენი. თვითონ განგებას მოვუყვანივარ აქ, თვით ღმერთი მელაპარაკა შენი პირით. გახსოვს რას მეუბნებოდი წუხელ? იმ სიტყვებმა თვალები ამიხილეს. თურმე უფსკრულის წინაშე ვიდექ, ეს შენ გვიხსენი მე და ჩემი შვილები!

გარსევანი კმაყოფილებით უსმენდა მეგობრის აღსარებას.

— შენმა სიტყვებმა დამაფიქრეს და მოსვენება დამიფრთხეს.

დიდხანს ვფხიზლობდი შისს მიცემული. თურმე რამდენი დღე დამიღუპავს იმის მაგიერ, რომ ყოველი წუთი მარადი ცხოვრებისათვის მოსამზადებლად გამომეყენებინა... შეგნატრი, რაოდენ სპეტაკი ხარ ჩემზე! მაგრამ, გარსევან, ნურც შენ დამშვიდდები, კათაკმეველნი არც შენ გისვენებენ! ჯოჯოხეთი აქაც გზავნის თავის მოციქულთ!

გარსევანმა გაკვირვებით შეხედა.

— დიახ, ბოროტი რიტორი შხამით სწამლავს შენს რუსუდანს... შენც გეშინოდეს იმ წიგნის, ის მართლაც ბაალს ემსახურება!

— მოგლანდებია, ჩემს სახლში მას ვერავინ იპოვნის! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გარსევანმა.

მაშინ ზაზამ უამბნო, თუ რისი უნებური მოწმე გახდა ღამით.

ბოლომდე თქმა ვერ მოასწრო ზაზამ, ისე უეცრად აირია ყველაფერი.

გაბოროტებულ გარსევანს ველარაფერი აჩერებდა.

— აქ მომგვარეთ ის ძაღლის შვილი! — მოითხოვდა გოჩას და ღრიალებდა.

ბევრი სძებნეს გოჩა, მაგრამ ვერსად იპოვეს.

საკმაო დრომ გაიარა, სანამ ეზოდან თვალი მოჰკრეს სერზე ჭენებით მიმავალ ცხენს.

უკანასკნელად მხედარმა გორაკი გადაიარა და მიიმალა.

ეს გოჩა იყო.

გოჩამ დროით უშველა თავს. როცა უთხრეს, ბატონი გაბრაზებულია და გიხმობსო, გულმა უგრძნო რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, მოახტა უკბელო ზერდაგს და გააქანა.

* * *

ესეც დასასრული დირბელი მოყმის ამ პატარა ამბისა:

ბატონის სახლიდან გაქცევის შემდეგ გოჩა ერთხანს მესხეთში იმალებოდა.

მშობლიური კუთხის დაშორება წამებად გადაექცა, მაგრამ დაბრუნებას ველარ ბედავდა. ბოლოს ის შეეხიზნა მეზობლად ერთ თავადს და იქ იწყო ცხოვრება.

ახალი ბატონის კეთილი განწყობილება რომ დაემსახურებინა, გადასწერა მისთვის საჭირო რამდენიმე წიგნი, თავისუფალ დროს კი ისევ რუსთველის აღდგენას ანდომებდა.

შესაძლოა ეს წიგნი სადმე დარჩენილიყო, მაგრამ სად, ეს გოჩამ არ იცოდა და ჩქარობდა ჩაეწერა, სანამ კიდევ უნაკლოდ ახსოვდა.

ყველაფერს, რისთვისაც სულდგმულობს ადამიანი — სიყვარული, გმირობა, მეგობრობა — რაც ამაღლებს მის სულსა და გონებას, ამ წიგნში ჰპოვებდა. ლექსის თითოეული სიტყვა ცოცხლობდა ადამიანისადმი და ქვეყნისადმი სიყვარულით. ყოველივე სიტყვა თვით იყო მზე, მიწის ყვავილობა, კვირტების საიდუმლო გაცოცხლება, ნაყოფის ტკბილი წვენი. ეს წიგნი ადამიანმა თითქოს თან მოიტანა გაჩენის პირველი დღიდან დამ ის მარად თანამგზავრად უნდა დარჩენილიყო.

მაისის ერთ საღამოს რუსუდანს მისმა ერთგულმა ფარეშმა ოთახში შეუტანა ფარჩაში გახვეული შეკვრა და ფრთხილად გადასცა. რუსუდანი მიხვდა, რომ საიდუმლო რაღაც იყო და არავის არ უნდა ენახა. გახსნა მხოლოდ ღამით, როცა მარტო დარჩა.

შეკვრაში რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ აღმოჩნდა.

წიგნი სრული იყო. ფურცლების განიერ არეს ჩუქურთმები ამკობდნენ.

რუსუდანმა იცნო გოჩას ხელი და ისიც გაიგო, თუ ვისგან იყო გამოგზავნილი.

მჯერდშებოლილი მერცხალი

I

ჩადის ციხე

თურმე კავკასიონის მწვერვალებსღა შერჩათ თოვლი, ქედებს ცოტა ხნით მოსწყდა ნისლი და ჩადის ციხის მთას გამოეფინა ხალხი.

დაბლა მიბორგავს არაგვი და ჩამონარეგვ გოხებს მიაგორებს. ჩადის ციხის მთიდან ჩამორევია ფშაური სიმღერა დაღლილ მთიბავისა და არაგვს უფრო აფორიაქებს — არაგვს თავგზას აკარგვინებს. თითქოს ცელის ცელქი შრიალი ისმის ბალახში მოსისინე გველივითა და ფერდზე გადმომდგარა ჯანდამჯდარი მთაკაცი ხვედიაი.

ხვედიამ ლიტრა რცხილის ჯაგს მიაბა ჩამოქნილ წნელითა — წყლით სავსე ლიტრა რომ არ დაჰგორებოდა, და მისი თვალი მოიტაცა ძირს გაწოლილმა სოფელმა. მის თვალთა წინ წამოტუზულიყო სოფლის კოშკი. მგონია, კოშკის ამბავიც გადაითვალა:

იყო სოფელი, დოლიხორბალივით ფერდას გაშლილი, ტყე შემოჰხვევიყო — ხვედიაის თვალის წამწამებივით ხშირი და გაუვალი. სოფლისათვის სახელი არავის მიეცა, სოფელი განმარტოებით დაყუდებულიყო. კოშკი ხომ აუცილებელი იყო იმ ხანს, ოდეს ლეკები აწიოკებდნენ ქვეყანასა, ოდეს ლეკთა ბრბო ბალღებსაც აღარ ინდობდა. ლეკებმა ვერ მიაგნეს სოფელს, ლეკებს გადაურჩა სოფელი. უთუოდ უსახელობა შველოდა, უთუოდ!..

ერთ დღეს სოფელი შეიხიზნა კოშკში ცხვარ-ძროხით. ავლა-დოვლათითა. სოფელს მოეკალიავნენ ლეკნი, სოფელს ცეცხლი წაუკიდეს, შეხიზნულებთან იყო ხვედიაი, თავის პალათა და პირმშო თორელითა, ეხლა წყალით საავე ლიტრას რომ მისჯდომია, ხოლო მაშინ ძუძუს ებრძოდა, ძუძუს ეძალებოდა.

ხელთ ჩაერთვნენ სოფლად გადმობუნაგებული მთიულები და ლეკები. გაჩნდა კვნესა და ცეცხლი. ხბვედიამ ამოიმიზნა ბელადი მტრისა და მისმა ყირიმულმა იგი შავეთს დაამსგავსა.

მოიღუნნენ ლეკები, განახევრდნენ, დაფრთხნენ.

ქოსა და მოხრილი ლეკი აეტუზა ბეჭსა და კარგად, ძალიან კარგად გამოზომა ხვედიაის მხარ-ბეჭი, დაიხსომა ყველაფერი, გულს დაიკერა. ქოსალებს აუცახცახდა დახლეჩილი ტუჩები და ზედა ტუჩს აქა-იქ ამოგინგლილი ბალანი, ულვაშის მაგივრობას რომ უწევდა.

და ვიდრე მის საფარსაც არ მიაგნო მთიულთა ტყვიამ, ადგილიდან არ დაიძრა. შევიწროვდა და შეწუხდა ქოსალები, აიგუდანაბადავა თოფ-იარაღი:

— რას სჩადის ციხე! — დაიღრიალა და კუდამოძუებული გაჰყვა ბრბოს ნამცვრევსა.

კვლავ თვალწინ გიდგას ქოსალები, ხვედიავ, წინ გიდგას და ჰფიქრობ:

— კი არ აიღოს მაგიერი?! იქნებ აიღოს, იქნება! მაშ, ლეკი რის ლეკია, თუ არ აისრულა დანამუქრი!

— ხვედიავ! ბალღი სად არის? — გითხრა პელამა. შეკრთი, მთაკაცო, გული მოგეწურა ცეცხლწაკიდებულ ხოკერივითა.

— თორელი დაბმული ლიტრისაკენ წავიდა, თორელი აღარსადა სჩანს, — ბუზღუნებს პელაი.

— ბალღი სად არის?! — იმეორებ, ხვედიავ, და გარბიხარ ლელისაკენ. იქ არის ლიტრა, იქვე იქნება ბალღიცა. თითქო ქოსა ლეკი თან დაგდევს. აღარ გასვენებს, აღარ გასვენებს!

— თორელო!.. თორელო... ო!.. — ჰყვირის ხვედია. პასუხი არ არის. სიჩუმეა.

დედამ ქვითინი თივის ბულულებთან დასტოვა და სოფ-

ლისაკენ დაეშო. ჩამოარეკინა ზარებსა და მდევარი ვიწრო ბილიკებით თეთრი არაგვის ხევში გაიბანდა.

კვალი არსადა სჩანდა.

— ვინღა დაანთებს კერასა?! — ღმუის ხვედიაი და ფეხშიშველა ფეხებს ღელეებში დაახეტებს.

თორელი ჩაიყლაპა. გეში არსადა სჩანს, კვალი არ არის.

და თეთრი ღამე ჩამოდგა, დედის ბოღმით გალესილი.

ჩადის ციხეს ძაღლიც აღარა სჩანს. მანდილოსნები სათიბებთან მოსთქვამენ. თორელს ეძებენ. თორელს — დედისერთას, ცამეტი წლისას.

დედამ პირი დაიმიწა და თივის ბულულები ზენაქარს გაატანა — დაცრემლილი და დამძიმებული.

ბალღი უგეშოდ დაიკარგა.

II

თორელი

და გარბოდი ლიტრისაკენ, თორელო, გაგისხლტა ფეხი და ხევში ჩაიჩეხე. თავს ნაბადი დაგეცა. პირი ხარის გინგლის ბურთით ამოგივსეს და ოდეს გონს მოხვედი, ორი ლეკი მიგაქროლებდა თოვლიან-ყინულიან მთისაკენ. ჰხედავ: გარბის მიწა შენს ფეხთ აქვეშ.

ჰხედავ: გარბის მიწა შენს ფეხთა ქვეშ. ჰხედავ: გასცდით მლეთსაც. ქედიდან კვლავ გაჰხედე არაგვს, არაგვიპირულ ჯაგებსა, ერთხელ მწყერებს რომ დაუნგრიე ბუდე.

შეჰხედე ლეკსა. თითქოს გეცნო. ხვედიამ გიამბო ჩადის ციხის ამბავი. დაგახსოვდა ქოსა ლეკი, ის არის! ის არის!

მიჰქრიან ლეკები და თავს ესხმით ძანზახი.

ტყე რომ ჩამოიზნიქა კავკასიონიდან, წამოვიდა ზვავი და დაიტანა ია — ბნელ ხევში ამოტყორცნილი. დიდი ჭანდარი რომ ჰფარავდა! მაშინ დაიძრა ლაშარიდან გველისმჭამელი მინდიაი, მაშინ გადმოდგა ლომისის წვერიდან ვარდანიანთ გოგიაცა. ალბათ, გული აუტოკდათ, ალბათ!

გაგიტაცეს ლეკებმა და წინ აგიდარაბეს თოვლდანაბარდი მთაგრეხილი. გამოგამწყვდიეს, ბალღო თორელო, შუა ლეკეთს, ყრუ ანდიასა.

დინჯმა ბელადმა აბულმა გადმოგხვია ხელი, კეთილმა მამობილმა აბულმა ქოსას გაულალა საფასე — ცხვარ-ძროხა. და შეჰხვდი ლეკურ სიტყვას და შორს გასტყორცნე, ვითა კლდემ. კლდემ, რომელსაც მდინარე დაეჯახა გზის ძებნაში. ჰკვნესოდი, თორელო, უღვთოდა ჰკვნესოდი! არსად იყო საშველი, არსად სითბო!

თანატოლი მუსა დაიახლოვე, თანატოლი ლეკი შეითვისე — გულკეთილი, ნათელთვალებიანი. სხვა არავინ, სხვა არავინ!

ერთხელ აბულმა ჩამოგიტკბილა სიტყვა!

— ისწავლე, შვილო, ლეკური სიტყვა, ისწავლე. ხომ იცნობ მოხუც ახუნდის. შენსავით ბალღი გამოიტაცეს გურჯისტანიდან. ჰხედავ, სოფლის ბოლოს მოხუცი ლეკი რომ მიიკაკვება? რა იცი, რომ იმასაც ქართული სისხლი არ უდუღს? ნუ დაერიდები, ბალღო.

დიახ, რა იცი, რომ ყველა ლეკს ქართული ჯანი არა აქვს? ეგებ თვით აბულიც ქართული თვალებით უმზერს ქვეყანასა? მაშ, რადა აქვს ხანდოველის იერი, რად?!

დიახ, რა იცი, რომ კეთილ მუსას დედაც ტყვე ქალი იყო შილდიდან?

ალბათ, შეეგუები ლეკეთს, თორელო, ალბათ!

დღეს კვლავ გასცქერ კავკასიონს და მინდა დაგითვალო ხვედიაის და პელაის ამბავი, ცეცხწაუკიდებლივ რომ ჩაიფერფლნენ ჩადის ციხეს.

ხალხი დაგროვილიყო ჩადის ციხეს:

— ეგებ ავმა ქარმა გაიტაცა?..

— ხევში სადმე იქნება ჩამღვრჩალი.

— თუ ლეკებმა გაიტაცეს, მდევარს რამ დაუბა თვალები, როთ ვერ მიაგნეს გზა-კვალსა?

— უჩვეულო ამბავია, საკვირველი! — გაიძახოდნენ.

ქვეყანა შეაჯერა მოხრილმა ხვედიამ. არ ასვენებდა ქოსა ლეკის ყბები და დაღესტანსაც რამდენჯერმე ესტუმრა. მაგ-

რამ გამოიტირა ოჯახი და ჩასაქრობად ამტყდარი სისხლი. დარბაზში ღმუოდა პელაი და დარბაზისავე დედაბოძი. ყოველდღე პელაის ღრიალი იკლებდა კოშკის კედლებს. ადვილია, ცამეტი წლის ნაამაგარის დაფუშვა?!

გაიარეს დღეებმა, ტანჯვამ თვეები დაიკონა და თითქოს მინელდა თორელის დაკარგვის ამბავიც. სოფლად კი მინელდა, მაგრამ დედის ძუძუ დაჭიმული იყო. დედის თვალი კი არაგვივით ჩამომდინარე. ხანდახან პელაის კვნესას ასდევდა ჩადის ციხეცა და არაგვი ცრემლებად იღვრებოდა, სურამის ციხიდან გამომდინარ წყაროსავითა.

ჩამოხმა ხვედიაი. უწილოდ რჩებოდა, დაკარგა იმედი და საფლავში ჩაიყოლა ბოღმა და ქვითინი. ეგებ გადარჩეს თორელი? და თუ გადარჩეს, ჩამოიტიროს მამის საფლავი; მაშინ დამშვიდდება ხვედიაის სული, ხანდახან სამარის მიწას რომ შეატოკებს ხოლმე.

ტრიალებენ დღეები შენი დაკარგვის შემდეგ, თორელო, და ანდიიდან გასცქერი კავკასიონს, გასცქერი კავკასიონს და აგითვალე ხვედიაის ამბავიცა.

ბნელ ხევში მოსული ია ზვავებმა დახარეს შენი წარბივით. ეგებ წელში გაიშალოს ია. გაზაფხულის მზეს რომ იხილავს, ეგებ შენც გაიხარო.

III

ალექსანდრე ბატონიშვილი

ერთხელ ლეკები შეიყარნენ აბულის კარს. დერეფანში იჯდა შუატანის კაცი — არწივისთვალება, ცხვირკეხიანი. მის თვალებს მოლეშვა ეკვროდა, მის თვალებს ხანძარი დაენთო. შეიყარნენ ანდიელნი და კაცმა დაიწყო:

— ხალხნო და ჯამაათნო! ტყეები დაიზნიქნენ გურჯისტანისა. მიწას თითქო ფერი გადაეცალა. გურჯისტანს გიაურთა ურდოები დაეცნენ. გურჯისტანი დაინებიეს. ლეკეთს უკეთესი ტყეები აქვს, გურჯისტანის ახლოა, მალე, ალბათ, აქაც მოვ-

ლენ და აბულის წვერს შეჰმურავენ, აბულს დოლბანდს ჩამოაცლიან, სპეტაკი აბრეშუმის დოლბანდს. თქვენ შემორკალული ხართ გიაურებისაგან, გაუხედნავ კვიცივითა, ველად რომ გავარდა და ხალხი გარს მოერტყა ქამანდებით. საჭიროა სიფხიზლე და რაშივით ყალყზე დგომა, რათა გარს შემოხვეულმა მტერმა ქამანდით არ დაგინებიოს. მალე ქართველები შეჰმუსრავენ გიაურებს და თქვენი სილაღე, თქვენი სიამაყე უნდა გამოაჩინოთ გერგეტიდან. თვალი გააგუშაგეთ, თვალი დაგეშეთ, რომ ტყე არ წაიბილწოს, რომ მიწას ცეცხლი არ გაუჩნდეს უდროოდ.

— მართალს ამბობს ალექსანდრე, მართალსა! — იგრიალეს ლეკებმა.

— დღეს მთიულეთში აჯანყება აფორიაქებს ხეობებს, დღეს ხევებს მოსდევს და მალე ხანძარი გარეჯის უდაბნოდანაც დაიწყება. გულს დაუნთეთ სანთლები. გული ხანჯლებით დაისერეთ: ეგებ იხილოთ მზე და ზენაქარი, — დაასრულა კაცმა და მიყუჩეული გული აუფორიაქა ლეკებს.

დერეფანშია თორელი, აქვეა კეთილი მუსაც.

— ვინ არის, მუსავ?! — ჰკითხა თანატოლსა.

— ალექსანდრე ბატონიშვილი! — დიახ, საბრალო თორელო, მოღრუბლული ადამიანი ალექსანდრეა. ეხლა კი გეშველა, ალბათ, გურჯისტანში წაგიყვანს! შეეხვეწე, ბალღო, შეეხვეწე!

უცებ ალექსანდრე წამოდგა, გაარღვია ხალხი და ღობესთან რომ იდგა, გულხელდაკრეფილი, მიმინოს მსგავსი და დაფიქრებული, მაღლა აიტაცა და გულში ჩაიკრა.

ბალღის დედამ პირბადე აიფარა და ღობეს გასცდა.

— შამილსა ჰკოცნის, მეგოდრის შვილსა!

— მეგოდრის კი არა, მისი შვილია...

— ვერ ატყობ, როგორ დამსგავსებია?!

— მეგოდრე ხომ ცვედანი იყო, იმთავითვე უშნო და უგვანი.

— ჩამოაჭკნო მშვენიერი ქალი, ქალს სიცოცხლე უნდოდა და...

— ამ ხუთი წლის წინათ გადმოხვეწილი ალექსანდრე შეიყვარა და შეიჩვია.

— ჯან-ღონით სავსე ალექსანდრემ აჩუქა სისხლდაწმენდილი ვაჟი, თავისავით დაუდეგარი...

— დედა იძახის: გურჯის სისხლი არ ასვენებს, გურჯის სისხლი ყოველთვის სულს უტოკებსო...

— იმ დღეს შამილმა ცეცხლი წაუკიდა მეგობრის თივის ზვინებსა და ალეწილს ხანძარს გულმშვიად უმზერდა ბანიდან...

„ხნიან ადამიანივით შუბლდანაოჭებული და გულხელდაწყობილია“, — ჩურჩულებდნენ ლეკები.

ალექსანდრემ მოიხსნა შანა და შამილს დაჰკიდა. რაღა მიეკარება ნეტა?! არაფერი, არავინ!

მაშინ კი გაბედე მისვლა, თორელო, ალექსანდრესთან!

— წამიყვანე ჩადის ციხეს, დამიხსენი გადაგვარებიდან. შემარჩინე სახე, — შეჰღაღადე.

— ვინა ხარ, ბალღო?!

— ქართველი... მთიული... ჩადის ციხიდან... — ალექსანდრე მიუბრუნდა ლეკებსა და დაიძახა...

— ვისთან არის ბალღი?

წინ წამოდგა დინჯი აბული, ქედი დაჰხარა.

— თორელი ჩემთან არის! — უპასუხა.

— თორელმა მოგაგონოს ჩემი სახე, თორელი შენი თვალისჩინი იყვეს.

— თორელი შვილია ჩემი. ჩემი სახელი მაგისია, ჩემი სახლკარი თორელმა გაახაროს, ავლა-დავლათი თორელმა ზიდოს.

საღამოთი ხალხი დაიშალა და ალექსანდრემ გადალახა აბულის კარიბჭე. კერას შემოუსხდნენ ხნიანი ლეკები. დერეფანში ააბღავლეს ცხვარი და საკიდელიდან ჩამოიზიდა სახინკლე ქვაბი. ფანდურმა ჩამოიარა ხნიან ლეკთა ხელში და ანდიას გაიშალა ქება-დიდება ძველ გმირთა.

ალექსანდრემ მოგიხმო, თორელო, და წაგჩურჩულა:

— საქართველოში წაგიყვან, სახე შეგრჩება. შენ გარეთ გავარდი. იქ მუსა გელის.

— მუსა წამიყვანს, მუსა! კვლავ დავეწაფები არაგვს. პელაი

ჩამიკრავს გულში, — ეჭიკჭიკებოდი მუსასა. იგი სდუმდა და ფიქრობდა.

მეორე დღეს ლეკებმა ალექსანდრე სპარსეთისაკენ გაისტუმრეს. ეგებ შეასრულოს დანაპირები.

IV

მერცხალი ერდოდან

და ცხრა წელიწადი შესრულდა, რაც ლეკეთსა ხარ, თორელო, წელში ქოფაკი ლეკივით მოჰხრილხარ. სახეს გიმშვენებენ ხვედიასებური ცხვირი და ამონავარდებული ულვაშები.

მუსა ყვავილმა მოგიკლა, ძვირფასი ჭაბუკი. და კვლავ მარტო ხარ, კვლავ ჰკვნესი. მუსა სიკვდილმა შეითვისა.

გაზაფხულით მოხუც ახუნდის მიჰყიდეს ტყვე თათარი, ბეჭებგამდგარი, სახედალრეჯილი, ცალთვალა.

ტყეში ხართ შენა და თათარი, ავდარი და წვიმა ადნობს თოვლს. ნისლი ჩამობუნაგდა ხევში და ცას აწვდილ წიფლებს ებრძვით, წიფლებსა სჭრით.

შენ აებღატე ქედს ამოზიდულს წიფელსა, ობოლსა და განცალკევებულსა და ჩამოაჩეხე წვერი. ეგებ წმიდა ხე იყო, ეგებ ხატის ნიში!

მაშ, რად მოგისხლტა ფეხი! მაშ, რად გაიშალე თათრის წინ, ცოცხალ-მკვდარი!

თათარი დაგეცა ძერასავით, საბრალო თორელო! თათარმა ჩაგიტანა აბულთან. შეშფოთდა მამობილი, მოლა აყვირდა ჯამედან და მოხუცმა ახუნდიმ ლოცვა გადაგითვალა შუბლთან. მაშინ კი გაახილე თვალი, თორელო. თავს გედგა თათარი, ჩამომდნარი, შემკრთალი. ეგებ შენ უფრო ახლო იყავი იმის გულთან, ეგებ შენ უფრო შეგითვისა ამ თოვლიან-ყინულიან მთებში, ვიდრე სხვა ვინმე?!

— ვინა ხარ? — ჰკითხე თათარსა.

— შენსავით ტყვე...

— სახელი?..

— თუმბოლ.

— შენ ძმა იქნები ჩემი, თუმბოლ, ჩემი ძმადნაფიცი!

ახუნდიმ ლოცვა დაიწყო და ორი ტყვე დაეცა მუხლთ. ძმად გაიფიცნენ. ფიცვერცხლი ჭამეს.

ახუნდიმ ნება მოგცა გარეთ გასვლისა, ბანს გადასჯექი და დააცქერდი ანდიის მოედანს.

ჰხედავ! გამოგოგმანდა დერეფნიდან თულუხიანი ქალი. წყლისათვის თუ მიდის? რათ შესცქერ გაკვირვებული? ქალი მოგიახლოვდა. თვალთ ხელი დაიჩრდილა.

— თორელო! ჩვენ ბაკთან ჩამოხვიდოდე მთვარის ამოსვლამდის, — გითხრა და გაჰქრა დილის ცისკარივითა.

შეხვედი შინ. უმზერ ერდოს. თითქოს იქ არის მაჰმუდის ქალი. ცხვრის თვალებს ანათებს. მკერდს ლეკური ყველი დაულაგებია. ხტის ყველი მკერდიდან და შენც სცახცახებ. ქალი იცინის და ბაგეთა იქით ფერდას აკრეფილ ღრიანჭველებს აჭრიალებს. წარბებად ხუთი წლის ბალღის შოლტი გადაუჭიმავს და უღვთოდ იცინის, გკოდავს.

უცებ მოფრინდა მერცხალი, თვქენს ერდოს რომ შემოეჩვია. მერცხალი მხარს დაგაჯდება და ჟღურტულებს.

დაუყარე ქერის მარცვალი და მაინც ჟღურტულებს.

აბული ეწვია დარბაზსა — მოხუცი და მოხრილი. მერცხალი ერდოდან ასრიალდა.

— რამ დაგაფიქრა? — კითხულობს აბული. მხრები აიჩეჩე, თორელო, პასუხის თავი აღარა გქონდა.

მერცხალი ერდოდან გაფრინდა.

V

დეი

ბარის ლეკეთს მოაწყდნენ გიაურები. ბარის ლეკეთს ყაზახებმა გადაირბინეს. განა ედგომებოდა ლეკს ბარად? და დაიძრა ურმები შუა ლეკეთსა, ანდიისა მიყრუებულ ხეობებისაკენ.

ლეკს უნდოდა სილაღე და იალაღებს მიატანა... აბუნაგდ-

ნენ მთაში და ხმალი ალესეს ლეკური ჯიხვის ქონითა და რისხვად მოევლინნენ მოსულ გიაურებს. ლეკთა განავარდება ელვა იყო, მათი ბრძოლა — ჭექა-ქუხილი.

და დაატოვებინეს თემირხანშური მაჰმუდსაც. ეწვია ანდიასა, უკვე მეორე წელიწადია, ეწვია თავის მშვენიერი ქალითა და სოფელს თვალი დაუყენა.

სოფლის ბოლოს გაიჭიმა ციხე-დარბაზი მაჰმუდისა. ღელი-პირას გადადგა დიდი ფარეხი და მოტვლეპილ მთას გადაიჭიმა მისი ნახირი და ცხვრის ფარა.

ერთ საღამოთი მის ფარეხთან აიჩრდილნენ თორელი და მაჰმუდისავე ქალი. ქვევით ნაკადული ხმაურობს. ღელის ბოლოს ცხვარი იცოხნის. ფარეხი სდუმს. სდუმს თორელიც, როდემდის გასტანს დუმილი, როდემდის? არ არის სიტყვა საკმარისი, არც ძალა შესწევს.

— რა გქვიან, ქალო?! — უცებ მიახალა ვაჟმა.

— დეი! — უპასუხა ქალმა: — ხიდან ჩამოვარდნილხარ. გული გტკიებია, მოგიკვდეს ჩემი თავი, მომვლელი არა გყოლია.

რას დაგიჭყეტია თვალები? აბა, დახუჭე... ჰო, ეგრე, ეგრე, ხა-ხა-ხა! — კისკისებს დეი.

— დეი! დეი!.. — იძახის ვაჟი და გულში ჩაიკრავს დეის, თვალებს ცხელი ტუჩებით უკოცნის.

ქალიც ეკვრის, ქალიც ეხვევა.

— დეი! მარტო ვარ, კერადაბნელებული, წამოდი ჩემთან. აბული ელის ჩემს ბედს, ვითა შვილისასა. დეი, წამოდი ჩემთან. აბული გაგვიღებს კერასა. დეი, დედობა გასწიე.

ღელედან გამოჩნდა ქეჩი ცხვრისა. ღელედან ძაღლები იყეფებიან.

— კმარა... ცხვარი მოუდის ჩემ ძმასა. გესმის, ძაღლები იყეფებიან? — სთქვა ქალმა, არაგვულ კალმახივით გასხლტა და სიბნელეს ჩაეკრა.

სახლში მისულ თორელს თუმბოლო დახვდა.

— აბული სად არის, თუმბოლ?!

— მაჰმუდს ეწვია. გიაურებს ჟლეტას უპირებენ, ბარში სალაშქროდ მიდიან.

— თუმბოლ! უნდა იცოდე ყველაფერი, თუმბოლ, ძმადნაფიცო!..

— მითხარი...

— მაჰმუდის ქალი მიყვარს. დეი ჩემთვის ფიქრობს, დეი ჩემი უნდა გახდეს. უნდა მიშველო რამ. აბულს დაყოლიება უნდამ თუმბოლ! აბულს მოლბობა უნდა.

— თორელო, რათ დაგეკარგა ზომა და მანძილი?! ქართველი ხარ და...

— მოვიტაცებ... აბული მთაში გაგვისტუმრებს, ცხვართან. ქალი თანახმა არის.

თუმბოლი მოიღუშა და ჩაილაპარაკა:

— ნუთუ დაგავიწყდა ხვედიაი, ნუთუ არ გესმის საღამოობით პელაის კვნესა? მაშ, დაიხიე უკან, დაიხიე, ჭაბუკო! გადაჰხედე შენს არაგვის ხეობას...

— ჩემ თვალთა წინ ყინულიანი მთა არის, ჩემი გული დათოვლილი, სახე გადაგვარებული.

გავიდა ადამიანი აბეზარი, თორელის აბეზარი ძმადნაფიცი.

თუმბოლი ფიქრობს:

— თორელი ჰხედავს, მაგრამ ბრმა არის. შველა ადრევე უნდა შემოვახვიო თავს; თორელი ჰხედავს, მაგრამ ბრმა არის.

VI

თუმბოლი

თუმბოლი შორეულ სამხრეთიდან არის. ლეკებს ცხვირ-დახრილმა კაცმა მიჰყიდა — კი არ მიჰყიდა, ხელში შეაჩეჩა ნახევარ ფასად. ეგებ თავი მოაბეზრა ცალთვალა თუმბოლმა?.. ცალი თვალი რომ უფრო გაჰშავებია? სიშავეს ნათელი მოუსპია შენთვის, ძვირფასო თუმბოლ! ხოლო გული დათვალიანებული გაქვს! გული — შორს მზირალი.

ერთხელ კერიპირას გამოეხმაურა აბულსა:

— აბულ! ოჯახს მოვლა უნდა, ოჯახს სიცოცხლე უნდა.

— დიდი ხანია ჩემ კერას გაუწყდა პატრონი. დიდი ხანია

ჩემ სტუმარს აღარა ჰყავს დამხვედრი. სად არის საშველი? სად არის? — უპასუხა აბულმა.

— თორელი შვილობილია შენი, თორელი შვილობას გაგიწევს, იმას თანატოლი უნდა, შენს კერას კი გაღვივება.

— თორელის ბედი მეც მაფიქრებს!.. თორელი მართლაც შვილია ჩემი, — განაგრძობს აბული.

— აბულ! სიცოცხლით მოვა დეი შენს ოჯახში. აბულ, თორელის მკერდი დეისათვისაა.

— მაჰმუდის დეი მშვენიერია, მაჰმუდის დეი დედა იქნება ძვირფასი.

— მაჰმუდი შენს წვერს არ შეურაცხყოფს. მაჰმუდი გამოგეგებება.

მეორე დღიდან გააჩაღეს მითქმა-მოთქმა. გადაილალა საურვადე — ცხვარ-ძროხა და აბულის ბუხრიდან კვამლმა იმატა. დეი დაუტრიალდა ოჯახს, დეიმ თორელს მოუტანა მკერდს ჩალაგებული ლეკური ყველი და უბიწო ტანი.

და გაიხმო თორელი ღელისაკენ თუმბოლმა.

— დეი სად არის? აბული ახუნდისთან დავტოვე.

— მამის სახლში, — უპასუხებს თორელი.

— უნდა წავიდეთ აქედან. უნდა გავიპაროთ. უკვე შეგეშალა სახე და სხვა ლეკივით ალბათ მალე ჟღურტულსაც დაიწყებ. წავიდეთ თოვლსა და ყინულს იქით, ჩადის ციხეს, ხვედიაის მზესთან, პელაის ცრემლებთან.

ჩუმათ არის თორელი, დაღვრემილია. გაორებული აქვს გული.

ჰხედავს: გაიჩეჩა მიწა და თითქოს დეი ამოძვრა. ჯადოსავით გადაეხვია და დეის ნასახმა უთხრა თორელს:

— შვილი მიიღე, თორელო! შვილი...

გამოერკვა თორელი და ამბობს...

— დეის რაღა ვუყო, შვილს რა ვუწამლო?..

— დასტოვე დეი.

— მემრე?..

— წინ უფსკრული გაქვს, ჩაიჩეხები, დაიღუპები.

— თუმბოლ, დეის ვეტყვი ყველაფერს. დეი გამომყვება საქართველოში.

და სდუმს თუმბოლ, ბრმა თვალი დაუხუჭავს. ჰზომავს რაღაცასა. შემდეგ გადასჭრა:

— ჩვენ ვერსად წავალთ.

— არსად წავალთ? — ჰკითხა თორელმა.

— დიახ, დავრჩებით ლეკეთში. დღევანდელი ამბავი არავინ არ უნდა იცოდეს. გულს დაიმარხე. დეი ქალია, დეისთან კრინტი არ დასძრა. დიახ, დავრჩებით ლეკეთში. ფიცი, თორელო, ფიცი დასდევი.

— ვფიცავ ხვედიაის სისხლსა. ხმა ჩამიწყდება, — გითხრა და სამარადისოთ დაიმარხა გულს ყველაფერი, სამუდამოდ.

ღამეა. სწუხს, თუმბოლ, შენი სული, სწუხს. ვერ დასტოვებ ძმადნაფიცს. თორელი გინდა ლეკეთს გააცილო, ეგებ ფიცი გაქვს?!

სწუხხარ და სწუხს დავით გურამიშვილის სულიც — ღამე ლეკეთის ხევებს რომ ჩამოუვლის ხოლმე. ჩამოუვლის ქალიშხალსავით და კვნესის. კვნესის გურამიშვილის სული და კვნესის მერცხალიც, ერდოს რომ შეეჩვია, თორელის მეგობარი მერცხალიც.

VII

მჯერდშებოლილი მერცხალი

სუსხი ჩამოვიდა მთებიდან. ზამთარია. ყინვამ ხალხი სახლებში შელალა და გაატკბო უკბილო ბუხარი და ზღაპრები. ლეკები ბარში არიან. მუსრს ავლებენ გიაურებს. ბარშია თუმბოლიც. მარტო არიან თორელი და დეი.

პატარა ბალღი ახმაურებს დარბაზს. ვაჟია პირმშო — ხვედიაის დანაფერები. თუმბოლმა ბიწალაი დაარქვა. ხმაურობს ბიწალაი და კვნესის მერცხალი, „ის“ მერცხალი ამ ზამთარს ანდიას დარჩა. თოვლმა და სუსხმა ერდოს ჩააცილა და ეხლა ხარიხას აზის, კერის თავს რომ ჩამოუკიდიათ სველი ტანსაცმლის გასაშრობათ.

ხარიხასთან თბილა. ძირს კერა ღვივის, ძირს კერა ბოლავს.

კერა ბოლავს და ჰბოლავს ხარიხას, ჰბოლავს მერცხალსაც.

— ჩჟღ! — ჟღურტულებს მერცალი.

— ნეტა რად დარჩა? — ამბობს თორელი. — რატომ არ უნდა ჰინდუსტანის ხილვა?

ბოლავს კერა და უშავდება თეთრი გული მერცხალსა. ბოლავს კერა და რძისფერ მკერდს, გულს ეკარგება სახე.

გადაფერდა მერცხალი. მკერდშებოლილი დასჭიკჭიკებს ხან თორელს, ხან ბიწალასა.

ძვირფასო მერცხალო! შეგებოლა გულ-მკერდი და ჰკვნესი. იწიწკნი გულს, არა ეშველა რა, მაინც იმჭვარტლება. ეხლა თორელთან მიჰფრინდი, მარცვალსა ჰკენკავ.

— ჩიტო პატარავ! რად აირჩიე ბინად ქვეყანა თოვლისა და ყინულისა?! ნუთუ თვალმილულული იყავი და ჩამორჩი მეგობრებს? ეგებ მეგობრებმა თვითონ დაგტოვეს? მაშ რად დარჩი აქ! მაშ რად გებოლება გულმეკრდი? — ჩაგძახის თუმბოლი.

— ალაჰ, ალაჰ! — იძახის დეი და ატატიავებს ბიწალასა.

— ტაატი! ტაატი! — ისმის დარბაზში დეის ხმა. შენ დააფრინდები ხოლმე დეისა და ჰკორტნი. სახეს აწიწკნი.

სდუმს თორელი. თორელი გივლის, ძვირფასო მერცხალო! მკერდშებოლილო, გაყორნებულო ჩიტო პატარავ!

VIII

როგორ ჩამოაცილა სისხლმა მერცხლის გულ-მკერდს მჭვარტლი

ანდიასაც ელირსა გაზაფხული. ანდიიდან თოვლი ჩამოიხვეტა.

თორელი ბანს ჩამომჯდარა, ქალამნებს ასხამს. ზვავებმა ღელე ამოავსეს, ზვავებმა აიკლეს ანდია. გამოტირება არის თოვლისა.

უცებ იგრიალეს მერცხლებმა და ასკილს დაესივნენ, ასკილს, ბანის გვერდით რომ ამოუხეთქია. ჟღურტულებენ მერცხლები და შესცქერს თორელი. იქვე არის მკერდშებოლილი მერცხალიც, საბრალო და ბეჩავი.

გამოუცალკევებიათ. მგონია, სდევნიან.

— გული მჭვარტლმა შემიმჭვარტლა, — ჟღურტულებს მკერდშებოლილი მერცხალი.

დასჭყივიან თეთრგულა მერცხლები, ჰინდუსტანიდან ეხლახან მოსულები: არა სჯერათ, რომ ისიც მერცხალია. იქნება სჯერათ, მაგრამ სძულთ მკერდშებოლილი მერცხალი.

რა ვიცით?!

თავი დაჰკიდა მკერდშებოლილმა მერცხალმა. კენესის მერცხალი და კენესის ასკილიცა.

კვლავ იგრიალეს ზვავებმა და ჩახერგეს ღელე. დეიმ წყაროსკენ ჩაირბინა თულუხითა. თორელის წინ დაეცა მკერდშებოლილი მერცხალი — ყელგამოღადრული.

ღვარად წავიდა სისხლი. გადადიოდა შებოლილ მკერდზე, გადადიოდა სისხლი და თან მიჰქონდა მჭვარტლი და სისხლმა, უბიწო სიხლმა მკერდი გადაუთეთრა.

უმზერ, თორელო! უმზერ და გული გიტირის. დასწვდი მერცხალსა და შევარდი დარბაზში. მერცხალმა თავი მოიკლა და ზვავებმა მოუმატეს ჭექასა. ღრუბლები გადაიკრიფნენ კავკასიონიდან. თუმბოლ, თუმბოლ, რად დაეკარგე თორელს?! მერცხალმა თავი მოიკლა, ეხლა უნდა შველა, ეხლა, ოდეს სული აუფორიაქდა.

ტახტზე იწვა აბული. გულს დაესვა ბიწალაი, ემასხარავებოდა, ართობდა.

— ეგრე ნუ!.. ბალღო, ეგრე ნუ! — ეუბნებოდა ბიწალასა. თორელო, შენ კი კარებთან იდექი მერცხლითა — მკვდარ მერცხლითა.

ჰხედავ ბალღი წვერს აწიწკნის. ბალღმა სახე დააგაზა აბულსა.

— დალახვროს ალაჰმა, გიაურის თვალები უსხედს! — ამბობს აბული.

— გიაურ!.. გიაურ! — იკივლა, ოდეს ბალღმა მთელი მუჭა წვერი გამოაბდღვნა. — წყეულიმც იყავ, წყეულიმც, გურჯო მოუსვენარო!.. ჩაიბურტყუნა აბულმა, დაახეთქა ტახტზე ბიწალაი და კარიბჭეს გასცდა.

დეი მოვიდა წყაროდან. მიაგებე მკვდარი მერცხალი.

— დეი, ძვირფასო დეი! მერცხალმა თავი მოიკლა, — შეჰკვნესე. დეის ქვითინი წასკდა, არასოდეს ასე არ ამოსჯდომია გული. იქნება მისმა გულმაც იგრძნო რამ?

— დეი, უნდა წავიდეთ აქედან. მეც მერცხალი მიღრღნის გულს, დეი, აქედან უნდა წავიდეთ. მთებს იქით არაგვია. აქ კი — სიკვდილი ან სახის დაკარგვა. ბიწალას ჩაიკრავს პელაი, დეი, ჩვენ წავალთ აქედან.

— გონს მოდი, თორელო! დაგვიწყებია, რომ დეი ლეკია, — გიპასუხა დეიმ.

— დეი, სახე დამეკარგება, ძვირფასო, დამტანჯავს მკერდშებოლილი მერცხლის სისხლი, გულს რომ დამეცა.

— ჯერ ისევ ტყვეთა ხარ. ჯერ ისევ მონა, — გეუბნება დეი. დეი ჯიქურ პასუხს გაძლევს.

— გავიპაროთ, ქალო! აბული ღრძოა. აბულმა წყევლა და გესლი დაალოცა ჩემს შვილს.

— გურჯისტანში გიაურები აღრჩობენ ავჯანყებას. გურჯისტანმა თვითონ დაჰგკარგა სახე. იქ რალას ეძებ! — ამბობს დეი.

— მართალს ამბობ, დეი. გურჯისტანში გიაურები არიან, — უთხარი და მიეგებე ძმადნაფიცს, გულხელდაკრეფილი რომ მოსდევდა დარბაზს.

— თუმბოლ, თუმბოლ! მიშველე. სახე დავკარგე. სული წამერთო. მერცხლის სისხლით გადარეცხილი გული აღარ მომასვენებს.

თუმბოლი დაიხარა. ბიწალაი ჩაჰკოცნა. ბრმა თვალით გაზომა დეი, დაიძახა:

— შენ ვერსად წახვალ.

ორივე დადუმდით.

IX

თმებგაშლილი დედა

და იმ ღამესვე, ოდეს ღრუბლებს იქით გატყდა მთვარე, აბულის კარს აჭიხვინდნენ ცხენები.

— დეი მამის სახლშია.

— თორელო! — დაიძახა თუმბოლმა. მერმე დადუმადა და ძლივსღა გაბედა:

— ბალღი დასტოვე, თორელო, — უთხრა თუმბოლმა და წარმოუდგა: თმებგაშლილი დეი, გაუბედურებული დედა; ლომი, უდაბნოდან მოტაცებულ ლეკვს რომ მისდევს გადასარჩენად, — ბალღის წაყვანა სახიფათოა. შემდეგ დაუმატა:

— მაგრამ არა, ბალღს უნდა სახე, ბალღი უნდა წავიყვანოთ.

თორელმა ცხვრის ტყავში გახვია ბალღი და ცხენები უკვე უღრანს ტყეში მიაგელვებდნენ ტყვეებს. ძირს დამპალ ტოტებს ძლივს უქცევდნენ და მაღლა ჩამოწოლილ ხეებს.

— თუმბოლ! — შესძახა თორელმა.

— სთქვი! — უპასუხა თუმბოლმა.

— დეი იქ დარჩა... დეი საბრალო დედა არის, — თითქოს დაიკარგა თორელის ნათქვამი. ტუცებთანვე ჩაწყდა.

მიჰქრიან ტყვეები ტყეში. ბიწალაი მამას ეხვევა.

ჰხედავენ, თითქოს ანდიას ცეცხლი წაეკიდა. ძაღლების ღმუილმა ღელეები გამოაყრუეს.

იმ დროს დეი მამასთან იყო.

— ეგებ შენცა გსურს გურჯისტანს წასვლა? — უთხრა მაჰმუდმა საბრალო დეის და დაუმატა:

— მაშ, წადი, შვილო. — ალბათა სცდიდა მაჰმუდი! იმიტომ თუ ურჩია წასვლა.

— ჩუმად, მამი, ჩუმად! ლეკეთს იქით ჩემი ფეხი გახმება, თვალი დაბრმავდება, გულს ჭია ამოსჭამს, — უპასუხა დეიმ. მაჰმუდი ჩუმად იყო. ნეტარი ღიმილი დასდევდა მის თვალებს.

— დღეს გიაურები და ქართველები ერთნი არიან. ჩვენთვის ორივე მტერია. გიაურივით უნდა გვძულდეს ქართველიც. დეი, შვილო, შენ გაუბედურდი, მაგრამ გვიანღა არის, თორელმა დაგვასწრო და შეგიუღლდა, აბულმა დამახათრა.

— თორელი რომ გაიპაროს? — უცებ შეეკითხა ქალი.

— ვერ გაიპარება, შვილო, ვიდრე ანდიის მდინარეებს გასცდებოდეს, უმალ მოსპობენ შენი ძმები.

— ოჰ! — გული აუკვნესდა დეის.

— ეგებ გეძნელება თორელის დათმობა! ან ბალღისა, რომელსაც გურჯის სისხლი არ ასვენებს.

მაშინ გავარდა გარეთ გულდაკოდილ ძუ ლომივითა და ხალხს მიაშურა.

— ეგებ გაიტაცოს ბალღი? ან როგორ დასთმობს, თორელი ტკბილი მამა არის, ჩუმი უფროსი ოჯახისა, — ჰფოქრობს და მიჰქრის.

— ეგებ შეიცვალა თორელი. ეგებ მკერდშებოლილმა მერცხალმა გადატეხა. მაშ, რად შეშფოთდა ისე ძალიან? რად?!

ღამე წამოსწოლია ანდიას. ღრუბლებს იქით მთვარე მაინც წვალობს, ხანდახან იელვებს! გვალვის ელვა თუ არის. დეი გარბის და შფოთავს.

თუ ბალღი გაიტაცა. მაშინ გააფთრდება, აედევნება დეი და დაჰგლეჯს თორელის საყვარელ ღაწვებს.

სახლში ბნელა, აბულიც არ არის.

— თორელო!.. ბიწვალავ!.. — ჰკივის ქალი. სიჩუმეა. გადაატრიალე დარბაზი. ბალღი არ არის, თორელი გაჰქრა.

— თორელო, ჰაი, თორელო! სად დაიკარგე! ჰა! სად დაიკარგე?!

სიჩუმეა. გარეთ მაინც ელავს. მთვარე მაინცა წვალობს ღრუბლებს იქით. ქარი ამოგრალებულა და, უბედურო დედავ, გარეთ გაიტანე გაშლილი თმები.

— ბიწვალო, შვილო! — არე-მარე თითქოს უდაბნოდ გადაქცეულა.

და შუაღამისას გაისმა სოფლად თმებგაშლილი დედის წივილი. სოფელი შეშფოთდა. მოედანს მაშხალები დაანთეს და მდევარი აედევნა დაკარგულებს.

დაგრეხილ ბილიკებს გამოჩნდა თმებგაშლილი დედა თავაწყვეტილ რაშითა.

დეი სდევნიდა თორელს. დედა მდევრით მისდევდა შვილის გამტაცებლებს.

ოდეს ღრუბლებს იქით ატყდა მთვარე, აბულის კარს აჭიხვინდა ცხენები.

ძალლების ღმუილმა, თითქოს, ღელეები გამოაყრუა.

X

თუმბოლის თითები

და კავკასიონი აიწოდა ძმადნაფიც ტყვეთა წინ. კავკასიონი — თელიან-ყინულიანი. არსად არ არის გზა, გადასავალი დახშულია. ერთადერთი უღელტეხილი იზიდავს ტყვეებს. გადასასვლელია კლდე — უძირო უფსკრული. ძირს სიკვდილია, წინ — გადასაჩეხი. კლდეს ნაბილიკარის მსგავსი ზოლი მისდევს. ზოლი დიდრონ ლოდებისა — ალბათ ჯიხვთა სანავარდო.

უკან თმებგაშლილი დედა და მდევარი მიჰქრის. უკან — ღრძო ლეკის ქალი დეია.

არ არის ხსნა. არ არის საშველი.

— უნდა გავხოხდეთ კლდეზე. იქით ხსნა არის, იქით არაგვის სათავეებია, — ეუბნება თუმბოლ. თორელი გარინდებულია. თორელი ბალღს დასცქერის.

— ჩავიჩეხებით ხევში. ბალღიანად ჩავიჩეხებით.

— დავბრუნდეთ ანდიას, — უპასუხა თორელმა, ენანება შვილი. თვითონაც ვერ გაბედავს კლდის გადასვლასა. დაშინებული არის. ტყეში, ხიდან რომ ჩამოვარდა, მაშინ თუ დაშინდა? დიახ, მაშინ დაშინდა! თუმბოლმა დაგანახვა ბილიკი, თორელო — ბილიკი, სადაც შავ ზოლად მისდევდა მდევარი და თმებგაშლილი დეი.

— უკან სიკვდილი მოგდევს, თორელო! — გითხრა თუმბოლმა.

— შვილი დაიღუპება.

— ლაჩარი ყოფილხარ, უშნო და უნებო. მერცხალმა თვით მოილა თავი და სახე შერჩა. შენ საიმისო ძალაც არა გაქვს, დეი მოგკლავს უსახურსა და ბეჩავსა, წადი წინ, თუ გინდა სახე, — გითხრა თუმბოლმა. შენ დაეცი მიწას და დიდხანს ჩაჰღმუოდი. ოდეს მაღლა აიხედე, თავს დაგდგომოდა თუმბოლი ბალღი და ბარგი უკვე გაეტანა სამშვიდობოს.

— აიხვიე თვალები! გითხრა და შენც აიხვიე თვალები, შემკრთალი და შეშინებული თვალები.

მაშინ აგზიდა თუმბოლის მარჯვენამა და ზურგს წამო-

გიკიდა. მიბორძიკობს ძმადნაფიცი და ზურგსა ჰკიდია ადამიანი, მხდალი და უნებო. ბორძიკობს უფსკრულის პირას თუმბოლი, კინაღამ ჩაიჩეხა ხევში, ქუჩმა ბენტერამ უშველა, ქუჩმა ბენტერამ ტოტი გაუწოდა.

და ოდეს სამშვიდობოს გახვედით, შენ წინ იდგა სახემკრთალი ხელებდასისხლიანებული თუმბოლი. თითებს წვერები წაჰგლეჯოდა, თითებიდან ფრჩხილები დასძრომიყო, ოდეს თუმბოლი დაოთხილი მიხოხავდა კლდის პირას, ოდეს თუმბოლს ძმადნაფიცი ეკიდა ზურგს.

თუმბოლმა გახედა გამოვლილ გზას და დაინახა სისხლის წვეთები და თითებიდან წაგლეჯილი ხორცის ნაგლეჯები გაზოლიანებულ გზასავითა.

— დეე, გზად დარჩეს ჩვენნაირ ტყვეთათვის. — ჩაილაპარაკა.

განა მიეკარებაღა წვიმა და ავდარი თუმბოლის სიხლსა? ალბათ, საუკუნოდ დარჩება, დიახ, საუკუნოდ.

კლდესთან დარჩა დედა, უბედური და თმებგაწეწილი. შვიდი დღე იდგა კლდისპირასა და მეშვიდე დღეს გადაიჩეხა უფსკრულში. თმები დაახვია ბენტერა ქუჩსა და გული ქვალოდსა, ქუჩთანვე რომ დაყუდებულა.

ტყვეები დაეშვნენ პირთავქე. ქვევით სითბოა, ქვევით არაგვია.

XI

სალამოთი შემოჯდა ყორანი

ერთ ალიონისას, განაწამებ ალიონისას, თუმბოლმა გაიწოდა საჩვენებელი თითი:

იქით მოსჩანდა არაგვი. გაღმა მთის წვერს წამომდგარიყო ლომისის ძლევამოსილი ტაძარი. ძირს — მლეთა, ქვეშეთი, ნაღვარევი.

— ჰხედავ?! თორელო, ჩადის ციხე ძლივს მოსჩანს. — და აღსდგნენ ბალღობის დღეები შენ თვალთა წინ. მიხვალთ პირთავქვე და გული საგულეს აღარ არის.

ეხლა უფრო უფრთხილდები ბიწალასა. გულში იხუტებ მკერდშებოლილ მერცხალსაც — ანდიიდან რომ წამოიღე.

გაღმიდან ფშაური ღრეობა ისმოდა და არაგვის პირას შეგეჩეხათ წელმოქნილი და სახედაღარული მოხუცი.

— ვინ არის, თუმბოლ? მოხუცი ვინ არის? — ჰკითხე თუმბოლსა.

— ხევისბერია, ვარდანიანთ გოგიაი — მთიულთ სიამაყე.

მაშინ გადაეღობე წინ, თორელო, და აუძრახე:

— თუმბოლს დაგლეჯილი აქვს თითები. თუმბოლს მოვლა უნდა. მაღლა, მთის ფერდაზე, შავი ბალახი დაიდო და დაუსივდა. ეგებ შენი ჩამომჭკნარი ხელი მალამოთ ექცეს. — გოგიამ მალამო ამოიღო და შენ დაჰკუწე აბრეშუმის ახალუხი — დეის ნაოსტატარი — ძვირფასი სახსოვარი და შეუხვიეთ ჭრილობები თუმბოლს. თუმბოლი ამეტყველდა:

— მოხუცო მთიულო! ჩაიბარე თორელი. ჩაიბარე და აჩვენე ხვედიაი, ჩაიბარე და აჩვენე პელაი, თორელი ჩადის ციხიდან არის. მე კი ვეწვევი ჩემს კერასა და ადამიანს, რომელმაც ლეკებს მიმაჩეჩა იმისთვის, რომ თორელი დამეხსნა ტყვეობიდან, რომ თორელს სახე შერჩენოდა. ვეწვევი იმ კაცსა, რათა დავუმშვიდო სინდისი.

— უჩვეულო ადამიანო! მითხარი, ვინ გამოგგზავნა?! — ეკითხები, თორელო, და სიტყვა ამოუშო მისმა ბაგემ და სიტყვა იგი ასრულებულ არს.

— ალექსანდრე ბატონიშვილმა სირტყვა შეასრულა. ალექსანდრე ელის ჩემ დაგლეჯილ ხელებს, — გიპასუხა თუმბოლმა და დააცხრი მის ხელებს და აბგენი სისხლით შეიღებე.

— თუმბოლ! ხვედიაის კერა შენ მიგიღებს. დარჩი ძმადნაფიცთან! დარჩი ჩადის ციხეს.

— კერა მელის. მელის ფიცი და ალექსანდრეს დავალიანებული სინდისი. — სთქვა თუმბოლმა და გასცდა მთიულებს.

მიხვალ ფიციხაკენ და მკლავი მაინც გისივდება. მგონი ცალი მხარეც დასივდა. თვალებს ბინდი ერევა, ბრმა თვალსაცა და საღსაც. ნისლებში ეხვევი, თუმბოლ! მოკაკულხარ ვარდანიანთ გოგიასავით: ეხლა კი ველარ მიხვალ, არამედ მიხოხავ.

წყალი გინდა, წყალიც გაწყდა ამ ქედობას. ქვევით არაგვი მაინც გოხებს მირეგვავს, ამ ქედობას კი წყალიც გაწყდა.

ჩოხა ჯაგს გამოედო და რომ გაიზიდე — ფლატე ჩაიფინა შენი განატანჯი სხეული. ალბათ, სისხლი მოგეშხამა უთუოდ, უთუოდ შავმა ბალახმა მოგიწამლა სხეული: თითქოს გაშავდა შენი სახეც. ყურში შორეულ ზარებსა რეკავენ. მაგრამ რა კლდის საკაჟე გასდმოსახლებულა შენთან? ეხლა შენ ებრძვი სულსაცა და თვალამომშრალ სიკვდილსაც.

და ოდეს მზე ჩაესვენა, ლომისის მთის იქით განუტევე სული, ძვირფასო ადამიანო!

თავით იდგა ობოლი რცხილა, თითქმის ჩამომხმარი. საღამოთი შემოჯდა ყორანი და მისმა ყრანტალმა აიკლო მიდამო.

ჩადის ციხის მთიდან წამოვიდა ჩურჩული:

— ვინ არის პატრონი?! ვისია მკვდარი?..

ამბობენ ჯაგებში ჩაიშლებოდა თუმბოლის მძორი, შეშლილ პელაის რომ არ მიეგნო. თორელმა ჩამოასვენა, დაიტირაო.

ნაბოლარად

თორელმა დედას ბიწალაი ჩაუგორა, ჩადის ციხის კოშკთან დაასვენა მკერდშებოლილი მერცხალი და კალთა გაშალა ოჯახისათვის.

მამის საფლავიც დაიტირა და ოდეს ქართველთა ჯარი შეიყარა, რათა დაღესტანს ელაშქრათ გიაურებთან ერთად, ერთ-ერთ ჯგუფს შეუერთდა.

— თორელს რაღა უნდა, ლეკეთს რას ეძებს? — იკითხა ვიღაცამ.

— დეი მინდა ვნახო! — უპასუხა.

— დიახ, დეი გინდა ნახო, თორელო! ხანდოს ხევთან პელაი დაგახვედრებს მკერდშებოლილ მერცხალსა და უთუოდ დაგიბრუნებს უკან.

დეის ვეღარა ნახავ, ვეღარა ნახავ!

ლევან გოთუა

უგზო ქარავანი

გზა არს ზომიერი კაცთა სავალი.
სულხან-საბა ორბელიანი.

იგი დიდხანს უვლიდა ჰალაბის დილეგს. აქ იყვნენ ისინი. კვალმა აქ მოიყვანა. გზაში, ვისაც ჰკითხა, ყველა უდასტურებდა ,,გურჯების" ჰალაბის ციხეში ჩაყრას. ნოსტეველმა გლეხმა გორგასალ ნასყიდაშვილმა საშინელი სიცხადით იგრძნო მათი განწირულება.

შორს, მეტად შორს, საქართველოდან უკუღმართად გადახვეწილი, თურქთა ქვეყნის შუაგულში ღალატით შეპყრობილი ერთი მუჭა ქართველთა ბედი, რაღა თქმა უნდა, უნუგეშო იყო.

ვინ იყო მათი გამკითხავი... მათი მფარველი?!

აზამ-ვეზირმა — ხოსროვ-ფაშამ თავიდანვე აითვალისწუნა გიორგი სააკაძე. მას თავის მარცხი — ერანელებთან ბრძოლაში ისე არ აწუხებდა, როგორც გურჯი მოურავ-ბეგის წარმატება ამავ ბრძოლაში.

ხოლო სააკაძის ყაჰრამან-კონიის ბეგლა-ბეგად დანიშვნამ სულ გააგულისა. ხოსროვ-ფაშა შეუდგა ფარულ სამზადისს, მრავალი ფანდებ-ხუნდები დაუგო. ვილაიეთის დიდკაცობა აუმხედრა სამჯერ რჯულნაცვალ ,,ქიაფირს" და ვერაგული თავდასხმა შეუმზადა.

აზამ ვეზირის ქვებუდანობა დროზე აცნობეს სააკაძეს.

მაგრამ კონიაში ჩაჩიხულს გზა ყოველმხრივ მოჭრილი ჰქონდა, ისევ საქართველო ინატრა. სასწრაფოდ შეჰკრიბა მათან მყოფი ასიოდ ქართველი და ხმელთაშუა ზღვისაკენ იბრუნა პირი. მერმე ჰალაბის გზაზე გაიჭრა. მდევრისათვის გზის დაბნევა იყო საჭირო. შემდგომ კი მალათიისაკენ შებრუნებას ვარაუდობდა. ამ ვილაიეთზე გადიოდა შორი, იქნებ მიუწვდომელი გზა საქართველოსაკენ.

კუშტად იყო ოტებული ბეგლარბეგი. სიტყვაძვირობდა, არვის უმხელდა განზრახვას.

არც ვინ იცოდა, რა გრძნობა ჰფლობდა, ან რა გოროზი სურვილები ეხატებოდა.

მით უფრო, რა უნდა სცოდნოდა მის უხუცეს რაზმელს გორგასალ ნასყიდაშვილს — ნოსტეველ „უწიგნო“ გლეხს, რომელიც მხოლოდ სამ ხატს ფიცულობდა ამ ქვეყანაზე: მისი სამშობლოს მფარველს — ღვთის მშობელს, გიორგი საკაძეს და თავის შვილს ბეჟანს.

ჰოდა, როცა მათ „ქრისტე ღმერთი“ გაუწყრა და დიდმოურავი კვლავ გადიხვეწა საქართველოდან, იგიც კვლავ თან გაჰყვა, ამჯერად თავის წამოზრდილი შვილიც გაიყოლა.

ახლა ყველანი ჰალაბის დილეგში არიან, ხოლო გორგასალი კი გარეთ... ლეკვებწაგვრილი მგელივით უვლიდა ამ დილეგს მოხუცი.

ოდნავ დამრეცილი ქალაქი კეცებ-კეცებად ჩაჰკროდა ფერდობს. შერუჯული მიხაკის ფერს გადაერბინა ბორცვებზე. გვიანი შემოდგომა ყვითელ ფორეჯებად შესწყობოდა ბაღბოსტნებს. თითქოს თორნედან მობერილი ნიავი ზანტად მოიხვეტდა ხრეშსა და ლოგორებს. შემტვერილ ოფლად ახმებოდა შუბლზე გორგასალს.

უეცრივ ტანში აიძაგრა მოხუცი. ნიავმა რაღაც უჩვეულო ხმა შემოაწია.

უფრო ახლოს მივიდა დილეგთან. დიდ, მოჭედილ ალაყაფს ჩაჟანგებოდა კბილები. მის თავზე, გალავნის გასწვრივ, ვიწრო სათოფურები და სარკმელები თითქოს ბურღავდნენ დილეგის გარემოს. ვეება ბუსავით აჯდა გალავანს კოშკის ქონგური.

ნიავს იქიდან მოჰქონდა რაღაც გაურკვეველი ხმა. შეიმცნო გორგასალმა. იქნებ მიხვდა უფრო. მღეროდნენ. ისინი იყვნენ. ტყვეები. კილოც გაარკვია — „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ მღეროდნენ პყრობილნი.

მამამ დამწყების ხმაც იცნო. ბეჟანი იყო. მისი შვილი, მრავალ შვილთაგან ერთადერთი ამდენ ჭირ-ვარამსა და ომებში ძლივს შერჩენილი. ამას კი არ იშორებდა არსად. ზრდილობაშიც თავად გამოწურთნა და ცხენ-იარაღშიც. ხელმარდი და პირმართალი ვაჟკაცი დაუდგა გორგასალს. ცხოვრების გამოცდილება აკლდა მხოლოდ. იგი ხომ სულ 19 წლისა იყო. ჯერ კარგად არც კი ჰქონდა შემკული საულვაშე. და ახლა კი... „გაფრინდი, შავო მერცხალო“?! აი მისი ხმა — იგი იქ, დილეგში... მისი უბედური მამა კი გარეთ. მერმე იქ მყოფთ დილეგს ვინ აკმარებს. — გორგასალმა პირჯვარი გადაისახა. მაშინ შეამჩნია — მის ათას ომგადახდილ მარჯვენასაც დასჩემოდა ტოკვა. ბადეში მიმინოსავით ფეთქავდა მკლავი.

— ეჰეი დედასა! — ჩაიდუდუნა გულმოკლულმა და მჭმუნვარე მოგონებას მიეცა. რა მოიმოქმედოს? რა ძალა შესწევს? ათასჯერ ზომავდა უპასუხო კითხვებს. ან კი რა შეემთხვათ იმ ბედკრულ დილას? სულ ათიოდ დღეა, რაც ულოდნელად დაშორდა თავისიანებს. განა ასე არ იყო? შეძრწუნებული გორგასალი იღეღავდა გულისპირს, იშმუშნიდა სიცხისაგან დამშხალულ ღაწვებს. მას ყოველთვის კარგი მეხსიერება ჰქონდა. სიბერეშიაც საღად შეჰყვა გულისყური. მახვილი თვალის პატრონი იყო თავიდან. არც ამჯერად გამოჰპარვია რამე. კონიიდან რომ მოსხლიტეს ცხენები, შეუჩერებლივ ვიდოდნენ დასიცხულ ველ-ხრიოკ სავალზე. ქართულად — მარიამობისთვის დამლევი იყო, თურქულად — მუჰარრემის თვე. თაკარა სიცხე უმოწყალოდ თენთავდა ჯანსა და ნებას. ცხენ-აქლემები ვერ უძლებდნენ დღე-ღამ გასწორებულ სვლას. მოურავი მაინც აჩქარებდა ყველას. დავარდნილ ცხენ-აქლემებს სტოვებდნენ ან, თუ შესძლებდნენ, სცვლიდნენ გზადაგზა.

სააკაძე დაუღალავი იყო, თავად დაუვლიდა ჩამორჩენილებს, შეუძახებდა, მათ ცხენებს კი მათრახით შეახსენებდა სისწრაფეს.

ერჯერ გორგასალის ცხენსაც მოსწვდა, წინ გაიგდო, მერმე გაუსწორდა და გაბზარული ხმით შეესიტყვა:

— წამომყე, მისმინე, მოხუცო. ჩემი და შენი ტოლი აღარავინ გვახლავს. ეჰ, გორგასალ, ერთი საქართველო მაჩვენა კიდევ და მერმე... თუნდაც... — ყელში გაეწასკვა სიტყვა.

— ვნახავთ! კიდევაც მოვესწრებით, ბატონო, შენი ჭირიმე! — მიუგო გორგასალმა, მაგრამ თვალი ველარ გაუსწორა სიტყვას. მათ ცხენთა ფლოქვებქვეშ უკუღმა მირბოდა უსიხარულო ველ-ხრიოკი, უცხო მიწა და ყოველი ნაბიჯი უფრო აშორებდა მათ იმ სანუკვარ მიდამოს, რომელსაც ვერ აფასებ, როცა ახლოს ხარ, და რომელსაც მით უფრო ესწრაფვი, რაც უფრო მიუწვდომელი ხდება იგი.

— ამჯერად გორგასალმა თავად შეჰკადრა მოურავს:

— ახლა კი სწორ გზაზე მივალთ? — აჟღერდა სიტყვა, როგორც ოდესღაც უთქმელი საყვედური. — მხარი ხომ არ გვეცვალა ამ ტიალ უდაბნოში, ბატონო?

ირიბად შეხედა გიორგიმ.

— მხარი გვეცვალა?! ვგონებ ჩვენ დიდი ხანია გვეცვალა მხარი! მთელი სიცოცხლე სწორ მხარს დავეძებდი, სამი რჯული გამოვიცვალე და ბოლოს ყველგან ცოდვილი აღმოვჩნდი. ათ გზას გავყევი და ბოლოს ყველგან მარცხი განვიცადე! — გიორგიმ ხელი ჩამოისვა ჭარბად ჭაღარა წვერზე, მერმე ხელისგულს დახედა. — აი რა შემრჩა! — და გორგასალს გაუწოდა დამტვერილი და ჭუჭყმოდებული ვეება ხელი. ბრაზმორეულმა მათრახი გადაუჭირა ცხენს და დაწინაურდა.

შეძრწუნებულმა გორგასალმა თვალი გააყოლა მოურავს. თუ უმტყუნა დაღლილმა თვალმა? გიორგის ვეება ზურგი რაღაც მოდუნებული მოეჩვენა, ხოლო მის ჯაჭვის პერანგს მხრებში უცნაური ტოკვა შეამჩნია. მახვილი თვალი ჰქონდა გორგასალს. მაინც ეჭვი შეეპარა. თავი ჩაღუნა და მიჰყვა. ფხაშერეული გრძნობით უმზერდა ბუქის კორიანტელს, გიორგის ცხენის ლაფშურს რომ რჩებოდა ამ უნდო გზაზე.

უეცრივ რეჩხი უყო გულმა. გზაზე მათრახი ეგდო. უმალ იცნო ორშოლტიანი მათრახი. მას მუდამ აკვირვებდა ეს ორი შოლტი. ერთი სამტრო იყო, მაგრამ მეორე?

ახლა გზაზე ეგდო მათრახი. დაქვეითდა. აიღო. გახედა ცხენოსანს.

იქ წინ, ჩადაისებულ მზის ნასხივზე ტაატით მიილტვოდა უზარარმაზარი მხედარი. აბოლქვებულ მტვერში მუქ ჭიაფრად ჯერ კიდევ ბზინავდა მისი აბჯარ-ჩაჩქანი... მაგრამ ჩრდილი დაჰკარგოდა მხედარს. ტანის გასწვრივ უძლურად ჩაშვებოდა ბევრის შემძლე ორი ვეება ხელი. ერთი მტრის შემმუსვრელი იყო, მაგრამ მეორე?

სამოცი წლის ნაღვაწი სიბრძნით გორგასალმა შეიმცნო, რომ იმ აბჯარში უდრეკი მებრძოლი კი აღარ იჯდა, არამედ გათელილი და გზადახშული ტყვე ამ აბჯრისა. ხოლო მას მკვდრის მზე უნათებდა, იქნებ უკანასკნელ, ბედის ანაბარა სავალს.

დაეწია. მათრახი მიაწოდა. არაფერი უთქვამს მხედარს.

ამომშრალი ხეობის თავთან ჭას წააწყდნენ. ოდნავი ნოტიო შერჩენოდა ფსკერზე. აქ მოუცადეს ჩამორჩენილთ. ძლივს მობორგავდნენ ილაჯგაწყვეტილი აქლემები და ცხენები.

ღამის თევა შესთხოვა გორგასალმა. აქაც არაფერი უთქვამს გიორგის, ოღონდ ცხენიდან ჩამოსვლისას როყიოდ გადაუგდო მიახლებულ გორგასალს:

— ეჰ, მოხუცო, ჩემს უნაგირს რაღად უნდა უზანგის დაჭერა? მე უნაგირზე ვიჯექ მეგონა, თურმე მთელი სიცოცხლე სხვას ვუჭერდი უზანგს. — მერმე ხელი ჩაიქნია და ჭის გვერდზე მიჯდა.

გორგასალმა კარავი დაადგმევინა ბეჟანს. უმალ წყალი მოართვა მოურავს, მცირე ხალიც გაუშალა, „იქნებ მაჰმადური წესით ინებოსო ლოცვა“. თავად კი პირჯვარი გადიწერა და განზე გადგა.

ფეხი გაჰკრა ხალს გიორგიმ.

— ჩემი გაჭედილი ხატი ვერ ვიწამე და სხვისას რარიგად ვიწამებ, მოხუცო?! — ბალთა გადიწყვიტა, მუზარადი გადიძრო და შუბლი გაიგრილა. ხმალი ამოებორკა ფეხებში. ავად გაჰკრა ხელი.

— ხან წალმა რომ ვიქნევდი ამ ხმალს და ხან უკულმა, ან სიბრძნე არ მეყო, ან ზნეობა?

— ღმერთია ჩვენი მფარველი! — გაეხმიანა გორგასალ, თუმც კარგად ვერ გაეგო ბატონის ნათქვამი.

— კაცად კაცმა ისე უნდა გავლო სავალი, ბოლოს არსად შეგრცხვეს, და თავიდან რომ მოგიხდეს დაწყება, ისევ ის გზა ირჩიო, ისევ ის!

განა გორგასალს არ აწუხებს გზის ამბავი?

— აგრე, ბატონო! ბოლოს ხომ შემოვბრუნდებით საქართველოსაკენ?

მოურავი კი თავისას ფიქრობდა ხმამაღლა.

— ჩემი გზა ინდოეთიდან — სტამბულამდე გადასერილა, მაგრამ ვაითუ მისი ნამჯა და ხვავი ერთ ქართულ კალოსაც არ ეყოს სალეწად!

შეშინდა გორგასალი, მიხვდა — მას კი არ ესაუბრებოდა გიორგი სააკაძე, არამედ თავის თავს. ასეთი რამ ავად ჰქონდა დაცდილი.

პირველად ლუარსაბის ქორწილზე შენიშნა თავის ბატონს ასეთი ბაასი. მეფის ქორწილზე — თავისი და რომ მიათხოვა, ალბათ ქედმაღალი ზრახვებით უკვე ნაპყარმა.

მეორედ შაჰ-აბაზთან გადახვეწის დროს. შემდგომ კახ-წარჩინებულთა ღალატით ამოჟლეტის ღამეს.

ოჰ, გორგასალს დაღად აზის თითო თარიღი.

კიდევ ერთხელ თავის შვილის — პაატას მოკვეთილი თავის მიღებისას. დაბოლოს ბაზალეთთან — ქართველთაგან დამარცხებისა და ახლა თურქეთში გადაკარგვის საშინელ დრო-ჟამს.

ჰოი, რაოდენი უკუღმართობის უნებური მოწმე გახდა გორგასალ?!

მოწმე არა, მონაწილე! გორგასალი მოურავის ერთგულია, მაგრამ მას თავისი ჯიგარი აქვს. ტაშისკარი, მარტყოფი, მარაბდა, აქ კი იგიც გიორგის დიდი საქმეების გულდაგული მონაწილე იყო.

— ბატონო! მიბრძანეთ რამე... მე მიბრძანეთ! — შეჰღაღადა შეძრწუნებულმა.

— შენ გითხრა? კარგი, ერთ სიბრძნეს გეტყვი — თუმც

მე და შენ კი აღარ გამოგვადგება, მოხუცო... მსხვერპლი შინაგანად წმინდა უნდა, თუ არა, ისე ათასი ხარ-კამეჩი იკვლება სასაკლაოზე! ერთხელ უკუღმა მოქნეულ ხმალს – ათჯერ წაღმა მოქნეული ხმალი ველარ გამოაბრუნებს. მე მარჯვენა მიჭრიდა, გული კი გაბზარული მქონია. რაღაც ვერ დავთმე, მომერია, ჩანს დამძალა. ხმლის მარჯვედ ქნევა კი რა ბედნაა?

ზეწამოჭრილმა სააკაძემ ელვის სისწრაფით გაიძრო ხმალი, მიწას ჩასცა. იღმუვლა ფოლადმა. დარეკა. ნახევრად ჩაითხარა მშრალ ბელტში, მერმე გადაჰყვა სააკაძის ფართო მაჯას და მარილივით გადატყდა.

– ისეთი ხმალი მომეცით, ზედ ქართული სისხლი არ ეცხოს! – ყრუდ მიაყოლა სიტყვა გატყორცნილ ვადას.

ჯერ დაიბნა გორგასალ, მერმე შეიხსნა თავისი ხმალი, ემთხვია და მიაწოდა.

– ნასყიდაანთ ხმალია, მაგრამ არ გაყიდულა არაოდეს!

– მერმე ბაზალეთი?!

– შემინდე, ბატონო! ხმალი არ გამიძვრია ბაზალეთთან. ქარქაშიანად ვირიდებდი მომხდურებს. აბა დახედე! – და ქარქაშზე მრავალი ნაჭდევი აჩვენა.

წამოდგა გიორგი, მრისხანე თვალი გაუყარა. აღარც გორგასალმა დაჰხარა თავი.

საშინელმა სიბრაზემ დაუშარნა სახე მოურავს.

– შენ ჩემზე ბრძენი ყოფილხარ, მოხუცო! გამეცალე! არ დამენახო! – უეცრივ მოიხარა. შეიკუმშა. ქონდრის კაცის ოდენა გახდა. შებრუნდა. კარავში შევიდა და კალთა ჩამოიფარა.

ის იყო და ის. მეტი აღარც უნახავს გორგასალს თავისი ბატონი...

ენა ამოეგლიჯა და არაფერი ეთქვა. ფეხი მოსტეხოდა და არ წასულიყო იმ ღამეს. ბანაკში დარჩენილიყო. ახლაც მათთან იქნებოდა. თავის ბატონთან, თავის შვილთან. თვისტომებთან.

მაგრამ რა იცოდა გორგასალმა. იგი საქმისათვის ზრუნავდა, კეთილად გაისაჯა. მდევარი რომ მისდევდა, ეს კარგად იცოდა ყველამ.

მთელი ღამე არ უძინია გორგასალს. მოურავის კარვის ზღურბლზე იყო გარინდული. თვალღია იწვა. თუმც ძილიც ფხიზელი და თვალღია იცოდა.

იმ ღამეს არვინ მიიკარა გიორგიმ. გათენებისას გამოირკვა, რომ ორმოციოდე ცხენ-აქლემი აკლდათ ლტოლვილებს.

ზოგი უკვე დავარდნილიყო, ზოგიც დავარდნაზე იყო მისული. გორგასალმა ითავა საქმე. შვილი წაიყვანა, დილაბინდზე დაწინაურდა. აღარც თუ შორს მომთაბარე მეჯოგენი ეგულებოდა. სამარქაფო ცხენების შოვნა გადაეწყვიტა.

თავზე დაათენდათ საჯოგესთან. ორიოდ ფარეხი ჩანდა ცხვრისათვის და ცხენების ქალტა-სადგომი.

ბეგლარ-ბეგის, მოურავ-ფაშის რაყამით მოვიდნენ. ორმოციოდე ცხენის შეცვლა მოსთხოვეს.

გაჯიქდნენ დამხვდურნი. არ ისურვეს მიცემა. არც რაყამი ირწმუნეს. სატევრების ტრიალი დასჭირდათ მამა-შვილს. ოთხი მამაკაცი შეიპყრეს, მიწურში შეამწყვდიეს დათოკილნი. ფარეხიდან გამოსვლა აუკრძალეს ქალებსაც.

ორმოცი ცხენი მოსხლიტეს რემას. გორგასალმა ბანაკისაკენ ცხენებითურთ გაისტუმრა ბეჟანი. თავად კი ორი ჭედილა წამოაქცია, ააფეშხოვა და ქვაბ-შამფურები შეუდგა შუა-ცეცხლს. დაპურება სჭიროდა რაზმეულს.

შუადღემდე მოელოდა ოტებულთ. მალ-მალ გახედავდა სავალს. საამო ოხშივარი ასდიოდა ქვაბ-შამფურს.

არ გაუმართლდა იმედი, ამაოდ ელოდა გორგასალ. ჩამიჩუმი არ იყო გზაზე. შეწუხდა. ლუკმა ვერ გასტეხა, მხოლოდ უნებური ტყვეები დააპურა.

გვიან სამხრობამდე ელოდა, მერმე კი გაანთავისუფლა შემწყვდეულნი, თავად კი ცხენს მოახტა და გაჰქუსლა. მზის ჩასვლისას მიაღწია ნაბანაკარს. აი ამ ხეობის დასაწყისში დასტოვა ისინი.

ბანაკი აღარსად იყო. იქნებ შეცდა, მხარე ეცვალა გორგასალს? არა — აი ჭა. აქ დაჰკრა სააკაძემ თავისი მახვილი. აი ხმლის პირიც იპოვნა.

თიხა-ქვიშიან სავალზე ნათლივ ემჩნეოდა ქარავნის ახალი

კვალი. მისი გეზი ოდნავ უკან ბრუნდებოდა და მერმე ჰალაბისკენ მიჰყვებოდა, უსიხარულო ხევ-ხრიოკს და უგზო სვალს.

გორგასალისათვის ყველაფერი გასაგები გახდა. აუჭირა ცხენს მოსართავი, აიღო სააკაძის ხმლის ნატეხი და ჩორთით უკან დაედევნა წაყვანილთ.

დასახლებულ ადგილებს რომ მიუახლოვდა, ეჭვი რომ არ აეღოთ, ოსმალური ძონძები გადაიცვა აბჯრის ზემოდან. ცხენიც მალე მოიშორა მუქთ ფასად. ბოლოს მიაღწია ჰალაბამდე.

კითხვა-კითხვით გამოარკვია ამბავი.

ესეც ჰალაბის ძველი დილეგი, ჩახავსებულ-ხვიფლოვანი კედლებით, ჩაჟანგებული ალაყაფით.

ერთიღა დარჩენია... მისი გზაც და ადგილიც აქ არის დილეგში. მის ბატონთან, შვილთან, თანამებრძოლებთან ერთად! ნეტავ ფეხი მოსტეხოდა და არ გაშორებოდა მათ.

მაგრამ, არა უშავს რა — ახლა ხომ იცის, სად არიან. მივა, დააკაკუნებს დილეგის კარს. ნუთუ არ გაუღებენ? არ შეუშვებენ? შეშვებას ითხოვს, გამოსვლას ხომ არა! ეტყვის, ვინ არის. რა თქმა უნდა, გურჯების ჯგუფს შეუერთებენ. მათ ბედს გაიზიარებს.

მხოლოდ ეს ეჩოთირება — თავისი ფეხით, უბრძოლველად როგორ მივიდეს დილეგში? მაგრამ რაღად უნდა ეს გახრეკილი თავი და ტანი. სააკაძის ხმლისა არ იყოს, თავადაც ხომ რალაც სხვა დიდი ამბის ნამუსრევსა ჰგავს.

მიიჭრა, ალაყაფის რკინას მიუკაკუნა. ხმა არავინ გასცა.

უმატა კაკუნს. წიხლიც მიაზილა ძგიდეს. ფეხის ხმა მოისმა. შიგნიდან სათვალურში გამოიხედა ვიღაცამ.

— ვინ არის?! რას მოთრეულხარ! — შემოსწყრა თურქულად ვიღაცა.

— კარი გამიღეთ! კარი! მხოლოდ ამ მოწყალებას ვითხოვ! თავად მოვსულვარ... — თურქულადვე შეევედრა გორგასალი და უნებურად ჩაქინდრა თავი. კარი მართლაც გაიღო და უეცრივ ვიღაცამ მათრახი გადაუჭირა გორგასალს.

— აიტ, ძაღლის შვილო! დილეგში მოსულხარ სამათხოვროდ? — შემოუკურთხა იასაულმა.

ცეცხლი მოეკიდა გორგასალს. ჯერ ვერა გაიგო რა, მერე ძონძებზე დაიხედა და მიხვდა. მაგრამ უმალ დაავიწყდა ეს მარცხი. მთავარი ის იყო, რომ მან მათრახი იცნო, დიახ, ისევ ის ორშოლტიანი გიორგისეული მათრახი. ახლა მტრის ხელიდან მას ხვდებოდა, ალბათ, მეორე შოლტი.

— დამარტყი! კიდევ დამარტყი! ღირსი ვარ! სად მოვდიოდი?! სად?! — დაბნეულად ჩიფჩიფებდა გორგასალი.

იასაულმა არ ახვეწნინა, კიდევ ერთჯერ გადაუჭირა ცალი შოლტი და კარი მიიხურა.

მაგრამ ახლა სულ სხვამ შეაჩქვიფა გორგასალი. ანაზდად დაინახა — სამი თითი აკლდა იასაულს, სწორედ მარჯვენა ხელზე: შუათითი, არათითი და ნეკი! ხმაც ეცნაურა თითქოს! სახის ნაკვთებშიაც აგონებდა ვიღაცას.

— ღმერთო, მიშველე! ვინ იყო ნეტავ?! — ფიქრობდა გაოგნებული გორგასალი და შეჰყურებდა გამოკეტილ ალაყაფს.

სულ დაავიწყდა ნამათრახევის ზიზღი და სუსხი. მერმე მოაგონდა:

— ეს ხომ ჰალაბია? ალეპო, როგორც ის იტყოდა?

შუბლზე იტკიცა ხელი და ბაზრისკენ გაეშურა — ქრთამად ნობათის ყიდვა განიზრახა.

ჰალაბის ბაზარზე ჯარასავით ტრიალებდა ნივთი და კაცი, ხვადაგი თუ ფრინველი. ხმაურ-ყიჟინა იდგა.

ერთგან თვალში სპილოს ძვლის კრიალოსანი აეხირა გორგასალს. ველარ მოსწყვიტა თვალი და ფიქრი. ნატიფი ნახელავი იყო — ორმოცდაათი ცალი თხილის ოდენა თავის ქალა იყო აბრეშუმის ძაფზე აცმული. მზაკვრულად ენიშნა სანობათე.

სახონჯრეში შავი დღისათვის ჩაკეტილი ბატონის ნაწყალობევი ოქრო ჩაუთვალა გაკვირვებულ სოვდაგარს, გზაზე ერთი დიდი საზამთროც იყოდა და უმალ დილეგთან გაჩნდა.

ახლა უფრო გაბედულად მიუკაკუნა ალაყაფს

ისევ იმ იასაულმა გამოხედა. ერთი უწმაწურად შეაგინა და ქადილით გარეთ გამოვიდა.

გორგასალმა მის ფერხთით დაახალა საზამთრო. წითელ მარაოდ გადიშალა ჩაშაქრებული ნაყოფი. ნაპერწკლებად იფეთქეს ღილის ოდენა კურკებმა. გორგასალმა ძონძი გადაიგდო და აბჯარი გამოაჩინა.

შეკრთა იასაული. უკან დადრკა. მრუდე სატევარზე მოისწრაფვა ხელი.

— ამ საზამთროს სალბუნის მადლი გაგიწყრეს, თუ ვერ მიცნო! აბა მოიგონე, ისკანდერ-თურქო! — ქართულად მიაძახა გორგასალმა.

ხელი მოიჩრდილა თურქმა. შემოუარა და ახლა გვერდიდან შეხედა.

— ალლაჰს ვფიცავ! ნოსტეველი გორგასალი უნდა იყო, გიაურო! ისკანდერ ყოველთვის იცნობს კაცურ კაცს! — ენამძიმე ქართულით უპასუხა თურქმა და გადაეხვია, — შენ ნახვას არ მოველოდი, ალეპოს! არც გამხარებია აქ შენი ნახვა, ძმავ! შენ ალბათ იმათთან ხარ? — უკვე შემკრთალი ხმით განაგრძო საუბარი.

გორგასალმა თავი ჩაჰხარა.

— წადი მალე! ვინმე არ მოვიდეს. ვერც შენ წაუხვალ მათ ბედს.

— მეც ეგ მინდა! ამად მოვსულვარ!

უეცრივ შეტრიალდა თურქი, ფეხის ხმა თუ მოესმა.

— წადი მალე! მოსულხარ — მე შენ გეტყვი ბაირამობაა?! თავის ადგილზე საზამთრო ხომ არ გაბია. ნოსტეში გონიერი იყავ, აქ რამ მოგიყვანა?

— მხარი მეცვალა, ისკანდერ! მხარი! გზა დამიბნიეს!

— იქ ჩადი...ყავახანაში. მალე მოვალ. მე გაგიკვლევ გზას. მე ისკანდერ მქვია. მადლის გადახდა მადლით ვიცი. — თავად მოახურა ძონძები, აბჯარი შეუბურა გორგასალს და შეიკეტა ალაყაფი.

* * *

ყავახანის კუთხეში მყუდროს მიჯდნენ. დახლთან სთვლემდა პატრონი. ბიჭმა მოართვა ყავა და გაეცალა.

ისკანდერ-თურქი და გორგასალი დიდხანს უსიტყვოდ უმზერდნენ ურთიერთს. გორგასალი აუჩქარებლივ მარცვლავდა კრიალოსანს. წყვილ-წყვილად მისდევდნენ თითებს თუ ფიქრებს სპილოს ძვლიდან მოკვეთილი თავის ქალები. თურქმა უთითო ხელზე დაიხედა, თანაც გორგასალის მაჯას შეეხო.
— მაჩვენე ერთი.

გორგასალმა მარჯვენა მკლავი გაიშიშვლა. ნიდაყვიდან მაჯამდე ჩასდევდა შეხორცებული ჭრილობის ნაწიბური.

— ნიშანი მეც დამრჩა, შენი არ იყოს!

მოკვეთილი თითები ჩაუგულისხმა გორგასალმა.

დინჯად შეექცეოდნენ ყავას და წარსულს იგონებდნენ. ოცი წლის ამბავი იყო. საქართველოზე ერთ-ერთ ლაშქრობის დროს, თურქთა ლაშქარს ისკანდერიც ახლდა. მოთარეშედ მოხვდა ქართლში. აქ შეხვდა გოეგასალს.

გორგასალი მეწინავე გუშაგად იდგა სოფლის განაპირა ორღობეში. დაზვერვის დროს წააწყდა მას ისკანდერ-თურქი.

შეიბნენ მარტონი. მხნედ შეაკვესეს ხმლები. შესაფერისნი შეხვდნენ ურთერთს. დიდხანს იბრძოლეს უშედეგოდ. არც ვინ მოსდიოდათ ქომაგად.

ცაცია ხელსაც კარგად ხმარობდა გორგასალი — აქ უგებდა ილეთს, უკან-უკან იწყო დახევა — გაათამამა მტერი, მერმე ხმალი შეათამაშა და ხელი გამოიცვალა. მომხვდურმა დაასწრო, მარჯვენა მკლავს სიგრძით გაუკრა ხმალი — ნიდაყვიდან მაჯამდე დააჩინა ღრმა ნაჭდევი, კვლავ მოუნაცვლა მეორედ, მაგრამ გორგასალმა ცაცია ხელით ქვემოდან ამოუქნია ხმალი, ვადის ძირში აწვდინა ფოლადი, სამი თითი წაათალა უმალ.

ხმალი გაუვარდა თურქს. გორგასალმა არ იკადრა ხმალდახმალ მისვლა, თავადაც გააგდო. მარჯვენა ხელითვე მოასწრო სატევარი, ნეკნებს შუა დასცა. მერმე ხელდახელ მისწვდა და წამოაქცია მიწაზე.

ისკანდერ-თურქი გონზე რომ მოვიდა — ხელფეხშეკრული ეგდო ნაომარ ადგილზე. შორს კი ბრძოლის ყოჟინა ისმოდა.

მალე მობრუნდა გორგასალი, თურქების დამარცხება ამცნო ტყვეს.

— წყალი! — ეხვეწებოდა დაჭრილი ისკანდერი.

თურქული კარგად იცოდა გორგასალმა.

— შენ ქვეყანაში განა წყალი არ იყო, აქ რომ მოდიოდი?

— ეჰ! ალეპოში წყალიც კარგია, მაგრამ... ვინ დამაყენა, გურჯო? განა შენ კი სულ ყველგან შენი ნებით დადიხარ?

ენიშნა გორგასალს თურქის სიტყვა, თან მომაკვდავი ეგონა, წყალი არსად იყო მახლობლად, ღობეზე გადვიდა, საზამთრო მოუტანა. სატევარი გაიძრო. ღარში სისხლი დარჩენოდა სატევარს, სამოსის კალთაზე შეაწმინდა თურქს და საზამთრო მოუჭრა, წყურვილი მოუკლა დაჭრილს. თავადაც შექცა.

სისხლის ფერი იყო საზამთროც.

— ალლაჰი იყოს ამ ყარფუზის სალბუნის მოწმე! — მადლობის იშნად წაილულღულა დაჭრილმა.

დრო გავიდა. დაშოშმინდა ქვეყანა, ჭრილობა გადაიტანა თურქმა. გორგასალმა მოარჩინა თავისი ტყვე. თურქების თარეშის დროს დამწვარი სახლი ერთად ააშენეს. ნოსტეს ციხეზეც ერთად იმუშავეს. სამი წლის შემდეგ თურქების მეციხოვნეთ ჩაჰგვარა ერევანს, იქ გაათავისუფლა, ერთი თანამესოფლეც გამოიხსნა სამაგიეროდ.

განშორებისას ძმურად გადაჰკოცნეს ურთიერთი. და აი, ახლა ისკანდერ-თურქის სამშობლოში — ჰალიბში, ბედად თუ მარცხად, შეხვდნენ ერთმანეთს.

— ჰო-ჰო! ცაციობით მაჯობე მაშინ! — როხროხებდა თურქი.

— არა, გულით გაჯობე... მე ჩემს მიწა-წყალზე ვიყავი.

— ახლა კი?

— ახლა კი... მე წაგებული ვარ, ძმაო... აი ისინიც, დილეგში რომ არიან, — კრიალოსანივით მარცვლავდა სიტყვებს.

— ეჰ, იმათ კი ავი დილა გაუთენდებათ... — ჩუმად ჩაიდუდუნა თურქმა.

— ყველას?

— არა!.. ამ კრიალოსანს რამდენი მარცვალი აქვს? — სიტყვა გაუფადილა თურქმა.

— ორმოცდაათი თავი. დახედე. ადამიანის თავი... ჩემგან ნობათად გქონდეს, — და კრიალოსანი ორთითა ხელზე მოახვია.

უფრო მოიღრუბლა ისკანდერ.

— მეც ორმოცდაათი თავი უნდა ჩავაბარო კონიაში ხოსროვ-ფაშას. დანარჩენები კი დაბორკილები უნდა მივგვაროთ. გაჰყიდიან, — კარგი მაზანდა აქვთ გურჯ ტყვეებს.

აღარ ესმის გორგასალს.

— ორმოცდაათი!.. — იმეორებს ზარდაცემული. განა არ იცოდა თავადაც, ცუდი დღე მოელოდათ პყრობილთ! მაგრამ სხვისი პირიდან გაგონილი მაინც ზარდამცემი იყო ეს ბავთი.

— ვინ? მაინც ვინ? რომლები? — თავისდაუნებურად შეეკითხა თურქს.

— ყველა მოთავე და ვარგისნი.

გორგასალს ფიქრი აერია. აზრი გაუწყდა. უნდა ჰკითხოს კიდევ, ყველაფერი უნდა გაიგოს. მაგრამ არ ძალუძს კითხვა. არ ძალუძს.

— რას აკეთებენ? რას? როგორ არიან? — ძლივს ამოღეჭა სიტყვა. და განა ეს უნდა ეკითხნა! არა, სრულიადაც არა. აბა რას გააკეთებენ განწირულნი.

— რას აკეთებენ? მღერიან! — მხრები შეჰყარა ისკანდერმა და მერმე თითქოს თავისთვის განაგრძო, — საკვირველი ხალხია გურჯები: მუშაობენ — მღერიან, იბრძვიან — მღერიან, ქორწილი აქვთ — მღერიან, კვდებიან და მაინც მღერიან! ან დიდი ჭკუისაგან სჭირთ, ან დიდი უჭკუობისაგან! — მერმე სუფრაზე ორი გროში დააგდო და წამოდგა.

— მღერიან! სულ მღერიან! — იმეორებდა გორგასალი და მოჩვენებითი სიდინჯით იშმუშნიდა წვერს.

— ისიც სასიკვდილოა? აი, ყველაზე ახალგაზრდა, სიმღერის წამომწყები? ბეჟანი? — ხელი გაიშეშა წვერ-ულვაშზე, მაინც შეშფოთებულად მოუვიდა შეკითხვა.

შეკრთა თურქი.

— შენი შვილი ხომ არ არის? გგავს, იცოდე!

— არა! — იცრუა გორგასალმა. რად იცრუა, რად? ალბათ იმიტომ, რომ ეშინოდა, ტყუილის ეშინოდა — მამას სიმართლეს არ ეტყოდა ისკანდერი.

მიუხვდა თურქი ამ ნაძალადევ უარს, თავადაც მამა იყო. მასაც ჰყავდა შვილი.

— არა! იგი არა! — მანაც იცრუა, მაგრამ უეცრივ დახედა კრიალოსანს და დადუმდა. ორმოცდაათი მოკვეთილი თავი უმზერდა ხელიდან. განა თავად მას არ ჰქონდა დავალებული ეს მძიმე საქმე? მასვე უნდა ჩაებარებინა კონიაში თავები და ტყვეები.

— ისკანდერ! ბეჟანი შვილია ჩემი. ერთადერთი შემრჩა. არ მომატყუო, სიმართლე მინდა ვიცოდე. იქნებ ვუსაშველო რამე.

— აბა რაღას უსაშველებ! აბა რაღას? — ველარ დაჰფარა ისკანდერმაც. გორგასალმა ერთი კი ჩაჰკიდა თავი, ღრმად ამოიოხრა და მერმე უფრო ახლოს მიეახლა:

— ისკანდერ! შვილის თავსა გთხოვ! რას იტყვი?

კრიალოსანი ჩაიქნია თურქმა.

— ანგარიშითაა, უპატრონო! ჩემსას დაადებენ ორმოცდამეათეს!

— რატომ შენსას? — გულწრფელად გაიკვირვა გორგასალმა.

— მაშ არა და შენსას? — უკმეხად უპასუხა თურქმა.

— ჰოდა ეგრე! ჩემი უფრო უპრიანია. ჩემი თავიც მიითვალე ანგარიშში. სპილოს ძვლისა არც ერთია და არც მეორე!

ეს ისე უბრალოდ და უყოყმანოდ იყო ნათქვამი, რომ თურქი გახევდა, მერმე თითქოს ეჭვი შეეპარაო, საკინძე გაუხსნა გორგასალს კისერზე შეავლო გამოცდილი ხელი. დასაკლავი ხარივით გაუსინჯა ქეჩო.

— აფსუსია, ამ კისერმა თავი სხვის სათვალავში დაჰკარგოს!

— ეჰ! რატომ სხვისი?! შვილის სათვალავში... შენც ხომ მამა ხარ, ისკანდერ! — მერმე კი უფრო დინჯად განაგრძო: — ერთიცაა — მთელი ჩემი სიცოცხლე მოურავ-ფაშასთან გამიტარებია... და ეს რაღა ბედენაა? — განა მცირე ხანი. მთელი გრძელი და გატანჯული სიცოცხლე. სად არ ახლდა თავის ბატონს. რა ქვეყანაში არ ყოფილა. სად არ უომია. რაოდენი გამარჯვება და მარცხი უნახავთ ერთად. რამდენი ჩუმი ფიქრი და ოცნება უტარებიათ. ხშირად თავის ბატონს სტუქსავდა კიდევაც გუნებაში. აი, როცა იგი ქართველებზე იშიშვლებდა

ხმალს. მაგრამ ვინ იცის — სად იყო სიმართლე ამ ვაზის კლერტივით დაგრეხილ ცხოვრებაში? მაშინ კი, როცა გული რეჩხს უზამდა, ხმალს არ იშიშვლებდა გორგასალი. მისი დასერილი ქარქაშია მოწმე. მას თავისი პატარა სიმართლე მუდამ ჰქონდა და ახლდა. მაგრამ ათეულ წლების გამუდმებულ ბრძოლა-ხეტიალში სარდალს რომ შეაბერდები, მერმე სიკვდილიც ერთად სჯობია ბარემ. — „შვილსაც იხსნის!“ „შვილსაც იხსნის!“ ღვივოდა ძირა გრძნობა და ცეცხლმოკიდებული პატრუქივით გასდევდა ყოველ ფიქრს.

არც გაუგია, როგორ გამოვიდნენ ყავახანიდან, როგორ შეუდგნენ აღმართს დილეგისაკენ.

გარეთ ღამე ჩამოწოლილიყო. შემოდგომის მძიმე სიცხე ჯერ არ განელებულიყო. თურქმა ოფლი მოიწმინდა. გულღჯუ კაცად იყო ცნობილი ისკანდერ. თავების „გადათვლასაც“ ავალებდნენ ხანდახან. დღეს კი სულ მოიშალა. მარჯვენაზე თითქოს სამი ნათითარი ეწოდა. ფერდის ძველი ნაიარევიც სტკიოდა.

განცვრიფება კიუფრო და უფრო ეუფლებოდა...

— ეს როგორი ამბავია? სად გაგონილა? — ბუზღუნებდა თავისთვის.

— შენთვის განა სულ ერთი არ არის? — თავი თავია! მით უფრო მამა-შვილის. სხვას ხომ არ გთხოვ? შეუძლებელსაც არას ვითხოვ! თორემ იქნებ სარდლისა მეთხოვა?

გალიეს სავალი. უკვე ახლო იყო დილეგი. თურქი კი სდუმდა.

— მაშინ, მეც წამიყვანე მათთან, მეც! იქ, მათთან ერთად... ესღა დამრჩენია სათხოვრად. ოდესმე მადლი მიქნია. იცის ღმერთმა, არ ვნანობ. მადლს გადახდა უნდა. არც თქვენი ღმერთი იქნება ამის წინააღმდეგი, მეც მათ მიმაყოლე.

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია თურქმა. — აზამ ვეზირის სისხლისმსმელობა, თორემ, ან კი ამათი გაწყვეტა მართალი საქმეა? შენი ზედმეტი თავი რაღად მინდა?

— შენთვის ბეჟანის თავია ზედმეტი! იგი ჩათვალე მეტად.

გორგასალმა წინ გადაურბინა, მისწვდა და დაუჩოქა.

რამდენი უცხოვრია, რამდენი უბრძოლია, რამდენი რამ გადაუტანია, მაგრამ მუხლებზე არ მდგარა გორგასალი. სწორედ ამიტომ იბრძოდა ისეთი გაშმაგებით. მუხლმორთხმული მხოლოდ ლოცულობდა, დაჩოქილმა „ღმერთთან საუბარი“ იცოდა.

ახლა კი დაუჩოქა, კისერი წარზიდა და ქვევიდან შესძახა ისკანდერს:

— ისეთ რამეს ნუ იზამ — არც კაცისა იყოს, არც ღვთისა!

მაგრამ ისკანდერი აღარ უსმენდა მას.

— უჰ! გურჯი-შაიტან! კიდევ მღერიან! გესმის?

მართლაც, ღამის გარინდებულ ჰაერში მკაფიოდ მოისმოდა ქართული სიმღერა. ჰალაბის დილეგიდან გაყურებულ უცხო მიდამოს ეფინებოდა ხალისიანი, მაგრამ განწირული ხმა.

გორგასალმა კვლავ გაარკვია ხავერდოვანი ხმა, ლექსს რომ წამოიწყებდა ხოლმე. იგია მისი შვილი — ბეჟანი! ბანს კი პაპუნა ეტყვის. მოძახილს გაგია, ეს კი თედოა, ცოტა ხმას რომ შეაცდენს ხოლმე სიმღერას. ბრძოლაში გამოყრუვდა მოხუცი. ყველას ხმებს არჩევს გორგასალი. ყველასი ესმის — გარდა ერთისა. იმის ხმა არ ესმის — ყველაზე უფრო რიხიანი და ბოხი.

ის აღარც მღერის. არც ხმას იღებს. არც რამ დარჩა სათქმელი. ყველაფერი თქვა — ზოგი კარგად, ზოგი ცუდად.

გორგასალს თვალწინ წარმოუდგა მკვდრის მზით განათებული, ხელებდაშვებული ვეება მხედარი.

თითქოს სიჩუმის ხმა ჩურჩულებდა სადღაც:

„ხან წაღმა რომ ვიქნევდი ამ ხმალს და ხან უკუღმა — ან სიბრძნე არ მეყო, აბ ზნეობა!“ გული ჩასწყდა გორგასალს და სადღაც ქვესკნელში გმინვა ჩაიტანა. მარტოობის საშინელი სუსხი იგრძნო. სიკვდილზე უფრო შეუმძიმდა ეს გრძნობა.

— ახლავე წაიღე ჩემი თავი! ახლავე! დანარჩენი შენს ვაჟკაცობაზე იყვეს! გენდობი. ჩვენ ურთიერთ შორის სისხლიც გვიღვრია და პურიც გაგვიტეხია! — ულოდნელად წასწვდა თურქის მარჯვენას და ნათითურებზე დაასო კბილები. მწარედ უკბინა.

— შეგირცხვეს ეს მარჯვენა, თუ შენი ხელით მათთან არ მაღირსო სიკვდილი!

ისკანდერმა ერთი დაიგმინა და ხელი ჰკრა მოხუცს.

— ახლა რა ჭირად მინდა შენი თავი! დილაზე უთენია დამხვდი აქ! არ დაიგვიანო — არ მოგიცდი, იცოდე!

მოსხლტა ისკანდერ და შეაღო დილეგის ალაყაფი.

რას დაიგვიანებს გორგასალი! რას დაიგვიანებს? სულ არ წავა აქედან! აქ, ამ დილეგის ზღურბმზე არის მისი ადგილი. სულაც არ წავა!..

ალაყაფში უფრო ძლიერად მოისმოდა სიმღერა.

მიხურვისას თურქი შემობრუნდა და გორგასალს გაჰხედა.

იგი კვლავ მუხლებზე იდგადა გარედან ბანს აძლევდა ტყვეების სიმღერას!

* * *

გორგასალს წინ ჰქონდა მთელი ღამე. განწირულისათვის ეს დიდი ვადაა. ჩავიდა იქვე მახლობელ ჭასთან. გადიძრო ჯაჭვის პერანგი, შიგ გაახვია თავისი ხმალი, სააკაძისეული ხმლის ნატეხიც და შეთხელეული ქისაც. ყველაფერი თოფრაში ჩასდო.

მერმე საცვალი გაირეცხა, გაიწურა და გაუშრობლად ჩაიცვა. ფეხები და ხელ-პირი დაიბანა. ოფლიან კისერზე სველი ხელი რომ გადისვა, თითქოს ფოლადის სიცივე იგრძნო. ერთი წუთით თვალები დახუჭა და სიკვდილის მიღმა გადაიხედა. ნათლივ წარმოიდგინა თავისი დაგორებული თავი. მაგრამ სრულიადაც არ აღელვებულა, არც არაფერი სტკენია. საკინძის ქვეშ მცირე ჯვარი მოებორკა ხელში. ჩამოიხსნა და თოფრას გამოაბა. ხახაში შეკვეთილი ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, პეშვით ცოტა წყალიც მოსვა და ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით შეუდგა შეღმართს. დილეგისაკენ მიეტანა. ღამეში მიყუჩებულა, უცხო ქალაქი უზარმაზარ ხნულებად, კალოებად, რუებად და წისქვილებად ეჩვენებოდა ნოსტეველ გლეხს და მიწის სიყვარულის მოუკლავი ჟინი

თან მიჰყვებოდა გოლგოთაზე მიმავალს. მაგრამ ბინდმა ეჭვიც იცის. ჩაღამებულ მიდამოს დაეკარგა სხვაობის ნიშანი და იგი საოცრად დაემსგავსა სულ სხვა, შორეულ მხარეს.

იქნებ ახლაც გორის ციხეზე ადის გორგასალი და ქვევით, ღამეში ჩაბუბნული მხარე — ქართლის ველია? იქ, სადღაც, ალბათ, მტკვარი სდის, ლიახვიც ჰბორგავს. თეძამიც. აი, ის შავ-რუხი ქედზურგი რით არა ჰგავს თრიალეთს? კალთებზე მეჩხრად სოფლები მოთესილან. ხეობებში შეხიზნულან ბაღ-ვენახები. ზენაქარი კურდღლაობს ნოსტეს ყანებში. ეს უთუოდ ასეა! ჰოდა, რა უჭირს, რომ ეს მართლა ასე იყოს? ვის რა დაუშავდება ამით? ვის რა?

დილეგის მახლობლად შედგა გორგასალი. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

— ღმერთო! დიდება შენდა! რათა-მეთქი? ვის რა დაუშავ-დება? — ერთი კი აღიმაღლა სიტყვა. მაგრამ უმალ პირჯვა-რი გადაიწერა და დადუმდა. დიდხანს მდუმარედ „ესაუბრა ღმერთს“, მერმე სმენად გადიქცა.

ადამიანი უსმენდა ზეცას, მაგრამ ახლაც სრული სიჩუმე სუფევდა, ზეცას თითქოს არაფერი ჰქონდა სათქმელი.

აღარც დილეგიდან ისმოდა სიმღერა. შორს უგზოობაში მიმავალი ქარავნის ზინზილაკის ხმაც დიდი ხანია მიწყდა. მხოლოდ დილეგის ირგვლივ შმაშურით ფრინავდნენ ღამურები და აუგად აღრჭიალებდნენ კბილებს.

მეორე მუხლისთავზეც ჩაიჩოქა გორგასალმა. მერმე მოიხარა და მიწას დაადო ყური. ასე გვერდზე მიწვა.

მიწის შვილი ახლა თითქოს მიწისაგან მოელოდა ამაო პასუხს.

ასე დაათენდა თავზე. დილაბინდისას ფეხის ხმა მოესმა დილეგიდან. ჩუმად გაიღო მცირე კარი. უმალ შეეგება გორგასალი. დიახ, იგი იყო, ისკანდერი. იცოდა გორგასალმა, არ მოატყუებდა უთითო!

თურქმა ხელი დაუქნია, ასკერის ფართო მხარსასხამი გად-მოუგდო.

კიდევ ერთხელ — ახლა ალბათ უკანასკნელად, მოიხურა

გორგასალმა სხვისი სამოსი და სხვის ქვეყანაში საზვარაკოდ მზად იყო სხვისი სიკვდილის ქურდი.

თოფრა გზის მიღმა მოზრდილ ქვის ქვეშ ამოაფარა და ისკანდერს დაუბარა:

— იმას გადასცემ! — მერმე ჩუმად გაჰყვა ჯალათს. ალაყაფში შესვლისას ერთჯერ კიდევ გაჰხედა დილეგგარეთა სამყაროს.

იქ არაფერი შეცვლილიყო.

მიწაზე კვლავ ბინდი იწვა, ხოლო ცაზე ულვთო განთიადი იფერებოდა.

* * *

მზე კარგა მაღლა იყო აწვერილი, როცა დილეგის ალაყაფიდან უცნაური ქარავანი გამოვიდა. აქლემები მოზრდილი ხურჯინებით დაეტვირთათ. გარდა ამისა, თითოეულ აქლემს დაბორკილი ტყვეები მისდევდნენ ფეხდაფეხ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად, საერთო თოკით იყვნენ მიბმულები აქლემებზე.

მათ ცხენშუბოსნები ახლდნენ.

აქლემი, რომელზედაც ბეჟანი იყო მიბორკილი, სულ ბოლოს გამოვიდა. დილეგის მახლობლად კვლავ შეაჩერეს აქლემი და გზიდან გადასულ ქარავანბაშს დაელოდნენ. მალე იგიც დაეწია. დინჯად იჯდა ცხენზე და კრიალოსანს მარცვლავდა.

ბეჟანმა მთიდან რომ გადახედა ქვევით მიმავალ ქარავანს, მხოლოდ მაშინ დაინახა ტყვეები. ზინზილაკისა და ბორკილების ხმა ირეოდა და შორით განაგონი ზარების სამგლოვიარო რეკვასავით მოისმოდა.

ეცოტავა ტყვეები ბეჟანს.

„ნუთუ მხოლოდ ნაწილს გვაგზავნიან კონიაში?“ გულუბრყვილოდ ფიქრობდა იგი. ქარავანს ამორჩენილი აქლემი კი საწყალობლად ბღაოდა, მიისწრაფოდა ფა მიითრევდა ბეჟანსაც. იგი კი კარგად ვერც კი მოსულიყო აზრზე. რა მოხდა! ან რა მოელოდათ წინ!

ცხენები რომ მოჰგვარა გიორგი სააკაძეს უკანასკნელ ბანაკში, იქ უკვე მდევრის — ზორა-ფაშის მოციქულები დახვდნენ. ჰალაბს იწვევდნენ მოურავს. აზამ-ვეზირის შემორიგების სიგელი მოართვეს. უვნებლობის ფიცით შეიჯერეს. ახალგაზრდა იყო ბეჟანი, მაინც გრძნობდა, ნდობა არ შეიძლებოდა. რად ენდო ასეთი იჭვიანი და ფრთხილი გიორგი? რად იბრუნა პირი ჰალაბისაკენ? რად არ დაანება მამის დაძახება?! გორგასალი მიხვდებოდა, ბეჟანს კი ცხოვრების გამოცდილება აკლდა. მხოლოდ შემდეგ... გვიან მიხვდა, რომ სააკაძემაც იცოდა ამ ფიცის ფასი, მაგრამ საბრძოლო ხმალი და ხერხემალი გატეხილი ჰქონდა.

თავისი პირადი სიმართლის რწმენა დაჰკარგვოდა, ხოლო სხვა საყრდენი არ გააჩნდა არასდროს.

სდუმდა საქართველოს მოურავ-მეფე, შაჰ-აბაზის უპირველესი სარდალი, ყაჭრამან-კონიის ბეგლარ-ბეგი. კრიჭა შეეკრა — რადგან უგზოდ ვიდოდა მისი ქარავანი. იქაც კი, ჰალაბში მოსვლისას, ფაშასთან რომ მიიწვიეს, მან უსიტყვოდ გადახედა თავის გაოგნებულ თვისტომელთ, ხელი ჩაიქნია და გაეცალა... მათთვისაც არ დარჩენოდა სიტყვა და სითბო.

ქართველები დიდი პატივით, ნაწილ-ნაწილ მოათავსეს ცაკე სადგომებში, ხოლო ღამე თავს დაესხნენ და დილეგში ჩაჰყარეს.

ბორკილგაყრილი სააკაძე უკვე იქ დახვდათ.

ორმოცდაათი რჩეული მათ ბელადთან ერთად დილეგის მარჯვენა კოშკში გამოამწყვდიეს, ხოლო დანარჩენები მარცხენაში წაიყვანეს, მარჯვენა კოშკში მოხვდა ბეჟანიც. მას სამუდამოდ დარჩება ხსოვნაში საკანის უცნაური კარი. ქვემოდან ზევით იღებოდა მძიმე, კიდემოჭედილი მორი. დახურვისას გრუხუნით დაემხობოდა ქვედა ზღურბლს.

შეუმძიმდათ ქართველთ თავისუფლების დაკარგვა. მხოლოდ ორფა სიმღერით ირთობდნენ თავს, ურთიერთის ამბავსაც იგებდნენ მარჯვენა-მარცხენა კოშკის ტყვენი.

ერთ დილით, ადრიანად, თითო-თითოდ გაიყვანეს ტყვეები. პირველად დიდმოურავი წავიდა. მან ახლა კი სათითაოდ

გადაჰკოცნა ყველა. ბეჟანი ყველაზე ახალგაზრდა იყო და ალბათ ყველაზე ნაკლებად ესმოდა, რა ხდებოდა ირგვლივ. მხოლოდ სააკაძის კოცნამ შეაშფოთა — მას საშინლად ცივი, გაყინული ტუჩები ჰქონდა.

კარში ერთხელ კიდევ შემობრუნდა გიორგი.

— არც ხმალი ვარგა ორპირი, არც მათრახი ორშოლტიანი. დიდ სიბრძნეს ზოგი თავში გაიგებს, ზოგი ბოლოს...

დანარჩენი მორის ხმაურმა შთანთქა.

ასე თითო-თითოდ გადიოდნენ. უფრო უსიტყვოდ. არც იცოდნენ, სად მიდიოდნენ. სანამ ჯგუფი განახევრდებოდა, ყველა ფეხს ითრევდა გასვლაზე...

აქ ყოფნა ერჩიათ. მაგრამ როცა წასულთა რიცხვმა გადააჭარბა, მერმე ყველა ჩქარობდა, თავად მიიწევდა გასასვლელად.

გარეთა ურდულის ხმას გაიგებდნენ თუ არა, ერთმანეთს ასწრებდნენ კარისაკენ. ერთი-ორჯერ ბეჟანმაც მიატანა, გასცდა კიდევაც კარს, მაგრამ ვიღაცა ორთითა კაცმა მახინჯი ხელი გაჰკრა გულში და უკან შემოაბრუნა.

— სად გეჩქარება, მამა გიცხონდა! — და სხვა გაიყვანა მის მაგიერ.

ორმოცდაცხრაჯერ დაიგრუხუნა კარმა. გაიცალა კოშკი. ბეჟანი ორმოცდამეათე იყო და ახლა მარტო დარჩა. სულ მარტო.

აღარც ის უცხო ორთითა მოდიოდა. ბეჟანს მეხსიერებაში ნაჭდევად დარჩა მისი სახეშეშლილი იერი, ელმად გასული, მკაწრავი თვალები, ჰინით შელებილი მეჩხერი წვერი, მოტვლეპილი თავი და კეფაზე შერჩენილი აძაგრული თმა, ბეჟანის ფერი წამოსასხამი შილიფად მოეხურა, თითქოს საქმიანობის დროს მისი გაძრობა უხდებაო წამდაუწუმ.

იგი მაინც მოვიდეს... იგი მაინც! ველარ აიტანა სიჩუმე ბეჟანმა. ახალგაზრდობას უფრო უჭირს მარტოობა. ჯერ სიმღერა სცადა. არ გამოუვიდა, გატეხილი ქვევრის ხმა გამოიღო დაცარიელებულმა საკანმა. მერმე სიარული იწყო. ააჩხრიალა ბორკილი. ველარც ამითი გააფრთხო სიჩუმე. მა-

შინ კარის მორს მისწვდა, დაუწყო უმოწყალოდ ჯაჯგუნი... ხმა არც მაშინ გასცა ვინმემ. თითქოს ყველანი ამოწყდნენ დილეგში.

დაიღალა. უნებურად მიყუჩდა. მამის ირგვლივ შემოიფარგლა ფიქრი. ის ხომ გარეთაა? ასე არ დააგდებს ბეჟანს. ჰალაბის დილეგამდე მოაგნებინებს მამის გული. კიდევ კარგი, რომ არც დაუცადეს მაშინ. არც გაამხილეს გორგასალის გარეთ ყოფნა, მასაც მოელოდა ტყვეობა.

დიდმა დრომ განვლო, ბეჟანის ფიქრით, იმოდენამ, რომ გაეშვათ, საქართველომდე მიაღწევდა ალბათ.

ბოლოს, ფეხის ხმა მოესმა. ადგა. აიშოტა კართან.

ხახა დაალო კარმა, თითქოს დაამთქნარა. ასწია ზედა ჩარბი.

კარს იქით ისევ იგი ორთითა კაცი იდგა. ახლა მას სხვა, ახალი სამოსი ჩაეცვა, ხელ-პირი დაებანა. წვერი ჩამოევარცხნა, ხოლო კეფაზე შერჩენილი აძაგრული თმა ბეწვიან ჩალმაქუდით დაეფარა. ორი თითით კრიალოსანს ჰკენკავდა. სახეშეცვლილი ჩამქრალი თვალებით შემოხედა ბეჟანს და ხელი აუქნია.

ბეჟანმა ხელი ამოავლო ფეხბორკილებს და უსიტყვოდ გაჰყვა. მის უკან დაიგრუხუნა კარმა, დაიკაპკაპა ღრჭილები და დადუმდა.

ვიწრო კიბეზე არავინ შეხვედრიათ. ეზოში ჩავიდნენ.

ალაყაფში ქარავანი გადიოდა, ხოლო მოშორებით, შეხავსებულ კედელთან მიწას თხრიდნენ თუ ორმოს ავსებდნენ ასკერები.

ალაყაფთან აქლემი ელოდა უკანასკნელ ტყვეს. თოკჯაჭვით მიაბორკეს ბეჟანი აქლემს და ფეხაჩქარებით წინ წასულ ქარავანს აადევნეს.

მარცხენა კოშკისკენ გაიხედა ბეჟანმა. იქ სრული სიჩუმე სუფევდა.

„ქარავანს თუ გააყოლეს ისინიც," — გაიფიქრა და ნაბიჯს მოუმატა.

ქალაქს თავიდანვე უგანა ქარავანმა. კონიის გრძელსა და დამტვერილ გზას აედევნა ნელი ტაატით.

ბეჟანს სული უსწრებდა ქარავნის დასაწევად. მაგრამ ქარავანბაში ბოლო აქლემს თითქოს განზრახ ათრევინებდა ფეხს. თავადაც იკავებდა ცხენს. შუბოსნებიც წინ გაისტუმრა. „საბანაკო ადგილის შესარჩევად, კარვების დასადგმელად“.

ბეჟანი გზადაგზა განზე აცეცებდა თვალებს, ალბათ მამამისი სადმე აქ იქნება ახლომახლო, იქნებ თვალი მოჰკრას? თითქმის დარწმუნებული იყო და ციხის მარტოობას გადარჩენილი — უკეთ გრძნობდა თავს.

ესაა, რომ აქლემი უშლიდა მზერას. უფრო სწორედ — აქლემზე გადაკიდებული მოზრდილი ხურჯინი. ხოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — უშუალოდ ხურჯინი კი არა — არამედ ბუზები, ამ ხურჯინის ორთავ ჯიბეს რომ ედებოდნენ ირგვლივ...

„ან კი რა თაფლი მიაქვთ კონიაში?“ ფიქრობდა ბეჟან, გაშმაგებით იგერიებდა ბიზებსა და მამის დანახვის იმედით თვალებს აცეცებდა გზაჯვარედინზე.

მამის მეხსიერება გამოჰყვა შვილსაც. გზებშიაც კარგად ერკვეოდა. აი იქ, დიხაშხო ხეობის სათავეში რომ მოჩანს გზის ანატკეჩი, აღმა შებრუნებული რომ მისდევს თხემ-თხემ. იგია — სანუკვარი გზა. ერთი თვე ცხენმარჯვეთ რომ იაროს ბეჟანმა, საქართველოში მიიყვანს ეს გზა. ეჰ, იმ საოცნებო საქართველოში, სადაც მან ბავშვობა და ყრმობა გაატარა, ხოლო ვაჟკაცობა კი აღარ დასცალდა.

„იქნებ აღარც დაგცალდეს!“ ლაჯებში ყრუდ ჩხრიალებდნენ ბორკილები, „მაშინ მამა მაინც წავა ამ გზით“ ეხმიანებოდნენ ბორკილებს ფიქრები... მაგრამ ბიზები არ აცლიან ფიქრებს. სულში უძვრებიან ხურჯინის ირგვლივ მოზუზუნე ბუზები.

სანუკვარ გზაჯვარედინთან უეცრივ შედგა აქლემი. ქარავანბაშმა შეაჩერა. თავად ჩამოვიდა ცხენიდან.

— აი ის გზა, იცი შენ, სად მიდის?! — ჯღუდ გამოთქმული ქართულით შეეკითხა ბეჟანს.

— ვიცი! იქ... საიდანაც ამ გზით არ უნდა წამოვსულიყავ არასდროს!

ქარავანბაშმა ორი თითი დაადო მხარზე:

— შენ კარგი ვაჟკაცი დადგები, მამის მადლი შენთვის ალალია.

უეცრივ დაიხარა. წელიდან ჩამოხსნილი გასაღებით ფეხბორკილი გაუხსნა და გააშორა.

გაოგნებული ბეჟანი უძრავად იდგა. ისკანდერმა აქლემს ავშარა დაუწია და მუხლებში მათრახი დასცხო. გაჭირვეულდა აქლემი. მაგრამ ცხვირის ნესტოში გაყრილმა რგოლის სიმწვავემ თავი დააბრევინა და ჩააჩოქა. ისკანდერმა დიდი ხურჯინს ზევით დამაგრებული საკარვე ქეჩა გადასწია და თოფრა გადმოიღო.

— მამის თოფრა?! — უფრო განცვიფრდა ბეჟან. მაგრამ როცა თოფრას ყურზე გამობმული მამის მცირე ჯვარი შეამჩნია, მაშინ შეძრწუნდა.

ოჰ, ბავშვობაში, მამის მკერდზე, რამდენჯერ შეთამაშებია ბეჟანი ამ გადალესილ ვერცხლის მცირე ჯვარს.

უეცრად ბუზები შემოაფრინდნენ, სახე და ფიქრი დაუკბინეს.

— მამა სად არის?

— იარე! ხეირი ნახე! — ხელი აუქნია ისკანდერმა და აქლემს მოეზიდა ასაყენებლად.

— ვერ წავალ! უნდა ვიცოდე მამის... ყველას ამბავი... სად არიან ჩვენები... ორმოცდაცხრანი... ჩვენი საკნიდან?

— ორმოცდაათი, — გაუსწორა ისკანდერმა. — შენ შენი იკითხე ახლა.

მოულოდნელად ბეჟანმა ყველაფერი შეიგულისხმა. ტვირთიც, ბუზებიც. ნესტოები აუთამაშდა. საფეთქლებთან დარეკა ზარმა და წვივებამდე ჩავიდა ზრიალით.

— ანგარიში შეგშლია, ჯალათო, ერთი თავი დაგკლებია! ჩემი თავი... ჩემი!..

— მე გავათავე ანგარიში. არაფერი მაკლია. ასის ნახევარი მუდამ ორმოცდაათია! — მერმე თითქოს შესამოწმებლად დახედა სპილოს ძვლის კრიალოსანს და ხმა მოილბო:

— მამაშვილობასა, დროს ტყუილად ჰკარგავ! იარე!

საშინელმა მიხვედრამ თითქოს ხმალი შემოჰკრა ბეჟანს.

— ჩემი მაგიერი მინდა ვნახო! ჩემი მაგიერი! — შესძახა და ეძგერა აქლემის ტვირთს. გაწყვიტა ხურჯინის გარსაკრი თასმა და ჩაიხედა. ისკანდერმა შეუძახა აქლემს. ზლაზვნით იწყო წამოდგომა აქლემმა. გახევებულ ბეჟანის წინ ზეადიოდა ხსნილი ხურჯინი საშინელი ნადავლით.

ხოლო იგი ვერაფერს ხედავდა მშობლის ღიად დარჩენილ თვალების გარდა.

გორგასალს სიკვდილშიაც ღიად დარჩენოდა თვალები.

ბეჟანი მისწვდა ამბორად... მაგრამ წამის შემდგომ უკვე ქვევით ჩამორჩა ხურჯინს. აქლემი ადგა უკვე. შვილს რაღაც ცივის გრძნობა დარჩა ტუჩებზე.

მუხლები ჩაეკეცა.

დანარჩენი ბურანით იყო მოცული... რაღაცას ეუბნებოდა ქარავანბეში, არიგებდა, ქისაც კი ჩაუგდო მამისეულ თოფრაში. ისიც კი უთხრა: „არ უწვალიაო მოხუცს“. თავის მარჯვენა დაიფიცა, ერთი დარტყმით მოვკვეთეო. სიტყვა შეესრულებინა პირნათლად.

ერთიღა მოახერხა ბეჟანმა:

— კი, მაგრამ, იმან თუ ირჩია, შენ რაღას უსრულებდი? ურჯულოვ! შენ რაღას?

— მეც მამა ვარ. შენც გაიგებ, როცა მამა იქნები!

სახსრები მოეშალა ბეჯანს. დაემხო გზაზე, აქვითინდა და როცა თავი ასწია, შორს, ხრიოკი გორაკის მუხლთანს ქარავნის დასაწევად ცხენს მიაჩქარებდა თურქი. მას უკან ძუნძულით მისდევდა ავშარა დაჭიმული აქლემი. კუზებს შორის ჩამოტეხილი ფრთებად თრთოდნენ ხურჯინის ამობურთული ჯიბეები... გაფრენას ლამობდნენ თითქოს.

მერმე გაუჩინარდა საშინელი ქარავანი, მიწყდა ბორკილების ჩხრიალი.

ბეჟანი ადგა და საქართველოსკენ იბრუნა პირი.

მიდიოდა და გულისყურში მიჰქონდა უგზო ქარავნის ზინ-ზილაკის ხმა, ხოლო თოფრაში მამისეული მცირე ჯვარი და სააკაძის ხმლის ნატეხი თუ ნამუსრევი.

სარჩევი

თემურ შავლაძე

წინათქმა 5

ალექსანდრე ორბელიანი

უმანკო სისხლი 9

დანიელ ჭონქაძე

სურამის ციხე 23

იაკობ გოგებაშვილი

იავნანამ რა ჰქმნა? 81

ვასილ ბარნოვი

ნათელმოსილნი 101

ვაჟა-ფშაველა

ამირანის ხმალი 162

კონდრატე თათარაშვილი (უიარაღო)

მამელუკი 165

ჭოლა ლომთათიძე

მამასახლისი თუაძე 274

ნიკო ლორთქიფანიძე

რაინდები 282

სერგო კლდიაშვილი

დირბელი ყმის ამბავი 320

ბასილ მელიქიშვილი

მკერდშებოლილი მერცხალი 335

ლევან გოთუა

უგზო ქარავანი 357

ქართული ისტორიული მოთხრობა ორ წიგნად

(წიგნი პირველი)

(2008)

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ ბოგველის

გამომცემლობა-ბაკმი
საქართველო, თბილისი 2008 წ.
E-mail bakmipublishing@posta.ge
E-mail bakmipublishing@gmail.com
www.bakmi.ge